

იგორ კეკელია

სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია

ვახუშტი გაბრატიონის ნააზრევში
და თანამედროვე ისტორიოგრაფია

საზღვაო უსაფრთხოების სერვისი

სერიის მთავარი რედაქტორი

ბუბა კუდავა

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი

სოფო კობიაშვილი

ვიოლა ტულუში

ნინო ხვინგია



წიგნი გამოიცა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ მხარდაჭერით.

ISBN 978-9941-504-97-6

© იგორ კეკელია

© გამომცემლობა „არტანუჯი“

თბილისი 2023

წინამდებარე მონოგრაფია იგორ კეკელიას სადოქტორო დისერტაციის შევსებული ვარიანტია. მასში წარმოდგენილია მკვლევრის არაერთი საყურადღებო მოსაზრება და დაკვირვება ოდიშ-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის პრობლემატიკიდან (გამოცემას ერთვის რეცენზენტების შეფასებები და ავტორისეული პასუხი მასზე). აღნიშნული რეგიონების ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების მიმოხილვისადმი ინტერესი იმითაცაა გამოწვეული, რომ, თუკი ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომსა და რუკებზე ქვემო და შიდა ქართლის, კახეთის, იმერეთისა და, ნაწილობრივ, სამცხე-ჯავახეთის დასახლებული პუნქტები თითქმის სრულადაა მოცემული, იმავეს ვერ ვიტყვით აფხაზეთის, ოდიშის, სვანეთის, ლეჩხუმისა და გურიის მხარეებზე.

ოდიშ-აფხაზეთის შესახებ ვახუშტის მონაცემების ისტორიულ რეალიებთან თუ სხვა წყაროთა გარკვეულ ცნობებთან შეჯერებით, აგრეთვე საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გვეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ მთელი რიგი საკითხებისა ახლებურად იქნას გააზრებული; ამასთანავე, გასწორდეს და დაზუსტდეს ვახუშტის მიერ ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის ლოკალიზაციისას დაშვებული გარკვეული უზუსტობანი. ნაშრომში ასევე ახლებურად და ფართოდაა გაშუქებული ოდიშ-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია მდინარეთა ხეობების მიხედვით. მოხმობილია დამატებითი საარქივო და სამუზეუმო მასალა, აგრეთვე ტოპონიმური მონაცემები ცალკეულ ფეოდალურ ერთეულთა საზღვრების დასადგენად.

ნაშრომი განკუთვნილია დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა, სტუდენტთა ახალგაზრდობისა და, ზოგადად, – ქართველი მკითხველისათვის.

რედაქტორები:

ზურაბ პაპასძირი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ბექან ხორაშა, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

ბონელი არახამია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
პაპუნა ბაბისონია, ისტორიის დოქტორი
პასა კვაშილაშა, ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სარჩევი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება	7
თავი I	
საკითხის ისტორიოგრაფია	13
თავი II	
ვასუშტი ბაგრატიონი ოდიშის (სამეგრელოს) ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ	
II.1. ოდიშის (სამეგრელოს) მდებარეობა და საზღვრები	33
II.2. საჭილაოს, ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (ე. წ. „სადადიანო სვანეთის“) სასაზღვრო ფეოდალური სენიორიები ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში	54
II.3. ეპიზოდები ეთნიკური გეოგრაფიიდან	63
თავი III	
ოდიშისა (სამეგრელოს) და აფხაზეთის საეკლესიო გეოგრაფიის საკითხები ვასუშტის „აღწერაში“	69
თავი IV	
ოდიშის (სამეგრელოს) ისტორიული გეოგრაფია ჰიდრონიმურ და ტერიტორიულ დანაყოფთა მიხედვით	
IV.1. ცხენისწყლის ხეობა	99
IV.2. აბაშის ხეობა	113
IV.3. ტეხურის ხეობა	126
IV.4. ფოთი და პალიასტომი	141
IV.5. ხობისწყლის ხეობა	147
IV.6. ცაიში და ზუგდიდი	163
IV.7. ჭანისწყლის ხეობა	173
IV.8. ენგურის ხეობა	178

თავი V

თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია
ჰიდრონიმურ და ტერიტორიულ დანაყოფთა მიხედვით

V.1. აფხაზეთის საზღვრები	193
V.2. „დადისწყლისა“ და „ეგრისწყლის“ ხეობები	202
V.3. მოქვისა და კოდორის ხეობები	216
V.4. კოდორ-ანაკოფიის შუამდინარეთი	224
V.5. საკუთრივ აფხაზეთი	238
V.6. ჯიქეთი	251
V.7. აფხაზეთის „ალანეთი“	261
V.8. ვახუშტი ბაგრატიონი და თანამედროვე აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხები	272
დასკვნები	285
ბიბლიოგრაფია	392
HISTORICAL GEOGRAPHY OF MEGRALIA AND ABKHAZIA ACCORDING TO VAKHUSHTI BAGRATIONI AND MODERN HISTORIOGRAPHY Abstract	320
დანართი	321
საძიებლები	
პირთა სახელები	395
გეოგრაფიული სახელები	403
რუკები	415

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საქართველოს ისტორიული წარსულის სურათის აღდგენის საქმეში საისტორიო გეოგრაფიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც იგი ქრონოლოგიურად შეისწავლის გარკვეულ ტერიტორიასთან დაკავშირებულ ფიზიკურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ (მოსახლეობის) გეოგრაფიას. მისი შესწავლის ობიექტია აგრეთვე ტოპონიმები – გეოგრაფიული სახელწოდებანი (ხარაძე, 2003: 4-5).

არქეოლოგიურ, კარტოგრაფიულ, წერილობით წყაროებსა და ტოპონიმებზე დამყარებული სამეცნიერო დისციპლინის – საისტორიო გეოგრაფიის, ფუძემდებლის პატივი ქართულ ისტორიოგრაფიაში XVIII საუკუნის გამოჩენილ მეცნიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს – ვახუშტი ბაგრატიონს (1696-1757 წწ.) ერგო. მისი ნააზრევი მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენს ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში. ევროპული ცივილიზაციისა და მეცნიერების დონეზე ამაღლებულმა, ენციკლოპედიურად განათლებულმა და მრავალმხრივმა მოღვაწემ – მთარგმნელმა, ლექსიკოგრაფმა, ისტორიკოსმა, ეთნოლოგმა და გეოგრაფ-კარტოგრაფმა შექმნა პირად დაკვირვებებსა და საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაფუძნებული საისტორიო-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ხასიათის მონუმენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ამასთანავე, ვახუშტის „აღწერა“ საქართველოსა და მისი მეზობელი რეგიონების მოსახლეობის ყოფითი კულტურისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია მისივე კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. ვახუშტი საქართველოს რუკების ორი ატლასის ავტორია. ერთზე მუშაობა დაუსრულებია 1735 წელს, მეორეზე – 1743 წელს.

ვახუშტი იყო შვილი ვახტანგ VI-ისა (1703-1714/1716-1724 წწ.) და ერთ დროს ქართლის მენინავე სადროშოს სარდალი, ამასთანავე, გარკვეულ პერიოდში – სამეფოს დროებითი მმართველი და გამგებელი, მაგრამ, აკად. ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, სახელმწიფო ასპარეზზე დაუჭკნობელი ღვანლის მოპოვების მიუხედავად, მან განსაკუთრებით სახელი გაითქვა მეცნიერების მაღალ სფეროში, როგორც ისტორიკოსმა და ქვეყნის აღმწერმა (ჯავახიშვილი, VIII, 1977: 325).

ვახუშტი საგანგებოდ მსჯელობს საისტორიო თხზულების („მატიანის“) შემადგენელ ნაწილებზე და თვლის, რომ სანიმუშო საისტორიო თხზულება უნდა შეიცავდეს „ადგილის აღწერას“, ანუ ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას, „ნათესავმეტყუელებას“ ანუ გენეალოგიას, „წლის მრიცხუელობას“ ანუ ისტორიულ ქრონოლოგიას და „მოქმედების აღწერას“ ანუ საკუთრივ ისტორიას – თხრობას მოვლენების შესახებ („ქ. ცხ.“, IV, 1973: 4).

ვახუშტის ძირითად საისტორიო ხასიათის თხზულებაში მოცემულია საქართველოს რეგიონების აღწერა ადგილთა ბუნებრივი თანმიმდევრობისა (ხეობები, ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები...) და სამხედრო-პოლიტიკური დანაწილების (საერისთავოები, სასპასპეტოები, სადროშოები...) შესაბამისად. მოცემულია ფიზიკურ-გეოგრაფიული (ოროგრაფიულ-ჰიდროგრაფიული, მეტეოროლოგიური) და ეკონომიკური დახასიათება.

ვახუშტიმ მეცნიერული მოღვაწეობა საქართველოში დაიწყო. მან გადაამუშავა იმ დროისათვის მისთვის ხელმისაწვდომი და საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ყველა საისტორიო წყარო – „ქართლის ცხოვრება“, სხვადასხვა ეპოქის სიგელ-გუჯრები და ა. შ. მართალია, იგი თავის შრომას რუსეთში 1742-1745 წლებში წერდა, მაგრამ აკად. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შეფასებით, ნაშრომისათვის საჭირო მასალა ვახუშტის საქართველოშივე, რუსეთში გადახვეწამდე, ე. ი. 1724 წლამდე, სათანადო გეგმის მიხედვით უნდა ჰქონოდა შეკრებილი (ბერძენიშვილი, 1941: XVII-XIX).

„მატიანედ“ წოდებულ ნაშრომში საქართველოს კუთხეების ისტორიულ და გეოგრაფიულ აღწერას ვახუშტი ასეთი თანმიმდევრობით გადმოგვცემს: 1. ქართლი; 2. ჰერეთი; 3. ოსეთი; 4. სამცხე-საათაბაგო; 5. კლარჯეთი; 6. ეგრისი (ანუ აფხაზეთი, ანუ იმერეთი).

პროფ. ვ. გაბაშვილი შენიშნავდა, რომ ვახუშტიმ საქართველოს ისტორიაში შეიტანა ის, რაც მას აკლდა. ეს არის ქვეყნის გეოგრაფიული დახასიათება. ვახუშტის აღწერა ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათის გეოგრაფიული გამოკვლევაა, რაც უხვად შეიცავს ისტორიულ ცნობებს (გაბაშვილი, 1969: 102-103).

სახელოვანი ისტორიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ამა თუ იმ რეგიონისა თუ ცალკეული გეოგრაფიული ობიექტის დახასიათებისას, მისი სარგებლიანობისა და წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით.

ვახუშტის ისტორიის გეოგრაფიულ ნაწილს ლაკონიური მსჯელობა და საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა გამოარჩევს. ამის თვალსაჩინო მონომობაა მდინარეთა დახასიათება. ვახუშტი მიუთითებს მდინარის სათავეს, დინების მიმართულებას ცალკეულ მონაკვეთზე, დინების ხასიათს. აღწერს მდინარეთა ნაპირებს, ასახელებს შენაკადებს და ა. შ. გეოგრაფიული ადგილების სამეურნეო და ბოტანიკურ დახასიათებასთან ერთად ბატონიშვილი მსჯელობს ამ ადგილთა მდებარეობის ისტორიულ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, აღწერს ბუნებრივ პირობებს, გვთავაზობს ცნობებს წიაღისეული სიმდიდრეების შესახებ (ხანთაძე, 1985: 114).

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მიდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია მისივე კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. ორ ატლასად შეკრული, ტოპოგრაფიული დეტალურობითა და სისრულით შედგენილი რუკები ადასტურებს, რომ ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დროის უთვალსაჩინოესი კარტოგრაფი იყო. კარტოგრაფიულმა ნამუშევრებმა მის ავტორს სიცოცხლეშივე მოუპოვა აღიარება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უკანასკნელ ხანს რეგიონული და რეგიონთაშორისი ურთიერთობების კვლევა ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა და, მაშასადამე, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ისტორიისადმი მკვლევართა ინტერესი საგრძნობლად გაზრდილია, მიზნად დავისახეთ ორი კონკრეტული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის – ოდიშისა (სამეგრელოს) და აფხაზეთის ისტორიული წარსულისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული საისტორიო გეო-

გრაფიის მთელ რიგ საკითხებზე ცალკე და საგანგებო გამოკვლევის შექმნა.

წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომის სახით აღნიშნული პოლიტიკური ერთეულების ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების მიმოხილვისადმი ინტერესი იმითაცაა გამოწვეული, რომ თუკი ვახუშტის ნაშრომსა და რუკებზე ქვემო და შიდა ქართლის, კახეთის, იმერეთისა და ნაწილობრივ სამცხე-ჯავახეთის, დასახლებული პუნქტები თითქმის სრულადაა მოცემული, იმავეს ვერ ვიტყვით აფხაზეთის, ოდიშის, სვანეთის, ლეჩხუმისა და გურიის მხარეებზე. „ვახუშტის სამეგრელოსა და აფხაზეთში არყოფნის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს იმ დროის პოლიტიკური ვითარება, რომელიც უფრო გვიანაც გრძელდებოდა“ (ხარაძე, 2013: 99).

აქვე შევნიშნავთ, რომ წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომი არ წარმოადგენს ამ პოლიტიკური ერთეულების საისტორიო გეოგრაფიის მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას. ამგვარი სამუშაო კარგახნის წინ ჩაატარეს ქართველმა მეცნიერებმა, რომელთაც სათანადო მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და კომპეტენტურობით საფუძვლიანად განიხილეს ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის მრავალი საკვანძო საკითხი.

ოდიშ-აფხაზეთის შესახებ ვახუშტის მონაცემების ისტორიულ რეალიებთან თუ სხვა წყაროთა გარკვეულ ცნობებთან შეჯერებით, აგრეთვე საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გვეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ მთელი რიგი საკითხებისა ახლებურად იქნას გააზრებული; ამასთანავე, გასწორდეს და დაზუსტდეს ვახუშტის მიერ ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის ლოკალიზაციისას დაშვებული გარკვეული უზუსტობანი. ნაშრომში ასევე ახლებურად და ფართოდაა გაშუქებული ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფია მდინარეთა ხეობების მიხედვით, მოხმობილია დამატებითი საარქივო და სამუზეუმო მასალა, აგრეთვე ტოპონიმური მონაცემები ცალკეულ ფეოდალურ ერთეულთა საზღვრების დასადგენად.

აკად. ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიცია – საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების მიმოხილვა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი სასაზღვრო რეგიონიდან (ჯავახიშვილი, 1989: 6), ჩვენი საკვლევი თემატიკის

შემთხვევაში მრავალ უხერხულობას და გაუგებრობას ქმნის. ამიტომ შევეცადეთ ვახუშტის მიერ დამკვიდრებული ტრადიციის დაცვას. კერძოდ, ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის მიმოხილვას აღმო-სავლეთიდან დასავლეთისაკენ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ძირძველი ისტორიული მხარის – აფხაზეთის ისტორიული წარსულის ობიექტური შეფასება-შესწავლა დღევანდელი გადასახედიდან მით უფრო აუცილებლად გვესახება, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რუსეთის ფედერაცია ისტორიული სამართლიანობის უგულვებლყოფით, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევითა და აფხაზეთის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად აღიარების გზით, მიზანმიმართულად საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობას და ცდილობს, ღრმა უფსკრულის გაჩენას ქართულ-აფხაზურ საუკუნეობრივ თანაცხოვრებაში. ამასთანავე, განსაკუთრებით მომრავლდა აფხაზი და რუსი მეცნიერების მცდარი დებულებების შემცველი „გამოკვლევები“, რომლებშიც ავტორები ცდილობენ, რადიკალურად განსხვავებულად განიხილონ და მრუდე სარკეში წარმოაჩინონ აფხაზეთის ეთნოისტორიის საკითხები.

თავი I

საკითხის ისტორიოგრაფია

საკითხის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესახებ მსჯელობა, ბუნე-ბრივია, ვახუშტი ბაგრატიონით უნდა დავიწყოთ. მისი ნაშრომები რამდენიმეჯერ გამოიცა. მათ შორის გამორჩეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში შუა საუკუნეებად მიჩნეული პერიოდის (V-XVIII სს.) ყველაზე ცნობილი საისტორიო წყაროების „ქართლის ცხოვრების“ სერიით გამოცემა. აღნიშნული სერიის IV ტომი ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ ეთმობა. იგი 1973 წელს გამოსცა აკად. სიმონ ყაუხჩიშვილმა. წიგნს ერთვის რედაქტორის ვრცელი შესავალი. ჩვენ სწორედ ამ გამოცემას ვეყრდნობით. ჩვენი კვლევისთვის საინტერესო ცნობები გადმოცემულია ნაშრომის იმ თავში, რომელსაც ეწოდება: **„აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“**.

ვახუშტის თხზულებაში მოცემული ისტორიული ცნობების გასაზრებლად მოვიხმობთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა და მოგზაურთა იმ ცნობებს, რაც საკვლევ თემატიკასთანაა დაკავშირებული. ამასთანავე, შევეცადეთ, მონოგრაფიაში შეძლებისდაგვარად აგვესახა საკითხი, თუ როგორ არის წარმოდგენილი ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფია ბატონიშვილის ნააზრევში, და ამავედროულად გვსურდა განხილვის საგნად გვექცია ისტორიული ლიტერატურა, თემატიკასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის თანამედროვე ვითარება, ვინაიდან ჩვენი კვლევა-ძიების უშუალო საგანს ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის საკითხებთან ერთად წარმოადგენს საკუთრივ ისტორიული ლიტერატურა, როგორც ქართული ისტორიოგრაფიის წყარო.

ვახუშტის ცნობებს ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის შესახებ მნიშვნელოვნად ავსებს მისი წინამორბედი, თანამედროვე და მომდევნო თაობის უცხოელი ავტორების – არქანჯელო ლამბერ-

ტის, ქრისტეფორე დე კასტელის, ჟან შარდენის, მაკარი ანტიოქიელის, ევლია ჩელების, ქათიბ ჩელების, ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იველევის, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის, მორიც ვაგნერის, ედუარდ აიხვალდის, აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის, იაკობ რაინეგის, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, ფ. ტორნაუს, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის, ს. ბელოკუროვის, კ. ბოროზდინის, ჟაკ ფრანსუა გამბას სამოგზაურო ჩანაწერები და მოგონებები.

წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომის შესაბამის თავებში ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას ვიმონწმებთ და ვაანალიზებთ არსებულ წყაროთმცოდნეობით ბაზას და ასე ვცდილობთ ზოგიერთი ბუნდოვანი თუ სადავო საკითხისა და ცალკეული ფაქტის დაზუსტებას.

უცხოელ მკვლევარ-მოგზაურთა და დამკვირვებელთა შორის, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი და კავკასიელი ხალხისადმი, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს **არქანჯელო ლამბერტის**.

მიუხედავად მრავალი ნაკლისა, იტალიელი მისიონერის ნაშრომი „სამეგრელოს აღწერა“, სადაც ვრცლადაა წარმოდგენილი მხარის ისტორიული, ეთნოგრაფიული და ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, უაღრესად ძვირფასი წყაროა ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის შესასწავლად. ასევე, რუკა, მასზე გამოსახული ზოგიერთი პუნქტისა და მდინარის შეცდომით დატანის მიუხედავად, მნიშვნელოვანი წყაროა XVII ს-ის ოდიშის წარსულის შესასწავლად.

აღწერილობითი ხასიათის ძეგლებიდან ოდიშის სამთავროს შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის შვილის, წარმოშობით სირიელი არაბის – არქიდიაკონ **პავლე ალექპოელის** (დაახლ. 1627-1669 წწ.) მიერ აღწერილი საქართველოში მოგზაურობა, რაც 1667 წლის 27 თებერვლით თარიღდება. მამა-შვილი საქართველოს 1664 წლის ივლისში სწვევია, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე უკვე დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდნენ. მათ ჩვენს ქვეყანაში წელიწადი და ცხრა თვე დაჰყვეს (1664 წლის ივლისიდან 1666 წლის აპრილის ბოლომდე) და ამ პერიოდში შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ მდგომარეობასა და ქართული საზოგადოების თავისებურებებს (ასათიანი, 1973: 24).

1771-1772 წლებში საქართველოში იმოგზაურა ცნობილი გერმანელი ნატურალისტმა, მედიცინის დოქტორმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა **იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა** (1745-1781 წწ.), რომელმაც დაგვიტოვა მნიშვნელოვანი ცნობები სამოგზაურო ჩანაწერების სახით. იმერეთში იგი 1772 წლის ივლის-სექტემბერში იმყოფებოდა. ამ პერიოდში შეძლო სამეგრელოს საზღვრებისა და იმერეთის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოვლა (გიულდენშტედტი, I, 1962).

XIX საუკუნის 40-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესასწავლად საინტერესო წყაროს წარმოადგენს ცნობილი გერმანელი მოგზაურის, გეოგრაფისა და ბუნებისმეტყველის, მიუნხენის აკადემიის წევრის – **მორიც ვაგნერის** (1813-1887 წწ.) თხზულება. წიგნის VIII-IX-X თავებში ვაგნერი აღწერს იმერეთსა და სამეგრელოს, ამ მხარეთა სამეურნეო და სულიერ ცხოვრებას, ეკონომიკურ მდგომარეობას, საცხოვრებლებს, ახასიათებს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენას, რუსულ საბაჟო კანონებს, რედუტ-კალეს, ფოთის ციხეს, ზუგდიდს და დადიანთა რეზიდენციას, ხობისა და მარტვილის მონასტრებს (ვაგნერი, 2002).

კავკასიათმცოდნეობისა და საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის უაღრესად საყურადღებო წყაროა XVIII ს-ის გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – **იაკობ რაინეგსის** ნაშრომი. აღნიშნული თხზულება განსაკუთრებით საინტერესოა ქვეყნის გეოგრაფიული აღწერის თვალსაზრისით. გერმანელი მოგზაური აღწერს სამფლობელოებსა და მათ საზღვრებს, ქალაქებს, სოფლებს, ეკლესია-მონასტრებს, მდინარეებს, ხიდებს, გზებს, მთებს, ტყეებს, ნიადაგებს და ა. შ. (რაინეგსი, 2002).

ჩვენთვის საინტერესო თემატიკაზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს **ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრებას“**. ნაშრომი 1962 წელს ცალკე წიგნად გამოსცა პროფ. შ. ბურჯანაძემ. სამი ნაწილისაგან შემდგარი აღნიშნული თხზულება ძვირფას წყაროს წარმოადგენს ფეოდალური ხანის ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. პირველ და მეორე ნაწილში წარმოდგენილია ეპოქა უძველესი დროიდან 1749 წლამდე. ნ. დადიანის თხრობა არსებითად ვახუშტის მატიანეში გადმოცემული პოლიტიკური ისტორიის ამბებით შემოიფარგლება

და ვერ სცილდება ვახუშტისეული „აღწერის“ ტრადიციულ სქემას. გარკვეული ღირებულების მქონეა ნ. დადიანის მიერ მოწოდებული დამატებითი ცნობები აღნიშნულ პერიოდზე. ვახუშტის თხზულებისაგან დამოუკიდებლად შედგენილი მესამე ნაწილი წარმოადგენს ნიკო დადიანის მიერ შეთხზულ თითქმის ერთადერთ ნარატიულ წყაროს ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავლის შესახებ, 1749 წლიდან 1823 წლამდე (დადიანი, 1962: 5-58).

იმდენად, რამდენადაც წყაროთმცოდნეობითი კვლევა გულისხმობს უშუალოდ ძველ საისტორიო წყაროზე მუშაობასა და მის ტექსტობრივ-შინაარსობრივ და წყაროთმცოდნეობით ანალიზს, შესაბამისად, ასეთი კვლევა ნაკლებად განიცდიდა იდეოლოგიურ გავლენას, რადგან ნაკლებად არსებობდა იდეოლოგიური ზენოლის საშუალებები. სწორედ ამიტომ, ისტორიულ მეცნიერებაში ეპოქისათვის დამახასიათებელი მარქსისტული სოციოლოგიის პრინციპების განუხრელი ბატონობის პირობებში (რამაც განსაკუთრებული სიმძაფრით თავი იჩინა გასული საუკუნის 30-50-იან წლებში) გამოცემის მიუხედავად, ქართულ ნარატიულ წყაროებსა და მათ შესახებ არსებულ სამეცნიერო კვლევებს დღემდე არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება.

ოდის-აფხაზეთის საეკლესიო, ეთნიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლის თვალსაზრისით პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება და მკვლევარს მრავალ ღირებულ ინფორმაციას აწვდის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მუხლჩაუხრელი მკვლევრის – **სარგის კაკაბაძის** (1886-1967 წწ.) მიერ 1921 წელს ორ ნიგნად გამოცემული „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“, აგრეთვე 1925 წელს „საისტორიო მოამბეში“ დაბეჭდილი „აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი“ (კაკაბაძე, 2, 1925; ქსძ, II, 1965). ეს უკანასკნელი „ბიჭვინტის იადგარის“ სახელითაც არის ცნობილი. ესაა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო საყდრისათვის სხვადასხვა პირის მიერ გაწეული ღვანლის და შეწირულების აღმწესხველი ძეგლი. მეორე დავთარიც მალაქია გურიელის ბრძანებითაა დაწერილი. ს. კაკაბაძე მას 1619-1621 წლებით ათარიღებს. ძეგლი საყურადღებო ცნობებს შეიცავს ოდიშის ისტორიული ტოპონიმიკისა და საეკლესიო გეოგრაფიის საკითხებზე (კაკაბაძე, 1913: 5-46).

ფეოდალური საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პირ-ველნყაროს წარმოადგენს იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის (1720-1740, 1741-1752 წწ.) მიერ თავისი სამეფოს სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის საილუსტრაციოდ რუსეთის საიმპერატორო კარზე 1737 წელს გაგზავნილი რუკა. მასზე ნაჩვენებია რელიეფი, ტყე, მდინარეები, ციხესიმაგრეები და მათში განლაგებული ჯარის შეიარაღება (მათურელი, IX, 1949: 209-221). რუკაზე ნაჩვენებია ციხესიმაგრეები, თითოეული ციხის სამხედრო ძალა და მისი მფლობელის ვინაობა, აგრეთვე ეკლესია-მონასტრები, საყდრები, სამეფო და ფეოდალთა სასახლეები, ძვირფასი ლითონის საბადოები, სამეფოს საზღვრები, სამიმოსვლო გზები, ნავსადგურები და ა. შ. (ბურჯანაძე, 1959: 182-197).

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიური და სხვა სახის აღწერა დაგვიტოვა ცნობილმა გერმანელმა ბუნებისმეტყველმა და მოგზაურმა **ედუარდ აიხვალდმა** (1795-1876 წწ.). დიდ ინტერესს იწვევს დასახლებული პუნქტებისა და ეკლესიების, სავაჭრო გზების აიხვალდისეული საფუძვლიანი აღწერა (აიხვალდი, 2005).

მნიშვნელოვან დოკუმენტურ წყაროს წარმოადგენს ე. თაყაიშვილის, ი. დოლიძის, შ. ბურჯანაძისა და ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემული დოკუმენტური მასალები.

ვახუშტი ბაგრატიონის მრავალმხრივი მოღვაწეობის კვლევით არაერთი მეცნიერი დაინტერესებულა. როგორც ზემოთ აღინიშნა, იძულებით ემიგრაციაში მყოფი ბატონიშვილი საფუძვლიანად გაეცნო დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ისტორიოგრაფიის მიმართულეებს და მოპოვებული ცოდნა საფუძვლად დაუდო თავის შემდგომ მეცნიერულ მოღვაწეობას.

უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ვახუშტის მეცნიერული მემკვიდრეობისადმი. გამოქვეყნდა მრავალი მონოგრაფია თუ სტატია, მაგრამ ასეთი მზარდი ინტერესის მიუხედავად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას შემდეგი: რა კუთხითაც არ უნდა განვიხილოთ ვახუშტის შემოქმედება, მისი ცხოვრება-ღვაწლისადმი მიძღვნილი, დღემდე გამოცემული და ჩვენ ხელთ არსებული რამდენიმე მონოგრაფიისა და გამოკვლევის შემთხვევაშიც კი, საბოლოოდ მაინც იმ შეხედულების აღიარება მოგვიწევს, რის თანახმაც ბევრი

რამ მისი უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობიდან გამოსამზეურებელია და კვლავაც საგანგებო კვლევას საჭიროებს. შესასწავლია ვახუშტის ცხოვრებისა და შემოქმედების ბურუსით მოცული მთელი რიგი საკითხები. მისი ზოგიერთი ორიგინალური თუ თარგმნილი ნაწარმოები კვლავ ერთგულ მჩხრეკელსა და გამომცემელს ელის...

1997 წელს იუნესკოს ეგიდით საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნა ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 300 წლისთავი. გამოიცა კრებულები: „ვახუშტი ბაგრატიონი – ისტორიკოსი და გეოგრაფოსი“, „ვახუშტი ბაგრატიონი გეოგრაფი“; ასევე ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფია“ და „საქართველოს ატლასი“. უნდა ითქვას, რომ ატლასის ეს ძვირფასი გამოცემა ქართული კულტურის ისტორიისათვის ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენადაა მიჩნეული. 2011 წელს დაიბეჭდა ვახუშტის მიერ რუსულიდან შესრულებული ქართული თარგმანი „პოლიტიკური გეოგრაფიისა“ (ხარაძე, 2013: 260-300).

საკვალიფიკაციო თემის ისტორიოგრაფიული ბაზის მიმოხილვისას ჩვენ არ შევჩებებით ვახუშტის შესახებ არსებულ ყველა გამოკვლევას. სადისერტაციო ნაშრომის განსაზღვრული მოცულობა და თემატიკა არ იძლევა ამის საშუალებას. ამასთანავე, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ყველა ნაშრომის თუნდაც ზოგადი მიმოხილვა, ბუნებრივია, საგრძნობლად დაგვაშორებდა საკვლევ თემატიკას. ამიტომ, ვინაიდან სადისერტაციო ნაშრომში მიზნად ვისახავთ დასავლეთ საქართველოს ორი კონკრეტული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის საისტორიო გეოგრაფიასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობას ვახუშტის თვალთახედვით, შესაბამისად შევჩებებით იმ გამოკვლევებს, რომლებშიც მეტწილად ასახულია სწორედ ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის ცალკეული საკითხები.

მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, პავლე ინგოროყვას, ნიკო ბერძენიშვილის, ვალერიან გაბაშვილის, ლევან მარუაშვილის განსაკუთრებული ღვაწლი ამ თვალსაზრისით და მათ მიერ გამოთქმული მრავალი ფუნდამენტური დასკვნა თუ ჰიპოთეზა.

ეგრის-აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის გასაშუქებლად მნიშვნელოვან მასალას გვანჭდის და წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომში გათვალისწინებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, **პავლე ინგოროყვას (1893-1983 წწ.)** მონუმენტური, 1150-გვერდიანი

ნაშრომი „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“, რაც ჯერ გაგრძელებებით იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“ (1949-1952 წლებში), ხოლო 1954 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. მასში უამრავი პრობლემა და მოვლენა მკვლევრის მიერ სრულიად ორიგინალურადაა გააზრებული და შეფასებული. ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა წიგნის IV თავი: „დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო („აფხაზეთის სამეფო“) და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის ძეგლში“. მასში პ. ინგოროყვა მსჯელობს აფხაზეთის ისტორიული ეთნოგრაფიის, კერძოდ, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობისა და დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის სამეფოს“) დაარსების ისტორიის შესახებ. ამავე თავში წარმოდგენილია პ. ინგოროყვას „სპეციალური ექსკურსი“, რითაც მკვლევარი მიზნად ისახავს საისტორიო წყაროებში მოხსენიებული აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებების სტრუქტურულ-ეტიმოლოგიურ ანალიზს და მათ კავშირს ქართულ ენობრივ სამყაროსთან. „გეოგრაფიული სახელწოდებანი, წერს პ. ინგოროყვა, – იძლევიან სრულიად გარკვეულ ჩვენებას იმის შესახებ, თუ ვინ იყო ბინადარი მკვიდრი აფხაზეთის მხარეებისა. აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობა, როგორც ირკვევა, თავიდანვე ქართულ ეთნიკურ წრეს ეკუთვნოდა, და ასეთივე ქართული ხასიათი ჰქონდა ამ მხარეს კერძოდ იმ ეპოქაში, როდესაც დაარსდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო“ (ინგოროყვა, 1954: 146).

პ. ინგოროყვამ უარყო ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე მიღებული შეხედულებანი დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთა სამეფოს“) შესახებ და „საისტორიო მასალების პრეციზიული ანალიზის შედეგად“ (მისივე სიტყვებია) შეძლო შემდეგი საგულისხმო დასკვნები გამოეტანა:

1. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში, „აფხაზეთა სამეფოს“ დაარსების დროისთვის (VIII ს.) აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები – საკუთრივ აფხაზები, აბსილები, მისიმინები და სანიხები ქართული წარმოშობისანი იყვნენ, დასავლეთ საქართველოს სხვა დანარჩენი ქართველი ტომების (ქართვები, მეგრელები და სვანები) მსგავსად.

2. აფხაზეთში მოსახლე ქართველ ტომს – აფხაზებს – დასავლეთი საქართველო კი არ დაუპყრიათ, არამედ ადგილი ჰქონდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით როგორც აფხაზეთის, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის განთავისუფლებას ბიზანტიის იმპერიის ბატონობისაგან. იგი იმონმებს ისტორიული პირველწყაროს – „მატიანე ქართლისას“ ცნობას, რომ აფხაზთა ერისთავი „გადგა ბერძენთა (ე.ი. ბიზანტიელთა – ი.კ.), დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე (ხაზგასმა ავტორისა – ი.კ.)“ აფხაზთა ერისთავმა, დაასკვნის პ. ინგოროყვა, „ორივე მხარე, აფხაზეთიცა და ეგრისიც ვიდრე ლიხის მთამდე, დაიპყრა ბიზანტიელთაგან, განათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან“ (ინგოროყვა 1954: 116).

3. ბიზანტიის ბატონობისაგან დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთთან ერთად) განთავისუფლების შემდეგ შექმნილ „აფხაზეთის სამეფოში“ იწყება წმინდა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება. ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად გაბატონებულ მთავარ სახელმწიფო ენას ქართული ჩაენაცვლა და საეკლესიო წირვის ენადაც ქართული იქნა შემოღებული. იერარქიულად კონსტანტინოპოლის პატრიარქთან დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს ეკლესია ამიერიდან ქართლის (იბერიის) საკათალიკოსოს დაექვემდებარა (იქვე: 117). „დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო, – წერს პ. ინგოროყვა, – შექმნილია ქართველი ტომების მიერ, და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის არის ქართველი ტომი აფხაზები“ (იქვე: 117).

განსაკუთრებული ალღო, დიდი ერუდიცია და ფაქტების განზოგადების დიდი უნარი გამოარჩევს აკად. **ივანე ჯავახიშვილის (1876-1940 წწ.)** მეცნიერულ მოღვაწეობას. იგი ფართო მასშტაბით იკვლევდა საისტორიო გეოგრაფიის საკითხებს. საგანგებოდ ამ პრობლემის გაშუქებას ისახავს მიზნად 1919 წელს გამოქვეყნებული „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით“. მანვე საგანგებო გამოკვლევა უძღვნა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლას, რაც 3 წიგნად გამოიცა, ხოლო კაპიტალურ ნაშრომში – „ქართველი ერის ისტორია“, დიდმა მეცნიერმა სრულიად ახლებურად გამოიკვლია და ღრმა მეცნიერული, კრიტიკული შესწავლის საფუძველზე ნათელი მოჰფინა საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, ქართველი ხალხის ვინაობისა და მიგრაციის, მატერიალური კულ-

ტურის, სარწმუნოების, სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმების, კულტურისა და სხვა საკითხების მრავალ ბურუსით მოცულ საკითხს. აკად. ნიკო ბერძენიშვილის მართებული შეფასებით, „განსხვავებით სხვა ამ დარგის მეცნიერთაგან ივ. ჯავახიშვილმა სპეციალური გამოკვლევა უძღვნა მთლიანი საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას და ეს შრომა თავის „ქართველი ერის ისტორიას“ წაუმიძღვარა. მანვე შეადგინა და 1923 წელს გამოსცა „საქართველოს ისტორიული რუკა“ (ბერძენიშვილი, I, 1964: 350).

საისტორიო გეოგრაფიის საკითხების კვლევის მიმართულებით დიდია აკად. **სიმონ ყაუხჩიშვილის** (1895-1981 წწ.) დამსახურება. მან მიზნად დაისახა ანტიკურ და ბიზანტიურ სამყაროსთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესწავლა ნაშრომში – „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, რაც „გეორგიკის“ სერიით რვა ტომად გამოიცა 1934-1970 წლებში. მასში არაერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტი წარმატებითაა გამოკვლეული. უაღრესად მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრების“ აკადემიური გამოცემებისადმი ს. ყაუხჩიშვილის მიერ წამძღვარებული ვრცელი გამოკვლევები ძველის გენეზისის, სტრუქტურისა და შედგენილობის შესახებ. თავისი ნაღვანით გამოჩენილმა მკვლევარმა „საქართველოს ისტორიის აქამდე გაურკვეველ არა ერთ საკითხს მეცნიერული სინათლის შუქი მიაყენა“ (ბერძენიშვილი, I, 1964: 350).

ისტორიულ-გეოგრაფიული მასალის მრავალი სანიმუშო მაგალითი შემოიტანა მეცნიერულ მიმოქცევაში აკად. **სიმონ ჯანაშიამ** (1900-1947 წწ.). ძველი და ადრინდელი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის პრობლემების აღიარებულმა მკვლევარმა საგანგებოდ შეისწავლა და სრულიად ახლებურად გააშუქა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია; მანვე წარმოაჩინა კოლხეთის, ეგრისისა და აფხაზეთის სამეფოების ისტორიის ცალკეული პერიოდები. გვიანდელი ფეოდალიზმის ისტორიის გაშუქებას ისახავს მიზნად ს. ჯანაშიას ნაშრომი „ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ“. აფხაზეთის ისტორია საგანგებოდაა შესწავლილი ნაშრომში – „აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან“ (ჯანაშია, II, 1952). სახელოვანი მეცნიერი საკითხის კვლევისას წარმატებით იყენებდა ისტორიულ-ფილოლოგიური მიდგომის დახვეწილ და ფაქიზ მეთოდს და საისტორიო გეოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი არაერთი პირ-

ველხარისხოვანი ფაქტით ამდიდრებდა ქართულ ისტორიოგრაფიას (ბერძენიშვილი, I, 1964: 351).

საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის საკითხების შესწავლას არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა აკად. **ნიკო ბერძენიშვილმა** (1894-1965 წწ.). „ისტორიული გეოგრაფია, – ნერს იგი, – ისტორიის დამხმარე სამეცნიერო დისციპლინაა. მისი მიზანია ბუნებრივ გეოგრაფიულ მიდამოში ადამიანის მოქმედების ნაკვალების მიხედვით საზოგადოების წარსული ცხოვრების მეცნიერული რეკონსტრუქცია. ისტორიული გეოგრაფიის საგანი გეოგრაფიულ პირობათა ბუნებრივი ცვლის ისტორია კი არ არის, არამედ ადამიანის შემოქმედების ისტორია ფიზიკურ-გეოგრაფიულ არეში“ (ბერძენიშვილი, I, 1964: 347). დასავლეთ საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიაზე მსჯელობისას საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევაში – „საქართველო XI-XVIII საუკუნეებში“ (ბერძენიშვილი, VI, 1973: 148-151, 167-177, 272-275, 342-347).

ქართული ფეოდალიზმის პრობლემის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი – სენიორიების ისტორია მონოგრაფიულად შეისწავლა **ბაბილინა ლომინაძემ**. 1966 წელს გამოცემულ წიგნში მკვლევარი წარმოგვიდგენს ბიჭვინტის სენიორიის წარსულს XVI-XVII საუკუნეებში. ბ. ლომინაძის აზრით, საკათალიკოსო რეზიდენციის ბიჭვინტიდან გელათში გადატანამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბიჭვინტის მინისმფლობელობის განვითარებაზე. ეს ფაქტი წარმოადგენდა ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების გარკვეულ შედეგს (ლომინაძე, I, 1966: 164).

ბ. ლომინაძე ვრცლად მიმოიხილავს ისტორიოგრაფიაში არსებულ შეხედულებებს ბიჭვინტიდან საკათალიკოსო რეზიდენციის გატანის დროისა და მიზეზების შესახებ. ბიჭვინტიდან კათალიკოსის წამოსვლის საძიებელ დროდ მან XVI ს-ის II ნახევარი, კერძოდ, 1545-1569 წლები, ამასთანავე, 1578 წელი მიიჩნია. უკანასკნელი თარიღი – 1578 წელი – ის დროა, „როცა საბოლოოდ დამთავრდა კათალიკოსის დამკვიდრება გელათში, როგორც მის მუდმივ საკათალიკოსო რეზიდენციაში“ (იქვე: 186).

ბიჭვინტის კათალიკოსის ოდიშ-აფხაზეთში დამკვიდრება გულისხმობდა არა კათედრის გადმოტანას, არამედ კათალიკოსის რეზი-

დენციის მონაცვლებას. „კათალიკოსის ბიჭვინტიდან წამოსვლას, – დაასკვნის ბ. ლომინაძე, – არ გამოუწვევია XVI-XVII სს. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მთლიანობის მოშლა არა მხოლოდ თეორიულ-ნომინალურად, არამედ პრაქტიკულადაც. აფხაზეთი ეკლესიურად კვლავაც დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს შემადგენელი ნაწილი იყო. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთი ყოველთვის რჩებოდა როგორც მისი ორგანული კულტურულ-ეროვნული ნაწილი“ (იქვე: 240).

დასავლეთ საქართველოს სოციალური ურთიერთობის საკითხებს წარმატებით იკვლევდა პროფ. **ოლა სოსელია (1905-1995 წწ.)**. იგი ფეოდალური ხანის ცალკეული სათავადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის აღიარებული მკვლევარი იყო. ამ კუთხით წარმოებული მეცნიერული კვლევის შედეგების შემაჯამებელია 1966 წელს გამოქვეყნებული სქელტანიანი მონოგრაფია: „ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა)“, მისივე სადოქტორო დისერტაცია – „სათავადოები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (იმერეთის სამეფო, გურია-ოდიშის სამთავროები“ (1969 წ.) და სამ წიგნად გამოქვეყნებული მონოგრაფია: „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები)“ (სოსელია, I, 1973; II, 1981; III, 1990). აღნიშნული საკითხის საფუძვლიანი შესწავლით ო. სოსელია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დასავლეთ საქართველოს სათავადო-სენიორიები წარმოადგენდა ცენტრისაგან ტერიტორიულ-პოლიტიკურად განცალკევებულ ფეოდალურ ერთეულს, ხოლო მისი მმართველი (თავადი ან სამთავრო სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენელი) იყო საჯარო ხელისუფლების პრეროგატივების უკონტროლო მფლობელი.

ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის კვლევის თვალსაზრისით ინტერესს იწვევს პროფესორ **თამაზ ბერაძის (1937-2012 წწ.)** გამოკვლევები. ბატონი თამაზი საისტორიო გეოგრაფიის აღიარებული მკვლევარი იყო. საკვლევ თემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ნათლადაა წარმოდგენილი მკვლევრის რამდენიმე სტატიამი. გამოკვლევაში – „ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან“, მკვლევარს მიზნად დაუსახავს სახელ ლიპარტიანის წარმომავლობისა და სალიპარტიანოს საზღვრების დადგენა. თ. ბერაძე აჯამებს სალიპარტიანოს შესახებ არსებულ ყველა ისტორიულ ცნო-

ბას და ასკვნის: სალიპარტიანოს ფეოდალური ერთეული მდებარეობდა უნაგირას მთასა და ჭყონდიდის ეპისკოპოსის საეკლესიო მამულს შორის. მას სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრებოდა ჭილაძეთა ფეოდალური სახლის სამფლობელო. XVIII ს-ის დასაწყისისათვის სალიპარტიანო ოდიშის სამთავრო სახლს შეუერთდა უშუალოდ. XIX ს-ის დასასრულს ამ სახელის ქვეშ ცნობილი ტერიტორია მოიცავდა მდ. ტეხურის ზემო ნელზე მდებარე ოციოდე სოფელს (ბერაძე, სიგკ, II, 1964: 115-130).

ერთ ნაშრომში („ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან“) მკვლევარს მიზნად დაუსახავს დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთ ისეთ საკვანძო საკითხზე მსჯელობა, როგორიცაა „შიდა ეგრისის“, ოდიშის საერისთავოსა და ოდიშის სამთავროს საზღვრების დადგენა, ეგრისწყლის ლოკალიზაცია, სახელწოდება „ეგრისის“, „ოდიშის“, „სამეგრელოს“ წარმოშობა და სხვ. (ბერაძე, სიგკ, III, 1967: 131-183).

1971 წელს გამოქვეყნდა თ. ბერაძის ნაშრომი – „ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები“. მკვლევარს კრიტიკულად გაუანალიზებია დიდი ქართველი მეცნიერის ცნობები. ამასთანავე, მასში საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი საკითხის გარშემო არსებული ისტორიოგრაფიის ნაწილი. მკვლევარს წამოყენებული და დასაბუთებული აქვს ზოგიერთი ახალი ჰიპოთეზაც. ვახუშტი ბაგრატიონისეული ოდიშის აღწერილობა, – წერს თ. ბერაძე, ხარვეზების მიუხედავად, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიისათვის მეტად საიმედო და ფასეული მასალის შემცველია. ვახუშტის ოდიში არ დაუთვალეირებია და ამ მიზეზით იგი სარგებლობდა სხვა სწავლულთა და მეცნიერთა მონაცემებით. კერძოდ, მას ფართოდ აქვს გამოყენებული „ქართლის ცხოვრების“ ლეონტი მროველისეული მონაცემები (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 73).

ძველი და შუა საუკუნეების ხანის აფხაზეთის ისტორიის ისეთი საკითხები, როგორიცაა აფხაზთა წარმომავლობა, აფხაზი ხალხის განვითარების ცალკეული ეტაპები, აფხაზთა და აფხაზეთის როლი და ადგილი საერთო-ქართულ ისტორიულ პროცესში და მრავალი სხვა, პირველად ისტორიოგრაფიაში სრულყოფილად გააშუქა გამოჩენილმა ისტორიკოსმა **ზურაბ ანჩაბაძემ** (1920-1984 წწ.). იგი ფართო მასშტაბისა და დიდი ერუდიციის მეცნიერი იყო, რომელიც აფხაზე-

თის ისტორიას განიხილავდა საერთო ქართული პროცესების ჭრილში და მასთან ორგანულ კავშირში. მნიშვნელოვანია მის მიერ 1960 წელს მოსკოვში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული სადოქტორო დისერტაცია: „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (VI-XVII სს.)“, და მონოგრაფია: „ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა“. ამასთანავე, ზ. ანჩაბაძე მიჩნეულია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიული წარსულის აღიარებულ მკვლევრად და ამ დარგის ერთ-ერთ ფუძემდებლად საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით ორ ტომად გამოიცა ფუნდამენტური განმაზოგადებელი ნაშრომი – „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები“. 1986 წელს გამოიცა „აფხაზეთის ისტორია“. ამ სახელმძღვანელოში, რომლის დიდი ნაწილის ავტორიც ზურაბ ანჩაბაძე გახლავთ, გატარებულია მაგისტრალური ხაზი, რომ აფხაზეთის ისტორია საერთო ქართულ ისტორიასთან ორგანულ კავშირში განხილულიყო.

ოდიშ-აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების დასახასიათებლად მეტად საინტერესო ცნობები და მოსაზრებებია წარმოდგენილი პროფ. **ზურაბ პაპასქირის** ქართულ და რუსულენოვან გამოკვლევებში. ჩვენი კვლევისთვის საინტერესო თემატიკა მის ნაშრომებში ისტორიულ ჭრილშია განხილული. აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის სამსახურში ჩამდგარი და ანტიქართული ფსიქოზით დაავადებული ისტორიკოსების „მეცნიერული“ საქმიანობის კრიტიკა მოცემულია მის სტატიაში – „საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსული „აფხაზურ ისტორიოგრაფიაში“. მკვლევარი მიმოიხილავს ს. აშხანავას, ლ. ვორონოვის (ავტორი წიგნისა „Абхазия это не Грузия“), ნ. ვორონოვის, მ. ტრაფშის, გ. ტურჩანინოვის, შ. ინალ-იფას, მ. გუნბას, ა. პაპასქირის ნაშრომებს და შენიშნავს, რომ აფხაზი ნაციონალ-სეპარატისტები გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გამიზნულად და თანმიმდევრულად ეწეოდნენ აღვირახსნილ ანტიქართულ პროპაგანდას. ზ. პაპასქირის თქმით, ამ „კამპანიაში“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის ფალსიფიკაციას. სწორედ ისტორიული სიმართლის გაყალბებას ეკავა გამორჩეული ადგილი ნაციონალ-სეპარატისტთა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ არსენალში“ (პაპასქირი, 1998: 76).

ასეთ მიზანმიმართულ ისტორიოგრაფიულ ომს საქართველოს წინააღმდეგ გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან აწარმოებდა აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი, რუსი არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **იური ვორონოვი**, ხოლო მას შემდეგ, რაც აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის პოლიტიკური კონიუნქტურის სამსახურში ჩადგა, იური ვორონოვის თავდასხმა გასცდა „აკადემიური მსჯელობის“ ფარგლებს და დაუფარავი და სისტემატური ხასიათი მიიღო. ამის მკაფიო ნიმუშად წარმოგვიდგება რუსულ ენაზე მისი ავტორობით გამოცემული 30-გვერდიანი „ნარკვევი“: „აფხაზები – ვინ არიან ისინი?“ (პაპასქირი, 1998: 78). ზ. პაპასქირის სამართლიანი შეფასებით, „პირველი და უმთავრესი, რაც თვალში ეცემა კაცს ამ 30-გვერდიანი ბროშურის გაცნობისას, ეს არის ავტორის მოურიდებელი სწრაფვა, თავდაყირა დააყენოს მთელი მსოფლიოს ისტორიაც კი, ოღონდაც არ წარმოაჩინოს რეალური სიმართლე აფხაზთა და ქართველთა ისტორიული თანაცხოვრების შესახებ. სწორედ ეს მოტივი გასდევს წითელ ზოლად ვორონოვის მთელ ამ ნაცოდვილარს. პრაქტიკულად შეუძლებელია ამ წიგნში მოინახოს რომელიმე ადგილი, სადაც ნაჩვენებია იყოს არათუ ქართველ-აფხაზთა ერთიან ისტორიულ და კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროში ყოფნა, არამედ მათი შორი-ახლო თანაარსებობაც კი“ (იქვე: 78).

აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მამამთავარი, ცნობილი მეცნიერი **შალვა ინალ-ივა** თავის გახმაურებულ წიგნში ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ აფხაზეთისა და მთლიანად აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ერთადერთი მკვიდრი მოსახლენი აფხაზები იყვნენ. ძვ. წ. XIV-VII საუკუნეებში, ე. წ. „კოლხური კულტურის“ პერიოდში აფსუა-აფხაზები თურმე განსახლებულნი ყოფილან არა მხოლოდ დღევანდელი აფხაზეთის, არამედ მთლიანად კოლხეთის ტერიტორიაზე. იგი აბსოლუტურად დაუსაბუთებელი დასკვნებით ცდილობდა საკუთრივ აფხაზეთისა და აფსუათა მნიშვნელოვანი როლის წარმოჩენას მეზობელი ქვეყნების (ბიზანტია, ძველი რუსეთი...) კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთანავე, მიამიტური და გულუბრყვილოა მისი ტოპონიმური და ანთროპონიმული ძიებანი (პაპასქირი, 1998: 173-175).

ოდის-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი საინტერესოა და გაშუქებული პროფ. თ. მიბჩუანის გამოკვლევაში (მიბჩუანი, 1989).

კონკრეტული პერიოდის დასავლეთ საქართველოს საერო და საეკლესიო ისტორიის პრობლემების შესწავლის თვალსაზრისით ქართული წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია **გონელი არახამიას** გამოკვლევა აფხაზეთის საკათალიკოსოს ეკონომიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ საინტერესო ინფორმაციის შემცველ ძეგლზე – „ბიჭვინტის იადგარზე“ (არახამია, 2009). აღნიშნული ძეგლის ცალკეული საკითხები არაერთი მკვლევრის მიერაა შესწავლილი. გ. არახამიას მონოგრაფიაში წარმოდგენილია დოკუმენტის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი და ანგარიშგასაწევი დასკვნები ტექსტის სტრუქტურის, შედგენის დროისა და მიზნის თაობაზე. მკვლევარი ადგენს იადგარში მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტების ადგილმდებარეობას. ამასთანავე, არკვევს, რომ „ბიჭვინტის იადგარს“ ახასიათებს გეოგრაფიული პრინციპის დაცვა ჩამონათვალის დროს. ესაა სოფლებისა და ქალაქების დალაგება აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. საინტერესოა ძეგლის გ. არახამიასეული დათარიღებაც. ჩვენამდე მოღწეული სახით „ბიჭვინტის იადგარი“ XVIII ს-ის დასაწყისში შეუდგენია ეფთვიმი I საყვარელიძეს.

ოდის-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის შესახებ არსებულ სამეცნიერო გამოკვლევებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა აგრეთვე გ. არახამიას მიერ 2009 წელს გამოცემულ ნიგნში თავმოყრილი ნაშრომები (არახამია, 2009).

XV-XVIII საუკუნეების ოდის-აფხაზეთის ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის გაშუქებას ისახავს მიზნად **ბეჟან ხორავას** ნაშრომი. მკვლევარი აანალიზებს ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებს, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალას. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ონომასტიკურ მასალასა და საისტორიო ლიტერატურის მონაცემებს. ამის ფონზე მოცემულია მსჯელობა ოდის-აფხაზეთის საზღვრებისა და მათი ცვლილებების შესახებ.

ცალკეული საკითხების კვლევისას ვსარგებლობდით და ვითვალისწინებდით ილია ანთელავას, ირაკლი ანთელავას, გონელი არახამიას,

ნოე აფხაზავას, კ. ბერულავას, მიხეილ ბახტაძის, მაქსიმე ბერძნიშვილის, შ. ბურჯანაძის, პაპუნა გაბისონიას, ჯემალ გამახარიას, ბადრი გოგიას, გერონტი გასვიანის, აკაკი გელოვანის, დერმიშა გოგოლაძის, ვახტანგ გოილაძის, გურამ გრიგოლიას, კონსტანტინე გრიგოლიას, ვიქტორ გუჩუას, გივი ელიავას, პარმენ ზაქარაიას, მურმან თავდიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი კალანდიას, კონსტანტინე კაჭარავას, ბუბა კუდავას, კახა კვაშილავას, ბეჟან კილანავას, დიმიტრი ლეთოდიანის, ვადიმ ლეჟენაძის, ქეთევან ლომთათიძის, მარიამ ლორთქიფანიძის, ირაკლი მათურელის, გიორგი მამარდაშვილის, ლევან მარუაშვილის, დავით მუსხელიშვილის, ქაჯანა მუშკუდიანის, გიორგი მჭედლიძის, დავით ნინიძის, მამანტი პაჭკორიას, კალისტრატე სამუშიას, იური სიხარულიძის, ციალა ქირიას, გიორგი შალამბერიძის, აკაკი ჩიქობავას, დავით ჭითანავას, კობა ხარაძის, ბეჟან ხორავას, გივი ჯამბურიას, შალვა ჯღარკავასა და სხვათა სტატიებსა თუ გამოკვლევებს; ასევე სპეციალისტთა საფუძვლიანი კვლევის ამსახველ, მრავალი საგულისხმო და მნიშვნელოვანი ინფორმაციისა თუ დასკვნის შემცველ საენციკლოპედიო სტატიებს, რომლის ავტორებიც არიან ს. ავიძბა, ი. აფხაზავა, თ. ბერაძე, გ. გიგინეიშვილი, პ. ზაქარაია, ბ. ლომინაძე, გ. მარგველანი, ლ. მარუაშვილი, ა. მიქავა, დ. სვანიძე, დ. უკლება და სხვანი. ბ. კუდავას მართებული შეფასებით, „ზოგ შემთხვევაში ასეთი სტატიის მითითება იმითაც არის გამოწვეული, რომ მათში ისტორიოგრაფიაში ასე თუ ისე მიღებული და გაზიარებული დებულებებია ასახული“ (კუდავა, 2002: 9-10).

საისტორიო გეოგრაფიის კვლევისას მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს ეპიგრაფიკული, ეთნოლოგიური და ონომასტიკური ნარკვევები. აღნიშნულ საკითხებზე უაღრესად საინტერესო დაკვირვებებია მოცემული ლია ახალაძის, სულიკო ბახია-ოქრუაშვილის, გურამ ბედოშვილის, თამაზ გამყრელიძის, თეიმურაზ გვანცელაძის, გივი ელიავას, ვალერიან ზუხბაიას, ოტია კახაძის, შოთა მესხიას, ჯუმბერ ოდიშელის, კობა ოკუჯავას, ვალერი სილოგავას, ციალა ქირიას, პაატა ცხადაიას, ვილენა ჯოჯუას ნაშრომებში.

თავი II

**ვანუშტი გაბრატიონი ოღიშის
(სამეგრელოს) ტერიტორიისა
და საზღვრების შესახებ**

II.1. ოფიშის (სამეგრელოს) მდებარეობა და საზღვრები

სამეგრელო მხარის სახელწოდებაა დასავლეთ საქართველოში. იგი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, კავკასიონის ქედის მთისწინა და ნაწილობრივ მთიან ზოლში. მისი ფართობი დაახლ. 4339,2 კმ²-ს შეადგენს. მისი ტერიტორია მოქცეულია შავ ზღვასა და ცხენისწყალს შორის. ჩრდილო-დასავლეთით მდ. ენგური ესაზღვრება; სამხრეთი საზღვარი ძირითადად რიონზე გადის, ხოლო ჩრდილოეთით ეგრისის ქედამდე ვრცელდება. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სამეგრელო 7 მუნიციპალიტეტს მოიცავს. ესენია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, ნალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტები. ეს ტერიტორია ყოველთვის ქართველური ეთნოგრაფიული ჯგუფით – მეგრელებით იყო დასახლებული და შედიოდა ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომის იმ თავს, სადაც სამეგრელოზე მსჯელობაა მოცემული, შემდეგი დასათაურება აქვს: „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“. სათაური სხვადასხვა ეპოქის ამსახველ სამ ქორონიმს აერთიანებს. ამას გარდა, ვახუშტი ნაშრომში კიდევ აღნიშნავს: „ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი“ (ვახუშტი, IV, 1973: 742). და მართლაც, ისტორიულად არსებული და წერილობითი წყაროებით დადასტურებული სამი პოლიტიკური ერთეული – ეგრისის, აფხაზეთისა და იმერეთის სამეფოები სახელოვანი მეცნიერის ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომის საფუძველს წარმოადგენს.

ეგრისის სამეფო აერთიანებდა არგვეთს, იმერეთს, თაკვერს (დღევანდელ რაჭა-ლეჩხუმს), გურიას, კლარჯეთს (ძირითადად დღევან-

დელ ლაზეთს), სვანეთს, დღევანდელ სამეგრელოსა და აფხაზეთის ზემო ნაწილს ანაკოფიის მთამდე.

ეგრის-აფხაზეთის ბიზანტიის ბატონობიდან გათავისუფლება და აფხაზთა სამეფოს შექმნა დაკავშირებულია ლეონ II-ის სახელთან. აღნიშნულ პოლიტიკურ ერთეულს **აფხაზთა სამეფო** ეწოდა აფხაზეთის სამთავროს წამყვანი როლის გამო. თვით ლეონმა მიიღო აფხაზეთის მეფის ტიტული. ეს აქტი განხორციელდა VIII ს-ის დასასრულს. აფხაზეთის სამეფო მოქცეული იყო ნიკოფსიასა და ჭოროხს შორის და აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე ვრცელდებოდა. მის დედაქალაქს ქუთაისი წარმოადგენდა. აფხაზეთის მეფენი ზოგჯერ **ეგრისის მეფეებად** იწოდებოდნენ. ვახუშტი გვაუწყებს: „დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრა ყოველი ეგრისი, არღარა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი, ან აფხაზეთი რვა საერისთაოდ“ (იქვე: 796).

978 წელს „აფხაზთა სამეფოს“ ტახტი დაიკავა დედით აფხაზეთის მეფეების შთამომავალმა ბაგრატ III ბაგრატიონმა. იგი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე გახდა.

იმერეთის სამეფოს წარმოქმნა ერთიანი საქართველოს დაშლის შედეგი იყო. „აღწერის“ ავტორი დასავლეთ საქართველოს რეგიონებს უძღვნის რამდენიმე ქვეთავს: ლეჩხუმისათვის, რაჭისათვის, ოდიშისათვის, აფხაზეთისათვის, სვანეთისათვის, გურიისათვის, და სხვ. მრავალი.

ჩვენ ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ ოდიშ-აფხაზეთზე, ვინაიდან ეს ორი რეგიონი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მეოხებით ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თუკი ეგრისი ადრე (მსგავსად აფხაზეთისა, იმერეთისა) გაიგივებული იყო მთლიანად დასავლეთ საქართველოსთან, XIII-XV საუკუნეებში უკვე ვინრო მნიშვნელობით აღნიშნავდა მეგრელთა ეთნოგრაფიული ჯგუფით დასახლებულ მხარეს, რაც ანაკოფიისწყალსა (ახლანდ. მდ. ფსირცხა) და ცხენისწყალს შორის იყო მოქცეული.

გვიან შუა საუკუნეებში ოდიშის საერისთავოს ბაზაზე შექმნილ სამთავროს „ოდიში“ ეწოდა, თუმცა უცხოურ წერილობით წყაროებში „სამეგრელოდან“ ნაწარმოები სახელწოდებებიც გვხვდება (ბერაძე, ქსე, VIII, 1984: 711).

თანამედროვე სამეგრელოს ძირითადი ნაწილი შუა საუკუნეებში **ოდიშის** სახელწოდებით იყო ცნობილი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი ოდიში სამეგრელოს სამთავროს პარალელური სახელწოდებაა.

სახელწოდება „ოდიშის“ პირველმობსენიებას ვხვდებით XI ს-ით დათარიღებულ „ანდრია სალოსის ცხოვრების“ ხელნაწერში. მასში ვკითხულობთ: „ღმერთმან უწყის რაიცა ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიჭირე, მაგრამ დედაი **ოდიშს** დანერილი იყო“ (სსმ აღწერილობა, III, 1948: 291; ბერაძე, 1993: 460-461).

„ოდიშის“ ეტიმოლოგიის პირველი ცდა მოცემულია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში: მეცნიერი ფიქრობს, რომ მისი წარმოქმნა ფარნავაზის ეპოქას უკავშირდება. ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობა XI საუკუნის მემატინანის – ლეონტი მროველის ცნობას. ვახუშტის ცნობით, „ხოლო... განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნენ ბერძენთა, იტყვიან: „ოდეში იყომე ქუეყანა იგი ჩუენი“, და ისახელნენ აწამდე ესრეთ“ (ვახუშტი, IV, 1973: 776).

„ოდიშის“ ეტიმოლოგიას საინტერესო გამოკვლევა უძღვნა ვუკოლ ბერიძემ. ის ფიქრობს, რომ სიტყვა ოდიშში **ო-** არ წარმოადგენს პრეფიქსს, არამედ ძირეულია, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ ამ პრეფიქსს თავისი ფარდი **ე-** ან **ო-** სუფიქსი ქორონიმ **ოდიშში** არ მოეპოვება. **ო-**ს თავსართად მიჩნევის შემთხვევაში უნდა გვექონოდა **ოდიშე** ან **ოდიშო**, ე. ი. **სადიშე** ან **სადიშო**, სხვაგვარად: **დიშ-ეთ-ი – დიშების ქვეყანა**, ოსიმინდეს, ომანე-ს, ომანო-ს, ოგვაჯეს, ოხვამეს, ოჭვათეს, ოჭვათოსა და სხვათა მსგავსად. მკვლევარი ასკვნის, რომ **ოდიში** მეგრული ნათესაობითი ბრუნვაა და „ოდის კუთვნილს, ოდის ქვეყანას“ ნიშნავს. თვით **ოდის** კი ქვეყნის პატრონად, მოსავლისა და ჭირნახულის ღმერთად მიიჩნევის: „ოდი მთავარი ღვთაებაა ქვეყნისა... ოდი ღვთაებაა როგორც მოსავლისა, ისე მოუსავლობისა; ოდი ღმერთია როგორც წვიმისა, ისე მზისა“ (ბერიძე, 12, 1959: 168-169).

თ. ბერაძე მიმოიხილავს იოანე ბატონიშვილის, მოსე ჯანაშვილის, სარგის კაკაბაძის, ნიკო მარისა და ვუკოლ ბერიძის მოსაზრებებს „ოდიშის“ ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით და ასკვნის, რომ არცერთ მათგანს საგულისხმო ახსნა არ წარმოუდგენია (იქვე: 461-462).

ვ. ბერიძის თვალსაზრისს ისტორიკოსი თ. მიბჩუანი შეცდომით მიაწერს თამაზ ბერაძეს; თუმცა იქვე დასძენს, რომ აღნიშნული სა-

ხელნოდების წარმოშობის შესახებ ამ უკანასკნელსაც საკუთარი მოსაზრება არ გამოუთქვამს (მიბჩუანი, 1989: 283).

თ. მიბჩუანი ფიქრობს, რომ „ოდში“ შედარებით მცირე გეოგრაფიული არეალის მომცველი ტერიტორიის სახელწოდება უნდა ყოფილიყო. გარკვეული მიზეზების გამო დროთა განმავლობაში გაფართოებულ ტერიტორიასაც **ოდში** ეწოდა. სვანური **ჰად** „იელი“ (მეგრ. იბლი/ივლი/ეი/ელიში კოკა) წარმოადგენს ჰ თავსართდაკარგული ტოპონიმის – ადშის (სოფელი მესტიის რაიონში) ფუძეს. სვანური ჰადიშ მეგრულ ენობრივ სამყაროში შეიცვალა ჰოდში ფორმით, რადგან მეგრულისთვის დამახასიათებელია ა/ო-ს მონაცვლეობა... დროთა განმავლობაში ჰ ბგერა აღნიშნულ გეოგრაფიულ სახელსაც ჩამოცილდა და, მაშასადამე, დღემდე მოღწეული ფორმა **ოდში** ნიშნავს იელნარს. მკვლევარი დაასკვნის: საფიქრებელია, რომ სვანური სამთავროს რეზიდენციის სახელი ოდში ზანური ეთნიკური მასის მომძლავრების შემდგომ ფართო პოლიტიკური ერთეულის ცნებად გადაიქცა (იქვე: 285).

ვახუშტის ცნობით, **ოდში** ეწოდება ცხენისწყალსა და ანაკოფიას შორის მდებარე ვრცელ ტერიტორიას: „საზღვარი ოდშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე, მერმე თაკუერსა და ოდშს შორისი მთა... ოდშსა და სვანეთს შორისი, სამჭრით მდინარე რიონი, გურია-ოდშს შორისი, და კუალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი – შავი ზღუა. დასავლით ზღუა შავივე და კუალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული სამჭრით ზღუამდე... ჩდილო – კავკასის მთა“ (იქვე: 776). აქ სახელოვანი მეცნიერი მიზნად ისახავს ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგდროინდელი ოდშის პოლიტიკური რეალობის აღდგენას.

მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით განსაზღვრული ოდშის სამთავროს აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყალი და ლეჩხუმ-ოდშის გამყოფი მთა იყო; სამხრეთი საზღვარი რიონზე გადიოდა და გურიისგან გამოყოფდა; ჩრდილოეთი საზღვარი სვანეთ-ოდშის გამყოფ ეგრისის ქედს გასდევდა; დასავლეთის კი შავ ზღვამდე ვრცელდებოდა.

იაკობ რაინეგის ცნობით, მეგრელი ან **სამეგრელო** ეწოდება ზოგან დაბლობ, ზოგან ბორცვიან და მთიან პროვინციას, რაც უწინ კოლხეთს ეკუთვნოდა. კოლხეთს ანუ ლაზეთს ძველად სპარსელე-

ბი, რომაელები და ბერძნები მონაცვლეობით იპყრობდნენ და ანად-გურებდნენ. ამ პროვინციას პირველად ეგერია დაერქვა და იქაური მმართველი მთავარიც „ეგრისის ბატონად“ იწერება. მოგვიანებით, იბერიიდან (იმერეთიდან – ი. კ.) გამოყოფის შემდეგ მას **სადადიანო** ეწოდა (რაინეგსი, 2002: 119). მოგზაური ერთმანეთისგან განასხვავებს **სამეგრელოსა და ოდიშს (იქვე)**. ედუარდ აიხვალდიც მიიჩნევს, რომ სამეგრელო ორ დიდ პროვინციად – **ლეჩხუმად და ოდიშად** იყოფა. (აიხვალდი, 2005: 184).

უკ ფრანსუა გამბას თქმით, სამეგრელო სამი პროვინციისაგან შედგება. პირველს, საკუთრივ **სამეგრელოს** ანუ **ოდიშს (Odezchi)** დასავლეთით შავი ზღვა ესაზღვრება, სამხრეთით – გურიის სამთავრო, აღმოსავლეთით – იმერეთი, ჩრდილოეთით – ენგური...

მეორე პროვინცია **ლეჩხუმი (Lezgune)** განლაგებულია ცხენისწყლის მარცხენა მხარეს. იწყება ხონის ზემოთ და გადაჭიმულია კავკასიის მწვერვალამდე და იმ მთებამდე, სადაც სვანები ცხოვრობენ... მესამე პროვინცია დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს და **სამურზაყანოს** და **აფხაზეთის** სახელითაა ცნობილი. იგი ჩრდილოეთით გადაჭიმულია კოდორის კონცხამდე, ამავე სახელწოდების მდინარემდე, რასაც ძველი ავტორები კორაქსს უწოდებდნენ. აღმოსავლეთით ესაზღვრება წიბელის (Tchibelli) საკმაოდ მაღალი მთები (გამბა, 1987: 111-112).

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდებას – **მეგრელი, მეგრელები**, ვახუშტი იმონმებს **მეგრელნის** ფორმით, მაგრამ მათი განსახლების არეალის აღმნიშვნელი ქორონიმი **სამეგრელო** ვახუშტის თავის ნაშრომში არც ერთხელ არ გამოუყენებია.

„სამეგრელო“ პირველად მოიხსენიება XI საუკუნის I ნახევრის ძეგლში, რაც ცნობილ საეკლესიო მოღვაწესა და მწერალს – ექვთიმე ათონელს ეკუთვნის. იგულისხმება მაქსიმე აღმსარებლის ქართული კიმენური რედაქცია, რაშიც ვკითხულობთ: „ნარგავლინეს სამარადისოსა ექსორიობასა და პყრობილებასა კერძოდ **სამეგრელოსა...** წარავლინა ექსორიობად **სამეგრელოს**“ (კეკელიძე, 1918: 93; ბერაძე, 1993: 459).

ვახუშტი იცნობს მაქსიმე აღმსარებლის სვინაქსარს (რაც კარგად ჩანს თაკვერის აღწერისას: „თაკვერს უწოდებენ რაჭას ბაგრატიონთამდე, ვითარცა აჩენს ცხოვრება, რამეთუ „გარდმოვლეს ოვსთა გზა თაკვერისაო“, ვინაიდან არს გზა ოსეთისა რაჭა და არა ლეჩხუმი“), მაგრამ მასში მოხსენიებულ ტერმინ „სამეგრელოს“ მაინც არ იყენებს. სამეგრელო ბიზანტიური ლაზიკის, მთელი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით დასტურდება ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის „ისტორიის“ ქართულ, 1142 წლით დათარიღებულ რედაქციაში, ხოლო XII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ „დავით და კონსტანტინეს ცხოვრებაში“ ტერმინი „სამეგრელო“ ვიწრო მნიშვნელობითაა ნახმარი და მეგრელებით დასახლებულ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ნაწილს აღნიშნავს. მაშასადამე, „სამეგრელოში“ XI საუკუნისათვის მოიაზრებოდა როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს, ისე საკუთრივ მეგრელებით დასახლებული ტერიტორია (ბერაძე, 1993: 459-460).

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ყურადღებას იპყრობს ოდიშის სამთავროს საზღვრების ცვალებადობის შესწავლის თვალსაზრისით. „უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონი იძლევა ოდიშის საზღვრებს არა მხოლოდ მისი დროისას. სახელოვანი ისტორიკოსი ამ ქვეყნის საზღვრებს განიხილავს არა როგორც უცვლელს, მუდმივს, არამედ გვიჩვენებს, თუ როგორ და რატომ იცვლებოდა იგი“ (ბერაძე, 1967 :2).

ვახუშტი ფიქრობდა, რომ გარკვეულ პერიოდამდე, ანუ, მისივე სიტყვებით – „ძულად“, „ოდესმე“, იმერეთის სამეფოს დასავლეთი საზღვარი უნაგირას მთაზე გადიოდა: „ხოლო სიგრძე იმერეთისა არს ლიხის მთის თხემიდამ უნაგირამდე ძულად, და აწ ქართლის საზღვრიდამ... ცხენისწყლამდე...“ (ვახუშტი, IV, 1973: 747); ტეხურის ხეობის აღწერისას კი მეცნიერი შენიშნავს, რომ „ამას უწოდებენ უნაგირას. ამ მთას მზღვრიდენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად“ (იქვე: 777).

ოდიშის საზღვრების შესახებ ვახუშტისეული ცნობების საგანგებო ანალიზი მოცემულია პროფ. თამაზ ბერაძის ნაშრომში „ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან“. (ბერაძე, სიგკ, III, 1967: 163).

რაიმე პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ იმერეთი უნაგირას მთიან ზოლამდე აღწევდა, ჩვენ არ მოგვეპოვება, მაგრამ ვახუშტის

ცნობების სასარგებლოდ თ. ბერაძე იმონუმებს რამდენიმე არაპირდაპირ ფაქტს. კერძოდ:

1. ხალხური გადმოცემით ოდიში სწორედ ტეხურის მარჯვენა ნაპირიდან იწყებოდა;

2. დადიანთა სამფლობელო რომ ვახუშტისეული უნაგირას აღმოსავლეთით არ ვრცელდებოდა, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ გვიანფეოდალური პოლიტიკური ერთეული – სალიპარტიანო მათ სამფლობელოში მოგვიანებით შევიდა.

3. თავის დროზე სამეფო ხელისუფლების მიერ აგებული ჭყონდიდის ტაძრისადმი XV საუკუნემდე დადიანებს რაიმე განსაკუთრებული ყურადღება ან ზრუნვა არ გამოუჩენიათ. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ XIII საუკუნის II ნახევარზე ადრე დათარიღებული, ტაძრისათვის დადიანთა მიერ შეწირული არც ერთი ნივთი არ მოიპოვება. ამასთანავე, XII ს-ის დასაწყისიდან ჭყონდიდელობა საქართველოს უმაღლესი ვეზირის ტიტულს და განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს სამეფო კარზე. საქართველოში ძლიერი სამეფო ხელისუფლების არსებობის პირობებში, „სანამ მწიგნობართუხუცესობა-ჭყონდიდელობაში რეალური შინაარსი იდო, ჭყონდიდის მონასტერი და მისი სანახები სამეფო უნდა ყოფილიყო“ (ბერაძე, სიგკ, III, 1967: 164-165).

თ. ბერაძე ზემოთ მოყვანილი არაპირდაპირი ცნობების მოშველიებით ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ვახუშტი გეოგრაფიულ აღწერაში გვაძლევს ოდიშის საერისთავოს საზღვრებს XII-XIII საუკუნეებში. ამ დროისათვის უნაგირას აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, მაშასადამე, ჭყონდიდის მონასტრის შემოგარენიც, ოდიშის საერისთავოს საზღვრებში არ შედიოდა (იქვე: 165).

მკვლევარი უფრო დაზუსტებით გადმოგვცემს XII-XIII სს. ოდიშის საერისთავოს საზღვრებს და ფიქრობს, რომ მას აღმოსავლეთიდან **სამოქალაქო** ესაზღვრებოდა. სასაზღვრო ზოლი გადადიოდა უნაგირას ქედის დასავლეთით და ტეხურის ზემო წელში, სალიპარტიანოდ სახელდებული მდინარის დასავლეთი ნაწილიც სამოქალაქოში შედიოდა. ამ დასკვნამდე იმ გარემოებას მიჰყავს, რომ „ლიპარტიანები თავის დროზე სამოქალაქოს ერთი ნაწილის ერისთავები იყვნენ“ (ბერაძე, 1967: 168). ტეხურის ქვემო წელის დასავლეთ მხარესაც (და-

ბლობ ნანილს), შხეფის ციხის ჩათვლით, თ. ბერაძე სამოქალაქოს შემადგენლობაში ათავსებდა (იქვე). მისივე ვარაუდით, შუა საუკუნეების ქართული წყაროების **ოდიშის საერისთავოს** ტერიტორია ემთხვეოდა ბიზანტიურ ხანაში უნაგირას ქედის დასავლეთით მდებარე ქვეყნის ტერიტორიას. მაშასადამე, ლალიძგასა და უნაგირას შორის მოქცეული ტერიტორია **ოდიშად** იწოდებოდა და დასავლეთი საზღვარი, ბიზანტიურ ხანაში, ისევე როგორც შუა საუკუნეებში (XII-XIII სს.), საფიქრებელია, ლალიძგაზე გადიოდა, აღმოსავლეთი საზღვარი კი ნაქალაქევის სამხრეთით მდ. ტეხურას მიუყვებოდა (იქვე: 153, 168-169).

თ. ბერაძის მიერ XII-XIII სს. ოდიშის საერისთავოს აღმოსავლეთ საზღვართან დაკავშირებით დამონმებული ცნობებისადმი სრული ნდობის გამოცხადება ძალიან ჭირს, რადგან მსჯელობა ფაქტობრივი არგუმენტაციით გამყარებული არ არის.

ვახუშტი ერთგან აღნიშნავს, რომ **ოდიში** ეწოდება ცხენისწყალსა და ანაკოფიას შორის მდებარე ვრცელ ტერიტორიას: „საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისუღეთამდე, მერმე თაკუერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიდან ჩამოსული სამჭრით და კუალად თაკუერიდამვე წარსრული კავკასი ჩდილოთ, ვიდრე ეგრისის სათავემდე, ოდიშსა და სუანეთს შორისი; სამჭრით მდინარე რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და კუალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღუა; დასავით ზღუა შავივე და კუალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიდან ჩამოსული სამჭრით ზღუამდე; ჩდილოთ კავკასის მთა. ხოლო ცხენისწყლის დასავლეთიის კერძო... ოდიშისა არს...“ (ვახუშტი, IV, 1973: 776).

მოცემულ საზღვრებში, „აღწერისა“ და რუკების მიხედვით, არ შედის რიონისპირეთი, ცხენისწყლიდან ტეხურის ნაპირას მდებარე ისუღეთამდე. ვახუშტი ამ ტერიტორიას იმერეთის სამეფოს (ვაკის) საზღვრებში აქცევს. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ისტორიკოსი მიზნად ისახავდა ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგდროინდელი ოდიშის პოლიტიკური რეალობის აღდგენა-გადმოცემას. მაშასადამე, ისტორიკოს თ. ბერაძის აზრით, ვახუშტი ძირითადად სწორად იძლევა ოდიშის სამთავროს საზღვრებს XV ს-ის მეორე ნახევრისათვის (ბერაძე, 1967: 251; მისივე, სიგკ, IV, 1971: 54).

რამდენად სწორია ვახუშტის აღნიშნული ცნობები?

კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა შევეხოთ საკითხს, თუ სანამდე ვრცელდებოდა დადიანთა სამფლობელო ჩრდილო-დასავლეთით XV საუკუნისათვის და მომდევნო საუკუნეში.

როგორც ვახუშტის ზემოთ დამონმებული ცნობიდან ირკვევა, XV ს-ის მეორე ნახევრისათვის, უფრო ზუსტად – XV ს-ის 80-90-იანი წლებისათვის, ოდიშ-აფხაზეთის სასაზღვრო ხაზი იმ მთაზე გადიოდა, რაც ანაკოფიის (ახლანდელი ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთით იყო აღმართული (ბერაძე, 1998: 103). საკუთრივ ანაკოფია, ვახუშტის აზრით, ოდიშის სამთავროს შემადგენლობაშია. მის მდებარეობას მეცნიერი ასე აღწერს: „ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასისა და მომრთველი ზღვსა ეგრეთვე ჩდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვს კიდებედ არს ქალაქი ანაკოფია... საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა“ (ვახუშტი, IV, 1973: 781). ანაკოფია ცხომის (სოხუმის) ჩრდილო-დასავლეთით, ახლანდ. მდ. ფსირცხას მარცხენა მხარეს მდებარეობს. ფსირცხა სათავეს იღებს კავკასიონის ქედის ერთ-ერთი განშტოების, ხიცმის მთისფერდობზე და ანაკოფიის (ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთით შავ ზღვაში ჩაედინება. მდინარის უწინდელი სახელწოდება, ანაკოფიასთან სიახლოვის გამო, როგორც ჩანს, სწორედ ანაკოფიისწყალი ყოფილა. ვახუშტისეული „მდინარე მისი (ანაკოფიისა – ი. კ.) მცირე“ ამას უნდა გულისხმობდეს. ფსირცხას (ანაკოფიისწყლის) მარჯვენა ნაპირზე აღმართული მთა ესაა ვახუშტისეული „ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული“ (ვახუშტი, IV, 1973: 776; შდრ. ბერაძე, 1998: 103).

თ. ბერაძე შენიშნავს, რომ დიდი მეცნიერის მონაცემების სისწორეს აღნიშნული სასაზღვრო ხაზის შესახებ ადასტურებს XVI ს-ის 20-30-იან წლებში თურქი მზვერავის პატაკში დაცული ცნობა, რომ „დადიანის ქვეყანა“, იგივე ოდიში, ვრცელდება სოხუმამდე; სოხუმს იქით, იალბუზიდან, ანუ კავკასიონის მთავარი ქედიდან სოხუმამდე დაშვებული მთისკალთა წარმოადგენდა მიჯნას ოდიშსა და აფხაზეთს შორის (ბერაძე, 1998: 103; მისივე, 2007: 146).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იმერეთის მეფის, ალექსანდრე V-ის (1720...-1752 წწ.) ბრძანებით 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე ოდიშის ტერიტორია მოთავსებულია ცხენისწყალსა და იმ უსახელო მდინარეს შორის, რაც ანაკოფიის დასავლეთით არის და-

ტანილი. თვით ამ მდინარის მარჯვენა მხარეს აღნიშნულ პირველ-სავე პუნქტს „აფხაზეთი ზუფუ“ აწერია. ზუფუ კი ლიხნის უწინდელი სახელწოდებაა. ლიხნის აღმოსავლეთით ფსირცხა მოედინება. მაშასადამე, რუკაზე ზუფუსა (ლიხნი) და ანაკოფიას შუა გამოსახული უსახელო მდინარე აწინდელი ფსირცხა უნდა იყოს, რაც, რუკის შემდგენლის აზრით, წარმოადგენდა საზღვარს ოდიშსა და აფხაზეთს შორის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლიხთ-იმერეთის რუკის შემდგენის დროის გათვალისწინებით, ანუ 1737 წლისათვის, ამ პოლიტიკურ ერთეულებს შორის საზღვარი ფსირცხაზე კი არა, ენგურზე გადიოდა (იხ. ქვემოთ). მაშასადამე, საფიქრებელია რუკის შემდგენელს ესარგებლა ძველი ტრადიციითა და მისი დროისთვის გავრცელებული მოსაზრებით, იმის შესახებ, რომ ოდიში მოიცავდა ცხენისწყალსა და ფსირცხას შორის მოქცეულ ტერიტორიას (ბერაძე, 1967: 45).

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ რუკაზე ზუფუსა და ანაკოფიას შორის სასაზღვრო მიჯნად უსახელო მდინარის მიჩნევა XV-XVI სს-თა მიჯნაზე ორი პოლიტიკური ერთეულის (ოდიშისა და აფხაზეთის) რეალური ვითარების გამომხატველია და ავსებს ზემოთ დამოწმებულ-განხილული სხვა წერილობითი წყაროების მონაცემებს.

ისტორიული საბუთებით დგინდება, რომ გარკვეულ პერიოდში სოფელი მათხოჯი ოდიშის მთავართა გამგებლობაში შედიოდა (ბერაძე, 1967: 279). მათხოჯი მდებარეობს ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილებით ხონის რაიონში შედის და 170 მ-ზე მდებარეობს.

1535-1550 წლებში შედგენილი „ბიჭვინტის იადგარი“ გვაუწყებს, რომ დადიანებს აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტისათვის შეუწირავთ მათხოჯი თავისი მონასტრითა და სასახლით: „კულადცა მოგახსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან მამიამან და ძემან ჩუენმან პატრონმა ლევან დადიანმა და ძეთა ჩუენთა დადიანმან პატრონმან გიორგი და დადიანმან პატრონმან თქუენ, საშინელსა ბიჭვინთის ღმრთისმშობელსა: **მანთხოჯოს** სასახლე და მონასტერი, ორმ-ცის კუამლის კაცითა და ერის აზნაურის-შვილთა რატიანთა, წყლითა, ველთა, სანადიროთა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა; **ჯიქთუბანი** მთავარანგელოზის მონასტერი, თორმეტის კუამლის კაცითა“ (კაკაბაძე, II, 1925: 182; ქსდ, II, 176-179).

„იადგარში“ მოხსენიებული მეორე სოფელი ჯიქთუბანი მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, ზ. დ 35 მ-ზე და თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილებით სამტრედიის რაიონში შედის. სამტრედიიდან 7 კმ-ით არის დაშორებული. აქ ყოფილა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსთა ერთ-ერთი სასახლე გვიან შუა საუკუნეებში. აქვე იდგა ქვის ეკლესია, ვარაუდით XV საუკუნის დასაწყისისა, რაც XIX ს-ში დანგრეულა (ქსე, XI, 1987: 567). მაშასადამე, მათხოჯი და ჯიქთუბანი ცხენისწყლის აღმოსავლეთით, მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარე ორად ორი პუნქტია, რაც ასაბუთებს მათზე ოდიშის მთავართა მფლობელობას XVI ს-ის I ნახევარში (ბერაძე, 1967: 283). როგორც ჩანს, მათხოჯის ზემოთ, იმერეთსა და ოდიშს შორის საზღვარი ობოდირის მთას მიუყვებოდა, ხოლო მათხოჯის ციხის სამხრეთით ცხენისწყალზე გადიოდა.

ოდიშის მთავრების მიერ გაცემულ არც ერთ სხვა საბუთში ცხენისწყლის აღმოსავლეთით მდებარე პუნქტი დასახელებული არ არის, რაც, თ. ბერაძის აზრით, იმის საუკეთესო დასაბუთებაა, რომ იმერეთ-ოდიშის საზღვარი გადიოდა სწორედ ცხენისწყალზე და არა რიონზე (იქვე).

„აღწერის“ ციტირებული ადგილის სხვა წერილობით წყაროებთან შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ XV ს-ის 80-90-იანი წლებიდან XVI ს-ის 20-30-იანი წლების ჩათვლით, აფხაზეთსა და ოდიშს შორის სასაზღვრო მიჯნად ანაკოფიის დასავლეთით, ფსირცხას მარჯვენა ნაპირის მომიჯნავე ქედი რჩებოდა. ოდიშის სამხრეთი საზღვარი ძირითადად რიონის მარცხენა ნაპირზე გადიოდა და გურიისაგან გამოყოფდა; ჩრდილოეთი საზღვარი სვანეთ-ოდიშის გამყოფ ეგრისის ქედს გასდევდა; დასავლეთით შავ ზღვამდე ვრცელდებოდა; აღმოსავლეთი საზღვარი ძირითადად ცხენისწყალი და ლეჩხუმ-ოდიშის გამყოფი მთა იყო; XVI ს-ის 30-50-იან წლებში აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყლის მარცხენა მხარეზეც გადადიოდა და მათხოჯ-ჯიქთუბანსაც მოიცავდა.

XVII ს-ის I ნახევრის ოდიშის სამთავროს საზღვრებზე, როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში, შედარებით მეტი ცნობები მოგვეპოვება და ამით ადვილდება საზღვრების დადგენაც.

საინტერესოა ოდიშის პოლიტიკური საზღვრების მდგომარეობა XVII ს-ის 30-იანი წლებისათვის. ამასთან დაკავშირებით საგულისხ-

მო ცნობას გვანვდის არქანჯელო ლამბერტი. იტალიელი მისიონერი ოდიშში მისი ცხოვრების პერიოდის (1635-1653 წწ.) ოდიშს შემდეგ საზღვრებში ათავსებს: „კოლხიდა მდებარეობს იმერეთსა (აგრეთვე ბაში-აჩუქად ნოდებულსა) და აფხაზეთს შუა. იმერეთი აღმოსავლეთით აქვს და აფხაზეთი – ჩრდილოეთით. იმერეთისაგან მას ყოფს სახელგანთქმული მდინარე ფაზისი, რომელიც მკვიდრთაგან იწოდება რიონად“ (ლამბერტი, 2011: 23).

XVII ს-ის 70-იანი წლების ოდიშის აღმოსავლეთ საზღვრად რიონს მიიჩნევს მეორე მოგზაური ჟან შარდენიც. იგი 1672 წელს სტუმრობდა ოდიშს: „კორაქსი და ფაზისი, მდინარეები, რომლებსაც არაერთხელ იხსენიებენ ძველი ისტორიკოსები და რომლებსაც ეხლა კოდორი და რიონი ეწოდებათ, საზღვრავენ ოდიშს. პირველი გამოყოფს მას აფხაზეთისაგან, მეორე კი – იმერეთისაგან“ (შარდენი, 1975).

ლამბერტისა და შარდენის ციტირებულ ცნობათა საფუძველზე ისტორიოგრაფიაში გავრცელდა აზრი XVII საუკუნეში ოდიშ-იმერეთს შორის საზღვრად რიონის მიჩნევის შესახებ (ანჩაბაძე, 1947: 89).

რამდენად სწორად გადმოგვცემენ ოდიშის აღმოსავლეთ საზღვარს მისიონერები? საფიქრებელია, რომ ამ ცნობებში ასახვა ჰპოვა XVII ს-ის 30-იან წლებში ოდიშ-იმერეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა. კერძოდ, ეს ის პერიოდია, როცა როსტომ ხანმა და ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ.) კავშირი შეკრეს თეიმურაზისა და გიორგი მეფის (1604-1639 წწ.) წინააღმდეგ. ეს მოხდა 1633 წელს. ამ კავშირის პირველ აქტს როსტომ მეფისა და მარიამის ქორწინება წარმოადგენდა, რასაც გიორგი იმერთა მეფის ომი მოჰყვა ლევან დადიანთან. ომში დამარცხებული გიორგი ლევანმა დაატყვევა. იმერეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე III (1639-1660 წწ.) ორი წლის განმავლობაში (1634-1635 წწ.) აწარმოებდა მოლაპარაკებას ლევანთან, გიორგი მეფის განთავისუფლების თაობაზე. ხანგრძლივი მოლაპარაკება იმით დასრულდა, რომ დადიანმა გიორგი გაათავისუფლა, ხოლო ამის საფასურად ცხენისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე ჭილაძეებისა და მიქელაძეების მამულები დაისაკუთრა. შესაბამისად, ოდიშის სამთავროს საზღვარმაც ცხენისწყლის აღმოსავლეთით გადაინია (ჯამბურია, სინ, IV, 1973: 334; შდრ. ბერაძე, ცქიტიშვილი, სიგკ, IV, 1971: 47).

ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე დადიანის გაბატონების მიუხედავად, ოდიშის სამთავროს აღმოსავლეთ და ბუნებრივ საზღვრად ძირითადად კვლავ მდინარე ცხენისწყალი რჩებოდა.

1657 წლის 17 მარტს დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ხელისუფლის, ლევან II დადიანის მოულოდნელი და ტრაგიკული გარდაცვალება სავალალო აღმოჩნდა ოდიშის სამთავროსათვის. იმერეთის მეფის ლაშქარი ოდიშს შემოესია და მთავრად ვამეყ ლიპარტიანი დასვა. ოდიშის ტახტის დევნილმა მემკვიდრემ თავი გურიას შეაფარა, აქედან კი ბიძის – ქაიხოსრო გურიელის რჩევით, დედამისთან ერთად ახალციხის საფაშოში გადავიდა (შარდენი, 1975: 247; ხორავა, 1996: 98-99). ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გამოიწვია ოდიშის სამთავროს აღმოსავლეთი საზღვრის ცვლილება და მან ცხენისწყლიდან დასავლეთით, უნაგირაზე გადაინაცვლა. უნაგირა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერქვა მთას ტეხურის ორივე ნაპირზე. გავიხსენოთ ვახუშტის სიტყვები: „ამ მთას მზღვრიდენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად“ (ვახუშტი, IV, 1973: 777).

ოდიშსა და გურიას შორის საზღვრად ამ დროისთვის **რიონი** მიიჩნეოდა. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით „რიონი ყოფს აგრეთვე სამეგრელოს და გურიას და ბოლოს ნყნარად შეერთვის ზღვას სებასტოპოლის მახლობლად, რომელიც ძველად წარჩინებულ ქალაქს წარმოადგენდა და დღეს კი წყალში ჩანთქმულია“ (ლამბერტი, 2011: 23). სებასტოპოლს მისიონერი უწოდებს ფოთს. XVII ს-ის 70-იანი წლებისათვის ჟან შარდენი „გურიელის ქვეყნის“ ჩრდილოეთ საზღვრად მდ. ფაზისს (რიონს) მიუთითებდა (შარდენი, 1935: 42).

ვახუშტის თქმით, „სამჭრით... გურია-ოდიშს შორისი“ საზღვარი მდინარე რიონია. გურიის აღწერისას კი საზღვარს ასე მიუთითებს: „ჩდილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი“ (ვახუშტი, IV, 1973: 789).

ეს საზღვარი ძალზე პირობითი იყო და როგორც დადიანთა მიერ გაცემული საბუთები მოწმობს, ოდიშის სამთავროს ტერიტორია რიონის მარცხენა მხარეზეც ვრცელდებოდა (ბერაძე, 1967: 283; შდრ. ხორავა, 1996: 92).

ოდიშის სამხრეთ საზღვარზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ვახუშტის მიერ ფოთის გურიისადმი კუთვნილების საკითხი, ვინაიდან ფოთის მდებარეობის აღწერა სახელოვან მეცნიერს მოცემული აქვს ნაშრომის სწორედ იმ თავში, რაც გურიის აღწერი-

სადმია მიძღვნილი: „რიონის თუალზედ, სამჭრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა... აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე“... (იქვე: 789-790).

სხვა უადრესი და საამისოდ აუცილებელი ცნობა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის უცნობია. ასეთი შეხედულება მოგვიანო ხანის ქართველ ავტორებთანაც გვხვდება. როგორც ჩანს, ყველა მათგანი დიდი ისტორიკოსის მითითებას ეყრდნობოდა (Бакрадзе, II. 16. მისივე: 1878: 96; გოგებაშვილი, VI, 1958: 625).

გვიან შუა საუკუნეებში, შესაძლოა, სამხედრო წარმატებების წყალობით და გარკვეული დროით ფოთს გურიის მთავარი დაჰპატრონებოდა, მაგრამ ეს დროებითი აქტი შეუძლებელია ფოთის გურიისადმი მიკუთვნების დასტურად მივიჩნიოთ.

XVII ს-ის ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე თვალსაზრისია ცნობილი. ლამბერტი შენიშნავს, რომ კოლხიდის (ოდიშის) საზღვარს აფხაზეთთან კოდორი წარმოადგენს: „...მდინარე... მკვიდრთაგან იწოდება კოდორად და ჩემი აზრით კი ძველი კორაქსია. დასავლეთის მხრით კოლხიდის საზღვარია შავი ზღვა ანუ პონტუს ექსტრემუსი... ჩრდილო-დასავლეთით იწყება კავკასიის მთების ზურგი“ (ლამბერტი, 2011: 23).

კასტელი გვაუწყებს, რომ პონტოს ზღვასთან მდებარე კოლხეთის მხარეს დასავლეთიდან ესაზღვრება კორაჩეს, აკუს მთა... კოლხეთის ჩრდილოეთით მდებარე მთას კორაქსი ეწოდება, აღმოსავლეთით და სამხრეთიდან მას ნახევარ წრედ კავკასიონი ეკვრის“ (კასტელი, 1976: 51).

ჟან შარდენის ცნობის მიხედვით, ოდიში „სიგრძით გადაჭიმულია ზღვიდან მთებამდე, სიგანით კი აფხაზეთიდან იმერეთის სამეფომდე. მას საზღვრავს კორაქსი და ფაზისი, ძველი ისტორიკოსების მიხედვით ცნობილი მდინარეები, რომლებიც დღეს კოდორის და რიონის სახელწოდებით არიან ცნობილი. პირველი გამოყოფს მას აფხაზეთისაგან, მეორე კი იმერეთისაგან“ (შარდენი, 1975: 107).

უცხოელ ავტორთა (ლამბერტი, შარდენი...) ცნობების ანალიზის საფუძველზე XVII ს. პირველი ნახევრის ოდიშ-აფხაზეთის საზღვრად კოდორის მიჩნევა სწორი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერდნენ გივი ჯამბურია და ზურაბ ანჩაბაძე

(ჯამბურია, სინ, IV, 1977: 297; ანჩაბაძე, 1959: 261-262; შდრ. ხორავა, 1996: 93).

რუსეთის მეფის დესპანების – ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის, რომლებიც 1639-1640 წლებში იმყოფებოდნენ ოდიშში, თავიანთი ელჩობის ანგარიშებში აღწერილი აქვთ ილორის, მოქვისა და დრანდის მონასტრები. ანგარიშებში მოიხსენიება მდ. მორგულა, სოფლები – მერკულა, კვიტოული და ფშაფი: „Февраря въ 7 день начавали в деревне Пшехапе. Февраря въ 8 день начавали в деревне в Китоуле. Февраря въ 9 день были мы в монастыре в Мокшенском съ епискупам съ Ондреям да съ Макшмам... Февраря въ 9 день были мы в монастыре въ Егорьевском (ილორის – ი. კ.) Федот да поп Павел...“ – ვკითხულობთ ანგარიშებში (ბელოკუროვი, 1887: 325). სხვაგან აღნიშნავენ, რომ „Февраря въ 5 де пошли из Маркулей и пришли к Чорному морю... Февраря въ 6 де в Дандренской монастырь пришли“ (იქვე: 351).

ანგარიშებში მოხსენიებული ფშაფი სოფელია კოდორის მარჯვენა შენაკადის, ფშაფის მარცხენა ნაპირას, შავიზღვისპირა დაბლობზე. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილებით გულრიფშის მუნიციპალიტეტში შედის და სოხუმს 5-6 კმ-ით, გულრიფშს – 6 კმ-ით, ხოლო დრანდას – 4 კმ-ით არის დაშორებული. რუსეთის მეფის ელჩთა საანგარიშო აღწერილობიდან ჩანს, რომ კოდორის მარჯვენა მხარეს საკმაოდ დაცილებული სოფელი ფშაფი ამ დროისთვის ოდიშის შემადგენლობაში იყო. ელჩების მიერ მოხსენიებული დრანდის მონასტერი ოდიშს ეკუთვნოდა, ვინაიდან დრანდაც კოდორის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

თუკი გავითვალისწინებთ ვახუშტის ცნობას იმის შესახებ, რომ დრანდის საეპისკოპოსო მოიცავდა „კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა“ (ვახუშტი, IV, 1973: 781), ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ, რომ ელჩების ოდიშში ყოფნის დროისთვის და მოგვიანებითაც, XVII ს-ის 80-იან წლებამდე მაინც, დრანდის საეპისკოპოსო ოდიშის სამთავროში შედიოდა. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ XVII ს-ში კოდორის მარჯვენა მხარეს მდებარე ანაკოფიასა და ცხუმზე დადიანთა მფლობელობა არ ვრცელდებოდა, დრანდის საეპისკოპოსოს ოდიშის სამთავროში შემოსვლა ქართულ ისტორიოგრაფიაში იმის მონიშნავდა, რომ კოდორის დასავლეთით მდებარე გარკვეული ტერიტო-

რია კვლავ დადიანებს ეკუთვნოდათ (კაკაბაძე, I, 1921: 296; ბერაძე, სიგკ, III, 1967: 180; ხორავა, 1996: 93).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1630 წლისათვის იტალიელი მისიონერის, ჯოვანი და ლუკას ცნობით, ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი მდ. აუსზე გადიოდა: „21 მაისს მოვედით ძველ ქალაქ სკისორნუმში (Schissornum), საცა მდინარე აუსი ყოფს აფხაზეთს სამეგრელოსაგან“ (თამარაშვილი 1902, 144). პროფ. ილია ტაბალუა ამ ადგილს შემდეგი სახით კითხულობს: „ჩვენ უკვე ანტიკურ ქალაქ სკისორნუმში ვიყავით, სადაც მდ. აბსი აფხაზეთს სამეგრელოსაგან ყოფს“ (ტაბალუა, III, 1987: 157). იგი ფიქრობდა, რომ მდ. აბსი იგივე კოდორია (იქვე: 160). ამ მოსაზრებას არ იზიარებს ბეჟან ხორავა და შენიშნავს, რომ ჯოვანი და ლუკასეული აუსი მდ. ბესლეთს შეესატყვისება (ხორავა, 1996: 94). აუსის/აბსის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით აზრთა განსხვავებულობის მიუხედავად სკისორნუმისა და სოხუმის იგივეობას ორივე მკვლევარი მხარს უჭერს.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ იტალიელი მისიონერი დრანდის წმ. ანდრიას სახელობის ეკლესიას ოდიშის შემადგენლობაში აქცევდა (თამარაშვილი, 1902: 149). ქართველებსა და აფხაზებს შორის გამწვავებულ ურთიერთობაზე მიანიშნებს სკისორნუმელი (სოხუმელი?) თავადის – პუტოს ნათქვამი მისიონერ ჯოვანი და ლუკასადმი, რომ მას მეზობლად მყოფ ქართველ სასულიერო პირებთან ნაკლები კონტაქტი ჰქონდა (იქვე: 149; კვაშილავა, 2011: 68). პირველი დასახლებული პუნქტი, რასაც დომინიკანელი მისიონერი სამეგრელოში ასახელებს, არის Scourcia (იქვე). ესაა კოდორის ნაპირას მდებარე სოფელი სკურჩა. ის ფაქტი, რომ ჯოვანი და ლუკას ცნობით ჯერ კიდევ ფუნქციონირებს დრანდის მონასტერი, როგორც დრანდელი არქიეპისკოპოსის (Driandelli) საკათედრო რეზიდენცია, კ. კვაშილავას აფიქრებინებს, რომ მომხდურ აფხაზთა შემოტევების გამო ოდიშართა სამხრეთ-აღმოსავლეთით დახვევის მიუხედავად, მეგრული მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის არსებობა დრანდაშიც ამ დროისათვის (იგულისხმება 1630 წელი) შესაძლებელია (კვაშილავა, 2011: 69). თუმცა მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ იტალიელ მისიონერთა ცნობებს ეჭვით უყურებს თამაზ ბერაძე, რადგან დრანდის მონასტერი ამ შემთხვევაში ოდიშის გარეთ ჩანდა (იქვე: 69; ბერაძე, 1999: 210).

ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.) ერთ-ერთი უძლიერესი მმართველი იყო დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის, მაგრამ მისი მთავრობის პერიოდში გახშირებულმა აფხაზთა ლაშქრობებმა დასავლეთ კავკასიის მთიელი ტომების მონაწილეობით საფრთხე შეუქმნა ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებს. ამიტომ დადიანი იძულებული გახდა თავდაცვით პოლიტიკაზე გადასულიყო და ამ მიზნით აფხაზთა მარბიელი ლაშქრობისაგან სამთავროს დასაცავად აფხაზეთთან საზღვარი საფორტიფიკაციო ნაგებობებით გაემაგრებინა. საუბარია კელასურის ზღუდეზე, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ – აფხაზეთის დიდ კედელზე.

ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, კელასურის კედელი ლევან II დადიანის მთავრობის პერიოდშია აშენებული (ვახუშტი, IV, 1973: 782). საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ვახუშტი სათანადო ადგილზე არაფერს ამბობს „ქართლის ცხოვრების“ ცნობაზე მურვან ყრუს მიერ კელასურის ზღუდის გადალახვის შესახებ. ეს ფაქტი მას კარგად უნდა სცოდნოდა თავისი წყაროდან. მაგრამ აშკარაა, რომ ვახუშტი ღრმად არის დარწმუნებული ანაკოფიის აღმოსავლეთით, ზღვიდან მთამდე აგებული ზღუდის აგების დათარიღებაში და ამიტომ ამ ფაქტს საგანგებოდ აღნიშნავს (ალექსიძე, 2, 2011: 37).

ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ XVII საუკუნეში ოდიშსა და აფხაზეთს შორის საზღვარი კელასურთან გადიოდა. საზღვარი მიუყვებოდა იმ კედელს, რაც შავ ზღვასთან კელასურის შესართავთან იწყება და გასდევს მის მარცხენა ნაპირს ჩრდილოეთისაკენ. ზღვისპირას დღესაც დგას ოთხკუთხა კოშკი. კედელი კელასურის ხეობას ათიოდე კმ-ის მანძილზე მიუყვებოდა, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ უხვევდა, გადაკვეთდა მდ. მაჭარას და უკვე მდ. კოდორიდან ფანავის ქედს გასდევდა. კოდორის ხეობის ზემო წელს აფხაზი მთავრები ფლობდნენ. მოქვისწყლის გადაკვეთის შემდეგ ზღუდე ლალიძგამდე, ტკვარჩელამდე აღწევდა (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 67; ხორავა, 1996: 95-97).

არის თუ არა კელასურის ზღუდე ლევან დადიანის მიერ აშენებული? ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლევანის დროს უმეტეს შემთხვევაში მთლიანი კედელი კი არ აშენებულა, არამედ საგანგებოდ იქნა გამაგრებული მხოლოდ გადმოსასვლელები.

„გატარებულ ღონისძიებათა შედეგად დროებით შესაძლებელი გახდა აფხაზთა შემოტევის შეჩერება“ (ხორავა, 1996: 97). ოდიშის მთავარს გაცნობიერებული ჰქონდა ის დიდი საფრთხე, რაც თავის სამფლობელოს ელოდა აფხაზ-აფსუებისა და მათი მონათესავე ტომების შემოტევებისაგან. კელასურისპირა საზღვრის მოშლით მტერს უადვილდებოდა ოდიშის ტერიტორიის ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ენგურის მიმართულებით. ზ. ალექსიძის აზრით, საეჭვოა ლევან დადიანს „ამხელა კედლის აგების შესაძლებლობა ჰქონოდა და არც მისი ეპოქა ითხოვდა მსგავს იდეებს. უკვე არსებულ ნაგებობას კი იგი, რა თქმა უნდა, გამოიყენებდა, გაამაგრებდა, რალაცას დაუმატებდა, შეავსებდა და ა. შ. კომპლექსში დატანებული სათოფურებიც, ცხადია, მისი გაკეთებული იქნება“ (ალექსიძე, 2, 2011: 41).

არქანჯელო ლამბერტის თავის რუკაზე თავდასაცავ სიმაგრეთა სისტემაზე შემდეგი წარწერა გაუკეთებია: „კედელი აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ“ (ლამბერტი, 2011, რუკა). ანალოგიურ წარწერას ვხვდებით 1654 წლის რუკაზეც: „აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ აგებული 60 მილი სიგრძის კედელი“ (კასტელი, 1976, რუკა).

XVII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისისათვის ოდიშ-აფხაზეთის საზღვრად კოდორი ჩანს, მაგრამ 60-იანი წლებიდან აფხაზთა მთავარი სოუსტანი (ბაგრატი) შერვაშიძე თავისი ლაშქრით აწარმოებს გახშირებულ თავდასხმებს ოდიშის მიწა-წყალზე. „ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან“, – წერს ვახუშტი ბატონიშვილი (ვახუშტი, IV, 1973: 842). აღნიშნული ცნობა ოდიშის იმდროინდელი რეალური და საგანგაშო ვითარების ამსახველია. აფხაზებმა აიკლეს ოდიშის საზღვრისპირა პუნქტები და ქვეყნის შიდა ტერიტორიაზეც შეაღწიეს. აფხაზთაგან ცაიშის ტაძრის აოხრების შესახებ გვაუწყებს სახარების ერთი მინაწერი: „მერმეთ აფხაზის ლაშქარი მოვიდა... ტაძარს მოუხთა და ჩუენ დიდსა დაჭირებასა და შიშსა ქვეშე შევარდით“ (თაყაიშვილი, 1913-1914: 188). აფხაზთა გამანადგურებელ ლაშქრობაზე მოგვითხრობს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი: „...ბრმა ბაგრატისაგან შეურაცხყოფილი დადიანი ისეთი უძლური იყო, რომ აბაზგებმა გაანადგურეს მისი სამფლობელო, აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ხოფი, ქიაჩი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე და ფაზისამდე“ (ციტირება იხ. ხორავა, 1996: 111).

სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკლესია-მონასტრებიდან საეკლესიო წიგნების, ჯვარ-ხატებისა და საეკლესიო ინვენტარის გადატანა ოდიშის შიდა რაიონებში, სადაც მათ შენახვას აფსუათაგან საფრთხე არ ემუქრებოდა. ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, რომ მოქვისწყლის ხეობაში, ფანავის ქედზე, ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერდის ტერიტორიაზე მდგარა მთავარანგელოზის ეკლესია, **ქიაჩად** წოდებული. ნასოფლარისათვის აფსუებს **ქიაჩინი** (ქიაჩის სალოცავი), **ქიაჩაბა** (ქიაჩის ციხე) უწოდებიათ. ამ ეკლესიაში დასვენებული წმ. გიორგის ხატი ოდიშში, სოფელ ობუჯში გადაუტანიათ. ხის ეკლესია, სადაც ეს ხატი დააბრძანეს და სოფლის ის უბანი, სადაც ეკლესია იდგა, დღესაც ქიაჩის სახელითაა ცნობილი (ხორავა 1996: 112, და იქვე მითითებული ლიტ-რა).

1681 წელს ოდიშის სამთავროს ფაქტობრივად გამგებლის – კაცია ჩიქოვანის მიერ გაცემული სიგელიდან ჩანს, რომ ამ დროისთვის ქიაჩის სამწერობელი უკვე სოფ. ობუჯშია (კაკაბაძე, ს. მ., I, 1925: 247-249).

აღნიშნული სიგელის შესწავლას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ისტორიკოსმა გ. არახამიამ. სიგელისა და ზეპირსიტყვიერი მასალების გაანალიზების შედეგად მკვლევარი უაღრესად საგულისხმო დასკვნამდე მივიდა:

1681 წლის სიგელში ნახსენები ხატი გულისხმობს მოქვის მახლობლად მდებარე ქიაჩის ეკლესიის ხატს. იგი 1681 წლამდე მოუპარავს კვიტოულელ კაკაჩიას და ენგურსგამოდმა, ობუჯში მოუტანია. 1640 წლისათვის მოქმედი ქიაჩის ეკლესია სიგელის შედგენის პერიოდში გაუქმებული ჩანს, რაც ხატის ადგილსამყოფლის შეცვლით აიხსნება. აფსუები ამ პერიოდში განუწყვეტლივ ანიოკებენ მდ. კოდორის აღმოსავლეთით მდებარე ოდიშის ტერიტორიას (არახამია, 2009: 92). „კვიტოულელ კაკაჩიას... ამ ძნელბედობის ჟამს ქიაჩის ხატი-სამწერობელი საფრთხისაგან განურიდება, ობუჯში საიმედო ადგილას დაუბინავებია და თვითონაც აქ დასახლებულა... ზეპირი გადმოცემის ცნობა ხატის „აფხაზეთიდან მოპარვის“ შესახებ უნდა გავიგოთ როგორც ხატის წამოსვენება მოთარეშეებისაგან შეუმჩნევლად. მან ხატი „მოპარა“ ეკლესიის შემმუსვრელებს და არა ეკლესიას“ (იქვე: 93-94).

ასეთივე ბედი ეწია ქიაჩის მთავარანგელოზის მეორე ხატს. იგი სოფ. ქოლაში (ახლანდ. ჩხორონყუს რ.) დაუსვენებიათ (ბურჯანაძე, 1959: 151; ხორავა, 1996: 112; არახამია 2009: 93). ასევე მოქვის სახარება (1300 წ.) და ბედიაში დასვენებულმა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატმა მარტვილში დაიდო ბინა და ა. შ. (ხორავა, 1996: 112-113, და იქვე მითითებული ლიტ-რა).

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან კოდორ-ენგურის შუამდინარეთში ეთნიკური სიტუაცია კიდევ უფრო მკვეთრად იცვლება. ზ. ანჩაბაძის შეფასებით, სწორედ ამ დროიდან იწყება აფხაზ ფეოდალთა შეჭრა სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე და მისი ჩრდილოეთი რაიონების დაპყრობა მდ. ენგურამდე: „Абхазские феодалы... в начале 80-х 22. XVII в вторглись на территорию Мегрельского княжества и захватили его северные районы“ (Анчабадзе, 1959: 270).

ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. კოდორ-ენგურის შუამდინარეთში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურების, გახიზვნის ან მონად გაყიდვის შედეგად დაცარიელებული ტერიტორიის ათვისებას იწყებენ კოდორსგაღმიდან ჩამოსული აფხაზები, ხოლო უფრო სამხრეთით ადგილი აქვს ლალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის აფხაზთაგან დაპყრობას, – ასე აფასებს XVII საუკუნის მიწურულის ვითარებას გ. ანჩაბაძე (ანჩაბაძე, 2006: 226).

XVII ს. 50-80-იანი წლების ოდიშ-აფხაზეთის საზღვრების შესახებ ცნობებს გვანდის ოსმალთა ავტორი ქათიბ ჩელები. მისი თხზულების ქართული თარგმანის გამომცემლის, გიული ალასანიას მოსაზრებით, ჯიჰან ნუმას რუკები სწორედ ამ პერიოდშია შედგენილი; თუმცა საზღვრებთან დაკავშირებით ქათიბ ჩელების თხზულებასა და რუკის მონაცემებთან გარკვეული შეუთავსებლობაა. კერძოდ, ჩელები რუკაზე ოდიშ-აფხაზეთის გამყოფ საზღვარს მდ. კელასურზე ავლებს, თუმცა თხზულების მიხედვით მდ. კოდორია სასაზღვრო მდინარე (ალასანია, 1978: 56; ქათიბ ჩელების ცნობები..., 1978: 132). ფიქრობენ, რომ ქათიბ ჩელები გაცილებით განსხვავებულ და შედარებით ადრინდელ ცნობებს ფლობდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომაც არის, რომ მისი რუკის მიხედვით საზღვარი მდ. კელასურზე გადის (კვაშილავა, 2011: 69).

ჩრდილოკავკასიური ტომების მიერ და აფხაზ ფეოდალთა – შარვაშიძეების მეთაურობით ოდიშის სამთავროს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით განხორციელებული ექსპანსია საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ ოდიშსა და აფხაზეთს შორის საზღვარი უკვე ენგური გახდა. ბზიფსა და ენგურს შორის მოქცეული ტერიტორია აფხაზეთის მთავარ ზეგნაყ შერვაშიძის სამ ვაჟს შორის განაწილდა: უფროსმა, როსტომმა დაისაკუთრა ტერიტორია ბზიფსა და კოდორს შორის, რაც **აძვიბჟად** („ორწყალშუა“) იწოდებოდა და სამთავრო დომენს წარმოადგენდა; შუათანას – ჯიქეშისა, საუფლისწულოდ წილად ხვდა კოდორ-ღალიძგის შუამდინარეთი, ხოლო უმცროსს, ყვაპუს, ასევე საუფლისწულო სამფლობელოდ – ღალიძგა-კოდორის შუამდინარეთი ერგო, რასაც მოგვიანებით (სავარაუდოდ XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან)¹, ყვაპუს შვილის – მურზაყანის პატივსაცემად **სამურზაყანო** ეწოდა. ამ ტერიტორიას მეგრელები **სააფხაზოს** ეძახდნენ, ხოლო აფსუები – **აბჟუას** („შუასოფელი“).

1702 წლის მიწურულს ოდიშის მთავარმა გიორგი IV დადიან-ლიპარტიანმა შეძლო აფხაზთაგან მიტაცებული ტერიტორიის ერთი ნაწილის, კერძოდ, ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთის კვლავ დაბრუნება (ხორავა, 1996: 121). სწორედ ამ დროიდან მიიჩნევა ღალიძგა სასაზღვრო მდინარედ ოდიშის სამთავროსა და შარვაშიძეთა სამფლობელოს შორის (არახამია, 2009: 116-117).

¹ ყვაპუს მისი ძმის – როსტომის სამფლობელოდან, ანუ ბზიფის ხეობიდან გადმოუყვანია 25 გვარი, მათ შორის – შარვაშიძე, ანჩაბაძე, ინალიშვილი, ემუხვარი, ჩქოტუა, და თავის სამფლობელოში დაუსახლებია. ჩამოსახლებულებს ადგილზე დახვედრიან აზნაურები – მარღანია, ლაკირბაია, ზვანბაია, აქირთაა (ცხადაია, ჯოჯუა 2003: 161).

II.2. ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და საჭილაოს სასაზღვრო ფეოდალური სანიორიები ოდიშის სამთავროს შიშველენობაში

ჩრდილო-აღმოსავლეთით ოდიშს ლეჩხუმი ესაზღვრებოდა. ვახუშტის ცნობით, „გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ჴეობა ლეჩხუმი-სა, რომელსა უწოდებენ თაკუერად“ (ვახუშტი, IV, 1973: 748). მისივე რუკებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ გორდის სამხრეთით, ცხენისწყლის მარჯვენა მხარე ოდიშის შემადგენლობაშია, მარცხენა მხარე კი იმერეთში შედის: „ხოლო ისუღეთიდამ ხაზი ცხენისწყლის კიდისა, ვიდრე გორდამდე, არს დასავლის მჯარე ოდიშისა, და აღმოსავლეთის კერძო იმერეთისა“ (იქვე).

საქართველოს სამეფოს დაცემის შემდეგ ლეჩხუმი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ XVII ს-ის 70-90-იანი წლებიდან ოდიშის მთავართა მფლობელობაში გადავიდა. აღნიშნულის შესახებ ვახუშტი გვაუწყებს: „გარნა ესე ლეჩხუმი, შემდგომად განყოფისა სამეფოთასა, იყო ტალანი იმერთა მეფისა, და აწ უპყრავსთ ჩიქოვანს, რომელიც არს დადიანი“ (იქვე: 750).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაჭით, სვანეთით, ოდიშითა და ოკრიბით გარშემორტყმული ლეჩხუმის მხარე ისტორიულად იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო. მისი აღმოსავლეთი საზღვარი რიონის მარჯვენა შენაკადზე – ასკისწყალზე გადიოდა; ჩრდილოეთით, ე. წ. „ლეჩხუმის ქედით“, სვანეთისაგან იყო გამოყოფილი; დასავლეთით ასხისა და უნაგირას მთებამდე (ოდიშის ქედი) ვრცელდებოდა, ხოლო სამხრეთით, ცხენისწყალზე, ლეჩხუმის საზღვარი გორდამდე უწევდა (ბერძენიშვილი, ბანძელაძე..., 1983: 3). მაშასადამე, ოდიშს ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრებოდა ზემო ლეჩხუმი (ლეჩხუმის კუთხე ცხენისწყლის ხეობაში, გორდიდან მურის კლდეკარამდე) (იქვე: 4).

ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე მურის ციხეს, ვახუშტის თქმით, „არავისგან შემუსრვილ-აღებულს“ (ვახუშტი, IV, 1973: 749), XVIII ს-ის დასაწყისიდან უკვე დადიანები ეუფლებიან, სადაც მათ საზაფხულო სასახლე აქვთ. დადიანების მმართველობის პერიოდში მურის ციხის დანიშნულებას თვით ციხის მდგომარეობა უწყობდა ხელს. კერძოდ, ეს ციხე ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობდა ცხენისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო სისტემაში. იგი აკონტროლებდა ლაჯანურის ხეობიდან ჩრდილოეთით – სვანეთისაკენ, ასევე სამხრეთის მიმართულებით მიმავალ გზებს. ამასთანავე, ლუხვანო-ქულბაქის გზით ოდიშთან ყველაზე ახლოს მურის ციხე მდებარეობდა და, ამ ფაქტის გათვალისწინებით, შემთხვევითი არაა ოდიშის მთავართა ახალი დინასტიის წარმომადგენლების – გადადიანებული ჩიქვანების განსაკუთრებული ინტერესი მურისადმი: ციხის ხელში ჩაგდებათ ოდიშის მთავრები შეძლებდნენ ლეჩხუმის დიდი ნაწილის გაკონტროლებას. მურის ციხის ფლობით მათ გზა ეხსნებოდათ სვანეთისაკენ (მამარდაშვილი, 2006: 8-10). დადიანთა მიერ მურის ციხის დასაკუთრებამ ხალხურ გადმოცემაშიც პოვა ასახვა: კაცია ჩიქვანმა გორდში დაპატიჟა და შემდეგ ლალატით მოაკვლევინა ქვემო სვანეთისა და მურის ციხის მფლობელი შვიდი ძმა, რის შემდეგაც შეძლო ლეჩხუმისა და სვანეთის დაპატრონება (ალავიძე, 1951: 7; მამარდაშვილი, 2004: 9).

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს „შენიშნულობის წიგნი“ (ვაგერის ტაძრისადმი (თარიღდება 1701 წლით), სადაც გიორგი ლიპარტიანი საკუთარ თავს ლეჩხუმის მჭირავ-მქონებლად და სვანეთის კლიტედ მოიხსენიებს: „ღვთივ აღმატებულმან ოდიშისა და სალიპარტიანოს მპყრობელმან და თავმან, სულ სვანეთის კლიტემან, დადიან ბატონმა გიორგიმ და პირმშომან ძემან ჩუენმან კურთხევით კურთხეულმან დიდმან მამამთავარმან ჭყონდიდელ ვაგერელმან ბატონმა გაბრიელ ვიგულისხმეთ და ვიგულისმოდგინეთ, შემოგწირეთ მცირე და კნინი შესანიშნავი...“ (კაკაბაძე, I, 1921: 86). ასეთი ტიტულატურა სწორედ ლეჩხუმზე ოდიშის მთავართა ბატონობით უნდა აიხსნას (მამარდაშვილი, 2006: 9).

ქვემო სვანეთი//სადადიანო სვანეთი. ოდიშის დაქვემდებარებაში ლეჩხუმის გადასვლამ განაპირობა ქვემო სვანეთის, ე. წ. სადადიანო სვანეთის XVIII ს-დან ნაწილობრივ ოდიშის გავლენის ქვეშ

ყოფნა, რაც მოგვიანებით, 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, იმით დაგვირგვინდა, რომ რუსეთმა ცნო ლეჩხუმზე ოდიშის მთავრის, კაცია დადიანის, მფლობელობა (გელოვანი, კლიო, 13, 2001: 126).

საფიქრებელია, რომ ბატონობის მოპოვების მიუხედავად, დადიანების გავლენა ქვემო სვანეთზე ნაწილობრივ ვრცელდებოდა (გასვიანი, 1973: 138; გელოვანი იქვე: 127). ამ გარემოებამ ასახვა პოვა გიულდენშტედტის შემდეგ ცნობაში: „დადიანი ჩემულობს ერთგვარ ბატონობას“ ქვემო სვანეთზე და რომ „დადიანი „ლენტეხის“ სვანეთში მხოლოდ ერთგვარი უფლებით სარგებლობდა (გიულდენშტედტი, 1962: 179, 325). მართალია, აქ XVIII ს-ის 70-იანი წლების მოვლენებზეა საუბარი, მაგრამ ასეთივე მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ იმავე საუკუნის პირველ ნახევარშიც. ძნელი სათქმელია, ამ დროისთვის ქვემო სვანეთის რამდენ სოფელზე ვრცელდებოდა ოდიშის მთავართა უფლებები, მაგრამ XVIII ს-ის ბოლოსათვის ვიცით, რომ დადიანებისადმი ყველაზე დაქვემდებარებული თემი მაინც ლენტეხი და მისი შემოგარენი იყო. XIX ს-ის დამდეგისათვის დადიანების მფლობელობა ლენტეხის თემის 12 სოფელზე ვრცელდებოდა. ესენია: გულიდა, კახურა, ყვედრიში, ლექსურა, მელურა, ფაყი, რცხმელური, ხოფური, ხელედი, წანარი, წიფლაკაკი და ჩოლური (გელოვანი, იქვე:129).

გ. გასვიანი შენიშნავს, რომ დადიან-ჩიქოვანების მიერ ლენტეხის თავისუფალი თემის გლეხობის დამორჩილება უნდა მომხდარიყო იმერეთის სამეფოსაგან ქვემო სვანეთის საბოლოოდ გამოყოფის შემდეგ, XVIII ს-ის II ნახევარში (გასვიანი, 1973: 231), მაგრამ, ბუნებრივია, ამ აქტს მრავალი წლის განმავლობაში წინაპირობები ჰქონდა.

ლენტეხის თემის დადიანთა მფლობელობაში ყოფნას განაპირობებდა ის გარემოება, რომ ქვემო სვანეთში XVIII-XIX სს-ში ადგილობრივი თავად-აზნაურობა არ იყო. მართალია, დადიანები ქვემო სვანეთში არ ცხოვრობდნენ, მაგრამ აქ ისინი ფლობდნენ რამდენიმე ადმინისტრაციულ პუნქტს (გელოვანი, იქვე: 138).

საჭილაო. ოდიშის სამთავროს ერთ-ერთი წარჩინებული გვარის – ჭილაძეთა სათავადოს წარმოქმნა საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჭილაძეთა სამფლობელოს წარმოქმნა და ერთ ფეოდალურ ერთეუ-

ლად ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო XV საუკუნეში. სწორედ ამ დროს და XVI საუკუნის პირველ ნახევარში ჭილაძეებს ძლიერების ზენიტისთვის უნდა მიეღწიათ (სოსელია I, 1973: 274-275).

ტერიტორიულად და პოლიტიკურად განცალკევებული ეს ერთეული, ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით, ძირითადად მოიცავდა გურიასა და სამეგრელოს შუა მდებარე ვრცელ ტერიტორიას, კერძოდ, საჯავახოდ წოდებულ მხარეს გურიაში, ვიდრე გურიის სერისთავომდე, და სამეგრელოს (ოდიშის) მხრით – სოფელ ბანძამდე. ამ საზღვრებში მკვლევარი აქცევდა აგრეთვე ორპირს, სამტრედიას, ახლანდელ საჭილაოს, აბაშასა და სეფიეთს (თაყაიშვილი, III, 1913-1914: 3).

ვახუშტი აღნიშნავს, რომ საჩიჯავაძო-სალომინაოს სამხრეთით, ცხენისწყლიდან რიონ-წყალნითელამდე მდებარე ტერიტორია ვაკედ იწოდებოდა. მის დასავლეთ საზღვარს წარმოადგენდა მდინარე ცხენისწყალი და „ცხენისწყლიდამ წასული ხაზი ისულებთამდე და რიონამდე“ (ვახუშტი IV, 1973: 773).

ვახუშტისეული აღწერითა და მისივე რუკის მიხედვით „...არს სამკუთხედ ადგილი ესე“, რაც ჩრდილოეთით გვასტიბემდე (ახლანდ. გოსტიბე ხონის რაიონში) ვრცელდება („ვიდრე გვასტიბის ბოლოდ ცხენისწყლამდე“).

მეცნიერი ვაკის აღწერის შემდეგ ერთი წინადადებით გადმოგვცემს საჭილაოსა და სამიქელაოს მდებარეობას: „ამას შინა, ცხენისწყლისა და რიონისაკენ, არს საჭილაო, სამიქელაო“ (იქვე: 774). ამ შემთხვევაში გადმოცემულია XV ს. მეორე ნახევრის სინამდვილე. ვახუშტის აღწერით, საჭილაოდ იწოდებოდა ტეხურსა და ცხენისწყალს შორის მოქცეული ტერიტორია რიონის მარჯვენა ნაპირამდე.

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ვახუშტის მიერ მოცემული საჭილაოს საზღვრები თავსდება აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მთლიანად, და სენაკისაზე – ნაწილობრივ; კერძოდ, ვახუშტის მიერ 1745 წელს შედგენილ რუკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ შხეფისა და უნაგირას მთის სამხრეთით, ტეხურ-რიონის შესართავთან, ისულებთის შემოგარენში მდებარე ტერიტორია საჭილაოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო. ამ სახით ჭილაძეთა გვარეულობის მინა-წყალი დროის გარკვეულ მონაკვეთში ვაკეში შედიოდა.

არსებული წერილობითი წყაროების გაანალიზებით შესაძლებელია საჭილაოს ფეოდალური ერთეულის საზღვრების მნიშვნელოვნად გაფართოება დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

თ. ბერაძემ შხეფის ციხის კოშკის კედელზე შესრულებულ სამსტრიქონიან წარწერაზე („ქრისტე, კოშკი ესე კარის თუვალი შედან აღაშენა, შეუნდოს ღმერთმან, ამინ. ვინცა სთქუა, შეუნდოს ღმერთმან“) დაყრდნობით გამოთქვა მოსაზრება, რომ ჭილაძეთა ძლიერების დროს შხეფის ციხე და მისი შემოგარენი ამ საგვარეულოს მფლობელობაში უნდა ყოფილიყო. თვით ციხეს, მკვლევრის მსჯელობით, ადგილობრივი მოსახლეობა „ჭილაშ ჯიხად“ (ჭილაძის ციხე) მოიხსენიებს. „თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ შხეფის ციხე-სიმაგრე, ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ჭილას (ე. ი. ჭილაძეების საგვარეულოს) ეკუთვნოდა, მაშინ შხეფის წარწერის შედანი ამ გვარეულობის წარმომადგენლად უნდა ჩავთვალოთ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ციხე-სიმაგრე გარკვეულ დრომდე დადიანთა სამფლობელოში არ შედიოდა“, – დაასკვნის მკვლევარი (ბერაძე, სიგკ, III, 1967: 168).

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გამოთქვეს მ. იაშვილმა და პ. ზაქარაიამ. მათი მსჯელობით, XVI-XVII საუკუნეებში, დღემდე მოღწეული ისტორიული საბუთების მიხედვით, შხეფის ციხეს და მის შემოგარენს (ნაქალაქევი, მარტვილი) დადიანები ფლობდნენ და, ამდენად, შხეფის წარწერის შედანის მოხსენიება საჭილაოს სხვადასხვა ხასიათის ძეგლებშიც შემთხვევითობით უნდა იყოს განპირობებული. ამასთანავე, ჭილაძეების სამფლობელოს საზღვარი დროის რომელიმე მონაკვეთში, შესაძლოა, მართლაც ვრცელდებოდა ტეხურის მარცხენა ნაპირამდე, მაგრამ მის მარჯვენა ნაპირას გადასვლაზე დღემდე რაიმე სახის ცნობა არ მოიპოვება. შხეფი კი ტეხურის მარჯვენა მხარეს და მისგან საკმაოდ მოშორებით მდებარეობს (იაშვილი, ზაქარაია, „ნ. ა.“, II, 1987: 198-200).

ს. მაკალათიას მოსაზრებით, ჭილაძეების ძლიერების პერიოდში ნოსირიც საჭილაოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო, რასაც, მეცნიერის მსჯელობით, ადასტურებს ამ სოფელში შეკრებილი გადმოცემები, რომ ნოსირი ჭილას (ჭილაძის) საუფლოს წარმოადგენდა და აქვე მიუთითებენ მის ნასახლარსაც (მაკალათია, 1941: 113). ამ ადგილს დღესაც **ნადოხორუს//ჭილეფიმ ნადოხორუს** ეძახიან და მდე-

ბარეობს ნოსირის თემის სოფ. საოდიშარიოში, მარაგანის მარცხენა ნაპირას.

XVII საუკუნის საჭილაოს საზღვრების დადგენის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს „შენირულობის წიგნი“, საიდანაც ირკვევა, რომ ლომკაც ჭილაძეს და მის თანამეცხედრეს – ასტანდარ ჩხეტიძეს ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძრისთვის შეუწირავთ „საკანონოდ ეკს ორი კუამლი კაცი ხელშეუალად იოვანე გუნია, მეორე მოსახლე თვალთვალეი გუნია მათის ცოლშვილითა, ძმებითა და ძმისწულებითა...“ (კაკაბაძე, I, 1921: 47-48).

ლომკაც ჭილაძის ზემოთ დამონმებულ შეწირულების წიგნზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭილაძეების სამფლობელო 1629 წლის ახლო პერიოდში მართლაც გადადიოდა ტეხურის მარჯვენა მხარეს და მისგან საკმაოდ მოშორებით, ჩრდილო-დასავლეთითაც ვრცელდებოდა. სოფ. ეკი მდებარეობს შხეფის ჩრდილოეთით, დაახლ. 15 კმ დაშორებით. მისი მფლობელი სწორედ ლომკაცია, რომელიც თავის ყმებს სწირავს ბიჭვინთის ღვთისმშობელს. ამასთანავე, მიუერთმევია „სხუა მრავალი საქონელი“ (იქვე: 48). ამ მოსაზრებას ამყარებს ეკის თემის სოფელ საცხვიტავოში ტოპონიმ „ნაჭილუს“ დამონმება, რაც მდ. ციისა და გითოკირილიშ ღალს შუა მდებარე ბორცვის სახელწოდებად დაგვიდასტურებს. გადმოცემით, ეს ადგილი ჭილას, ჭილაძის ნასახლარი ყოფილა.

მამუკა ჭილაძის 1616-1639 წწ. დათარიღებულ შეწირულობის წიგნიდან ირკვევა, რომ მას და მის შვილს ბააკას ბიჭვინთის ღვთისმშობლისთვის შეუწირავთ „ენერშიდ ერთი გლეხი ნასხიდაი კალანდაძე და ჭანგას უმცროსაი რუხვაძე“ (კაკაბაძე, I, 1921: 51).

ბეჟან დადიანის 1714 წლის შეწირულობის წიგნი გვამცნობს, რომ ჭყონდიდლად ევდემონ ლოლობერიძის კურთხევის შემდეგ უდროობით დაკარგული საჭყონდიდლოს მამულები – „ანჯელი და კოდორა გაღმართი ტეხურის პირამდის რაც არის, ძველთაგან ჭილაძეებს შეეწირათ“, შენაწირი დავთრები განგვიახლებია და კვლავ ეკლესიისათვის შეგვიწირავსო (კაკაბაძე, I, 1921: 113). კაცია დადიანის 1760 წლის შეწირულობის წიგნში საჭყონდიდლოდ სახელდებული საეკლესიო მამულის არეალი უფრო დაკონკრეტებულია: „...რიონის და ცხენისწყლის შესაყრიდგან ტეხურის შესაყრამდის სულ გაღმართი, კოდორი, ცხეპიჯი, კუკუთი, სამარღნაო და ანჯელი, ესენი ძველთაგან

ჭილაძის ყოფილიყო და ჭილაძეს შეენირა“ (კაკაბაძე, II, 1921: 13). ირკვევა, რომ ცხენისწყალსა და ტეხურსშუა მდებარე ტერიტორია, აგრეთვე რიონის მარცხენა მხარე („სულ გაღმართი“) ოდიტგანვე საჭილაოდ ინოდებოდა და შემდეგ „პირველ ჭილაძის შენირული“ ჯერ კაცია დადიანის ბაბუას, ხოლო მოგვიანებით – თვით კაციას, ეკლესიისათვის შეუნირავს. ასეთივე ცნობა დაცულია სოლომონ II-ის მიერ 1798 წელს ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი მიცემულ წიგნში (კაკაბაძე, II, 1921: 114).

საჭილაოს საზღვრების დადგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენს ტოპონიმური მასალა – გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებანი. ეს ტოპონიმებია: **ჭილაიამ ნოხორი** – 1. სახნავი საგაბლაიოში (ქ. აბაშა); 2. ტყე საგვიჩიოში (ზემო ჭალადის თემი); ტოპონიმები მიუთითებს, რომ ეს ადგილები უნინ ჭილაძის ნასახლარი ყოფილა; **ნაჭილაუ** – 1. ტბა-ჭაობი (გამოღმა ზანათი, სუჯუნა); 2. მინდორი გეზათში. გ. ელიავა ასახელებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე და განმარტავს, რომ აქ მცხოვრები ჭილაიები შემდეგ ამონყვეტილან (ელიავა, 1977: 20); **ჭილური** – ტყე გაღმა ზანათში; გ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს ძველი აბაშისა და ზანათის „სასოფლო საბჭოების“ ტოპონიმთა ნუსხაში; **ჭილური** -ურ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმია და ჭილაძისეულს, ჭილაძისთვის განკუთვნილს ნიშნავს; **ნაჭილაო//ნაჭილაუ** – 1. სახნავები ანჯერში, გაღმა კოდორში (კეთილარის თემი); გ. ელიავას წიგნში დამონმებულია დაზუსტებული ლოკალიზაციისა და განმარტების გარეშე (ელიავა, 1977: 62). „კეთილარის სასოფლო საბჭოს“ ტოპონომთა ნუსხაში გვხვდება აგრეთვე ვარიანტი **ნაჭიავუ**, როგორც უბნის სახელწოდება, შემდეგი განმარტებით: ჭია (ჭილაია) სახლებულა აქ (იქვე: 64); 2. მინდორი საკუბესქუოში, ტეხურის მარჯვენა მხარეს (ისულა); **ჭილაიამ ნაშარუ** – ნაგზაური გულეიკარში (კეთილარის თემი); „კეთილარის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში ორგან გვხვდება ვარიანტი ჭიაიაში ნაშარუ „ჭილაიას ნაგზაური“ და აღნიშნულია, რომ ეს გზა საჭილაოში (მარანში) მიდიოდა (იქვე: 62). **ნაჭილუ** – 1. ბორცვი ციისა და გოკირილიმ ღალუს შუა, დობერასთან. გადმოცემით, აქ უცხოვრია თავად ჭილაძეს (საადამიო, საცხვიტავო); 2. ადგილი გეჯეთში. გ. ელიავა მიუთითებს დაზუსტე-

ბული ლოკალიზაციის გარეშე. **ნადოხორუ//ჭილეფიშ ნადოხორუ** – საბალახო მარაგანის მარცხენა მხარეს (საოდიშარიო, ნოსირის თემი); დოხორე მეგრულ ენაში აღნიშნავს სასახლეს, დასახლებას, სამოსახლოს. ა. ქობალიას განმარტებით ნადოხორუ იგივეა, რაც „ნასასახლარი, ნასახლარი, ნამოსახლარი“ (ქობალია, 2012: 503). ტოპონიმი მიგვითითებს ამ ადგილას ჭილაძეთა სასახლის უწინ არსებობას; **საჭილაო** – სოფელი; სოფ. მარნის უწინდელი ოფიციალური სახელწოდება; **ჭიითი//ნაოჭკადური** – ციხის ნაშთი მახათში (ვედიდკარის თემი). გადმოცემით აქ ყოფილა ჭიას, ჭილაიას (ჭილაძის) გვაროვნული რეზიდენცია. გ. ელიავა ვარაუდობდა, რომ ეს ტერიტორია საჭილაოს ერთ-ერთი უბანი უნდა ყოფილიყო (ელიავა, 1977: 65); **ნაჭიუ** – გ. ელიავა მიუთითებს უბნის სახელწოდებად „სამიქაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში და აღნიშნავს, რომ აქ უწინ ჭილაიას გვარისკაცი სახლებულა (იქვე: 22); **ჭილაიამ ნალუ** „ჭილაიას ღელე“ – ღელე ნორიოში; სახელდების მოტივი ასეთია: „ღელე ჭილაძის მამულზე დიოდა“; **ჭილაიამ მამული//დიდამ მამული** – მინდორი კეთილარის თემში. გადმოცემით, აქ ჯერ ჭილაძეებს ჰქონიათ ვენახი გაშენებული, შემდეგ – აზნაურ დიდიებს; **ნამარანუ//ჭილაიეფიშ ნამარანუ** – მინდორი კეთილარის თემში, სადაც მიუთითებენ ჭილაძეების ნამარნევს; **ჭილორტი** – საბალახო ზანათსა და ნოღობაში. ეს ტერიტორია ჭილების, ჭილაძეების ძველთაძველი ნასახლარია; **საჭია** – ჭილაძეების უბანს ერქვა. ვასახელებთ გ. ელიავას მასალებიდან, რომელიც ტოპონიმს მიუთითებს ქალაქ აბაშისა და მისი მიდამოების ტოპონიმთა ნუსხაში (იქვე: 39); **ეჭიე//საჭილო** – „ძველი აბაშის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დამონმებულია ჭილების უბნის სახელწოდებად (იქვე: 29); **ჭილაიამ ნოხორიი** „ჭილაძის ნასახლარი“ – ადგ. ზემო ჭალადიდის თემში...

ი. სიხარულიძის ვარაუდით, XVI საუკუნეში მოღვაწე გუსტან ჭილაძისა და მისი მემკვიდრის – ჯავახის რეზიდენცია ხევისწყლის ხეობის ზემო წელზე, სოფელ კოხნარის ცენტრში უნდა ყოფილიყო, რასაც აფიქრებინებს იქ ტოპონიმ „სასახლის“ დადასტურება. მკვლევარი ასახელებს სხვა ტოპონიმებსაც: **ჭილაძის ჭალა** – სახნავი (ნანილოფეთი); **ჭილაძის ნატახტარი** – მინდორი; **ჭილაძის ნასაყდრი** – წმ. გიორგის ნაეკლესიარი (ორივე დიდ ოფეთში); **ჭილაძის ღელე//**

ჭილაიცლე – ჩხორონჭუას მარცხენა შენაკადი; გადმოცემით, აქ უნინ სათევზე აუზი მოუნყვიათ ჭილაძეთა გვარეულობის წარმომადგენლებს. თლილი ქვით ნაგებ აუზს, რაც 1873 წელს დიმიტრი ბაქრაძესაც უნახავს, „ჭილაძის სათევზი“ ეწოდება (სიხარულიძე, „მახარია“, №3, 6; 2003; მისივე, სიგკ, IV, 1971: 131, 132).

II.3. ეპიზოდები ეთნიკური გეოგრაფიიდან

ეთნიკური გეოგრაფია საისტორიო გეოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური დაჯგუფების ეს სახეობა ტომის, ეროვნებისა და ერის სახითაა ცნობილი. საერთო ტერიტორია, როგორც საზოგადოების გაერთიანების ბუნებრივი, სივრცობრივი ბაზა და საერთო ენა – აი, უმთავრესი პირობა ყოველი ეთნიკური ერთობის წარმოქმნისათვის.

ვახუშტის ნაშრომში მოცემული ცნობების გაანალიზებით შესაძლებლობა გვეძლევა, გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ აფხაზთა და მეგრელთა ეთნოგრაფიული ჯგუფების განსახლების არეალზე ისტორიულ წარსულში.

ვახუშტი გვამცნობს, რომ ქართველთათვის დამწერლობისა და რჯულის ენა ქართულია: „გარნა თუ აქუთ ზოგთა ენა სხუა, თჳსნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსავე აქუს თჳნიერ ქართულის წიგნისა საკუთრად“. მას საკუთარ ენებად მიაჩნია სვანური და მეგრული; მეგრულს კი „წამხდარ ქართულად“ მოიხსენიებს. მეცნიერი შენიშნავს, რომ მცხოვრებნი „სარწმუნოებითა და ენით არიან ქართველთა თანა აღმსაარებელნი...“ ისტორიკოსმა იცის, რომ აფხაზებსაც „ენა საკუთარი თჳსი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“ (ვახუშტი 1973: 786).

ამასთანავე, ერთსა და იმავე ეთნოსისადმი კუთვნილების მტკიცების მიზნით, ვახუშტი აღნიშნავს, რომ ეგრისის (იგივე აფხაზეთი, ოდიში, იმერეთი), კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს მცხოვრებნი არიან „ტანოვანნი და შევნიერ-ჰაეროვანნი“ და გარეგნული მახასიათებლებით ცდილობს ქართველებთან (ქართლებებთან) მათი მსგავსების დასაბუთებას.

„აღწერაში“ ასახვა პოვა არა მხოლოდ ვახუშტის დროის (XVIII ს. I ნახევარი) ოდიშ-აფხაზეთის სინამდვილემ, არამედ გადმოცემულია ადრინდელი ისტორიული ვითარებაც. მისი მსჯელობა მეგრელებითა და აფხაზებით დასახლებული ტერიტორიების საზღვრების ცვალებადობის შესახებ, მკვლევართა აზრით, ნდობას იმსახურებს.

მეცნიერ ბატონიშვილს მხედველობიდან არც ის გამორჩენია, რომ საქართველოში უცხო ეთნიკური წარმომავლობის ხალხიც მოსახლეობს. აღწერაში ურთიერთმედარების საფუძველზე მოცემულია მათი ზნეობრივი თვისებების დახასიათება და განსახლების არეალი. მეცნიერი ზოგჯერ მიუთითებს ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში შერეული, არაქართული მოსახლეობის არსებობას. მაგალითად, „...არს... ატენი, მცირე ქალაქი. მოსახლენი ქართველნი, სომეხნი, ურიანი“ (იქვე: 343); „იმერჯხევის დასავლით, ძამაზედ, არს მძორეთი, მცირე ქალაქი. მოსახლენი სომეხნი, ურიანი“ (იქვე: 344); სამ ეროვნებას – ქართველებს, სომეხებსა და ურიებს მიუთითებს სურამშიც (იქვე: 377) და ა. შ.

რაც შეეხება ოდიშ-აფხაზეთს, ვახუშტის ქმნილებაში პირდაპირი მითითება ამ ტერიტორიულ ერთეულებში არაქართველი ეთნოსების მოსახლეობის შესახებ არ მოგვეპოვება. ვახუშტის ნაშრომის აღნიშნულ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს სხვა ისტორიული წყაროების მონაცემები.

1767 წლით თარიღდება კაცია დადიანის შეწირულობის წიგნი გრიგოლ ჭყონდიდელისადმი (ბეჟან დადიანის ძე), სადაც ვკითხულობთ „...ჩვენი ვაჭარი ურია გებარათ ჩვენგან... სამასი მარჩილი ქრთამით ავიღეთ და მოგართვით ვაჭარი ურია მარდახა და მისი ძმა იაკობა...“ (კაკაბაძე, II, 1921: 33-34).

ოდიშში, სოფ. სუჯუნაში (ახლანდ. აბაშის რ-ნი) ებრაელთა პირველმოსახლეობის შესახებ ცნობები დაცულია გრიგოლ ჭყონდიდელის შეწირულობის წიგნში (დათარიღებულია იმავე 1770 წლით): „შენ... მარტვილთა ღმრთის მშობელსა და... წ~ასა გ~ის სუჯუნა-სა შეგკადრეთ მცირე ესე შესანიერი, ასე რომ მარდახა ურია მისის ცოლშვილით და იაკობა მისი ძმა და მისი ცოლშვილი, ყიდდენ, ძვირფასათ დავიხსენით და სუჯუნის საყდრის სიახლოვეს დავასახლეთ... და ბეგრათ ეს დაგვიცს, რომ ყოველს სააღდგომოთ ხუთი მარჩილის

სანთელს საკმევებს მოგართმევდეს, წმიდის გ-ის დეკანოზს მოუტანდეს...” (იქვე: 43).

ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სუფუნელი ებრაელები კუთვნილების თვალსაზრისით საეკლესიო-სამონასტრო ყმებად ითვლებოდნენ, მათი უმთავრესი საქმიანობა კი ხელოსნობა და აღებმიცემობა იყო. გვიან შუა საუკუნეებში ებრაელები ცხოვრობდნენ ცალკე სოფლებად ან უბნებად. ოდიშში ებრაელთა მთავარი ადგილსამყოფელი იყო სუფუნაში, ბანძასა და სენაკში. ეს სოფლები სავაჭრო-სახელოსნო პუნქტებს წარმოადგენდა.

სამთავროში, ბუნებრივია, ცხოვრობდნენ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც, მაგრამ მათი რაოდენობა პროცენტულად იმდენად მცირე იყო, რომ ვერ ქმნიდნენ იმ ეთნიკურ ერთობას, რომელსაც შეეძლო დისონანსი შეეტანა ოდიშის ეთნიკურ შემადგენლობაში.

გიულდენშტედტი შენიშნავდა, რომ სამეგრელო ქართული პროვინციაა, ხოლო ოდიში და ლეჩხუმი – მხარეები ამ პროვინციაში, რომლებიც „ჰქმნიან საქართველოს მეოთხე სამეფოს და ჰყავთ თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი მმართველი, რომელიც ატარებს დადიანის ტიტულს“ (გიულდენშტედტი, I, 1962: 319). მისივე თქმით, ოდიში და ლეჩხუმი დასახლებულია ქართველებით, სომხებით, თათრებითა და ებრაელებით (იქვე). ამასთანავე, ოდიშში მეგრულად ლაპარაკობენ, ლეჩხუმში კი იმერულ-გურული შერეული დიალექტია გავრცელებული (იქვე: 321). გერმანელი მეცნიერ-მოგზაური დასძენს, რომ ოდიში მდებარეობს სამეგრელოს ჩრდილოეთით. დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევს, ხოლო ჩრდილოეთით აფხაზეთი საზღვრავს. ოდიშის მხარეს, „როგორც საქართველოს ერთ ნაწილთაგანს, ჰყავს იგივე მოსახლეობა, აქვს იგივე სარწმუნოება, ენა, კანონები, ისეთივე მინა და წარმოება, როგორც სამეგრელოს“ (იქვე: 325).

გერმანელი მოგზაურისა და მეცნიერის – იაკობ რაინეგის თქმით, მეგრელებს აქვთ საკუთარი ენა, რაც კავკასიური, ბერძნული და ქართული სიტყვების დიალექტების ნარევის წარმოადგენს. რაინეგს დასძენს, რომ ხალხის იმ შტოს, რომელიც თავის თავს და ქვეყანას ლეჩხუმს უწოდებს, ასევე მეგრელებს მიაკუთვნებენ: „მეგრული ენა იმ ხალხის ენაცაა და განსხვავდება ამჟამად მეგრელებისაგან თავისი

სახელწოდებით, თუმცა ზოგიერთები მიმტკიცებდნენ, რომ ეს არის ახალშენი ლიტმუს ხალხისა...” (რაინესი, 2002: 122).

მეცნიერი და მოგზაური ედუარდ აიხვალდი ამბობს, რომ სამეგრელოში ღვთისმსახურების ენა მეგრულისგან სრულიად განსხვავებული ქართული ენაა. ეკლესიაში ისინიც დადიან, რომლებმაც არ იციან ქართული. განსაკუთრებით ქალებს არ გაეგებათ ან ცოტა ესმით ქართული ენა.... მეგრულს არა აქვს საკუთარი დამწერლობა. აქაურები წერის დროს ქართულს იყენებენ. „მაგრამ ის მეგრული სიტყვების გამოსათქმელად არ უნდა იყოს საკმარისი“ (აიხვალდი, 2005: 190-191). აიხვალდი შენიშნავს, რომ საკუთარი დამწერლობა არა აქვს აგრეთვე აფხაზურს, ოსურს და ჩერქეზულ ენებს (იქვე: 191).

ვახუშტი აფხაზეთის ტერიტორიას განიხილავდა როგორც საქართველოს, ქართული სამყაროს განუყოფელ, ორგანულ ნაწილს. X საუკუნეში ქართლის, კახეთისა და აფხაზეთის გაერთიანებაზე მსჯელობისას შენიშნავს: „ბაგრატ მეფემან დაიპყრა ყოველი ესე ქვეყანა და შეაერთა კულად ქართლსავე, ვითარცა აფხაზეთი და ჰერკახნი, და ჰყო ყოველნი ერთ სამეფოდ თჳს მეფობასა შინა, და იყო ყოველი ესე ივერია ერთ სამეფოდ“ (ვახუშტი, IV, 1973: 700).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ დიდმა მეცნიერმა თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვისადმი მიძღვნილი თავი ნაშრომში ასე დაასათაურა: „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“. მას ეგრისი, აფხაზეთი და იმერეთი ერთი და იმავე ტერიტორიული სივრცის სინონიმურ სახელებად ესახებოდა.

რუსეთის მიზანმიმართული სეპარატისტული პოლიტიკით შეგულისანებული აფხაზი და რუსი ისტორიკოსები – ვ. არძინბა, თ. აჩუგბა, მ. თხაინუხოვი, ო. ბლაჟბა, ს. ლაკობა და სხვები უკანასკნელ წლებში ცდილობენ თავიანთი „მოსაზრებების“ მასობრივ ტირაჟირებასა და წერილობითი, ეთნოლოგიური და ტოპონიმიკური მასალების მოშველიებით აფხაზეთის ისტორიული წარსულის უცერემონიო გაყალბებას. პროპაგანდისტული აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ობიექტური კრიტიკა მოცემულია ზ. პაპასქირის, ს. ბახია-ოქრუშვილის, კ. კვაშილავას, ბ. ხორავას, ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას, თ. ბერაძის, თ. მიბჩუანის, ვ. ზუხბაიას, თ. გვანცელაძის, პ. ცხადაიას, კ. ოკუჯავას, ლ. ახალაძისა და სხვა ქართველ მკვლევ-

ვართა მრავალრიცხოვან ნაშრომებში. ამიტომ მათ მიმოხილვას აქ არ შევეუდგებით. მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ წერილობით წყაროებთან ერთად, ეთნოლოგიური და ონომასტიკური მონაცემებით ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე ორი ძირძველი ქართველური ტომის – სვანისა და ზანის (მეგრელი, კოლხი) მოსახლეობა მტკიცდება.

XVII საუკუნისათვის ენგურ-კოდორის შუამდინარეთის მოსახლეობის კოლხურობაზე მეტყველებს „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“, შედგენილი 1621 წელს, სადაც დასახელებულია სწორედ მეგრულენოვანი ონომასტიკონი. ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანია „ბიჭვინტის იადგარი“ (1525-1550 წწ.), სადაც ასევე მეგრულენოვანი ონომასტიკონია მითითებული (ქსძ, II, 1965: 179; ხორავა, 1996: 140-157, და იქვე მითითებული ლიტ-რა).

ამ ტერიტორიასა და საკუთრივ აფხაზეთში ეთნიკურად განსხვავებული მასის ჩამოსახლებასა და გაბატონებას შედეგად მოჰყვა აბორიგენი მოსახლეობის „გააფხაზება“ და ადგილობრივი ქართველურენოვანი ტოპონიმების ნაწილობრივ გაქრობა ან ფორმის შეცვლა, მაგრამ, მიუხედავად ეთნიკური პროცესების ცვლილებებისა და „გააფხაზების“ უკუქცევადი პროცესისა, აფხაზი თავად-აზნაურები მეტწილად მაინც ინარჩუნებდნენ ქართულ ენასა და ქართულ თვითშეგნებას. ვახუშტის ცნობა, რომ მისი დროის აფხაზებს „ენა საკუთარი თჳსი“ ჰქონდათ, მაგრამ წარჩინებულებმა იმავდროულად ქართულიც იცოდნენ (ვახუშტი, IV, 1973: 786), სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას.

თავი III

**ოღიშისა (სამეგრელოს)
და აფხაზეთის საეკლესიო
გეოგრაფიის საკითხები
ვანუშტის „აღწერაში“**

საეკლესიო ცხოვრების ჩამოყალიბებისა და განვითარების ქრონოლოგიური ზღვარის, მისი გავრცელების არეალის დადგენა და საეკლესიო ცხოვრების გეოგრაფიულ-ტერიტორიული დანაწილების შესწავლა საეკლესიო გეოგრაფიის სფეროს შეადგენს (ხარაძე, 2003:159).

ვახუშტი ბატონიშვილი მკაფიოდ განსაზღვრავს ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროების ტერიტორიაზე XVIII საუკუნის დასაწყისისათვის არსებული ეპარქიების ტერიტორიას. საეკლესიო საზღვრების მოკლედ განსაზღვრასთან ერთად მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს იმას, „არის თუ არა ესა თუ ის ეკლესია საეპისკოპოსო საყდარი და მოქმედია თუ არა ეს კათედრა“ (კუდავა, 2002: 110).

მეცნიერი „აღწერაში“ ოდიშ-აფხაზეთის საეკლესიო ორგანიზაციას შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: ორივე ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული ეკლესიურად აფხაზეთის კათალიკოსის დაქვემდებარებაშია. საკათალიკოსო დაყოფილია ეპარქიებად. მათ სათავეში ეპისკოპოსები დგანან. დაარსების ქრონოლოგიის მიხედვით უძველესია ბიჭვინთის საეპისკოპოსო, რასაც მოსდევს ცაიშის, ჭყონდიდის, მოქვის, დრანდის, ბედიის, წალენჯიხის საეპისკოპოსოები. ამასთანავე, ვახუშტი „აღწერაში“ არაფერს ამბობს დასავლეთ საქართველოს ძველ, „ბიზანტიურ“ კათედრებზე (ფაზისი, ძიგანევი).

თუკი ვახუშტის ცნობებს ოდიშ-აფხაზეთის ეპარქიათა ტერიტორიების შესახებ მისივე გეოგრაფიული აღწერის პრინციპით (ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ) მივუდგებით, საეკლესიო გეოგრაფიის თვალსაზრისით ასეთ სურათს მივიღებთ:

ჭყონდიდის ეპარქია: მდ. ცხენისწყლიდან უნაგირას მთამდე (ვახუშტი, 1973: 776);

ცაიშის ეპარქია: უნაგირას მთიდან (აღმ.) შავ ზღვამდე (დას.), მდ. ჭანისწყლიდან სამხრეთით, რიონამდე (იქვე: 778);

ნალენჯიხის ეპარქია: ჭანისწყალ-დადისწყლის შუამდინარეთი (იქვე: 778);

ბედიის ეპარქია: დადისწყალ-მოქვის შუამდინარეთი (იქვე: 780);

მოქვის ეპარქია: მოქვი-კოდორის შუამდინარეთი (იქვე: 780-781);

დრანდის ეპარქია: მდ. კოდორიდან ანაკოფიამდე (იქვე: 781).

ქვემოთ განვიხილავთ თითოეული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის – საეპისკოპოსოსა და აფხაზეთის საკათალიკოსოს საეკლესიო გეოგრაფიას. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებისა და სხვა სახის წერილობითი წყაროების, აგრეთვე ტოპონიმური მასალის მონაცემების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით, ასევე გეოგრაფიული პრინციპის გათვალისწინებით შევეცდებით, დაახლოებით განვსაზღვროთ, ან უფრო დავაზუსტოთ ვახუშტის მიერ ჩამოთვლილი ოდიშ-აფხაზეთის საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორია და საზღვრები.

ქვემოთ განვიხილავთ საეპარქიო ცენტრების გეოგრაფიას, არა მათი დაარსების ქრონოლოგიის, არამედ ვახუშტისეული გეოგრაფიული აღწერის პრინციპით: სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

ჭყონდიდის ეპარქიის საზღვრები. „მატიანე ქართლისაჲში“ დაცული ცნობის თანახმად ჭყონდიდის საეპისკოპოსოს დაარსება ეგრის-აფხაზეთის მეფის, ლეონიდების დინასტიის წარმომადგენლის – გიორგი II-ის მოღვაწეობის პერიოდს (დაახლ. 922-957 წწ.) უკავშირდება. ის იყო დიდი საეკლესიო პოლიტიკის გამტარებელი, „ღმრთის-მოყუარე“, „უმეტეს ყოველთა მაშენებელი ეკლესიათა“, რომელმაც „განაგნა და განაწყუნა ყოველნი საქმენი მამულსა და სამეფოსა მისსა: ალაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტულთათა“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 265). მატიანის უცნობი ავტორი გვანჯდის ცნობებს სამი საეპისკოპოსოს (ჭყონდიდი, მოქვი, ბედია) დაარსების შესახებ. ახლად დაარსებულ საეკლესიო კათედრებს შორის ყველაზე ადრეული ჭყონდიდისა იყო.

ჭყონდიდის კათედრა წარმოადგენდა ფაზისის სამიტროპოლიტოს სამართალმემკვიდრეს. აღნიშნული ფაქტი განაპირობებდა იმას, რომ ჭყონდიდი მთელი საქართველოს მასშტაბით უპირველესი კათედრა

იყო ერთიანი ქართული მონარქიის არსებობის პერიოდშიც (კუდავა, 2002: 113).

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კონსტანტინოპოლზე დაქვემდებარების პერიოდში პატივის თანმიმდევრობით ფაზისელი პირველი მღვდელმთავარი იყო დასავლეთ საქართველოში და მიტროპოლიტის წოდებით იქვემდებარებდა ოთხ საეპისკოპოსოსს (როდოპოლისისას, ცაიშისას, ძილანევისას, პეტრასას), მისი ჭყონდიდის საეკლესიო კათედრით ჩანაცვლების შემდეგ ფაზისის სამიტროპოლიტოს ტერიტორიული მემკვიდრეობა და ფაზისელის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი – პატივი, ბუნებრივია, ჭყონდიდსა და ჭყონდიდელზე უნდა გადასულიყო (მჭედლიძე, კეზევაძე, 2008: 102). ასეთი უპირატესობა ჭყონდიდს არც მომდევნო პერიოდში დაუკარგავს.

საკმაოდ საინტერესო და მრავლისმომცველი ინფორმაციის შემცველია ვახუშტის შემდეგი ლაკონიური ცნობა: „ბანძას ზეით და ცხენისწყლის დასავლით, და მისი მჭურეტი, მალალს ადგილზედ, არს ჭყონდიდი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, მარტვირისა. ეს ალაშენა ღმერთმან აფხაზთამან გიორგიმ და შეამკო ყოვლითა შემკობილებითა საეკლესიოსათა. დაფლული არს მეფე ბაგრატ. ამანვე დასვა მუნ ეპისკოპოზი, და ანცა არს მწყემსი უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენისწყლამდე“ (ვახუშტი IV, 1973: 776).

მეცნიერებს გარკვეული აქვთ, რომ ვახუშტი თავის ფუნდამენტურ ნაშრომზე მუშაობის დროისათვის უკვე იცნობდა და კიდევ იყენებდა წინამორბედ მემატრიანეთა, მათ შორის ჯუანშერისა და „მატიანე ქართლისას“ ავტორის ცნობებს. ჭყონდიდის მონასტრის აშენებისა და ხელმეორედ აღდგენის შესახებ ვახუშტისეული ინფორმაცია და მეფე გიორგის სახელთან მისი დაკავშირება, სხვა მრავალ ცნობასთან ერთად, სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 55).

დასავლეთ საქართველოში ქართული საეკლესიო კათედრების დაარსების პერიოდისათვის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ თანადროული წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას შემდეგ, რაც ჭყონდიდის ქართული კათედრა ჩაენაცვლა ფაზისის ბიზანტიურ კათედრას, ამ უკანასკნელის ტერიტორიული მემკვიდრეობაც ჭყონდიდზე უნდა გადასულიყო. მაგრამ რა ტერიტორიას მოიცავდა ფაზისის სამიტროპოლიტო? რა ქონება და ტერიტორია შეიძინა მისგან ჭყონდიდის საე-

პისკოპოსომ? სათანადო საისტორიო წყაროების უქონლობის გამო ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია, მაგრამ სხვადასხვა ფაქტის ლოგიკური ინტერპრეტაციით გარკვეული ვარაუდის დაშვება შესაძლებელია.

იმის გასარკვევად, თუ რა მოცულობისა იყო ჭყონდიდის საეპისკოპოსოს ქვეშ ნაგულისხმევი ტერიტორია, უნდა დადგინდეს ეპარქიის დაარსების თანადროული (X ს. შუა წლები), ან წინარე პერიოდის ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონაცემების პერიპეტეხები.

სამეფოს ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ძირითადად ძველი საეკლესიო კათედრების ახლით ჩანაცვლების ფორმალური აქტის შედეგს წარმოადგენდა. ახალმა ფეოდალურმა ხანამ ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრები წარმოშვა. საჭირო გახდა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, რასაც შედეგად მოჰყვა ძველი, დრონასული, შინაარსს მოკლებული და დაკნინებული საეპისკოპოსოების გაუქმება და ახლით ჩანაცვლება (ბერძენიშვილი, 1990: 526).

ამასთანავე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ საგულისხმო გარემოებას, რომ შუა საუკუნეებში რეგიონებისა და საეკლესიო ეპარქიების ტერიტორიული სივრცე კონსერვატორული იყო და იშვიათად იცვლებოდა (კუდავა, 2002: 112; მჭედლიძე, კეზევაძე, 2008: 80), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჭყონდიდის ეპარქიის ქვეშ ნაგულისხმევი ტერიტორიის მოცულობა, ალბათ, ემთხვეოდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოს იმჟამინდელი ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკით განსაზღვრულ თუ დადგენილ გარკვეულ ტერიტორიულ სივრცეს. თუკი დავაკონკრეტებთ, ტერიტორიულ სივრცეში ვგულისხმობთ ეპარქიის დაარსების თანადროულ (X ს. შუა ხანა) ან წინარე პერიოდში, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე არსებულ ერთი რომელიმე საერისთავო ქვეყნის ტერიტორიას.

მკვლევარ ბუბა კუდავას მართებული დაკვირვებით, საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულის – ეპარქიის ტერიტორიული მონაცემებისა და ჩამოყალიბება დიდწილად სწორედ გეოგრაფიულ გარემოზე (სპეციფიკაზე) იყო დამოკიდებული: „ისევე როგორც პოლიტიკურ გეოგრაფიაზე ახდენს დიდ გავლენას გეოგრაფიული ფაქტორები, ან როგორც პოლიტიკური ფაქტორები ზემოქმედებენ საეკლესიო გეო-

გრაფიაზე. მართლაც, ვახუშტის ცნობებში აშკარად შეიმჩნევა ერთი კანონზომიერება – დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოთა საზღვრები ძირითადად მდინარეებზე გადის. ასეთი სურათი ჩანს ძირითადად კოლხეთის დაბლობზე – აფხაზეთის, ოდიშისა და გურიის ტერიტორიებზე, ანუ იქ, სადაც ეპარქიათა შორის არსებული „სასაზღვრო“ მდინარეები ძირითადად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩაედინებიან ზღვაში (ან უერთდებიან რიონს – დასავლეთ საქართველოს მთავარ მდინარეს) და მდინარეებს შორის ტერიტორიებზე ასეთი ისე განცალკევებული ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნისა“ თუ საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიან“ (კუდავა, 2002: 111).

ქუთაისის საეპისკოპოსოს დასავლეთი საზღვარი ცხენისწყალზე გადიოდა (მჭედლიძე, კეზევაძე, 2008: 80-82). მაშასადამე, ჭყონდიდელისა და ქუთათელის სამწყსოს შორის საზღვარი ცხენისწყალი იყო.

ფიქრობენ, რომ XI საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში კათედრათა „მოცვლის“ პროცესი დასრულებულია, ანუ ეს ის პერიოდია, როცა არ არსებობდა ვახუშტის მიერ მოხსენიებული წალენჯიხის, ნიკორწმინდის, ხონის, გელათის, ჯუმათის, შემოქმედის, ხინოს საეპისკოპოსოები (ისინი დაარსდა XV-XVII საუკუნეებში) და, შესაბამისად მათი ტერიტორიებიც უფრო ძველი კათედრების (დრანდა, მოქვი, ბედია...) სამწყსოებში შედიოდა (კუდავა, 2002: 114-115). ჭყონდიდელის სამწყსო, ამ დროისათვის, ბ. კუდავას ვარაუდით, უნდა ვიგულისხმოთ უნაგირას ქედიდან (ან მდ. ჭანისწყლიდან, მდ. ხობიდან) ცხენისწყლამდე, ხოლო სამხრეთით – რიონამდე. დასავლეთით მას ცაიშის ეპარქია საზღვრავდა (იქვე: 115).

საჭყონდიდლოს ტერიტორიის განსაზღვრის თვალსაზრისით ვახუშტის ნაშრომში მოცემულ ცნობას მნიშვნელოვნად ავსებს ოდიშის მთავარ ბეჟან დადიანის (1714-1728 წწ.) მიერ სუჯუნის ეკლესიისათვის მიწების შეწირულობის წიგნი, რაც ჩვენ გამოვაქვეყნეთ 2011 წელს. მასში დაზუსტებითაა მოცემული საჭყონდიდლოს საეკლესიო ერთეულის საზღვრები. დოკუმენტი დათარიღებული არ არის, თუმცა ბოლოს დასმულ ბეჭედში იკითხება 1717 წელი: „...განვაახლეთ. დავთარი ესე. და შევსწირეთ შენს:. სუჯუნის ეკლესიას წმინდის გიორგისას. და გიძღვენით შენ. დედაო მაცხოვრისა:.. **ცხენის წყლის რიონის შესაყარიდამ გაღმართში. კუკუთი. ცხეპიჯი. უჩა ღელიდგან. ფი-**

ჩორს აქეთი. ანჯელი და სამარღანაო სრულად: რიონს გამოღმა. სირიაჩქონის თავის პირდაპირ: დაბლა ისულას რიონს ღელე ჩაერთვის. ღალუჩა ქვიან. კ~თის ტყეს შუაზედ გამოივლის. ონტყოროს ტბიდგან გავა. ტეხურამდის მოანევს და იმას აქეთ. ან ტეხურს გამოღმა. ბერულალუ რომ ტეხურს ჩაერთვის იქედამ და იწყება. წმინდის. სტეფანეს საყდარს აქეთ: ნოსირის ენერში შუაზედ უჩა ღელე რომ გაივლის. გეჯეთისა და წყემის საზღვარს აქეთ. და სულირს. აქეთ აბაშის წყლამდის: დიდის გამოძიებით გამოვიკვლიეთ. და თუ ვისმე უდროობით ეჭირა... ხელი ავალღებინეთ და... შენს დიდებულს ეკლესიას შევსწირეთ“ (კეკელია..., „მხარეთმცოდნე, II“, 2011: 46-47; მისივე, „ქ. მ.“, XVI, 2012: 98-99).

აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ცხენისწყლისა და რიონის შესართავიდან ტეხურ-ბერულალის შესართავამდე (სოფ. ნოსირი) მდებარე ტერიტორია მარტვილის ეკლესიისადმი ყოფილა შეწირული, ნაწილი კი ჭილაძეს შეუწირავს. მოგვიანებით ბეჟან დადიანს და მისი ოჯახის წევრებს ძველი დავთრები განუახლებიათ და საეკლესიო მამულის საზღვრები დაუდგენიათ. დოკუმენტში მოცემული აღწერილობა თითქმის მთლიანად მოიცავს ახლანდელი აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას და სენაკის მუნიციპალიტეტის მცირე ნაწილს. კერძოდ, ირკვევა, რომ საეკლესიო მამულის დასავლეთი საზღვარი ტეხურამდე აღწევდა და ტეხურსგამოღმა, წმ. სტეფანეს ტაძრამდე ვრცელდებოდა. ნოსირის ჩრდილოეთით, საეკლესიო მამულის დასავლეთი საზღვარი სულირზე გადიოდა და „გეჯეთისა და წყემის საზღვარს აქეთ... აბაშის წყლამდის“ ვრცელდებოდა (იქვე; მისივე, „ქ. მ.“ XVI, 2012: 99).

კ. ბოროზდინი აღნიშნავს, რომ მწყემსმთავარი ფლობდა უზარმაზარ საეკლესიო მამულს მთელს სამეგრელოში, მაგრამ უმთავრესი ნაწილი 3000 კომლზე მეტი გლეხით, მდებარეობდა მდინარეებს – აბაშას, ტეხურსა და რიონს შორის. საჭყონდიდლოს „შუაგული სოფელი“ ანუ სარეზიდენციო კერა იყო სუჯუნა (ბოროზდინი, 1934: 79-80).

საჭყონდიდლოს საზღვრებს მოგვიანებით შეეხო მკვლევარი იოსებ ყიფშიძე. მისი განმარტებით „სა-ჭყონდიდო – название округа около Мартвильского монастыря, части Сенакского уезда“ (ყიფშიძე, 1914).

1871 წლის „აღწერის“ მონაცემებით საჭყონდიდლო მამულად ითვლებოდა ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტის (ძველი საჭილაო)

სოფლები – სუჯუნა, კოდორი, აბაშა, სეფიეთი, ონტოფუ, კადარი, მაცხოვრის კარი, ნალიკარი და ზანათი (ზსიემ, №6494/18). იმავე „აღწერის“ მასალებიდან ირკვევა, რომ საჭყონდიდლოს მეორე საეკლესიო მამული მარტვილის ტაძრის შემოგარენში მდებარე სოფლებს – მარტვილს, ინჩხურს (ნანილობრივ), საელიავოს, ნახარებუსა და ნაგვაზუს (ნანილობრივ) აერთიანებდა (იქვე). „აღწერის“ შემდგენელი მას უწოდებს „ზეით მარტვილის მხარეზედ საეკლესიოდ მიჩენილს“.

ვახუშტის, გიულდენშტედტის, კ. ბოროზდინისა და ი. ყიფშიძის, აგრეთვე XIX საუკუნის რამდენიმე საარქივო დოკუმენტის გაანალიზების საფუძველზე, გ. ელიავა საჭყონდიდლოდ წოდებული საეკლესიო საუფლოს შემადგენლობაში აქცევდა აბაშისა და მარტვილის (ყოფილი გეგეჭკორის) რაიონების ტერიტორიას და სენაკის რაიონის ტერიტორიის ნაწილს (ელიავა, 1969: 5-6). ამასთანავე, მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებდა ვახუშტის ცნობის სისწორეს საჭყონდიდლოს დასავლეთის საზღვრად უნაგირას მიჩნევის შესახებ, ვინაიდან, გ. ელიავას მოსაზრებით, საჭყონდიდლოდ სახელდებულ ტერიტორიულ ერთეულში ვახუშტი გულისხმობდა არა მთლიანად უნაგირას, კერძოდ, მასში შემავალი სახარბედიოსა და ეკის მთებით, არამედ უნაგირას, ვიდრე ნოქალაქევამდე. გ. ელიავას მოსაზრებით, ტეხურისპირეთი ნოქალაქევის ქვემოთ უკვე სალიპარტიანოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო, ე. ი. სალიპარტიანოსა და საჭყონდიდლოს გამყოფად და ამ უკანასკნელის დასავლეთ საზღვრად მკვლევარი ტეხურს ვარაუდობდა (ელიავა, 1969: 8-9).

სალიპარტიანო-საჭყონდიდლოს გამყოფი საზღვრის შესახებ გ. ელიავას თვალსაზრისი დაზუსტებას საჭიროებს. ქართველ მკვლევართა მიერ უკვე გარკვეულია, რომ ფეოდალური ერთეული სალიპარტიანოს სახელწოდებით გაცილებით ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე ეს გ. ელიავას მიერ არის შემოსაზღვრული (კეკელია, „ქ. მ.“ XVI, 2012: 100). სალიპარტიანოს ფეოდალური ერთეულის საზღვრების შესახებ არსებული ნარატიული წყაროების შეჯერებით ირკვევა, რომ ლიპარტიანები მამულებს ფლობდნენ საჭყონდიდლოს ტერიტორიაზეც.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საუფლისწულო და სათავადო მამულების საზღვრები ხშირად არ ემთხვეოდა საეკლესიო მამულის საზღვრებს. ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური

ცვლილებები, ბუნებრივია, განაპირობებდა იმას, რომ იცვლებოდა საეკლესიო და სათავადო-საუფლისწულო მამულების საზღვრებიც (იქვე: 100-101). ამ საკითხზე თავის დროზე ყურადღებას ამახვილებდა გ. ელიავა და სავსებით მართებულად შენიშნავდა: საჭყონდილოში სათავადო, საბატონიშვილო მამულების არსებობის მიუხედავად, აბაშის ხეობის ეს ერთადერთი სამეურნეო-პოლიტიკური და ტერიტორიული ერთეული მაინც განუყოფლად მიიჩნეოდა და მთავართა და თავადთათვის ხელმიუწვდომელი იყო (ელიავა, 1969: 8). ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, ბუნებრივია, განაპირობებდა იმას, რომ იცვლებოდა საეკლესიო და სათავადო-საუფლისწულო მამულების საზღვრებიც, რაც თვალსაჩინოდ დასტურდება ჭყონდიდის საეპისკოპოსოს შესახებ არსებული და ჩვენ მიერ ნაწილობრივ განხილული წერილობითი წყაროებითაც.

ცაიშის ეპარქიის საზღვრები. ვახუშტი ცაიშის ეპისკოპოსის სამწყსოს შესახებ წერს: „ამ წყალზედ (ჭანისწყალზე – ი. კ.), ჩდილოს კიდესა ზედა... არს ეკლესია ჩაისს, დიდი, გუნბათიანი, კეთილმენი და შემკული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ წყლის სამჭრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონ(ა)-ზღვადმდე“ (ვახუშტი, IV, 1973: 778).

ცაიში წარმოადგენდა საეპისკოპოსო კათედრალს, რასაც მოწმობს VII ს-ის დამდეგით დათარიღებულ ბერძნულენოვან წყაროში, კერძოდ, გიორგი კვიპროსელის მიერ 602-610 წლებს შორის შედგენილ საეპისკოპოსო კათედრათა ნუსხაში, სოფლის სახელწოდების მოხსენიება საისის ფორმით. ასევე IX ს-ის დამდეგს ბიზანტიელი მემათიანის – ბასილი სოფენელის მიერ შედგენილ თხზულებაში ლაზიკის ეპარქიის ეპისკოპოსთა შორის იხსენიება აბისსენთა ეპისკოპოსი (გეორგიკა, IV, 1952: 142).

ისტორიკოსი ბუბა კუდავა დასავლეთ საქართველოში საეკლესიო კათედრათა „მოცვლის“ პროცესის, ანუ XI ს-ის შემდეგი პერიოდის ვითარების გათვალისწინებით, ფიქრობს, რომ ზემო სვანეთი (ენგურის ხეობა) ცაიშის ეპარქიაში შედიოდა; ამასთანავე, წერს, რომ იგი ვრცელდებოდა მდ. გაგიდადან (ან ენგურიდან) უნაგირას ქედამდე (ან მდ. ჭანისწყლამდე, მდ. ხობამდე). ქვემო სვანეთსა და ლეჩხუმს – ცხენისწყლის ხეობის ზემო და შუა წელს მკვლევარი ცაგერის ეპარქიაში გულისხმობს და არც იმას გამორიცხავს, რომ ზემო სვანეთის

ნანილიც, კერძოდ, ენგურის ხეობის სათავეები ცაგერელი ეპისკოპოსის სამწყსო ყოფილიყო (კუდავა, 2002: 115-116).

ვახუშტი ცაიშის ეპისკოპოსის სამწყსოს განსაზღვრავს ხობისწყლის სამხრეთით „უნაგირამდე და რიონ(ა)-ზღვადმდე“. საცაიშლოს საზღვრების ზუსტი დადგენა ისტორიული წყაროების სიმწირის გამო ვერ ხერხდება. ამიტომ მართებულად მიგვაჩნია მკვლევარ დ. ჭითანავას მსჯელობა, რომ ეპარქიის საზღვრების ხშირი ცვალებადობის გამო, რაც მეზობელ ეპარქიებთან დავის საგანიც ხდებოდა ხოლმე, აღნიშნული საკითხი ცალკეული ეპოქების მიხედვით უნდა იქნას განხილული (ჭითანავა, 2010: 100-101).

1614 წლის მიწისძვრის დროს დანგრეული ცაიშის ტაძარი 1619 წლამდე აღუდგენია მალაქია გურიელს – აფხაზეთის კათალიკოსს, რომელიც იმავდროულად ცაიშელიც იყო, და აღუდგენია საცაიშლოს უწინდელი საზღვრებიც. მისი ღვანლის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული 1616-1621 წლებში შედგენილ „საცაიშლო გამოსავლის დავთარში“, სადაც ვკითხულობთ: „დავანერინე გუჯარი ესე... ცაიშის ეკლესიისა და გარემო სოფლებისა საზღურები, ვინადგან დავთრები გ(ა)ნრყუნილ იყო. ზურგდიდისაკენ ანარიას ღელეს აქეთ, მდინარის ჩასართავამდის დარჩელისა და ჩოხათის სოფლისა ჭალას სოფელს სათემოს გზას დაბლა ხეთისაკენ, ბარცხილას ღელეს აქეთ ცაიშის ეკლესიისა და იქეთი საერთო საცაიშლო კაცისა და ქო(რ)თ(ო)ძის საყმოსი მთიან ბარიანათ ურთის სოფლისა სათემოს გზას აქეთ ეწრიან საყანიანათ საცაიშლო სოფლების გარდასახადი ამ საერთო გუჯარშიდ სცანით, აგრევე საკათალიკოზო ჯგალისა და მისი ადგილ მამულის საზღურისა და გარდასახადისა“ (კაკაბაძე, 1913: 41). „საცაიშლო გამოსავლის დავთარში“ დასახელებულია აგრეთვე ის სოფლები, რაც ცაიშელის სამწყსოს შეადგენდა XVII ს-ის I მეოთხედისათვის. ესენია: თეკლათი, დარჩელი, ჩოხათი, ჭალა, ჯგალი, ჯორიელი, წყარიგზა// წყარიძგა, ხეთა („ხევთა“) და საკუთრივ ცაიში (იქვე: 12, 28, 37, 42, 43, 44-45).

ცაიშში საეპისკოპოსო კათედრის აღდგენასთან დაკავშირებით 1777 წელს შედგენილ სიგელში აღნიშნულია, რომ ეპისკოპოსად გრიგოლ ჩიქოვანის კურთხევის დროს (1777 წელს) საეპისკოპოსოს ძველი საზღვრები ოდიშის მთავარ კაცია II დადიანს (1745-1788 წწ.) დაუდგენია: „რაიცა ვპოვე საზღვარ დებულოება მისი, თვისის საზღვრით

ყმანიცა ეკლესიისა შენისანი განგისაკუთრეთ და რლიცა მაშინ ვერ ვპოვეთ ჟამ დრო ცვლილებისაგან, შემდგომთა ძეთა ტახტისა ჩვენისა მპყრობელთა ვარწმუნეთ ზრუნვად და გამოძიებად, ვინათგან იგინიცა მფარველობასა შენსა ადგილნი შენნი ყლინვე და სამწყსოცა შენისა ეკლესიისა **ხობის წყალს გაღმართი** (ხაზგასმა ჩემია – ი. კ.) და ესრეთ განვათავისუფლეთ შენი ეკლესია, რომე ლაშქრობის მეტი სხვა ჩვენი სამსახური, არც საური, არც სხვა გადასახადი რამე, არც მუშაობა, არც ცხენის ჩაბმა არაფერი ჩვენგან ეთხოვებოდეს რა...“ (კაკაბაძე, II, 1921: 176-177).

აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული ზოგადი ხასიათის ცნობას ეპარქიის ტერიტორიაზე („ხობის წყალს გაღმართი“) ავსებს კაცია II დადიანის განჩინება ცაიშის ეკლესიის ყმა-მამულის საქმეზე, რაც ასევე გრიგოლ ჩიქოვანის (ცაიშელის) ეპისკოპოსობის პერიოდშია (1777-1788 წწ.) დანერილი: „ქ. ჩემი ბრძანება ეს არის: ყოვლად სამღუდელო მიტროპოლიტი გრიგოლ მისის ეკლესიის ალაგ-მამულის კაცის გამოკვლევას რომ შეგვეხვეწა, დავთარი არ ქონდა და რომელიც აქა-იქ გამოვიკვლიეთ, ასე განვანესეთ.

ჭვედირი საყანე იდავეს ჯუმს გაღმა და გამოღმა. ჯუმს გაღმართი ცაიშის ეკლესიას ჩვენ ჩვენის გამოძიებით დავანებეთ. და რომელიც მისის ეკლესიის სიახლოვეს ჭვედირის თავი იყო გამოღმა, ისიც საზღვარი დავსდევით და ისე დავანებეთ. ამაების ყველასი მოაშორე იყვნენ კობახიძენი, მაგრამ ჩვენ ასე ვინებეთ და ასე გავარიგეთ.

ქ. სხვა გამოღმა, ჭვედირი რომელიც დარჩა, წამოდგეს ექვსმა კაცმა თავმა კობახიძემ და ასე დაიფიცოს: „ეს ჭვედირი არასდროს არას მებატონისგან ცაიშის ეკლესიას არ შესწიროდეს, თუ ასე იფიცოს კობახიძენმა, კარგი, თორემ ჭვედირი ეკლესიას დარჩეს.

ქ. სხვა გაბულაიების წამოსახლი რომ ბრძანა ცაიშელმან, ის მოურავის კაცი ყოფილა და მოურავი არ ემოწმა და ვერ იდავეს. და რომელიც მამული დედოფალმან უბოძა ცაიშელს, ის ცაიშელს ქონდეს, სხვაში არ ქონებია.

ქ. ნასაჯოგუ რომ იდ[ე]ვა ცაიშელმან, რომელიც ჯოლორია კობახიძემ იტეხე, სახატო ყოფილა და მისია, და რომელიც არ იტეხა ნასაჯოგუში, წამოდგეს თვითონ ჯოლორია და ორი მისი ტოლი კაცი თან ჩაიტანოს და სამმა ასე დაიფიცოს: „ნასაჯოგუ რაც სადადიანო არ არის, საეკლესიო არ ყოფილიყოს და არ ცაიშის ეკლესიის

შენიშნულობის ყოფილიყოს“. თუ ასე უფიცოს, ცაიშელი რა ემართ-
ლება? თუ ვერ უფიცოს, ცაიშის ეკლესიის ყოფილა და ეკლესიას
ქონდეს ნასაჯოგუ.

ქ. აფაქიძე რომ სახლობს, ის ალაგ-მამული რომ იდევა ცაიშელ-
მა – „კაცი ჩემია და ალაგ-მამული ეკლესიის არის“. და აფაქიძის
ალაგ-მამული ეკლესიას ქონდეს. მიწისა და ალაგ-მამულის საქმე ასე
გაგვირიგებია.

ქ. ჩემი მეკამბეჩე რომ იდევა ცაიშელმან, განაყოფები სჩანს და
სამართლით ეკლესიას დავარჩინეთ. და ის ძველთაგან მეკამბეჩე
ყოფ[ილ]ა, ვერ მივსცემთ, და [რაც] ერთი კაცის სული არის, იმდენი
კაცი სული ამ მეკამბეჩის მაგიერი ჩვენგან მიერთვას ცაიშის ეკლესი-
ას.

ქ. არზაყანის შვილის გიორგი კობახიძის ფიცი რომ იდევა ცაი-
შელმა თავის ეკლესიისათვის, მართალია, მისი ყოფილა, მაგრამ
მამა-პაპა მისს უსჯულოსაგან დახსნილი ყოლია კობახიძეს, მისი
მოურავი მაციციაც ემონმა. და ჩვენ ასე გაგვირიგებია: ეკლესიას
როგორც მსახურებდეს, ისე ემსახუროს და კაცი კობახიძეს ყავდეს,
ამისთვის რომ უსჯულოსაგან დახსნილი ყოფილა ძველთაგან.

ქ. ქორთაძის კაცი რომ იდევა ცაიშელმა, აფხაზეთს დაკარგუ-
ლია ის კაცი; დადიანმან და ცაიშელმა ამოიყვანოს და, რომელსაც
სიმართლით დარჩეს, მას ყავდეს. დადიანი კაცია“ (ქსძ, V, 1974: 444-
445).

დოკუმენტში დაფიქსირებული ტოპონიმების – **ჭვედირის//ჭვიდი-
რისა** და **ნასაჯოგუს** ლოკალიზაცია გვაძლევს იმის შესაძლებლობას,
რომ ცაიშის საეპისკოპოსოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის დად-
გენა შევძლოთ.

ჭვედირი ეწოდება ფართო ვაკე-სახნავებს ჯუმის ორივე ნაპირას.
მარცხენა ნაპირი სოფ. ცაცხვის შემადგენლობაშია, მარჯვენა კი –
სოფ. ჩხოუმს ეკუთვნის (ორივე ზუგდიდის მუნიციპალიტეტშია). ტე-
რიტორიის ერთი ნაწილი საზიაროა სოფელ დიდი ნედის კახათთან,
რაც ჩხოუშიისა და ჯუმის მარცხენა ნაპირას, ცაიშის დასავლეთით
მდებარეობს.

ნასაჯოგუ ეწოდება ტყეს ცაიშში, ურთის მთაზე. ზუგდიდის მუ-
ზეუმის ხელნაწერ მასალათა ფონდში დაცული ერთი საბუთის თა-

ნახმად, რაც 1832 წლით თარიღდება, „ნასაჯოგუ“ სადავო ყოფილა ცაიშელსა და კობახიძეს შორის (ტულუში, 2001).

საეპისკოპოსოს საზღვრებზე მსჯელობა მოცემულია მკვლევარ გიორგი კალანდიას ნაშრომში. მისი ვარაუდით, აღმოსავლეთი საზღვარი შესაძლებელია მდ. აბაშაზე, ან ცოტა დასავლეთით – ტეხურზე გადიოდა. სამხრეთი საზღვარი რიონის ქვემო წელს მიუყვებოდა სუჯუნდანი („იქ, სადაც მდინარე აბაშა უერთდება მდინარე რიონს“) შავ ზღვამდე. ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი კი XVII ს-ში ალბათ ოდიშის პოლიტიკურ საზღვარს ემთხვეოდა და სვანეთ-ლეჩხუმ-ოდიშის საზღვრამდე, კერძოდ, ცაგერის საეპისკოპოსოს დასაწყისამდე ვრცელდებოდა. რაც შეეხება ჩრდილოეთ საზღვარს, გ. კალანდიას მსჯელობით, ვინაიდან ვახუშტი სვანეთის აღწერისას არ ასახელებს ამ კუთხის ეპისკოპოსებს, ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ ერთი სიგელის თანახმად ცაიშელი ეპისკოპოსი დანიელი ლაფსყელდაშის მთავარანგელოზის მაკურთხებლად დასახელებული (ქსდ, III, 1973: 173). სადადეშქელიანო სვანეთსაც XVII საუკუნისათვის, ან უფრო ადრე, ცაიშის ეპისკოპოსის კუთვნილებად, მის სამწყსოდ მიიჩნევს (კალანდია, 2004: 59; ტულუში „დ. მ.“, №62, 1983: 36; მისივე, 2001: 9-10, 19-20). ამ მოსაზრების სასარგებლოდ გ. კალანდია მიიჩნევს XVII ს-ის უცხოურ წყაროს, რომლის მიხედვით სადადეშქელიანო სვანეთი (ზემო სვანეთი) ცაიშელი ეპისკოპოსის სამწყსოს წარმოადგენდა (იქვე: 59). მკვლევარი არ მიუთითებს, თუ XVII ს-ით დათარიღებულ რომელ უცხოურ წყაროს ეყრდნობა ცაიშის საეპისკოპოსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე მსჯელობისას, მაგრამ, აშკარაა, რომ აქ იგულისხმება პატრიარქ მაკარიოსის (1648-1672 წწ.) შემდეგი ცნობა: „სვანებს ჰყავთ ორი ეპისკოპოსი – ცაგერელი (скурилийски) და ცაიშელი (Джаисели), რომლებიც მხოლოდღა ფორმალურად ითვლებიან მათ მწყემსებად“ (Жузе 1905: 42). ჩანს, რომ გ. კალანდიას თვალსაზრისი ცაიშის საეპისკოპოსოს ჩრდილოეთ საზღვარზე მსჯელობისას, ავტორის მიუთითებლად, ემყარება აბესალომ ტულუშის ნაშრომებს (ტულუში, დ. მ., №62, 1983: 36; მისივე, 2001: 9-10, 19-20).

არც ერთი წერილობითი წყაროთი, ტოპონიმიკური თუ სხვა სახის მონაცემებით არ დასტურდება, რომ ცაიშის საეპისკოპოსოს აღმოსავლეთი საზღვარი დროის რალაც მონაკვეთშიც კი, მდ. აბა-

შამდე აღწევდა. რაც შეეხება ვახუშტის ცნობას, რომ ცაიშის ეპისკოპოსი იყო „მწყემსი ამ წყლის სამხრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონ(ა)-ზღვამდე“, უნაგირაში აბაშა-ტეხურის წყალგამყოფი ქედის სწორედ ის ნაწილი უნდა იგულისხმებოდეს, რაც ნაქალაქევის თანამედროვე ხიდს ქვემოთ, ტეხურის მარჯვენა მხარესაა აღმართული. უნაგირას აღმოსავლეთი მხარე ნაქალაქევს ზემოთ, ვიდრე ცხენისწყლამდე, ვახუშტის ცნობით, ჭყონდიდის საეპისკოპოსოს შემადგენლობაშია („ანცა არს მწყემსი უნაგირას აღმოსავლეთისა ცხენისწყლამდე“). ვახუშტის აღწერით, უნაგირა ეწოდება მთას, რაც „ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს... კავკასამდე, ტყიანი და ნადირიანი“. უნაგირა აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფი ქედის სახელწოდებაა, რაც რამდენიმე მთის – დადიაშ ნატახტუს, ნაქალაქევის, აბედათისა და კალამონას კრებსითი სახელწოდებაა. ეს მთები ერთმანეთისაგან უნაგირისებური დადაბლებებითაა გამოყოფილი. ნაქალაქევის ციხესთან ტეხური უნაგირას ორ ნაწილად ყოფს. ტეხურის მარჯვენა მხარეს აღმართული მთა აღწევს სოფ. თეკლათამდე, მდ. ციის ხეობამდე. ამდენად, ვახუშტი ცდება, როცა წერს, რომ უნაგირას მთა ტეხურის „დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს“-ო. ეს მთა იწყება თეკლათთან და, ამასთანავე, ყოველთვის როდი მიუყვება ტეხურის მარჯვენა სანაპიროს (მარუაშვილი, 1964: 231).

ცაიშის ეპარქიის საზღვრებზე მსჯელობისას პირველ ყოვლისა გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ როდის დაარსდა ვახუშტისთან მოხსენიებული წალენჯიხის საეპისკოპოსო. იგივე ითქმის ხობის საეპისკოპოსოზე, რასაც მეცნიერი არ მოიხსენიებს. ამ ორი საეპისკოპოსოს დაარსების თარიღის მიახლოებითი განსაზღვრა დაგვეხმარება იმის გარკვევაში, უნდა ვიგულისხმოთ თუ არა წალენჯიხისა და ხობის საეპისკოპოსოების დაარსებამდე მათი ტერიტორია ცაიშის ეპარქიის ტერიტორიულ შემადგენლობაში.

ვახუშტის აღწერით, საცაიშლოს დასავლეთი საზღვარი XVII ს-ის შემდგომ, სავარაუდოდ, ენგურს მიუყვებოდა, ჩრდილოეთით კი ეგრისის ქედის სამხრეთი კალთების ტერიტორიასაც ფლობდა. სამხრეთით ხობის საეპისკოპოსო („სახობო“) ესაზღვრებოდა, ხოლო ამ უკანასკნელის დაარსებამდე (ხობის საეპისკოპოსოს არსებობაზე პირველი ცნობა XIV ს-ით თარიღდება) საცაიშლოს ტერიტორია რიონის მარჯვენა ნაპირამდე ვრცელდებოდა. XII-XIV სს-ში სვანეთიც ცაიშელის

სამფლობელოს წარმოადგენდა. XVII ს. 40-იანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, რაც ლევან II დადიანის თაოსნობით დაფუძნდა წალენჯიხის საეპისკოპოსო, ცაიშელის სამწყსოს ჩრდილოეთმა საზღვარმა ეგრისის ქედიდან სამხრეთით გადმოინაცვლა. ვახუშტის ცნობით, წალენჯიხელი ფლობდა ტერიტორიას „ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორის ადგილთა, კავკასიდამ ზღუამდე“ (ვახუშტი, IV, 1973: 778). მემათიანე „კავკასში“ გულისხმობს სწორედ ეგრისის ქედს, საიდანაც „ჭანის მდინარე“ (ჭანისწყალი) მოედინება (კეკელია, „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, N22, 2014: 42).

წალენჯიხის ეპარქიის საზღვრები. წალენჯიხის ეპისკოპოსის სამწყსო, ვახუშტის მიხედვით, „ჭანის მდინარის“ ანუ თანამედროვე ჭანისწყლის//წენწყარის ხეობიდან დასავლეთით, „დადის მდინარემდე“ (დადისწყლამდე) ვრცელდებოდა: „ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჭელენჯიხი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიდამ ზღუამდე“ (ვახუშტი, IV, 1973: 778). დამოწმებული ცნობიდან ირკვევა, რომ XVIII ს. I ნახევარში წალენჯიხის საეპისკოპოსო მოიცავდა ჭანისწყლის შუა და ზემო წელს, რაც ჩრდილოეთით, სავარაუდოდ, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთამდე, ოხაჩქუეს მთამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით, როგორც ფიქრობენ, ენგურის ქვემო დინების მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორიასაც მოიცავდა. წალენჯიხის საეპისკოპოსოს შექმნა საცაიშლოს ტერიტორიის გაყოფის ხარჯზე მომხდარა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წალენჯიხის კათედრა XVII ს-მდე არ არსებობდა, შესაბამისად, მისი ტერიტორია ცაიშელის სამწყსოში შედიოდა.

ამასთანავე, ვახუშტი დადისწყალს ბედიის საეპისკოპოსოს საზღვრად მიიჩნევს (იქვე: 780). მაშასადამე, „ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისი“ ტერიტორია წალენჯიხელის მფლობელობაშია, ხოლო „დადისწყლისა და მოქვისწყლის შუათისა“ ტერიტორიას ბედიელი ეპისკოპოსი განკარგავს. ამ ორი საეკლესიო ერთეულის გამყოფი საზღვარი სწორედ დადისწყალზე გადიოდა.

თ. ბერაძის აზრით, წალენჯიხელის სამწყსო ტეხურის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავდა და, როგორც ვახუშტის ცნო-

ბიდან ირკვევა, ენგურის მარჯვენა მხარეს, შავ ზღვამდე აღწევდა (ბერაძე, „მაცნე“, №3, 1971: 45). მას სამხრეთით ესაზღვრებოდა ცაიშელის, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით – ბედიელის სამწყსო.

პაპუნა გაბისონია ფიქრობს, რომ ბატონიშვილის მიერ მოხაზული წალენჯიხის საეპისკოპოსოს საზღვრები დაზუსტებას საჭიროებს. შავ ზღვამდე საზღვრები იმ გარემოების გამო ვერ მიაღწევდა, რომ ამ ეპარქიას სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ცაიშის საეპისკოპოსო ესაზღვრებოდა, ხოლო დასავლეთი მიჯნა მდ. ენგური უნდა ყოფილიყო. ენგურსგაღმა უკვე ბედიელის სამწყსო იწყებოდა. პ. გაბისონია წალენჯიხის საეპისკოპოსოს სასაზღვრო მიჯნად აღმოსავლეთით ხობისწყალს მიიჩნევს, ხოლო ჩრდილოეთი საზღვარი, მისი აზრით, სამეგრელოს ქედზე გადიოდა (გაბისონია, 2009: 7).

ბედიის ეპარქიის საზღვრები. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით ისტორიული ეგრისის პოლიტიკურ ცენტრად მიჩნეული ბედია X საუკუნიდან საეპისკოპოსოს ცენტრს წარმოადგენდა. ბედიის ეპარქიის მღვდელმთავარი ბედიელად იწოდებოდა. „მატიანე ქართლისას“ ავტორის ცნობით, ბედიის საეპისკოპოსოს დაარსება იქაური ეპარქიის – გუდაყვის (ზიგანევის) გაუქმების შედეგია: ბაგრატ III-მ (975-1014 წწ.) იგი „შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვსა საეპისკოპოსო...“ („ქ. ცხ.“ I, 1955: 281).

ბედიასთან მიმართებაში გამოყენებული ტერმინი „მოცვლა“, ბუბა კუდავას მოსაზრებით, კარგად ასახავს ბერძნული გავლენისაგან თავისუფალი, ახალი და ქართული კათედრების შექმნის მეტად რთულ და მრავალმხრივ პროცესს (კუდავა, 2002: 63).

მაშასადამე, ბედიის საეპისკოპოსო სამწყსოს, ტერიტორიის, ქონებისა და პატივის თვალსაზრისით ძილანევის (გუდაყვის) კათედრის სრულ მემკვიდრედ გვევლინება. ეს აქტი (ძილანევის/გუდაყვას „მოცვლა“ ბედიით) განხორციელდა დაახლ. X ს-ის მინურულს (ინგოროყვა, 1954: 249). მემატიანის ცნობით, მეფეს ეპარქიისათვის მრავალი სოფელი შეუწირავს „ყოველთა ჴევთა და ადგილთა“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 281), მაგრამ კონკრეტულად თუ რომელი სოფლები, ამის შესახებ წყაროში არაფერია ნათქვამი.

ვახუშტი ბატონიშვილი ბედიელის სამწყსოს მოქვისწყალსა და დადისწყალს შორის ათავსებს (ვახუშტი, IV, 1973: 780).

არქანჯელო ლამბერტი შენიშნავს, რომ ბედიის ღვთისმშობლის ეკლესია აშენებულია გორაკზე. მისი ეპისკოპოსი ბედიელად იწოდება. მის მიერვე შედგენილ რუკაზე მდ. ოქუმის/ტარსურას (ochums) ორ მდგენელს შუა, საჩინოს (Saccino) ჩრდილოეთით გამოსახულ ეკლესიის სილუეტს აქვს წარწერა: „ბედიის ეპარქია“ (Bedias Ep.). ამდენად, ოქუმის ხეობის სოფლები ბედიელის მფლობელობაში ყოფილა.

ბედიის საეპისკოპოსოს საეკლესიო მიწისმფლობელობისა და სამამულო სისტემის შესახებ, სამწუხაროდ, ისტორიულ საბუთებში მეტიმეტად მწირი ცნობებია დაცული. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ბედიის გულანის ერთ-ერთი მინაწერი, სადაც ვკითხულობთ: „ბედიელი მიტროპოლიტი მხეიძე ნიკოლოზ. შემოგწირე... უფამიში ბუკუჩავა: მისი ცოლ-შვილითა: და: ყმითა: და რისაც მქონებული იყოს... ამას გარეთ ტყეიშს დაკარგული ამოვიღე ხვიჩაშათი, მისის ცოლშვილითა, ერთი ცოლ-ქმარი კაცი გუდავას ბიძლუა ბაიღია შემომინიწავს სულის დასაოხად...“ (Жордания, I, 1903: 206-207; კალანდია, 2004: 91). გულანში მოხსენიებული ნიკოლოზ მხეიძის ბედიელობას ისტორიკოსი გიორგი კალანდია ათარიღებს XVII ს-ის I ნახევრით (იქვე: 91, 97). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ბედიის ეპარქიაში შედიოდა გუდავაც. თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით ასე ეწოდება სოფელს გალის მუნიციპალიტეტის აჩიგვარის თემში, ოქუმწყარის მარცხენა ნაპირას. გალს 20 კმ ამორებს, შავ ზღვას – 11 კმ. ესაზღვრება აჩიგვარის თემის სოფ. ტოგონი. სოფლის სახელწოდების ადგილობრივი ვარიანტებია **გუდა**, **გუდაყვა**, ხოლო აფხაზები **გუდაას** ეძახიან. ისტორიულად **გუდაყვად** იწოდებოდა ვრცელი ზღვისპირა ტერიტორია ოქუმწყარის ორივე მხარეს, რაც ჩრდილო-აღმოსავლეთით აჩიგვარამდე ვრცელდებოდა. გუდავა მოიცავდა გინძე ეწერად სახელდებულ ვრცელ ზღვისპირა ვაკე-საძოვარსაც ოქუმწყარსა და გაგიდანყარს შუა. ამდენად, ვახუშტის ცნობა, რომ ბედიელის სამწყსო მოქვისწყალსა და დადისწყალს შორის იყო მოქცეული, რეალური ვითარების ამსახველად შეიძლება ჩაითვალოს.

ტერიტორიულად ბედიელის სამწყსოში შედიოდა ოქუმწყარის, ოხურ(ე)წყარისა და ღალიძგის ხეობები, ილორის ცნობილი ეკლესია, აგრეთვე სოფლები: ოხურეი/ოხური (გვიანი შუა საუკუნეების საისტორიო წყაროების ხოირი), ფოქვეში, ფუნყური, რეკა, საჩინო, ღალიძგა (ახლანდ. ბესლახუბა), სუბეიში (ახლანდ. აჩიგვარა), ოქუმი,

ბედია, ჩხორთოლი, ღუმურიში, მუხური, წარჩე და სხვ. ეპარქიის ტერიტორია, ჩრდილოეთით, სავარაუდოდ, მოქვისწყლისა და ლალიძგის სათავეებამდე, ხოჯალის მთისკალთებამდე ვრცელდებოდა, ხოლო შავი ზღვა წარმოადგენდა საზღვარს ერისწყლისა და მოქვისწყლის ზღვასთან შესართავს შორის.

მოქვის ეპარქიის საზღვრები. გიორგი II-ის ვაჟიშვილის, ეგრის-აფხაზეთის მეფე ლეონ III-ის (957-967 წწ.) სახელს უკავშირდება მოქვის ეკლესიის აშენება და „საყდრად საეპისკოპოსოდ“ შექმნა („ქ. ცხ.“, I, 1955: 270).

ამ დროისათვის ეგრის-აფხაზეთის ტერიტორიაზე უკვე არსებობდა სხვა ეპარქიებიც. თუმცა, მკვლევარ გ. მჭედლიძის საინტერესო დაკვირვებით, ჭყონდიდისა და მოქვის საეპისკოპოსოების აშენება ახალ ადგილებზე მოხდა: „ისინი ძველებისაგან იზოლირებულები იყვნენ ტერიტორიით და კომპეტენციითაც“ (მჭედლიძე, კეზევაძე, 2008: 70).

მოქვი დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპარქიას წარმოადგენდა. მის შესახებ ვახუშტის ცნობა ლაკონიურია: „...ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს **მოქუს** ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები. აღაშენა... მეფემან აფხაზთამან ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა“ (ვახუშტი, IV, 1973: 780-781).

როგორც ჩანს, მოქვზე მსჯელობისას მეცნიერს უსარგებლია „მატიანე ქართლისაში“ დაცული შემდეგი ცნობით: „შეიქცა ლეონ და ეუფლა მამულსა და სამეფოსა თვისსა... ამან აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 270).

მოქვის ეპარქიის მიწათმფლობელობის, მოქველთა სამწყოსოს ტერიტორიული სივრცის შესახებ ისტორიული წყაროები ფაქტობრივად არ არსებობს. ამიტომ იძულებული ვართ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ვახუშტის ცნობით, რომელიც ეპარქიის ტერიტორიას XVIII ს-ის პირველი ნახევრისათვის კოდორ-მოქვისწყლის („მოქვის მდინარის“) შუამდინარეთით შემოსაზღვრავს.

ვახუშტის ცნობის გაანალიზება, ეპოქის ისტორიული ფონის გათვალისწინებით, გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლო-

ბას, რომ მოქვის კათედრა, დრანდის მსგავსად, აფხაზთა მიერ არის აოხრებული, ეპისკოპოსები არ არიან და საეკლესიო წირვა-ლოცვაც არ აღევლინება.

დიდი მკვლევრის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ცნობების თანამედროვე რუკებისათვის მისადაგებით და ტოპოგრაფიულ რუკებზე პროექტირების გზით შესაძლებელია ჩვენი კვლევისთვის საინტერესო მოქვის ეპარქიის ტერიტორიისა და მასში შემავალი სოფლების მიახლოებით დადგენა. ამგვარად: მოქველის სამწყსოში მოქცეული იყო შავი ზღვის სანაპირო ხაზი მოქვისწყლის მარჯვენა ნაპირიდან მდ. კოდორამდე, საფიქრებელია, რომ ჩრდილოეთით სახმელეთო ხაზი ვრცელდებოდა კოდორის სათავემდე, დალის ხეობის ჩათვლით. მიახლოებით შემოფარგლულ ამ ტერიტორიულ სივრცეში მდებარეობს გვიანი შუა საუკუნეების ისტორიული წყაროებით ცნობილი დასახლებული პუნქტები: სათამაშია (ახლანდ. ტამიში), მოქვი, კვიტაული/კვიტოული, აითარნე/ათარა, თხალარი/თხინა, ჯგერდა, ქიაჩი, მორცხულა, სკურჩა, ზეგანი (ღალიძგასა და მოქვს შორის, მთებში მდებარე სოფელი მოიხსენიება საეკლესიო საბუთებში) და სხვ.

დრანდის ეპარქიის საზღვრები: ეპარქიის ცენტრს დრანდა წარმოადგენდა. სოფელი ამ სახელწოდებით მდებარეობს ამჟამინდელ გულრიფშის მუნიციპალიტეტში, სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. პატარა კოდორის ნაპირას.

დრანდის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღის შესახებ წერილობით წყაროებში კონკრეტული ცნობები დაცული არ არის. ამ ხარვეზს ავსებს აღნიშნული საეკლესიო კათედრის იერარქთა შესახებ არსებული სხვა წყაროები, რითაც შესაძლებელია ჰიპოთეტური მოსაზრების გამოთქმა. ვგულისხმობთ ზემო სვანეთში, ლენჯერის თემის სოფელ ლაშთხვერში, მთავარანგელოზის ეკლესიაში დაცულ ქართული ჭედური ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს – ხატს, რომლის შესრულების თარიღად აკად. გიორგი ჩუბინაშვილი XI ს-ის პირველ მესამედს მიიჩნევს (Чубинашвили, 1959: 309-312).

ისტორიკოსი ბუბა კუდავა ფიქრობს, რომ დრანდის საეპისკოპოსო უნდა დაარსებულიყო ჭყონდიდის შემდეგ, ვინაიდან დასავლეთ საქართველოში ჭყონდიდის საეპისკოპოსოს განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინება ცხადყოფს „აფხაზთა“ სამეფოში საეკლე-

სიო პოლიტიკის ახალი ეტაპის დაწყებას სწორედ ჭყონდიდის კათედრის დაარსებით (იქვე: 64). ზემოაღნიშნული მონაცემები მკვლევარს საშუალებას აძლევს დაასკვნას, რომ დრანდის საეპისკოპოსო უნდა დაარსებულიყო X ს-ის II ნახევარში (იქვე: 65). ხატის დამკვეთად დრანდის ეპისკოპოს გრიგოლის დასახელება იმის უტყუარი მონიშნობაა, რომ ამავე პერიოდისათვის (XI ს-ის პირველ მესამედი) უკვე არსებობდა დრანდის საეპისკოპოსო (იქვე: 64).

ოდიშის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „...დრანდას... ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა. არამედ ან აფხაზთაგან არღარა არიან ორთა ამათ შინა (იგულისხმება მოქვი და დრანდა – ი. კ.) ეპისკოპოზნი“ (ვახუშტი, IV, 1973: 780-781).

სხვა ისტორიული წყაროების მოშველიებით შესაძლებელია დრანდის ეპარქიის საზღვრების განხილვა და დაზუსტება. კოდორი დრანდის სამხრეთით შეერთვის შავ ზღვას. შესართავიდან ჩრდილოეთით, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებამდე (სავარაუდოდ, ჩხალთისა და საკენის ხეობების ჩათვლით) სწორედ კოდორი უნდა ვიგულისხმოთ დრანდის საეპისკოპოსოს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრად. ჩრდილოეთი საზღვარი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბუნებრივ ზღუდეს – კავკასიონის მთავარ ქედს გასდევდა. ვახუშტის ცნობით, დრანდელი ფლობს „კოდორისა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა“. ამასთანავე, ვახუშტი საზღვრის ხაზზე სრული წარმოდგენის შექმნის მიზნით მიგვანიშნებს, რომ მდინარე, რაც ანაკოფიის დასავლეთით ჩამოედინება, წარმოადგენს ოდიშის საზღვარს: „...ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასისა და მომრთველი ზღვსა ეგრეთვე ჩდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვს კიდებედ არს ქალაქი ანაკოფია“ (იქვე: 781). ანაკოფია, როგორც სასაზღვრო პუნქტი („საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა“), ვახუშტის რუკის მიხედვით ოდიშის სამთავროს შემადგენლობაშია. შემდგომი აღწერილობით ირკვევა, რომ ანაკოფიის მცირე მდინარის მარჯვენა მხარეს ოდიშს ესაზღვრებოდა აფხაზეთი.

ამრიგად, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დრანდის ეპარქიის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ემთხვეოდა ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების – ოდიშისა და აფხაზეთის სასაზღვრო ხაზს, და ანა-

კოფიასთან ჩამომავალი მცირე მდინარის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ მთაზე გადიოდა. დრანდელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა ნიფელთა/წებელდა, ცხომი/ცხუმი, ანაკოფია და მისი შემოგარენი...

ბიჭვინთის საეპისკოპოსო. ბიჭვინთის გუმბათიანი ეკლესიის აშენებას ვახუშტი იუსტინიანე კეისარს მიაწერს და შენიშნავს, რომ უნინ იგი საეპისკოპოსოს ცენტრს წარმოადგენდა: „მუნის-წყლის დასავლით არს ბიჭვინტას ეკლესია დიდი, დიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი, ზღვს კიდესა ზედა. ეს აღაშენა იუსტინიანე კეისარმან შემკობითა დიდითა. პირველ იყო საეპისკოპოზო“ (ვახუშტი, IV, 1973: 784-785).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ IV ს-ის I მეოთხედში ბიჭვინთას უკვე უნდა ჰქონოდა საქალაქო ცენტრის სტატუსი. ამას მოწმობს ამ პერიოდისათვის ბიჭვინთაში, როგორც სამოქალაქო-ადმინისტრაციული ერთეულის (პროვინციის) მთავარ ქალაქში, საეპისკოპოსო კათედრის არსებობა, რაც დასავლეთ საქართველოს პირველ ეპარქიას წარმოადგენდა. 325 წელს, მცირე აზიის ქალაქ ნიკეაში მოწვეულ პირველ მსოფლიოს საეკლესიო კრებას, სადაც ქრისტიანობა რომის იმპერიის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, ესწრებოდნენ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრების მღვდელმთავარნი. მათ შორის იყო ბიჭვინთის („ფიტუუნთას“) ეპისკოპოსი სტრატოფილე (ყაუხჩიშვილი, 1964: 64). მაშასადამე, ბიჭვინთის საეპისკოპოსო იმ დროისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქრისტიანო ორგანიზაციად წარმოგვიდგება. ამასთანავე, ეს იმის თვალსაჩინო დადასტურებაა, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა, როგორც სახელმწიფო რელიგია, უკვე გავრცელებული იყო.

ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობისათვის შექმნილი ბიჭვინთის ეპარქია ერთ-ერთი იყო პოლემონის პონტოს ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული სამი ეპარქიიდან (შოშიაშვილი, I, 1997: 447). 542 წელს ბიჭვინთა და სებასტოპოლისი ბიზანტიელებს დაუნგრევიათ.

ვახუშტი ბატონიშვილი ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით მისი დროის საეკლესიო კათედრას არ ასახელებს, მაგრამ ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს ბიზანტიისადმი დაქვემდებარების პერიოდში ამ ტერიტორიაზე არსებობდა ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო

(ჯიქეთის ეპარქია). ბ. კუდავა ფიქრობს, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან გამოყოფის შემდგომ ნიკოფსიის სამთავარების-კოპოსო წყაროებში არ იხსენიება და აქ არც ახალი საეპისკოპოსო კათედრა დაარსებულა. საფიქრებელია, რომ აღნიშნული ტერიტორია დაექვემდებარა უშუალოდ აფხაზეთის საკათალიკოსოს, რომლის ცენტრს ბიჭვინთა წარმოადგენდა (კუდავა, 2002: 115).

ნიკოფსია დასავლურქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა“ სამეფოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ პუნქტს წარმოადგენდა. ამასთანავე, აბაზგიის ქალაქ სებასტოპოლისში (ქართული წყაროების „ცხუმი“) საეპისკოპოსო კათედრის დაარსება იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) მიერ გატარებული საეკლესიო პოლიტიკის, კერძოდ, აბაზგების გაქრისტიანების თანადროულ მოვლენადაა განხილული (ლეთოდიანი, 1991: 88-100; დიასამიძე, 2001: 153-155). თუმცა არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც ამ საკითხთან დაკავშირებით; კერძოდ, სებასტოპოლისის კათედრის აღზევება ავტოკეფალიურ საარქიეპისკოპოსოდ უნდა მომხდარიყო ჰერაკლეს იმპერატორობის ხანაში (610-641 წწ.), ჰერაკლეოპოლისის კათედრის დაარსების შემდგომ პერიოდში (კუდავა, 2002: 15-16).¹

აფხაზეთის საკათალიკოსოს საზღვრები. დასავლეთ საქართველოში ცალკე საკათალიკოსოს დაარსება უნდა მომხდარიყო დამოუკიდებელი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა“ სამეფოს არსებობის პერიოდში. საამისოდ ყველაზე შესაფერის პერიოდად მიჩნეულია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კათედრე-

¹ საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა აბაზგიის ქალაქ სებასტოპოლისში („ცხუმი“). 542 წელს ბიზანტიელთა მიერ დანგრეული სებასტოპოლისი შემდგომში იუსტინიანე I-ს განუახლებია და სილამაზითა და სიდიდით ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ქალაქად უქცევია (გეორგიკა, II, 1965: 222; კუდავა, 2002: 14). ისტორიკოსი ბუბა კუდავა ვარაუდობს, რომ სებასტოპოლისის საეპისკოპოსოს დაარსება იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) აბაზგიის გაქრისტიანების თანადროული მოვლენა უნდა იყოს და ამ მოვლენას დაახლ. 542-548 წლებით ათარიღებს (კუდავა, 2002: 13-14). VII ს-ის 30-იან წლებში მოხდა სებასტოპოლისის კათედრის აღზევება ავტოკეფალიური საარქიეპისკოპოსოს რანგში (იქვე: 15-16). მასზე კონსტანტინოპოლის საარქიეპისკოპოსოს იურისდიქცია ვრცელდებოდა.

ბის ბიზანტიისაგან განთავისუფლების ხანა, რაც განისაზღვრება IX ს-ის დასარულით, არაუგვიანეს X ს-ის პირველი წლებისა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომ ბიჭვინთა „ჟამსა აფხაზთა მეფეთათა იქმნა საკათალიკოზოდ“ (ვახუშტი, IV, 1973: 784-785), იმის მოწმობაა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო უნდა დაარსებულიყო „აფხაზთა“ სამეფოს არსებობის პერიოდში (კუდავა, 2002: 48).

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის იერარქიულმა სტრუქტურამ კონსტანტინოპოლიდან გამოყოფის შემდეგ გარკვეული ცვლილება განიცადა. საკათალიკოსომ დაიქვემდებარა ძველი, „ბერძნულყოფილი“ საეკლესიო კათედრები. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ საკათალიკოსოს იურისდიქცია მთელ დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა და ნებისმიერ შემთხვევაში მოიცავდა ფაზისის, სებასტოპოლისისა და ნიკოფსიის საეპისკოპოსოთა ტერიტორიას.

აფხაზეთის საკათალიკოსოს შესახებ ვახუშტის ცნობები ასეთია: „მუნის-წყლის დასავლით არს ბიჭვინტას ეკლესია... პირველ იყო საეპისკოპოზო. ჟამსა აფხაზთა მეფეთათა იქმნა საკათალიკოზოდ, და ან არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა, არამედ ან ხუცის ამარად, ვინაჲთგან აფხაზნი არლარა მონებენ რჯულსა და სარწმუნობასა“ (ვახუშტი, IV, 1973: 784-785).

იუსტინიანეს მიერ აშენებულ ღვთისმშობლის ეკლესიაში იგულისხმება არა ის ეკლესია, რაც ბიჭვინთაში დღეს დგას, არამედ არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი რამდენიმე ადრექრისტიანული ეკლესიიდან ერთ-ერთი. ირკვევა, რომ აქ იუსტინიანემდეც იდგა ქრისტიანული ტაძარი, რამდენადაც ამას მოწმობს 325 წლის ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის ეპისკოპოს სტრატოფილეს მოხსენიება (ბერაძე, 1998: 107).

დასავლეთ საქართველოში ცალკე საკათალიკოსოს ჩამოყალიბების შემდეგ მის მეთაურს „აფხაზთა კათალიკოსი“, XV ს-დან კი „აფხაზთა პატრიარქი“ (იგივე „კათალიკოს-პატრიარქი“) ეწოდა.

„მცნებაჲ სასჯულოჲ“ აფხაზეთის საკათალიკოსოს XV საუკუნისათვის შემდეგ საზღვრებში გადმოგვცემს: „ჭოროხს აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაჲ პონტოს აქათ, სადა დიდისა ბიჭვინტისა სამზღვარი მიაწევს“ (ქსძ, III, 1970: 223). მაშასადამე, აღნიშნული ისტორიული წყაროს მონაცემებით, საკათალიკოსოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი ჭოროხს გასდევდა, დასავლეთი – შავ ზღვას, ჩრდილოეთით –

ოვსეთამდე და კავკასიონამდე, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით ბიჭვინ-
თამდე ვრცელდებოდა. საფიქრებელია, რომ ამ დროისთვის აფხაზე-
თის საკათალიკოსო აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე ვრცელდებოდა
(კაკაბაძე, 2, 1925: 183; ქორიძე, 12, 2001: 52). გამოთქმულია მოსაზრე-
ბა, რომ „მცნება სასჯულოა“ „ჭოროხს აქათ“ უნდა გულისხმობდეს
გურიას და არა ისტორიულ აჭარას, რაც ამ დროისათვის (XV ს.) მხო-
ლოდ მთიანი აჭარით შემოიფარგლებოდა (ქორიძე, 12, 2001: 53).

„მცნებაი სასჯულოის“ ცნობების შევსება შესაძლებელია მომდევ-
ნო საუკუნის – XVI საუკუნის ისტორიული დოკუმენტის – „ბიჭვინ-
ტის იადგარის“ მონაცემებით, სადაც საკათალიკოსოს ტერიტორია
შემდეგ საზღვრებშია მოცემული: „ლიხსა და კაფას შუაჲ და რუსეთის
სამზღუარსა და ჭანეთს შუაჲ“ (კაკაბაძე, 2, 1925: 183).

აღნიშნული ცნობიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო
სამხრეთ-დასავლეთით ჭანეთამდე ვრცელდებოდა, მაგრამ, ნ. ბერძე-
ნიშვილის აზრით სხვადასხვა დროს ეს საზღვარი ერთსა და იმავე
გეოგრაფიულ ხაზს არ წარმოადგენდა. მაშასადამე, მართებული უნდა
იყოს ვახუშტის ცნობა იმის შესახებ, რომ „ბიჭვინთის იადგარის“
დანერის დროისთვის, ანუ XVI ს-ში, გურიასა და ჭანეთს შორის საზღ-
ვარი გონიოსთან გადიოდა. ამდენად, საკათალიკოსოს სამხრეთ-და-
სავლეთ საზღვარსაც სწორედ აქ, გონიოსთან უნდა გაეგლო (ბერძე-
ნიშვილი, V, 1971:115; ქორიძე, 12, 2001: 53-54).

„მცნება სასჯულოა“ ცნობა საკათალიკოსოს ჩრდილო-დასავ-
ლეთი საზღვრის შესახებ ბუნდოვანია: წინადადება – „სადა დიდისა
ბიჭვინტისა სამზღუარი მიანევს“, არ აკონკრეტებს იმას, ზუსტად
თუ სანამდე ვრცელდებოდა საკათალიკოსოს ტერიტორია. საზღვრის
დადგენაში გვეხმარება „ბიჭვინტის იადგარის“ ზემოთ მოხმობილი
ცნობა, რომ საკათალიკოსო „ლიხსა და კაფას შუაჲ“ მდებარეობს და
„რუსეთის სამზღუარსა“ მიანევს. შუა საუკუნეებში კაფად იწოდებო-
და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ყირიმში მდებარე ქალაქი ფეო-
დოსია (ბერძენიშვილი, VIII, 1975: 526, 598). ამ ისტორიული დოკუ-
მენტის ცნობით აფხაზეთის კათალიკოსის იურისდიქცია ჩრდილოეთ
შავიზღვისპირეთში სწორედ კაფამდე ვრცელდებოდა. აფხაზეთის
(დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა ტიტულატურაში „აფხაზე-
თის“ გარდა „ჩრდილოეთის“ მოხსენიებაც სწორედ ამ ფაქტით უნდა
აიხსნას (ქორიძე, 12, 2001: 54-55).

„ბიჭვინტის იადგარი“ გვაუწყებს, რომ იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს (1510-1565 წწ.) ბიჭვინთისთვის შეუწირავს ყმა-მამული, ეკლესია-მონასტრები და სასახლეები დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ოდიშის შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის პერიოდში (XVI ს.) საკათალიკოსოს მფლობელობაში ყოფილა აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით, ბიჭვინთის გარშემო მდებარე სოფლები – არუხა, რაბინა და აითარნე, აითარნეს ზეთისხილოვანი მთა (კაკაბაძე, 2, 1925: 182-183), ხოლო მას შემდეგ, რაც აფხაზეთის სამთავრო ოდიშს გამოეყო და სასაზღვრო მიჯნად მდ. კელასური დადგინდა (ბერაძე, დ. მ., №21, 1970: 42), საკათალიკოსომ დაკარგა საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ზემოთ დასახელებული მამულები (ქორიძე, №12, 2001: 59).

კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, ყუბანის აუზში მდებარე აფხაზეთა თავდაპირველი სამშობლოდან – აფსნიდან ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსუათა ჩამოსახლებამ და გაძლიერებულმა თავდასხმებმა განსაკუთრებული სიმწვავეთ თავი იჩინა XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში, დავით ნემსაძისა (1673-1696 წწ.) და გრიგოლ II ლორთქიფანიძის (1696-1742 წწ.) კათალიკოსობის პერიოდში. აფხაზეთის ბარში აფსუების ჩამონოლას შედეგად მოჰყვა მკვიდრ მეგრელთა აყრა-გაქცევა, ხოლო ოდიშ-აფხაზეთის საზღვრის ენგურამდე გადმონაცვლება (ლომინაძე, I, 1966: 234). XVII ს-ის 80-იანი წლების ამ მოვლენების დახასიათებას იძლევა ვახუშტი, როცა წერს: „იყო ჭირი დიდი ოდიშს... და უმეტეს აფხაზეთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ჴმელითა და სტყუენიდიან. დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე და დაეშენებოდენ თვთ აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“ (ვახუშტი, IV, 1973: 845).

ამ პერიოდისათვის აფხაზეთის საკათალიკოსო კარგავს ყმა-მამულებსა და ეკლესია-მონასტრებს ენგურის მარჯვენა მხარეს, კოდორ-ენგურის შუამდინარეთში. აფსუების მიერ განხორციელებულმა ანექსიამ ოდიშის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამოიწვია მკვიდრი ქართული მოსახლეობის აყრა-გაქცევა, საკათალიკოსო სოფლების მოშლა და ყმათა გაყიდვა; შესაბამისად, მნიშვნელოვნად შემცირდა საკათალიკოსო მინათმფლობელობა ამ მხარეში. აფსუათაგან დანოკვებული საკათალიკოსო ყმების ფიზიკური გა-

დარჩენის მიზნით გრიგოლ ლორთქიფანიძეს აფხაზეთის ფარგლებში მოქცეულ, საკათალიკოსოს კუთვნილ სოფელ ნაჟანეულში/ნაჟანევში მცხოვრები 60 კომლიდან 6 კომლი ენგურსგამოღმა გადმოუყვანია და ოდიშის სხვადასხვა სოფელში დაუსახლება, დანარჩენები კი ჯერ კიდევ კათალიკოს დავით ნემსაძის დროს აფხაზეთის მთავარ ყვაპუ შერვაშიძეს დაუყიდა. ამ ფაქტს აღწერს აფხაზეთის კათალიკოსის, გრიგოლ ლორთქიფანიძის სიგელი, რაც 1706 წლით თარიღდება: „კიდევ ნაჟანევს ს(ო)ფ(ე)ლი ს(ა)კ(ათალი)კ(ო)ზო ნემსაძე კ(ათალიკო)ზის ხ(ე)ლშიდ აფხაზისგან აყრილიყო, ყვაპ შარვაშიძეს სხე დაეყიდა და ექუსი მოსახლე კ(ა)ცი ყ(ა)ვდა... ექუსი მოსახლე კ(ა)ცის მეტი აღარ იყო და ის წამოვიყვანეთ...“ (კაკაბაძე, I, 1921: 91).

ნაჟანეული/ნაჟანევი ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარე საკათალიკოსო სოფელი ყოფილა. აფხაზთა გამუდმებული თავდასხმებით დანოკებული სოფლის მცხოვრებთათვის გრიგოლ კათალიკოსს ენგურსგამოღმა, ხობსა და ხიბულაში მიუჩინია მამულები. ფიქრობენ, რომ ნაჟანევის ადგილას ამჟამად სოფ. ოტობაია მდებარეობს (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 111). სოფლის ავბედით ისტორიაზე ცნობები დაცულია გრიგოლ კათალიკოსის 1712 წლით დათარიღებულ „გარიგების წიგნშიც“: „ნაჟანევს სოფელი აფხაზს აეყარა, სამოცი მოსახლე კაცი. ნეფსაძე კათალიკოსს ყვაპუ შარვაშიძისათვის მიებარებინა“ (კაკაბაძე, I, 1921: 104).

საკათალიკოსოს მიწათმფლობელობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“. დავთრის შედგენის დროისათვის კათალიკოსი მალაქია II გურიელი (1612-1639 წწ.) იყო, რომელიც იმავდროულად სათავეში ედგა ცაიშის, ჯუმათისა და ხონის ეპარქიებს. მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანია იმ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება, რომ აფხაზეთის კათალიკოსის 24 მამულიდან 16 ოდიშის სამთავროს ტერიტორიაზე მდებარეობდა; ამასთანავე, „მოლაშქრე კაცნი“ კონკრეტულად ერთი სოფლიდან კი არ გამოდიოდნენ, არამედ ოდიშის სხვადასხვა სოფელში (ხიბულა, ნაგვაზუ, წყარიგზა, საქუჩულორო (ნაქუჩულორო), სენაკი, ჯგალი, დარჩელი, ზუგდიდი, ნაჟანეული, ხოირი, სუბვი (სუბეი), თილითი, ხაუყელი, ჭალა, ჩოხათი, მუხური, ხეთა, ცაიში) მოსახლეობდნენ. მოლაშქრე ყმათა მრავალრიცხოვნე-

ბით გამოირჩეოდა ხიბულა (აზნაურისშვილი და 30 მსახური), ჯგალი (აზნაურისშვილი და 38 მსახური), დარჩელი (აზნაურისშვილი და 85 მსახური და ცაიში (აზნაურისშვილები და 63 მსახური). მარტო ცაიშის ეპარქიაში 300-მდე მოლაშქრე კაცი ცხოვრობდა, ხოლო მთელ ოდიშში მათი რაოდენობა 500-ზე მეტი იყო (კალანდია, 2004: 56).

კათალიკოსის ყმა-მამულები იყო აგრეთვე გეჯეთში, ქუნიერში, სენაკში, თეკლათში, სახარბედიოში, ბიაში, ხობში, საჭილაოში („რუშას საყდარი“), საცილოროში (ცილორი), გულეკარში, ჭალადიდში... (კაკაბაძე, 1914; მისივე II, 1921: 156).

თავი IV

**ოდიშის (სამეგრელოს) ისტორიული
გეოგრაფია ჰიდრონიმურ და
ტერიტორიულ დანაყოფთა
მიხედვით**

IV.1. ცხენისწყლის ხეობა

ვახუშტი ბატონიშვილი ადგილთა ბუნებრივი თანმიმდევრობის გათვალისწინებით საყურადღებო ცნობებს გვანვდის ცხენისწყლის ხეობის საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე და აღნიშნავს: „...რიონს მოერთვის ჩდილოდამ აბაშა-ტეხურის მდინარე, უნაგირას მთის ზეით, ისულეთს. ამას ზეით რიონს, ტყვირს მოერთვის ჩდილოეთიდამვე ცხენისწყალი. ეს გამოსდის ლეჩხუმისა და სუანეთის შორისს კავკასსა და მოდის აღმოსავლეთს-ჩდილოს შუადამ სამჯრეთს-დასავლეთს შუა. არამედ მდინარისა ამის სახელი არს პირველ მდინარე თაკუერისა, ხოლო ოდეს მოაშთო ცხენი ანაკოფიიდამ უკმოქცეულის ყრუს სპათა Զ~ჩ (60.000), ამისთჳს უწოდეს ცხენისწყალი. არამედ წყალი ესე, ვინაჲთგან არა უტევებს ჳიდსა ქვისასა და ხისასა, ამისთჳს შესწვნენ ვაზისაგან და გააბმენ ამიერ კიდით იმიერამდე, და გაუბმენ ვაზისაგანვე საჯელურებსა აქეთ და იქით, და ვლენან ქუეითნი მას ზედა, და ექანების მკიდარებისაგან ფრიად ჳიდი იგი, გარნა უწყიან ოდიშსა შინა ჳშირად ჳიდი ესე, და უწოდებენ ბონდსა“ (ვახუშტი, IV, 1973: 747-748).

ცხენისწყლის დინების მიმართულებას – ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მეცნიერი სწორად მიუთითებს, მაგრამ შეცდომაა, როცა მდინარის სათავედ იგი ლეჩხუმსა და სვანეთს შორის მდებარე „კავკასს“ მიიჩნევს. ცხენისწყალი სათავეს იღებს სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ფასისმთის დასავლეთით, ზ. დ. 2710 მ სიმაღლეზე; გამოივლის ქვემო სვანეთს, ლეჩხუმს და კოლხეთის დაბლობზე, ტყვირის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მარჯვნიდან შეერთვის რიონს. ცხენისწყლის სიგრძე 176 კმ-ია. მდინარე ქვემო წელზე, სუხჩედან ნაჩხეტაურამდე წარმოადგენს საზღვარს თანა-

მედროვე ქვემო იმერეთსა და სამეგრელოს შორის, გასული საუკუნის 20-იან წლებამდე კი ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლები – დიდღვაბუნა, გორდი, ბანგვეთი, ნოლა და კინჩხა ჯერ ლეჩხუმის, შემდეგ ოდიშის შემადგენლობაში იყო.

ვახუშტი რიონ-ცხენისწყლის შესართავს ტყვირთან მიუთითებს, მაგრამ დაახლ. XVIII ს-ის უკანასკნელ ოცნლეულსა და XIX ს-ის ოცდაათიან წლებში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსი ნიკო დადიანი იმერეთის ადგილებისა და მდინარეების აღწერისას შენიშნავს, რომ „ცხენის წყალი გამოსდის ლეჩხუმისა და სვანეთისა შორის კავკასისა და მიერთვის რიონს საჭილაოს, ილორს, და უწინარეს მიერთოდა ტყვირს“ (დადიანი, 1962: 149). მაშასადამე, თუკი ვახუშტის დროს მდინარის შესართავი ტყვირთან იყო, ნ. დადიანის ცნობიდან ირკვევა, რომ სულ რაღაც ექვს ათეულ წელიწადში მდინარეს კალაპოტი მნიშვნელოვნად შეუცვლია, „ტყვირიდან აღმოსავლეთისაკენ გადაუნევია და ნ. დადიანის დროს საჭილაოს ილორთან ამოსულა“ (ბურჯანაძე, შენიშვნა ნ. დადიანის წიგნზე; იხ. დადიანი, 1962: 230). ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ დაყრდნობით მკვლევარი შ. ბურჯანაძე დასძენს, რომ სოფელ მარნის უბანი ილორი რიონის კალაპოტიდან საკმაოდ მოშორებით, ჩრდილოეთისაკენ მდებარეობს და სამოციოდე წელიწადში რიონის დინების ასე შორს, ჩრდილოეთით გადაწევა საეჭვო უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ნ. დადიანის ამ ჩანამატს იგი მაინც საყურადღებოდ მიიჩნევს (იქვე: 230).

საფიქრებელია, რომ რიონ-ცხენისწყალი დინების მიმართულებას ხშირად იცვლიდა და არაა გამორიცხული, რომ ასეთ შემთხვევას XIX საუკუნეშიც (ან უფრო ადრეც, XVIII ს-ის II ნახევარშიც) ჰქონოდა ადგილი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გიულდენშტედტის ცნობა, რომელიც სამიქელაძოს მხარის სოფლებს შორის ასახელებს სოფელს „კოლობანის“ ფორმით და აღნიშნავს, რომ ცხენისწყალში ჩამავალი მდინარეების შესართავებთან მდებარე სოფლების მსგავსად ეს სოფელიც „წყლისგანაა დანგრეული“ (გიულდენშტედტი, 1962: 307). აქ იგულისხმება თანამედროვე აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ქოლობანი, რაც ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ნოღელისა და ცხენისწყლის ხეობებში მდებარეობს (კეკელია, 2011: 78). მაშასადამე, გიულდენშტედტის თქმით, ცხენისწყლისპირა და მასში ჩამავალი მდინარეების შე-

სართავებთან მდებარე ზოგიერთი სოფელი მდინარეთა ნგრევით მოქმედებას ეწირებოდა.

ვახუშტის ცნობით, ცხენისწყლის უწინდელი სახელწოდება **თაკუერი//მდინარე თაკუერისა** ყოფილა. თაკვერი//თაკუერი ერქვა ისტორიულ მხარეს დასავლეთ საქართველოში, რაც ძირითადად მოიცავდა ახლანდელ ცაგერის მუნიციპალიტეტს. გ. მამარდაშვილის აზრით, ცხენისწყლის სახელწოდების ვახუშტისეული ფორმა „მდინარე თაკუერისა“ ლეჩხუმის ხევის, ან გორდის მიდამოებისაგან, ე. ი. იმ ადგილის მიხედვით უნდა წარმომდგარიყო, სადაც ეს მდინარე მიედინება¹ (მამარდაშვილი 2006: 16).

ჰიდრონიმ „ცხენისწყლის“ ვახუშტისეულ ეტიმოლოგიას საფუძვლად უდევს „ქართლის ცხოვრების“ მემატიანის ცნობები. ხალხური გადმოცემა სახელწოდებას ამ მდინარეში მტრის მოლაშქრეთა ცხენების დახრჩობას უკავშირებს. კ. ჰანი იმონმებს თვით ვახუშტის ცნობას და წერს: „**Цхенись-цкали** груз. отъ цхени цхени=лошадь и წყალი цкали=река: лошадиная река. По летописи Вахушта въ этой реке утонуло 6000 лошадей армии арабского полководца Мурванъ-Кру, при возвращении его над Анакофии (въ 646 г. по Р. Х.); отъ него она получила такое название. Прежнее грузинское название было Такверь. Въ древности река називалась“ (ჰანი, 1909: 153). ფიქრობენ, რომ ცხენისწყლის უწინდელი სახელი **ცენისწყალი** უნდა ყოფილიყო. მდინარისათვის სახელი უნდა მიეცა მის სათავესთან მდებარე სვანური სოფლის სახელწოდებას. ესაა **ცანა** ანუ **ცენა** (ჭუმბურიძე, 1987: 526). ცანა ეწოდება სოფელსა და თემის ცენტრს ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. სხვათა შორის, ხონის მუნიციპალიტეტის სოფლებში – გელავერსა და ღვედში მდინარის

¹ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **კვერ-** ფუძე ფიგურირებს შემდეგ ტოპონიმებში: საკვერია – საბალახო კინჩხაფერდში; **საკვერიო//საკვირიო** – მთა-საბალახო სალხინოს სატყეოში, ასხის მთაზე, ობორიეს აღმოსავლეთით (კეკელია I, 2011: 9; ცხადაია VI, 2012: 530). საკვერიოში, ასხის მთაზე იღებს სათავეს მდ. კვერეშულა, რაც ჩაუვლის კვერეშიგვერდის გორას. იქვე, ასხის მთაზე საბალახოს ეწოდება **თაკვერა**. ჰიდრონიმ „კვერეშულაში“ ჯ. შარაშენიძე გამოყოფს კვერ- ფუძეს, -ემ ნათესაობითი ბრუნვის სვანურ ნიშანს და -ულ კინობითის სუფიქსს, და „კვერეშულას“ განმარტავს მთა კვერის პატარა მდინარედ (შარაშენიძე, „დ. მ.“, 40, 1976: 12-25).

სახელწოდების პარალელურ ფორმად დადასტურებულია **ცენისწყალი** (საქ. ტოპ., II, 1999: 168; III, 2003: 355), ხოლო იური სიხარულიძე ვაკე-იმერეთში (სამტრედიის რ.) სათესის სახელწოდებად ასახელებს ტოპონიმ **ცენწყლისჭალას // ცხენწყლისჭალას // ხიდიჭალას** (სიხარულიძე, სიგკ, VI, 1982: 103). მიუხედავად ამისა, სახელწოდების **ცენასთან** ან **ცანასთან** დაკავშირებას ის დაბრკოლება ელოდება წინ, რომ ეს მდინარე ოდიტგანვე **ცხენისწყლად** იწოდებოდა. ასეა იგი მოხსენიებული უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროებში. სწორედ ამის დასტურია მისი ბერძნული სახელწოდებაც – **ჰიპპოსს** (ჭუმბურიძე, იქვე; კირთაძე, 2012: 94).

ო. ხუხუას მოსაზრებით, სახელწოდება „ცხენისწყალი“ შინაარსობრივად მდინარის დინების ხასიათის გამომხატველია და შესაძლოა, აღნიშნავდეს არა ცხენის ან ცენის თუ ცანის, არამედ „ცხენით წყალს“, ვინაიდან მდინარის სახელწოდების მეგრული შესატყვისია **ცხენწყარი** (ხუხუა, XVI, 1972: 20). ცხენისწყლის არაოფიციალური პარალელური სახელწოდებებია **ცხენწყარი//ცხენ(იმ)წყარი//ცხენწყარი**. ასე უწოდებენ მდინარეს მარტვილისა და აბაშის მუნიციპალიტეტის სოფლებში. საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ სოფ. ხუნში **ცხენისწყლის//ცხენწყარის** პარალელურად მდინარეს **ქაჯწყარს//ქაჯწყარს** ეძახიან.

როგორც ითქვა, სახელწოდება „ცხენისწყლის“ ვახუშტისეულ ეტიმოლოგიას საფუძვლად უდევს „ქართლის ცხოვრების“ ცნობები. აქვე აღვნიშნავთ, რომ მეცნიერი თავის დროზე იზიარებდა საქართველოში არაერთი მდინარის საკუთარი სახელის წარმომავლობას მათთვის დამახასიათებელი ბუნებრივი თავისებურებების მიხედვით. ესენია, მაგალითად, წყლის დინების განსაკუთრებული შეფერილობა, მდინარის კალაპოტის თვალშისაცემი სიღრმე და დახრამულობა. ვახუშტი ფიქრობს, რომ ამის შესატყვისად უნდა დარქმეოდა მდინარეებს ყვირილა, ჭოროხი, ქცია (ან ხრამი), ჩხერიმელა და სხვ. (ვახუშტი, IV, 1973: 318, 321, 658, 676, 680, 685, 752, 758; ითონიშვილი, 1989: 9-10).

მდინარის სწრაფი დინების ცხენთან შედარების ტრადიცია, როგორც ჩანს, საქართველოსა და კავკასიის სინამდვილეში ცნობილი იყო. დინების თვალშისაცემი სისწრაფის გათვალისწინებით, ძალაუნიბურად იმ ვარაუდამდე მივდივართ, რომ „ცხენისწყალი“ მდინარის განსაკუთრებული სისწრაფისა და ხმიანობის აღმნიშვნელი სახელწოდ-

დებაა და უნდა გავიაზროთ როგორც „ბობოქარი, სწრაფი, გიჟმაჟი, მჩქეფარე, დაუდგრომელი ნაკადი“. **ქაჯინყარი//ქაჯწყარი** ასევე მეტაფორული ჰიდრონიმია და აღნიშნავს „ქაჯივით შლიგინას, ქაჯისთვის დამახასიათებელი თვისების, ქაჯური ქცევის მქონე მდინარეს“.

სახელდების ზემოთ მოხმობილი მნიშვნელობით გააზრების შემთხვევაში ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833 წწ.) თავის სამოგზაურო ჩანაწერებში აღნიშნავდა შემდეგს: „ვიდრე სოფელ მარანში ჩავიდოდით, შვიდ-რვა ვერსზე ცხენისწყალი შევნიშნეთ: ეს არის ბერძნების ჰიპუსი, ანუ ცხენის-წყალი; **ეს სახელი მას სწრაფი დინების გამო უწოდეს** (ხაზგასმა ჩემია – ი. კ.). იგი თითქმის ისეთივე სიგანისაა, როგორც ფაზისი“ (გამბა, 1987: 129). ცხენისწყალს ნ. დადიანი არაერთგზის მოიხსენიებს თავის ნაშრომში (დადიანი, 1962: 162, 185, 201).

ვახუშტის 1745 წლის რუკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ლეჩხუმის სამხრეთ-დასავლეთი მხარე ცხენისწყლის ხეობაში სოფ. გორდამდე აღწევდა. თვით გორდი ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ოყურემის სამხრეთით, ლეჩხუმის ტერიტორიაზეა აღნიშნული. ბოლო ხანებამდე შემორჩენილი ტრადიციის მიხედვით, ესაა ზემო ლეჩხუმი, რაც გორდიდან მურის კლდეკარამდე ვრცელდებოდა (ბერძენიშვილი, ბანძელაძე..., 1983: 4).

ცხენისწყლის ხეობის ზოგიერთ პუნქტს ვახუშტი აღნიშნავს 1745 წლის რუკაზე, მაგრამ მათ შესახებ არაფერს ამბობს აღწერილობაში. ცხენისწყლის ხეობაში მდებარე ოდიშის სამთავროს პუნქტებიდან, დაბის პირობითი ნიშნით, მეცნიერს რუკაზე დატანილი აქვს კურჩე, ხუნნი, ნაგვაზუ, ლეჯახია, ლეხაინა და ონფი, ხოლო რიონ-ცხენისწყლის შესართავთან, მთავრის სასახლის პირობითი ნიშნით – ტყვირი.

ამჯერად ჩვენს ამოცანას შეადგენს, ვიმსჯელოთ ვახუშტის რუკებზე აღნიშნული ზოგიერთი პუნქტის ლოკალიზაციისა და ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხებზე.

ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ხუნნის ჩრდილოეთით, ვახუშტის მიერ რუკაზე დატანილი **კურჩე** ტოპონიმ „სუხჩას“ დამახინჯებული ფორმაა. სუხჩა თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სოფელია ამჟამინდელ ხონის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის ხეობაში, ზ. დ. 360 მ. სიმაღლეზე. სოფელი ხონიდან 11

კმ-ით არის დაშორებული და მათხოჯის თემში შედის (ქსე, XI, 1985: 617). სახელწოდების უწინდელი ფორმა „სუხჩე“ უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს მოგვიანო ხანის საარქივო დოკუმენტები და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარები. **სუ, სკუ** და **სქუ** კომპონენტის შემცველი ტოპონიმები ღრმა და ფართოხეობიანი მდინარის, ან ტყე-ხეობის აღმნიშვნელია, სადაც ღელე ან მდინარე გაედინება (ცხადაია, „საქ. ტოპ.“ II, 1999: 296), ხოლო **ჩე** ქართულად „თეთრს“ აღნიშნავს. მაშასადამე, **სქურჩე//სუხჩე** იგივეა, რაც „თეთრი მდინარე; თეთრქვეებიანი კალაპოტის მქონე მდინარე“.

ხუნნი სამეგრელო-იმერეთის საზღვარზე, ნოღელისა და ცხენისწყლის ხეობებში მდებარეობს. ხუნნი სოფლის ერთი კუთხის სახელწოდება ყოფილა, გვიან კი მთელ სოფელზე გავრცელებულა. სოფელი სამ ნაწილად არის გაყოფილი – ზემო ხუნნი, ქვემო ხუნნი და ლეციცხვაიე. ი. მეუნარგია დავით დადიანის დროის მარტვილის მაზრის სოფლებს შორის მიუთითებს ხუნნს (მეუნარგია, 1939: 113).

ნაგვაზუ(უ) სოფელი და თემის ცენტრია აბაშისა და ცხენისწყლის შუამდინარეთში, ვაკეზე. ტერიტორია ვრცელდება სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სოფლის სახელწოდება ნა-უ ინფიქსებითაა ნაწარმოები, რომლის ფუძეს **გვაზ-** წარმოადგენს. სოფელში გვაზავებით დასახლებულ ერთ პატარა უბანს, რაც ქვედა ნაგვაზავოში, ნოღელის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, **ეგვაზეს** (საგვაზავო) ეძახიან. ამ უბანში გვაზავები დღესაც ცხოვრობენ. მაშ, როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ მთლიანად სოფლის სახელწოდებად ფიქსირებული ფორმა ნაგვაზუ(უ) „გვაზავების (ან გვაზავას) ნასახლარს“ ნიშნავს? ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა პ. ცხადაიამ. მკვლევრის აზრით, **ნაგვაზუ(უ)//ნაგვაზოუ** თავდაპირველად მცირე ტერიტორიული შემოსაზღვრულობის მქონე გეოგრაფიული ობიექტის – სახნავის, ტყის, მინდვრის, ბორცვის სახელწოდება უნდა ყოფილიყო. მეტონიმიის გზით კი მთელ სოფელს ამ ადგილის სახელი დაერქვა. „ნა-გვაზ-ოუ“ გვაზავას ნაცხოვრები ადგილი“ შემდეგ დასახლებულთა თვალსაზრისს კი არ გამოხატავს, არამედ ახლომახლო მოსახლე იმ კოლექტივის თვალსაზრისს, რომლის თვალწინ მოხდა გვაზავას ნაცხოვრებელი ადგილის გადაქცევა ნასახლარად“, – წერს პ. ცხადაია (ცხადაია, 1985: 172).

წერილობით წყაროებსა და ზეპირმეტყველებაში ტოპონიმის რამდენიმე ფორმაა ცნობილი. XVII საუკუნის I ნახევრით დათარიღებულ წერილობით საბუთში ვკითხულობთ: „ამას გარდა ნაგვაზაურს ორი კვამლი კაცი იყო, მარტო ბეგარა ჩვენი იყო და სხვა სამსახური ლიპარტიანისა ედვა“ (ქსდ, III, 1970: 502). „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში“ ფიქსირებულია აგრეთვე ტოპონიმი **ნაგუაზაუს** და **ნაგვაზაურების** ფორმით: „არის: ნაგუაზაუს სასახლე...“ „ახლა ბატონმნ ლიპარტანმნ და ბატონმნ კ~ზმნ დავსდევით ნაგვაზაურებსა რაც კცი სახლობს კუამლის თვსა თითოს კ~ცსა ათ ათი კოდი ლომი...“ (კაკაბაძე, 1914: 17, 18). სოფელს **ნაგვაზაუს** ფორმით აღნიშნავს რუკაზე ვახუშტი ბაგრატიონი.

კორნელი ბოროზდინი წიგნში – „სამეგრელო და სვანეთი“, ასახელებს სოფელ ნაგვაზაუს (ბოროზდინი, 1934: 250). იონა მეუნარგია ოდიშის მთავრის – დავით დადიანისდროინდელი მარტვილის მაზრის სოფლებში პირველ და მეორე **ნაგვაზოუს** ასახელებს (მეუნარგია, 1939: 113). „საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შესულია **ნაგვაზუ** – სოფელი ჩხორონწყუს რაიონში. პარალელური სახელწოდებაა ნაკათი (ლენურწუმის თემი). ამავე ლექსიკონში, იქვე, მითითებულია „**ნაგვაზავო** – სოფლების ზემო ნაგვაზავოსა და ქვემო ნაგვაზავოს გავრცელებული სახელწოდება“ (ორთოგრ., 1987: 73). საინტერესოა ის გარემოება, რომ ზემო და ქვემო ნაგვაზუ(უ)ს პარალელურ სახელწოდებად გვხვდება **ნოლა-ნაგვაზუ** და **საჩიქვანოშ ნაგვაზუ**. ამდენად, სოფლის სახელწოდების რამდენიმე ვარიანტიდან (ნაგვაზაური, ნაგვაზაურები, ნაგვაზუ(უ), ნაგვაზავო) სწორი ფორმაა ზეპირ მეტყველებაში დამკვიდრებული **ნაგვაზუ(უ)**.

ვახუშტის რუკაზე, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას, ბანძასა და ნაგვაზაუს შუა, აღნიშნულია პუნქტი **ლესაინას** სახელწოდებით. „ლესაინა“ ფორმითაც და რუკაზე მოცემული ადგილმდებარეობითაც დღევანდელ **ლესაინდრეს//ლესაინდრავოს** შეესაბამება.

ლესაინდრავოს თემი სამ სოფელს აერთიანებს: ლესაინდრავოს, ნოჯიხევს და სტეფასდაბალს. სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია (ლ)ესაინდრე. სოფელი მდებარეობს ნოდელისა და ცხენისწყლის ხეობებში. შ. ჯღარკავა ლამბერტის რუკაზე, ცხენისწყლის ნაპირას აღნიშნულ პუნქტს – **ლესორს**, დღევანდელ ლე-

ხაინდრაგოდ მიიჩნევა (ჯღარკავა, 1970: 230). კ. ბოროზდინი ცხენისწყლის პირას მდებარე ფალავების საყმო სოფლად ასახელებს ლეხაინდროს (ბოროზდინი, 1934: 250). (ლ)ეხაინდრე უნინ სოფლის ერთ პატარა უბანს ერქვა, სადაც ხაინდრავები მოსახლეობდნენ. კომლთა რაოდენობით დღეს ხაინდრავებს ამ სოფელში დანელიები ბევრად ჭარბობენ, მაგრამ სოფლის ტრადიციული სახელწოდება ლეხაინდრე მაინც უცვლელი დარჩა (ცხადაია, 2000: 167).

ვახუშტისეული **ლეჯახია** ფორმითაც და რუკაზე მოცემული ადგილმდებარეობითაც (ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირი) დღევანდელ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაჯახუ(უ)ს შესატყვისება. **ნაჯახუ(უ)** („საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით **ნაჯახავო**), აბაშა-ცხენისწყლის შუამდინარეთში მდებარე სოფელია. თამაზ ბერაძეს ვახუშტის რუკებზე აღნიშნული რამდენიმე პუნქტის (სუხჩე, ლეხაინა-ლეხაინდრე) სახელწოდების აღდგენა მოუხერხებია, მაგრამ ტოპონიმ „ლეჯახის“ შესატყვისი თანამედროვე ვარიანტი არა აქვს აღდგენილი (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 66). **ლეჯახი//ლეჯახე** „ჯავახიას (ჯავახიების) საცხოვრებელს, მათ უბანს, დასახლებას ნიშნავს (ლეჯავახე-ლეჯაახე-ლეჯახე). გვარ ჯავახიას კომპაქტური დასახლება გვხვდება სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ახალსოფელში, ძველ სენაკში, ნოსირსა და სხვაგან. 1904 წლის აღწერის თანახმად, აზნაურ ჯავახიებს უცხოვრიათ ნაჯახუსა და გეჯეთში. ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი გარემოებაც: დავით დადიანის მთავრობის პერიოდში ოდიშ-ლექსუმი რვა მაზრად იყო დაყოფილი. მათ შორის ერთ-ერთის – მარტვილის მაზრის, სოფლებს შორის დასახლებულია **ნაჯავახოუ**, რაც ამჟამინდელი ნაჯახავოა. ამდენად, XVIII საუკუნეში სოფელს ლეჯა(ვ)ახე ერქვა. ოიკონიმ **ნაჯახუ(უ)ს** წარმომავლობას, ჩვენი აზრით, შემდეგი სახე უნდა მიეცეს: ლეჯავახე → ლეჯაახე → ლეჯახე → ნაჯა(ვა)ხუ → ნაჯახუ(უ) (კეკელია, 2010; მისივე, „ქ. ო.“, V, 2011: 128-129).

ონტოფოს შემდეგ, ცხენისწყლის მარცხენა მხარეს, ივანდიდის მახლობლად რუკაზე დატანილი ორი პუნქტის – **ბენარისა** და **ბენულეთის** ლოკალიზაცია სირთულეებთანაა დაკავშირებული. სავარაუდოდ, ეს სახელწოდებანი ამჟამინდელი მარტვილის მუნიციპა-

ლიტეტის სოფლების – ნაგებერუ(უ)სა და ონოლიის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს (კეკელია, „ქ. ო.“, V, 2011: 130).

ნაგებერუ(უ) სოფელია ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ნოღელის ხეობაში მდებარეობს. მარტვილს 12 კმ-ით არის დაშორებული და ზ. დ. 105 მ-ზეა. „გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შესულია **ნაგებერავოს** ფორმით. პ. ცხადაია ოკომონიმ ნაგებერავოს მიხედვით აღადგენს გვარ გებერავას (ცხადაია, 2000: 67), ე. ი. ნაგებერუ „სადაც გებერავას უცხოვრია“. ჩვენი აზრით, **ნაგებერუ//ნაგებერუ** (ჰაპლოლოგიის გზით) ნიშნავს გიგიბერიას (გეგებერიას) ნასახლარს, ადგილს, სადაც ამ გვარს ან გვარისკაცს უცხოვრია. შესაძლებელია, ნაგებერუ, ნაგიბერუ თავდაპირველად მხოლოდ მცირე გეოგრაფიული ობიექტის – სახნავის, საძოვრის, მინდვრის ან ტყის სახელი ყოფილიყო და გარკვეული მიზეზების გამო განივრცო სახელდებული ობიექტის უშუალოდ მომიჯნავე ობიექტზე, რაც დამახასიათებელია სამეგრელოს ტოპონიმიკისათვის.

ონოლია მდებარეობს ნოღელისა და ცხენისწყლის ხეობებში, ზ. დ. 90 მ. ოდიშ-ლექსუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის (1831 წ.) თანახმად ონოლია სუფუნის მაზრაში შედის, ხოლო 1872 წლის „აღწერის“ მასალების მიხედვით ფალავების სათავადოს შემადგენლობაშია (მეუნარგია, 1939: 113; ჯღარკავა, 1970: 251). ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, ონოლია VI საუკუნის ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული **ონოგურისი** უნდა იყოს. „ბანძაში ხომ არ იყო ის ციხე ონოგურისი – ონოლია“ – წერდა მკვლევარი. თუმცა, იქვეა სამი კითხვის ნიშანი (ბერძენიშვილი, VIII, 1975: 462). საქმე ის გახლავთ, რომ ონოლიის ტერიტორიაზე ადრეფეოდალური ხანის ციხესიმაგრის კვალი არ ჩანს. გ. ელიავას მიერ ჩანერილი ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: დიდი ხნის წინ სოფელში გავრცელებული ჭირის გამო სიკვდილიანობა გახშირებულა. ხალხი შიშით გარბოდა სოფლიდან და ამბობდა – **ონდო ღურაე** „სულ სიკვდილიაო“ (ელიავა, 1977: 71-72).

ტოპონიმი „ნოლა“ სამეგრელოში ფართოდაა გავრცელებული. ი. ყიფშიძის განმარტებით **ნოლო** მდინარის ტოტია, ხოლო ნოყო//ნოყა – დამდგარი, ჭაობიანი ადგილი (ყიფშიძე, 1994: 494). ამასთანავე, „ნოლო“ მეგრულში ხევის, ჩავარდნილი ადგილის ან ჭალაში მიმ-

დინარე ლელის აღმნიშვნელია. პ. ცხადაიას მიერ ჩანერილი განმარტებით, ნოლა ლელე-მდინარეთა ვაკე-ნაპირებზე მდებარე ნოყიერი, უხვმოსავლიანი მიწაა (ცხადაია, IV, 2008: 275). გ. ელიავა „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმკაში“ ათჯერ მიუთითებს „ნოლას“ (ელიავა, 1977: 9, 54, 68, 72, 87, 97, 106, 110, 138, 155). „ნოლა“ ფიგურირებს სხვა მიკროტოპონიმებშიც – ნოლა(ში) პიჯი „ნოლისპირი“, ნოლაპირი, ნოლელა (მდ.), ნოლე, ნოლიე პიჯი, ნოლის ჯიხა „ციხე“ – ისტორიული ძეგლი კინიის თემის სოფ. ნოლაში; ნოლაია – ლელე სალხინოს თემში; ნოლა – სოფლები სამტრედიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით **ნოლო** იგივეა, რაც „მდინარის გაყოლებაზე არსებული ნაყოფიერი ადგილი“ (ქეგელ, 1990). ოიკონიმი **ონოლია** (ონოლიე – ონოლე) შეიძლება გავი-აზროთ, როგორც „წყლისპირა ვაკე-სახნავი, დაბალი ადგილი, ნოყიერი მიწა“ (ო- პრეფიქსია).

ვახუშტის რუკაზე ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცია შედარებით ზუსტადაა მოცემული, მაგრამ თვით ტოპონიმის დანერილობის ფორმა არასწორია. მაგალითად, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას, ვაკე-იმერეთის ტერიტორიაზე, ეკლესიის პირობითი ნიშნით მითითებულია პუნქტი **ონფის** ფორმით, რაც ახლანდელი აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელი **ონტოფო** უნდა იყოს (კეკელია, „ქ. ო.“, V, 2011: 129; მისივე 2011: 52).

ონტოფო თემის ცენტრია, რაც სამ სოფელს – პირველ ონტოფოს (ყოფილი ბარბაეკარი//ბარბალესკარი), მეორე ონტოფოსა და ეწერს აერთიანებს. პირველი ონტოფო ზ. დ. 38 მ სიმაღლეზეა და აბაშიდან 8 კმ-ითაა დაშორებული. მეორე ონტოფო ზ. დ. 40 მ-ზეა და ნოლელის ნაპირას, პირველი ონტოფოდან 1,5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ოდიშ-ლენჩხუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად ონტოფო სუფუნის მაზრაში შემავალი სოფელია (მეუნარგია, 1939: 113).

ამჟამინდელი ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტი **ონტოფო** ფაქტობრივად უწინდელი ოფიციალური სახელწოდება ყოფილა. გ. თოფურეას მსჯელობით, ოიკონიმ „ონტოფოში“ უნდა გამოიყოს

არცთუ ისე გავრცელებული ზანური კონფიქსი ო-ო (ქართ. სა-ე/-ო), ხოლო ნ აქ განვითარებულია (თოფურია, „მახარია“, №4, 2004: 17).

ი. ყიფშიძე წერს: „ტოფი“: -ო-ტოფა, ონ-ტოფა, ონ-ტოფო, ონ-ტოფუ; ონ-ტოფური..., ონტოფარეფი (ყიფშიძე, 1914: 330).

ოიკონიმ ონტოფოს ეტიმოლოგიის შესახებ გ. ელიავას ორი გადმოცემა ჩაუწერია: 1. ონტოფომა ვიდათია, ტოფუეფიში ოჭოფუმა ვიდათია; „ონტოფოში ნავიდეთ, ტოფუების დასაჭერად ნავიდეთო“. ტოფი თევზის ერთ-ერთი სახეობაა. **ონტოფო** „სატოფო“; 2. ტოფური ერქვა ბალახს, რაც ამ ადგილებში მრავლად ხარობდა. ამიტომ სოფლისთვის **ოტოფური, ონტოფო** დაურქმევიათ (ელიავა, 1977: 15).

იმავე მკვლევარს „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ **ტოფის** განმარტებისას მოხმობილი აქვს შემდეგი სახის საილუსტრაციო მასალა: „1. ერთგვარი ბალახი; 2. თევზი (ელიავა 1997: 29). სამეგრელო-სამურზაყანოსა და იმერეთში დასტურდება ტოპონიმები – ონტოფი, ონტოფო, ოტოფუ, ნატოფუ და ა. შ. (ოიკონიმ „ონტოფოს“ შესახებ ვრცლად იხ. კეკელია, ლქაპ, III, 2011: 127-132; მისივე, 2011: 51-57).

გულუხეთი. ვახუშტის რუკაზე, ცხენისწყლის მარცხენა მხარეს, ნაფახურის (ნაფალურის) დასავლეთით, ვაკე-იმერეთის ტერიტორიაზე, დაბის პირობითი ნიშნით აღნიშნულია აგრეთვე **გულუხეთი**. სინამდვილეში ასე ეწოდება სოფელს ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, გეზათის თემში, რაც ზღვის დონიდან 40 მ-ზე მდებარეობს და აბაშას 10 კმ-ითაა დაშორებული (კეკელია, „ქ. ო.“, V, 2011: 127-128). დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით გულუხეთი სუჯუნის მაზრაში შემავალი სოფელია (მეუნარგია, 1939: 113). 1864 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებულ ერთ დოკუმენტში გვხვდება ვარიანტი **გულიხეთი**: „იმათში სულნი თექვსმეტი გულიხეთს...“ (ინახება ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში; დოკუმენტი №733). სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია აგრეთვე **გულხეთი** (კეკელია, იქმ, XI, 2009: 420; მისივე, ლქაპ, III, 2011: 127).

რუკაზე ასევე შეცდომითაა დატანილი **საჭილაო**. ეს პუნქტი ვახუშტის მიხედვით ვაკე-იმერეთს ეკუთვნის და ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზეა მითითებული. სინამდვილეში საჭილაო ამ მდინარის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 13 მ-ზეა და აბაშას 9 კმ-ით არის დაშორებული

(კეკელია, „ქ. ო.“ V, 2011: 127). მისი ამჟამინდელი სახელწოდებაა **მარანი**, რაც თემის ცენტრია ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს და აბაშას 10 კმ აშორებს. აერთიანებს სამ სოფელს – საკუთრივ მარანს, გუგუნაყათს და მარანჭალას. ეს უკანასკნელი თემის ცენტრიდან 2 კმ-ის დაშორებით, ზ. დ. 25 მ-ზე მდებარეობს. ბაქანს სამტრედია-ფოთის სარკინიგზო ხაზზე აგრეთვე **მარანი** ეწოდება. „მარანი“ ხშირად ფიგურირებს სამეგრელოს ტოპონიმებში. გ. ელიავა „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმოკაში“ რამდენიმე ადგილას მიუთითებს ტოპონიმ „ნამარანუს“ (ელიავა, 1977: 51, 62, 86, 92, 115, 122, 160, 173). XIX ს. დასაწყისის ერთ საბუთში საჭილაოს სოფლებს შორის დასახელებულია მარანი (ბერაძე, ცქიტიშვილი, სიგკ, 1971: 42).

ქოლობანი თემის ცენტრია და ექვს სოფელს – ბულვანს, გუგუნაყათს, პატარა გეზათს, ტყვირს, ცილორსა და საკუთრივ ქოლობანს აერთიანებს. აბაშას 7 კმ-ითაა დაშორებული და ზ. დ. 25 მ-ზე მდებარეობს. ვახუშტის 1745 წლის რუკაზე, დაბის პირობითი ნიშნით ვაკე-იმერეთის ტერიტორიაზეა დატანილი. რუკის მიხედვით **ქოლობანი** მითითებულია ლანირის ჩრდილოეთით, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას. ვახუშტი ქოლობნის ლოკალიზაციისას შეცდომას უშვებს. სინამდვილეში სოფელი ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ნოღელისა და ცხენისწყლის ხეობებში მდებარეობს (ქოლობნის შესახებ იხ. კეკელია, ლქაპ, III, 2011: 132-133; მისივე, „ქ. ო.“, V, 2011: 127).

ტყვირი ქოლობნის თემში შედის და ნოღელის მარცხენა ნაპირას, ნოღელის რიონთან შესართავთან, ზ. დ. 17 მ-ზე მდებარეობს. ტყვირიდან ქოლობნამდე 1,5 კმ-ია, ხოლო აბაშამდე – 6 კმ. ჩრდილოეთით ბულვანი ესაზღვრება, ხოლო აღმოსავლეთით – მარნის ტერიტორიული ორგანო. სოფლის ერთ უბანს ნოღელის მარცხენა მხარეს **ტყვირიმ ნოხორი//ჯვეში ტყვირი** ეწოდება. აქ, ნაცხენწყარუს მარცხენა ნაპირზე დგას „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის გუმბათოვანი ეკლესია, მაცხოვრის ამალლების სახელობისა (მას **მანცხვარს//ტყვირიმ ოხვამეს** ეძახიან). უწინდელ ტყვირის ტერიტორიაზე დღეს სახნავე-სათესი ფართობებია და აღნიშნული ტერიტორია უკვე ნასოფლარს, წარმოადგენს. სპეციალისტთა ვარაუდით, ეკლესიის მშენებლობა XV საუკუნეში უნდა დამთავრებულიყო. სამხრეთის კარისთავზე შესრულებულ ნუსხახუცურ წარწერაში სოფლის სახელწოდებად გვხვდება „მტყუვირი“ ფორმა (თაყაიშვილი, III, 1913-1914: 4). მაცხოვ-

რის ვერცხლის ხატის არშიებზე შესრულებულ მხედრულ წარწერაში გვხვდება სახელწოდება ტყვირი (იქვე). ხატი თარიღდება XVI-XVII საუკუნეთა მიჯნით.

ტყვირის ეკლესიის გუმბათი ტყვიის ფურცლებით ყოფილა გადახურული. სოფლის სახელწოდებასაც ამ ფაქტს უკავშირებდნენ. ე. თაყაიშვილმა ეს გადმოცემა საეჭვოდ მიიჩნია და ზემოთ მოტანილ წარწერებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ სახელი ტყვირი სოფელს მანამდეც რქმევია, ვიდრე აქ ეკლესიას ააშენებდნენ (იქვე).

ტყვირი აღნიშნულია იმერეთის მეფის, ალექსანდრე V-ის (1720-1740/1741-1752 წწ.) ბრძანებით 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე. XIX ს-ის დასაწყისის ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ ტყვირი საჭილას სათავადოში შემავალი სოფელია. შუა საუკუნეებში ეს სოფელი წარმოადგენდა ჭილაძეების რეზიდენციას (ბერაძე, ცქიტიშვილი, სიგკ, IV, 1971: 42). ვახუშტის რუკაზეც, რიონისა და ცხენისწყლის შესართავთან ტყვირის მითითება თავადის სასახლის პირობითი ნიშნით სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას. ოდიშ-ლეჩხუმის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ტყვირი სუჯუნის მაზრაში შედის (მეუნარგია, 1939: 113).

პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის მოსაზრებით, სახელწოდება „ტყვირი“ **ტყვა (ტკვა)** სიტყვისაგან უნდა იყოს მიღებული, რაც მეგრულში „კიბეს“ ნიშნავს. მაშასადამე, მისი მსჯელობით, **ტყვირი** იგივეა, რაც კიბესავით დამრეცი, კიბულა (ჭუმბურიძე, 1987: 212). აღნიშნული მოსაზრება, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ტყვირი ვაკეზეა გაშენებული და კიბისებური, დამრეცი რელიეფი არ ახასიათებს, დაუსაბუთებელია და საკამათოდ მიგვაჩნია.

კ. კაჭარავა ტაძრის სამხრეთი კარიბჭის თავზე არსებულ წარწერაზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს, რომ სოფელს ადრე **მტყოვირი** ან **ტყობირი** უნდა რქმეოდა. ასეთი სახელი, ალბათ, იმიტომ შეერქვა, რომ აქ რაღაც საიდუმლო გასაქცევ-გასაპარავი გვირაბი არსებობდაო, – წერს იგი (კაჭარავა, „აბაშა“, 2010: 87). სხვაგან იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ტყვირის ტაძრის სარდაფიდან გვირაბი მიემართება აღმოსავლეთით, ცხენისწყლის ძველი კალაპოტისაკენ. მკვლევარი ფიქრობს, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში სწორედ ეს გვირაბი გამოიყენებოდა გასაქცევ-სამალავად (კაჭარავა, 2004: 36). აღნიშნული ეტიმოლოგია დამაჯერებლობას მოკლებულია, რადგან

საქმე ისაა, რომ წერილობით წყაროებსა და ტაძრის ეპიგრაფიკულ წარწერებში სოფლისა და ტაძრის სახელწოდებად გვხვდება „ტყვი-რი“ და „მტყუვირი“ ფორმა, და არა პატივცემული მკვლევრის თვალ-საზრისის დასასაბუთებლად სასურველი „მტყოვირი“ ან „ტყობირი“ ფორმა.

ტყვილს, ტყვირს სამეგრელოში ეძახიან გადაბარდულ, შეზრდილ, ერთმანეთში ჩანწულ-ჩახლართულ, შეტყუცებულ ტყეს. ცოცხალი ხე-ებით შემომესრილ-შემოღობილ ტერიტორიასაც **რტყი(ლ)ი** ეწოდება. შესაძლებელია, სოფლის სახელწოდება ტყვირის სემანტიკაც ტყის, ეკალ-ბარდის მნიშვნელობას უკავშირდებოდეს (კეკელია, 2011: 77).

IV.2. აბაშის ხეობა

ცხენისწყლის ხეობაში მდებარე დასახლებულ პუნქტთა შორის ვახუშტი პირველად ბანძას ასახელებს: „...ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ (ვახუშტი, IV, 1973: 776). ვახუშტისეული „ციხე კეთილნაშენი“, მართალია, ცხენისწყლის დასავლეთით (მარჯვენა მხარეს) მდებარეობს, მაგრამ არა ცხენისწყლის, არამედ აბაშის ხეობაში, აბაშის მარცხენა ნაპირას.

ბანძა სამეგრელოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, გაშლილ ველზე მდებარე სოფელი და თემის ცენტრია. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მარტვილის მუნიციპალიტეტში შედის და ზ. დ. 90 მ-ის სიმაღლეზეა. ქალაქ მარტვილს 12 კმ-ითაა დაშორებული. სოფელს მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეჭირა. ვახუშტი XVII ს-ის ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ცხოვრების ეპიზოდების აღწერისას ბანძას არაერთხელ მოიხსენიებს (იქვე: 447, 833, 834).

სოფლის სახელწოდება, ბანძა, ჩვენი აზრით, „გზაჯვარედინს, გზაგასაყარს, გზაშესაყარს“ უნდა ნიშნავდეს (კეკელია, 2007: 13-14; მისივე, „ორნატი“, №3-4, 2005: 135; მისივე, 2010: 19-22).

ვფიქრობთ, ის გარემოება, რომ „ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ ვახუშტის მიერ ცხენისწყლის ხეობის აღწერისას არის მოხსენიებული, უნდა აიხსნას ბანძის იმდროინდელი გეოგრაფიული მდებარეობის, კერძოდ, ტერიტორიულად დიდი მოცულობის, გათვალისწინებით. გვიან შუა საუკუნეებში და შემდგომაც, XIX ს-სა და XX ს. 30-იან წლებში, სოფელი ბანძა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა.

გიულდენშტედტი სამეგრელოს ორ ნაწილად ყოფს. დასავლეთ ნაწილს ოდიშს უწოდებს, ხოლო აღმოსავლეთს – სამეგრელოს. ამ უკანასკნელში იგი თავის მხრივ ორ მხარეს არჩევს – **ბანძას** და **(ვ)აბა-**

შას. გიულდენშტედტი იქვე ჩამოთვლის ბანძასა და აბაშაში შემავალ სოფლებს (გიულდენშტედტი, I, 1962: 323). ამ ცნობაზე ყურადღება გაამახვილა მკვლევარმა შ. ჯღარკავამ და შენიშნა, რომ სოფლების ჩამონათვალის არათანმიმდევრულობის გამო თითქმის შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი მიეკუთვნებოდა ბანძის მხარეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ბანძის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია ბანძის შემადგენლობაში იყო, ხოლო სამხრეთი ვაბაშას ანუ აბაშას ეკუთვნოდა (ჯღარკავა, 113, 1965: 274). მკვლევარი თავის მოსაზრებას იმ ფაქტით ამყარებს, რომ 1819 წელს შედგენილ საქართველოს გენერალურ რუკაზე, რაც ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ბანძის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას აწერია „Абашский“ (იქვე).

კორნელი ბოროზდინი, თავის მოგონებებში სამეგრელოს ყოფაცხოვრების შესახებ, გადმოგვცემს XIX ს. I ნახევრის ბანძის გეოგრაფიულ მდებარეობას და წერს, რომ ბანძას ეჭირა აბაშასა და ცხენისწყალს შუა მდებარე, 40 ვერსის სივრცე ადგილი, სადაც 75-ზე მეტი კომლი თავადი ფალავა და 800 კომლი აზნაური და გლეხი მოსახლეობდა. „ამ სახით, ბანძა სენაკის ოლქში Status in status-ს (სახელმწიფო სახელმწიფოში) ჰგვანდა, ხოლო მეზობონე ფალავები – ცალკე ელემენტს, ცალკე ძალას“, – წერს კ. ბოროზდინი (ბოროზდინი, 1934: 248-249). მისივე თქმით, ცხენისწყლის ნაპირას მდებარე სოფლები – ლეხაინდრო და ნაგვაზუ, ფალავების საყმოს წარმოადგენდა (იქვე: 250).

ბანძის სოფლის საზოგადოება საკმაოდ დიდი მოცულობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა მოგვიანებითაც, XIX-XX სს-ში. ოდიშ-ლექსუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ბანძა დასახელებულია სუჯუნის მაზრის სოფლებს შორის, მაგრამ ამ დაყოფაში ლეხაინდრო და ნოჯიხევი არ გვხვდება (მეუნარგია, 1939: 113). წერილობითი წყაროების პირდაპირი და არაპირდაპირი ცნობების გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბანძის შემოგარენში მდებარე სოფლები – ლეხაინდრე//ლეხაინდრაგო, ნაჯახუ//ნაჯახავო, ნაგიბერუ//ნაგებერავო, ონოლია, ვედიდკარი, ლეფოჩხუე, მახათი და მუხურჩა დროის გარკვეულ მონაკვეთში ბანძის შემადგენლობაში ერთიანდებოდა.

ჭყონდიდის ადგილმდებარეობის ვახუშტისეული აღწერილობა, რომ ეს პუნქტი ბანძის „ზეით“, ე. ი. ჩრდილოეთით, და მდ. ცხენისწყლის დასავლეთით, „მისი მჭვრეტი, მაღალს ადგილზედ“ მდებარეობს, სინამდვილეს შეეფერება. რუკაზეც ამ პუნქტს უშუალოდ მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას აღნიშნავს (ჯღარკავა, №6, 1970: 78). ოღონდ ამ შემთხვევაშიც უნდა დაზუსტდეს ერთი საკითხი; კერძოდ: შეცდომაა, როცა ვახუშტი ამ პუნქტსაც, ბანძის მსგავსად, არა აბაშის, არამედ ცხენისწყლის ხეობის აღწერისას ასახელებს, რასაც, ჩვენი ფიქრით, ცხენისწყლის ხეობის ბანძა-ჭყონდიდთან სიახლოვე განაპირობებდა.

სწორია ვახუშტის ცნობა იმაზე, რომ ჭყონდიდის ტაძარი არის საძვალე მეფე ბაგრატისა. აქ უთუოდ იგულისხმება საქართველოს მეფე ბაგრატ IV, რომელიც მეფობდა 1027-1072 წლებში. „ქართლის ცხოვრების“ მათიანის ჩანართი გვამცნობს: ჭყონდიდში „...შექმნა ბაგრატ საფლავი თვისი და დაუსვენებინა მრავალნი წმიდათა მარტვილნი“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 303-304).

აბაშისა და ინჩხიას ხეობებში, ვაკესა და გორაკ-ბორცვებზე, ზ. დ. 170 მ-ზე მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და კულტურულ-სამეურნეო ცენტრი, ქალაქი მარტვილი. ქ. აბაშას 33 კმ-ით არის დაშორებული, ხოლო საქართველოს დედაქალაქს (ქ. ხონის გავლით) – 279 კმ-ით. ქალაქის ცენტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჭვენიას მაღალ სერზე, მარტვილის სამონასტრო კომპლექსია აშენებული, რაც აერთიანებს გეგმაში ჯვრის ფორმის ტაძარს, XVIII საუკუნიდან ჩიქოვანებისად მიჩნეულ ეკლესიას (VII, X ს.) და მესვეტის საცხოვრებელ ეკლესია-სვეტს (X-XI სს.) (შდრ. თაყაიშვილი, 1993: 7).

წინაქრისტიანულ ხანაში ტაძრის ადგილას მდგარა უზარმაზარი მუხა **ჭყონდიდი**, რაც კერპად მიიჩნეოდა. ძველ საქართველოში ხეთა თაყვანისცემისა და მცენარეულობის მძლავრი კულტის არსებობაზე მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი და აღნიშნავდა, რომ ამის ერთ-ერთ საუკეთესო დამამტკიცებლად სწორედ ძველ სამეგრელოში სახელგანთქმულ ჭყონდიდს თვლიდა, რაც მეგრულად „დიდ მუხას“ ნიშნავს და, მეცნიერის აზრით, უეჭველად მიუთითებდა ამ ადგილას მუხის მსახურების სალოცავი ადგილის არსებობაზე (ჯავახიშვილი, I, 1979: 134). წმინდა ხე ასოცირდებოდა სიუხვესა და ნაყოფიერებას-

თან. ამასთანავე, ხესთან ასრულებდნენ რიტუალებს და შესთხოვდნენ პირუტყვის მომრავლებასა და დაცვას, გვარის გამრავლებას, მეთემეთა ჯანმრთელობას და ა. შ. (კეკელია, 2008: 34; მისივე, 2009: 10).

ჭყონდიდის კერპის განადგურებას გადმოცემები ქრისტეს ერთ-ერთი მოციქულის – ანდრია პირველწოდებულის სახელს უკავშირებს (ელიავა, 1962: 14-18; მისივე 1971: 41-43; მისივე, 1977: 102, 103; ლამბაშიძე, №4, 2001: 93-100; მისივე, I, 2008: 131-142). მარტილის ეკლესიის ტრაპეზი თითქოს იმ მუხის გადანაჭერზე უნდა იყოს დადგმული, რაც ანდრია მოციქულს მეგრელთა ქრისტიანულ რჯულზე მოქცევისას მოუკვეთია. დიუბუას აზრით, ამ ფაქტის სისწორეს მოწმობს ის, რომ მარტილის საკერპო ტაძრის ნამტკრვეები იმჟამინდელი ტაძრის კედლებშიც იყო ჩაყოლებული (თაყაიშვილი, 1993: 3).

წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ მარტილის უწინდელი სახელწოდება სწორედ **ჭყონდიდი** იყო. VIII საუკუნის 30-იან წლებში, არაბთა ლაშქრობის შედეგად იავარქმნილი ტაძარი X საუკუნეში საფუძვლიანად აღუდგენია ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი II-ს, რომელსაც ჭყონდიდი საეპისკოპოსო კათედრად გამოუცხადებია (ჩუბინაშვილი, I, 1961: 139; ელიავა, 1962: 20-23). როგორც ჩანს, თავდაპირველად VI-VII სს. ყველა წმინდანის („მარტუილთა“) სახელზე აგებული ტაძარი, სწორედ X საუკუნიდან, მეფე გიორგის მიერ მისი აღდგენის შემდეგ, იწოდებოდა მარტილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრად, რომლის სახელსაც ატარებს დღესაც (კეკელია, 2009: 13-14).

მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ოდიშის სამღვდლოებაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ მაღლობზე მდებარე მარტილის ეკლესია „აშენებულია წმინდა მონამეთა (Santi Martiri) სახელზე. მისი ეპისკოპოსი იწოდება ჭყონდიდელად“ (ლამბერტი, 2011: 138).

პავლე ალექსოელი (ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის შვილი) წერს, რომ სამეგრელოში ექვსი ეპისკოპოსია: ჭყონდიდელი (Скоиндел), მოქველი (Мукуел), ბედიელი (Бедиел), ცაიშელი, ხოფელი (Хунел) და დრანდელი (Трандел), და იქვე დასძენს: „В первой еп[и]ск[о]пии, который имянуется и Мартуил зане обретаеца тамо кроме чеснаго древа едина рубаха окровавлена от тех младенцев, которых побил Урод за Хр[и]ста, а имя тому младенцу выло Мартуил“ (მასალები, 1973: 71).

სულხან-საბას განმარტებით **მარტილი//მარტირი** ლათინთა ენაზე „მონამეს“ ნიშნავს, „ხოლო მესხნი ყრმასა უწოდენ“ (სულხან-

საბა, 1928: 197). ყმანვილის მნიშვნელობით ხმარობს ამ სიტყვას სხვაგანაც: „მისის ზღუდისა კედელი მეფეთ თავითა გებული, მისი ზღვა მარტვილთ სისხლითა აღსავსე, წითლად ლებული“ (სულხან-საბა, II, 1962: 262).

მარტვრი, მარტვლი ძველ ქართულში ბერძნულიდან შემოსული სიტყვაა და „მონამეს“ ნიშნავს. იგივე მნიშვნელობა აქვს ძველ ბერძნულშიც. **მარტვილ-** ფუძისაგან ნაწარმოები, რელიგიური ცნების გამომხატველი სიტყვა **სამარტვლე//სამარტვრე**, ი. აბულაძის განმარტებით აღნიშნავს „მარტვილთა სახელობის ან აღსრულების ადგილს ნაგებობით“ (აბულაძე, 1973).

მკვლევარ ნარგიზა სურმავეას მსჯელობით, აჭარულში დამონმებული სამარტვილო ბავშვთა ერთგვარი დაავადების აღმნიშვნელია და სალიტერატურო ენაში „საყმანვილოს“ სახელით ცნობილი დაავადების შესატყვისია. ყმანვილის მნიშვნელობით „მარტვილი“ აჭარულ კილოში ამჟამად არ იხმარება და გაქვავებული სახით მხოლოდ შელოცვებში გვხვდება (სურმავეა VI, 1987: 49-50).

ნიკო მარის მოსაზრებით, მარტვილის ეკლესია უნდა აეგო იბერეგრისელთა პირველ მიტროპოლიტს. აგათანგელოსის ცნობაზე დაყრდნობით ნ. მარი შენიშნავდა, რომ იერნარზე დაკავშირებული იყო სებასტიელ ორმოც მონამესთან. მათი ნეშტების მოპოვებასა და დაკრძალვაში მონაწილე მიტროპოლიტს ეგრისში მღვდელმთავრად გახდომის შემდეგ მონამეთა პატივსაცემად პირველი ეკლესია სწორედ მარტვილში უნდა აეგო, რადგან ბერძნული „მარტურ“ ქართულად „წამებას“ ნიშნავს. მაგრამ იმ ფაქტს, რომ მარტვილის ტაძარი დღეს ღვთისმშობლის სახელს ატარებს, მკვლევარი ვახტანგ გოილაძე შემდეგ ახსნას უძებნის: გამორიცხული არაა, რომ ტაძარი ორმოც წამებულთა პატივსაცემად აეგო ეგრისის პირველ ეპისკოპოსს (გოილაძე, 1991: 122). გ. მჭედლიძე დასძენს, რომ ღვთისმშობლის მიძინების სახელი მარტვილს მოგვიანებით ეწოდა, მაგრამ თვით სახელწოდება „მარტვილი“ ხალხს მეხსიერებაში ტოპონიმის სახით დარჩა (მჭედლიძე, კეზევაძე, 2008: 31).

ჰიდრონიმი „აბაშა“. ბანძისა და ჭყონდიდის აღწერის შემდეგ ვახუშტი ეხება ჰიდრონიმ „აბაშის“ ეტიმოლოგიას: „ამათთა (ბანძისა და ჭყონდიდის – ი. კ.) დასავლით დის მდინარე აბაშა, პირველ სხვს

სახელით წოდებული. შემდგომად, მოიქცა რა ანაკოფიიდამ მურვან ყრუ, აქ დაბანაკებულთა მოაშთო ამან პ-ჩ აბაში, და მიერიტგან ინოდა აბაშა... ესე სიგრძით არს ტეხურის შესართავამდე. გამოსდის კავკასს, ოდიშსა და სვანეთს შორისს, და დის ჩდილოდამ სამჭრით. არა არს მას შინა თევზი, თვნიერ კალმახისა“ (ვახუშტი, IV, 1973: 776-777).

აბაშის სათავედ ვახუშტი **კავკასს** ასახელებს. კავკასი, კავკასეთი იგივე კავკასიონია. მეცნიერის მსჯელობით, აბაშისა და ტეხურის სათავეები კავკასიონის მთავარ ქედზე კი არაა, არამედ იმ ქედზე, რაც წარმოადგენს ოდიშის ჩრდილოეთ საზღვარს: „თაკვერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამჭრით და კუალად თაკუერიდამვე წარსრული კავკასი ჩდილოთ, ვიდრე ეგრისის სათავემდე, ოდიშსა და სუანეთს შორისი“ (იქვე: 776).

აბაშა სათავეს იღებს ასხის კირქვეული მასივის სამხრეთ ნაწილში, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მისი სათავე-მდგენლებია ტობა და რაჩხისწყალი. მდინარის სიგრძე 66 კმ-ია და მარცხენა მხრიდან უერთდება ტეხურს ზანათის ტერიტორიაზე. მემატიანის ცნობით, მდინარის სახელწოდება VIII საუკუნის 30-იან წლებში ეგრისის სამეფოში არაბთა ლაშქრობის ისტორიას უკავშირდება. ჯუანშერი თავის თხზულებაში მოგვითხრობს: „...აღდგეს მდინარენი სასტიკად, და მიმართა უმცროსმან წყალმან სპასა აბაშთასა, და წარილო მათგან მკუირცხლი ოცდასამი ათასი. და მიერიტგან სახელ-ედვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთსა აბაშა“ („ქ. ცხ.“ I, I, 1955: 237-238; იხ. აგრეთვე კირთაძე 2012: 93). ასეთივე განმარტებაა მოცემული კარლ ჰანის ნაშრომში, სადაც ვკითხულობთ: „**Абаша** приток Техура, получили названные от того, что в немь утонуло 8000 абхазов (абашовъ) уъзъ войска арабского полководца Мурванъ-кру“ (ჰანი, 1909: 2).

ვახუშტი მიიჩნევს, რომ „აბაშა“ მდინარის გვიანდელი სახელწოდებაა. არაბთა ლაშქრობამდე მდინარე „პირველ სხვს სახელით“ ყოფილა ცნობილი, მაგრამ კონკრეტულად თუ რა სახელით, ამის შესახებ მეცნიერი არაფერს ამბობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „აბაშა“ ამ მდინარის ქვემო წელის, კერძოდ, იმ მონაკვეთის სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რაც აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ძველი აბაშის მიდამოებიდან ტეხურის შესართავამდე მდებარეობს (სიხა-

რულიძე, №1, 2003: 3). თუ გავითვალისწინებთ ნ. ბერძენიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ მდინარეს სახელს ადგილი აძლევს, მაშინ ჰიდრონიმი „აბაშა“ შესაძლებელია მეტონიმიის გზით (გეოგრაფიული სახელწოდების უშუალოდ მომიჯნავე ობიექტზე, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში – სოფლის სახელწოდების მდინარეზე გადატანით) მიღებულად ჩავთვალოთ.

თუკი „აბაშის“ მდინარის ქვემო წელის აღმნიშვნელ სახელწოდებად მიჩნევის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას მართებულად მივიჩნევთ, მაშინ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ზემო წელზე მდინარე უეჭველად იმ მთის სახელით უნდა ყოფილიყო ცნობილი, საიდანაც სათავეს იღებს. ასეთი კი რაჩხის მთაა. აბაშის მარცხენა მდგენელის – ტობას პარალელურ სახელწოდებად ჩანერილი გვაქვს აგრეთვე ტოპონიმი „ტანწყარი“. შესაძლებელია ამ ორი ტოპონიმიდან ერთ-ერთი აბაშის ზემო წელის სახელწოდებად გვევარაუდა. საველე ძიებით მომავალში ამ ხეობის შუა წელის სახელიც შეიძლება გამოვლინდეს (სიხარულიძე, კეკელია, VI, 2012-2013: 292).

მოაჩნიათ, რომ ჰიდრონიმ აბაშაში **აბა/-ბა** ელემენტი ადამიანის საკუთარ სახელს, ხოლო **-ში/-შა** მანარმოებელ სუფიქსს უნდა წარმოადგენდეს (აბა-ში→აბა-ში-ა→აბაშა→აბა-სი, ე. ი. აბაშა „აბას სამკვიდროდ, სამფლობელოდ“ მოიაზრება (ხუხუა, XVI, 1972: 19).

სახარია. დიდი ხანია ქართველ ისტორიკოსთა ინტერესს იწვევს ვახუშტის მიერ აბაშის ნაპირზე მითითებული „სახარია“, სადაც ყოფილა „ციხე და სასახლე დადიანისა“ (იქვე: 776-777). სად მდებარეობდა ვახუშტისეული სახარია? აღნიშნული პუნქტის ლოკალიზაციის შესახებ გამოთქმულია რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. გ. ელიავამ ტოპონიმი „სახარია“ სალხინოსთან გააიგივა. ჩანს, რომ მკვლევარი სალხინოსა და სახარიას იგივეობას ამ ორი სახელწოდების ფონეტიკური მსგავსებით ხსნიდა (ელიავა, 1971: 82). ეს მოსაზრება გაიზიარეს გოგილო და დემურ ბასილაიებმა (ბასილაია, ბასილაია, 2008: 29-30).

პ. ზაქარაიამ და თ. კაპანაძემ სახარია ბანძის უკიდურეს ჩრდილოეთით, აბაშის მარცხენა ნაპირას მდგარი ციხე-დარბაზის სახელწოდებად მიიჩნიეს; თუმცა, სრულიად სამართლიანად, მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანისგან თავი შეიკავეს. „ეს ის ადგილია თუ არა, ამის

ზუსტად დადგენა ძნელია, ასეთი ტოპონიმი დღეს არ არსებობს“, – წერენ ისინი (ზაქარაია, კაპანაძე, 1991: 234).

საქმე ისაა, რომ ბანძის ციხე შეუძლებელია სახარიად მივიჩნიოთ და ეს კარგად ჩანს თვით ვახუშტის ცნობიდან, რომელიც წერს: „ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ (ვახუშტი, IV, 1973: 776). ბანძა აბაშის ხეობაში მდებარეობს. ციხის ნაშთი, როგორც აღვნიშნეთ, ბანძის ჩრდილოეთით, აბაშის მარცხენა ნაპირზე, ველზე დგას და **ნოჯიხენის** სახელწოდებითაა ცნობილი. ესაა სოფლის სახელის ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტიც. **ნაჯიხუ, ნოჯიხენი** მეგრულში „ნაციხარს“ ნიშნავს (ჯიხა „ციხე“). ამრიგად, ეს სახელი სავსებით შეეფერება ციხის ნაშთებსაც. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ვახუშტის დროს და უფრო ადრეც, ციხის სახელი **ნოჯიხენი** ვერ იქნებოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ციხის არსებობის პერიოდში სოფელს **ჯიხა** ერქვა, ხოლო მას შემდეგ, რაც აქ მდგარი ნაგებობები დაინგრა, სოფელსაც ნოჯიხენი ეწოდა. ეს უნდა მომხდარიყო XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში (ზაქარაია, ლომოური..., 1984: 55).

ჩვენი ფიქრით, ციხის გარშემო მდებარე დასახლების სახელწოდება ნოჯიხენამდე ბანძა უნდა ყოფილიყო. ეს სავსებით დამაჯერებელი ვარიანტია მაშინ, თუკი გავითვალისწინებთ იმ საგულისხმო გარემოებას, რომ ბანძა, გვიან შუა საუკუნეებსა და, შემდეგაც, XIX საუკუნეში, მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას აბაშიდან ცხენისწყლამდე (კეკელია, №9, 2002: 7; №6, 2005: 14). სწორედ ამიტომ უნდა მიუთითებდეს ვახუშტი ცხენისწყლის დასავლეთით ბანძას „კეთილნაშენი“ ციხით.

ძეგლი, რასაც ვახუშტისეულ ბანძის ციხედ მივიჩნევთ, თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ბანძის თემის უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეს, ლეხანდრავოს თემის სოფ. ნოჯიხევში, აბაშის მარცხენა მხარეს მდებარე შემალღებაზეა. ციხის გეგმა მოზრდილი ოვალთაა. მის მახლობლად აგებული პალატი ოთახებიან შენობას წარმოადგენდა, რისიც მხოლოდ უმნიშვნელო ნანგრევებია შემორჩენილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნოჯიხენში ქვის ნაგებობების გვერდით ხის შენობებიც იქნებოდა, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო მათი არსებობა არ დასტურდება. თუკი ჩავთვლით, რომ ნიკო დადიანის მიერ მოხსენიებული ნოჯიხევი სწორედ ეს ად-

გილია, მაშინ სწორია მისი ცნობა აქ დადიანის სასახლის არსებობის შესახებ. ნ. დადიანის მსჯელობით, „ამისთვის იმეცადინა გიორგიმ დადიანის ძემ და მიიბირა გელოანი ქაიხოსრო და მოუწოდა გრიგოლს თვისსა სასახლესა შინა ნოჯიხევს“ (დადიანი, 1962: 188). ამ შემთხვევაში XVIII ს. 90-იანი წლების ამბებია აღწერილი. მაშასადამე, დასახელებული საუკუნის მიწურულამდე აქ ცხოვრება გრძელდებოდა. XIX ს. დასაწყისში კი ციხე და სასახლე ნადგურდება. ამიტომ აქ ცხოვრება წყდება.

ბანძის შემდეგ ვახუშტი აღწერს ჭყონდიდის ადგილმდებარეობას, საუბრობს ჰიდრონიმ „აბაშის“ წარმომავლობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ გვანდის ცნობას სახარისა ციხესა და სასახლეზე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვახუშტის რუკაზე ტოპონიმი „სახარია“ ნაჩვენებია ბანძის მახლობლად, აბაშის მარჯვენა ნაპირას, დღევანდელ აბედათ-სერგიეთის ტერიტორიაზე.

შალვა ჯღარკავას ვარაუდით, „სახარია“ სახარბედიოს დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს. ხარბედიები აბედათში მოსახლეობდნენ. „საინტერესოა, რატომ აღნიშნავს ვახუშტი ამ ადგილს სახარიად. შესაძლოა ეს მისი ძველი სახელწოდება იყო. ამ ადგილის შესწავლამ ერთ საყურადღებო გარემოებაზე შეგვაჩერა. აქ ცხოვრობენ ხარბედიები. დღეს რამდენიმე ოჯახია დარჩენილი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ წინათ ხარბედიებს მარსელში ეკავათ გარკვეული ტერიტორია და ეს ადგილი იწოდებოდა სახარბედიოდ... ვახუშტიმ შესაძლოა სახარბედიო აღნიშნა სახარიად... ვფიქრობთ, რომ ვახუშტის სახარია, „ციხე და სასახლე დადიანისა“, არის იგივე მარსელის დადიანის სასახლე“ (ჯღარკავა, 113, 1965: 287).

შ. ჯღარკავას მოსაზრება გაიზიარა თამაზ ბერაძემ. თუმცა სხვა, დამატებითი არგუმენტი ვარაუდის გასამყარებლად მკვლევარს არ წარმოუდგენია (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 56).

ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე, ახლანდელ აბედათის ტერიტორიაზე, აღნიშნულია პუნქტი **მარსელის** სახელწოდებით. აბაშის მარჯვენა ნაპირის სახნავ-საბალახოები ჯოლო-აბედათიდან ვიდრე სერგიეთ-ბობოთამდე, დღესაც მარსი(ლ)ის//მარსიშ მინდორის სახელითაა ცნობილი (კეკელია, 2007: 47). ეს ადგილი მარსელის, მარსი(ლ)ის სახელს ატარებდა XVII-XIX საუკუნეებში და იმავე სახელითაა ცნობილი დღესაც.

შ. ჯღარკავას ზემოთ მოხმობილი მსჯელობიდან გამოდის, რომ ლამბერტის რუკაზე აღნიშნული მარსელი და ვახუშტისეული სახარია ერთსა და იმავე პუნქტში, აბედათის ტერიტორიაზე, ან მის შემოგარენში ლოკალიზდება.

სახარისა და მარსილის იგივეობა ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია. ამ იგივეობის მართებულობას უფრო ის გარემოება ართულებს, რომ ტოპონიმი სახარია აბედათის ტერიტორიაზე დამონმებული არ არის. ამასთანავე, შეცდომაა, როცა შ. ჯღარკავას ვახუშტისეულ „სახარიად“ აბედათში, მარსილის ველზე, ხარბედიების გვართ დასახლებული თუ მათ მფლობელობაში არსებული და, უნინ, ალბათ, სახარბედიოდ სახელდებული გარკვეული ტერიტორია ესახება. ამ მოსაზრების მცდარობაზე მეტყველებს შემდეგი გარემოებანი: 1. ხარბედია ერთ-ერთი რიცხვმრავალი გვარია, მაგრამ აბედათის თემის არც ერთ სოფელში (აბედათი, ჯოლო, ლემიქავე, ლექაჯაიე) ხარბედიების მოსახლეობა ვერ დავადასტურეთ. შ. ჯღარკავას ნაშრომის გამოქვეყნების თარიღის (1965 წ.) გათვალისწინებით, აბედათში ხარბედიებს არ უცხოვრიათ არც გასული საუკუნის 60-იან წლებში, თუმცა ისტორიკოსი დარწმუნებით წერს, რომ აბედათში თითქოს ხარბედიები მოსახლეობენ. რეალური სურათი კი სხვაგვარია: ჩვენ მიერ მოწყობილი ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციების დროს ხარბედიების გვარის კომპაქტური დასახლება დადასტურდა არა აბედათში (როგორც აღნიშნავს შ. ჯღარკავა), არამედ მეზობელ სოფელ სერგიეთში (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ცენტრი აბედათის ჩრდილოეთით, აბაშის მარჯვენა მხარეს), სადაც ამ გვართ დასახლებული უბანი წინაკვერკვესა და ნახუნუს საზღვრებთან „სახარბედიოდ“ იწოდება. აქვე დასტურდება გვართან დაკავშირებული ორი ტოპონიმი: ნეძგიდეა//ხარბედიევიმ ონეძე „ხარბედიების ნიგვზნარი“ – ფერდობი არჯანიაშ ღვეს შენაკადის – ნოლის მარცხენა ნაპირზე, და ხარბედიევიმ ნოხორი „ხარბედიების ნასახლარი“ – სახნავი ნახუნუს საზღვართან. ამასთანავე, XVII–XVIII სს. ისტორიული წყაროების მიხედვით ხარბედიები საეკლესიო გლეხები იყვნენ. თუკი სერგიეთში კომლმრავალ გვარებად ითვლებოდა განერელია, სურმავა, ბედია, სულავა, ქუთათელაძე, თოდუა, ინჯგია და სხვ., ხარბედიას გვარი რიცხოვნობით გამორჩეული არ ყოფილა. ამდენად, უნინ დამოუკიდებელი სოფლის

ან სოფლის შიგნით დასახლებული უბნის სახით არ უნდა არსებულყო.

იური სიხარულიძის ვარაუდით, გეოგრაფიულად აბაშის ნაპირზე მდებარე სოფელი ნახარებაო სახელით უფრო ახლოსაა სახარიასთან. ამიტომ სახელწოდებათა მსგავსება ჩვენთვის საინტერესო პუნქტის არსებობას მკვლევარს სწორედ აბაშის ხეობაში, ამ სოფლის ტერიტორიაზე აფიქრებინებდა (სიხარულიძე, №1, 2003: 3).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ვახუშტიმ სოფლის სახელწოდება **ნახარებაო** მართლაც სახარიად გაიაზრა და ამ ფორმით კიდევ მოიხსენია თავის ნაშრომში, მაგრამ ამ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას მაინც ართულებს რამდენიმე გარემოება: 1. ვახუშტი სახარიას აღნიშნავს ბანძის პირდაპირ, აბაშის მარჯვენა მხარეს. ნახარებავო კი ბანძის ჩრდილოეთით, აბაშის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს; 2. ჩვენამდე მოღწეულ არცერთ წერილობით დოკუმენტში ნახარებაუს უწინდელ თუ პარალელურ ფორმად სახარია ნახსენები არ არის. უფრო მეტიც: ვახუშტის ცნობის თითქმის თანადროულ, 1771 წლით დათარიღებულ ანტონ ცაგერელის შეწირულების წიგნში სოფლის სახელწოდებად მითითებულია **ნახარბოი** (კაკაბაძე, II, 1921: 43); 3. ახლანდელ ნახარებაუს ტერიტორიაზე ციხის ნაშთი შემორჩენილი არ არის.

სახარიას ლოკალიზაციის საკითხს შეეხო დ. ჭითანავა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ვახუშტის მიერ აბაშასთან მოხსენიებული ციხე და დადიანის სასახლე ვედიდკარში, აბაშის მარცხენა ნაპირთან ახლოს მდებარე, „ნოჯიხევად“ (ნაციხარი) სახელდებული ადგილი უნდა იყოს, სადაც შემორჩენილია ეკალ-ბარდებით დაფარული რიყის ქვის კედლის ნაშთები (ჭითანავა, 2010: 208). იმავე ნაშრომში მკვლევარი ერთგან აღნიშნავს, რომ ვედიდკარ-მუხურჩის ციხე იგივეა, რაც ვახუშტის „ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ (იქვე: 213).

„სახარიას“ ისტორიისა და ლოკალიზაციის საკითხთან მიმართებაში ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე სოფლის სახელწოდება **ლესაინდრაკომ**. ვახუშტის რუკაზე, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს აღნიშნული პუნქტი **ლესაინა** ფორმითაც და რუკაზე მოცემული ადგილმდებარეობითაც დღევანდელ ლესაინდრეს შეესაბამება (კეკელია, №12, 2010: 73; მისივე, 2010: 66). XVIII საუკუნეში ერთი და იგივე

პუნქტის პარალელურ სახელწოდებად **ლესხინდრე** და **სახხინდრაო** დასტურდება. ხაინდრაგების მიერ 1770 წელს ხონის მთავარეპისკოპოს მაქსიმესადმი მიცემულ პირობის წიგნში დასტურდება „მონმე სულ ერთობით სახხინდრაო“ (კაკაბაძე, II, 1921: 175). 1997 წელს სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერისას ჩავინერეთ ტოპონიმი „სახარიაშ ფონი“. ასე ეწოდება ფონს სოფლის აღმოსავლეთით, ცხენისწყალზე. 2007 წელს ფეხდაფეხ შემოვიარეთ ლესხინდრაოს თემში შემავალი სოფლები და მისი შემოგარენი. თუმცა ცხენისწყლის გაყოლებით, არც „სახარიაშ ფონის“ სახელწოდებით ცნობილი ადგილის მახლობლად და არც მეზობელი სოფლების (ნაგვაზუ, ნაგებერუ, ნაჯახუ) ტერიტორიაზე ციხისა და სასახლის ნაშთებს ვერ მივაკვლიეთ. თვით „სახარიაშ ფონის“ სახელდების მოტივის შესახებ კი შემდეგი განმარტება ჩაგვანერინეს: სახარია ერქვა პიროვნებას, რომელიც ცხენისწყლის ნაპირას, სახელდებული ობიექტის მახლობლად ცხოვრობდა.

ციხისა და სასახლის არსებობაზე ადგილობრივი მოსახლეობის ხსოვნას არანაირი გადმოცემა არ შემორჩენია. რაც შეეხება გ. ელიავას მიერ „ლესხინდრაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში, აბაშის ქალაქში მდებარე ბორცვისა და ქვითკირის ნაგებობათა ნაშთების სახელწოდებად „ნოჯიხუს“ (ნაციხარი) დამონმებას, მკვლევარი ამ ტოპონიმში სწორედ იმ ციხის ნაშთებს უნდა გულისხმობდეს, რაც მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ ვახუშტისეულ „ციხე კეთილნაშენთანა“ გაიგივებული (ელიავა 1977: 75; სიხარულიძე, №1, 2003: 3).

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: რაფიელ ერისთავის ცნობით, მარტვილიდან ხონისკენ მიმავალი გზა გადაკვეთდა ნაჯიხევისა და მარსილის მინდვრებს. ხონისკენ მიმავლისთვის გზა უხვევდა მარცხნივ და ძველ საფოსტო გზაზე ორად იყოფოდა: ერთი ხუნნის გავლით, ბუმბუას ხიდზე გადადიოდა, მეორე კი დიაგონალურად მიემართებოდა ხუნნს ქვემოთ და ნაგვაზაოს ზემოთ მდებარე სურმავების ბორნისკენ. ამ ბორნის ზემოთ და ქვემოთ კიდევ ორი ასეთივე ბორანი ყოფილა: ერთი ხუნნს ქვემოთ, ხოლო მეორე ადგილ „სახარიასთან“, რომელსაც თავადი წულუკიძეები ფლობდნენ. მათხოჯისა და ხონისკენ ხუნნისა და ბუმბუას ხიდის გავლით მიმავალი გზა ზემო სამეგრელოს სამხედრო გზის სახელწოდებით იყო ცნობი-

ლი, ხოლო ზოგიერთი იმერეთის მმართველის, გენერალ ა. ესპეხოს სახელის მიხედვით **ესპეხოს გზასაც** უწოდებდა. გზის დაპროექტება მოხდა 1838 წელს, ლობოდას მიერ. მაშასადამე, რაფიელ ერისთავის მიერ დამონმებული ადგილი „სახარია“ სწორედ ხუნნის სამხრეთით, ნაგვაზაო-ლესაინდრავოს ტერიტორიაზე, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზეა საძიებელი (კეკელია, III, 2021: 90-91).

ჩვენი მიზანი იყო „სახარიას“ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვა. ყველა თვალსაზრისი მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება, ვიდრე თითოეული მათგანი სათანადო არგუმენტებით არ გამყარდება.

IV.3. ტეხურის ხეობა

ჰიდრონიმი „ტეხური“. ტეხურის ხეობის აღწერას ვახუშტი ასე იწყებს: მდინარე აბაშის „დასავლით დის მდინარე ტეხური. იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყოფს ჯიდასა და სხვასა რაის. გამოსდის მასვე კავკასსა. მიერთვის ისულებს ჩდილოდამ რიონს. ხოლო ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლით კიდეზედ არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“ (ვახუშტი, IV, 1973: 777).

ტეხური სათავეს იღებს მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კურორტ ლებარდეს ჩრდილო-დასავლეთით, მწვერვალ ტეხურიმდუდთან, ზ. დ. 2400 მ-ზე, და მარჯვნიდან შეერთვის რიონს. მდინარის სიგრძე 108 კმ-ია, აუზის ფართობი 1040 კმ²-ს შეადგენს (მარგველანი, ქსე, IX, 1985 : 709). მისი მარჯვენა და მთავარი შენაკადია აბაშა. თვით ტეხური რიონს უერთდება ისულას სამხრეთით.

სხვაგან ვახუშტი აღნიშნავს, რომ „რიონს მოერთვის ჩდილოდამ აბაშა-ტეხურის მდინარე, უნაგირას მთის ზეით, ისულებს“ (იქვე: 747).

მდინარის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **ტეხირი, ტეხგრი**. საინტერესოა მეცნიერის მსჯელობა ჰიდრონიმის ეტიმოლოგიაზე. ვახუშტი მდინარის სახელწოდებას დინების ხასიათით ხსნის და წერს, რომ ჩქარი დინების გამო ტეხური შემუსრავს და ანგრევს ხიდსა და სხვა მისთ. ადგილობრივ ინფორმანტთა ცნობითაც მდინარე „ტეხილი და გიჟმაჟია“ (ელიავა, 1977: 174).

განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა ო. ხუხუამ. მისი აზრით, ჰიდრონიმი „ტეხური“ ორწევრიანი კომპოზიტია, სადაც **ხირი** ნაზმნარი ზედსართავი სახელია და იგივეა, რაც „რღვეული“. მკვლევარი ვარაუდობს, რომ კომპოზიტის პირველი წევრი **ტე-** რღვეული, ბო-ბოქარი, მოვარდნილი წყლის განტევების, აშვების, დახსნის აღმნიშვნელია (ხუხუა, №4, 2005: 15).

ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულია **ტეხირის// ტეხგრის** რამდენიმე მნიშვნელობა: „ტეხილი, მიხვეულ-მოხვეული, უსწორმასწორო; ქვიანი, ოღრო-ჩოღრო ადგილი; მეტეხი, მტეხავი, მლენავი; ყინულოვანი (მდინარე)...“ (ქობალია, 2010: 601).

ტეხური ოროგრაფიული ნომენია და უნდა აღნიშნავდეს მდინარის მიხვეულ-მოხვეულ, დატეხილ-დაკლაკნილ კალაპოტს, ან მტეხავს, მლენავს (კეკელია 2010: 36). პაატა ცხადაიას მიაჩნია, რომ ქართული „ტეხ“ ფუძის ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისი მეგრულში არის „ტახ“ (**ტახგნს** „ტეხს“). ამიტომ ქართული „ტეხ“ ფუძიდან შეუძლებელია მდინარის სახელის წარმოქმნა. „აქედან გამომდინარე, – დასძენს იგი, – ტეხურთან დაკავშირებული მსჯელობა ცრუ, ხალხურ ეტიმოლოგიას უფრო ჰგავს, ვინემ მეცნიერულს“ (ცხადაია, 2005: 11).

ისულა//ისულეთი. რიონისა და ტეხურის შესართავთან ვახუშტი ასახელებს პუნქტს **ისულეთის** სახელწოდებით. ისულეთს მეცნიერი ვაკე-იმერეთის საზღვრებში აქცევს და აღნიშნავს, რომ ვაკეს „...მზღვრის... დასავლით ცხენისწყალი და ცხენისწყლიდამ წასული ხაზი ისულეთამდე და რიონამდე...“ (იქვე: 773); „ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე“ (იქვე: 776). როგორც ჩანს, ვახუშტის დროს ოდიშის ერთი ნაწილი, კერძოდ, რიონისპირეთი, ცხენისწყალ-რიონის შესართავიდან ტეხურ-რიონის შესართავამდე ვაკე-იმერეთის შემადგენლობაში იყო. სოფელს **ისმულეთის** ფორმით ასახელებს იმავე საუკუნის მეცნიერი და მოგზაური გიულდენშტედტი (გიულდენშტედტი, 1962: 323). ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ დოკუმენტში გვხვდება **ისულა** ფორმა (კეკელია, კურდღელია, ხარებავა, „მხარეთმცოდნე, II“, 2011: 46-47).

ისულა ოდიშის დაბლობზე, ტეხურის მარჯვენა ნაპირას, ზ. დ. 12 მ-ზე მდებარეობს და ახალსოფლის ტერიტორიულ ორგანოში შედის. სენაკს 4 კმ-ით არის დაშორებული.

სოფელი ისულას ფორმით გვხვდება XIX-XX სს. დოკუმენტებშიც. კერძოდ, კავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის მონაცემებით ისულა 32-კომლიანი სოფელია თეკლათის სოფლის საზოგადოებაში. მ. შ. 74 კაცია, 63 – ქალი (სულ 137 სული). XX ს. დამდეგს ისულაში მამულებს ფლობდნენ თავადი მხეიძეები და აზნაური სალყაიები (ამ გვარის 7 კომლი გლეხი ყოფილა, 8 კომლი – აზნაუ-

რი). საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის მიხედვით ისულა თეკლათის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაშია 105 კომლით (457 სული). 1949 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არსებობს ახალსოფლის სასოფლო საბჭო, რაც აერთიანებს ორ სოფელს – ახალსოფელსა (ყოფილი ძონძირი) და ისულას (კეკელია, ოდიშარია, 2012: 31-33).

შხეფის მდებარეობის ვახუშტისეული აღწერა („უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ“) ზუსტია, მაგრამ თვით ტოპონიმი დამახინჯებული ფორმითაა მოცემული. წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ მას „შხეთი“ კი არა, შხეფი ერქვა და დღესაც ასე ეწოდება. თვით ვახუშტი „აღწერაში“ სხვა ადგილას ტოპონიმს „შხეფის“ ფორმითაც მოიხსენიებს: გიორგი გურიელმა „მოიპარა ძე გიორგი დადიანისა მცირე ლევან, პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეფისასა“ (ვახუშტი, IV, 1973: 819); სხვაგან აღნიშნავს: „დადიანმა შეიპყრა მეფე ლევან... წარიყვანა ოდიშს და პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეფს“ (იქვე: 821).

არქანჯელო ლამბერტი ოდიშის სამთავროს რუკაზე, ტეხურის მარჯვენა მხარეს, აღნიშნავს სოფელ Tchuagiochor-ს, რაც თ. ბერაძის აზრით, შხეფის ერთი უბანი ქვაშხორია, ხოლო მის ახლოს დატანილი პუნქტი ციხესიმაგრის პირობითი ნიშნით, შხეფის ციხე უნდა იყოს (ბერაძე, „მაცნე...“, 3, 1971: 151). გრიგოლ კათალიკოსის 1733 წლის გუჯარში დასახელებულია შხეფი (კაკაბაძე, I, 1921: 143; ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 56-57). გიულდენშტედტი ასახელებს სოფელ შეხტის, რაც, სავარაუდოდ, სწორედ შხეფი უნდა იყოს (გიულდენშტედტი, I, 1962: 323). XVI საუკუნის ამბების აღწერისას ციხეს „შხეფის“ სახელწოდებით მოიხსენიებს აგრეთვე ნიკო დადიანი (დადიანი, 1962: 158).

შხეფის ციხესთან დაკავშირებულ ტრაგიკულ მომენტს თვით ვახუშტი შემდეგი სახით გადმოგვცემს: „გურიელი გიორგი კუალად არა დასცხრა შურგებად გიორგი დადიანისად, მოიპარა ძე გიორგი დადიანისა მცირე ლევან, პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეფისასა, განზრახვთა მამია დადიანისათა. ხოლო ყრმა იგი უთმინოებითა ტყუეობისათა გარდმოიჭრა ციხიდამ, რეცა განლტოლვად და მოკუდა“; „და შეიპყრა მეფე ლევან... წარიყვანა ოდიშს და პატიმარ-ჰყო

ციხესა შინა შხეთს; და მოკუდა შემდგომად მეფე ლევან პატიმრობა-სა შინა შხეთს ციხესა შინა“ (ვახუშტი, IV, 1973: 819, 821).

XIX-XX სს. წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაშიც დასახელებულია სოფელი შხეფი. ოდიშ-ლექსუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად სუჯუნის მაზრაში შემავალ 30-მდე სოფელს შორის არის შხეფიც (მეუნარგია, 1939: 113).

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვადასხვა დროის დოკუმენტებით ციხესა და მის გარშემო მდებარე დასახლებას ეწოდებოდა შხეფი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ხელთ არსებული ერთადერთი წყარო, სადაც სოფელი **შხეთის** ფორმით მოიხსენიება, ვახუშტის თხზულების გარდა, არის კავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის მასალები, სადაც მითითებულია თეკლათის სასოფლო საზოგადოებაში შემავალი 229-კომლიანი სოფელი შხეთი (მ. შ. 649 კაცია, 564 – ქალი).

შხეფის ციხე ფეოდალიზმის ხანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დიდი მოცულობის ძეგლია, რომელიც მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში, სენაკი-მარტვილის გზატკეცილის ჩრდილოეთით, უნაგირას მთის სამხრეთ დაბოლოებაზე, გორისწვერზე, გზატკეცილიდან 1,5 კმ დაშორებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ციხე ეგრის-ლაზეთის სამეფოს დაარსებისთანავე, კერძოდ, IV ს-ში უნდა წარმოშობილიყო. ამ ეპოქის გალავანი მასში ჩართული კოშკით გამოვლინდა არქეოლოგიური ძიების გზით, რასაც გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან აწარმოებდა ნაქალაქევის მუდმივმოქმედი სამეცნიერო ექსპედიცია პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით გარნიზონისთვის განკუთვნილი, სწორკუთხა მოხაზულობისა და მცირე ზომის (4,7X3,8 მ) ეკლესია მდგარა, მის მახლობლად კი წყალსაცავი მოუწყვიათ. გალავნის ჩრდილოეთ ხაზზე გვხვდება სხვადასხვა დროის მაღალი და ყრუ კედლები, ხოლო სამხრეთ ნაწილში შემორჩენილია XVI-XVII სს. სათოფეები. ამავე დროით თარიღდება ციხის ზედა, გრძელი ეზოს დასავლეთით მდებარე პატარა ეზოს გარშემოვლებული გალავანი, ცალმაგი, მარტივი სათოფეებით (ზაქარაია, კაპანაძე, 1991: 139-150).

შხეფის ციხეს ეგრისის სამეფოს დაშლის შემდეგაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და როგორც აღვნიშნეთ, გვიან შუა

საუკუნეებში ქვეყნის თავდაცვის სისტემაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

ნოქალაქევის მუდმივმოქმედი სამეცნიერო ექსპედიციის მიერ განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად შხეფში დადასტურდა სასახლის არსებობა, რაც ზედა ეზოს სამხრეთ-დასავლეთით, ნანგრევების სახით დღემდე შემონახულა (შემორჩენილია ბუხარი და საძირკველი). მეცნიერისა და მოგზაურის – ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მიერ XIX ს. 30-იან წლებში, კოლხეთის ტერიტორიაზე მოგზაურობისას შესრულებული ნახატის მიხედვით, ამ ადგილას საცხოვრებელი სახლი მდგარა, რაც სწორედ ვახუშტისეული დადიანის სასახლე უნდა იყოს. იმავე ნახატიდან ირკვევა, რომ შხეფის ციხეს სამი კოშკი ჰქონია. მათ შორის ერთი, ოთხნახნაგოვანი პირამიდის ფორმის მაღალი კოშკი, ოთხქანობიანი, ასევე პირამიდული მოყვანილობის სახურავით, ციხის გალავნის გარეთ ყოფილა აღმართული. თვით საცხოვრებელი კომპლექსი ამ კოშკის აღმოსავლეთით მდგარა. ნახატზე მკაფიოდაა ასახული ფლიგელის ორქანობიანი სახურავი და ბუხრის საკვამლე მილი, აგრეთვე შხეფის ციხის ცენტრში აღმართული დიდი კოშკი, მომრგვალებული ქვის სახურავით და მეორე, გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან მიშენებული, კონუსური ფორმის სახურავის მქონე ცილინდრული კოშკი (ადამია, №51, 1979: 14, 16).

სენაკი. ვახუშტის თქმით, შხეფს ზემოთ, „კიდევ ტეხურისაჲ კიდევედ, არს სენაკს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოზისა“ (ვახუშტი, IV, 1973: 777).

არქანჯელო ლამბერტის რუკაზე, მდინარეებს – ტეხურსა და ხობისწყალს შორის, **Sinaghi**-ს ფორმით დატანილი და იმერეთის მეფის, ალექსანდრე V-ის ბრძანებით 1737 წელს შედგენილ რუკაზე აღნიშნული **სენაკები** ერთსა და იმავე პუნქტს – დღევანდელ ძველ სენაკს გულისხმობს, რაც სოფელი და თემის ცენტრია და ქ. სენაკის (უწინდელი ახალსენაკის) ჩრდილო-დასავლეთით, 7 კმ-ის დაშორებით, ნახურისა და ტეხურის ხეობებში მდებარეობს. ვახუშტისეულ სენაკშიც სწორედ ახლანდელი ძველი სენაკი იგულისხმება, სადაც დგას აგურით ნაგები გუმბათიანი ტაძარი.

ვახუშტის ზემოთ მოტანილი ცნობის გარდა სენაკში ტაძრისა და საკათალიკოსო რეზიდენციის არსებობა დასტურდება სხვა, უფრო ადრინდელი და მოგვიანო ხანის წერილობითი დოკუმენტებითაც. კერძოდ, 1696-1742 წლებს შორის შედგენილ შენირულობის ნიგნში აღნიშნულია, რომ „სენაკს გიორგი გურიელი ცოლშვილითა“ ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის შეუწირავთ (კაკაბაძე, I, 1921: 155). ვამეყ II დადიანის (1658-1661 წწ.) შენირულობის ნიგნში, რომელიც 1658 წლით თარიღდება, ვკითხულობთ, რომ ოდიშის მთავარს კათალიკოს ზაქარია ქვარიანისთვის უბოძებია „...სენაკის საყდარი... მისის შენირულის მამულითა და სასახლეებითა“ (იქვე: 59).

იმავე წლით დათარიღებული სხვა საბუთი გვამცნობს: „...კადრეთ და შემოგწირეთ შენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა აღთის მშობელსა სენაკს საწინამძღრო საყდარი და სასახლე სრულად მისის მამულითა და ორის სასახლითა... როდესაც კ~ზი ოდიშს მობრძანდებოდეს, ჯუარსა და ომფორს იქ საყდარზე დაასვენებდენ...“ (იქვე: 61-62).

საინტერესოა გიულდენშტედტის ცნობა, რომ ოდიშში მდებარე სოფლები – სენაკი და ხობი „ორივე პატრიარქისაა, უკანასკნელში დიდი ეკლესიაა“ (გიულდენშტედტი 1962: 325). პატრიარქში გერმანელი მეცნიერი და მოგზაური სწორედ აფხაზეთის კათალიკოსს უნდა გულისხმობდეს. სოფელი სენაკი (ახლანდ. ძველი სენაკი) გვხვდება სხვა არაერთ ისტორიულ დოკუმენტში (კეკელია... „მხარეთმცოდნე, II“, 2011: 61).

ნაქალაქევი-ციხეგოჯი. ვახუშტის აღწერით, „...ან სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხეგოჯად წოდებული. ეს ალაშენა ა~მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთოვე იყო სრულიად რიონის დასავლეთი სუანეთით. შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კუალად ქალაქი, და შემდგომად მოოჭრდა ქალაქი. ან არს ციხე კუალად და სასახლე დადიანისა“ (ვახუშტი, IV, 1973: 777). ვახუშტის შეხედულება ციხეგოჯის ადგილმდებარეობაზე დადასტურებულია ნაქალაქევში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით. 1971 წელს დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა გვიან-ელინისტური ხანის ქვევრსამარხი, რაც წარმოადგენდა იმის ერთ-ერთ საფუძველს, რომ ვახუშტის მიერ ნაქალაქევთან გაიგივებული ციხეგოჯის აგება მართლაც ქუჯი ერის-

თავის ეპოქას (ძვ. წ. III ს.) დაჰკავშირებოდა. გარდა ამისა, ნაქალაქევის ტერიტორიაზე 1973 წლიდან წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების გზით კიდევ არაერთი ძველი გამოვლინდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ტერიტორიაზე არამჭიდროდ დასახლებული, თუმცა საკმაოდ მსხვილი, სოფლის ტიპის სამოსახლო ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII ს-დან უნდა არსებებულიყო (ზაქარაია, ლომოური..., 1984: 69-71; ზაქარაია, „ნ. ა.“, III, 1993: 147-157; ზამთარაძე, „ნ. ა.“, III, 1993: 158-175...).

ნაქალაქევი ეწოდება ტეხურის მარცხენა ნაპირსა და მთისკალთაზე განლაგებულ ისტორიულ ციხე-ქალაქს, მარტვილი-სენაკის საავტომობილო გზაზე. ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა გვიანდელ, XVII ს-ში გადაწერილი ხელნაწერების არშიაზე გადამწერს მიუნერი: „ოდიშს ნაქალაქევი“ და „ციხე-გოჯი ნაქალაქევი“ (ზაქარაია, ლომოური..., 1984: 6). ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია პუნქტი **Nachalachsens**-ის ფორმით, რაც ახლანდელი ნაქალაქევი (ბერაძე, 1967: 74). გიულდენშტედტის ცნობითაც, ნაქალაქევი ეწოდება ოდიშის ძველად განთქმულ, ახლა გაუდაბურებულ ქალაქს (გიულდენშტედტი, I, 1962: 325).

პ. ზაქარაიასა და ნ. ლომოურის მსჯელობით „ნოქალაქევის“ ხმარება გამართლებულია ამ პუნქტის სხვა, ამავე სახელწოდების მატარებელი პუნქტებისაგან გამოსარჩევად. ავტორები აღნიშნავენ, რომ ივ. ჯავახიშვილმა და გ. ჩუბინაშვილმა გერმანულ ენაზე დაწერილ მოხსენებით ბარათში თავი მოუყარეს ყველა ცნობას არქეოპოლისის შესახებ და უპირატესობა მიანიჭეს ზეპირ, ადგილობრივი მეტყველებიდან მომდინარე ფორმას – „ნოქალაქევი“ (ზაქარაია, ლომოური „თბილისი“, 1988).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასა და რუკებზე აღნიშნული და გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებად დამკვიდრებული „ნოქალაქევი“ ფორმა არასწორია. უნდა ვწეროთ და ვთქვათ ისტორიულად და მორფოლოგიურად ერთადერთი სწორი ფორმა „ნაქალაქევი“, სადაც ნა- ევ წინავითარების სახელთა მანარმოებელი აფიქსებია (შალამბერიძე, №3, 1979).

სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტებია **ნოქალაქი**, **ნოქააქი** და **ნოქალაქენი**. XIX ს. 30-იანი წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ნაქალაქევი

სუფუნის მაზრაში შედიოდა. სამეგრელოს ეპარქიის 1838 წლის აღწერის მასალებში დასახელებულია სოფელი **ნაქალაქევის** ფორმით, ხოლო 1873 წლის სტატისტიკური აღწერის მასალებში – სოფ. ნოქალაქევი, არქეოპოლისის სიმაგრის ნანგრევებითა და ორი ეკლესიით (ჭითანავა, 2010: 66). კავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის ცნობარში აღნიშნულია, რომ სენაკის მაზრაში შედის ნაქალაქევის უბანი და ნაქალაქევის სოფლის საზოგადოება (კეკელია, 2013: 9).

ციხეგოჯი თავდაპირველი სახელწოდებაა და თითქოს დაურქმევიათ ციხის დამაარსებელ-ამშენებლის სახელის – ქუჯის მიხედვით (ციხე ქუჯისა→ციხექუჯი→ციხეგოჯი). „არქეოპოლისი“ ბიზანტიელთა მიერაა შერქმეული და „ძველ ციხეს“ ნიშნავს. ასე იხსენიება ეს ციხე ბიზანტიურ წყაროებში ახ. წ. VI საუკუნიდან. ციხის „სამზღუდიანობა“ თავდაცვითი სისტემის თავისებურების ამსახველია და მიუთითებს სამ, ერთმანეთის პარალელურად აგებულ კედელ-გალავანზე.

VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბთა ლაშქრობის შედეგად განადგურებულ-დაკნინებული ციხეგოჯი, მოგვიანებით, XVI-XVIII საუკუნეებში, მხოლოდ ოდიშის მთავარ დადიანთა ნათესავების რეზიდენციას წარმოადგენდა. ვახუშტის მიერ მოხსენიებული დადიანების სასახლე, ზოგან თითქმის ორ მეტრამდე სიმაღლის კედლებით, გამოვლინდა ნაქალაქარის ქვედა ტერასის სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთში, ტაძრის მახლობლად. აგრეთვე შემორჩენილია დადიანების დროინდელი ღვინის სანური, ქვის საქაჯავითა და კირის დულაბში ჩასმული ქვევრებით. თვით ორმოცი მონამის სახელობის ტაძარი აქ დადიანებს საკუთარ სამარხად გაუხდიათ, მისთვის სხვადასხვა დროს მცირე სამლოცველო და აკლდამა მიუშენებიათ, ხოლო XVI-XVII სს. მიჯნაზე ტაძარი მოუხატავთ კიდეც (ზაქარაია, ლომოური..., 1984: 24, 27; დევდარიანი, მამაიაშვილი, „ნ. ა.“, III, 1993: 287-292).

გვიანი შუა საუკუნეების ნაქალაქევი დადიანთა ცხოვრების შესახებ სხვა წერილობითი წყარო, გარდა ბატონიშვილის ზემოთ მოტანილი ცნობისა, არ მოგვეპოვება, მაგრამ მოგვიანო ხანის დოკუმენტებით დასტურდება, რომ დადიანები მოსახლეობდნენ ნაქალაქევსა და მის მიდამოებში. კ. ბოროზდინი ასახელებს ოდიშის მთავარ ლევან დადიანთან დაახლოებულ პირს, მის მრჩეველსა და მეგობარს, შეძლებულ თავადს – არჩილ დადიანს (ბოროზდინი, 1934: 241-242).

ნაქალაქეებში დადიანთა მოსახლეობის დამადასტურებელია აგრეთვე ტოპონიმი „დადიაში ნოხორი“, რასაც სოფლის ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს გ. ელიავა (ელიავა, 1989: 112). მკვლევარი არ აღნიშნავს იმას, თუ რომელი დადიანი გახდა ამ ადგილის სახელდების მიზეზი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევის თვალსაზრისით თვით ტოპონიმის დადასტურებაც ფრიად საგულისხმო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.

ნაქალაქევის მახლობლად, მის ჩრდილოეთით, მდებარეობდა აგრეთვე დადიანთა საუფლისწულო მამულები – ბერთემი (ბეთლემი) და უშაფათი.

სალიპარტიანო, უნაგირა. გვიან შუა საუკუნეებში ტეხურის ხეობა ოდიშის მთავართა ჯერ პირველი დინასტიის – ვარდანიძეთა თუ სალირიძეთა, XVIII ს. დასაწყისიდან – მეორე, ჩიქვანთა ახალი დინასტიის უმცროსი შტოს წარმომადგენელთა – ლიპარტიანთა მფლობელობაში იყო და **სალიპარტიანოდ** იწოდებოდა (სოსელია, III, 1990: 85).

ვახუშტი სალიპარტიანოს საზღვრებს ასე გადმოსცემს: „და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო. არიან ამ ადგილთა შინა მოსახლენი მთავარნი და აზნაურნი, და არს ქუეყანა ესე მგზავსი ვაკისა და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი“ (იქვე: 777). მაშასადამე, ვახუშტისეული დახასიათებით სალიპარტიანოს დასავლეთი საზღვარი **უნაგირას მთაა**. ასე იწოდებოდა მთა, რაც, ვახუშტის თქმით, „...ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს... კავკასამდე, ტყიანი და ნადირიანი“ (იქვე: 777). უნაგირა აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფი ქედის სახელწოდებაა, რაც რამდენიმე მთის – დადიაშ ტახტას (სოფ. ზედა სორტაში), ნაქალაქევის, აბედათისა და კალამონას (სოფ. ნაესუუ-ინჩხურში) კრებსითი სახელწოდებაა. ეს მთები ერთმანეთისაგან უნაგირისებური დადაბლებითაა გამოყოფილი.

უნაგირა პოლისემიური ტერმინია და როგორც გეოგრაფიული ნომენი, ნიშნავს უნაგირის კეხივით ჩაზნექილ ადგილს სერზე; უღელტეხილს, გზა-გადასასვლელს ორ მთას შუა. სამეგრელოში ამ მნიშვნელობას გამოხატავს აგრეთვე ლექსემა „გოდირაკილი“ (ჩადრეკილი).

ბიზანტიური წყაროების „ონოგურისისა“ და „უნაგირად“ სახელდებული აბაშა-ტეხურის წყალგამყოფი მთათა სისტემის იგივეობის თვალსაზრისს იზიარებდნენ თ. ბერაძე, გ. ელიავა და შ. ჯღარკავა (ბერაძე, სიგკ, III, 1967: 163-165; მისივე, სიგკ, IV, 1971: 57; ელიავა, 1962: 44-45; მისივე, 1971, 1971: 9-10).

ნაქალაქევის ციხესთან ტეხური უნაგირას ორ ნაწილად კვეთს. ტეხურის მარჯვენა მხარეს აღმართული, უნაგირას ქვეშ ნაგულისხმევი მთა აღწევს თეკლათამდე, ციხის ხეობამდე. ამდენად, ვახუშტი ცდება, როცა წერს, რომ უნაგირას მთა ტეხურის „დასავლის კიდურსა რიონიდან წარმოსდევს“-ო. ეს მთა იწყება თეკლათთან და, ამასთანავე, ყოველთვის როდი მიუყვება ტეხურის მარჯვენა სანაპიროს (მარუაშვილი, 1964: 231).

უნაგირა//ონოგურისის საკითხს თავის მოგზაურობის დღიურში შეეხო ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც წერდა: „მე ონოგურის ციხე ვერა ვძებნე, მაგრამ იმ აზრის არა ვარ, რომ ის სადღაც ღრმად ხევში იმყოფებოდეს... უფრო სადღაც მარტვილის მახლობლად არის საძიებელი... უნაგირის მთა აქ მარტვილში გაუგონიათ, სადღაც შორს, ჩრდილო-დასავლეთით ასახელებენ... ვახუშტის კი ის ცნობა მიაწოდეს, როგორც ჩანს, რომ უნაგირას მთა ისაა, რომელიც მთელ სალიპარტიანოს ჩრდილოეთიდან გასდევს ნოქალაქევამდე... (ბანძაში ხომ არ იყო ის ციხე ონოგურისი – ონოლია???)“ (ბერძენიშვილი, 1990: 462). მკვლევარი აგრძელებს მსჯელობას ონოგურისის მდებარეობაზე და დასძენს: ონოლიასთან ბერძნული „ონოგურისის“ დაკავშირებას თითქოს ხელს უშლის **-ურ** სუფიქსი, რაც ონოლიაში არ ჩანს, მაგრამ ენობრივი სიძნელის მიუხედავად მატერიალურ-შინაარსობრივი ეთანხმება წყაროების ჩვენებას და მხარს უჭერს ონოგურისის დაგულებას მაინცდამაინც ონოლიაში (იქვე: 465-466). დავით ჭითანავა იმ აზრისაა, რომ ონოგურისის ციხე სეფიეთ-ონოლიის მიდამოებშია საძიებელი (ჭითანავა, 2010).

პირველი წერილობითი წყარო, სადაც უნაგირას მთაა მოხსენიებული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი, საიდანაც ამოკრეფილი ცნობების ანალიზი და დასახლებული პუნქტების (შხეფი, სენაკი, ნაქალაქევი, ჭყონდიდი...) ადგილმდებარეობა ცხადყოფს, რომ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობდა ოდიშის აღმოსავლეთ ნაწილში, ტეხურის ხეობაში, რაც

დასტურდება ტოპონიმური მასალებითაც. გ. ელიავა „ნახუნაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში მიუთითებს „უნაგირას“ და აღნიშნავს, რომ ასე ერქვა თამაკონისა და ნახუნაოს მთას ლებაჩიედან სახარბედიომდე (ელიავა, 1977: 122).

საგულისხმოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ მთას სოფ. ეკისტავზე **ეკიმ გოლა//უნაგერა** ეწოდება და საზიაროა სახარბედიოსთან, ლეკოკაიესთან, სანულეისკირიოსთან, უფალკართან და სახარბედიოსთან. ამასთანავე, **ონანგერეში//უნანგერეში** ეწოდება სერს კვარჩხილალსა (ძველი სენაკის თემი) და ძველ სენაკს შუა. სენაკიდან ჯვარისაკენ მიმავალი გზა სწორედ ამ სერზე არსებულ უღელტეხილზე გადადიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველაფერი ნათელია და სადავოც არაფერი არ უნდა იყოს, ქართულ ისტორიოგრაფიაში მაინც არის მცდელობა „უნაგირას მთის“ სხვაგან, კერძოდ, ცხენისწყლის ხეობაში ლოკალიზაციისა. მხედველობაში გვაქვს ავთანდილ ფაილოძის მიერ არაერთგზის დაჟინებით გამოთქმული თვალსაზრისი, რომ წერილობით წყაროებში მოხსენიებული, ერთი და იმავე გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება **ონოგურისი** და **უნაგირა** საძიებელია ცხენისწყლის ხეობაში. ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ხუნნის „ნაჯიხუ“ (ნაციხარი), რაც უნაგირას მთაზეა აღმართული, წერილობითი წყაროების „ონოგურისი“ უნდა იყოს. იგი ვრცლად მიმოიხილავს „ონოგურისის“ გარშემო არსებულ წყაროებსა და ლიტერატურას და დაასკვნის: უნაგირას ქედი იწყება ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, მათხოჯის პირდაპირ, ზემო ხუნნის გორაკებით. მაშასადამე, ჰონოგურის-უნაგირა ისტორიული მოხირისის გარეთაა და აგათიასეული აღწერილობა ზუსტად შეესაბამება ქვემო ხუნნში, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირიდან 600-700 ნაბიჯით დაშორებულ უნაგირას მთას. ა. ფაილოძე შენიშნავს, რომ მის მოსაზრებას ბიზანტიელ ავტორთა ცნობების გარდა ადასტურებს მიდამოს გეოგრაფია, ტოპონიმია, ნაციხარის მასშტაბი და სხვა გარემოებანი. გ. ელიავას ნაშრომზე მიუთითებთ კი დასძენს, რომ ადგილობრივნი ამ მთას „ნაჯიხუს“ (ნაციხარს) უწოდებენ (ფაილოძე, 2003: 30-31).

ხუნნი მდებარეობს სამეგრელო-იმერეთის საზღვარზე, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. ციხის ნაშთი დგას ქვემო ხუნნში, ეხაყომიცა

და ქუქითს შუა, ოხვამეკარის გვერდით. პარალელური სახელწოდებაა ნაციხვარი//ნაჯიხ(ო)უ.

„ონოგურისი“ პირველად ბიზანტიელმა პოეტმა და ისტორიკოსმა აგათია სქოლასტიკოსმა (დაახლ. 536-582 წწ.) ახსენა თავის საისტორიო თხზულებაში – „ისტორიები“ ანუ „იუსტინიანეს მეფობისათვის“, ეხებოდა რა იმპერატორ იუსტინიანეს დროის ლაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე ირანსა და ბიზანტიას შორის 552-558 წლებში წარმოებულ ომებს; თუმცა ციხის დაზუსტებული ლოკალიზაცია მოცემული არა აქვს (გეორგიკა, III, 1936: 41). აგათიას ცნობაზე დაყრდნობით ს. ყაუხჩიშვილმა გამოთქვა მოსაზრება „ონოგურისის“ ცხენისწყლის დასავლეთით, არქეოპოლისის მიდამოებში, უნაგირას მთაზე ლოკალიზების შესახებ (იქვე: 62).

უნაგირას მთა, როგორც აღვნიშნეთ, აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფს წარმოადგენს. სწორედ ამ მთის ფერდობზეა აგებული ეგრისის (ლაზეთის) სამეფოს დედაქალაქი არქეოპოლისი-ნაქალაქევი. პ. ზაქარაიას მიაჩნდა, რომ ონოგურისი იგივე აბედათის ციხეა. „სწორედ ამ უნაგირას მთების გაგრძელებაზე, ჩრდილო-დასავლეთით, სოფელ აბედათის მთაზე მდებარეობს ის ციხე, რომელიც ონოგურისად მივიჩნიეთ. სხვა ციხე თუ ნაციხარი ამ მიდამოებში არსად ჩანს. ამიტომ ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ახლანდელი აბედათის ციხე ძველი ონოგურისის ციხეა“, – წერს იგი (ზაქარაია, კაპანაძე, 1991: 128-129).

ამდენად, ა. ფაილოძის მოსაზრება „ონოგურისის“ ხუნში არსებულ ციხის ნანგრევებთან იგივეობის შესახებ უმართებულოდ მიგვაჩნია. მისი ცნობით, მთა, რაზეც ხუნის ციხეა აღმართული, უნაგირას სახელს ატარებს. მიუხედავად იმისა, ეს მაინც არ მოგვცემდა იმის მყარ საფუძველს, რომ ონოგურისის ციხის ხუნში ლოკალიზაცია გვემტკიცებინა, იმდენად, რამდენადაც არქეოპოლისს (ახლანდელი ნაქალაქევი სენაკის რ-ში) აღნიშნული ციხე დიდი მანძილითაა დაშორებული; აგათია სქოლასტიკოსის თქმით კი ონოგურისი „არქეოპოლისის მიდამოებშია“ და ეგრისის სამეფოს დედაქალაქის „სასიმაგრო საფარს“ წარმოადგენს.

ტოპონიმი „უნაგირა“ და მისი ვარიანტები საქართველოში ბევრგან დასტურდება. გ. ელიავა მთებს შუა გადასასვლელი გზის სახელწოდებად „უნაგირას“ ასახელებს „გაჭედელის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმ-

თა ჩამონათვალში; მაგრამ რა მთებსა და რა გზა-გადასასვლელზეა საუბარი, ჩვენთვის ამჯერად უცნობია (ელიავა, 1977: 131). რამდენადაც უფრო დაზუსტებული ლოკალიზაცია მის ნაშრომში არაა მოცემული, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გ. ელიავა სწორედ აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფ იმ მთათა სისტემაზე მსჯელობს, რაზედაც ზემოთ უკვე გვექონდა საუბარი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქვედა ხუნნის „ნაჯი-ხოუ“ გვიანი შუა საუკუნეების (XVI-XVII სს.) ძეგლი უფროა, ვიდრე იმ ეპოქისა, რაზეც აგათიას თხზულებაშია საუბარი (553-554 წწ.). გიულდენშტედტი 1772 წლის მოგზაურობის დღიურში წერს: „ხუნნი პატარა ციხე“ (გიულდენშტედტი, I, 1962: 323). „პატარა ციხეში“ სწორედ ხუნნის „ნაჯი(ო)უ“ უნდა ვიგულისხმოთ. თუ ციხის მასშტაბებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რომ აგათიას თხზულებაში აღწერილი მასშტაბური ბრძოლა ონოგურისისა უნდა გამართულიყო სწორედ აბედათის ციხის მიდამოებში, რადგან თვით ციხის სიდიდეც ამის ერთ-ერთ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს (ციხის არქიტექტურის შესახებ იხ. ზაქარაია, კაპანაძე, 1991: 128-137).

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გ. ელიავა „ეკის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ორჯერ ასახელებს ადგილის სახელწოდებას „უნანგერეშის“, „უნანგირეშის“, „ონანგურეშის“ ფორმით და განმარტავს, როგორც „საუნაგიროს“. მართალია, ტოპონიმის ასეთი თარგმანი უმართებულოა, მაგრამ მკვლევარს სხვა შემთხვევაში მოცემული აქვს სახელწოდების ზუსტი გააზრებაც: „უნაგირის მსგავსად ჩაჭრილი“ (ელიავა, 1989: 82, 87). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეკი სწორედ უნაგირას მთით ემიჯნება ნაქალაქევს და მის ნაშრომში დამონმებულ ტოპონიმურ პარალელებში წერილობით წყაროებში მოხსენიებული „უნაგირა“ უნდა იგულისხმებოდეს. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ მთის ადგილობრივი არაოფიციალური და ზუსტი სახელწოდება იყო და დღესაც არის **უნანგერეში//უნანგირეში**. შდრ. ა. ქობალია: **უნანგერა** „უნაგირი“; **უნანგერი** „უნაგირი“ (ქობალია, 2010: 613).

ზემოთ ითქვა, რომ უნაგირას ლოკალიზაციის შესახებ სხვა სახის ხელშესახები ისტორიული წყარო არ არსებობს. ამ ფონზე ვახუშტის ნაშრომში დაცულ ცნობებს პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელო-

ბა ენიჭება. უნაგირას მთის ქვეშ ნაგულისხმევი ტერიტორიის მოცულობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ვახუშტის 1745 წლის რუკებიც, სადაც მთა ამ სახელწოდებით გამოსახულია ტეხურის მარჯვენა მხარეს (ვახუშტი, 1997).

ტეხურის მარჯვენა მხარეს აღმართული უნაგირას მთა აღწევს თეკლათამდე, ციის ხეობამდე. ამდენად, ვახუშტი ცდება, როცა წერს, რომ უნაგირას მთა ტეხურის „დასავლის კიდურსა რიონიდან წარმოსდევს“-ო. ეს მთა იწყება თეკლათთან და, ამასთანავე, ყოველთვის როდი მიუყვება ტეხურის მარჯვენა სანაპიროს. იგი ნაქალაქევის ციხიდან მდინარის მარცხენა მხარესაც ვრცელდება მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლებამდე (ნაესუუ, ნახუნუუ, ლებაჩიე, თამაკონი).

ოდიშის სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში სალიპარტიანო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ირკვევა, რომ ლიპარტიანად იწოდებოდა სალიპარტიანოს ფეოდალური ერთეულის მფლობელი. განსაკუთრებული იყო სალიპარტიანოს როლი ეკონომიკურ-სტრატეგიული თვალსაზრისითაც. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა იმერეთის სამეფო, რის გამოც ეს ტერიტორია ფეოდალური დაპირისპირების ფონზე არაერთხელ ყოფილა ბრძოლის ასპარეზიც.

სალიპარტიანოს საზღვრების გარკვევას არაერთი მკვლევარი შეხებია (ს. მაკალათია, თ. ბერაძე, გ. ელიავა, შ. ჯღარკავა, ო. სოსელია...). გამოთქმულია მოსაზრება, რომ სალიპარტიანო ერთ დროს საერისთავოს წარმოადგენდა. ერისთავები იყვნენ ლიპარტიანები, რომლებიც ფლობდნენ ვრცელ ტერიტორიას (სოსელია, III, 1990: 85).

სალიპარტიანო უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე ეს ვახუშტის თხზულებასა და რუკაზეა მოცემული. მეცნიერს ლიპარტიანთა საუფლისწულო მამული რუკაზე გამოუსახავს ჭყონდიდიდან დასავლეთით, უნაგირას მთისძირში მდებარე ტერიტორიის სახით, რაც ტეხურის მარჯვენა მხარეზეც გადადიოდა და შხეფამდე აღწევდა. მაშასადამე, ვახუშტის თქმით, სალიპარტიანო მდებარეობდა აბაშისა და ტეხურის ხეობების შუა წელზე, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ადრინდელი და მოგვიანო ხანის წერილობითი წყაროების შეჯერებით შესაძლებელია გეოგრაფიული არეალის უფრო მეტად გაფართოება.

XVII-XIX სს. წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ სალიპარტიანო მოიცავდა ტეხურსა და ცხენისწყალს შორის მდებარე ტერიტორიას (ბერაძე, სიგკ, II, 1964: 126-128; ჯღარკავა, №6, 1970: 78-79). XVI ს-ის დასასრულსა და XVII ს-ის პირველ მესამედში სალიპარტიანოს აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყლამდე ვრცელდებოდა და ხუნნი, ნაგვაზაუ, ბონბოთი (ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლები) და კვაუთი (სენაკის მუნიციპ.) მის შემადგენლობაში შედიოდა (კაკაბაძე, 1914: 18; მისივე, II, 1921: 172).

ვახუშტის რუკებიდან ირკვევა, რომ სალიპარტიანოს შემადგენლობაში იყო შხეფი (შხეთი), სენაკი (ახლანდ. ძველი სენაკი) და ნაქალაქევი. ასევე სწორია ცნობა, რომ იგი წარმოადგენდა მთავართა და აზნაურთა სამფლობელოს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მოგვიანო ხანის (XIX ს.) ცნობა, რომ დადიანები ფლობდნენ ტეხურისა და აბაშის ზემო ნაწილში, შხეფიდან სალხინომდე მდებარე ტერიტორიას და ორი ათას კომლზე მეტ აზნაურსა და გლეხს (ბოროზდინი, 1934: 242).

შხეფი და მისი შემოგარენი რომ მართლაც სადადიანო მამული (საუფლისწულო) იყო, ჩანს მოგვიანო ხანის, კერძოდ, სენაკის მაზრის სამიურატო მამულის 1871 წლის აღწერის მასალებიდან, სადაც აღნიშნულია, რომ შხეფელი, დადიანების საუფლისწულო აერთიანებდა სენაკის მაზრის შემდეგ სოფლებს: შხეფს, ნოსირს, წყემს, კოტიანეთს, გეჯეთისა და ეკის ნაწილს, სქურდსა და ბაღდას. იმავე აღწერის მიხედვით ნაქალაქევი, უშაფათი და სერგიეთი ნაქალაქეველი დადიანების საკუთრებაშია, ხოლო ბეთლემსა და უშაფათის ნაწილს ბეთლემელი დადიანები ფლობენ (ზსიემ, მთავრის ფონდი, №6494/18; ჯღარკავა, 1970: 56).

IV.4. ფოთი და პალიასტომი

ფოთი შავ ზღვასთან რიონის შესართავთან, ზ. დ. 1-3 მ-ზე მდებარეობს და თბილისს 312 კმ-ით არის დაშორებული. ქალაქს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ხობის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება, სამხრეთით – პალიასტომის ტბა და მდ. კაპარჭინა.

ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების ბერძნულ წყაროებში ფასიდად//ფაზისად//ფასისად ნოდებული ერთ-ერთი დაწინაურებული ზღვისპირა პუნქტი, თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით უძველესი დროიდან მნიშვნელოვან ქალაქს და ნავსადგურს წარმოადგენდა. ძვ. წ. IV ს-ის ბერძენი ავტორის, ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობით, მილეტელების მიერ დაარსებული ქალაქი ფასისი მდებარეობს ფაზისის მარცხენა მხარეს.

ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი ფაზისის მდებარეობას ასე გადმოსცემს: „ფაზისის პირას მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხური ემპირონი, რომელსაც წინ უძღვის მდინარე, ტბა და ზღვა“. სხვაგან აღნიშნავს: „ფასისი ერთვის პონტოს. აქვს იმავე სახელის ქალაქი და შორიახლო ტბა“ (ბერძნიშვილი, 1969: 135). მისივე ცნობით, კოლხების ამ სავაჭრო ქალაქში თავს იყრიდა 70 სხვადასხვა ტომის წარმომადგენელი (იქვე).

ფაზისის, როგორც დაწინაურებული ქალაქის შესახებ, ცნობები დაცულია ჰესიოდეს, ეპიმენიდეს, პინდარეს, ჰეკატე მილეტელის, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, არისტოფანეს, ჰიპოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ჰერაკლიდე პონტოელის, აპოლონ როდოსელის, თეოკრიტეს, დიოდორ სიცილიელისა და სხვათა თხზულებებში (ბერძნიშვილი, XXIII, 1942: 20; მიქავა, 1963: 4-6; პაჭკორია, 1967: 10).

სახელწოდებას „ფოთის“ ფორმით პირველად VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის – ლევონდის თხზულებაში ვხვდებით. ლევონდი

ვრცლად აღწერს ამ ქალაქის მდებარეობას და სამხედრო-სტრატეგიულ თუ ეკონომიკურ მნიშვნელობას. პირველი ქართული წერილობითი წყარო, სადაც ფოთი მოიხსენიება, თარიღდება 1074 წლით. ესაა ხელნაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნებულ გიორგი ათონელს (მთანმინდელს) ფოთამდე ნავით უმგზავრია, აქედან კი სახედრით გაუწევია ქუთაისისკენ. „კეთილითა და ჰამოთა ნავითა მოვიწინეთ ფოთს“ – აღნიშნავს გიორგი მთანმინდელი (ჯანაშია, VI, 1988: 272-273; ცხადაია, III, 2007: 288-289).

აკად. ს. ჯანაშია იმონებს უცნობი ქართველი სქოლიასტის ცნობას, რომ „ფასოი“ წარმოადგენს „სოფელსა შინა მეგრელთასა“, და იქვე განმარტავს: „ფოთსა იტყვს“-ო (ჯანაშია, იქვე: 272).

ფაზისი-ფოთის ძველი ისტორიის პრობლემებს არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. ამიტომ აქ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ფოთი XV საუკუნისათვის კვლავ ინარჩუნებდა ქალაქისა და მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის სახელს.

ფოთისა და დასავლეთ საქართველოს სხვა ზღვისპირა ქალაქების მკვეთრი დაკნინება განპირობებული იყო იმ დროისთვის შექმნილი პოლიტიკური ვითარებით, კერძოდ, ოსმალთა ბატონობის დამლუხველი შედეგებით. ამასთან დაკავშირებით არქანჯელო ლამბერტი შენიშნავდა: „კოლხიდა, რამდენადაც წინათ იყო ცნობილი ძველთაგან, რომელთაც ხშირი მსვლელობა ჰქონდათ ამ ქვეყანაში, იმდენად ჩვენს დროში უცნობია იტალიისათვის, რადგან ყოველივე მიმოსვლა და ვაჭრობა ამ ქვეყანასთან მოისპო. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენსა და კოლხიდას შორის შუა ჩადგა თურქეთი, რომელმაც თავისი ბარბაროსობით და მტარვალობით ვაჭრებსა და ცნობისმოყვარეებს გზა შეუკრა ამ ქვეყნისაკენ...“ (ლამბერტი, 2011: 47).

ფოთის ქალაქობაზე არაფერს ამბობს ვახუშტი ბატონიშვილიც. ერთგან აღნიშნავს მხოლოდ: „რიონის თუალზედ სამწრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა... ნავსადგურობისათჳს“ (იქვე: 789). მაშასადამე, ვახუშტის დროისთვის ფოთს უკვე დაკარგული ჰქონდა ქალაქის სახე და მხოლოდ ოსმალთა ციხე-სიმაგრესა და ნავსადგურს წარმოადგენდა, რაც მათ ტყვეთა სყიდვა-გაყიდვის ცენტრად უქცევიათ (პაჭკორია, 1967: 44).

ვახუშტი ბატონიშვილი ფოთის მდებარეობას ასე გადმოგვცემს: „ისულებს, ტეხურის შესადინარს ქუეით, სადაცა ერთვის რიონი ზღუას, აქა არს ფოთი“ (ვახუშტი IV, 1973: 777). ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზე დაბის პირობითი ნიშნით ფოთი აღნიშნულია რიონ-ტეხურის შესართავის დასავლეთით, ოდიშ-გურიის საზღვარზე, რიონის ნაპირას. ამიტომ ვახუშტი სწორია, როცა წერს: ფოთი მდებარეობს სწორედ იქ, „სადაც ერთვის რიონი ზღვას“.

ოსმალთა მიერ ფოთში ციხის აშენების თარიღად მეცნიერი 1725 წელს მიუთითებს და წერს: „აღაშენეს ოსმალთა წელსა ჩ~დკე (ე. ი. 1725 წელს – ი. კ.), ქართულსა უ~იგ, ნავსადგურობისათჳს და დგანან მუნ მჯდომარის ფაშით“ (ვახუშტი, IV 1973: 789-790). ვახუშტის ეს ცნობა არასწორია, ვინაიდან აქ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს ეს თურქთა მიერ ფოთში ციხის პირველი აშენების დრო იყოს. სინამდვილეში ფოთში ციხე თავდაპირველად ოსმალებს 1578 წელს აუგიათ, ხოლო XVII საუკუნის შუა ხანებში ლევან II დადიანს მოუთხრია და ოსმალო მოძალადენი იქიდან გაუძევებია. ასე იყო 1723 წლამდე, ვიდრე ოსმალები კვლავ არ დაიკავებდნენ ფოთს. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ფოთის ციხის აგებიდან სულ რაღაც 12-14 წლის შემდეგ შედგენილ ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკაზე, ფოთის ციხესთან გაკეთებული წარწერა გვამცნობს: „ფოთის ციხე ქართულად, ძველად ქალაქიც ყოფილა. ფასუს ქვიან, ორი თულიანი ფაშა ზის. 1723 ქკს ააშენეს თათართა. ორმოცდა ათი თოფი ძევს დიდი. ორასი კაცი დგას“ (ბურჯანაძე, I, 1959: 188).

1578 წელს (ზოგიერთი წყაროს მიხედვით 1579 წელს) ფოთის ოსმალთა მიერ დაპყრობასა და იქ ციხის აგებაზე დაბეჯითებით მიუთითებენ არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე და სხვები. ლამბერტის ცნობით, ქუთაისის მახლობლად ქართველთა ლაშქართან ბრძოლაში დამარცხებული თურქები ფოთში გამაგრებულან და 1578 წელს იქ ციხე აუგიათ. „ფაზისი ზღვას შეერთვის ორი ტოტით. ამ ტოტებს შორის არის კუნძული... თურქებმა ზემოხსენებულ კუნძულზე ააშენეს ციხე. ბევრი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს ციხე დაანგრია აწინდელმა სამეგრელოს მთავარმა, რომელმაც წამოიღო იქიდან ოცდახუთი ზარბაზანი“, – წერს არქანჯელო ლამბერტი (ლამბერტი, 2011: 196).

ფოთის ციხესიმაგრეების შესახებ არსებული ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების გაანალიზებით მკვლევარი მ. პაჭკორია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქ ციხე თურქებს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა აეგოთ. „წინააღმდეგ შემთხვევაში XVI საუკუნეში აგებული ციხე ამ დროისათვის (ე. ი. XVIII საუკუნისათვის) „ზედ ზღვის პირზე“ არ იქნებოდა რიონის მოქმედებისაგან ხმელეთის თანდათანობით ნინ წანევის გამო“ (პაჭკორია, 1974: 19). კითხვებზე – „რად დასჭირდათ თურქებს ფოთში ახალი სიმაგრის აგება, როცა ასეთი მათ აგებული ჰქონდათ XVI საუკუნის დასასრულს? იქნებ ეს ციხე უამთა გავლენით ან საომარი ოპერაციების დროს დაზიანდა და გამოუსადეგარი გახდა?“, – მკვლევრის პასუხი ასეთია: XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან თურქები იწყებენ ზღვიდან დაშორებული ძველი სიმაგრის თანდათანობით აღდგენას. ამასთანავე, სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტის უფრო საფუძვლიანი გამაგრების მიზნით, მდინარის შესართავთან, ზღვის მახლობლად, მათ დაუწყიათ პატარა სიმაგრის საჩქაროდ აგება (იქვე: 19-20). მ. პაჭკორია იმონიებს მოგვიანო ხანის დოკუმენტსაც, კერძოდ, ტოპოგრაფ გორშაკოვის მიერ 1828 წელს ინსტრუმენტულად გადაღებულ რუკას, რაზეც ფოთის ორი ციხეა გამოსახული, ხოლო თვით რუკის სახელწოდებაა „ფოთის დიდი და პატარა სიმაგრეების გეგმა“ (იქვე: 20).

XIX ს-ის 70-იან წლებში ფოთის სიმაგრეები დაუშლიათ და სამშენებლო მასალის ნავსადგურისა და ქალაქის საჭიროებისათვის გამოყენება გადაუწყვეტიათ. ძველი დიდი სიმაგრისაგან გადარჩენილი კოშკის რესტავრაცია და გადაკეთება ნიკო ნიკოლაძეს განუხორციელებია (იქვე: 21).

ფოთს ვხვდებით სხვა ქართულ წერილობით წყაროებშიც. მალაქია კათალიკოსის (1616-1639 წწ.) მიერ შედგენილ „შენიშვნების ნიგნში“ მოიხსენიება ლევან დადიანის მიერ ეკლესიისათვის შენირული ფოთელი მეთევზენი (ქსძ, III, 1970: 500-501). XVII საუკუნის თურქი ისტორიოგრაფი ქათიბ ჩელები კავკასიის რუკაზე აღნიშნავენ პუნქტს ფოთის სახელწოდებით. სოფლის აღმნიშვნელი ჰუსონით რუკაზე პუნქტის აღნიშვნა მკვლევარ გ. ალასანიას აფიქრებინებს, რომ ესაა დღევანდელი პატარა ფოთი ქალაქ ფოთის მახლობლად (ქათიბ ჩელები, VII, 1970). თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ დროისთვის ფოთს, როგორც ქალაქს, თავისი მნიშვნელობა დაკარ-

გული ჰქონდა და დაკნინებული იყო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქათბო ჩელების რუკაზე აღნიშნული პუნქტი „ფოთის“ სახელწოდებით უნდა გულისხმობდეს სწორედ ამჟამინდელ ქალაქ ფოთს და არა სოფელ პატარა ფოთს.

რაინეგის ცნობით, ქალაქ ფოთისათვის ხშირი ომი იმართებოდა იბერიისა (იმერეთის– ი. კ.) და გურიის პროვინციის მთავართა შორის, „სანამ საბოლოოდ თურქებმა არ მიიტაცეს ეს ქალაქი“ (რაინეგისი, 2002: 137).

ვახუშტი მსჯელობს პალიასტომის ტბის ადგილმდებარეობაზე და შენიშნავს: „კუალად ფოთის სამჯრით, ზღვს კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღუას მდინარე ამისივე. იქიდან შემოვლენან ნავნი და დგებიან, ტბასა შინა განსუენებისათჳს. იპყრობის თევზნი სხუადასხუანი მას შინა ურიცხუნი. ამას იტყჳან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან“ (ვახუშტი, IV, 1973: 790).

ბატონიშვილს არც ამ ტბის სამეურნეო თავისებურება გამორჩენია მხედველობიდან. მისთვის ის თქმულებაც ყოფილა ცნობილი, პალიასტომს რომ „ნაქალაქევად“ მიიჩნევს.

გამბას დაკვირვებით, მეთევზეობით განთქმული პალიასტომის ტბა (Baleastone) მდებარეობს გურიას, სამეგრელოსა და ფოთის ციხესიმაგრის მომიჯნავე ტერიტორიას შორის (იქვე: 139).

თქმულების ერთი ვარიანტი ჯერ კიდევ 1651 წელს ჩაუნერიათ იმერეთში მოსულ რუსეთის ხელმწიფის ელჩებს – ტოლოჩანოვსა და იევლევს (ელჩობა..., 1926: 155-156). ცნობილია ამ ლეგენდის კიდევ რამდენიმე ვარიანტი. ერთი მათგანი გასულ საუკუნეში ჩანერა მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა (მოთხრობა „პალიასტომის ტბა“), მეორე იური სიხარულიძემ გამოაქვეყნა 1957 წელს (სიხარულიძე, N114, 1957). მესამე გურამ გრიგოლიას ჩაუნერია სოფ. საგვიჩოში (სენაკის რ-ნი) (გრიგოლია, 1973: 55).

ამ თქმულებას 1969 წელს სპეციალური წერილი მიუძღვნა მიხეილ ჩიქოვანმა, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევდა „ტბის ფსკერზე არქიტექტურული ნაშთების“ არსებობას (ჩიქოვანი, 1969). ძველ ფაზისს, „მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც“ პალიასტომის ტბაშივე გულისხმობდა გ. გრიგოლიაც (გრიგოლია, 1973: 54). ხალხური

ეტიმოლოგია პალიასტომს „პავლიას ტომის“ სახენაცვალ ფორმად მიიჩნევს.

სახელწოდების მეცნიერული ახსნა პირველად დიუბუამ სცადა. იგი მას კომპოზიტად თვლიდა და ადვილად არჩევდა ბერძნულ სიტყვებს – პალიოს „ძველი“ და სტომა „შესართავი“ (დიუბუა, III, 1889: 71-72). „თუ ეს ისაა, – დასძენს მკვლევარი, – რომელსაც ფაზისი ერთოდა, ამას არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა, თუ არა შორეულ ხანაში, ვინაიდან სტრაბონი ქალაქ ფაზისზე საუბრისას ნათლად აღნიშნავს მის ტბას, ზღვასა და მდინარეს შუა მდებარეობას, რაც გვიჩვენებს, რომ ფაზისს ჯერ კიდევ მაშინ, ისევე როგორც დღეს, ჰქონია ტბისაგან დამოუკიდებელი მიმართულება“ (იქვე).

„პალიასტომის“ ბერძნულ წარმომავლობას იცავს ნ. ცერცვაძე; თუმცა დიუბუასგან განსხვავებულ ახსნას გვთავაზობს: ამ კომპოზიტის პირველ სიტყვაში იგი **პალას** (ბრძოლა, ომი) გამოყოფს, ხოლო მეორეში – **ტომოსს** (მკაცრი) და ტბის სახელს ქართულად „მკაცრ ბრძოლად“ განმარტავს (ცერცვაძე, 1970: 3).

„პალიასტომის“ ასეთი ახსნა, ავტორისავე აზრით, „ზუსტად გამოხატავს მის ბუნებას“ (იქვე). მას აქ ტბის ე. ნინოშვილისეული დახასიათება აქვს მხედველობაში. მართალია, იგი ეჭვს არ იწვევს, მაგრამ სახელწოდების ეტიმოლოგიის არც ეს ვერსიაა სარწმუნო.

მ. თავდიშვილის აზრით, ამ კომპოზიტის პირველი სიტყვა („პალია“) „პა“ და „ლია“ კომპლექსად უნდა დაიშალოს. თუ ამას მივიღებთ, მაშინ „ლიას“ შინაარსიც (ჭაობი, საფლობი) ნათელია. პალიას განსაზღვრავს ლიას მნიშვნელობა. რაც შეეხება **პა** კომპლექსს, იგი ავტორს **ბას** სახეშეცვლილ ფორმად მიაჩნია და მას კნინობითობის ან კლასკატეგორიის ნიშნად თვლის. მ. თავდიშვილის აზრით, ბა/პა ხშირად ერთმანეთის მაგივრობას სწევს და პა-ს ადგილას შეგვიძლია ვიგულისხმოთ ბა, და პირიქით. ამ გაგებით პალიას მეორე და თანაბრად ღირს ფორმად ავტორი ბალიას მიიჩნევს, რასაც თავისი მნიშვნელობით ინდოევროპულ სიტყვა „ბოლოტოს“ უკავშირებს. ამრიგად, პალიასტომის პირველი კომპონენტის მნიშვნელობას გაიაზრებს, როგორც ჭაობს, ხოლო ბოლო კომპონენტი **ტომი** იგივე ბ ბგერადაკარგული **ტომბია**, ანუ ტბა (თავდიშვილი, №10, 1973: 6).

IV.5. ხობისწყლის ხეობა

ჰიდრონიმი „ხობისწყალი“. უნაგირას მთასა და ჭანისწყალს შორის მდებარე ტერიტორიას ვახუშტი ასე აღწერს: „ფოთის ჩდილოთ კერძ შესდის ზღვას ხორგისწყალი. მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა. გამოსდის მასვე წინხსენებულს კავკასს და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამავე წყალზედ, მთის ძირში, უნაგირას ჩდილოთ, არს ციხე ჭაქვეთი და სასახლე დადიანისა. ხოლო ამ წყლის ჩდილოთ, მთის ძირს, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და სასახლე დადიანისა“ (ვახუშტი, IV, 1973: 778).

ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზე დაბის პირობითი ნიშნით ფოთი აღნიშნულია რიონ-ტეხურის შესართავის დასავლეთით, ოდიშ-გურიის საზღვარზე, მდ. რიონის ნაპირას. ამიტომ ვახუშტი სწორია, როცა წერს: ფოთი მდებარეობს სწორედ იქ, „სადაც ერთვის რიონი ზღვას“.

ხობისწყალი სათავეს იღებს სოფ. მუხურში (ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტი), ზ. დ. 2326 მ-ზე, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე და წარმოადგენს ჩხორონწყუსა და ხობის მუნიციპალიტეტების მთავარ საწყლოსნო არტერიას. მდინარის სიგრძე 150 კმ-ია, აუზის ფართობი – 1340 კმ². მთავარი შენაკადებია ოჩხომური, ჭანისწყალი და ზანაძგა. ჰიდრონიმის ადგილობრივ, არაოფიციალურ ვარიანტებად გავრცელებულია **ხოზწყარი** და **ხოპწყარი**, რასაც ადასტურებს ჩხორონწყუსა და ხობის მუნიციპალიტეტების ტოპონიმიური მასალაც. მაგალითად, მთა-საძოვარს ეგრისის ქედზე **ხოზწყარიშდუდი//ხოპწყარიშდუდი** ეწოდება, რაც ხობისწყლის სათავეს წარმოადგენს; ჭალა-სახნავს ხობისწყლისა და ლანჯონიშ ღალის შესართავთან **ხოზწყარიშ ჭალე** ჰქვია (კირცხი, ოჩხომური); სოფ. ახუთში, ლეგერსამეში მდებარეობს

ღრმა ხევი, სადაც გაედინება ციის მარჯვენა შენაკადი სქვერია(შ) ღალუ. ამ ხევს **ხობუ//ხობი** ეწოდება. ხობის მონასტრის ეზო **ხობ-მინდორიად//ხობმინდორიაშ კირდედ** იწოდება. აქვეა წყარო **ხობ-მინდორიაშ წყრგილეს//მონასტერიშ წყურგილეს** სახელწოდებით. ტბორს ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე, ახალსოფლის თემის საშონოს უბანში **ხოპწყარიშ გილნახოფას** „ხობისწყლის განარღვევს“ ეძახიან. პ. ცხადაიას განმარტებით, ამ ადგილას მდინარეს კალაპოტი გაურღვევია და ტბორი დაუტოვებია (ცხადაია, III, 2007: 30); ხობისწყლისპირა ბექს სოფ. ზუბში **ხოპწყარიშ გაბარი** ჰქვია (იქვე: 65). გუბეს ნოჯიხევის საზღვართან, ხობისწყლის ნაპირზე, სოფ. მეორე გურიფულში, **ნახოპწყარი** ეწოდება. მუნჩიის შენაკადის – წყაბუს მარცხენა ნაპირას აღმართული ბორცვი **ხობიშ დიხაგუძუბას** სახელითაა ცნობილი (იქვე: 98); სოფ. ზენში, მეორე გურიფულის საზღვართან მდებარე ტბორს **ჯვეშ ნახოპწყარს//პალოტს** ეძახიან (იქვე: 130). **ხობანი//ხობანელალ//ხობანწყარი** დღე და ხეობაა ხუდონში; აქვე მორევს **ხობანიშ ტომბა** ჰქვია და ა. შ.

წერილობით წყაროებში მოიხსენიება მდინარე და პუნქტი **ხობის//ხოფის** სახელწოდებით. ა. ლამბერტის მსჯელობით, ადგილს სახელი „ხოფი“ მდინარისგან მიუღია. „ტეხურს ანუ სიგამეს მოსდევს ხობო (Cobo), – წერს მისიონერი, – რომელსაც მკვიდრნი დღესაც მსგავს სახელს უწოდებენ – ხოფი (Copi). ეს მდინარე მეტად მდიდარია ნაირ-ნაირი თევზებით და ნავით სავალია იმ ადგილამდი, რომელსაც ჰქვია ხოფი (Copi). ამ ადგილის გამო თვით მდინარეს ეწოდება ხოფი. აქ არის ეკლესია, რომელიც წინათ საეპისკოპოსო იყო“ (ლამბერტი, 2011: 200). მისივე რუკაზე აღნიშნულია მდინარე **ხოფი (Copis)**.

გერმანელი მოგზაურისა და მეცნიერის – გიულდენშტედტის ნაშრომშიც ოდიშის მდინარეებს შორის დასახელებულია ხობისწყალი, ხოლო ოდიშის სოფლებს შორის – ხობი. იქვე აღნიშნულია, რომ სენაკი და ხობი ორივე პატრიარქისაა (იგულისხმება აფხაზეთის კათალიკოსი), ხოლო ამ უკანასკნელში არის დიდი ეკლესია (გიულდენშტედტი, I, 1962: 321, 325).

ხორგა. ფოთის ჩრდილოეთით, შავ ზღვასთან უსახელო მდინარის შეერთების მარჯვენა მხარეს, რუკაზე მეცნიერი აღნიშნავს პუნქტს **ხორგის** სახელწოდებით. ეს მდინარე, ვახუშტის თქმით, ხორგისწყალია,

რასაც, თითქოს, სახელი მიუღია ზღვის კიდეზე მდებარე დაბის – ხორგის სახელწოდების მიხედვით (სიხარულიძე, კეკელია, V, 2013: 69-70). მაგრამ საქმე ისაა, რომ ხორგა თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტში, ხობისწყლის ორივე ნაპირას. აკონკრეტებენ: გამოლმა და გალმა პირველი ხორგა, გამოლმა და გალმა შუა ხორგა. ხორგის თემის ცენტრს გამოლმა პირველი ხორგა წარმოადგენს და მდ. ხობისწყლის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 11 მ-ზე მდებარეობს; ხობს 8 კმ-ით არის დაშორებული. გამოლმა შუა ხორგა ხობისწყლის ორივე ნაპირზე, პირველ ხორგასა და ქარიატას შუა მდებარეობს. თემის ცენტრია და კიდევ ორ სოფელს – გალმა შუა ხორგასა და ყორათს აერთიანებს. გამოლმა შუა ხორგა ეწოდება სოფელს გამოლმა პ. ხორგასა და გამოლმა ქარიატას შუა, ხობიდან ყულევისკენ მიმავალ გზაზე, ხობისწყლის მარჯვენა მხარეს; ხობს 11 კმ-ითაა დაშორებული და ზ. დ. 9 მ-ზე მდებარეობს. გალმა შუა ხორგა სოფელია ოდიშის დაბლობზე და ხობისწყლის მარცხენა ნაპირზეა. ხობს დაშორებულია 12 კმ-ით, ჭალადიდის რკინიგზის სადგურს – 5 კმ-ით, და ზ. დ. 10 მ-ზეა. გალმა პირველ ხორგად იწოდება სოფელი ხობისწყლის მარცხენა მხარეს, რაც ახალსოფლის თემში შედის, ზ. დ. 10 მ-ზეა და ხობს 7 კმ-ით არის დაშორებული.

ირკვევა, რომ ყულევისა და ხობს შორის მდებარე ვრცელი ტერიტორია ხობისწყლის ორივე ნაპირას ხორგად იწოდებოდა (ცხადაია, II, 2007: 139).

სოფელი ხორგა მოიხსენიება გვიანი შუა საუკუნეების არაერთ წერილობით დოკუმენტში. ლამბერტი 1654 წელს შედგენილ რუკაზე აღნიშნავს პუნქტს **ხორგას** (Corgas) სახელწოდებით. ხორგა გამოსახულია იმავე წლის ე. წ. „ლათინურენოვან რუკაზეც“. როგორც ჩანს, სოფლის დაკონკრეტება გალმა და გამოლმა ხორგად ახალი მოვლენა არაა. XVIII ს. დასაწყისით დათარიღებულ საეკლესიო გადასახადების გადამხდელთა სიაში მოიხსენიება გალმა ხორგას მცხოვრები თაბუნია ხოჭოლავა, ბესია გიგიბერია, ინალუხუ ლეფონავა, ბაბაკოჩი, ხახუ, გურიკავა, ბეჯია და შოშიტა ბერაიები, ქომოკორდა არცანდია და მისი ძმისწული, „ჯაიანისსეული კაცი“ გონჯი ავშილავა (კაკაბაძე I, 1921: 116; ხობის მონასტერი, 2000: 48). ლევან III დადიანის მიერ 1675 წელს შედგენილი შეწირულების წიგნიდან ირკვევა, რომ ოდიშის მთავარს ბიჭვინთის ღვთისმშობლისთვის შეუწირავს სოფ. ხორგა; ამას-

თანავე, „ხორგას სამი ნავი ვაჭარი თუ მოვიდეს, ერთი ბაზარგანი ვაჭარი სახობოს კაცისას დადგებოდეს...“ (კაკაბაძე, I, 1921: 76, 77). ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილ, საეკლესიო გადასახადების გადამხდელთა სიაში დასახელებულია „ხორგას თავს დასტურაია ჭუჭუ და გაბრიელ“ (იქვე: 116). გიორგი თავდგირიძის მეუღლის – ხვარამზე ბატონიშვილის მიერ 1715-1730 წწ. დათარიღებული „შენირულების წიგნი“ გვამცნობს ბიჭვინთის ღვთისმშობლისთვის შენირულთა ვინაობას. ესენი გახლავთ ხორგას მცხოვრები ბარდღალი და დოხვადი ბერიების ოჯახი (კაკაბაძე, I, 1921: 119). გრიგოლ კათალიკოსის 1733 წლის გუჯარში აღნიშნულია, რომ „ხორგას საკუთალიოს“ მცხოვრები გოჯი აფშილავა ცოლ-შვილითა და მამულით მერაბ ჯაიანს ბიჭვინთისთვის შეუწირავს (იქვე: 144).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა ხორგაში აფხაზთა კათალიკოსის სასახლის არსებობის შესახებ XVII-XVIII სს. სხვა არაერთი ისტორიული დოკუმენტით დასტურდება, რაზეც ყურადღებას ამახვილებს მკვლევარი თამაზ ბერაძე (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 58). 1696-1701 წლებით თარიღდება მამია დადიან-გურიელის შენირულობის წიგნი, საიდანაც ირკვევა, რომ „ხორგას ნაპარკაო სასახლე ცხრა კვამლის კაცით კათალიკოსს დავითს ნემსაძეს წულუკიძისაგან ეყიდა და... ჩვიდმეტად კვამლს კაცად გაეხედა...“ (კაკაბაძე, I, 1921: 87).

აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის 1706 წლის სიგელში დასახელებულია „ხორგას ნაპარკევის სასახლე“ და ზემოთ მოხმობილი დოკუმენტიდან ცნობილი პიროვნებანი: „აზნაურისშვილი მორდებ გეგებერაი ორის მოსახლე გლეხითა“, ჭუჭუ და მამაში დასტურაიები, „ძმებითა და სახლკარითა“; სოგიჯუმა ხოჭოლავა, სარჯელია და ბაბადიში ხაზავები. ბეჟან წულუკიძისგან ნაყიდი გლეხები გრიგოლ ნემსაძეს თურმე „შეუწირავად დარჩომოდა“. ბერაიების ოთხი კომლი გიორგი მიქელაძეს ასევე ბიჭვინთისთვის შეუწირავს. დოკუმენტიდან ირკვევა სხვა შენირულ პირთა ვინაობაც (იქვე: 90, 91).

ხორგის სასახლე „ნაპარკავისა“ და „ნაპარკეოს“ ფორმით დასახელებულია აგრეთვე XVIII ს. კიდევ ორ დოკუმენტში (იქვე: 101, 103). გიულდენშტედტის ცნობით ხორგა სოფელია ოდიშში (გიულდენშტედტი, I, 1962: 325).

ამრიგად, XVII-XVIII საუკუნეების უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროებში არაერთგზის მოხსენიებული სოფელი ხორგა, რომელიც ხობისწყლის ორივე ნაპირზე მდებარეობს, წარმოადგენდა აფხაზეთის კათალიკოსის ერთ-ერთ რეზიდენციას. ხორგის სახელით ცნობილი იყო ვრცელი ტერიტორია ყულევსა და ხობს შორის. ამიტომ ვახუშტის ცნობა დაბა ხორგის „ზღვს კიდესა ზედა“ მდებარეობის შესახებ, ვფიქრობთ, რომ სწორი უნდა იყოს, ოღონდ ერთი გარემოების გათვალისწინებით: სახელოვანი მეცნიერის მსჯელობა, რომ მდ. ხორგისწყალმა აღნიშნული სახელი „მოიგო“ დაბა ხორგისაგან, არასწორია, ვინაიდან ხორგის მახლობლად მდინარე ამ სახელწოდებით არ მოედინება და შეცდომით დასახელებული ხორგისწყალი სწორედ მდ. ხობისწყალი უნდა იყოს (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 58).

ჭაქვინჯი. ვახუშტის რუკებისა და ნაშრომის მიხედვით „ციხე ჭაქვითი და სასახლე დადიანისა“ მდებარეობს ხორგისწყლის (აღბათ ხობისწყლის) აღმოსავლეთით, მაგრამ ეს შეცდომაა, და როგორც თ. ბერაძე აღნიშნავს, აღნიშნული პუნქტი მდებარეობს ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე (იქვე: 58).

მეცნიერს თვით ციხის სახელწოდებაც განსხვავებული ფორმით აქვს მოცემული. უფრო ადრინდელ, ლევან II დადიანის 1640 წლის წმ. ნიკოლოზის ხატის წარწერაში დასახელებულია „ჭაქვინჯის“, ხოლო მარტვილის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში – „ჭაქვიჯის“ ფორმით. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე აღნიშნულია „ჭაქვიჯი“; ნ. დადიანი რამდენჯერმე ასახელებს ტოპონიმ „ჭაქვიჯს“. მოგვაქვს საილუსტრაციო მასალა „ქართველთ ცხოვრებიდან“: „ხოლო ოდიშს იყო ციხე **ჭაქვითისა**, გამაგრებული მხეიძის პეტრე ბეჟანის ძისაგან...“; „დროსა ამას განურისხდა დადიანი ლეონ შარვაშიძეს ბეჟანს და შეიპყრა და პატიმარ ჰყო ციხესა შინა **ჭაქვიჯისასა...**“; „შემდგომად წარსვლისა დედისა თვისისა მთავარმან ჩვენმან ლეონ დადიანმან მოიყვანა მეულლედ ზურაბ წერეთლის ასული მართა და ჰქმნა დიდი და სახელოვანი ქორწილი **ჭაქვიჯს**“ (დადიანი, 1962: 236). გიულდენშტედტი ოდიშში მიუთითებს ჭაქვინჯის ციხეს (გიულდენშტედტი, 1962: 188, 199, 325).

გადავხედოთ XIX საუკუნის საარქივო მასალებსაც. სამეგრელოს ეპარქიის 1838 და 1846 წლების სტატისტიკურ აღწერილობაში და-

სახელებულია ჭაქვინჯის წმ. გიორგის ეკლესია. 1864 წლის საარქივო დოკუმენტში მოიხსენიება ჭაქვინჯის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი დიანოზ შელია და მედავითნე („პრიჩეტნიკი“) გიორგი შელია (ფონდი 489, აღწ. 6, საქმე N1724); ასევე წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი რომანოზ შენგელია და მედავითნე ათანასე ანთელავა (ჭითანავა, 2010: 60, 61, 71). 1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებში ჭანისწყლის ხეობის გასწვრივ მდებარე სოფლებს შორის გვხვდება ჭაქელინჯი (იგივე ჭაქვინჯი), ხის სამი ეკლესიითა და ციხის ნაშთით. 1886 წლის კომლობრივი აღწერის მონაცემებით ზუგდიდის მაზრის ზუგდიდის საპოლიციო უბანში არსებობს ჭაქვინჯის სასოფლო თემი, სადაც კომლთა რაოდენობაა 556. მ. შ. კაცი – 1467, ქალი – 1380. სულ – 2847 (კეკელია, „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, №18, 2012: 32-33).

ახლანდელ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, ზუგდიდიდან 16 კმ დაშორებით, ზ. დ. 130 მ სიმაღლეზე, ნაზენისა და ჯიხასკარის საკრებულოებს შორის, მდებარეობს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული **ჭაქვინჯის** სახელწოდებით. ციხე აგებულია ჯიხასკარის ტერიტორიაზე, რაც გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოეყო ჭაქვინჯის სასოფლო საბჭოს. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცნობარის მიხედვით აღნიშნული სოფლის ოფიციალური სახელწოდებაა ჯიხასკარი, ხოლო თვით ციხესიმაგრე, რაც სოფლის ცენტრის დასავლეთით, მაღალ გორაზე დგას, „ჯიხას“ სახელითაა ცნობილი. აქვე წყაროს ჯიხანწყუს ეძახიან (ჭანისწყლის მარჯვენა შენაკადის – ჯაბახ(ი)ლეს სათავე), სახნავს – ჯიხა(შ)ფერდს, ხოლო ჩაის ფართობს – „ჯიხაშ ჩაის“ ეძახიან (ცხადაია, II, 2007: 404, 405).

ვახუშტი თავის ნაშრომში სამჯერ ასახელებს პუნქტს **ჭაქვითის** ფორმით. ერთგან წერს: მეფე ვახტანგმა „მოსრნა ურჩნი ოდიშისანი, მოადგა ჭაქვითის ციხესა, აღილო და გამოიყვანნა ცოლ-შვილნი ვამეყ დადიანისანი და საგანძურნი ყოველნი და მივიდა ზუგდიდს“ (დადიანი, 1962: 162). ეს ამბები უკავშირდება 1662 წელს.

წერილობით წყაროებში გვხვდება ტოპონიმის განსხვავებული ფორმაც – „ნაქვიში“; კერძოდ, ლევან V დადიანის მიერ წალენჯიხის დეკანოზ ნიკოლოზ თვალთვამისთვის ბოძებულ წყალობის წიგნში

გვითხულობთ: „ამისი მოწმე... ნაქვიშის ციხის და მისი შემავალის, თქვენი მოურავი მხეიძე პეტრე“ (ქუთაისის მუზეუმი, საბ. №1503).

პ. ცხადაიას მსჯელობით ახლანდ. ჭაქვინჯის უწინდელი სახელი ქუატახტი იყო, ხოლო ჭაქვინჯი უფრო ჯიხაშკარს ერქვა (ცხადაია, II, 2007: 352).

ჭაქვინჯის ციხის გრანდიოზულობით აღფრთოვანებული აკაკი ჭანტურია წერდა, რომ რუხის ციხისაგან განსხვავებით, რისი ნახვაც შიშა გგვრის, ჭაქვინჯის ციხე, პირიქით – გიბლავს... ეს ციხე ყოველმხრივ კეკლუცია (კალანდია, 2006: 398).

შ. მესხია ვარაუდობდა, რომ ჭაქვინჯში უნდა ყოფილიყო ეგრისის მმართველის – ქუჯის ციხე-სიმაგრე. ჯიხა-ქუჯის „ჭაქვინჯად“ გადაქცევა სავსებით შესაძლებელია, მაგრამ მკვლევრები საბოლოო და გადამწყვეტი დასკვნის გაკეთებისგან თავს იკავებდნენ, ვინაიდან ასეთი დასკვნა ციხის ნაშთების საფუძვლიან არქეოლოგიურ შესწავლაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული (პაჭკორია, 1975: 33).

სოფლის სახელწოდება „ჭაქვინჯის“ ფორმით არაერთგზის გვხვდება მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში. მოვიხმობთ საილუსტრაციო მასალას. ლექსში – „ოდიშიშ შარას“, გვითხულობთ:

მისით შარა მერჩამუნი	ვისაც მგზავრობა მოგიხდათ
ზუგიდიშე ბჟაიოლც,	ზუგდიდის აღმოსავლეთით,
ჯვეშ სოფელი ჭაქვინჯი რე	ძველი სოფელი ჭაქვინჯია,
ხვალე ჟირი სათიშ ოლც.	მხოლოდ ორი საათის სავალზე.

ან

გინმიჯინე კანდიორო,	გადაჰყურებს თავმომწონედ,
სქვამას მოყუნაფილი,	ლამაზად გამოყვანილი,
ჯვეში ჭაქვინჯური ჯიხა	ძველი ჭაქვინჯური ჯიხა,
თელ ოდიშის ცქვაფილი.	მთელ ოდიშში ნაქები

(სამუშია, 1971: 18, 19).

პოემაში – „ჟირი ქკადუ – უტუ დო ბულათია“, ორგან მოცემულია ფორმა ჭაქვინჯი:

ზოჯუ: მოკო, ქობძირენი	ბრძანა: მინდა ვნახო
ჩქინი ჭაქვინჯური ჯიხა,	ჩვენი ჭაქვინჯური ჯიხა,
თექიანი მოსასვანჯი	იქ მოსვენება
მიჩქუ, ვარე გვალო ხიხა.	ვიცი, არ არის მთლად უმნიშვნელო.

და

ქუათხოზი, ქემვოჭიშე გავეკიდე, დავენიე
ჭაქეინჯიში ჯიხანკალა, ჭაქეინჯის ჯიხასთან,
მეუნდ თუმამ მასქა კოჩი, თმის სისქე ხალხი მიჰყევოდა
ფთქვი: „მუს გოურც ვთქვი: რას გაჭრის ვაჟკაცობა!
ყაზაყალა!

(იქვე: 65, 74).

სხვა ლექსში ვკითხულობთ:

მაყალეფი, ირო ფშუდანი მეგობრებო, მუდამ გვახსოვდეს
თი დროში ჭაქეინჯი- იმ დროის ჭაქეინჯი-ჯიხაშკარი.
ჯიხაშკარი.

(სამუშია, 1979: 155).

ტოპონიმ „ჭაქეინჯის“ ეტიმოლოგია გარკვეული არაა. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულია შემდეგი მნიშვნელობები: „ჭაქეინჯი ჭის ფსკერი; ზოგან განმარტავენ როგორც ჭანთა ნაფუძარს, ჭანთა ქვედა ციხეს“ (ქობალია, 2010: 707). მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. გურძემში ჩავინერეთ ტოპონიმი „ჭანურქეინჯი“. ჭანური სამეგრელოში ეწოდება კონუსის ფორმის თავნაჭრილ ქვაბს, რასაც ვინრო თავი და ფართო ძირი აქვს, მაგრამ, ამასთანავე, **ჭანირი, ჭანური** მსხლის ჯიშიცაა. თუკი დავუშვებთ, რომ „ჭაქეინჯის“ უწინდელი ფორმა „ჭანურქეინჯი“ ან „ჭანირქეინჯი“ იყო, მაშინ შესაძლებელია სოფლის სახელწოდება მეტაფორულ ოროგრაფიულ ნომენად მივიჩნიოთ, კონუსის ფორმის თავნაჭრილ ქვაბთან გეოგრაფიული ობიექტის მიმსგავსებით ნარმოქმნილი. ხომ არ ნიშნავს ჭაქეინჯი „ჩავარდნილ-ჩადაბლებულ ადგილს“?

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ სიტყვა **ქეინჯი** ფიგურირებს სამეგრელოში ჩანერილ რამდენიმე ტოპონიმში. მაგალითად, **ქვაბ(ი) ქეინჯი** – ფერდობი სახნავით, აბაშის მარჯვენა ნაპირზე, თათულაის შესართავთან (ნაესუუ); **ქვაბიშქეინჯი** – ჭეჭყობიანი ვაკე რუხის თემში, ბექობთან; **ქვაბიქეინჯი** – ტაფობი აბაშის მარჯვენა ნაპირზე (ბობოთი)... **ქვაბი** იგივეა, რაც მღვიმე, გამოქვაბული; **ქვაბქეინჯი** „მღვიმის (გამოქვაბულის) ძირი“ მეტაფორულად აღნიშნავს ჩავარდნილ-ჩადაბლებულ ადგილს (კეკელია, 2008: 62). საყურადღებოა ტოპონიმ „ქვიჯეს“ დადასტურებაც. ასე ეწოდება ხევსა და ღელეს სოფ.

ქვაითში, რაც მარჯვნიდან შეერთვის ნოლას, საკირესთან. **ქვიჯეც** მეტაფორული ოროგრაფიული ნომენია და როდინივით (მეგრ. ქვიჯა, ქვიჯე) ჩაღრმავებულ ადგილს ნიშნავს. ქვინჯა, ქვინჯე, ქვინჯი გადატ. იგივეა, რაც ძირი, ფსკერი (კეკელია, 2008: 63).

ჭაქვინჯის ციხესიმაგრე მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. ოდიშის საერისთავოში ჭაქვინჯის ციხე გამორჩეული იყო თავისი სიდიდითა და ძლიერებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ ეს პუნქტი წარმოადგენდა ოდიშის საერისთავოს ცენტრს (ბერაძე სიგკ, III, 1967: 141). ციხის არქეოლოგიურ შესწავლას გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიცია პროფ. პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით. აღმოჩენილი ნივთიერი საბუთებით აქ დასტურდება მშენებლობის სამი ფენა: III-IV სს., დაახლ. VIII-IX სს. და XVI-XVIII სს. მშენებელს ციხის ასაშენებლად მოხერხებული ადგილი შეურჩევია. ესაა საკმაოდ მაღალი მთა ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, საიდანაც თვალნინ იშლება კოლხეთის დაბლობი და ზღვისპირეთი.

მთის მაღალ წვერზე აგებული და გრძელი ელიფსის ფორმის მქონე ციტადელთან მისასვლელი გზა ადრე დასავლეთიდან ყოფილა, ამჟამად კი აღმოსავლეთიდან უვლის. კედლები ირეგულარული გეგმისაა. რელიეფის თავისებურების შესაფერისად განლაგებული კოშკები მრავალჯერ დანგრეულა და აღუდგენიათ. ციხის ადვილად მისადგომი ჩრდილოეთი მხარე სამი კოშკითაა გამაგრებული. ეგრისის სამეფოს ძლიერების პერიოდის კოშკების თლილი კვადრებით აგებული ქვედა ნაწილი ყრუა, რაზეც მოგვიანებით სხვადასხვა დროს სამი სართული დაუშენებიათ. ერთი კოშკი მოგვიანებით დაუდგამთ აღმოსავლეთითაც.

ციხის პირველი ფენა – IV-V სს. ოთხკუთხა გალავნის ნაშთები არქეოლოგებმა გამოავლინეს სწორედ ჩრდილოეთით მდგარი კოშკებიდან განაპირას. მოგვიანებით, ციტადელის შიგნით, ორსართულიანი პალატი და სასახლედ აუგიათ. ციხის დიდი მასშტაბით გადაკეთება XIII-XIV საუკუნეთა მიჯნას უკავშირდება. ესაა მტრის მიერ მიყენებული დიდი ნგრევის შემდეგდროინდელი აღდგენითი სამუშაოები, რაც გამოიხატა აღმოსავლეთი კოშკისა და ჩრდილოეთის სამი კოშკიდან შუაში მდგარი კოშკის ხელახალ აშენებაში. იმავე ხაზზე მდგარი განა-

პირა კომპეებისათვის დაუშენებიათ ახალი სართულები, სვანური სალოდეებით. იმავე ეპოქით თარიღდება, ფართის გათვალისწინებით, გარნიზონისთვის განკუთვნილი დარბაზული ეკლესია. მას დასავლეთით სათავსი აქვს, ამ უკანასკნელის ქვეშ გამართული აკლდამა კი ეკლესიის ამგებისა და მისი ოჯახის წევრთათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. სამხრეთი და დასავლეთი კედლების თაღედის სისტემითა და დეტალებით ეკლესია XIII-XIV სს-თა მიჯნით უნდა დათარიღდეს.

XV-XVI სს-თა მიჯნაზე ციხის მასშტაბი ბევრად გაუზრდიათ და ციტადელის ჩრდილოეთით ახალი ციხე აუგიათ. ციტადელის კედლებს საბრძოლო ბილიკები მიუყვებოდა, რისი ნაშთებიც დღესაც შეიმჩნევა. ციტადელი ქვედა ციხის რამდენიმესართულიან კოშკს გვირავით უკავშირდებოდა. ქვედა ციხის გალავნის კედლები პირნმინდადაა დანგრეული.

ვახუშტის ცნობა, რომ ჭაქვინჯის ციხე „დიდნაშენი“ იყო, დასტურდება არქეოლოგიური გათხრებით. აქ გამოვლენილი პალატის ნაშთები, რაც თავის დროზე ორსართულიან კაპიტალურ შენობას წარმოადგენდა, მიუთითებს იმაზე, რომ გვიან შუა საუკუნეებში ჭაქვინჯი ციხე-დარბაზად ქცეულა (ზაქარაია, ლომოური..., 1984: 54-56).

ჭაქვინჯის ციხესთან გამოივლიდა გზა, რაც სამეგრელოს ტოპონიმიკაში „შქა სამარგალოშ შარას“ სახელითაა ცნობილი.

დადიანების ამ ადგილას მკვიდრობაზე მიუთითებს ტოპონიმური მასალაც. მაგალითად, ერას ხეობის მარჯვენა ნაპირას, დობერას სერზე, ისტორიული ციხის მახლობლად მდებარე ბორცვს ნადოხორგს//დადიაშ ნადოხორუს ეძახიან, სადაც, გადმოცემით, მდგარა დადიანის სასახლე. ასევე ერანყარის, ჭანისწყლისა და ნკვიბლალის შესართავთან, რახვინად ნოდებულ ჭალაში მდებარე ბორცვს ადგილობრივი მოსახლეობა ნამარანგს//დადიაშ ნამარანგს უწოდებს (ჯიხაშკარი). ასევე სოფლის ჩრდილოეთით, ალერტკარის საზღვართან მდებარე ტყეს „სადადიო ტყა“ (სადადიანო, დადიანებისთვის განკუთვნილი) ერქვა... სამწუხაროდ, ამ ტოპონიმების დათარიღება ჯერჯერობით ვერ შეეძელო.

ხეთა. ვახუშტის „აღწერის“ მიხედვით ხეთა მდებარეობდა ხორგისწყლის (ხობისწყლის) ჩრდილოეთით, მთისძირში, ველზე. ხეთა თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით თემია ხობის მუნიციპალიტეტში, ოდიშის დაბლობსა და ურთის მთის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე, ზ. დ. 50 მ-ზე, და ქ. ხობს 8 კმ-ით არის დაშორებული. რუსეთის იმპერიის მიერ XIX ს. 80-იან წლებში განხორციელებული კომლობრივი აღწერის მონაცემებით სოფელი ხეთა და ხეთის თემი ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის რედუტკალეს უბანში შედიოდა (Сводъ..., 1893). სოფელი მოიხსენიება „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“, რაც მალაქია კათალიკოსის მიერ 1616-1621 წლებშია შედგენილი.

ამჟამად ხეთის თემი აერთიანებს ხუთ სოფელს: ლარჩვას (თემის ცენტრი), ნოჩხონს, ოხვამეკარს, წინაგოლასა და ხეთას. გადმოცემით, ხეთა თემში შემავალი ხუთივე სოფლის გამაერთიანებელი სახელია. ინფორმანტთა ერთი ნაწილი კი თვლის, რომ ხეთაში იგულისხმება თემში შემავალი პატარა სოფელი საქირიო (უწინდელი პირველი საქირიო//ქუაკვინორი), რაც ურთის მთისკალთაზე, ხამისქურის საქირიოს საზღვარზე მდებარეობს (ცხადაია, III, 2007: 266-267). აქვე ხამისკურის მარცხენა შენაკადის – (ფ)შხერულის მარცხენა ნაპირზე, ხეთის რკინიგზის ხაზსა და სოფელ ოხვამეკარს შორის მდებარე უბანს **ხეთარზენი** ეწოდება (**რზენი** „ვაკე“).

სოფელში შემორჩენილია ციხესიმაგრის ნაშთი, რაც დგას ხამისკურის მარჯვენა მხარეს. იქაურები მიიჩნევენ, რომ ჯიხა რუსეთ-თურქეთის ომის დროსაა აგებული. სინამდვილეში, როგორც ვახუშტის ნაშრომიდან ჩანს, ციხე უფრო ადრინდელია. აქვეა წყარო „ჯიხამ წყარის“ სახელწოდებით. ხეთა დამონმებულია კახათელი სახალხო მთქმელის – ჯურუ შედანიას ლექსში, რომლითაც გადმოცემულია სოფლის ტრადიციული ყოფა:

ხეთა ირკოც ქოგიჩქუნა,	ხეთა ყველამ იცით,
დიშქა ექი ძვირი ვარე,	შეშა იქ ძვირი არაა,
სიმინდში ბოლაზი რე,	სიმინდის ბარაქაა,
მუთუნი გასაჭირი ვარე.	არაფერი გასაჭირი არაა

(სამუშია, 1979: 102).

თ. ბერაძის მსჯელობით, ხორგისწყლისა და მდ. ხობის იგივეობის შემთხვევაში ხეთის ციხესიმაგრისა და მის ირგვლივ არსებული გეოგრაფიული გარემოს ვახუშტისეული აღწერა სწორია: იგი მართლაც ურთის მთის სამხრეთ-დასავლეთი კალთისძირში, ველზე მდებარეობს.

სოფელს XVIII ს. უკანასკნელი ათწლეულის პოლიტიკური მოვლენების აღწერისას მოიხსენიებს ნიკო დადიანიც (დადიანი, 1962: 190). გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ხეთა დიდი სოფელია ოდიშში (გიულდენშტედტი, 1962: 325).

სოფელი გვხვდება XIX საუკუნის საარქივო და სხვა სახის დოკუმენტებშიც. სამეგრელოს ეპარქიის 1838 წლის აღწერის მასალებში დასახელებულია სოფ. ხეთი, სადაც ყოფილა წმ. გიორგის, წმ. თეოდორე ტირონისა და მთავარანგელოზის ეკლესიები (ჭითანავა, 2010: 60).

1864 წლის საარქივო დოკუმენტი (ფ. N489, აღწ. 6, საქმე N631) გვამცნობს, რომ ხეთის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლები ყოფილან გიორგი კიმხაძე და გიორგი კუკავა. იქვე დასახელებულია ხეთის ლარჩვას მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდლები – ვასილ ვართაგავა და იოანე კაშიბაძე (ჭითანავა, 2010: 62). 1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალების ჩვენებით სოფ. ხეთაში ამ დროისთვის 5 ეკლესია და 1 სკოლა ყოფილა (იქვე: 79).

ხობი ოდიშის დაბლობზე მდებარეობს, ზ. დ. 25 მ-ზეა და ხობს 2,5 კმ-ით არის დაშორებული (ცხადაია, III, 2007: 16). ხობი უნინ ერქვა სოფლის ნაწილს ხობისწყლის მარცხენა ნაპირას და მონასტრის შემოგარენს. დღეს ამ ტერიტორიას **მაჟია ხობი//მეორე ხობი** ჰქვია და ნოჯიხევში ერთიანდება. წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ ხობის მონასტერი საეპისკოპოსოს ცენტრი ყოფილა (ხობის მონასტერი, 2006: 32-36). თუმცა აღნიშნულის შესახებ ვახუშტი არაფერს ამბობს. ვახუშტის ცნობით ხობში „არს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი და შემკული“ (ვახუშტი, IV, 1973: 778). თ. ბერაძე აღნიშნავს, რომ „ხობის მონასტერი გუმბათიანი ეკლესია კი არაა, როგორც ამას ვახუშტი გვამცნობს, არამედ სამნავიანი ბაზილიკა“ (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 58). საქმე ისაა, რომ ხობი გვხვდება ქრისტიანთა კასტელის ნახატების ალბომში, სადაც ერთ ეკლესიას აქვს შემდეგი წარწერა:

„ხოზის განთქმული ეკლესიის სურათი“. კასტელის სურათის მიხედვით ხოზის საეპისკოპოსო ეკლესია გუმბათიანი ყოფილა.

მონასტრის მშენებლობის დაწყებაზე მკვლევართა შორის აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობაა. ზოგნი თვლიან, რომ მისი აშენების თარიღია VII ს.-ის პირველი ნახევარი. ე. თაყაიშვილის ცნობით, ხოზის მონასტრის აშენების დრო უცნობია, მაგრამ შენობის გეგმისა და სტილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მონასტერი არა უგვიანეს X-XI სს-ში უნდა იყოს აგებული. XIV საუკუნეში ტაძარი მნიშვნელოვნად გადაუკეთებიათ. სამხრეთი შტო ამოვსებულია. სამხრეთ კედელზე დაუხატავთ შერგილ დადიანი, მისი მეუღლე – ნათელი და შვილი ცოტნე, რომლებიც XIII ს-ში მოღვაწეობდნენ (ხოზის ტაძარი, 2006: 12). გვხვდება მოგვიანო ხანის (XIV-XVII სს.) ფრესკული მხატვრობაც (იქვე: 13-15).

ხოზი მოიხსენიება რუსეთის ელჩების – ელჩინისა და ზახარევის მოგზაურობის აღწერილობაში. 1640 წლის 3 მაისს ელჩები ბანდაჭყონდიდიდან გამომგზავრებულან და ხოზის („ხაზის“) მონასტერში გაჩერებულან (Белокуров, 1888: 373).

ხოზში ყოვლანმინდა ღვთისმშობლის პერანგის არსებობის შესახებ ვახუშტის ცნობა სინამდვილეს შეესაბამება, რაც დასტურდება სხვა ისტორიული ცნობებითაც. ვახუშტის აღწერით, ქანისწყლის „ჩდილოთ კერძოთ, ზღვს კიდებედ არს ხოფი... აქ ეკლესიასა შინა მსუენარებს პერანგი ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, სასწაულთმოქმედი“ (იქვე: 778).

კვართი XVII ს-ში უნახავს ანტიოქიის პატრიარქ მაკარის. საქართველოში მისი მოხვედრის შესახებ ორი ვერსიაა ცნობილი. პირველი ვერსიის მიხედვით ის ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლიდან VIII ს-ში უნდა ჩამოეტანათ; მეორე ვერსიის თანახმად კვართი საქართველოში კონსტანტინოპოლის თურქთაგან დაპყრობის (1453 წ.) შემდეგ უნდა მოხვედრილიყო (ბერაია, 2006: 25-29).

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ 1470-1474 წლებიდან ვიდრე 1553-1554 წლებამდე ხოზი ბიჭვინთის პარალელურად აფხაზეთის საკათალიკოსოს რეზიდენციას წარმოადგენდა. დროის ამ მონაკვეთში ლითხიმერეთის მწყემსთმთავრები „ხოზის კათალიკოსის“ საეკლესიო ტიტულით სწორედ ხოზში მოსაყდრეობდნენ. ამით აიხსნება 1160

ნლის გარეჯული ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში ხობის კათალიკოსის ბართლომეს მოხსენიება (კალანდია, 2006: 35).

ლამბერტი აღნიშნავს, რომ ხოფის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში „აჩვენებენ ღვთისმშობლის პერანგს, რომელსაც იქაურები დიდ პატივსა სცემენ“ (ლამბერტი, 2011: 138). თეათინელთა მისიის პრეფექტი სამეგრელოში, XVII ს-ის მისიონერი ჯუზეპე მარია ძამპი გვამცნობს, რომ მეგრელებს ბევრი რელიკვია აქვთ, „რომლებიც მათ, პირველ ყოვლისა, მიიღეს იმ დროს, როცა აქ ქრისტიანობა ყვაოდა და მათ მთავრებს კავშირი ჰქონდათ კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან, რომლებიც ბევრ რელიკვიას უგზავნიდნენ საჩუქრად. შემდეგ ეს რელიკვიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის სასულიერო პირთაგან... და ბოლოს რელიკვიები მიიღეს იმ წმიდა მამათაგან, რომელნიც თურქებისაგან კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მაჰმადიანთა ტირანიისაგან თავის დასაღწევად სამეგრელოში გადაიხვეწნენ და გაიფანტნენ მეზობელ ქვეყნებში. ამბობენ, რომ მაშინ კოლხიდაში ჩამოვიდა ერთი არქიებისკოპოსი, თან ჩამოიტანა ერთი მტკაველის ოდენა ნაჭერი ძელი ჭეშმარიტისა (ფრანგული ფუტის რვა დიუმზე რამდენადმე დიდი) და კვართი, რომელიც, მათი თქმით, ღმრთისმშობელს ეკუთვნოდა. ჩვენს პატრებს იგი უნახავთ. ტილო, რომლისგანაც იგი არის შეკერილი, ყვითელი ფერისაა, აქა-იქ დაჩითულია ყვავილებით და მოქარგულია ნემსით. სიგრძით იგი რვა რომაული მტკაველის ოდენაა, განით კი ოთხისა, აქვს ერთი მტკაველი მოკლე მკლავები და ვიწრო საყელო. მეც მინახავს იგი ხობის ეკლესიაში, სადაც ის ინახება აქვე, ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ლუსკუმაში...“ (ბარბარო, 1981: 156; შდრ. კალანდია, 2004: 193). კვართის შესახებ ცნობები გვხვდება რუსი ელჩების – ალექსი იევლევისა და ნიკოფორე ტოლოჩანოვის საანგარიშო აღწერილობაში (1650-1652 წწ.): „მე, ალექსიმ, ღმრთისმშობლის იმ კვართის შესახებ, ზაქარია მიტროპოლიტს ვკითხე – მას უნახავს თუ არა ის და ნამდვილად ღმრთისმშობლის კვართია თუ არა ის. მიტროპოლიტმა მითხრა – ის მრავალჯერ აქვს ნახული და ნიგნების მცველის მიერ მოტანილია იმ დროს, როცა წმიდა ხატების დევნა იყო (საბერძნეთში). ნამდვილად ღმრთისმშობლის კვართიაო ის და სწეულის განკურნებაც მისგან ყოფილაო“. ქრისტეფორე კასტელის ცნობითაც ხობის განთქმულ ეკლესიაში შემონახულია ჩვენი უფლისა და ღვთის დედის, ქალწულ მარიამის კვართი. ამ მხარეში ის

დიდად პატივცემულია და ხოფის მონასტერში (სარკონოზების მიერ) კონსტანტინოპოლის ალების შემდეგ ბერძნებმა მოიტანეს (ცინცაძე, 1969: 52; კალანდია, 2004: 194). აქვე ინახებოდა სხვა წმიდა ნაწილები და რელიკვიები: წმ. მარინეს მკლავი, წმ. კვირიკეს ხელი, იოანე ნათლისმცემლის ძვლისა და ძელიცხოვლის ნაწილები, წმ. გიორგის ბარძაყის ძვალი. აღნიშნული სინმინდეები ამჟამად ინახება ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში.

ხოზი//ხოფი დასახელებულია სხვა არაერთ ისტორიულ წყაროში. შამადავლა დადიანის წიგნში საკათალიკოზო სარგოს შესახებ, რაც 1470-1474 წწ.-ით თარიღდება (გადაუნერიათ XVII ს-ში), მოიხსენიება ხოფი (კაკაბაძე, I, 1921: 1, 2). ნიკოლოზ ხოფელის (წულუკიძის) 1569 წლის „შენიშვნების წიგნში“ გვხვდება **ხოზი**: „უფროსად კურთხეულსა დედოფალსა ხოზისა ღვთისმშობელსა...“; „შემოგნირეთ მცირე და კნინი შესანიშნავი ესე შენ თეთროსანსა ხოზისა ღვთისმშობელსა...“; „რომელიც ზემოს წყევლაა და შეჩვენება სწერია, ისიც მოიწვეს მას ზედან და ხოზისა ღვთისმშობელიც, ამინ“ (იქვე: 20, 21). იმავე დოკუმენტში დასახელებულია „ხოფისა ღვთისმშობელი“, ხოლო თვით ეპისკოპოსი ნიკოლოზი, რომელიც ხოფელად მოიხსენიება, წერს: „ოდეს სხვა ხოფელი იჯდა და მონასტერი იყო, ესე მოგუცეს ჩვენ წულუკიძეს ხოფელს ნიკოლოზს, ესე აოხრებული მონასტერი და მამული“ (იქვე: 20). მასვე „ერთი მოსახლე კაცი“ სქვამიკორა ფაცია თათრისაგან უყიდა, მოუნათლავს და ხოფს დაუსახლებია (იქვე).

ლევან III დადიანის (1661-1683 წწ.) 1675 წლით დათარიღებულ შენიშვნობის წიგნში აღნიშნულია, რომ ოდიშის მთავარს კათალიკოს დავით ნემსაძისთვის შეუწირავს „ხოფი ორი მოსახლითა“ (კაკაბაძე, I, 1921: 76). აქვე გვხვდება „სახოზო“ და „ხოფისა ღვთისმშობელი“ (იქვე: 77). 1700 წლის ახლო ხანებში დანერილ შენიშვნობის წიგნში მოიხსენიება ხოფის ღვთისმშობელი და მთავარეპისკოპოსი ხოფელი ეფთიმი ფალავა (იქვე: 84). 1706 წლის სიგელში გვხვდება „ხოზს სამი მოსახლე კუცი სადადიანო გაჯინედი საარიაი, მერკვირიაი გ-ი, ბაბოლქუაძე ბიბია და მისი შვილები“... (იქვე: 91). იმავე დოკუმენტის მიხედვით, „კიდევ ერთი მოსახლე კუცი ჯღერიას ნაყმევი პაპაი ხუცობავაი და მისი ძმაი შარვაშიძისგნ სადგო კუცი იყო ჩნი და იმაშიდ წამოვიყვანეთ და ხოზს დავასახლეთ“ (იქვე: 92). 1712 წლის გარიგების წიგნში აღნიშნულია, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძეს „ენ-

გურიდალმი“ ტყვეობიდან დახსნილი ყმა-გლეხები ხიბულასა და ხობს დაუსახლებია და სამ-სამი ლოლარიკი სანთლით დაუბეგრავს (იქვე: 105). XVIII ს. დასაწყისში შედგენილ ხობის გლეხთა სანთლის ბეგრის ნუსხაში მოიხსენიება „ხობის შესავალი და შეწირული სანთელი“ და „ხობს ბაბაკორი ბიგვავა“ (იქვე: 115, 116). გრიგოლ კათალიკოსის 1733 წლის გუჯარში გვხვდება ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის შეწირული „სახოფოთ ბიას კორიგაძე სიჭინავა“, „თვითონ ხოფს საცხომარიოს გ~ი პაინჭკურია და მისი ძმისწული მახარობელა“, „სახოფო მათის წყლით, ტყით ადგილით და ყოვლისფერით“ და „ხოფისა ღვთისმშობელი“ (იქვე: 143-144). 1696-1742 წლებით თარიღდება დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილია: „ხობს ხუტუ კოდუა და გელი მათის ცოლშვილითა... იქ კიდევ ხობსა მამაგული ბაბადიში და ბიძა მისი... ქ კიდევ [გეგვი]ბერია ჭუჭუ, ახალიკორი...“ (კაკაბაძე, I, 1921: 156).

ხობი უნინ ერქვა სოფლის ნაწილს ხობისწყლის მარცხენა ნაპირას და მონასტრის შემოგარენს. დღეს ამ ტერიტორიას მაჟია ხობი// მეორე ხობი ჰქვია და ნოჯიხევში ერთიანდება. 1930 წლის ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის თანახმად ნოჯიხევის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფ. ბია-ხობი, 379 კომლით, მაგრამ, ამასთანავე, არსებობდა ხობის სასოფლო საბჭო (ცენტრით სოფ. ხობში), სადაც 460 კომლი მოსახლეობდა (ცხადაია, III, 2007: 10-11). 1961 წელს მას ქალაქის სტატუსი მიენიჭა.

IV.6. ცაიში და ზუგდიდი

ცაიში. ოდიშის ორი მნიშვნელოვანი და უძველესი დასახლებული პუნქტის – ცაიშისა და ზუგდიდის მდებარეობას ვახუშტი ასე გადმოგვცემს: „ამ წყალზედ (ჭანისწყალზე – ი. კ.), ჩდილოს კიდესა ზედა და ხოფს ზეით, არს ეკლესია ჩაისს, დიდი, გუნბათიანი, კეთილშენი და შემკული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ წყლის სამჯრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონ(ა)-ზღვადმდე. ამავე მდინარის ჩდილოთ კერძოთ დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი“ (ვახუშტი, IV, 1973: 778).

ქართულ წერილობით წყაროებში მოიხსენიება სოფელი **ცაიშის** და **ჩაისის** ფორმით. თ. ბერაძის მსჯელობით, ადგილის თავდაპირველი სახელწოდება „ცაიში“ მეგრულში უნდა შეცვლილიყო როგორც **ჩაისი**. ამ უკანასკნელს კი ხალხურ მეტყველებაში გავრცელებულ ფორმად მიიჩნევს (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 59). მაგრამ საქმე ისაა, რომ ხალხურ მეტყველებასა და სიტყვიერებაში სოფლის სახელწოდება „ჩაისის“ ფორმით არ დასტურდება. ოიკონიმის ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **ცე(ი)ში**. კახათის თემში შემავალ სოფელს **ცაიშურკახათი//ცეიშურკახათი** ერქვა (სოფ. ოქტომბრის უნიონდელი სახელწოდება). პ. ცხადაიას ჭითანყარის თემში, ცაიშის საზღვართან მდებარე ვაკე-მალლობის სახელწოდებად ჩანერილი აქვს ტოპონიმი **ცაიშე(ნ)წერი//ცეიშ(იშ)ენწერი** (ცხადაია, II, 2007: 372). ამ ვარიანტის გავრცელებულობაზე მეტყველებს აგრეთვე იმავე მკვლევრის მიერ ყულიშკარელი როგავეებისაგან ჩანერილი ფრაზა-დაქადნება: ინოლიე ცეიშიშა დო ეკმათხოზია უკული „ჩავალ ცეიში და მეძიე მერე“ (იქვე: 329).

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში დამონმებულია ვარიანტი „ცეში“:

„თეურეშე მოლურქუნი, იქიდან რომ წამოხვალ,
 ჯვეში სოფელი რე ცეში, ძველი სოფელია ცეში (ცაიში),
 მონაწი ვეცუაფუ მოსავალი არ მოდის,
 ახალც ვამოჭიმ ჯვეში... ახალ მოსავლამდე ვერ აღწევს
 ძველი...“ (იხ. სამუშაო 1979: 102).

სოფელი „ცაიშის“ ფორმით მოიხსენიება შუა საუკუნეების ისტორიულ წყაროებსა და XIX საუკუნის საარქივო დოკუმენტებშიც. 1271-1289 წლებს შორის შედგენილ ე. წ. „საპატიჟოს დანერილში“ მოიხსენიება ცაიშის ღვთისმშობელი და ცაიშელი ეპისკოპოსი.

ვახუშტის ცნობა ცაიშის („ამ წყალზედ, ჩდილოს კიდეა ზედა“) ადგილმდებარეობის შესახებ არასწორია. ცაიში, მართალია, „ხოფის“ ჩრდილოეთით მდებარეობს, მაგრამ არა ჭანისწყლის ხეობაში, არამედ ჭანისწყალ-ენგურის შუამდინარეთში, უფრო ზუსტად – ჩხოუშის მარცხენა შენაკადის – ჯუმის ორივე ნაპირზე (ჩხოუშია თავის მხრივ ენგურის მარცხენა შენაკადია). ზუგდიდს დაშორებულია 10 კმ-ით, მის სამხრეთ-დასავლეთით, და ზ. დ. 50 მ-ზე მდებარეობს. სოფელში მდგარი ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლი – სატაძრო კომპლექსი აერთიანებს სამსართულიან ცოკოლზე მდგარ ღვთისმშობლის გუმბათოვან ტაძარს, ორსართულიან სამრეკლოსა და ეპისკოპოსთათვის განკუთვნილ რეზიდენცია-პალატს. ცაიში წარმოადგენდა საეპისკოპოსო კათედრალს, რასაც მოწმობს VII ს-ის დამდეგით დათარიღებულ ბერძნულენოვან წყაროში, კერძოდ, გიორგი კვიპროსელის მიერ 602-610 წლებს შორის შედგენილ საეპისკოპოსო კათედრათა ნუსხაში, სოფლის სახელწოდების მოხსენიება **საისის** ფორმით. ასევე IX ს-ის დამდეგს ბიზანტიელი მემატიანის – ბასილი სოფენელის მიერ შედგენილი თხზულება ლაზიკის ეპარქიის ეპისკოპოსთა შორის იხსენიებს აბისსენთა ეპისკოპოსს (იხ. გეორგიკა, IV, 1952: 142). საეპისკოპოსოს სახელწოდების ბერძნულენოვან ფორმას – **საისი**, განაპირობებს ქართული **ც** და **შ** ბგერების ბერძნულში **ს** გრაფემით (სიგმათი) გადმოცემა (იხ. ტულუში 2001: 16; ზაქარაია, „მახარია“, N2, 2003: 7; ცხადაია, II, 2007: 324).

ცაიშის გუმბათიანი ტაძარი მართლაც „კეთილშენია“ და „შემკუელი“. მისი აშენების თარიღზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ცაიშის ტაძრის ვრცელი მეცნიერული აღწერილობა მოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომში. მისი აღწერით, საშუალო ზომისა და

თლილი ქვით აგებული ტაძრის კედლებსა და გუმბათს ეტყობა მრავალჯერ გადაკეთება, რის გამოც ჩუქურთმიანი ქვები ერთმანეთშია არეული. ეს საკვირველიც არაა, ვინაიდან ცნობილია, რომ მიწისძვრით რამდენჯერმე დანგრეული ეკლესია კვლავ აღუდგენიათ, მაგრამ აღმოსავლეთი მხარის ქვემო ნაწილს, განსაკუთრებით საკურთხეველს, უძველესი დროიდან შეურყეველად მოუღწევია და არ გადაუკეთებიათ. ეკლესიის კედლების უძველესი ნაშთები, საკურთხეველი, თალები და ფანჯრების ჩუქურთმები დიდ მეცნიერს აფიქრებინებდა, რომ თავდაპირველი ეკლესია ამ ადგილას არა უგვიანეს XI–XII სს-ში უნდა აშენებულიყო (თაყაიშვილი, 1913-1914: 163-164).

პარმენ ზაქარაიას მოსაზრებით, ახლანდელ ტაძარში ჩართული ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკის ნაშთი ადასტურებს, რომ ცაიშის საეპისკოპოსო ითვლებოდა ეგრის-ლაზეთის პირველ საეპისკოპოსოთა რიგში და, იგი, ცხადია, VII ს-ზე ადრე დაარსებულად უნდა მივიჩნიოთ. მრავალჯერ გადაკეთებულ ტაძარს, აღნიშნავს პ. ზაქარაია, ჩვენამდე მეტად სახეცვლილად მოუღწევია, თავდაპირველი ბაზილიკა კი აღმდგენელ ოსტატს XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის გუმბათოვან ტაძარში ჩაურთავს (ზაქარაია, №2, 2003: 7-9). თამარ ხუნდაძემ ცაიშის სამრეკლოს ფილაზე გამოსახული არქიტექტურული დეტალებისა და ეკლესიის გამოსახულების ფორმის გაანალიზებით ძეგლი X ს. II ნახევრითა და XI ს. დასაწყისით დაათარიდა. მკვლევრის შეხედულებით აღნიშნული დეტალი ჩართული უნდა ყოფილიყო შვერილაფსიდიანი ეკლესიის ფასადზე. ეს ეკლესია იდგა ახლანდელი ღვთისმშობლის ტაძრის ადგილას და მისი ნაშთები ამჟამად მთავარი ტაძრის აღმოსავლეთ მხარეშია მოქცეული (ხუნდაძე, №4, 1988: 24, 29).

ცაიში ვახუშტის დროს და მანამდეც საეპისკოპოსოს ცენტრს წარმოადგენდა. წერილობით წყაროებში, კერძოდ, ცაიშის ვერცხლის დიდი საწინამძღვრო ჯვრის წარწერაში მოხსენიებული პირველი ცაიშელია ეფრემი, რომელიც, ე. თაყაიშვილის აზრით, ბაგრატ III-ის (978-1014 წწ.) ან ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) მეფობის ჟამს მოღვაწეობდა. საწინამძღვრო ჯვარზე შესრულებული ხუცური წარწერა გვამცნობს: „წმინდაო ძელო ცხოვრებისაო, შეინყალე ეფრემ ცაიშელი“ (იხ. თაყაიშვილი, II, 1919: 178). თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, VII და IX საუკუნეების ბერძნულენოვან წყაროებში ფასიდის სამიტროპოლიტოს დაქვემდებარებულ საეპისკოპოსოებს შორის საისის საეპისკოპოსოსა

და აბისსენტა, იგივე საისინის ეპისკოპოსის მოხსენიება ადასტურებს აქ საეკლესიო კათედრის არაუგვიანეს VII ს-იდან არსებობას (კეკელია, „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, N22, 2014: 39).

ა. ლამბერტის ცნობით, ოდიშის ექვს საეპისკოპოსოს შორის ერთ-ერთი – ცაიშად იწოდება იმ მთის გამო, „რომელზედაც იგი მდებარეობს და რომლის კალთებზე მდინარე ჩამოურბის“ (ლამბერტი, 2011: 137-138).

ზუგდიდი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა ზუგდიდის „დიდ ველსა ზედა“ მდებარეობის შესახებ სინამდვილეს შეეფერება. ზუგდიდი გაშენებულია ჩხოუშის ორივე მხარეს, ოდიშის დაბლობზე, და ცაიშს 10 კმ-ით არის დაშორებული. დადიანთა „დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი“ სასახლის შესახებ ცნობებს გვანდის აგრეთვე სახელოვანი მეცნიერის წინამორბედი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც ოდიშში XVII ს-ის 30-40-იან წლებში ცხოვრობდა: „მთავარს ორმოცდაათზე მეტი სასახლე აქვს, – წერს ლამბერტი, – რომელთა შორის უმშვენიერესია ზუგდიდის სასახლე. იგი აგებულია საუცხოვო ქვისაგან და შესანიშნავია, როგორც სიდიდე-სივრცით, ისე ფანჯრების, აივნების და ირანული მხატვრობის სიმშვენიერით“ (ლამბერტი, 2011: 55). მისიონერ კრისტოფორო კასტელის ჩანახატის მიხედვით, რომელიც 1634 წლიდან მოღვაწეობდა სამეგრელოში, გვეძლევა შესაძლებლობა, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ზუგდიდის დადიანისეული სასახლის გარეგნულ იერსახეზე. ამ ჩანახატს დართული აქვს შემდეგი წარწერა: „მთავრის სასახლე სოფელ ზუგდიდში. სამეგრელოს მთავრის სახლი. ეს ნაგებობა ანუ სასახლე სამეგრელოს მეფის სოფელშია“ (კასტელი, 1976: 172, სურ. 445). ირკვევა, რომ ზუგდიდი სარეზიდენციო პუნქტად გადაქცეულა XVII საუკუნეში, კერძოდ, ლევან II დადიანის მთავრობის პერიოდში. ამის შესახებ გვაუწყებს ლამბერტის თანამედროვე ჯუდიჩე მილანელი, თავის რელაციაში: „სამეგრელოს ქალაქი არ გააჩნია. აქაა მხოლოდ ერთი სასახლე, რომელიც დღევანდელი მთავრის ლევან დადიანის მიერაა აშენებული“ (მილანელი, 1964: 84-85). ჯუდიჩე აქ სწორედ ზუგდიდის სასახლეს გულისხმობს.

დადიანის რეზიდენციაზე ცნობები დაცულია მოგვიანო ხანის (XIX ს.) წყაროებშიც. ფრანგი მოგზაურისა და ვაჭრის – ჟაკ ფრანსუა

გამბას მოგზაურობის ჩანაწერებში (XIX ს. 20-იანი წლები) ვკითხულობთ: „მთავარი დადიანი ზუგდიდში იმ სასახლეში ცხოვრობს, სადაც შარდენია ნამყოფი“ (გამბა, 1987: 114). ცნობილ გერმანელ მეცნიერ-მოგზაურს მორიც ვაგნერს მოუნახულებია დადიანის რეზიდენცია ზუგდიდში. იგი გვაუწყებს, რომ ზუგდიდი „ესაა ქვეყნის ძველი დედაქალაქი ჩეხნიას (Tschechnia?) ნაპირას მდებარე, რომელიც ჯუნისთან შეერთების შემდეგ ენგურში ჩაედინება. ზუგდიდი ძველთაგანვე იყო სამეგრელოს მფლობელთა მთავარი რეზიდენცია“ (იქვე: 140-141, 142-143). „ჩეხნია“ ჩხოუშიას დამახინჯებული ფორმაა, ხოლო „ჯუნი“ იგივე მდ. ჯუშია (კეკელია, „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, N22, 2014: 43).

გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია დაინტერესებული იყო უძველესი, ლევან დადიანისდროინდელი ზუგდიდის ადგილმდებარეობის გარკვევით და ვარაუდობდა, რომ იგი უეჭველად იქ უნდა მდგარიყო, სადაც ახლა აღმართულია „რაისის პლანით განახლებული“ ეკატერინე დედოფლის სასახლე (მეუნარგია, 1939: 54). მისივე ცნობით, მთავრის სასახლის მარჯვნივ, ფერდობის გაყოლებაზე იყო გრიგოლ დადიანისა და კაცია ჩიჩუას სასახლეები, უზენაესი სასამართლო, სასტუმრო სახლი, სამდივანბეგო, მთავრის სალარო და მალალი, სამსართულიანი ციხე, შეიარაღებული ზარბაზნებითა და ჯაზიერებით (იქვე: 58).

ზუგდიდის შესახებ ცნობების მართებულობის მიუხედავად ვახუშტი არაფერს ამბობს მაცხოვრის სახელობის გუმბათიან ტაძარზე, რომელიც მანცხვარკარის უბანში დგას. ექვთიმე თაყაიშვილი ტაძარს თავისი სტილით, ჩუქურთმებითა და მომრგვალებული საკურთხევლით XIII-XIV სს-ით ათარიღებდა (თაყაიშვილი, 1913-1914: 193). დ. ბაქრაძე და თ. ბერაძე აღნიშნულ ტაძარს XV ს-ში აგებულად მიიჩნევდნენ (Бакрадзе, I, 1875: 73; ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 59).

თვით ზუგდიდი გვიანი შუა საუკუნეების არაერთ ისტორიულ წყაროში გვხვდება. პირველი ქართული წერილობითი დოკუმენტი, სადაც ეს პუნქტი მოიხსენიება, არის 1621 წელს შედგენილი „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“, სადაც ვკითხულობთ: „არის ზუგდიდს ივანაია, მართებს...“ (ქსდ, III, 1970: 419). ზუგდიდი აღნიშნულია 1654 წელს შედგენილ ლათინურენოვან რუკაზე, კრისტოფორო კასტელის რუკასა და ჩანახატებზე და ტი-

მოთე გაბაშვილის მიერ 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე („ზუბდიდი“). სახელწოდება ორჯერ გვხვდება იმერეთის მეფის – სოლომონ I-ის 1778-1779 წლების დოკუმენტებში. **ზუბდიდის** ფორმით მოიხსენიება რუხის ბრძოლაში ნადავლი ზარბაზნის ლულაზე შესრულებულ წარწერაზე (1780 წ.). XVI ს. ოდიშის ამბების აღწერილობას ზუგდიდს ახსენებს ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი „მეცნიერ კაცთა“ კომისია, რომელმაც ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით XIV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორია შეადგინა. მემატინის თქმით, ქართლის მეფე სიმონთან ოფშკვითში გამართული ბრძოლის დროს ოდიშის მთავარ დადიანს დარჩა ზარბაზანი და „არს ზუგდიდს, და უდიდეს ზარბაზანი ერთი არს რუხს დღესაცა“ („ქ. ცხ.“, II, 1959: 361). ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი 1611 და 1636 წლების ამბების დახასიათებისას ორჯერ მოიხსენიებს ზუგდიდს ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში, რაც 1651 წელსაა შესრულებული (პაჭკორია, 1974: 50).

ტოპონიმ „ზუგდიდის“ პარალელურად, XVIII საუკუნიდან, ნერილობით წყაროებში მკვიდრდება „ზუბდიდი“ ფორმა, რაც XIX ს-ის I ნახევრის შემდეგ აღარ იხსენიება (პაჭკორია, 1974: 49, 51). გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი ოდიშის სოფლების ჩამონათვალში ასახელებს ზუბდიდს (გიულდენშტედტი, 1962: 324). უფრო ადრე, რუსი ელჩები – თედორე ელჩინი და პავლე ზახარევი ოდიშში მოგზაურობის აღწერილობაში (1639-1640 წწ.) მონასტრის სახელწოდებად მიუთითებენ „ზუბდიდსა“ და „ზუკდიტს“: „Мая въ18 де нас Левонтей Чарь Шуаскова (Хомского-) монастыря взял в зубдиди к себе-334 ст (Посольство, 1888: 334).

ტოპონიმის ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **ზუგიდი**, რაც მიღებულია ორი ერთნაირი ბგერიდან (დ-დ) ერთ-ერთის დაკარგვის გზით (ცხადაია, II, 2007: 14). აღნიშნული ფორმა დასტურდება მეგრული ხალხური სიტყვიერების მასალებშიც. მაგალითად, „მისით შარა მერჩამუნი **ზუგიდიშე** ბუაიოლც“; „ასე მიღუ მა თე აზრი **ზუგიდიშა** მოკო ულა“; „არდა ნინა არჩქილენა – „მაღადეცი“ ხობარეფი! **ზუგიდური**, ანარკული, ართიანიშ მოხვარეფი!“ „ვო, დადია, დადია! **ზუგიც** დნაბადია...“; „**ზუგიდი** დო ხობიშქას ცეიში რე სოფელი“; „შხვა რაიონეფიშ(ი) უმოსო **ზუგიდ(ი)** მონდომებული რე“; „**ზუგიდ?**

გეჭვილს? ობჭოფეს, ხეთურ ჯიხას იმნტია...“ (სამუშია, 1971: 18, 74, 83, 100, 120; მისივე, 1990: 115; ცანავა, 1990: 248).

„ზუგდიდის“ ეტიმოლოგიით სხვადასხვა დროს არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა (დიუბუა დე მონპერე, ნიკო მარი, კარლ ჰანი, მარი ბროსე, პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, რ. ერისთავი, ლ. ცხაკაია, ც. ქირია, მ. პაჭკორია, შ. მესხია, ა. ტულუში, პ. ცხადაია, გ. ბედოშვილი, ქ. ლომთათიძე, ზ. ჭუმბურიძე, შ. გოგატიშვილი...). უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სახელწოდება წარმოქმნილია **ზურგ-** სიტყვისაგან, ხოლო **დიდი** საზღვრული ზედსართავია (შდრ. ზენდიდი, ჭყონდიდი, ლალდიდი, სკურდიდი.) ტოპონიმის წარმოშობის ისტორიას პირველად შეეხო ფრანგი მოგზაური და მეცნიერი დიუბუა დე მონპერე. მან ტოპონიმის ამოსავალ სიტყვად **ზუბი** მიიჩნია. ამასთანავე, თავისი მოსაზრების გასამყარებლად ძველ დოკუმენტებში სახელწოდების ზუბდიდის სახით მოხსენიება დაასახელა და იქვე დასძინა, რომ ადგილობრივი მოსახლეობაც მას ზუფუს (←ზუბუს) უწოდებდაო. „...ნამდვილად უცნაურ სახელს ზუფუს (Zouphou)... უეჭველად კავშირი აქვს ზუბდიდთან და ზუგდიდთან (Zoubdidi et Zougdidi), დიდი ზუბუ, ზუბი (begrande zoubou,Zoup), სამეგრელოს დადიანების რეზიდენციასთან“ (Dubois, 1839: 248). ეს მოსაზრება მოგვიანებით გაიზიარა და დამატებითი მასალით განავრცო პროფ. შოთა მესხიამ (მესხია, III, 1986: 263-270).

ნიკო მარი ტოპონიმ „ზუგდიდში“ **სკუთ//სკვით** ეთნონიმისაგან მომდინარე სატომო სახელის – სგუს სახესხვაობას – სუგ-ს ვარაუდობდა, საიდანაც უნდა მიგველო სუგ-და, სუგუ-და ფორმები. დაეღემენტს მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელად მიიჩნევდა. ფუძეში ს- თანხმოვნის ზ- თანხმოვნად გამჟღერებისა და მეგრული ენისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი დისიმილაციის (უ-უ-ს გადასვლა უ-ი-ში) შედეგად **სუგუდა** ფორმიდან საბოლოოდ უნდა მიგველო ზუგიდ(ა)ი → ზუგიდი//ზუგდიდი (Mapp, V, 1935: 31, შენიშვნა 2).

მკვლევართა შორის პირველმა მარი ბროსემ ქალაქის პირვანდელი მდგომარეობისა და იმის გათვალისწინებით, რომ „მანცხვარკარის“ ტერიტორია მართლაც დიდი ბორცვის შთაბეჭდილებას ტოვებს, ტოპონიმ „ზუგდიდის“ პირველი ნაწილის „ზუგ“-ის ამოსავალ ფორმად „დაზვინული მინის“, „დიდი ბორცვის“ აღმნიშვნელი „ზურგი“ მიიჩნია. ამასთანავე, ორი განათლებული ბატონიშვილის – გრიგოლ

და კონსტანტინე დადიანების დამონმებით, სახელოვანი მეცნიერი უდავოდ მიიჩნევდა ბორცვის აღმნიშვნელი სიტყვა „ზუგის“ ზურგისაგან წარმომავლობას (Brosset, 1849, I: 20; შდრ. მესხია, III, 1986: 264). ბროსეს აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა პლატონ იოსელიანმაც. მისი მსჯელობითაც სახელწოდება ზუგდიდი წმინდა ქართულია. ის შედგება სიტყვებისაგან „ზურგი“ და „დიდი“, რაც ნიშნავს დიდ მაღლობს, ანდა აბსოლუტურად მაღალ ზურგს. ასეთივეა ფაქტობრივად ადგილმდებარეობა „ზუგდიდი“. ზუგდიდის ადგილმდებარეობა არის ყველაზე მაღალი და აღმოსავლეთით მისი ერთი უძველესი კვარტალი ეკვრის მაცხოვრის კარს... როგორც კედელს, რომელიც სწრაფად მაღლდება ქალაქის ერთი ნაწილიდან (სსმ ხელნაწერთა ფონდი, №3070, 311; ციტირება ლ. ცხაკაიას ნაშრომიდან: იხ. ცხაკაია, „მეზობელი“, №117, 1958: 4).

„ზუგდიდის“ „ზურგ-დიდისაგან“ წარმომავლობის თვალსაზრისი გაიზიარა დიმიტრი ბაქრაძემაც და აღნიშნა, რომ სიტყვა ზურგდიდის ანუ ზუგდიდის წარმოქმნის მიზეზია ახალი ზუგდიდის მახლობლად, ვაკე ადგილას აღმართული დიდი გორა. ბროსეს აზრით, „ზუგდიდი“ (ზურგ-დიდი) იგივეა, რაც „დიდი ფერდობი, ანუ სხვაგვარად „დიდი გორა“ (Бакрадзе, 1875: 56).

კ. ჰანის ვარაუდით ზუგ არაბულად იგივე „ბაზარია“. აქედან გამომდინარე, ზუგდიდი უნდა გავიაზროთ, როგორც „დიდი ბაზარიო“ (СМОМПК, 40, 1909: 63). მკვლევარი იძლევა განსხვავებულ ვარაუდსაც. კერძოდ, ზუგდიდი იგივეა, რაც ზურგ-დიდი (большая спина, большой хребет) და მნიშვნელობით მეორე ცნობილ ტოპონიმს – ოზურგეთს უკავშირებს (იქვე: 63).

ქ. ლომთათიძის მოსაზრებით, ზუბდიდ-ზუგდიდის ფორმების ამოსავალი **ზუგვ-დიდი** ტოპონიმის ტრადიციულ გაგებას – „ბორცვ-დიდს“, „ზუგვ-დიდს“ მიესადაგება (ლომთათიძე, 1984: 9, შენიშვნა 12). ეს მოსაზრება მოგვიანებით გაიზიარა გურამ ბედოშვილმაც და აღნიშნა, რომ ტოპონიმის ამოსავალია ქართველური **ზუგ-//ზუგვ-**სიტყვა, რაც „ბორცვს“, „გორაკს“, „შემადლებულ ადგილს“ ნიშნავს. „როგორც ვხედავთ, – დაასკვნის მკვლევარი, – საკმაო საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ზუგ-დიდი გავიაზროთ როგორც „ბორცვ-დიდი“, „ადგილი, სადაც სხვა ბორცვთაგან განსხვავებული მაღალი ზუგი (ბორცვი იღვა)“ (ან დგას)“ (ბედოშვილი, I, 2001: 164).

მკვლევარი მ. პაჭკორია მიმოხილვითი ხასიათის სტატიაში აღნიშნავდა, რომ დღემდე ცნობილი წერილობითი წყაროებით დადასტურებულად ვერ ჩაითვლება „ზუბდიდი“ ფორმის „ზუგდიდზე“ უწინდელობა. ისტორიული წყაროებით მტკიცდება, რომ „ზუბდიდი“ უნდა იყოს „ზუგდიდის“ მერმინდელი გადასხვაფერება. მ. პაჭკორიას მოსაზრებით, ასევე არადამაჯერებელია მისი დაკავშირება „ზურგ-დიდთან“ და ამ შემთხვევაში მას უფრო ბუნებრივი „სუკ-დიდის“ ვარიანტი მიაჩნია. „სუკი“, ისევე როგორც „ზუგ“, მეგრულ-სვანურში ამაღლებულ ადგილს აღნიშნავს. ამ მოსაზრების ავტორია ზუგდიდის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ლენა ცხაკაია, რომელიც აღნიშნავს: „არ არის საფუძველს მოკლებული ვიფიქროთ, რომ რაკი მაცხოვრის კარის ეკლესია მისი დამხმარე ნაგებობებით ზეგანზე ან მეგრულად „სუკზე“ გაუშენებიათ და ასეთი „სუკები“ სამეგრელოში ბევრია, სხვებისაგან განსხვავებულად ამ წმინდა ადგილისათვის ეწოდებინათ „დიდი სუკი“, „სუკი დიდი“ და აქედან კი დროთა ვითარებაში „ს“ ბგერის „ზ“-თი შეცვლით მიგველო „ზუგდიდი“, „ზუგდიდი“. მით უფრო **სუკდიდი** ეტიმოლოგიურად დიდად არ განსხვავდება **ზუგდიდისაგან**“ (ცხაკაია, „მებრძოლი“, N117, 1958: 4).

მ. პაჭკორიამ ანგარიშგასანევად მიიჩნია აგრეთვე სხვა მოსაზრებაც: ტოპონიმის დაკავშირება სიმაგრის აღმნიშვნელ სიტყვასთან – „ზუგი“, აგრეთვე „ზუგია-დიდის“ ვარიანტი. მისი აზრით, წყაროები არ ადასტურებს ზუგდიდის მიდამოებში დიდი სიმაგრის არსებობას, მაგრამ შესაძლებელია სახელწოდება დაუკავშირდეს აქ მაცხოვრის ეკლესიის დაარსების ისტორიას. სულხან-საბა „ზუგიას“ განმარტავს როგორც „საკმეველს“. საფიქრებელია, დაასკვნის ლ. ცხაკაიას მოსაზრების გათვალისწინებით მკვლევარი, ამ ადგილზე ეკლესიის აგებამდე მონყობილი ყოფილიყო მახლობელ სამლოცველოებს შორის სიდიდით გამორჩეული სამლოცველო, ე. ი. **ზუგია დიდი** (პაჭკორია, 1974: 51-52; შდრ. ცხაკაია, „მებრძოლი“, №117, 1958: 4).

ტოპონიმ „ზუგდიდის“ შესახებ გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვას ისახავს მიზნად აბ. ტულუშის წერილი, სადაც წარმოდგენილია დამატებითი მასალა იმ თვალსაზრისის გასამყარებლად, რომ „ზუგდიდის“ ამოსავალია „ბორცვის“ აღმნიშვნელი **ზუგ-//ზურგ-**სიტყვა (ტულუში, I, 1987: 158-164).

ზუგა, ზუგუ, ზურგა მეგრულში აღნიშნავს „ბორცვს, გორაკს, ქედს, მინაზვინულს, შემალლებულ ადგილს“. ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონის“ მიხედვით **ზურგალე, ზურგულე** იგივეა, რაც „ბორცვაკი“; ამასთანავე, ზურგას ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ციხე-სიმაგრე შემალლებაზე“. იმავე ლექსიკონში მოცემულია შემდეგი განმარტებები: **„ზუბი** ბორცვი, გორაკი; მთის უღრანი ტყე“; **„ზუგი** საკმეველი“ და **„ზუგია** სასაკმეველ“ (ქობალია, 2010: 311).

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ტოპონიმ „ზუგდიდის“ ამოსავალი უნდა იყოს ბორცვის, შემალლებული ადგილის, მინაზვინულის აღმნიშვნელი სიტყვა **ზუგა**, რაც ხშირად ფიგურირებს სამეგრელოს ტოპონიმოლოგიაში. **ზუგდიდი** „დიდი ბორცვი“ იმ სერის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რაც ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და დღეს „მანცხვარკარად“ იწოდება, მასზე აგებული მაცხოვრის ეკლესიის გამო. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „ძველი ზუგდიდი მომალლო ადგილზე, გორაკზედ იყო გაშენებული, ახალი კი დაბლობზეა“ (თაყაიშვილი, 1913-1914: 193).

მიკროტოპონიმოლოგიაში დასტურდება ორივე ფორმა – „ზუგდიდი“, „ზუგდი“: **ზუგდიდიშარა** – გზა ინგირიდან ზუგდიდისაკენ; **ზუგი-დურკახათი** // დიდკახათი – სოფ. კახათის უწინდელი სახელწოდება; **ზუგდიდი** // **ზუგდი** – ბორცვი ინჩხურში (მარტვილის მუნიციპ.) (კეკელია, „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, N22, 2014: 46-47).

IV.7. ჭანისწყლის ხეობა

ჰიდრონიმი „ჭანისწყალი“. ხეთის აღწერის შემდეგ ვახუშტი აღნიშნავს, რომ მის ჩრდილოეთით „დის ჭანის წყალი, წოდებული ჭელენჯიხის გამო. გამოსდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, და მიერთვის ზღუას ხოფს. ამ მდინარის ჩდილოთ კერძოთ, ზღვს კიდეზედ არს ხოფი. აქა არს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი და შემკული. აქ ეკლესიასა შინა მსუენარებს პერანგი ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, სასწაულთმოქმედი. ამ წყალზედ, ჩდილოს კიდესა ზედა და ხოფს ზეით, არს ეკლესია ჩაისს, დიდი, გუმბათიანი, კეთილშენი, და შემკული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ წყლის სამჭრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონა-ზღუამდე. ამავე მდინარის ჩდილოთ კერძოდ დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი. ამ ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჭელენჯიხი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიდან ზღუამდე“ (ვახუშტი, IV, 1973: 778).

როგორც ვხედავთ, მეცნიერი მდინარის სახელწოდების ორ ვარიანტს იყენებს: **ჭანისწყალი** და **ჭანის მდინარე**. ჭანისწყლის სიგრძე 63 კმ-ია, აუზის ფართობი – 315 კმ². სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, კერნახონას//კირნახონას მთა-საძოვარზე, ზ. დ. 1960 მ სიმაღლეზე. მდინარე გაედინება წალენჯიხის, ჩხორონწყუს, ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე და მარჯვნიდან შეერთვის ხობისწყალს. ვახუშტიმ ჭანისწყლის სათავეც კარგად იცის და დინების მიმართულებაც („დის აღმოსავლეთიდან დასავლეთად“); ოღონდ მისი შესართავის ადგილი ეშლება და აღნიშნავს, რომ მდინარე თითქოს შავ ზღვას შეერთვის.

მდინარის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **ნენწყარი//ჭენწყარი**, რაც დასტურდება ტოპონიმური და ფოლკლორული მასალებით. ასე, მაგალითად, ჭანისწყლის ჭალაში ჩამავალ გზა-დაღმართს სოფ. სარაქონში **ნენწყარიმ ალაულარი** „ნენწყარის ჩასასვლელი“ ეწოდება; **ნენწყარიმ ჩქონი//ნენწყარიმ ჭალე** ჭალა-კუნძული და სახნავია იმავე სოფელში, ჭანისწყალთან ჩელალის შესართავს ზემოთ, მდინარის მარცხენა ნაპირზე (ცხადაია, IV, 2008: 424).

ვახუშტი მიიჩნევს, რომ ჭანისწყალს სახელი მიუღია დასახლებული პუნქტისაგან. ესაა **ნალენჯიხა**, რასაც მეცნიერი „ჭელენჯიხის“ ფორმით მოიხსენიებს („ჭანის წყალი, წოდებული ჭელენჯიხის გამო“). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ნაშრომის ერთ-ერთი ხელნაწერის აშიაზე გაკეთებულია მინაწერი „ჭანის წყალი“ (ვახუშტი, IV, 1973: 778). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს გადააზრების შედეგი უნდა იყოს (ცხადაია, I, 2004: 206).

ჭანისწყალს მოიხსენიებს ვახუშტის წინამორბედი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. მისი თქმით, მდინარეს, რაც ხოფის შემდეგ მიედინება, ადგილობრივნი ჭანისწყალს უწოდებენ, ხოლო რუკებზე იწერება *ciano*. ეს მდინარე ხოფის შენაკადია... მდინარეს ეს სახელი იმიტომ ეწოდება, რომ მასთან მოდის სავაჭროდ პატარა ნავებით მეზობელი ხალხი, რომელსაც ჭანი ჰქვიაო (ლამბერტი, 2011: 200).

ენგურის სანაპიროზე მცხოვრებნი, – წერდა კ. სამუშია, – ჭანისწყალს მოიხსენიებენ **ნენდიხასა** და **ნენწყარის** ფორმით, ხოლო ჭანისწყლის პირას მცხოვრებნი – **ჭენწყარისა** და **ნენდიხას** (ზოგან **ჭანდიხა**) ფორმით (სამუშია, 1990: 142). ეს მსჯელობა დაზუსტებას საჭიროებს: ჭანისწყლის სახელწოდების ადგილობრივი ვარიანტია **ნენწყარი** და **ჭენ(ი)წყარი**. წ-სა და ჭ-ს მონაცვლეობა, ე. წ. რეგრესული ასიმილაციით, უცხო არ არის მეგრულისათვის (მაგალითად, ნაჩხურა//ჭაჩხვია, ცინწყარი//ინჭა ← ინჭ(ყ)ა(რი)). ხალხურ ლექსში ვკითხულობთ: „შქამქას ყორშეფი ამაყუნცუ, თისგ სქვამი **ჭენიწყარი** ლენტიშორო მოკოყუნცუ; შიგ კოშკები ჩართულია, მას ლამაზი „ჭენიწყარი“ ლენტივით გაჰყოლია“ (იქვე: 142). შდრ. მთა-საძოვარს სქურის სატყეო უბანში, ჭანისწყლის სათავესთან, **ნენწყარიმდული** ჰქვია (ცხადაია, I, 2004: 201). ნალენჯიხის ადგილობრივ ვარიანტებად

კი გავრცელებულია **ნეენჯიხა, წენდიხა და წენჯიხა** (იქვე: 200, 201; მსჯელობისათვის იხ. ძაძამია, N7-8, 2004: 17).

წალენჯიხა მდებარეობს ჭანისწყლის ხეობაში, მდინარის ორივე ნაპირზე, ზ. დ. 222 მ სიმაღლეზე. თბილისს 343 კმ-ით არის დაშორებული, ზუგდიდს – 25 კმ-ით. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკაზე აღნიშნულია მდ. ჭანისწყალი და „წალენჯი(ხის მონ)ასტერი“ (ბურჯანაძე, I, 1959: 197).

წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია, ვახუშტის სიტყვებით „გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი“, დგას „კეთილს ადგილს“, ქალაქის ცენტრის აღმოსავლეთით, ჭანისწყლის მარცხენა მხარეს აღმართულ მაღალ გორაზე. მარი ბროსე შენიშნავდა, რომ წალენჯიხის ტაძრის აშენება თარიღდებოდა 1334-1396 წლებით. ე. თაყაიშვილი, რომელმაც ძეგლი 1913 წელს შეისწავლა, წალენჯიხის აშენების თარიღად X-XI საუკუნეებს მიიჩნევდა (თაყაიშვილი, III, 1914: 210). ამ თვალსაზრისს იზიარებდა ლ. მენაბდეც (მენაბდე I, 1961: 213). შ. ამირანაშვილის მოსაზრებით, XIII ს-ის დამდეგს დაწყებული ტაძრის მშენებლობა XIV ს-ში უნდა დასრულებულიყო (ძაძამია, „მახარია“, N1, 2005: 4). ალ. მიქავას მოსაზრებით, წალენჯიხის ხუროთმოძღვრული კომპლექსი XIII-XIV სს-ის ქმნილებაა (მიქავა „მებრძოლი“, №12, 1963: 4; მისივე, IV, 1963: 28-30; მისივე, №4, 1974: 65).

კომპლექსში შედის გრძელი გალავანი, რაც თავდაპირველად თლილი ქვით ყოფილა აშენებული. მისი დაქცევის შემდეგ ნანგრევებზე უბრალო რიყის ქვის გალავანი ამოუყვანიათ, რაც XIX საუკუნის დასაწყისით თარიღდება (ჯაბუა, 1999: 293; გაბისონია, 2009: 5). გალავნის კარიბჭესთან, ჩრდილო-დასავლეთით, დგას გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღებული ქვის ორსართულიანი სამრეკლო (გაბისონია, 2009: 5). ტაძრის დასავლეთით ყოფილა 40-45 მ სიგრძის გვირაბი და დადიანთა სასახლე. გვირაბმა დაზიანებული სახით დღემდე მოაღწია. სასახლის სვეტებზე შემდგარი ქვედა სართული თაღოვანია და სადღეისოდ ნაწილობრივ რესტავრირებული. ზედა სართული, საფიქრებელია, რომ ხის იყო. გალავნის სამხრეთ მხარეს შემორჩენილია სანახევროდ ჩამოშლილი კოშკი (იქვე: 50).

ტოპონიმ „წალენჯიხის“ ეტიმოლოგიაზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს. პ. ცხადაიას მიერ ჩანერილი გადმოცემა აქ ეკლესიის აშე-

ნებას თამარ მეფის სახელს უკავშირებს. სვანეთიდან მობრუნებულ დედოფალს ეკლესიის ასაშენებელი ადგილის აღწერილობა უკითხავს და მოუხსენებიათ: „ჭე დიხა“ (მცირე მინა) მინდორია, ხოლო ქვემოთ „ჭე წყარი“ (მცირე მდინარე) დისო. თითქოს ამიტომ დარქმევია ადგილს **ჭედისა** (← ნენდისა), ხოლო მდინარეს – **ჭე წყარი** (← ნენწყარი) (ცხადაია, I, 2004: 197).

ი. ყიფშიძე ტოპონიმს შემდეგნაირად ხსნის: „Цаленджиха село и общество в Зугдидском уезде... Название это встречается и в форме ნენ-დიხა (ნენ можно принять за эквивалент ჭანია დიხა-ჯიხა крепость с диссибиляцией первого коренного, или же დიხა земля, тогда все название будет означать: Чанская крепость (земля)“ (Кипшидзе, 1914: 377).

წალენჯიხის „ჭანის ციხედ“ გააზრების ი. ყიფშიძისეული თვალსაზრისი არ გაიზიარა არნოდ ჩიქობავამ. მისი მოსაზრებით, წალენჯიხის პირველი ნაწილი **წალენ** „ქვემოს“, ხოლო **ჯიხა** „ციხეს“ ნიშნავს. აქედან გამომდინარე **წალენჯიხა** იგივეა, რაც „ქვემო ციხეო“ (ჩიქობავა, I, 1939: 45).

ს. ჯანაშიას ვარაუდით, **ნენში//ნანში** იგულისხმება არა საკუთრივ ზანები, არამედ ერთ-ერთი ტომთაგანი მეგრულ-ჭანური განშტოებისა. ნანი ტომისაგან მიიღო თავისი სახელწოდება ადგილმა და ციხემ. ესაა „ნენდისა“. ხოლო მდინარეს, რაც ამ ციხეს ჩაუდიოდა, „ნენწყარი“ ეწოდა, – დაასკვნის მეცნიერი (დამონშება იხ. ძაძამია, „მახარია“, N7-8, 2004: 17). ამ თვალსაზრისს იზიარებს მკვლევარი მამანტი ძაძამია და აღნიშნავს, რომ ტოპონიმებში – **ნენდისა**, **ნენწყარი** და **ნენჯიხა**, წინსართი **ნენ-** სხვა არაფერია, თუ არა იმ ტომის სახელწოდება, ვისაც ეს მინა-წყალი და ჯიხა „ციხე“ ეკუთვნოდა. მაშასადამე, მ. ძაძამიას აზრით, ნენ-დიხა გულისხმობს „ნენეფიშ დიხას“ (ნენების მინა), ნენ-წყარი იგივეა, რაც „ნენეფიში წყარი“ (ნენების წყალი), ხოლო „ნენეფიშ ჯიხა“ იგივე „ნენების ციხეა“ (იქვე). მ. ძაძამია უსაფუძვლოდ მიიჩნევს ლამბერტის მტკიცებას იმის შესახებ, რომ თითქოს ჭანისწყალი მდინარეს აქ პატარა ნავებით სავაჭროდ ამომავალი, მეზობელ ტომთა სახელის – ჭანის, ჭანების გამო დაერქვა. „ეს მტკიცება უსაფუძვლოა თუნდაც იმიტომ, – შენიშნავს მ. ძაძამია, – რომ ისეთ განვითარებულ და კულტურულ ცენტრს, სადაც სავაჭროდ მიდიოდნენ მეზობელი ტომის ხალხები,

შეუძლებელია, საკუთარი სახელწოდება არ ჰქონოდა, და აქ, მხოლოდ სავაჭროდ, ანუ დროებით ჩამოსული ტომის თუ ტომების (ჭანი თუ ჭანები) სახელწოდების მიხედვით მოენათლათ ეს მიწა, მისი წყალი და ციხე“ (იქვე). იგი ამასთანავე უსაფუძვლოდ მიიჩნევს გადმოცემას სახელწოდება „ნენდისას“ იქ არსებული ციხიდან (მეგრ. „ჯიხა“) წარმოქმნის შესახებ, „რადგანაც უსახელწოდებო და უკაცრიელ ადგილას თვით ციხის არსებობაც წარმოუდგენელია“ (იქვე).

წალენჯიხის ეტიმოლოგიას შეეხო ბაქარ გიგინეიშვილიც. „შესაძლოა ქართულში სავარაუდებელი წენი ფორმა იყოს გარჩენილი წალენჯიხის პარალელურად ხმარებულ წენდისა-ში, რომელიც კომპოზიტს წარმოადგენს. მისი პირველი ნაწილია **წენ**, მეორე კი – **დისა/→ჯიხა**, „ციხე“ (მეგრ.). **წენ-დისა** მიღებულია წენჯიხასაგან და მას შეიძლება „ჭანთა ციხის“ მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც ვარაუდობს ი. ყიფშიძე“ (გიგინეიშვილი, „მაცნე“, №1, 1975: 122).

სახელწოდება წალენჯიხა „ნენდისას“ ფორმით გვხვდება ხალხურ ლექსში (სამუშია, 1990: 141). ამ ლექსზე დაყრდნობით კ. სამუშიამ გამოთქვა მოსაზრება წენდისას „ჭანის მიწად“ გააზრების შესახებ. იგი იმონებს აქ გავრცელებულ გეოგრაფიულ სახელებს: **ოჭანეს** (უბანი ქალაქ ჯვარში, ჯვარზენსა და ეწერს შორის, ლებოხალის სათავესთან), **წენდისას** (წალენჯიხა), **ჭენწყარს** (ჭანისწყალი), **ჭაქვინჯს** და თვით აქაურ მაცხოვრებელთა გვარს – **ჭანას**, და შენიშნავს, რომ ეს მაგალითები ამ უბანში ჭანების, ლაზ-მეგრელთა ფუძე-ადგილის არსებობის მაუწყებელია. მკვლევარი დასძენს: „ამ ადგილის სახელი ნამდვილად „ნენდისაა“ (ჭანის მიწა) და არა წალენჯიხა“ (იქვე: 142-143).

IV.8. ენგურის ხეობა

მდინარე ენგური. ენგურის ხეობა უძველესი დროიდან იქცევდა უცხოელ და ქართველ მემკვიდრეთა ყურადღებას, მასზე გამავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კომუნიკაციებით. ჭანისწყლის ხეობისა და წალენჯიხის ალწერის შემდეგ ვახუშტის ნაშრომში გადმოცემულია ენგურის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა: „ამის (წალენჯიხის – ი. კ.) ჩდილოთ დის მდინარე ეგური, წოდებული დაბის გამო. გამოსდის მასვე სუანეთსა და ოდიშს შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად, მიერთვის ზღვას ანაკრიას. ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა ციხე, ქრისტესსა ჩ~ღვ, ქართულსა ტ~ჟა, ანცა უპყრავთ მათვე. ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე. აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესსა ჩქმზ. ქართულსა ტ~ლე, შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩ~ღკე, ქართულსა უ~იგ, და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად. რუხს ითხრების კაჟი ჩახმახისა ფრიად კეთილი და მრავალი. რუხს ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა არს სააფაციო სათავიდამ“ (ვახუშტი, IV, 1973: 778-779).

ენგურის ხეობის ალწერისას ვახუშტი ზოგჯერ სცოდავს. თ. ბერაძის დაკვირვებით, მას ხშირად ერთმანეთში ერევა „ჩდილო“ და ჩრდილო-დასავლეთი ან დასავლეთი. ამიტომ ვახუშტის ზემოთ მოხმობილი ცნობა ენგურის წალენჯიხის „ჩდილოთ“ დინების შესახებ შეცდომაა, რამეთუ ეს მდინარე წალენჯიხის მონასტრის დასავლეთით მოედინება (ბერაძე სიგკ, IV, 1971: 60). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ენგურსა და წალენჯიხას შორის მოედინება კიდევ ერთი მდინარე ჩხოუშისას სახელწოდებით, რაც ჯუმს მარჯვნიდან შეერთვის ახლანდელ სოფ. დიდი ნეძის კახათის ტერიტორიაზე. ჩხოუშისას ვახუშტი არ იცნობს და შესაბამისად არც მის ნაშრომშია დასახელებული.

შეცდომითაა მინიშნებული მდინარის სათავეც: ენგური მოედინება ზემო სვანეთიდან, კავკასიონის მთავარი ქედიდან, და მისი სათავე ბევრად დაშორებულია „სვანეთსა და ოდიშს შორისს“ მდებარე „კავკასს“, ანუ ეგრისის ქედს. ენგურის ზემო წელი სვანეთშია, შუა წელზე ეგრისის ქედს ჩაუვლის დასავლეთით (ქ. ჯვარის შემოგარენი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში), ხოლო ქვემო წელი მოიცავს ოდიშის დაბლობს, სოფ. ტყაიდან (ჩხორიის თემი) შავი ზღვის შესართავამდე.

საინტერესოა დაკვირვება ჰიდრონიმის ვახუშტისეულ დაწერილობაზე – **ეგური**. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბატონიშვილი მდინარის სახელწოდებას სწორი ფორმით უნდა გადმოსცემდეს. „ის გარდამავალი უნდა იყოს „ეგრიდან“ „ენგურამდე“, – წერს თ. ბერაძე და თავისი მოსაზრების გასამყარებლად გვიანფეოდალური ხანის რამდენიმე საბუთსაც იმონმებს. 1512-1532 წლებით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად „მამია დადიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს ეგურის პირას ნაჟანეო 60 კომლი კაცით“ (მასალები..., 1964: 78). ამას გარდა, აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის 1706 წლის სიგელი გვამცნობს: „...ელიბახუ ნანაისშკლი ეგურის გაღმიდამ წამოვიყვანეთ და მაგიერშიდ და ხიბულას დავასახლეთ“ (კაკაბაძე, 1921: 92).

ვახუშტი ფიქრობს, რომ ენგურს („ეგურს“) სახელი უნდა მიეღო ამავე სახელწოდების დაბისაგან („ეგური, წოდებული დაბის გამო“), მაგრამ საქმე ისაა, რომ მის მიერ შედგენილ არც ერთ რუკაზე ამ სახელის მატარებელი დაბა აღნიშნული არაა (ბერაძე სიგკ, IV, 1971: 60-61). ეტყობა, რომ ისტორიკოსსაც ეჭვი ეპარებოდა ამ სახელწოდების მატარებელი პუნქტის რეალურად არსებობაში.

ენგურის აღმნიშვნელად „ეგური“ ფორმას ვახუშტი სხვაგანაც იმონმებს. კერძოდ, ოდიშის საზღვარზე მსჯელობისას წერს: „კუულად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღვა“ ოდიშის საზღვარს წარმოადგენსო (იქვე: 776); „კუულად ამ ეგურის ჩდილოთ“ მდინარე დადისწყალი მიედინებაო (იქვე: 779) და ა. შ.

მდინარის სახელწოდება დატურდება **ინგირი** და **ინგური** ფორმით (ყიფშიძე, 1914: 217-218). ი. ყიფშიძის განმარტებით მდინარის სახელწოდებაში (ინგირი, ენგური) ენ-//ინ- პრეფიქსია, ნ- ამ პრეფიქსის ჩანართია, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია მეგრულისათვის.

ე//ი მანარმოებელ პრეფიქსებს წარმოადგენს. ენგური, მისი აზრით, სამეგრელოსაც ნიშნავს (იქვე).

ლამბერტი კოლხიდის „უმთავრეს და უფრო ცნობილ“ მდინარეებს შორის ასახელებს ენგურს, რაც, მისი აზრით უწინდელი ასტელეფოსი უნდა იყოს. გვთავაზობს მდინარის აღწერილობასაც (ლამბერტი, 2011: 200-201). ჟან შარდენი იმონებს ენგურის ა-ხმოვნიან ფორმას: ლ-ანგურ (კახაძე, 1993: 382). მდინარეს არაერთგზის მოიხსენიებს Engour-ის ფორმით ჟაკ ფრანსუა გამბაც (გამბა, 1987: 83, 94, 104, 105, 111, 112, 317, 321, 329).

ანაკლია. შავი ზღვის პირას, ენგურის შესართავის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი ანაკლია. ვახუშტი მას მოიხსენიებს **ანაკრიას** ფორმით: ენგური „... მიერთვის ზღვას ანაკრიას. ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა... ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს ციხე... შემდგომად შემუხრეს ოსმალთა... და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად“ (ვახუშტი, IV, 1973: 779).

უცხოურ და ქართულ კარტოგრაფიულ მასალებსა და წერილობით წყაროებში დასტურდება ტოპონიმის ორივე ფორმა. ანაკლია თავის რუკაზე დატანილი აქვს კასტელს (კასტელი, 1976: 187; სურ. № 524); ერთ-ერთ ნახატზე კი შემდეგი წარწერა გაუკეთებია: „ჩვენი პატრების ნავი სოფელ ანაკლიაში“ (სურ. №473). პირველი წყარო, სადაც ანაკლიაა დასახელებული, არის ლუი გრანჟიეს 1615 წლით დათარიღებული წერილი, სადაც იგი ამ პუნქტს ჰერაკლიად მოიხსენიებს. ლევან II დადიანის 1628 წლით დათარიღებულ შეწირულობის სიგელში აღნიშნულია, რომ მთავარს ბიჭვინტის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს „ანაკლიას კოჩილაი ჩოდია... კიდევ ანაკლიას ფაცულაი ნაწულუა“ (კაკაბაძე, 1921: 11). რომის პაპისადმი პატრ ძამპის მიერ 1675 წელს გაგზავნილ წერილში დასახელებულია „ანაკრია“ და „არკამა“ (თამარაშვილი, 1902: 12: 204-205). ანაკლიაზე ცნობები დაცულია ფრანგი მოგზაურის – ჟან შარდენის ნაშრომში. იგი საუბრობს ანაკლიის ეკლესიაზეც (შარდენი, 2011: 255). ლამბერტი კოლხიდის (ოდისის) მონასტერთა ჩამონათვალში ასახელებს ანაკრიას (**d' Anarghia**) და აღნიშნავს, რომ მისი ძველი სახელი ჰერაკლეა (**Heraclea**) იყო. მისივე მითითებით აქ უწინ საეპისკოპოსოც

ყოფილა, რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება (ლამბერტი, 2011: 138). გიულდენშტედტის თქმით ანაკლია ეწოდება ციხეს ენგურის შესართავთან (გიულდენშტედტი, I, 1962: 325, შენიშვნა). 1823 წლის 6 (18) ივნისს სოხუმიდან ფრეგატით გადმოსული გამბა მეორე დღეს ანაკლიას სწვევია (გამბა, 1987: 94). ანაკლიას ახსენებს შვეიცარიელი მეცნიერი და მოგზაური ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე. მან XIX ს. 30-იან წლებში იმოგზაურა შავიზღვისპირეთში. ანაკლია მოხსენიებულია მორიცი ვაგნერის თხზულებაში, როგორც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სანავსადგურო ადგილი და „სამეგრელოს უკიდურესი ჩრდილო სასაზღვრო“ პუნქტი (ვაგნერი, 2002: 134). ედუარდ აიხვალდი ასახელებს ანაკლიის დანგრეულ ციხეს, როგორც დადიანის საკუთრებას. მისივე ცნობით, აღნიშნული ციხე ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარ გიორგი დადიანს (აიხვალდი, 2002: 184). იგი გამოგვცემს მის მდებარეობასაც: „რედუტ-კალედან ცოტა ჩრდილოეთით, აქედან უფრო შორს, ვიდრე სამხრეთით ფოთია, ინგურზე ძევს ანაკლია“ (ვაგნერი, 2002: 211). საინტერესოა აიხვალდის ცნობა მდ. ანაკლიის შესახებ: „...მდინარე ანაკლია ამ დროს არაა სიცოცხლისათვის უხიფათო გასასვლელად“ (იქვე: 197). „ანაკლიის“ სახელწოდებით მდინარე ცნობილი არაა. სოფლის ტერიტორიაზე გაედინება თიქორი, რაც ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე (ანაკლიის თემი) უერთდება შავ ზღვას. მისი შენაკადია ღელე ფართოლაღ(გ), რაც სოფ. ცვანედან მოედინება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანაკლია თიქორის უწინდელი სახელწოდება ყოფილიყო.

ანაკლიაზე ცნობები დაუცავს იაკობ რაინეგსსაც, რომელიც აღნიშნავს: „...მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, მის შესართავთან, მდებარეობს ქალაქი და იქვე ციხე ანაკლია. ეს არის აფხაზეთის მთავრის ლევან შერვაშიძის რეზიდენცია. ციხის შიდა ფართობი სიგრძით თოთხმეტი საჟენია, სიგანით – ცამეტი; მას შემოვლებული აქვს სამი საჟენი სიმაღლისა და ხუთი ფუტი სისქის გალავანი. კარი ორნახევარი წყრთის სიმაღლის და ერთნახევარი წყრთის სიგანისაა“ (რაინეგსი, 2002: 108).

თავდაცვითი ხასიათის ციხის ნაშთი შემორჩენილია ენგურის მარცხენა მხარეს და ზღვას 0,5 კმ-ით არის დაშორებული. ადგილობრივნი მას **ჯიხას** ეძახიან. შემორჩენილია კვადრატული გეგმის მქონე ციხის ორიარუსიანი გალავანი სამ მხარეს (გარდა დასავლ-

თისა) და კუთხეებში მდგარი სამი კოშკი, რაც დასავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთითაა აღმართული. ენგურის, ე. ი. დასავლეთ მხარეს მდგარი კოშკი სწორკუთხაა, დანარჩენები – ცილინდრული ფორმისა. მეოთხე კოშკი მდგარა აგრეთვე მდინარის მხარეს, რაც ციხის გალავანთან ერთად ენგურს ნაუღეკია. აქ შემორჩენილი კედლების ნაშთი ადასტურებს მდინარის მხარეს 3 მ-ზე უფრო განიერი ჭიშკრის არსებობას. გალავნის ზედა იარუსზე სათოფურებია ჩართული. კოშკები სხვადასხვა ზომისაა. მათი ზედა სართულების საბრძოლო დანიშნულებაზე მეტყველებს კედლებში სათოფურების არსებობა (ზაქარაია, 1960: 117-118).

სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **ანარკია**. აღნიშნული ფორმა დასტურდება ტოპონიმებშიც. კერძოდ, ზუგდიდ-ანაკლიის გზატკეცილის მონაკვეთს სოფ. ინგირის ტერიტორიაზე **ანარკიაშ შარა**//ნაჭკირა ჰქვია. იგივე სახელით იწოდება გზა ზუგდიდიდან ანაკლიისკენ, კახათის გავლით (ცხადაია, II, 2007: 158). მეგრულ ხალხურ სიტყვიერებაშიც სოფლის სახელწოდებად გვხვდება „ანარკია“ ფორმა (სამუშია, 1971: 60, 83, 107; მისივე, 1979: 150).

როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტი ანაკლიის ციხის აშენებას ოსმალებს უკავშირებს. ისტორიკოსის ცნობა, რომ ოსმალებმა რუხის ციხის ნანგრევებისაგან „აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად“, ძნელი დასაჯერებელია, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით.

საინტერესოა დაკვირვება „ანაკლიას“ ეტიმოლოგიაზე. ხალხური ტრადიციული გადმოცემა მის წარმომავლობას იმ ეპოქას უკავშირებს, როცა შავი ზღვისპირეთში თურქი დამპყრობლები დათარეშობდნენ. ანაკლია//ანარკია ფეოდალურ სამეგრელოში ყმების ყიდვა-გაყიდვის ადგილად მიიჩნეოდა. სახელწოდება წარმოსდგება „აღნარკიასაგან“, რაც მეგრულად ნაკივლ, ნაყვირალ ადგილს ნიშნავს. XVI-XVII სს-ში თურქ-ოსმალებს აქედან გაჰყავდათ მოტაცებული თუ შესყიდული გოგო-ბიჭები. ნათესავეები და სამშობლოს დამკარგავნი აქ გოდებდნენ და კიოდნენ თურმე (სამუშია, 1990: 136).

პროფ. გურამ ბედოშვილს ტოპონიმ „ანაკლიის“ მნიშვნელობის გააზრების თვალსაზრისით საინტერესოდ ესახებოდა ვახუშტის მიერ მონოდებული ცნობა რუხის ძველი ციხის დანგრევისა და მისივე ნაშალი ქვით ანაკლიაში ახალი ციხის აგების შესახებ („გამოვიდნენ

ოსმალნი ფოთს, აღაშენეს ციხე და დასუეს ფაშა... შემუსრეს რუხის ციხე სრულიად და ნარღუევითა მისითა აღაშენეს უმჯობესად ანაკრია, და ფაშასა ფოთისასა მიათუალეს სრულიად ზღვის პირნი“). მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ანაკლია უნდა წარმომდგარიყო თურქული ფორმისგან – Janikale, რაც ქართულად ითარგმნება „ახალ ციხესიმაგრედ“ (jani „ახალი“, kale „ციხესიმაგრე“). თავისი მოსაზრების გასამყარებლად გ. ბედოშვილი იმონებდა მ. ფასმერის მიერ გამოცემულ „რუსული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონს“, რომლის თანახმად თავდაცვითი ნაგებობის სახელი თურქული Enikale („ახალი ციხე“) ყირიმშიც (ქერჩში) დასტურდება (ბედოშვილი, I, 2001: 34-35; ფასმერი, II, 1986: 20).

ტოპონიმ „ანაკლიას“ წარმომავლობის გ. ბედოშვილისეული ახსნა საყურადღებოა. მხოლოდ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: როგორც ზემოთ აღინიშნა, რუხის ციხის ნაშალი ქვებით ანაკლიის აშენების შესახებ ვახუშტის ცნობა პ. ზაქარაიას არასწორად მიაჩნია, რასაც ჩვენც ვიზიარებთ. არაა ცნობილი, თუ რას ეყრდნობოდა ბატონიშვილი, როცა ამ საკითხზე მსჯელობდა. სხვა წერილობითი წყაროებიც (გიულდენშტედტი, ნიკო დადიანი...) არაფერს გვეუბნება ვახუშტის ცნობის სიზუსტეზე. მაგრამ ეს ხელის შემშლელ ფაქტორად მაინც ვერ გამოდგება „ანაკლიის“ თურქული წარმომავლობის სახელწოდებად გააზრებისათვის. ანაკლია უძველესი დროიდან დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. გამორიცხული არაა სიმაგრის აქ ოდითგანვე არსებობა, მაგრამ ენგურის მარცხენა ნაპირას დღემდე შემორჩენილი ციხის ნაშთები შესაძლებელია XVI ს-ის ბოლო – XVII ს-ის დასაწყისით დათარიღდეს. თურქ დამპყრობლებს არაფერი შეუშლიდათ ხელს, მათ მიერ შავი ზღვის პირას აშენებული სასაზღვრო ციხისათვის janikale, იგივე „ახალი ციხესიმაგრე“ ეწოდებინათ.

ინტერესს იწვევს შემდეგი გარემოებაც: გამოთქმულია მოსაზრება (ნ. ლომოური), რომ ახ. წ. II ს-ის მეცნიერის – პტოლემეაიოსის მიერ დასახელებული ნეაპოლისი ამჟამინდელი ანაკლია უნდა ყოფილიყო. ბერძნული ნეაპოლისი „ახალი ქალაქი“, მოგვიანებით თურქებმა შესაძლებელია „ახალ ციხედ“ გაიაზრეს.

ოდიშის სამთავროს დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში ზუგდიდის მაზრის სოფლებს შორის დასახელებულია ანაკლია (მეუნარგია, 1939: 112).

რუხის ციხეს ვახუშტი ენგურის ნაპირზე მიუთითებს: „ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ (ენგურზე – ი. კ.) არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე. აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესსა ჩქმზ. ქართულსა ტ~ლე, შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩ~ლკე, ქართულსა უ~იგ, და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად. რუხს ითხრების კაჟი ჩახმახისა ფრიად კეთილი და მრავალი“ (ვახუშტი, IV, 1973: 778-779).

რუხის ციხე გვიანი შუა საუკუნეების ოდიშში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო. მისი მშენებლობა ვახუშტის „აღწერისა“ და სხვა ისტორიული წყაროებითაც უკავშირდება ლევან II დადიანის სახელს. ასაკს ციხის დაგეგმარება და კედლების წყობაც ადასტურებს. ციხის აშენება უმთავრესად განპირობებული იყო აფხაზთაგან ოდიშის დასაცავად. ლევანისავე ინიციატივით XVII ს. 30-იან წლებში განხორციელდა ჩხარიდან და ჩიხორიდან იმერეთის მეფე გიორგი III-ის (1605-1639 წწ.) გამოსასყიდში მიღებული სომეხი და ებრაელი ვაჭრების რუხში ჩამოსახლება. ასე დაარსდა აქ სავაჭრო სახელოსნო ადგილი ქალაქის სტატუსით. სომეხებით დასახლებული ბორცვი რუხში, ჯიხაშკარის უბანში, დღესაც **ნასომეხ(უ)დ** იწოდება.

ცნობა რუხის ციხის შესახებ დაცულია შარდენის „მოგზაურობაში“, როცა იგი გადმოგვცემს 1672 წლის, ოსმალთა შემოსევასთან დაკავშირებულ ამბებს. უფრო ადრე, ზუგდიდთან, კოზხეთთან (კორცხელი) და ანაკლიასთან ერთად, რუხი თავის რუკაზე აღუნიშნავს ლამბერტის (ლამბერტი, 2011: ჩანართი 1). „ახალი ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ რუხის ციხეში ინახებოდა ოფშქვითის ბრძოლის დროს ქართლის მეფე სიმონისათვის დადიანის მოლაშქრეთაგან ნართმეული ზარბაზნები (ზაქარაია, სსმმ, XXVI, 1970: 282-288). 1700-1712 წლების ახლო ხანებში გრიგოლ კათალიკოსის მიერ დაწერილ „ნიგნში“ აღნიშნულია: „რუხუს რომ ლევან დადიანი მოკუდა, მისი სიცოცხლეშიდ დადიანის აღნებით ნემსაძე კზს მოსლოდა“ (კაკაბაძე, 1921: 102). „რუხუ“ სწორედ ახლანდ. სოფელი რუხია. 1712 წლის გარიგების ნიგნი გვამცნობს: „შარვაშიძე რუხს მოკვდა, წავედით და ვიტირეთ, ნიშნიც მართებული ავიღეთ...“ (იქვე: 104-105). გიულდენშტედტის ცნობით რუხი ციხეა ენგურის მარცხენა ნაპირზე, რაც უნინ თურქთა ხელში იყო, ამჟამად კი მიტოვებულია (გიულდენშტედტი, I, 1962: 325). რუხის შესახებ ცნობებს გვანვდის გერმანელი მოგზაური

იაკობ რაინეგსი, რომელიც გვაუწყებს: რუსთა რაზმების მიერ დანგრეული აფხაზური პატარა ციხე რუხი ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და ლაზებში მიმავალი გზის ჩამკეცია. იქვე ახლოს მდებარე სოფელსაც რუხი ეწოდება (რაინეგსი, 2002: 121). რაინეგსის ცნობა რუხის ადგილმდებარეობის შესახებ არასწორია. რუხი ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს.

რუხის მშენებლობაზე ცნობა დაცულია არქანჯელო ლამბერტის ნაშრომში. „მხოლოდ სომხების ქალაქში, – გვაუწყებს იგი, – რომელიც აშენებულია აწინდელ მთავრის დროს, არის მოედანზე რამდენიმე დუქანი, სადაც იყიდება ტილო და ირანული შალი“ (ლამბერტი, 2011: 179). სომხების ქალაქში თეათინელი მისიონერი სწორედ რუხს გულისხმობს.

ილია ანთელავას მართებული მოსაზრებით, რუხში ციხის აგება, მისი „გაქალაქება“ და ლევან დადიანის მიერ გატარებული სხვა ცნობილი ღონისძიებები (ვაჭრების მოწვევა, ზარაფხანის გახსნა...) მთავრის პროექტის მიზანდასახულობათა რეალიზაციას, კერძოდ, ევროპასთან სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებას ისახავდა მიზნად (ანთელავა, 1990: 113-114).

თვით ციხე აგებულია ენგურის გავაკების შუა წელზე, ენგურსა და მის მარცხენა შენაკადს – რუხ(იშ)წყარს შორის, შემალღებზე. 1 ჰა-მდე ფართობის მქონე ციხე თავისი მასშტაბებით, გალავნისა და კოშკების სისქე-სიმალლითა და მშენებლობის სიმტკიცით მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. ციხეს ადგილობრივი უწოდებენ **რუხიშ ჯიხას, ჯიხას**. იქვე მდებარე უბანს, სადაც დუქნები ყოფილა განთავსებული, **ჯიხაშკარს** ეძახიან. ამასთანავე, რუხის ციხესთან გამავალი სახმელეთო გზა „ჯიხაშკარიშ შარად“ იწოდებოდა. პ. ზაქარაიას მსჯელობით, უწინ ენგური ციხეს უშუალოდ უვლიდა, ამჟამად კი მდინარის მარცხენა ნაპირს 300-400 მ აშორებს (ზაქარაია, სსმმ, XXVI, 1970: 162-174). აშენებულია რიყის ქვითა და კირით. ციხეში შესვლა სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკში დატანებული კარითაა შესაძლებელი. ციხის გარეკედლის სიმაღლე დაახლ. 10-12 მ-ია, საშუალო სისქე – 2,80 მ. დასავლეთით და აღმოსავლეთით სიმაღლე 14-40 მ-ს აღწევს. შემორჩენილია 5 კოშკი (საშ. ზომა 8,45×9,65 მ). ციხის შიდა ზომაა 94×57 მ, რაც ორი ნაწილისგან შედგება. ციხესიმაგრე 1725 წელს დაურბევიათ თურქ დამპყრობლებს. XVII ს-ში ოდიშის

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი და ციხესიმაგრე, ამის შემდეგ ქალაქის სტატუსით ისტორიულ წყაროებში არ მოიხსენიება (პაჭკორია 1975: 46). საინტერესოა შარდენის ცნობა, რომ რუხის ციხე სამეგრელოს მთავრის ადგილსამყოფელსაც წარმოადგენდა.

ვახუშტის ცნობით რუხის ციხე 1647 წელსაა აშენებული („ქრისტესსა ჩქმზ, ქართულსა ტ~ლე“). ჩვენთვის უცნობია, თუ რა წყაროებზე დაყრდნობით თვლის იგი რუხის ციხის აგების თარიღად 1647 წელს (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 62). გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ციხის მშენებლობა სომეხ-ებრაელ ვაჭართა გადმოსახლებისთანავე, 1635-1636 წლებში უნდა დაწყებულიყო. ვახუშტის, ეტყობა, მიაჩნდა, რომ რუხის „აღშენება“ 1647 წელს დასრულდა, „თორემ, – წერს ილია ანთელავა, – ყოვლად შეუძლებელია ასეთი დიდი ნაგებობის ერთ წელიწადში დასრულება“ (ანთელავა, 1990: 113-114).

პ. ზაქარაიას დაკვირვებით, უზუსტობას შეიცავს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა რუხის ციხის დანგრევაზე. ოსმალთა მიერ ციხის დაზიანება შესაძლებელია, მაგრამ რუხის დანგრეული ციხის ქვებით ანაკლიის მშენებლობაზე ცნობის ამ ნაწილის დაჯერება ძნელია, თუნდაც იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იქიდან ათეული კილომეტრით დაშორებულ ანაკლიამდე რიყის ქვის გადაზიდვა გაუმართლებელი იქნებოდა (ზაქარაია, 1960: 117).

სწორია ვახუშტის ცნობა რუხის ციხეში წყაროს არსებობის შესახებ. ეს წყარო ციხის ჩრდილოეთით, გზატკეცილსა და ენგურს შორის, გალავანთან გამოედინება. ადგილობრივი მოსახლეობა მას „ოძილეს“ ეძახის, რაც ჯილეს, დარანს, თევზის სამყოფელს ნიშნავს.

სააფაციო. ვახუშტი, ენგურის ხეობის იმ ნაწილში, რაც ეგრისის ქედსა და რუხს შორის მდებარეობს, ასახელებდა ფეოდალურ ერთეულს **სააფაციოს** სახელწოდებით: „რუხს ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა არს სააფაციო სათავიდამ“ (ვახუშტი, IV, 1973: 779). მისივე რუკებზე სახელდებული ობიექტი ხან მდინარის მარცხენა ნაპირზეა აღნიშნული, ხან მარჯვენაზე. ამ საკითხით თავის დროზე დაინტერესდა თამაზ ბერაძე. „სააფაციოს“ ლოკალიზაციის კუთხით წარმოებულ კვლევა გასული საუკუნის 70-იან წლებში მან შემდეგი სახით ჩამოაყალიბა: ის ფაქტი, რომ ვახუშტის თავის რუკათა მეორე ატლასის არც ერთ შესაბამის რუკაზე სააფაციო, როგორც პუნქტი, არ აღუნიშ-

ნავს, იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ მეცნიერს ეჭვი ეპარებოდა ამ სახელწოდების პუნქტის რეალურად არსებობაში. ვახუშტის ცნობის თანახმად, სააფაციო ისეთივე ფეოდალური ერთეულია, როგორცაა სალიპარტიანო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ოდიშის ამ ნაწილის სოფელთა ტოპონიმია არ იცნობს პუნქტს „სააფაციოს“ სახელწოდებით. მის არსებობაზე არაფერს გვეუბნება ხალხური გადმოცემა და ვინაიდან წერილობით წყაროებშიც არაფერია ცნობილი აფაციას, როგორც ფეოდალური გვარის შესახებ, სააფაციოს ფეოდალური ერთეულის არსებობაც ეჭვს იწვევს. სააფაციოში, დაასკვნის მკვლევარი, შეუძლებელია ვიგულისხმოთ რუხის ერთი უბანი საფარცვანიო, ვინაიდან არაა სავალდებულო ძველ დროში დამოუკიდებელ სოფლად მისი მიჩნევა. ამასთანავე, რაც მთავარია, ფარცვანიების გვარეულობიდან, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ნაგულისხმევი სააფაციოს ფეოდალური ერთეული ვერ შეიქმნებოდა, რადგან ამ გვარის კაცნი გლეხები იყვნენ (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 61).

თ. ბერაძის აღნიშნული მსჯელობა რომ დამაჯერებელია, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რუხელი ფარცვანიების გადმოცემით, მათი წინაპრები XIX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოსახლებულან სალიპარტიანოდან (ცხადაია, II, 2007: 272).

სააფაციოს გარშემო მსჯელობა იმისთვის დაგვეჭირდა, რომ სავსებით გაგვეზიარებინა თამაზ ბერაძის ერთი საგულისხმო და ანგარიშგასანევი მოსაზრება: ვახუშტი შესაძლებელია არასწორად იძლეოდეს ამ ფეოდალური ერთეულის სახელს, ან ზუსტად ვერ განსაზღვრავდეს მის მდებარეობას, მაგრამ ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ მას საერთოდ მოეგონებინოს „სააფაციოს“ არსებობა (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 61).

ენგურის ხეობაში, სააფაციოს, როგორც სოფლისა თუ ფეოდალური ერთეულის, არსებობა და ზოგიერთ რუკაზე მისი აღნიშვნა, ძნელი სათქმელია, მის სუბიექტურ მოსაზრებას მივანეროთ, თუ ხალხურ გადმოცემაზე დაფუძნებულ თვალსაზრისად მივიჩნიოთ. თუმცა უფრო სარწმუნოდ ის გარემოება გვესახება, რომ მეცნიერი სააფაციოზე წერისას ხალხისაგან მიღებულ ცნობებზე დაფუძნებულ თვალსაზრისს გვთავაზობს, ოღონდ – არასწორი სახით.

თ. ბერაძე ვარაუდობს, რომ ვახუშტისეულ სააფაციოში შესაძლებელია წერილობით წყაროებში XIII ს-დან მოხსენიებული ოდიშის

ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს – აფაქიძეების (აღგ. გამოთქ-
მით აფაქიძის) ფეოდალური ერთეული **სააფაქიძო//სააფაქიო** ვი-
გულისხმობ. ამ გვარში შემონახული ერთი გადმოცემის თანახმად
აფაქიძეთა სამფლობელო ერთ დროს მდ. მაგანამდე აღწევდა, რაც
ვახუშტის მიერ მოცემული „სააფაციოს“ ტერიტორიას ნაწილობრივ
ემთხვევა. თ. ბერაძე ყურადღებას ამახვილებს XVII ს. პირველი ნახე-
ვრით დათარიღებულ საბუთში „საქორაქიძოს“ მოხსენიების ფაქტ-
საც, რაც იყო „დადიანის ლევანის წყალობა მამული“. წყაროდ მი-
თითებულია სარგის კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული „აფხაზეთის
საეკლესიო გლეხების დიდი დავთარი“ (კაკაბაძე, 1914: 43). ტოპონიმი
„საქორაქიძო“ დასტურდება ენგურიდან რამდენიმე კმ-ით დაშორე-
ბულ სოფ. ჩქვალერში (წალენჯიხის რ.). საქორაქიძო, მასში შემავალი
ჯგალის ციხე-სასახლით, ვრცელი „ქვეყანა“ უნდა ყოფილიყო. რაც,
თ. ბერაძის აზრით, ნაწილობრივ თავსდება ვახუშტის რუკაზე მო-
ცემულ ტერიტორიაზე. „სააფაციო“ შესაძლებელია დამახინჯებული
„საქორაქიძო“ იყოს. ერთი რამ ცხადია, დაასკვნის მკვლევარი, რომ
ვახუშტისეული სააფაციო რომელიღაც რეალურად არსებული ფეო-
დალური ერთეულის გამომხატველია, თუმცა სახელოვანი მეცნიერი
მის სახელსა და მდებარეობას არაზუსტად გადმოსცემს (ბერაძე,
სიგკ, IV, 1971: 62).

„სააფაციო“ ამ მხარეში ვერც დ. ჭითანავას დაუფიქსირებია.
მკვლევარი ემხრობა იმ აზრს, რომ წერილობით წყაროებში აფა-
ციების ფეოდალური სახლი და გვარეულობა არ იხსენიება, თუმცა
დამატებითი მასალა ტოპონიმის ლოკალიზაციის თაობაზე არ წარ-
მოუდგენია (ჭითანავა, 2010: 381-382).

„სააფაციოს“ ლოკალიზაციის საქმეში გარკვეულ სამსახურს გვი-
წევს მარი ბროსეს ნაშრომი, რაშიც, სხვა საკითხებთან ერთად, აღწე-
რილია სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიული სიძველენი. ფრანგი
ქართველოლოგი ნაბაკევის მახლობლად ასახელებს ძველ ციხესიმა-
გრეს **საოხოციოს** სახელწოდებით და მის შემოგარენში, ენგურის
შესართავთან მდებარე სამლოცველოს და ღრმა ჭას, რასაც მეგრე-
ლები თურმე მაჰმეტის ინჭას ეძახდნენ (ბროსე, 2011: 140). ბროსეს
ზემოთ დამონმებული ცნობა იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ,
რომ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოხსენიებული „სააფაციო“ რეა-
ლურად არსებობდა ენგურის მარჯვენა მხარეს, ახლანდელი გალის

მუნიციპალიტეტის ნაბაკევის თემის შემოგარენში. ნაბაკევი გალიდან 25 კმ-ით არის დაშორებული. ლამბერტის რუკაზე დაფიქსირებულია **Naalbachia**-ს ფორმით.

2003 წელს პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას ავტორობით გამოქვეყნებულ სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ნუსხაში ვახუშტისეული „სააფაციო“ და ბროსესეული „სახოფაციო“, სამწუხაროდ, არ დასტურდება, მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ორივე ტოპონიმი ერთი და იმავე ობიექტის სახელწოდების ვარიანტი უნდა იყოს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბროსეს მოღვაწეობის პერიოდი (1802-1880 წწ.) 100 წლით აშორებს ვახუშტის ფუნდამენტური ნაშრომის შექმნის დროს, რაც უფრო მეტ სანდოობას მატებს ფრანგი ქართველოლოგის ნაშრომში დამონმეხულ ცნობებს.

თავი V

**თანამედროვე აფხაზეთის
ისტორიული გეოგრაფია
ჰიდრონიმურ და ტერიტორიულ
დანაყოფთა მიხედვით**

V.1. აფხაზეთის საზღვრები

აფხაზეთი დასავლურქართული სამყაროს განაპირა, უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ისტორიული პროვინციის სახელწოდებაა. ახლანდელ აფხაზეთს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვა აკრავს; აღმოსავლეთი საზღვარი სვანეთ-აფხაზეთის ქედს და ენგურის ქვემო დინებას გასდევს, ჩრდილო-დასავლეთისა – ფსოუს, ხოლო ჩრდილოეთისა – დიდი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემს (მუსხელიშვილი, I, 1997: 250).

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორია აფხაზეთის ნაწილადაა წარმოდგენილი და ტერიტორიული და ენობრივ-ეთნიკური თვალსაზრისით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამ ერთეულად იყოფა. ესენია: სამურზაყანო, აბჟუა („შუასოფელი“) ანუ სააფხაზო და აძვიბჟა („ორწყალშუა“).

ისტორიული რეალობა სხვაგვარი იყო: ენგურსა და ანაკოფიის მცირე მთას შორის მოქცეული ტერიტორია წერილობითი და კარტოგრაფიული წყაროების პირდაპირი და მკაფიო ჩვენებით ოდიშს (სამეგრელოს) ეკუთვნოდა. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესაბამისად იცვლებოდა საზღვრები და საბოლოოდ ოდიშ-აფხაზეთის სასაზღვრო მიჯნად მდ. ენგურის ქვემო დინება დადგინდა.

ისტორიულ წარსულში აფხაზეთს, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინს, სამი მნიშვნელობა ჰქონდა: 1. აფხაზეთი აღნიშნავდა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილს, ანუ საკუთრივ აფხაზეთს – საქართველოს ისტორიულ პროვინციას, ხოლო ეთნონიმი „აფხაზი“, „აფხაზები“ – ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს; 2. „აფხაზეთი“ წარმოადგენდა მთელი დასავლეთ საქართველოს სახელწოდებას, აფხაზთა მთავარ ლეონ II-ის მიერ ამ რეგიონის გაერ-

თიანებიდან მოყოლებული (ლორთქიფანიძე, 1990: 9-10; გამყრელიძე, 1993: 588-589; გვანცელაძე, 1993: 572-573); 3. ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) მიერ საქართველოს გაერთიანებიდან, ანუ XI ს-ის დასაწყისიდან ვიდრე ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცე-ბამდე, „აფხაზეთისა“ და „აფხაზის“ მნიშვნელობის ქვეშ თითქმის მთელი საქართველო და მისი ნებისმიერი მკვიდრი იგულისხმება, უმთავრესად უცხოურ – არაბულ, სპარსულ, სომხურ და ბერძნულ წერილობით წყაროებში (გვანცელაძე, 1993: 573).

XV-XVI საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე ქორონიმ „აფხაზე-თისა“ და ეთნონიმ „აფხაზის“ ქვეშ თავდაპირველი მნიშვნელობა – ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ის ხალხი მოიაზრება, რომლებიც ამჟამად აფსუებად იწოდებიან (იქვე: 574; გამყრელიძე, 1993: 590).

თავდაპირველი აფხაზეთი (აბაზგია), რაც ლაზიკის (ეგრისის) სამეფოსადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ ორ მცირე სამთა-ვროს (აფხაზეთისა და ცხუმის) აერთიანებდა (ცენტრები: ბიჭვინთასა და ანაკოფიაში), მოიცავდა ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთით მდ. აბასკოსსა (მდ. ბზიფი, ფსოუ ან მზიმთა) და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ცხუმსა და ანაკოფიას შორის.

VII ს-ის დასაწყისში აფხაზეთმა აფშილეთის ნაწილის მიერთე-ბაც შეძლო კელასურამდე და ამ სახით ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცა. VII-VIII სს-ში ეგრისის სამეფოს დასუსტების პერიოდში გა-ძლიერებულმა აბაზგიის სამთავრომ თავის ტერიტორიულ სივრცეში გააერთიანა აბაზგები, აფშილები, სანიგები და მისიმიელები. ტომთა ეს ერთობლიობა ქართულ წყაროებში **აფხაზებად** იწოდება, ხოლო აბაზგიის მთავარი – აფხაზთა მთავრად ან ერისთავად (ლორთქიფა-ნიძე, I, 1997: 255).

VIII ს-ის II ნახევარში (ბოლოს) აფხაზთა მთავარმა ლეონ I-მა თავისი ნათესავის (პაპა დედის მხრიდან), ხაზართა ხაკანის დახ-მარებით შეძლო დასუსტებული ბიზანტიის იმპერიის ვასალობისგან თავის განთავისუფლება. ნიკოფსიიდან სამხრეთით – ჭოროხის ხეო-ბამდე, ხოლო აღმოსავლეთით ლიხის მთამდე – მთელი დასავლეთი საქართველო (ეგრის-აფხაზეთი) ერთ ტერიტორიულ სივრცეში მოექ-ცა. შეიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო „აფხაზთა სამეფოს“ სახელწოდებით. ლეონ I-ის ძმისშვილმა ლეონ II-მ „აფხაზ-

თა მეფის“ ტიტული მიიღო. სამეფოს ცენტრი ქუთაისი გახდა. ამ სახით იარსება მან VIII ს-ის 70-იანი წლების ბოლომდე. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ დასავლურ-ქართული სამეფოს ტერიტორიაზე შექმნილი 8 საერისთავოდან ორი შეიქმნა უშუალოდ აფხაზეთის ძველი ბიზანტიური საერისთავოს ფარგლებში. ესენია საკუთრივ **აფხაზეთის საერისთავო**, რამაც საზღვარი გაიფართოვა ჩრდილო-დასავლეთისკენ, ციხე-ქალაქ ნიკოფსისამდე (ნიკოფსია), და **ცხუმის საერისთავო**, რამაც მთელი ძველი აფშილეთი მოიცვა (მუსხელიშვილი, I, 1997: 250). მოგვიანებით, XII ს-ში ეს ტერიტორია ცხუმის საერისთავთერისთავოს ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. მის სათავეში იდგა შარვაშიძეთა ფეოდალური გვარის წარმომადგენელი. აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულის აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ VIII-X სს-ში „ცხუმის საერისთავოდ“ ნოდებული ტერიტორია ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ (XV ს-ის მიწურული) ოდიშის (სამეგრელოს) ერისთავთერისთავებმა შეიერთეს, ხოლო აფხაზეთის ერისთავები – შარვაშიძენი ოდიშის მთავრის ქვეშევრდომები გახდნენ (იქვე).

ნიკო მარისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიღებული მოსაზრებით, ქართული **აბხაზ-** და ბერძნული **აბასგ-** ფუძეებისათვის ამოსავალი უნდა იყოს **აბაზხ-** (კახაძე, 1993: 551-556). ო. კახაძე არც იმ შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ ამ სიტყვის მეგრული ფორმა აბხაზა (→ აფხაზა) და ამ უკანასკნელის გამარტივებული სახე – ქართული **აბხაზ-ი**, მიგველო მეტათეზისის (ბგერათა გადაადგილების) გზით, **აბზახა** ფორმისაგან, რაც უახლოვდება ნ. მარისა და ს. ყაუხჩიშვილის მიერ ძირითადად ბერძნული ფორმის მეშვეობით აღდგენილ **აბაზხ** ფორმას: აბზახა/აბაზხ → აბაზახა (იქვე: 556). მკვლევარი **აბაზახა** ფორმას ფუძითაც და -ხა ფორმანტიც ადილეურ (ჩერქეზულ)-ყაბარდოულ ენობრივ სამყაროს უკავშირებს (იქვე: 561). აბხაზ-/აბხაზა (← აბზახა ← აბაზახ) ფუძეთა ანალიზის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის, რომ ეს ეთნონიმი ქართველებს ადილეულთაგან (ჩერქეზთაგან) უნდა ესესხებინათ, რასაც ეთნონიმის **ხ** ელემენტი მოწმობს, და იმთავითვე გულისხმობდა ადილელებს, კერძოდ, აბაძახებს და, შესაძლებელია, მათ მეზობელ აბაზა ტომს (იქვე: 562).

აფხაზ-/აბაზგ- და **აბაზა/აფსუა** ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიებანი მოცემულია აკად. თამაზ გამყრელიძის ნარკვევში. მისი დაკვირვებით, ახ. წ. I-II საუკუნეებიდან ბერძნულ წყაროებში ერთმანეთის მეზობლად მოხსენიებულ ქვეყნებს – **აფსილიასა** და **აბაზგიას** შუა საუკუნეების ქართული წყაროების („ქართლის ცხოვრება“) **აფშილეთი** და **აფხაზეთი** შეესატყვისება (გამყრელიძე, 1993: 581). ბერძნულ-ქართული წყაროების **აფსილ-/აფშილებს** თ. გამყრელიძე თანამედროვე **აფსუა/აფხაზებთან** გენეტიკურად და ენობრივად დაკავშირებულ ეთნოსად და მათ შესაძლო წინაპრად მიიჩნევს, ხოლო **აფხაზ-/აბაზგ-** ეთნონიმის ქვეშ, ახ. წ. I ს-ში შავიზღვისპირეთში არსებული ეთნოკულტურული ვითარების გათვალისწინებით, ისტორიულ-გენეტიკური თვალსაზრისით დასავლურ-ქართველური წარმომავლობის იმ ტომებს მოიაზრებს, „რომლებიც ძველ კოლხეთში მობინადრე სვანური და მეგრულ-ლაზური ტომების ახლო მონათესავე უნდა ყოფილიყვნენ“ (იქვე: 587).

ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ თავდაპირველი აფხაზეთი, ანუ გვიანანტიკური ხანის „აბაზგია“ (ბერძნ.) მოიცავდა ბზიფის აუზის შუა და ზემო წელს, აგრეთვე ფსოუსა და მზიმთის ხეობების მთიან ნაწილს. საკუთრივ აფხაზეთად ნოდებული ეს ისტორიული პროვინცია მდებარეობდა კავკასიონის ქედის სამხრეთით, ბზიფისა და გაგრის ქედებს შიგნით, და სამხრეთ-აღმოსავლეთით ანაკოფიის მთამდე ვრცელდებოდა.

ვახუშტი ბატონიშვილი ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე **აფხაზეთის** უწინდელ სახელწოდებად **ეგრისს** მიიჩნევს: „ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად ნოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაჲთგან წილი ეგროსისა არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა ეგრივე“ (იქვე: 784). მაშასადამე, მეცნიერის აზრით, საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორია ეგროსიანთა კუთვნილებას წარმოადგენდა; ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორია „დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი. გარნა უმეტეს საგონებელი არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე“ (იქვე: 784).

„წილი ეგროსისა“ გულისხმობს მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, ანუ იმ ტერიტორიას, რაც ქართველთა ლეგენდარულმა ეთნარქმა ეგროსმა თარგამოსისგან მიიღო. ლეონტი მროველის

აზრით, რასაც ვახუშტიც იზიარებს, ესაა „ქუეყანა ზღვს ყურისა“, მოქცეული შემდეგ საზღვრებში: „აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა ან ჰქვან ლიხი; დასავლით ზღუა; [ჩრდილოთ] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 5).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი ემყარება ვახუშტის ვერსიას, ისტორიული რეალობის შემცველ ლეგენდას ეგროსისა და მისი შთამომავლების შესახებ (ვახუშტი, IV, 1973: 63), რის საფუძველზეც აფხაზეთს ქვემო ივერიად მიიჩნევდა, „რომელსაცა ეგრისი სახელსძევს“, ხოლო ეთნონიმ „აფხაზს“ ეგროსის შთამომავლის, გმირისა და აფხაზეთის პირველი მეფის – აფხაზოსის სახელს უკავშირებდა (ბატონიშვილი, 1848: 56).

ვახუშტის აზრს, რომ თავდაპირველად, შემდეგდროინდელი აფხაზეთი დასავლურქართველური ტომებით იყო დასახლებული და უშუალოდ ეგრისის შემადგენლობაში შედიოდა, ისტორიკოსი თამაზ ბერაძე ზოგადად სწორად მიიჩნევს, მაგრამ ეჭვი შეაქვს ამ პროცესის ქრონოლოგიაში. მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ვახუშტისთვის ამოსავალი წერტილი ქართლის სამეფოს შექმნაა, რაც ძვ. წ. III ს-ის ფაქტია. შესაბამისად, ვახუშტის ცნობიდან ისე გამოდის, რომ „ეგრის წყალს ქუემოთ“ მოსახლეთა განდგომა უნდა მომხდარიყო სწორედ აღნიშნულ პერიოდში, ანუ ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის აზონზე სრული გამარჯვების შემდეგ; მაგრამ თუ ასეთ ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაშინ იგი ვერ მოხდებოდა ძვ. წ. III ს-ში, ქართლის სამეფოს შექმნის პერიოდში, რადგან ამ დროს აფხაზური მოდგმის ტომთა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე განსახლება წერილობითი წყაროებით არ დასტურდება (ბერაძე, 1998: 101-102).

უზუსტობას შეიცავს ვახუშტის ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ბერძენთა მიერ აფხაზეთის ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ ეწოდა ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს ბერძნული სახელწოდება „აბასა“. საქმე ისაა, რომ ძველ ბერძნულში „აფხაზეთის“ აღმნიშვნელად დამონშემებულია **აბასკოი** ფორმა და მისი ვარიანტები: **აბასგოი** და **აბასხოი**. ამასთანავე, ფიქრობენ, რომ ძველბერძნული ფორმის ამოსავალია აფხაზურ-აბაზურ ტომთა ერთობის თავდაპირველი ზოგადი სახელიდან – **აა-აბაზა** ← **აბაზა** ფორმიდან მომდინარე **აბაჟა**,

რაც ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის ახლო ხანებში უნდა გამხდარიყო ძველბერძნული **აბასკოი** ფორმის საფუძველი (გვანცელაძე, 1993: 571-577; მისივე, 1998: 38-39).

საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების მიმოხილვის პირველ სარწმუნო წყაროდ მიჩნეული ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი და ატლასები მაღალი შემეცნებითი ღირებულებისაა და მას, როგორც პოლიტიკური გეოგრაფიის ელემენტების შემცველ წყაროს, ამჟამადაც წარმატებით იყენებენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტების ისტორიული წინამძღვრების ინტერპრეტაციის, კერძოდ, საზღვრების დელიმიტაციისათვის (კეკელია 1997: 197). ვახუშტის ნააზრევისა და სხვა, მისი წინამორბედი, თანამედროვე თუ მომდევნო დროის მეცნიერ-მოგზაურთა ცნობების გაანალიზებით შესაძლებლობა გვეძლევა აფხაზეთის, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის, საზღვრების მოხაზულობასა და საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ცვლილებებზე, გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ინტერპრეტაციისა და ზუსტ რუკებზე პროექტირების გზით, გარკვეულწილად, შედარებით ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ.

დიდი მეცნიერი ისტორიულ აფხაზეთს შემდეგ საზღვრებში გადმოგვცემს: „ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული ზღუამდე; დასავლით ზღუა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე; ჩდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამჭრით ზღუა შავი. სიგრძე ამისი არს ანაკოფიიდან კაპპეტის მდინარემდე ანუ ზღუამდე; განი ზღვადამ კავკასის თხემამდე“ (იქვე: 784).

ციტირებული ცნობიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედამდე ვრცელდებოდა, ხოლო დასავლეთით (დავაზუსტოთ: ჩრდილო-დასავლეთით) – კაპპეტამდე („კაპპეტის მდინარე“). ვახუშტი წერს: „ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპპეტის მდინარე“ (იქვე: 785).

მის მიერვე 1735 წელს შედგენილ რუკაზე კაპპეტის წყალი ბიჭვინტის დასავლეთითაა დატანილი. ბიჭვინტის ჩრდილო-დასავლეთით, 7 კმ-ის დაშორებით, შავ ზღვას უერთდება ბზიფი. აღნიშნული მანძილისა და იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ თანამედროვე რუკებზე ბიჭვინტის ჩრდილო-დასავლეთით კაპპეტის წყალს არსად არ ვხვდებით, მიჩნეულია, რომ ისტორიული წყაროების „კაპპეტი“ და

ვახუშტისეული „კაპუეტის მდინარე“ ამჟამინდელი მდ. ბზიფი უნდა იყოს. ამას მონიშნავს სხვა წყაროების ჩვენებაც; კერძოდ, ფეოდალური საქართველოს ისტორიის სანდო პირველწყაროდ მიჩნეულ 1737 წლის ლიხთ-იმერეთის რუკაზე აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვარზე აწერია: „იალბუზის მთა აქ დასწყდება“. დასავლეთით კი საზღვარი კაპოეტის წყალზე გადის (ბურჯანაძე, I, 1959).

ვახუშტის ცნობით, აფხაზეთს დასავლეთით და სამხრეთით შავი ზღვაც აკრავს. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსათვის დამახასიათებელი უმნიშვნელო კლაკნილობის მიუხედავად, ვახუშტის რუკებზე ზღვისპირა ზოლი მეტისმეტად დაკლაკნილია. ამასთანავე, თითქოს, ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ყურეები მდინარეთა უმეტესობის შესართავს წარმოადგენს. თანამედროვე რუკებზე „აღწერის“ მონაცემთა პროექტირებით სანინალმდეგო გარემოება იკვეთება: ვახუშტი რუკებზე არასწორად გვიჩვენებს შავი ზღვის სანაპირო ზოლს.

ოდიშ-აფხაზეთის პოლიტიკურ ერთეულთა შორის გამავალ სასაზღვრო ხაზზე მსჯელობა წარმოვადგინეთ წინამდებარე ნაშრომის იმ თავში, სადაც სამეგრელოს (ოდიშის) ტერიტორიასა და საზღვრებზეა საუბარი. ამიტომ აქ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ სასაზღვრო პუნქტად მიჩნეულ ანაკოფიას („საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა“) ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზე ოდიშის შემადგენლობაში ვხედავთ. შემდგომი აღწერილობით, რაც ზემოთ დავიმოწმეთ, ირკვევა, რომ ანაკოფიის (ამჟამინდელი ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთით ჩამომავალი მცირე მდინარის (ამჟამინდელი ფსირცხის) მარჯვენა მხარეს აღმართული „მცირე მთა კავკასიიდან ჩამოსული“ (კავკასიონის ქედის ერთ-ერთი სამხრეთი განშტოება) წარმოადგენდა მიჯნას ოდიშსა და საკუთრივ აფხაზეთს შორის.

ამდენად, ვახუშტი აფხაზეთად სახელდებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს შავი ზღვიდან კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედამდე მოქცეულ ტერიტორიაზე ათავსებს. მას ჩრდილო-დასავლეთით კაპოეტის წყალი გამოყოფდა ჯიქეთისაგან, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ფსირცხის მარჯვენა ნაპირზე აღმართული მთით იმიჯნებოდა ოდიშისაგან. ამ საზღვრებში მეცნიერი გადმოგვცემს ერთიანი ქართული მონარქიის ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის

პერიოდის (XV ს-ის 80-90-იანი წლები) ამსახველ რეალურ ისტორიულ ვითარებას. მომდევნო 40-50 წლის განმავლობაშიც საზღვარი ოდიშ-აფხაზეთს შორის ამ მთაზე გადიოდა, რასაც მოწმობს თურქი მზვერავის მოხსენებითი ბარათი, რომელიც XVI ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 54; მისივე 1998: 103; აბულაძე, 1983: 57).

საკუთრივ აფხაზეთის, მაშასადამე, იმავდროულად საქართველოს ისტორიულ სასაზღვრო პუნქტს, ჩრდილო-დასავლეთით **ნიკოფსია** წარმოადგენდა, რაც თანამედროვე ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა (ვახუშტი, IV, 1973: 201). V ს-ის ანონიმთან ეს პუნქტი **ძველ ლაზიკად** იწოდება. დამაჯერებელია ისტორიკოს მერი ინაძის თვალსაზრისი უძველესი საისტორიო ტრადიციის ეგროსის სამფლობელოს შავ ზღვამდე გავრცელების შესახებ, ანუ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იმ ტერიტორიამდე, „სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“. კავკასიონის ქედის დასავლეთი კალთები შავი ზღვის ნაპირამდე სწორედ ძველ ლაზიკასთან აღწევს (ინაძე, „მაცნე“, №2, 1992: 47; გამახარია, 2007: 63).

ფეოდალური მონარქიის დასუსტებისა და სამეფო-სამთავროებად ქვეყნის დაშლის შემდგომ პერიოდში საქართველოს მთაში იკლებს ქართული მოსახლეობის რაოდენობა და მის ადგილზე კავკასიონის ჩრდილოეთი კალთებიდან ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ემიგრირებული და ადგილობრივ ფეოდალებთან ხიზნებად მდგარი უცხო ეთნიკური ელემენტი სახლდება. ადგილი აქვს ტერიტორიების ანექსიასაც აფხაზ ფეოდალთა მხრიდან. ასე შეიქმნა აფსუათა დასახლება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე; ისინი სარგებლობენ XVII ს-ის II ნახევარში ოდიშის სამთავროში გაჩაღებული ფეოდალური შინაომებით, რასაც შედეგად მოჰყვა ოდიშის მთავართა ტიტულის ჩიქვანთა გვარეულობის ხელში გადასვლა. მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი: „განდიდნა ჭყონდიდელი ჩიქოვანი... მოვიდა და დაიპყრა ჭყონდიდლობავე, და იქმნა მისანდო ლევან დადიანისა ყოველსა შინა. ამან მოიყვანა ძმა თვისი კაცია და აზრახა ლევანს მიცემად სალიპარტიანოსი, რამეთუ ამისგან დაიპყრას ლეჩხუმიცა ლევან დადიანმან...“ (ვახუშტი, IV, 1973: 842). საბოლოოდ კაცია ჩიქვანის ხელში აღმოჩნდა მთელი ოდიში (იქვე: 845). სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული

ავსუები ისაკუთრებენ ტერიტორიას კოდორსა და ენგურს შორის და იბრძვიან მიტაცებული მიწა-წყლის შესანარჩუნებლად.

ვახუშტი აფსუა-აფხაზების საქართველოს შავიზღვისპირეთში ჩამოსახლებას და ოდიშართა მიწა-წყლის „ეგრისის მდინარემდე“ დაპყრობას XVII ს-ის მიწურულში მომხდარ ფაქტად მიიჩნევს: „ხოლო ან ეგრისის მდინარემდე უპყრავსთ აფხაზთა, და მას ზეით სამჭრის კერძო დადიანსა“ (იქვე: 783). სხვაგან აღნიშნავს: „გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს... და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავე-ბითა და ჳმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდნენ თვთ აფხაზნი და არლარა იყო დრან-დას და მოქუს ეპისკოპოსნი“ (იქვე: 845).

ამრიგად, 1681 წლისათვის აფხაზებმა შეძლეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიტაცება და საზღვრის გადმოწევა კელასურიდან ლალიძგამდე. დადიანის სამფლობელოს მიღმა დარჩა დრანდისა და მოქვის ეპარქიები. აღნიშნული მიზეზით ორივე კათედრამ არსებობა შეწყვიტა, ვინაიდან არც ერთ მათგანში ამ დროიდან მოყოლებული ქრისტიანული ღვთისმსახურება არ აღევლინებოდა (ხორავა, სძ, 3, 2000: 40).

XVIII ს-ის მეორე ნახევრის აფხაზეთის საზღვარს გიულდენშტედტი ენგურზე ავლებს და შენიშნავს: მეგრული მხარე ოდიში „გადაჭიმულია შავი ზღვის ნაპირზე, ქედის დასავლეთი ძირიდან ენგურამდე, რომლითაც ის აფხაზეთისგან არის გამოყოფილი“ (გიულდენშტედტი, I, 1962: 321). მოტანილ ამონაწერს დედანში შემდეგი განმარტება ახლავს: „შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრებიან ჯიქეთი და ალაღეთი; აღმოსავლეთით, კაბეთს ზემოთ, სონეთი ანუ სვანეთი. აფხაზეთის მოსახლეობას ქართულად ჰქვია აფხაზი, მრავლობითში – აფხაზები, ჯიქეთისას – ჯიქი, ალაღეთისას – ალაღი; ერთი უნდა იყოს ბაიერის ალანია, მეორე კი ციხია (ჯიქია)“ (იქვე).

V.2. „დადისწყლისა“ და „ეგრისწყლის“ ხეობები

ვახუშტი საყურადღებო ცნობებს გვანვდის დადისწყლისა და ეგრისწყლის ხეობების საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე: „კუალად ამ ეგურის ჩდილოთ დის დადის-წყალი, წოდებული დადის დაბის გამო. გამოსდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა, და მოდის დასავლეთად, და მიერთვის ზღუას. ამ დადის-წყლის ჩდილოთ დის ეგრისის წყალი, წოდებული ეგროსის, თარგამოსის ძის, გამო. გამოსდის მასვე კავკასს, დის დასავლეთად და მიერთვის ზღუას ილორს. ხოლო ზღვს კიდეზედ, ამ წყლის დასავლით კიდეზედ, არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით ეგრისი, დასავლით მდინარე მოქსა, და უძეს სამჯრით ზღუა და ჩდილოთ ველი“ (ვახუშტი, IV, 1973: 779).

ისტორიკოსის თქმით, დაბის სახელწოდებაა **დადი**, რამაც სახელი მისცა ენგურის ჩრდილოეთით მომდინარე დადისწყალს. 1745 წელს შედგენილ რუკაზე მოცემულია მდინარის დინების მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. სახელდებული მდინარე, ვახუშტის ცნობით, სათავეს იღებს „აღმოსავლეთის კავკასსა“ და უერთდება შავ ზღვას. მეცნიერი დადისწყალს კიდეც აღნიშნავს თავის რუკაზე, მდინარის სათავეში მცირე შენაკადებით, მაგრამ დაბა „დადის“ სახელწოდებით რუკაზე არაა დატანილი.

დადისწყლის სათავედ ვახუშტი **კავკასს** ასახელებს. კავკასი, კავკასეთი იგივე კავკასიონია. მეცნიერის მსჯელობით, დადისწყლის სათავე კავკასიონის მთავარ ქედზე კი არაა, არამედ „გამოდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა“.

ენგურის ქვემო დინებასა და ლალიძგას შორის მდებარე, XVIII ს. I მეოთხედიდან **სამურზაყანოდ** სახელდებული (ძირითადად გალის მუნიციპალიტეტი) ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის ტოპონიმ-

თა ანალიზი ცხადყოფს, რომ მდინარე „დადისწყლისა“ და დასავლეთ-ბუღი პუნქტი „დადის“ სახელწოდებით ამ მხარეში სადღეისოდ არ დასტურდება. ვახუშტის ცნობას კი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სხვა წერილობითი წყაროები ამ ობიექტებს არ ასახელებს.

დადისწყლის სალოკალიზაციოდ მეტად საგულისხმოა ცნობა, რომ წალენჯიხის ეპისკოპოსის სამწყსო ჭანისწყლის ხეობიდან დასავლეთით, დადისწყლამდე ვრცელდებოდა (ვახუშტი, IV, 1973: 778). ამასთანავე, ვახუშტი დადისწყალს ბედიის საეპისკოპოსოს საზღვრად მიიჩნევს (იქვე: 780). მაშასადამე, „ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისი“ ტერიტორია წალენჯიხელის მფლობელობაშია, ხოლო „დადისწყალ-მოქვისწყლის შუამდინარეთს ბედიელი ეპისკოპოსი განკარგავს. ამ ორი საეკლესიო ერთეულის გამყოფი საზღვარი სწორედ დადისწყალზე გადიოდა.

ოდიშის ამ ნაწილის ვახუშტისეულ მონაცემს თუკი შევადარებთ თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიული რუკების მონაცემებს, აშკარად თვალშისაცემი შემდეგი სურათი გამოიკვეთება: ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული „დადის მდინარე“ ეწოდება მდინარეს ჭანისწყალსა და მოქვისწყალს შორის.

თ. ბერაძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ენგურის დასავლეთით, სამურზაყანოდ სახელდებულ ტერიტორიაზე, მოედინება შედარებით დიდი მდინარეები, შემდეგი თანმიმდევრობით: ერისწყალი, ოქუმი, ლალიძგა და მოქვი. მაგრამ რამდენადაც ვახუშტის წარმოდგენა ოდიშის ამ ნაწილის მდინარეებზე მეტისმეტად ბუნდოვანია, ჩამოთვლილ მდინარეთაგან მას ერთი გამორჩენია (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 63).

დადისწყლის სალოკალიზაციის თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ვახუშტის შემდეგი ცნობა: „ზღვის კიდებედ, ამ წყლის დასავლეთს კიდებედ, არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით ეგრისი. დასავლით მდინარე მოქვისა, და უძეს სამყრით ზღვა და ჩდილოთ ველი“ (იქვე: 779-780).

როგორც მოტანილი ამონაწერით ვრწმუნდებით, სახელოვანი მეცნიერი ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მდებარეობას მიუთითებს „ზღვის კიდებედ“, ეგრისწყალსა და მოქვისწყალს შორის. ილორი, თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, სოფელი

და თემის ცენტრია ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში. რაიონულ ცენტრს – ოჩამჩირეს – დაშორებულია 3 კმ-ით. ილორის თემი აერთიანებს სოფლებს: სუკი, ზენი, ილორგანი, ნაგვალოუ. სოფელი ზღვის პირას, ზ. დ. 10 მ-ზე და ლალიძგის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ამასთანავე, ილორის თემში შემავალი ზენი და სუკიც უშუალოდ ლალიძგის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფლებია.

მამასადამე, მდინარე, რაც ვახუშტის მიხედვით, ილორთან უერთდება ზღვას, თანამედროვე ლალიძგა, ან კიდევ ანარია//ოხურეინყარია. ლალიძგის სიგრძე 53 კმ-ია. სათავეს იღებს არგმ(გ)უას//არრგმუასა და ჩამჭარის კალთებიდან და უერთდება შავ ზღვას ილორსა და ოჩამჩირეს შუა.

თუკი ჩავთვლით, რომ ვახუშტის მიერ მოხსენიებული „ეგრისწყალი“ იგივე **ლალიძგაა**, მაშინ მეცნიერს ილორის მდებარეობა არასწორად აქვს მოცემული. ილორი, როგორც ზემოთ ვთქვით, ლალიძგის მარცხენა მხარეს მდებარეობს; ვახუშტის მიხედვით კი ილორის ეკლესია ეგრისწყლის „დასავლეთს კიდეზედ“, ე.ი. მდინარის მარჯვენა მხარესაა. ამავე მხარეს, ილორის დასავლეთით, ვახუშტის ჩვენებით, – მოქვისწყალი, ხოლო ილორის აღმოსავლეთით ეგრისწყალი მოედინება.

ილორში, როგორც აღვნიშნეთ, ჩამოედინებოდა აგრეთვე მეორე, შედარებით პატარა მდინარე ოხურეი//ოხურ(ე)ინყარი, რაც სათავეს იღებს რეკასა და პატრახუნაში. სიგრძე დაახლ. 24 კმ-ია. მარჯვენა მხრიდან შეერთვის ანარია//ანარიანყარი და ამის შემდეგ ორივე სახელს ატარებს. ნაგვალოუსა და ილორში მდინარე უფრო მეტად ოხურეინყარის სახელითაა გავრცელებული.

თუკი ვახუშტის ჩვენებას (რომ ილორს „უდის აღმოსავლით ეგრისი“) ილორის ეკლესიის ახლანდელი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით გავიაზრებთ, მაშინ საფიქრებელია, რომ მეცნიერი ეგრისწყალში სწორედ ანარია//ოხურეინყარს გულისხმობდა. მაგრამ ამ მოსაზრების სისწორის დაშვების შემთხვევაში არანაკლებ სერიოზული დაბნეულობის ფაქტად მიიჩნეოდა ილორის ეკლესიის დასავლეთით მოქვისწყლის დინების მითითება („ამას უდის... დასავლით მდინარე მოქვისა“), მაშინ, როდესაც გეოგრაფიულადაც და ილორთან სიახლოვის გათვალისწინებით, ლალიძგის და-

სახელდება ვახუშტის მიერ უფრო გამართლებული და უპრიანი იყო, ვიდრე მოქვისწყლისა.

თანამედროვე აფხაზეთის მდინარეთა დინების თანმიმდევრობას და ვახუშტის ცნობებს ერთმანეთს თუ შევუდარებთ, მაშინ „დადის მდინარეში“ ერისწყალი ან ოქუმი უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო ეგრისწყალი ანარია-ოხურეინწყარის ან ლალიძგის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო. ამათგან ენგური სათავეს იღებს უშუალოდ კავკასიონის ქედიდან, დანარჩენი სამი კი – კავკასიონის სისტემაში შემავალი ქედებიდან (მცირე კავკასიონიდან). ვახუშტის მონაცემებით, ოთხივე მდინარე შავ ზღვას ერთვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საუკუნეების განმავლობაში ეპარქიის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, ტერიტორიულ მოწყობასა და საზღვრების ჩამოყალიბებას დიდწილად სწორედ გეოგრაფიული თავისებურებები განაპირობებდა.

კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს და განვიხილოთ წერილობითი წყაროები და ლიტერატურა ამ ორი მდინარის – ეგრისწყლისა და დადისწყლის ლოკალიზაციის შესახებ.

თუკი საკითხს წერილობითი წყაროების პირდაპირი და მკაფიო ჩვენების არარსებობის გამო გამორიცხვის მეთოდით მივუდგებით, ამასთანავე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას შეიძლება რაიმე მნიშვნელობა მიენიჭოს ამა თუ იმ მდინარის თავისებურებას (მაგალითად, სიდიდეს), მაშინ ილორის ეკლესიის მახლობლად და მის აღმოსავლეთით, შავ ზღვაში ჩამდინარე ანარია-ოხურეინწყარის ვახუშტისეულ „ეგრისწყლად“ მიჩნევა უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან, აღნიშნული მდინარე ლალიძგასა და ოქუმთან შედარებით გაცილებით მცირე სიდიდისაა (სიგრძე 24 კმ) და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ამ მდინარეს ასე თუ ისე განცალკევებული ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნისა“ თუ ეპარქიის, როგორც საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულის, ტერიტორიული მოწყობისათვის ხელსაყრელი პირობები შეექმნა. მაშასადამე, მდინარე ანარია-ოხურეინწყარი, თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე, ოდიშის დასავლეთი ნაწილის პოლიტიკურ და საეკლესიო გეოგრაფიაზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენდა.

ზემოთ აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით შემდეგი გარემოება იკვეთება: ვახუშტის მიხედვით, ილორის ეკლესიის აღმოსავლეთით, შავ ზღვაში ჩამდინარე „ეგრისწყალი“ ოქუმის მარჯვენა შენაკადი – ოხოჯე უნდა იყოს (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, თ. ბერაძე), მაგრამ არის თუ არა ეს ვარაუდი სიმართლესთან ახლოს, ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით.

ეგრისწყლის ლოკალიზაციის საკითხს ვრცლად შეეხო თ. ბერაძე. მან ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ეგრისწყალზე მსჯელობისას ვახუშტი იყენებს და იზიარებს ლეონტი მროველის მოსაზრებებს. XI საუკუნის მემატიანეს მიაჩნდა, რომ ახლანდელი ბედიის ტერიტორიაზე მდებარეობდა ეგრისელთა ეპონიმის – ეგროს თარგამოსის ძის მიერ დაარსებული ქალაქი („ქ. ცხ.“, I, 1955: 5).

ბედიის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგ ცნობებს გვანდის: „ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თვისი. არამედ ამას შემდგომად უწოდეს ბედია, რომელ დასვა ა (პირველმა – ი. კ.) მეფემან ფარნაოზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთისა, ვინაითგან ჰპოვა ბედი“ (ვახუშტი, IV, 1973: 780).

როგორც ვხედავთ, ლეონტისა და ვახუშტის შეხედულებებს შორის არსებითი განსხვავება ბედიის დაარსებასა და სახელწოდების წარმოშობაზე არ შეინიშნება. თ. ბერაძე „ეგრისწყლის“ იდენტიფიკაციაზე მსჯელობისას იმეორებს ივ. ჯავახიშვილის ვარაუდს და აღნიშნავს: „ვახუშტი ბატონიშვილის შეხედულებით, თითქოს ეგრის-წყალი დღევანდელი მდინარე ოხოჯე უნდა იყოს: ბატონიშვილი-მეცნიერის აზრით, ეგრის-წყალი ილორის აღმოსავლეთით შეერთვის ზღვას. მდინარე ოხოჯე მდინარე ოქუმის შენაკადია, ხოლო უკანასკნელი სწორედ ილორის აღმოსავლეთით შეედინება ზღვაში“ (ბერაძე, სიგკ, III, 1967: 134-135).

ბედია სოფელი და ამავე სახელწოდების თემის ცენტრია ახლანდელ გალის მუნიციპალიტეტში და მდებარეობს ოხოჯის მარჯვენა ნაპირას, ზ. დ. 160 მ. გალს 20 კმ-ითაა დაშორებული. ამასთანავე, აგუბედია ეწოდება სოფელს აგუბედიის თემში, რაც ზ. დ. 120 მ-ზეა და ოჩამჩირეს 21 კმ-ითაა დაშორებული. სოფლის სახელწოდების ად-

გილობრივი მეგრული ვარიანტი **გურბედია** და ისტორიული ვარიანტი **გულიბედია** „შუა ბედიას“ ნიშნავს. XVIII საუკუნიდან, ამ მხარეში აფხაზური მოსახლეობის დამკვიდრების შემდეგ, უნდა წარმოქმნილიყო სოფლის სახელწოდების აფხაზური ეკვივალენტი აგუბედია „შუა ბედია“. სწორედ ამ სოფელში, ოხოჯის მარჯვენა ნაპირას, სერზე დგას ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი – ბედიის სამონასტრო კომპლექსი, რაც აერთიანებს ეკლესიას, სამრეკლოსა და სასახლეს (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 228).

ვახუშტი, როგორც ზემოთ დამონმებული ამონაწერიდან ჩანს, ბედიის მდებარეობას მიუთითებს „ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა“. მაშასადამე, ეგრისის მდინარეში გულისხმობდა ოქუმწყარის მარჯვენა შენაკადს – ოხოჯეს, რაც ლაშქინდარ-ოისგრის ძირას, სოფ. აძხიდაში იღებს სათავეს და ბულიშხინჯში შეერთვის ოქუმწყარს. თვით ოქუმწყარის – სამურზაყანოს ერთ-ერთი დიდი მდინარის, სათავე კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზეა. მდინარის სიგრძე 56 კმ-ია და ჩაედინება შავ ზღვაში, სოფ. მეორე გუდავის ტერიტორიაზე.

„ეგრისწყლისა“ და ოხოჯეს იგივეობის დაშვების შესაძლებლობას, როგორც ფიქრობდა ივანე ჯავახიშვილი, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს, ჩვენი აზრით, მეტად ანგარიშგასანევი და მნიშვნელოვანი გეოგრაფიული კანონზომიერება – მდინარის თავისებურება, და, კერძოდ, მისი სიდიდე. ისტორიული წყაროებისა და სადღეისო ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული თუ საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები (ეპარქიები) ერთმანეთისაგან ძირითადად დიდი (ან შედარებით დიდი) მდინარეებით იმიჯნებოდა. ასე, მაგალითად, ოდიში (ახლანდ. სამეგრელო) იმერეთისაგან ძველად და ახლაც ცხენისწყლით იყო და არის გამოყოფილი; გურიის საზღვარი ძირითადად რიონს მიუყვება; თანამედროვე აფხაზეთისა და სამეგრელოს გამყოფს ენგური წარმოადგენს და ა. შ.

ოხოჯეც, ანარია-ოხურენწყარის მსგავსად, პატარა მდინარეა, რაც მარჯვნიდან შეერთვის ოდიშის ერთ-ერთ შედარებით დიდ მდინარეს – ოქუმს. ამ ორი მდინარის შესართავსკვემით, შავი ზღვის შესართავამდე, მდინარე დღესაც ოქუმის//ოქუმწყარის სახელითაა ცნობილი და, იმის მიუხედავად, რომ ვახუშტი ისტორიული ოდიშის დასავლეთი ნაწილის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერისას მდინარეს არც

ამ სახელწოდებით მიუთითებს, სხვა წერილობითი წყაროთი დასტურდება, რომ ვახუშტის დროს (XVIII ს. I ნახევარი) და მასზე ბევრად ადრეც, აღნიშნული მდინარე სწორედ „ოქუმის“ სახელს ატარებდა. ვგულისხმობთ ლამბერტის შემდეგ ცნობას: „ოქუმის იქით ეგრისია (Echalis) და ეგრისის იქით – მოქვისწყალი“ (ლამბერტი, 2011: 201).

საინტერესო საკითხზე მსჯელობა მოცემულია ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომში. სახელოვანი მეცნიერი შენიშნავს, რომ ლეონტი მროველის მიერ მიითითებულ მხარეში „ეგრის“ სახელწოდებით პუნქტის (ქალაქის, გორის) არსებობის უარყოფელი საბუთი არ გაგვაჩნია. ამის მოწმობად მას **ეგრისწყალი** და **ინგირი** მიაჩნია. პუნქტი **ეგრი** (გორა, თემი, „ქალაქი“), რამაც სახელი მისცა მდინარეს, ისტორიულ-გეოგრაფიულად აქ სადღაც უნდა არსებულებო (შდრ. ბახვისწყალი, აჭარისწყალი, ხანისწყალი, ცხენისწყალი...). მაშასადამე, ლეონტის დროს არსებული გადმოცემა იმ ადგილას „ეგრის“ არსებობის შესახებ, რასაც „ან ჰქვან ბედია“, საფუძვლიანი უნდა იყოს „და რომ ეს „გორა“ იყო „ცენტრი“, საიდანაც ამ პუნქტის, თემის სახელი, ქვეყნის (ეგრი) სახელად იქცა“ (ბერძენიშვილი, 1990: 112-113).

ქართველ მკვლევართა ძირითად ნაწილს მიაჩნია, რომ ეგრისწყალი იგივე ლალიძგაა. „ხოლო ეგრისის მდინარე ეწოდების ლალიძგას“, – წერდა ნიკო დადიანი (დადიანი, 1962: 153). ეგრისწყლისა და ლალიძგის იგივეობის თვალსაზრისს მხარს უჭერდა პ. ინგოროყვა, რომელიც აღნიშნავდა, რომ თვით მდინარის სახელწოდება „ლალიძგა“ მეგრულად სიტყვასიტყვით ნიშნავს მოსაზღვრე მდინარეს, ანუ ღელე კიდისა. მკვლევარმა არქანჯელო ლამბერტის მიერ მოხსენიებული **Echalis** გაიაზრა როგორც „ეგრისი“ და გამოთქვა ვარაუდი, რომ ლალიძგას ძველი სახელწოდება ეგრის-წყალი შერჩენილი ჰქონდა XVII-XVIII საუკუნეებამდე (ინგოროყვა, 1954: 128, სქოლიო). დავაზუსტოთ: ლალიძგა უნდა გავიაზროთ როგორც „ღელის კიდე“, „ღელისპირი“.

მკვლევარი არჩილ ბარამიძე იმ აზრისა იყო, რომ ეგრისისწყლის გაიგივება ლალიძგასთან დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან, „...ვახუშტი არ აღნიშნავს რა მდინარე ეგრისის ახალ სახელწოდებას, მიუთითებს, რომ ეს მდინარე შავ ზღვას ერთვის ილორთან. ხოლო ილორის ახლოს, მის დასავლეთით, როგორც ცნობილია, მართლაც მოედინება მდ. ლალიძგა“ (ბარამიძე, №5, 1963: 104).

თ. ბერაძე ვრცლად მიმოიხილავს ეგრისის ლოკალიზაციის შესახებ არსებულ ისტორიოგრაფიას, მათ შორის ჩვენ მიერ ზემოთ დამონმბულ მკვლევრებს (დავით ბატონიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, ნიკო დადიანი, მარი ბროსე, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ა. ბარამიძე და სხვები), და ადრეანტიკური ხანის წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური აღმოჩენების გათვალისწინებით, ამტკიცებს, „რომ ლეონტი მროველის ეგრისწყალი სწორედ დღევანდელი ენგურია და პუნქტი ეგრისი მის ნაპირზეა საძებნი“ (ბერაძე, სიგკ, III, 1967: 141).

ქართული წერილობითი წყაროების „ეგრისწყლის“ ლოკალიზაციის საკითხს შეეხო დ. მუსხელიშვილი, რომელმაც მართებულად მიიჩნია მკვლევარ თ. ბერაძის მოსაზრება ენგურის სახელის „ეგრ“ ფუძესთან დაკავშირებისა და მეგრელების პირველსაცხოვრისად წარმოდგენის შესახებ (იქვე: 140), მაგრამ „ენგური“//„ეგური“ და „ეგრისწყალი“ ერთი და იგივე რომც იყოს, დ. მუსხელიშვილის მართებული აზრით, „ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული წყაროების „ეგრისწყალი“ იგივე დღევანდელი ენგურია“ (მუსხელიშვილი, I, 1977: 107). თავისი მოსაზრების გასამყარებლად მეცნიერი იშველიებს იმ არგუმენტს, რომ ვახუშტისათვის ენგური და ეგრისის წყალი აშკარად განსხვავებულია (იქვე). და მართლაც, ბატონიშვილს ამ ორი მდინარის იგივეობაზე რომ ეფიქრა, მაშინ თავის ნაშრომში ეგურსა და ეგრისწყალს ცალ-ცალკე როდი მოიხსენიებდა. ასევე ვახუშტის რუკებზე ჩვენთვის საინტერესო მდინარეები დატანილია შემდეგი თანმიმდევრობით: ეგურისწყალი (ენგური), დადისწყალი, ეგრი (ილორის აღმ-ით). მაშასადამე, იგი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან ეგრისწყალსა და ეგურს (ენგურს).

საინტერესოა ჰიდრონიმ „ლალიძგის“ ეტიმოლოგიაზე მკვლევართა დაკვირვებაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვას სახელწოდება „ლალიძგა“ ესმოდა როგორც „ღელე კიდისა, მდინარე საზღვრისა“ (ინგოროყვა, 1954: 128). ეს მოსაზრება გაიზიარა თ. ბერაძემაც და აღნიშნა, რომ კიდე-მდინარის აღმნიშვნელი სახელი „ლალიძგა“ საფიქრებელია წარმოადგენდა ცხუმისა და ოდიშის საერისთავოს შორის საზღვარს (ბერაძე, სიგკ, III, 1967: 168).

ბ. გოგიას ვარაუდით, ეგრის-წყალს და მიმდებარე სოფელ ეგრისს ლალიძგა → ლალიძგა პოლიტიკური მნიშვნელობით (განაპირა, საზღ-

ვარ-მდინარე) მას შემდეგ უნდა დარქმეოდა, რაც აფხაზეთის მთავრებმა ტერიტორია დაიპყრეს და გაიფართოვეს ამ ეგრის-წყლამდე. ერთი ქართველური სახელწოდების შეცვლა მეორით, ავტორის აზრით, 1650-იან წლებში უნდა მომხდარიყო (გოგია, №3, 1990: 81).

პ. ცხადაია გამოხატავს კრიტიკულ დამოკიდებულებას ლალიძგის სახელწოდების „საზღვარ-მდინარედ“ გააზრებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მართებულად მიიჩნევს, რომ აფხაზეთის მიერ **აალზგად** წოდებული ლალიძგა ლექსიკურად, სტრუქტურულად და ნომინაციის ტრადიციითაც მეგრული ტოპონიმიკური სისტემის კუთვნილებაა. მკვლევარი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ლალიძგა თავდაპირველად ადგილმდებარეობის, კერძოდ, დასახლებული პუნქტის სახელი უნდა ყოფილიყო, რაც დასტურდება ისტორიული წყაროებითაც (ცხადაია, 2004: 41).

ი. ყიფშიძის განმარტებით „ლალიძგა“ სიტყვასიტყვით ნიშნავს მდინარის ნაპირს (*берег реки*) (ყიფშიძე, 1994: 577) და ეს სახელი თავდაპირველად სოფელს უნდა დარქმეოდა. პ. ცხადაია ლექსიკურ-გრამატიკული და მოტივაციის თვალსაზრისით მართებულად მიიჩნევს ჰიდრონიმ „ლალიძგის“ ყიფშიძისეულ განმარტებას და საკვლევი ტოპონიმის ახლებური ეტიმოლოგიზაციისათვის იქვე იმონმებს გონელი არახამიას მოსაზრებას. ბატონი გონელიც, ი. ყიფშიძის განმარტების დამონმებით, იმ აზრისაა, რომ ლალიძგა დასახლებული პუნქტის – აწინდელი ბესლახუბას ძველი სახელწოდებაა. სოფლის სახელი შემდეგ მდინარეზე გადავიდა. ამდენად, გ. არახამიას მოსაზრებით, „ლალიძგა“ ეტიმოლოგიურად საზღვრის, მიჯნის ცნებას არ უკავშირდება. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ლალიძგა XVIII ს. დასაწყისამდე არც ეთნოგრაფიულ და არც პოლიტიკურ ერთეულებს შორის სასაზღვრო მდინარე არ ყოფილა (არახამია, 1998: 192-202; ცხადაია, 2004: 41-42).

პ. ცხადაია იმონმებს **ძგა** „ნაპირი“ მეტაფორული გეოგრაფიული ტერმინის შემცველ სამეგრელოს მიკროტოპონიმურ მასალას (**ლალძგა** „ლელისპირი“, **ლაიჩაძგა...**) და დაასკვნის: სახელწოდება ლალიძგა მეტონიმიის გზით (აგრონიმი→ოიკონიმი→ჰიდრონიმი) უნდა წარმოქმნილიყო. ამას მოწმობს ისტორიული წყაროებიც. მაშასადამე, დაასკვნის მკვლევარი, დასახლებული პუნქტის სახელი ეწოდა იმ მდინარეს, რაც მას ჩაუდიოდა (ცხადაია, 2004: 45).

ღალიძგის სახელწოდების „საზღვრის (თუ სასაზღვრო) ღელედ“ გააზრების უმართებულობის მიუხედავად, ვფიქრობთ, ხელი არ უნდა შეგვეშალოს იმაში, რომ ჯუანშერის, ლეონტი მროველისა და ვახუშტის მიერ რამდენიმეგზის (სხვადასხვა სიტუაციაში) მოხსენიებული „ეგრის წყალი“, „ეგრის მდინარე“ ღალიძგის უწინდელ სახელწოდებად გავიაზროთ. ამ კუთხით მეტად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ლამბერტის რუკაზე, ოქუშსა და მოქვისწყალს შუა გამოსახული მდინარე იწოდება **Echalis**-ად. ამავე მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ეკლესიის პირობითი ნიშნით მონიშნულია **Echalisgas**, რაც, საფიქრებელია, რომ სწორედ დასახლებული პუნქტის სახელწოდების – ღალიძგის (ანინდელი ბესლახუბა) შესატყვისი უნდა იყოს (ცხადაია, 2004: 44-45).

ლამბერტის რუკაზე აღნიშნული **Echalis** პ. ინგოროყვამ გაიაზრა როგორც „ეკარისი“ (ეგრისი), და გარეგნულ მსგავსებაზე დაყრდნობით გამოთქვა ვარაუდი, რომ ღალიძგას ძველი სახელწოდება ეგრის-წყალი შერჩენილი ჰქონდა XVII-XVIII საუკუნეებამდე (ინგოროყვა, 1954: 128, სქოლიო). საქმე ისაა, რომ ლამბერტის რუკაზე, ოდიშის დასავლეთ ნაწილში, მდინარის სახელწოდებად მკაფიოდ იკითხება **Echalis**, ხოლო ამ მდინარის მარჯვენა ნაპირას – ეკლესია **Echalisgas** (ღალიძგა).

„ეგრისწყლისა“ და ღალიძგის იდენტიურობაზე ვრცელი მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ თვალნათლივ დაგვეჩინა, თუ დღემდე რაოდენ აქტუალური და ფასეულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში აღნიშნული ჰიდრონიმის ლოკალიზაციის გარკვევის საკითხი. ამასთანავე, ეგრისწყლის ღალიძგასთან იგივეობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების მართებულობა დაგვეხმარება მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი და წერილობით წყაროებში მოცემული კიდევ ერთი ბუნდოვანი ცნობის, კერძოდ, ვახუშტისეული **დადისწყლის** („დადის მდინარე“) იდენტიფიკაციის გარკვევაში. მისი ცნობის თანახმად დადისწყალი „გამოდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა, და მოდის დასავლეთად“ (ვახუშტი, IV, 1973: 779).

თ. ბერაძის აზრით, ეგრის-წყალი ხელოვნურ-ლიტერატურული ხასიათის სახელწოდებაა და მეგრული ენისათვის მდინარეთა სახელების ასეთი წარმოება უცხოა (ბერაძე, სიგკ, III, 1967: 140). დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, რომ ჰიდრონიმები – ეგრისწყალი და ეგრე-სუ (მდინარე კლარჯეთში) ადგილობრივი მეგრულ-ჭანური სახელწოდე-

ბის თარგმანს წარმოადგენს და ასეთი ადგილობრივი ჰიდრონიმების არსებობაზე მიუთითებს (მუსხელიშვილი, I, 1977: 107).

პ. ცხადაია იმონმებს გ. კლიმოვის ნაშრომს (კლიმოვი, 1962: 99) და თვლის, რომ ქართული **-ის** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი გეოგრაფიულ სახელებში სიტყვანარმოებითი ძალის მქონეა და სადერივაციო ფუნქცია, გარკვეული ხარისხით, საფიქრებელია, რომ ქართველურ ფუძეენაშენიც ჰქონოდა. **-ის** ბრუნვის ნიშნის მეგრულ-ჭანურ შესატყვისს წარმოადგენს **-იშ**, თანდართული **-ი** ემფატიკური ნიშნით (ცხადაია, 2004: 34).

თ. ბერაძის მიერ „ეგრის-წყლის“ „ხელოვნურ-ლიტერატურული ხასიათის სახელწოდებად“ მიჩნევის შესახებ გამოთქმული მოსაზრების მცდარობაზე მიანიშნებს საილუსტრაციო მასალა თვით სამეგრელოს ჰიდრონიმიდან, სადაც მდინარეთა სახელწოდებების **-ის** სუფიქსით ნაწარმოები ოფიციალური ვარიანტების პარალელურ ფორმებად დასტურდება არაოფიციალური ფორმებიც. მაგ.: აბაშისწყალი//აბაშაწყარი, ხობისწყალი//ხობ(იშ)წყარი, ჭანისწყალი//ჭენწყარი//ნენწყარი, ცხენისწყალი//ცხენწყარი... მაშასადამე, ვახუშტის „აღწერაში“ დამონმებული ჰიდრონიმებიც – „დადისწყალი“ და „ეგრისწყალი“ **-ის** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით უნდა იყოს წარმოებული. მეგრულ-ჭანური შესატყვისი კი უნდა ყოფილიყო **დადიშწყარი//დად(ა)წყარი** და **ეგრიშწყარი//ეგრი(ა)წყარი**.

გავიხსენოთ ოდიშის დასავლეთი ნაწილის ვახუშტისეული აღწერა: „ამ ეგურის ჩდილოთ დის დადის წყალი ნოდებული დადის დაბის გამო. გამოდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა, და მოდის დასავლეთად, და მიერთვის ზღვას. ამ დადის წყლის ჩრდილოთ დის ეგრისის-წყალი“ (ვახუშტი, IV, 1973: 779). ამასთანავე, ოდიშის ეპისკოპოსი „მწყემსი არს ან დადისწყლისა და მოქვისწყლის შუათისა ადგილთა“ (იქვე: 780).

თხზულებიდან ირკვევა, რომ დადისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული წალენჯიხელი ეპისკოპოსის მფლობელობაშია.

თუკი ეგრისწყლისა და ლალიძგის იგივეობის თვალსაზრისს სარწმუნოდ მივიჩნევთ, ამასთანავე, ოდიშის დასავლეთი ნაწილის გეოგრაფიული ვითარების შესახებ არსებული წყაროთმცოდნეობითი მასალისა და ზემოთ დამონმებული სხვა სახის მონაცემების დისკურ-

სიული მსჯელობა-გაანალიზებითაც, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საკვლევი ჰიდრონიმის („დადის მდინარის“, „დადისწყლის“) გავრცელების არეალი ენგურ-ლალიძის შუამდინარეთით იფარგლება (ზემოთ ითქვა, რომ ნალენჯიხელის სამწყსო ენგურის ქვემო დინების მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორიასაც მიითვლიდა).

ვახუშტის ცნობებისა და სადღეისო ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების ურთიერთშედარებით ძალაუნებურად იმ აზრისაკენ უნდა გადავიხაროთ, რომ დადისწყალი//დადის მდინარე ორი შედარებით დიდი მდინარიდან (ერისწყალი, ოქუმი//ოხოჯე) ერთ-ერთის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ვახუშტის დროს, XVIII ს. I ნახევარში, მდ. ოქუმის სახელწოდება უკვე ცნობილი იყო. მართალია, მას ვახუშტი არც ერთხელ არ ახსენებს, მაგრამ სამაგიეროდ კოლხიდის (ოდში, სამეგრელო) მდინარეებზე მსჯელობისას არქანჯელო ლამბერტი წერს: „ენგურის იქით არის ხეთი (Heti), რომელსაც სიპატარავის გამო რუკებზე არ აღნიშნავენ, თუმცა ღირსშესანიშნავია თევზის სიუხვით; ზღვას შეერთვის გაგიდასთან. ხეთს იქით არის ოქუმი... ოქუმის იქით ეგრისია...“ (ლამბერტი, 2011: 201).

ერწყარი ოქუმის მარცხენა შენაკადია; თუმცა „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ დაბეჭდილ გალის რ-ნის სქემატურ რუკაზე მდინარე შეცდომით უშუალოდ მიერთვის შავ ზღვას (ქსე II, 1997: 24; იხ. აგრეთვე ცხადაია, 2004: 33).

პ. ცხადაიას მოსაზრებით, ლამბერტის თხზულებაში მოხსენიებული ხეთი (Heti) და მასზე დართულ, 1654 წლის რუკაზე აღნიშნული Heti-scari იგივე ერ(ი)წყარია (ცხადაია, 2004: 33). ერისწყალი (ერწყარი) სათავეს იღებს ერთიშში. ასე ეწოდება ხეობას და ტყე-საძოვრებს გალისა და ნალენჯიხის მუნიციპალიტეტების საზღვარზე.

ეგრისის ქვეყანაში ქალაქ ეგრის არსებობაზე ვახუშტიც მიუთითებს და აღნიშნავს: „ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი“ (ვახუშტი, IV, 1973: 775); „ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ეგრი“ (იქვე: 780). ამ ქალაქისთვის მოგვიანებით ბედა უწოდებიათ.

მკვლევარი ვახტანგ გოილაძე ერთმანეთისგან მიჯნავს „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებულ ეგრისის ქვეყანას და მეგრელთა ეპონიმის – ეგროსის მიერ აშენებულ ქალაქ ეგრს (გოილაძე XII, 2010: 61). იგი არ იზიარებს

„ეგრისა“ და „ეგრისის“ იდენტური შინაარსის – ქვეყნის (ეგრისის) აღმნიშვნელ სახელებად მიჩნევის შესახებ თ. ბერაძისა და ს. ყაუხჩიშვილის თვალსაზრისს და დასძენს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი აღნიშნული სახელების იდენტიფიკაციის საფუძველს არ იძლევა (იქვე: 61-62). ძველ ქართულ წერილობით წყაროებში დამონმებული „ეგრისი“ დასავლურქართულ სახელმწიფოს – ეგრისს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ ძველი ქართველი ავტორის ცნობაში („...შემდგომად მცირედთა ჟამთ შვეიდა არჩილიცა ეგრადვე“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 233), ვ. გოილაძის აზრით, **ეგრისის ქვეყანა** არ იგულისხმება. „ქართლის ცხოვრების“ რედაქციებში შესაბამისი ტექსტები რომ განსხვავებულად იკითხება („ეგრსა შინა“, „ეგრსა“, „ეგრის“, „ეგრისს“, „ეგრისსა“), იმაზე მეტყველებს, რომ „ეგრი“ და „ეგრისი“ ტექსტში არეულია (იქვე: 62).

მკვლევარი იმონმებს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის ტექსტს, სადაც ვკითხულობთ: ქართლის მთავრებმა „მთელი თავისი ქონება დაფლეს (დამალეს) სხვადასხვა ადგილს, რომ ისმა- [იტ]ელთ არ ენახა და გაიქცნენ ეგრისს“. მათ დადევნებულმა არაბთა სარდალმა „აილო ციხე ეგრისა“ (აბულაძე, 1953: 195; გოილაძე, XII, 2010: 63). თარგმანში ცალცალკეა დასახელებული ქვეყანა „ეგრისი“ და ამ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე „ეგრის ციხე“ (იქვე: 63).

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ზოგიერთ მონაკვეთში „ეგრის“ (ქალაქის) და „ეგრისის“ (ქვეყნის) სახელების აღრევა თვით ლეონტიდან მოდის თუ ტექსტის გვიანდელ გადამწერთაგან, ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ტექსტში ქალაქის და ქვეყნის სახელი ხშირად არეულია“, – დაასკვნის ვ. გოილაძე (იქვე: 63).

საინტერესოა მკვლევრის დაკვირვება იმ ტერიტორიის კუთვნილების შესახებ, სადაც იდგა ეგროსის სახელზე აგებული ციხე. ძველი ქართული წყაროების ცნობებით, ეს ციხე ეგრისწყლის ჩრდილოეთით მდებარეობდა. ეგრისწყალი//ლალიძეა ჩრდილო-დასავლეთიდან საზღვრავდა „შიდა ეგრისს“. გამოთქმულია მოსაზრება (პ. ინგოროყვა), რომ აფხაზეთსა და „შიდა ეგრისს“ შორის მდებარეობდა ეთნოგრაფიულად და ისტორიულად შიდა ეგრისთან, ხოლო ხანმოკლე დროის განმავლობაში პოლიტიკურად აფხაზეთთან დაკავშირებული ბუფერული ზონა („ეგრის-წყალსა და კლისურს შუა ქუეყანა“).

მისი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი კლისურის (კორახის) კედელს („ზღუდე, საზღვარი“) გასდევდა, ჩრდილოეთით ბუნებრივ მიჯნას – ფანავის ქედს აღწევდა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით შავ ზღვამდე ვრცელდებოდა. „შუა სოფლად“ ნოდებული ეს ბუფერული ზონა ადრე შუა საუკუნეებში ეგრისის ნაწილს შეადგენდა და მეგრელებით იყო დასახლებული (ინგოროყვა, 1954: 128-120).

ქართლიდან ლტოლვილი ერისმთავრის – სტეფანოზ II-ის ეგრე-შივე დაკრძალვის ფაქტს ვ. გოილაძე იმ გარემოებით ხსნის, რომ ლალიძგასა და კლისურას შორის ჯავახეთის სანაცვლოდ უმცროსი ძმის – მირდატისაგან მიღებული ტერიტორია დაჩის საკუთრებას, მაშასადამე, ფარნავაზიანთა სამეფო სახლის საკუთრებას წარმოადგენდა. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ქართლიდან ლტოლვილი სტეფანოზ II-ის ოჯახის ქალაქ ეგრში და არა საერთოდ ეგრისში დამკვიდრება, ხოლო სტეფანოზ II-ის გარდაცვალების შემდეგ მისი დაკრძალვა სწორედ ქალაქ ეგრში (შემდგომდროინდელ ბეღიაში) (გოილაძე, XII, 2010: 64-66).

V.3. მოქვისა და კოდორის ხეობები

მოქვის ხეობა. სოფელი მოქვი. ეგრისწყლის შემდეგ მეცნიერი ეხება ოდიშის დასავლეთ ნაწილს, მოქვისა და კოდორის ხეობებს, რაც თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილებით აფხაზეთის ტერიტორიაზეა მოქცეული: „...ამ ეგრისის მდინარის დასავლით დის **მოქვს მდინარე** ჩდილოდამ სამჭრით. გამოსდის კავკასს და მიერთვის ილორს ზღუას. ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს **მოქუს** ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები. აღაშენა... თ~ მეფემან აფხაზთამან ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვს მდინარის შორისის ადგილისა. არამედ ეს მდინარე მოქვსა დის მოქუამდე აღმოსავლიდამ დასავლეთად“ (ვახუშტი, IV, 1973: 780-781).

მოქვის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, მოქვისა და მისი შენაკადის – დვაბის შესართავთან. ოჩამჩირეს 17 კმ-ით არის დაშორებული. მოქვიც რაიონის ტერიტორიაზე მოედინება. მდინარის სიგრძე 47 კმ-ია, აუზის ფართობი 336 კმ²-ს შეადგენს. სათავეს იღებს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2560 მ-ზე და სოფ. ჯუყმურის მახლობლად შეერთვის შავ ზღვას (აფხაზავა, ქსე, VII, 1984: 148). ამასთანავე, მოქვი ენოდება სოფელსა და თემის ცენტრს მოქვის ნაპირზე. რაიონულ ცენტრს – ოჩამჩირეს 17 კმ-ითაა დაშორებული და ზ. დ. 130 მ-ზე მდებარეობს.

მოქვის დინების ვახუშტისეული აღწერა მცდარია. მდინარე ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთით მიედინება, შემდეგ – ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მოქვისწყალი აღნიშნულია კასტელის 1654 წლისა და შარდენის 1672 წლების რუკებზე.

მოქვის ტაძრის მშენებლობას, როგორც ვახუშტის ნაშრომიდან მოტანილი ციტატიდან ჩანს, ვახუშტი აფხაზთა მეფე ლეონ III-ის (957-967) სახელს უკავშირებს. შესაბამისად ტაძარიც ამ წლებსმო-

რის მონაკვეთში უნდა აშენებულიყო. ჩანს, რომ მოქვზე მსჯელობისას მას უსარგებლია „მატიანე ქართლისაში“ დაცული შემდეგი ცნობით: „შეიქცა ლეონ და ეუფლა მამულისა და სამეფოსა თვისსა... ამან აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 270).

ტაძრის სიმაღლე 24 მ-ია, სიგრძე – 27 მ, სიგანე – 20 მ. ეზოში, ჭიშკართან შენობის ნანგრევებია. ტაძარი შემოზღუდულია მაღალი გალავნით. ძეგლი რთული გეგმისაა. სამნავიან ტაძარს განაპირა ნავების გასწვრივ სამლოცველოების მწკრივი მიუყვება. აღმოსავლეთი მხარის სამი შვერილი აფსიდიდან შუას – საკურთხევლისას, შიგნიდან ნალისებური ფორმა აქვს, გარედან კი ხუთნახნაგაა. შენობის ცენტრში აღმართულ ოთხ სვეტზე გუმბათია დაყრდნობილი, დაბალი, თორმეტნახნაგა ყელით. კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა მშენებელს აფრების საშუალებით განუხორციელებია. ძეგლი თლილი ქვის პერანგითაა შემოსილი. ფასადებზე ჩუქურთმები არ შეინიშნება (ზაქარაია, ქსე, VII, 1984: 148).

მოქვი და მისი შემოგარენი ოდითგანვე გამოირჩეოდა ბუნების მშვენიერებით, რაც თავისთავად განაპირობებდა ამ პუნქტის დანიშნაურებას. „ადვილი ნარმოსადგენია, – წერს კ. ბერულავა, – თუ რამდენად მოშენებული უნდა ყოფილიყო ამ მხარის მოსახლეობა, რომ ლეონ III-ს... აეშენებია ეს დიადი ტაძარი, რომლის ბადალი, თავისი რთული აღნაგობის მიხედვით, არ მოიპოვება აფხაზეთში და საქართველოშიაც იშვიათია“ (ბერულავა, 1951: 70). დიმიტრი ბაქრაძეს მოქვის ტაძრისათვის „ნარსულის დიდებული ძეგლი“ უწოდებია. კ. ბერულავა თავის ნაშრომში იმონებს მარი ბროსეს, რომელსაც 1848 წელს უნახავს ტაძარი და შთაბეჭდილებები შემდეგი სიტყვებით გადმოუცია: „ზომით გაშლილი ტაძარი ხვიარა მცენარეთა ბადეებითაა შემოხვეული, მისი სახურავი საჰაერო ბადად გადაქცეულია... ყოველივე ამას განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. შიგ ისარივით აღმართულან საუცხოო თლილი ქვისაგან გაკეთებული სვეტები, 5 ნავი, ფიცარნავი, უწინწკლო თეთრი მარმარილოს ლორფინებით დაგებული, ფერად-ფერადი მინების ნამსხვრევები და ჩინებული ჩუქურთმის ლავგარდანთა ნაშთები მოწმობენ იმ დიად მშვენიერებასა და ხელოვნებაზე, რაც უაღრეს სისრულემდეა აყვანილი“ (ბერულავა, 1951: 70-71).

მოქვი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო და კულტურის კერას წარმოადგენდა შუა საუკუნეების საქართველოში. აქ შემოქმედებითი, მნიგნობრული მუშაობის ფართოდ გაშლაზე მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული არაერთი ხელნაწერი წიგნი; მათ შორის მოქვის ეპისკოპოსის დანიელის თაოსნობით 1300 წელს გადაწერილი და მდიდრული ორნამენტებით შემკული ოთხთავი. მის უშუალო გადამწერად და გამფორმებლად ქართველი მნიგნობარი ბერი ეფრემია მიჩნეული. აქვე მოღვაწეობდნენ ზებედე დიაკვანი, გიორგი მწერალი, გრიგოლ მაგნისძე (XII ს.), აბრაჰამი (XIV ს. I ნახევარი), ამბრია (XIV ს.), ლუკა ოძრხელი (1363 წლის ახლო პერიოდი), ელია (1414 წლის ახლო პერიოდი), რომანოზი (XV ს. I ნახევარი), ფილიპე ჩხეტიძე (XV ს.), ექვთიმე საყვარელიძე, ანდრია საყვარელიძე (1660-1666 წწ.) და სხვები, რომელთა თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით იქმნებოდა და მრავლდებოდა მრავალი ქართული სასულიერო ხასიათის ხელნაწერი (კალანდია 2004: 123-124; გასვიანი 2011: 200, 255).

ტოპონიმი მოიხსენიება არაერთ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროში. იერუსალიმელი მონაზონის, თეოდოსი განგრელის მიერ დაცულ აპოკრისიარის წერილში გვხვდება სოფ. მოქვი: „იმ ციხეში, რომელსაც თუსუმესი ეწოდება და რომელიც მდებარეობს სოფელ მოქვის ზემოთ, აფსილიის მხარის საზღვარზე, პონტოს ზღვის აღმოსავლეთით კავკასიის მთების ძირში, ქრისტესმოყვარე აბაზგებისა და ალანთა ტომის მახლობლად, ხუთი სიმიის მანძილზე სოფელ ჯიხახორიდან, ესე იგი, იმავე ლაზთა ქვეყნის ქვეშარიტად ქრისტესმოყვარე პატრიკიოსისა და მაგისტროსის გრიგოლის პირველი სახლიდან, რომელსაც ის ამ წერილში ღირსეულად მიუძღვნის კეთილ ხსოვნას“ (გეორგიკა, IV, 1952: 50; კეკელიძე, III, 1956: 307).

1615 წლის 2 მარტს მოქვს სწვევია ფრანგი მისიონერი ლუი გრანჟიე, რომელიც შენიშნავს, რომ მოქვის მცხოვრებნი მეგრელები არიან. რამდენადაც მოქვი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო, ხოლო ქრისტიანობის ენას ქართული წარმოადგენდა, მისიონერს საჭიროდ ჩაუთვლია მოქვის შემოქმედებითი, საგანმანათლებლო კერის შესასწავლად მეგრულისა და ქართულის შესწავლა. იგი არაფერს ამბობს აფხაზურ ენაზე, რადგან მისი მოქვეში ყოფნის დროისთვის იქ აფხაზები აღარ ცხოვრობდნენ (Сборник, 1915: 52; გასვიანი, 2011: 258).

1640 წელს მოქვი ცაიშელ ეპისკოპოს ანდრიასთან ერთად მოუ-
ნახულებიათ რუს ელჩებს – ფედოტ ელჩინსა და პავლე ზახარევს.
საკათედრო კერის ნახვით აღტაცებული ელჩები წერდნენ: „Февраля
день мы были в монастыре в Мок шенском съ еписъкупам Ондреям
да съ Максимум... Того же числа в той церкви Максим епископи своимъ
попомъ велель обедню служить ... Февраля в 9 де из Москового Монастыря
от Максима епископа пошли “ (Велокуров, 1888: 325). 1654 წელს შედგე-
ნილ ოდიშის სამთავროს რუკაზე აღნიშნულია მოქვისწყალი და მის
მარცხენა მხარეს – თილითი (ახლანდ. თლით-აბააა – ნაგებობათა
კომპლექსი სოფ. თხინას ერთ უბანში – აბაყვახუში) (ბერაძე, „მაცნე“,
3, 1971: 153). 1659 წელს სტუმრად წვეულ იერუსალიმის პატრიარქ
დოსითეოსს მოქვის საკათედრო ტაძარზე შეუნიშნავს შემდეგი წარ-
წერა: „ტაძარი მოიხატა იმპერატორ ალექსი კომნენისა და აფხაზე-
თის დიდი მეფის დავითის დროს“ (გასვიანი, 2011: 200).

ტაძრისადმი ეპისკოპოს ანდრია საყვარელიძის (მოღვაწეობდა XVII
ს. 50-60-იან წლებში) მიერ შეწირულ ღმრთისმშობლის ხატის კარე-
დზე ქართული ასომთავრულით შესრულებულ წარწერაში ტაძარი
მოიხსენიება „მოქუს“ ფორმით: „მოვაჭედინეთ ხატი ესე სახედ და
მსგავსად შენდა და დავასვენეთ ტაძარსა თქვენსა **მოქუს** სახსრად
და საოხად სულისა ჩვენისათვის“ (თუმანიშვილი, 2001: 66).

კასტელის ცნობით, „აფხაზეთის ახლოს მდებარე მოქვის საე-
პისკოპოსო ეკლესია ძალიან ლამაზია, შიგ მრავალი ოქროსა და
ვერცხლის ხატი და სხვადასხვა წმინდანის რელიკვიაა. აქვეა სახე-
ლოვანი წამებული სტეფანეს მკლავი...“ (კასტელი, 1976: 176).

ვახუშტი ცდებდა, როცა მოქვის ადგილმდებარეობას მთაში მიუ-
თითებდნენ. სინამდვილეში ტაძარი ვაკეზეა აგებული. არასწორია მდ.
მოქვის ზღვასთან შეერთების ადგილის ვახუშტისეული ჩვენებაც.
მეცნიერი მიიჩნევს, რომ მოქვი „მიერთვის ილორს ზღუას“. რეალუ-
რი ვითარება სხვაგვარია: ილორში შავ ზღვას შეერთვის ღალიძგა,
ხოლო ილორიდან ჩრდილო-დასავლეთით, მოქვის ზღვაში შესართა-
ვამდე საკმაო მანძილია (ზუხბაია, 2000: 13).

კოდორის ხეობა. კოდორის ხეობის ვახუშტისეული აღწერა ლა-
კონიურია, მაგრამ შეიცავს ზოგიერთ უზუსტობასაც: „...მოქვის მდი-
ნარის დასავლით დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია

დრანდას, მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა. არამედ ან აფხაზთაგან არლარა არიან ორთა ამათ შინა ეპისკოპოზნი. გარნა მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე კავკასიიდან, და დრანდიდამ ზღუამდე დის ჩდილოდამ სამჭრით. მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში“ (ვახუშტი, IV, 1973: 781).

კოდორის დინების მიმართულება „აღმოსავლიდამ დასავლეთად“ ახლანდელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფ. ამზარამდეა და არა დრანდამდე. ამზარიდან მდინარე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მიედინება და სოფ. აძიუბუას სამხრეთით, კოდორის კონცხთან შეერთვის შავ ზღვას. კოდორი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი მდინარეა, რაც წარმოიქმნება ორი მდინარის – გვანდრისა და საკენის სოფ. მარცხენა გენწვიშთან შეერთებით. სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 740 მ-ზე. მდინარის სიგრძე გვანდრის სათავიდან 110 კმ-ია, უშუალოდ კოდორად სახელდებული მონაკვეთისა – 84 კმ. აუზის ფართობი 2030 კმ²-ს შეადგენს. კოდორის უმთავრესი შენაკადებია ჩხალთა, მრამბა, ჯამპალი ამტყელით და სხვ. (აფხაზავა, ქსე, V, 1980: 570).

კოდორის აუზის ქვემო ნაწილი (ტერასისებური ხეობით) კოლხეთის დაბლობში შედის, უმეტესი, ზემო ნაწილი კი, მასში შემავალი ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებით (მთავარი წყალგამყოფი ქედი, ჩხალთისა და კოდორის (ფანავის) გამყოფი ქედები, ჩხალთა-საკენის გასწვრივი ხეობა, საკუთრივ კოდორის ხეობა), კავკასიონის მთიანეთის შემადგენელი ნაწილია (მარუაშვილი, XIV, 1961: 3).

ვახუშტი შენიშნავს, რომ კოდორმა „მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში“. მაშასადამე, დაბის სახელი დარქმევია მდინარეს. კოდორის სახელწოდებით დასახლებული პუნქტი ამჟამად კოდორის ხეობის მთიან ნაწილში არ გვხვდება. პ. ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ვახუშტისეული დაბა კოდორი უნდა შეესაბამებოდეს ანასტასი აპოკრისიარის წერილში მოხსენებულ სკოტორის ციხეს (ინგოროყვა, 1954: 156; გეორგიკა,

IV, 1941: 42-43, შენიშვნა 4; კეკელიძე, VII: 31; ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 65; მუსხელიშვილი, I, 1977: 119).

მდინარის სათავედ ვახუშტი „კავკასს“ („გამომდინარე კავკასიიდან“) მიიჩნევდა. აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთი ტოტი კოდორის ქედია. აღნიშნული ქედი ენგურის, ლალიძგის, მოქვისა და სხვა მდინარეთა აუზების წყალგამყოფს წარმოადგენს და შედგება ხოჯალის მთის მასივში ერთმანეთთან დაკავშირებული ორი მონაკვეთისაგან. ერთი მონაკვეთი აფხაზეთის ქედის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი სიგრძე 30 კმ-ია და მიმართულია სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კავკასიონის მთური წყალგამყოფი ქედიდან ხოჯალის მთამდე. ამ ქედზეა მოგუაშირხის მწვერვალი, ხოლო შუა ნაწილში, მდინარეების – საკენისა და ნენსკრის წყალგამყოფზე – ხიდის უღელტეხილი. ფანავის ქედის სახელით ცნობილი მეორე მონაკვეთის სიგრძე 51 კმ-ია, რაც მიმართულია განედურად, ხოჯალის მთიდან მდ. კოდორის ქვემო დინებამდე) (მარუაშვილი, ქსე, V, 1980: 570).

კოდორი გამოსახულია არქანჯელო ლამბერტის 1654 წლის რუკაზე (Coddars Feolim Corax), მოიხსენიებს თავის ნაშრომშიც და აღნიშნავს, რომ კოლხიდაში „ყველაზე უკანასკნელი მდინარე არის კოდორი, რომელიც უნდა იყოს (ძველთა) კორაქსი, რადგან კოლხიდის საზღვრებია (ძველთა სიტყვით) ერთის მხრით ფაზისი და მეორეს მხრით – კორაქსი“ (ლამბერტი, 2011: 201). მდინარეს ვხვდებით XIII ს. ვენეციურ რუკაზე, ვენეციელი კარტოგრაფების ძმების – პიციგანების მიერ 1367 წელს შედგენილ რუკაზე, სოლერის ხმელთაშუა ზღვის რუკაზე (1385 წ.), პორტუგალიელი კარტოგრაფის დიეგო ომენის 1559 წლის რუკაზე, (დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში) იაკობ დე მაიოლოს 1563 წლის რუკაზე (დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში), იტალიელი მისიონერის – ჟან შარდენის 1672 წლის რუკაზე (საზღვარი აფხაზეთ-სამეგრელოს შორის), გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის, რუსეთის უცხო ენათა კოლეჯის პროფესორ რ. კერის მიერ 1732 წელს შედგენილ რუკაზე და ა. შ. (გამახარია, გოგია, 1997: 312; ზუხბაია, №10, 2002: 19). კოდორი გამოსახულია ლიხთ-იმერეთის 1737 წელს შედგენილ რუკაზეც (ბურჯანაძე, „მომამბე“, I, 1959: 194).

ბ. კვარაცხელია გამოთქვამს ვარაუდს, რომ ანასტასი აპოკრიისარის წერილში მოხსენებული „სკოტორი“ და ვახუშტისეული დაბა კო-

დორი აფსილეთის იმ სექტორში მდებარეობდა, „სადაც აფსილეთის მხარე ადგება მდინარე კოდორს, ე. ი. ნებელდის აღმოსავლეთით“ (კვარაცხელია, 6, 2003: 187). ჩანს, რომ მკვლევარი იზიარებს პავლე ინგოროყვას თვალსაზრისს, მაგრამ არ მიუთითებს ამ უკანასკნელის ნაშრომიდან შესაბამის გვერდს. პ. ინგოროყვა წერს: დაბა კოდორი... მდებარეობს აბსილეთში, იმ სექტორში, სადაც აბსილეთის მხარე ადგება მდ. კოდორს, ე. ი. ნებელდის აღმოსავლეთით“ (ინგოროყვა, 1954: 156).

ედუარდ აიხვალდი შენიშნავს, რომ „კოდორი სათავეს იღებს კავკასიის უმაღლეს მთებში და მოედინება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ ღრმა ხეობაში. ის დიდი რაოდენობით იერთებს მთის ნაკადულებს და სოფელ უხობის ანუ დრანდის უკან ერთვის ზღვას ორ ტოტად, რომელთაგან სამხრეთისა ძალზე ნელა მოედინება და პატარა ნავებისთვის სანაოსნოა“ (აიხვალდი, 2005: 221-222).

ვახუშტის აღწერის გაანალიზება გვაძლევს შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას:

1. ისტორიკოსი ნაწილობრივ არასწორად გადმოგვცემს მოქვის დინების მიმართულებას. არასწორია მდინარის ზღვასთან შეერთების ადგილის მისეული ჩვენებაც. მეცნიერი მიიჩნევს, რომ მოქვი ილორთან უერთდება ზღვას. რეალური ვითარება კი სხვაგვარია: სოფ. ილორთან შავ ზღვას შეერთვის ღალიძგა, ხოლო ილორიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მოქვის ზღვაში შესართავამდე საკმაო მანძილია. მოქვის ეკლესიის მდებარეობაც ნაშრომში არასწორად არის მოცემული. იგი მდებარეობს არა მთაში, არამედ – ვაკეზე;

2. XVIII ს-ის I ნახევრის ისტორიული ფონის გათვალისწინებით, მოქვისა და დრანდის ეპარქიები აფხაზთა მიერ არის აოხრებული, ეპისკოპოსები არ არიან და საეკლესიო წირვა-ლოცვა არც ერთ მათგანში არ აღევლინება;

3. კოდორის დინების მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ახლანდელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფ. ამზარამდეა და არა დრანდამდე, როგორც ფიქრობს მეცნიერი ბატონიშვილი. ამზარიდან მდინარის დინება სამხრეთ-დასავლეთისკენაა მიმართული და აძიუბჟას სამხრეთით, კოდორის კონცხთან უერთდება შავ ზღვას;

დრანდა. ვახუშტი შეცდომას უშვებს დრანდის ტაძრის ადგილმდებარეობის აღწერისას და მიიჩნევს, რომ გუმბათიანი ეკლესია მდებარეობს კოდორის ნაპირზე, მთაში. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით დრანდა სოფელია გულრიფშის მუნიციპალიტეტში, გულრიფშიდან 9 კმ-ის დაშორებით, პატარა კოდორის ნაპირას, შავიზღვისპირა გზატკეცილზე და არა მთაში. ვახუშტის მიერ მოხსენიებულ მდ. კოდორს სოფელი 10 კმ-ითაა დაშორებული. დრანდა სამურზაყანოს დაბლობზეა, ზ. დ. 40 მ-ზე. იგი სოფელი და თემის ცენტრია.

კასტელის ცნობით აფხაზეთში, კავკასიის მთებში მდებარეობს **დანდრას** საეპისკოპოსო (კასტელი, 1976: 180). ჟან შარდენის 1672 წლის რუკის ფრაგმენტზე აღნიშნულია „დრანდის ციხე-სიმაგრე და ბაზარი“.

ისტორიული ოდიშის ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა შორის თვალწარმტაც პლატოზე აგებული დრანდის ტაძარი ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით მიჩნეულია ბიზანტიური არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშად. VII-VIII სს. აფხაზეთის სამეფოში შექმნილი ისტორიული ფონის გათვალისწინებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ტაძარი VIII ს-ში უნდა აშენებულიყო (Меписашвили, 1983: 10). გეგმით ჯვრის ტიპს მიახლოებული გუმბათოვანი საკათედრო ტაძარი აგურითა და რიყის ქვითაა ნაშენები. წრის ფორმის ჯვრის შუა არეზე ცილინდრული კედელ-სვეტებია, რაზეც აფრიანი თაღებია დაყრდნობილი. ტაძრის გუმბათი 16-ნახნაგოვანია. აღმოსავლეთით სამნახნაგოვანი შვერილი აფსიდა აქვს. ჯვრის მკლავებს სამივე მხრიდან სწორკუთხედის ფორმა აქვს. კუთხის სათავსებში შესვლა შესაძლებელია სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავიდან (ჩუბინაშვილი, 1948: 67; ბერულავა, 1951: 74; ქსე III, 1978: 634).

ტაძარი არაერთგზის გაუძარცვავთ და დაურბევიათ თურქებს (კვარაცხელია, 6, 2003:180-182). დრანდის სავარგულეებს XX ს. დასაწყისამდე ფლობდნენ აფხაზ თავადთა – ძიაპშიპების საგვარეულო, ხოლო შემდეგ – შარვაშიძენი (იქვე: 181). XIX ს 10-20-იან წლებში დრანდის მფლობელი ყოფილა ალი-ბეი შერვაშიძე, რომელიც, წებელ-და-ფსხუელთა მხრიდან პერმანენტული თავდასხმებით შეწუხებული, სოფ. ტამიშში გადასახლებულა (იქვე: 182).

V.4. კოდორ-ანაკოფიის შუამდინარეთი

მდინარე ცხომი. ცხომი//ცხუმი//სოხუმი. კოდორის ხეობის აღწერას ნაშრომში მოსდევს ოდიშის უკიდურესი დასავლეთი ნაწილის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება: „ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა, გამომდინარე კავკასისა, და მოერთვის ზღუას ჩდილოდამ. ამ წყალზედ, მთაში, არს ცხომი, და ისახელების მდინარე ესე ამისგან. იყო ცხომი ქალაქ და საერისთო, და აწ დაბა. ამ ცხომის დასავლით არს ანაკოფია...“ (ვახუშტი, IV, 1973: 781).

საინტერესოა სახელწოდების ვახუშტისეული ფორმა იმ მდინარისა, რაც „კოდორის დასავლეთად დის“. ესაა **ცხომი**, რასაც სახელი დარქმევია მის ნაპირზე, მთაში მდებარე და „ცხომად“ სახელდებული დასახლებული პუნქტისაგან. სხვა ქართულ და არაქართულ წერილობით წყაროებში ვახუშტის მიერ მოხსენიებული „ცხომის“ ვარიანტებად გვხვდება „ცხუმი“ და „სუხუმი“//„სოხუმი“.

ცხუმს მოიხსენიებს მემატიანე ჯუანშერი, დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მურვან ყრუს ლაშქრობასთან დაკავშირებით: „ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 235), ხოლო მას შემდეგ, რაც მის ლაშქარს თავს დაატყდა წყალდიდობა, მემატიანის თქმით, „...ალიძრა და დაიბანაკა პიტიოტას, ზღვს პირს, ქალაქსა, რომელსა ჰქვან ცხუმი“ (იქვე: 238).

ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ აფხაზთა ქვეყანაში შესული ანდრია მოციქული და სიმონი „სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა აწ ეწოდება ცხუმი. და უქადაგეს სიტყუა ღვთისა“ (იქვე: 42). მაშასადამე, მემატიანემ იცის, რომ ცხუმის უწინდელი სახელწოდება „სევასტე“, იგივე სებასტოპოლისი ყოფილა. XIV ს-ის ჟამთააღმწერლის

ცნობით მეფე ლაშა-გიორგი (1213-1223 წწ.) „გარდავიდის ქუეითი აჯამეთს, ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს“ („ქ. ცხ.“, II, 1959: 159).

ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ სოხუმი მდებარეობდა უცხოურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული „დიოსკურიის“ ადგილას. ქალაქის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ ზღვის ფსკერზე მოქცეულა, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური ძიების შედეგად წყალქვეშ მიკვლეული ნაგებობები.

ბერძენი მოახალშენეების – მილეტელების მიერ ძვ. წ. VI ს-ში დაარსებული და საუკუნეების მანძილზე „დიოსკურიად“ (ბერძნ. Dioskurias) წოდებული ქალაქისთვის მოგვიანებით, ახ. წ. I ს-იდან, სახელი გადაურქმევიათ და „სებასტოპოლისი“ უწოდებიათ. ეს ის დროა, როცა შავიზღვისპირეთში რომაელები ბატონობდნენ. მათ მიერ აშენებულ ციხესიმაგრეში რომაელთა მუდმივი გარნიზონი იდგა.

სკილაქს კარიანდელი გვაუწყებს, რომ დიოსკურია კოლხების მიწა-წყალზე მდებარე ქალაქია. ძვ. წ. III ს-ის ისტორიკოს ტიმოსთენეს ცნობით დიოსკურიაში თავს იყრიდა სავაჭრო მიზნით 300 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომი (ყაუხჩიშვილი, 1964: 61). სტრაბონი აღნიშნავს: „აქ თავს იყრიან, როგორც ამბობენ, 70 სხვადასხვა ეროვნების ვაჭრები, ხოლო სხვა მწერლების თქმით, რომლებიც მაინცდამაინც ჭეშმარიტებაზე ძალიან არ ზრუნავენ, ეს რიცხვი 300-მდეც ადის“. არიანეს თქმით, „ჩვენ ჩავედით სებასტოპოლში, რომელიც დაარსებულია მილეტელების მიერ და რომელსაც წინათ ეწოდებოდა დიოსკურია“. დიოსკურიაზე, როგორც სახელგანთქმულ სავაჭრო ქალაქზე, საინტერესო ცნობებია დაცული ძველი ისტორიკოსების – პომპონიუს მელას, დიონისე პერიგეტის, აპიანეს, ევსტათისა და სხვათა ნაშრომებში (ყაუხჩიშვილი, 1964: 61-62).

ცხუმი//სოხუმი გამოსახულია შუა საუკუნეების არაერთ უცხოურ და ქართულ რუკაზე. ფერდუჩის 1479, ბენინკაზის 1480 წლის იტალიურ და 1559 წელს პორტუგალიელი კარტოგრაფის – დიეგო ომენის მიერ შედგენილ რუკებზე (ეს უკანასკნელი დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში), კელასურის შავ ზღვასთან შესართავთან, გამოსახულია Porto Mengrello (მეგრელთა ნავსადგური), რაც უტყუარი მონიშნა იმისა, რომ ცხუმი, სოხუმი უწინ სამეგრელოს შემადგენლობაში იყო (Черноморье, II, 1980: 247; გოგოლაძე 1997: 79; ზუხბაია, „მახარია“, №5, 2000: 10). იაკობ დე მაიოლოს 1563 წლის რუკაზე

აღნიშნულია პორტო მინგრელო, სევასტოპოლი. გერმანელი აღმო-
საველეთმცოდნე, პროფესორი რ. კერი 1732 წელს შედგენილ რუკაზე
მიუთითებს **ცხომს** (სოხუმს). რუკის მიხედვით, ოდიშის დასავლეთი
საზღვარი ნიკოფსიამდეა (დღევანდელი ახალი ათონი). ამასთანავე,
სოხუმი სამეგრელოს შემადგენლობაშია (ზუხბაია, „მახარია“, №10,
2002: 19).

ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკაზე გამოსახულია სოხუმის ციხის
ზედხედი, და იქვეა შემდეგი წარწერა: „ქართულად აყუ ქვიან. ორთუ-
ლიანი ფაშა ზის. 1723 – ამ ქ(ორონი)კ(ონ)ს ააშენეს თათართ. სამოცი
თოფი ძეს დიდი. ასი კაცი“ (მათურელი, IX, 1949: 215; ბურჯანაძე, I,
1959: 195). „აკუ“ (AKU) აღნიშნულია 1771 წელს რუსი გენერლის –
სუხოტინის მიერ შედგენილ, ხოლო „აკუციხე“ – 1784 წლის რუკაზე.
აყუს არაერთგზის ახსენებს ნ. დადიანი თავის ნაშრომში: „მივედით
აყუს და დავებანაკეთ ბესილას პირზედ და ვერა მოვადევით ციხე-
სა გარს“; „წარმოვედით და მოვედით კვალად აყუს, რომელ არს
სოხუმს“ (დადიანი, 1962: 197, 211). მისივე ცნობით, „...ზუფუს და აყუს
ციხესა შინა იყო ქელაიშ-აჰმედ ბეგი და ეპყრა მახლობელნი მისნი.
და ფლობდა შვა-სოფლად წოდებულს, აყუს საზღვრიდამ ვიდრე ლა-
ლიძგამდე ძმისწული ზურაბისა ბეჟირ-ბეგ“ (იქვე: 183-184).

ინგლისელ მოგზაურს – რობერტ კერ პორტერს 1821 წელს შედგე-
ნილ რუკაზე გამოუსახავს ციხესიმაგრე სოხუმ-კალე და ა. შ.

ვახუშტის ცნობიდან ჩანს, რომ **ცხუმის საერისთავოს** ცენტრი
დღევანდელ სოხუმში კი არ იყო, არამედ იმ მდინარის მარცხენა ნაპი-
რას, რომელიც ზღვიდან მოშორებით მოედინებოდა (ბერაძე, სიგკ, IV,
1971: 65). ისტორიკოსის ცნობა, რომელიც პუნქტს **ცხომის** სახელწო-
დებით მდ. ცხომის ნაპირზე მიუთითებს, მკვლევართა აზრით, სი-
ნამდვილეს შეესაბამება. ცხუმის საერისთავოს ცენტრს ზღვიდან და-
შორებით, ბესლეთის მარცხენა ნაპირზე მდებარე „ბაგრატის ციხის“
ნანგრევები წარმოადგენდა. მაშასადამე, ვახუშტი ცხომს უწოდებდა
დღევანდელ მდ. ბესლეთს (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 65, და იქვე და-
სახელებული ლიტ-რა).

ბესლეთი კარსტული მდინარეა ახლანდელი სოხუმის რაიონში.
მდინარის სათავეს ოდიშისა და ურავის კარსტული წყაროები წარ-
მოადგენს. სიგრძე 15 კმ-ია, აუზის ფართობი – 81,5 კმ². 4 კმ-ის
სიგრძეზე მინისქვეშა გვირაბში მოედინება, რითაც დაკავშირებულია

მდ. კელასურთან. ბესლეთი სოხუმის ტერიტორიაზე შეერთვის შავ ზღვას. მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფ. ბესლეთი// წითელი ბესლეთი. მკვლევარი კ. ბერულავა ამ მდინარეს „ბასლათის“ ფორმით მოიხსენიებს (ბერულავა, 1951: 20, 21-22).

კ. ბერულავას აზრით, ვახუშტისეულ მდინარე ცხომს ახლა გუმისთა ჰქვია. ძველი ცხუმი მდებარეობდა შუქურიდან ჩრდილო-დასავლეთით, 2-3 კმ-ის დაშორებით და ეკავა გალავნით შემოზღუდული 100-130 მ² ფართობი. ზღვის მხარეს გალავნის ნაშთი აქა-იქ მოჩანს, დანარჩენ სამ მხარეს კი ჯერ კიდევ დგას. ქალაქის შუაგულში ძველად ციხე-დარბაზი უნდა მდგარიყო, მაგრამ ახლა აღარ შეინიშნება. ძველ დროში ქალაქის გვერდით ჩამდინარე გუმისთა ამჟამად ამ ადგილს დაშორებულია. ქ. სოხუმში ნაპოვნი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ცხადყოფს, რომ ძველი ცხუმი აღწევდა სამატოს (ახლანდ. სოხუმის) მთამდე და, შესაძლებელია, ბაგრატიის ციხემდეც (ბერულავა, 1951: 12-13).

1578 წლიდან ცხუმის აღდგენილი ზღვისპირა სიმაგრე თურქ მეციხოვნეთა ხელშია. ვახუშტის ცნობით, „იყო ცხომი ქალაქ“, მაგრამ მოგვიანებით დაქვეითებულა და უბრალო დაბად გადაქცეულა (ბერულავა, იქვე: 14). თურქებს ამ პუნქტისათვის სუხუმ-კალე შეურქმევიათ (**კალე, კალა, ყალა** – თურქ. „ციხე“).

იაკობ რაინეგსი (XVIII ს.) სოხუმს, სოხუმ-კალეს ანუ დორდუქს პირველად 1771 წლის ანტიოსმალური აჯანყების ამბების გადმოცემისას მოიხსენიებს, როგორც „ანაკოფიის ქვემოთ ასე სარგებლიანად აშენებულ ციხეს“ (რაინეგსი, 2002: 109).

ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833 წწ.) თავის ჩანაწერებში შენიშნავს, რომ სოხუმ-კალეს ციხის მარცხენა მხარეს ქვის ძველთაძველი არხის ნანგრევებია, რაც იცავდა აქაურ სომეხ თუ თურქ ვაჭართა ხომალდებს საფრთხისაგან... სოხუმ-კალე და მისი ვიწრო გალავანი რუსების გამგებლობაშია... კვადრატული ფორმის ციხე თურქების მიერ არის აგებული. ოთხი კოშკიდან ერთი ნაწილობრივ დანგრეულია და ზღვას გადასცქერის. აგურისა ან რიყის ქვისაგან ნაგებ და კირ-ხსნარით შელესილ კედლებს სიმტკიცე აკლია და ამიტომ ციხის კედლების უდიდეს ნაწილს დანგრევა ემუქრება. ხით ნაგები, თავის დროზე ვრცელი და მშვენიერი ძველი სასახლე მალე მწყობრიდან გამოვა... აზიის ეს უმთავრესი ციხესიმაგრე, გამბას

თქმით, მუდმივი დავის საგანი ყოფილა ოსმალეთის სულთნის საიმპერიო კარსა (პორტა) და რუსებს შორის (გამბა, 1987: 80, 81-82).

გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – ედუარდ აიხვალდის (1795-1876 წწ.) ცნობით, თურქებისათვის ჩამორთმეული სოხუმ-კალეს ნავსადგური 1810 წლიდან რუსების ხელშია (აიხვალდი, 2005: 215). მოგზაური შენიშნავს, რომ სოხუმ-კალეს ციხესთან აფხაზეთის მთავარი ნავსადგურია. ქარისაგან სამი მხრიდან დაცულ ნავსადგურში უდიდეს გემებს შეუძლიათ 200-400 კვანძის დაშორებით ღუზის ჩაშვება (იქვე: 221). აიხვალდი აცხადებს, რომ აფხაზეთის ორი უმნიშვნელოვანესი პუნქტიდან პირველი, სახელდობრ, სოხუმ-კალეს ციხე, რიყის ქვისგანაა აშენებული და დგას კირქვაზე, ზღვის ნაპირზე. ციხეს ოთხი სწორკუთხა ბასტიონი აქვს და თითოეულ მათგანზე შესაძლებელია 5 ქვემეხის დადგმა (იქვე: 223).

სოხუმ-კალეს სამხედრო სადგურზე მსჯელობს ო. სპენსერი. მისი თქმით, სოხუმ-კალე ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო ადგილია ჩერქეზეთის სანაპიროზე. დიდძალი ნანგრევები მოწმობს, რომ აქ ოდესღაც არსებობდა განთქმული ქალაქი დიოსკურია, სადაც სამასი სხვადასხვა ხალხის წარმომადგენელი ვაჭრობდა. სპენსერის სოხუმში სტუმრობის დროისათვის ქალაქში ბერძნები და სომხები ცხოვრობდნენ, სადაც ადრიანოპოლის ზავის დადებაამდე მოსახლეობის რაოდენობა სამი ათასს აღწევდა... სოხუმ-კალეში ქვემეხების დიდი რაოდენობა ისეა დაყენებული, რომ ზღვიდან თავდასხმის მოგერიება ძნელია. შეუძლიათ მხოლოდ ირგვლივ მცხოვრებ მთიელთა შეშინება. მტრობა განუწყვეტლივ გრძელდება და ამიტომ ჯარისკაცი მხოლოდ არტილერიის დახმარებით თუ შეძლებს სიმაგრიდან გასვლას. ასეთ საფრთხეს ჩერქეზი გვერილიასები ქმნიან. ამ მიზეზით ოფიცრები იძულებული გახდნენ, რომ საშიში პუნქტების დარაჯად ძალები დაეყენებინათ... სპენსერი შენიშნავს, რომ გარნიზონის ნავსადგური სანდო არ არის, რადგან ღუზის ჩასაშვები არ ვარგა. ამას ისიც ემატება, რომ მთელს კავკასიაში სოხუმის ციხესიმაგრის შემოგარენი ყველაზე მიუდგომელი და ველური ადგილია. ნაწილობრივ ყირიმისა და ყუბანის ხანებისა და სულთნების შთამომავალნი, რომლებიც თავის ტომებთან ერთად დასახლდნენ ამ ადგილებში, რუსეთის ყველაზე საშიში და შეურიგებელი მტრები არიან (სპენსერი, 1981: 130-133, 135).

ტოპონიმი „სოხუმი“ ვახუშტი ბატონიშვილამდე ბევრად ადრე გვხვდება წერილობით წყაროებში და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მასაც უნდა სცოდნოდა, მაგრამ იგი მაინც არჩევს, რომ ქალაქის ძველი სახელწოდება **ცხომი** (ცხუმი) გამოიყენოს.

„ცხუმის“ ლოკალიზაციის შესახებ ვახუშტის ცნობებს თავის დროზე ყურადღება მიაქცია ს. ჯანაშიამ და შენიშნა, რომ დიდ ისტორიკოსს მთლად ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდა ამ ტერიტორიაზე. ამიტომ ვახუშტი დღევანდელ სოხუმს ანაკოფიად მიიჩნევდა და მას სოხუმის აღმოსავლეთით, მთაში უჩვენებდა. მაშასადამე, დაასკვნის ს. ჯანაშია, ვახუშტის მიხედვით, ცხუმი დღევანდელი სოხუმის აღმოსავლეთით მდებარეობდა. სამწუხაროდ, ვახუშტის მიერ შედგენილი რუკა არაფერს გვეუბნება ცხუმის ლოკალიზაციისათვის ღირებულს (ჯანაშია, VI, 1988: 286-287).

მკვლევარი თავისი მოსაზრების გასამყარებლად იმონებდა გიულდენშტედტს, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებდა თურქებისა და ფაშის საჯდომ შავიზღვისპირა სიმაგრე **სოხუმ-კალეს** (Sokunkala) და ასევე ზღვისპირა, ერთ-ერთ გამოჩენილ ადგილთაგანს – **ცხომს** (Tschomi). ამასთანავე, გიულდენშტედტი მიიჩნევდა, რომ პროვინციის დედაქალაქი იყო Anakopis, ანუ წინანდელი Nikopsis. გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის ასეთ მსჯელობას ს. ჯანაშია იმ გარემოებით ხსნიდა, რომ თავის გეოგრაფიულ აღწერილობაზე მუშაობისას გიულდენშტედტი სხვადასხვა წყაროთი სარგებლობდა (ჯანაშია, VI, 1988: 287-288). მეცნიერს გაცილებით უფრო საყურადღებოდ ეჩვენებოდა საქართველოში 1783-1787 წლებში ელჩად ნამყოფი ს. ბურნაშევის ცნობები. 1784 წელს შედგენილ რუკაზე ს. ბურნაშევის ზღვის კიდიდან დაშორებით, მდ. ცხობის (თუ ცხომის) მარცხენა ნაპირას აღუნიშნავს იმავე სახელწოდების პუნქტი, ხოლო მის ჩრდილო-დასავლეთით, უკვე ზღვის კიდეზე, დღევანდელი სოხუმის ადგილას, გამოსახულია „აკუციხე“, იგივე „აყუს ციხე“. ირკვევა, რომ ბურნაშევისთვისაც ცხომი გარჩეულია სოხუმისაგან. დაკვირვება ცხადყოფს, რომ რუკის შედგენისას ბურნაშევი განიცდიდა ამ მხარის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიული წარმოდგენების გავლენას, მაგრამ, უეჭველია, რომ მას ახალი და დამოუკიდებელი, ზოგჯერ ვახუშტისთან შედარებით ბევრად სწორი, დაზუსტებული ცნობები მოეპოვება. მაგალითად, ახალია ბურნაშევისეული ცნობა აყუს შესახებ, რაზეც

ვახუშტი არაფერს ამბობს. არც ტექსტში და არც რუკაზე არა აქვს ეს პუნქტი გამოსახული (იქვე: 288).

აკუ (aky) აღნიშნულია 1771 წელს რუსი გენერლის – სუხოტინის მიერ შედგენილ რუკაზე, როგორც ზღვისპირა პუნქტი (ჯანაშია, VI, 1988: 289, და იქვე მითითებული ლიტერატურა).

ს. ჯანაშიას „ცხომის“ ლოკალიზაციის შესახებ არაერთი ფაქტობრივი წერილობითი მონაცემის მოხმობა და შეფასება-გაანალიზება იმისთვის სჭირდება, რომ შემდეგი დასკვნა გამოიტანოს: „ეფიქრობთ, უეჭველია, რომ XVIII საუკუნეში საქართველოში ცხომს ასხვაგვებდნენ სოხომის, ანუ აყუ-საგან, ეს უკანასკნელი ადგილმდებარეობით უკავშირდებოდა დღევანდელ სოხუმს, აფხაზურად აყუა-ს“ (იქვე: 289-290).

ნ. დადიანის წარმოდგენითაც აყუ იგივე სოხუმია, ხოლო ქალაქ ცხომში იყო შარვაშიძეების სასახლე. უეჭველია, რომ აქ იგულისხმება დღევანდელი კელასური, ან უკეთ, მისი შემოგარენი, სადაც იყო ნავების სადგომი, პატარა ბაზარი და მოგვიანებით – საბაჟო. „ქართველთ ცხოვრებიდან“ ირკვევა, რომ ნ. დადიანის მეთაურობით სამეგრელოს ჯარს ასლან-ბეგ შარვაშიძის წინააღმდეგ ლაშქრობისას შემდეგი მარშრუტი გაუვლია: ღალიძგა → მოქვი → წყაბა (აღბათ წყებენ (დრანდა)) → აშიღვარა → მაჭარა → ადგილი „ცხენთა შეტევებისა“ → თუბუნი (იგივე ცხომი) → აყუს-ციხე (დადიანი, 1962: 210). მაშასადამე, ცხომი მდებარეობდა მაჭარასა და სოხუმს, ანუ აყუს ციხეს შორის (ჯანაშია, VI, 1988: 291).

ანაკოფია. ვახუშტის ცნობები ანაკოფიის შესახებ შემდეგია: „...ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასისა და მომრთველი ზღვსა ეგრეთვე ჩდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვს კიდებედ არს ქალაქი ანაკოფია. ეს აღაშენეს ბერძენთა. აქავ ერეკლეს კეისარმან დასუა ერისთავი აფხაზთა, ეგრისის მდინარის დასავლეთისა ზღუამდე. იყო ქალაქი კეთილი, შუენიერი, ზღუასა ზედა ნაშენებული, და შემდგომად ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული, რომლისა ზღუასა შინა სუეტნი ორმოცამდე დღესაც ჩანან. არამედ ან ოჯერ არს; და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა; ამ ანაკოფიის აღმოსავლით ზღვდამ მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსლველობისათვის, გარნა ან უქმად არს“ (ვახუშტი, IV, 1973: 781-782).

ვახუშტის ცნობებს თითქმის უცვლელად იმეორებს „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი ნიკო დადიანი: „ანაკოფია აღაშენეს პირველ ბერძენთა: ესე არს საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა. აქა, ანაკოფიას აღმოსავლით, ზღვიდამ მთამდე, შეავლო ზღუდე დიდი ლეონ დადიანმან მანუჩარის ძემან... აფხაზთ გამოუსვლელობისათვის“ (დადიანი, 1962: 151).

ვახუშტისეული ანაკოფია ახლანდელი ახალი ათონია (ყოფილი ფსირცხა). იგი მდებარეობს გუდაუთის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთსა და კოლხეთის დაბლობზე. შავი ზღვისპირა კლიმატური კურორტი ზ. დ. 50 მ-ზეა და გუდაუთას 7 კმ-ითაა დაშორებული. ანაკოფია მოიხსენიება არაერთ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროში.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ პროკოპი კესარიელის მიერ მოხსენიებული ტრაქეის ციხესიმაგრე, რაც ზღვისპირას, მთაზე, „აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში“ მდებარეობდა, მერმინდელი ანაკოფია უნდა იყოს (Анчабадзе, 1959: 9-11; მუსხელიშვილი, I, 1977: 119). პროკოპი წერს: „აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში ასეთი ადგილებია: მაღალი მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათან ეშვება, როგორც კიბე, და ექვსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში, აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი სიმაგრე ღირსშესანიშნავი სიდიდის. აქ შეხიზნულები მუდამ იგერიებენ შემოტევას მტრისა, რომელსაც არსად არ შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა. ერთი შესავალი გზა მიდიოდა ამ ციხეში და აბაზგების დანარჩენ მიწანყალზეც და იგი წყვილ-წყვილად მიმავალთათვის ძნელად გასავლელი იყო. არავითარი შესაძლებლობა არ არის იქ გასვლისა. თუ არა კაცად-კაცადად და ისიც ფეხით. ამ გზას ზედ ადგას ნაპრალი მეტად საზარი, რომელიც ციხიდან ზღვამდეა გადაჭიმული. თვით ადგილიც ამ ნაპრალის შესაფერ სახელწოდებასაც ატარებს: იქაური მცხოვრებლები ელინურად მას „ტრაქეას“ უწოდებენ“ (გეორგიკა, II, 1965: 158-159).

არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც „ტრაქეის“ ლოკალიზაციის შესახებ. მაგალითად, ს. ჯანაშია, მ. ლორთქიფანიძე და ვ. ლექვინაძე მიიჩნევენ, რომ „ტრაქეა“ გაგრასთან მდებარეობდა. ნ. ბერძენიშვილი იმ აზრისაა, რომ „პროკოფის ტრაქეა და მისი მონათხრობი ეპიზოდის გულისხმობს ანაკოფია-ფსირცხას, სადაც აფხაზეთი მართ-

ლაც იწყებოდა“ (ბერძენიშვილი, III, 1966: 300). მოგვიანებით დიდი მეცნიერი კვლავ შეეხო ადგილ „ტრაქეას“ ლოკალიზაციის საკითხს და აღნიშნა: „სრულიად უდავოა, რომ აბაზგიის აღმოსავლეთი საზღვარი VI საუკუნეში ანაკოფიის ზღვისპირი და ციხეა“ (ბერძენიშვილი, VIII, 1975: 503).

პროკოპისეული ტოპოგრაფიული აღწერის გათვალისწინებით ზ. ანჩაბაძე, დ. მუსხელიშვილი, შ. ინალ-იფა და მ. გუნბა აბასგთა მთავარ დასახლებულ პუნქტს ანაკოფია-ახალ ათონთან აიგივებენ. თ. გვანცელაძის შეფასებით, „ამ პუნქტის გაიგივება თავისუფლად შეიძლება არა მარტო გაგრასთან, ან ანაკოფია-ახალ ათონთან, არამედ გაგრიდან ამჟამინდელ ტუაფსემდე მდებარე მრავალ სხვა ზღვისპირა და კლდოვან ადგილთანაც“ (გვანცელაძე, 1998: 26).

დ. გოგოლაძის მოსაზრებით, 1961 წელს სპელეოლოგიური ექსპედიციის მიერ ძველ ანაკოფიაში, ანუ ახალი ათონის ტერიტორიაზე, ივერიის მთის ჩრდილოეთი კალთისძირში აღმოჩენილი უდიდესი კარსტული მღვიმე სწორედ პროკოპის მიერ ნახსენები „ნაპრალი მეტად საზარი“ ანუ „ტრაქეა“ უნდა იყოს: „დღევანდელი ახალი ათონის „უძირო ორმო-უფსკრულის“ აღმოჩენა და მისი იდენტიფიკაცია პროკოპი კესარიელის „მეტად საზარ ნაპრალთან“, ან შიშის მომგვრელ ადგილ „ტრაქეასთან“, საბოლოოდ ადასტურებს „ტრაქეას“ ლოკალიზაციას ძველ ანაკოფიასთან, ხოლო ეს კი, თავის მხრივ, ასევე, კიდევ ერთხელ საბოლოოდ ადასტურებს აბაზგიის, ანუ „საკუთრივ აფხაზეთის“ აღმოსავლეთ საზღვარს ანაკოფიის ციხესთან, ანუ დღევანდელ ახალ ათონთან“ (გოგოლაძე, 1997: 87).

ქართულ საისტორიო წყაროებში ანაკოფიის პირველმოსხენიება დაკავშირებულია VIII ს-ის 30-იანი წლების ამბებთან, კერძოდ, არაბი სარდლის – მურვან ყრუს ლაშქრობასთან დაკავშირებით. ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ მურვანი ეგრის-ბიზანტიის მაშინდელი საზღვრის – კლისურის გადალახვისა და აფშილეთის ქალაქ ცხუმის შემუსვრის შემდეგ ანაკოფიას მიადგა, სადაც გამაგრებულნი იყვნენ ბიზანტიელი სტრატეგი ლეონი და ქართლის (იბერიის) ერისმთავრის – სტეფანოზის ძენი – მირი და არჩილი: „მაშინ ვითარ იყვნეს ციხესა მას შინა ანაკოფისასა, მუნ მივიდა მურვან ყრუ და უწყო ბრძოლა მეფეთა მათ“, – ვკითხულობთ ჯუანშერის თხზულების ჩანართში („ქ. ცხ.“, I, 1955: 236). ანაკოფიასთან გამართულ ბრძოლაში დამარცხებული

არაბები უკუიქცნენ და გურიის გზით სპერში გადავიდნენ (იქვე: 238). განსხვავებულ ცნობას გვანძდის „დავით და კონსტანტინეს ცხოვრების“ უცნობი მარტიროლოგი. არაბებს ქართველთა მცირე ლაშქარი დაუმარცხებიათ და შემდეგ ეგრის-აფხაზეთის მთელი ზღვისპირეთი აუოხრებიათ.

„მატიანე ქართლისას“ უცნობი ავტორი გვაუწყებს, რომ ერთიანი სამეფოს შექმნის შემდეგ ანაკოფია იყო „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 317). მას არც მოგვიანებით დაუკარგავს მნიშვნელობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ დემეტრე უფლისწულის (რომელიც იყო ძე ბაგრატ IV-ის დედინაცვალ ალდესი) დროს უნდა აშენებულიყო ან აღდგენილიყო ფსირცხის მარცხენა ნაპირზე ანაკოფიის წმ. თეოდორე ტირონის სახელობის ტაძარი და სვიმონ კანანელის ეკლესია (ბერულავა, 1951: 39-40).

X ს-ის ბოლოდან ანაკოფია მიიჩნეოდა ქრისტეს მოციქულის – სიმონ კანანელის სამარხად. კ. ბერულავა შენიშნავდა, რომ გიორგი მთაწმინდელის მიერ ანტიოქიის პატრიარქთან საუბარში ნიკოფსიის სვიმონ კანანელის განსასვენებლად მოხსენიება განპირობებული იყო „საქართველოს ეკლესიისათვის კანონიკური პრესტიჟის შექმნის მიზნით“ (ბერულავა, 1951: 33). ანაკოფიის დაკნინება XV საუკუნიდან იწყება. 1459 წელს ბურგუნდიის მთავარ კარლოს გულადისადმი მიწერილ ეპისტოლეში იხსენიება ოდიშის მთავარ ბედიან-დადიანს ნომინალურად დამორჩილებული აფხაზეთის მფლობელი, ანაკოფიელი მთავარი რაბია (იქვე: 40).

ვახუშტი ანაკოფიის აშენებას თუ ხელახალ აღდგენას ბერძნებს მიაწერს. ციხის უძველესი ნაგებობანი, მათ შორის თლილი ქვით ნაგები ოთსართულიანი „რომაული კოშკი“ ახ. წ. II-IV სს-ით თარიღდება. მთის ყველაზე მაღალ ადგილას მდგარი ტაძრისა და მის გარშემო შემორჩენილ პალატა ნანგრევები, აგრეთვე წყალსატევებისა და სხვა სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები VIII-IX სს-ით თარიღდება. შესაძლებელია კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიკაში“ (II ს. II ნახევარი) ნახსენები „მაგარი კედელი (ციხე)“ ანაკოფია იყოს. პტოლემეაიოსის აღწერით, იმას, რომ ციხის კედელი მაგარი იყო, მისი სტრატეგიული მდგომარეობა განაპირობებდა.

მ. თრაფშის ხელმძღვანელობით 1957-1958 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით ნათელი მოეფინა ანაკოფიის ძველი ის-

ტორიის ბევრ ბუნდოვან საკითხს. გაირკვა, რომ ციხე-ქალაქი ივერიის მთაზე მოიცავდა 7 ჰა ფართობს და შემოზღუდული იყო კომკებიანი გალავნით. აქვე გამოვლინდა VII-XII სს. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე ტაძრის ნანგრევები, საკირე, მინისა და თიხის ნაკეთობანი, საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების რკინის იარაღები და სხვ. (Анчабадзе, 1959; Пачулиа, II, 1968; Трапш, 30, 1959; ლორთქიფანიძე, ზაქარაია, I, 1997: 141-142...).

ანაკოფიის შესახებ საინტერესო ცნობას გვანვძის ქრისტეფორე კასტელი. მისიონერი შენიშნავს, რომ ანაკოფიის ციხესიმაგრისა და ნავთსაყუდარის მფლობელი იყო დავით ჩიჯავაძე (კასტელი, 1976: 82). მისივე ცნობით „განაკოპიაში ცალკე ჰყიდიან ტყვეებს... თურქებზე“ (იქვე: 171). იაკობ რაინეგის საქართველოში მოგზაურობის დროისთვის (XVIII ს-ის 70-80-იანი წწ.) ანაკოფია აფხაზეთის შემადგენლობაში იყო (რაინეგის, 2002: 108).

XVIII ს-იდან ანაკოფიის სანაპირო კოშკს თურქები ფლობენ. მოგვიანებით, სიმონ კანანელის დანგრეული ეკლესიის ქვებით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღვასთან, კოშკი აუგია ადგილობრივ ფეოდალს ჰასან მარლანიას (ბერულავა, 1951: 41).

გამბა მიუთითებს, რომ „სოხუმსა და სოუკ-სუს შორის აღმართულ მთაზე მოჩანს სამწახნაგა ციხე, რომელსაც ანაკოფიას (Phanacopee) უწოდებენ; იგი მეტად მტკიცედ არის ნაგები თლილი ქვით და ძველ-თაძველი უნდა იყოს“ (გამბა, 1987: 87-88).

XIX საუკუნის I ნახევარში ანაკოფია ფაქტობრივად გაუკაცრიელებული იყო. ძველი ათონიდან ჩამოსულ ბერებს აქ მხოლოდ სამი მოსახლე დახვედრიათ. რუსეთის მეფის მთავრობის მიმართვის საფუძველზე რუსი ბერები მდ. ფსირცხის მიდამოებში დამკვიდრებულან და სამონასტრო ცხოვრება გაუჩაღებიათ. 1876 წელს, „ამ ველური მხარის გასანათლებლად და მისიონერული მიზნით“, ძველი, დანგრეული ეკლესიის ადგილზე აუგიათ წმ. პანტელეიმონის ტაძარი, რაც წარმოადგენდა საბერძნეთში, ქალკედონიის ნახევარკუნძულზე მდებარე შუა საუკუნეების ათონის პანტელეიმონის რუსული მონასტრის განყოფილებას – სიმონ კანანელის სამონასტრო კომპლექსის მთავარ ტაძარს. მის კურთხევას 1888 წელს დასწრებია რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III. ბერებს აქ სამონასტრო მეურნეობა შეუქმნიათ და 60 ჰა-ზე ზეთისხილის ბაღიც გაუშენებიათ. მათვე მდ.

ფსირცხაზე აუგიათ პატარა ჰიდროელექტროსადგური და დაუგუბებიათ წყალი ხელოვნური ტბის შექმნის მიზნით (ბერულავა, 1951: 42).

ტაძარი წარმოადგენს სამნავიან ნაგებობას ხუთი გუმბათით. ტაძრის სიგრძე 53,3 მ-ია, სიგანე – 37,7 მ, ხოლო ცენტრალური გუმბათის სიმაღლე – 40 მ (ავიძბა, 1997: 281-282).

კელასურის კედელი, რაც აგრეთვე „აფხაზეთის დიდი კედლის“ სახელწოდებითაა ცნობილი, სოხუმის სამხრეთით, 5 კმ-ის დაშორებით იწყება და მიუყვება კელასურის მარცხენა ნაპირს, მდინარის შავ ზღვასთან შესართავიდან ჩრდილოეთით, ღალიძგამდე. ვახუშტი „ანაკოფიის აღმოსავლით ზღვდან მთამდე“ თავდაცვით ნაგებობათა სისტემის აგებას, „ზღუდის შევლებას“ ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის სახელს უკავშირებს და შენიშნავს, რომ ეს განპირობებული იყო „აფხაზთა გამოუსლველობისათვის“. მეცნიერი საკმაო სიცხადით მიუთითებს ზღუდის ადგილმდებარეობას, რომ იგი ანაკოფიის აღმოსავლეთით, ზღვასთან იწყება და მთამდე გრძელდება. ამასთანავე, მან იცის, რომ ეს ზღუდე წარმოადგენდა საზღვარს ოდიშსა და აფხაზეთს შორის, და რომ იგი „გარნა ან უქმად არს“; თუმცა დაზუსტებით არაფერს ამბობს ზღუდის სახელწოდებაზე (ვახუშტი, IV, 1973: 782).

ამ სიმაგრის შესახებ ცნობები დაცულია არქანჯელო ლამბერტის ნაშრომში: „...ზღვის მხრით... მტერი ადვილად შესძლებდა შემოსვლას. ამ ადგილების დასაცველად აუშენებიათ რამდენიმე ხის ციხე, სადაც თოფით შეიარაღებული მცველები დგანან. ასეთივე საშუალება აქვთ ნახმარი მთების მხრიდანაც: რადგან ერთ ადგილას, რომელსაც ოლუშე (olusce) ჰქვია, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, – დიდის ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოციათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიაც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები“ (ლამბერტი, 2011: 188).

ჟან შარდენის თქმით, სამოცი მილის სიგრძის კედელი ოდიშს იცავდა ჩრდილოეთიდან, აფხაზეთისაგან (შარდენი, 1902: 24).

„აფხაზეთის დიდი კედლის“ გარშემო არსებული ვრცელი ლიტერატურის (ლამბერტი, შარდენი, ვახუშტი, დიუბუა დე მონპერე, დ. ბაქრაძე, ლ. სოლოვიოვი, ლ. შერვაშიძე, მ. ივაშჩენკო, ჯ. კუდრიაცვი-

ვი, დ. გულია, ბ. ბლაჟბა, ი. აძინბა...) ნაწილი მიმოიხილა თ. ბერაძემ და გამოთქვა სავსებით დამაჯერებელი მოსაზრება, რომ ამ სახელწოდების ქვეშ „მკვლევრები ხელოვნურად აერთიანებენ სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნაგებობებს“ (ბერაძე, სიგკ, IV, 1971: 72). თ. ბერაძე მიიჩნევს, რომ ვახუშტის ცნობა ლევან II დადიანის მიერ ზღუდის აგების შესახებ სარწმუნოა და კელასურიდან ლალიძგამდე არსებული გზა-გადასასვლელების ქვის კედელ-გალავნებით გამაგრებას ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე აფხაზი ფეოდალების თავდასხმებით შექმნილი საშიშროების თავიდან აცილება განაპირობებდა. ლევანმა საზღვარი საგანგებოდ გაამაგრა და ჩრდილოეთ-თავან დასაცავ ბარიერად კედელი გაავლო, ვინაიდან „იგი კარგად გრძნობდა, რომ თუ კელასურის პირას საზღვარი მოიშლებოდა, მტრის შეჩერება ენგურამდე შეუძლებელი იქნებოდა“ (იქვე).

უთუოდ აფხაზთა თავდასხმების მოგერიებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ოდიშის მესვეურნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის გამაგრებას. ამაზე ყურადღებას ამახვილებს ლამბერტი, რომელიც წერს: იმ მიზნით, რომ ოლუშედ წოდებულ ადგილას აგებულ კოშკებს შეიარაღებული მცველები არ მოჰკლებოდნენ, ოდიშის ეპისკოპოსებს, თავადებსა და დიდებულებს ევალებოდათ, მორიგეობით გამოეყვანათ „თავისი კაცები“ ამ ადგილების თითო თვით დასაცავად (იქვე: 188).

სპეციალისტთა წინაშე დასმულ მთავარ კითხვას, თუ ვინ, როდის და რა მიზნით ააგო ეს კედელი, სპეციალური ნაშრომით უპასუხა ზ. ალექსიძემ (ალექსიძე, 2, 2011: 34-41). მან ყურადღება მიაქცია ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული საისტორიო თხზულების – „მოქცევაი ქართლისაის“ ახალ, სინურ რედაქციაში კლისურის ზღუდის შესახებ დაცულ ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ კედელი სპარსელების მიერ ყოფილა აგებული. სინური რედაქცია გვაუწყებს: „მთავ[რად წანარეთისასა ხევსა] და მორჩ[ილებაი დასდ]ვეს [მისი]. და ოდეს ერაკლე [მეფე]ც მოვიდა, დაამყუნა (?) სპარსნი და სპარს[თა კლ]ისურისაცა იგი ზღუდეი შექმნეს ოდეს ჰოვსეთისა კართა იქმოდეს და უმ[ეტეს] ვითარ ხაზარეთისა [კა]რნი შექმნეს და ხაზარნი მეოტ ყვნეს...“ (იქვე: 38). ამ ცნობაზე დაყრდნობით, კითხვას – ვისი აგებულია ჩვენამდე მოღწეული კედელი: სპარსელთა მიერ – VI ს-ში, თუ ლევან დადიანისა – XVII ს-ში, ზ. ალექსიძემ შემდეგი პასუხი გას-

ცა: კელასურის კედელი აგებულია სპარსელთა მიერ ხაზართა უკუგდების მიზნით, დიდი ალბათობით – 553-568 წლებში, უფრო კი 553-562 წლებს შორის პერიოდში, ანუ მანამდე, ვიდრე ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის 50-წლიანი ზავი დაიდებოდა. მკვლევარს შესაძლებლობის გათვალისწინებით საეჭვოდ მიაჩნია ლევან დადიანის მიერ ამხელა კედლის აგება. შესაძლებელია, ოდიშის მთავარს მხოლოდ რალაც დაემატებინა, გამოეყენებინა, შეევესო და გაემაგრებინა უკვე არსებული ნაგებობა (იქვე: 40-41).

მკვლევარ ი. ვორონოვის დასაბუთებული მსჯელობით, კელასურის საფორტიფიკაციო ხაზის სიგრძე 58 კმ-ს აღწევს, ხოლო კედლისა – 25 კმ-ს (Воронов 1926, вып. 4; Адзинба, 1958: 106).

V.5. საკუთრივ აფხაზეთი

ალაცოსწყალი. ვახუშტი ბატონიშვილი საკუთრივ აფხაზეთზე მსჯელობას ალაცოსწყლით იწყებს და წერს: „ხოლო ანაკოფიის დასავლით დის ალაცოს წყალი. გამოსდის კავკასს და მიერთვის ზღუას ჩდილოდამ. ამ ალაცოს წყლის დასავლით დის ზუფუს მდინარე, გამოსდის კავკასს, დის სამჯრით, მიერთვის ჩდილოდამ ზღუას. არს ზუფუ მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მპყრობლობს აფხაზეთა, არავის მორჩილებასა შინა მყოფი. ამ ზუფუს დასავლით დის მუნის-წყალი. გამოსდის კავკასსავე, მოერთვის ჩდილოდამ ზღუას. ამ მუნის-წყლის დასავლით არს ბიჭვინტას ეკლესია დიდი, დიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი, ზღვს კიდესა ზედა. ეს ალაშენა იუსტინიანე კეისარმან შემკობითა დიდითა. პირველ იყო საეპისკოპოზო. ჟამსა აფხაზეთა მეფეთათა იქმნა საკათალიკოზოდ, და ან არს საყდარი აფხაზეთა კათალიკოზისა, არამედ ან ხუცის ამარად, ვინაფთგან აფხაზნი არღარა მონებენ რჯულსა და სარწმუნოებასა (ამას ვგონებ ნიკოფსიად, და ეკლესიასაცა მასზედ აღშენებულსა მისთვის, ვინაფთგან ნიკოფსიას დაფლულ არს მოციქული სჯმონ კანანელი). ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპპეტის მდინარე, დიდი და ჩქარად მდინარე. გამოსდის ესე რაჭის მთას, კავკასსა, გამოვლის სუანეთს, ალანსა და მას ქუეითთა ორს კავკას-შორისთა და მოერთვის აქა ჩდილოდამ ზღუასა“ (ვახუშტი, IV, 1973: 783-785).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „აღწერაში“ დასახელებული **ალაცოსწყალი** აწინდელი ააფსთა უნდა იყოს. (ა)აფსთა//ბაკლანოვკა ეწოდება მდინარეს გუდაუთის მუნიციპალიტეტში. სათავეს იღებს ბზიფის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, ზ. დ. 1445 მ-ზე. ჩამოედინება მის აღმოსავლეთ კალთაზე და შეერთვის შავ ზღვას ახალ ათონსა და გუდაუთას შორის... მდინარის სიგრძე 35 კმ-ია, აუზის ფართო-

ბი – 234 კმ². ააფსთის მთავარი შენაკადია დობვართა და მარცხენა შენაკადი – ხაბიუს მღვიმის ნაკადი („საქართველო“ I, 1997: 9).

გერმანელი მეცნიერი ედუარდ აიხვალდი აფხაზეთში ასახელებს მდ. აფსთას და შენიშნავს, რომ მისგან 1-1/2 ვერსის მოშორებით მდებარეობს თევზით ძალზე მდიდარი ტბა აჩარძე (აიხვალდი, 2005: 221). აფსთა, – დასძენს აიხვალდი, სათავეს იღებს კავკასიონის მთა ხიბოხუდან ანუ პლოფდალიდან და სწრაფი დინების მიუხედავად შესაძლებელია მასზე ცურვა პატარა ნავებით, 4 ვერსზე (იქვე: 222).

გუდაუთიდან 12 კმ-ის დაშორებით, ააფსთის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფ. ააცის უწინდელი სახელი **აღაცო** უნდა ყოფილიყო. XVII ს. II ნახევარში ერთ-ერთ თურქულ რუკაზე **აღჩას** ფორმით აღნიშნული სოფელი სწორედ აღაცო უნდა იყოს (ბერაძე, I, 1997: 9). იმერეთის მეფის – ალექსანდრე V-ის რუკაზე ახლანდელი აფხაზეთის მდინარეებს შორის გვხვდება მდ. აღაცუ (მათურელი, I, 1949: 214). იდენტური სახელწოდებებია სვანეთში დადასტურებული ტოპონიმი ააც და სამურზაყანოს მთაში ჩანერილი აიცი – საბალახო ენგურის მარჯვენა შენაკადის, აიცნყარის//ეცის სათავესთან (მიბჩუანი, 1998: 161; ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 15).

აღაცოსწყლის ლოკალიზაციის შესახებ ს. ჯანაშიას თვალსაზრისი, რომ ვახუშტის რუკაზე ანაკოფიის დასავლეთით ნაჩვენები აღაცოსწყალი უნდა იყოს დღევანდელი **გუმსა**, იგივე **გუმისთა** (ჯანაშია, VI, 1988: 287), ნაკლებ დამაჯერებელია.

ზუფუ. ვახუშტისეული „ზუფუს მდინარე“ ახლანდელი ხიფსთა//თეთრწყალა უნდა იყოს. აღნიშნული მდინარე მოედინება გუდაუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სათავეს იღებს ბზიფის ქედის სამხრეთ ნაწილში, მდინარეების – ხიფსთისა და ააფსთის სათავეებში მდებარე იმავე სახელწოდების მთაზე, ზ. დ. 2134 მ სიმაღლეზე და შეერთვის შავ ზღვას. მდინარის სიგრძე 33 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი – 166 კმ² (აფხაზავა, ქსე, XI, 1987: 486).

ვახუშტი საუბრობს მდინარის სახელწოდების მატარებელ, მცირე ქალაქის (დაბის) მსგავს დასახლებულ პუნქტზეც, სადაც ყოფილა აფხაზეთის მთავარ შარვაშიძის რეზიდენცია. ირკვევა, რომ ზუფუ შერვაშიძის (ადრინდელი ფორმა: შარვაშის ძე, შარვაშიძე, აფხ. ჩაჩბა,

აჩაჩბა) „სახლი და საყოფელია“. ამასთანავე, შარვაშიძე „მპყრობლობს აფხაზეთა, არავის მორჩილებასა შინა მყოფი“.

პ. ინგოროყვას დაკვირვებით, აფხაზეთის სამთავროს ძირითადი მხარე ჩაჩის თემი იგივე საშერვაშიძეოა და მოიცავდა გუდაუთის რაიონის ტერიტორიას, ცენტრით – სოფ. ლიხნში. ამ უძველესი საგვარეულოს წარმომადგენლები ჯერ კიდევ XII ს-ის 80-იანი წლებიდან იწოდებოდნენ ცხუმის ერისთავებად.

ლიხთ-იმერეთის რუკაზე გამოსახულია მდინარე და დასახლებული პუნქტი ზუფუს სახელწოდებით (ბურჯანაძე I, 1959: 193). ზუფუს სასახლეს არაერთგზის ასახელებს ნიკო დადიანი. აფხაზეთის აღწერისას იგი შენიშნავს, რომ „აქაურის მთავრის სასახლე არს ზუფუს“ (დადიანი, 1962: 152). მემატთანე სხვაგან აღნიშნავს, რომ „დადიანის საზღვარს იქით“ ზუფუს მფლობელი იყო ზურაბ შარვაშიძე (იქვე: 180, 183).

ზუფუ სხვა წყაროებშიც გვხვდება. იაკობ რაინეგსი შენიშნავს, რომ ანაკოფიის სამხრეთით, ოცდაათი ვერსის დაშორებით მდებარეობს გამაგრებული, პატარა აფხაზური ქალაქი ზუფუ, მცირე სიღრმის არამყუდრო ნავსადგურით. ამ ქალაქის მეორე, არასწორი სახელწოდება კულ წარმოდგება მოშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ენგურზე მდებარე დიდი აფხაზური სოფლის სახელწოდებისაგან (რაინეგსი, 2002: 108). უნდა ითქვას, რომ ენგურის ნაპირას რაინეგსისეული ტოპონიმ „კულის“ ლოკალიზაცია ვერ ხერხდება. ეტყობა, რომ დასახლებული პუნქტის სახელწოდებას მოგზაური დამახინჯებულად წარმოგვიდგენს. ამასთანავე, გერმანელი მოგზაური ცდება, როცა ზუფუს ანაკოფიის სამხრეთით მიუთითებს. სინამდვილეში ზუფუ მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ნაშრომში, სხვა ადგილას, რაინეგსი აღნიშნავს, რომ ანაკლიის ჩრდილოეთით ცხოვრობენ ლაძები ან ლაზები. მათ მცირედ ნაყოფიერ, ქვიშიან მიწას რწყავს მდინარეები – ალატისი და ზუფი (იქვე: 113).

ზუფუს სასახლეს არაერთგზის ასახელებს ნიკო დადიანი. აფხაზეთის აღწერისას იგი შენიშნავს, რომ „აქაურის მთავრის სასახლე არს ზუფუს“ (დადიანი, 1962: 152). ისტორიკოსი სხვაგან აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ჩასული არჩილ ბაგრატიონი „ისტუმრა“ შარვაშიძემ და „იყოფებოდა ზუფუს ჟამ-რაოდენმე“ (იქვე: 166). „ქართველთ ცხოვრების“ ავტორი გვაუწყებს, რომ იმერთა მეფე სოლომონ I-მა (1752-1784

წნ.) ცოლად შეირთო ზუფუელი თავადის – ინალისშვილის ასული (იქვე: 178) და რომ „დადიანის საზღვარს იქით“ ზუფუს მფლობელი იყო ზურაბ შარვაშიძე (იქვე: 180, 183). ნ. დადიანის ცნობით, ზუფუ-ში ცხოვრობდა დადიანის სიძე საფარ-ბეგ, ძე ქელაიშ აჰმედ-ბეგისა (იქვე: 197).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნიკო დადიანის თხზულების პირველ ნაწილში შემოკლებულადაა გადმოცემული ვახუშტის „აღწერა“, საკუთრივ აფხაზეთის მდინარეთა (მათ შორის ზუფუს) ვახუშტის მიერ წარმოდგენილი ფორმით მოხსენიება, ბუნებრივია, და ამაში გასაკვირიც არაფერია (ბერაძე, 1998: 105). მაგრამ საქმე ისაა, რომ ნიკო დადიანის დროსაც ეს პუნქტი **ზუფუს** სახელით იყო ცნობილი. ამას მონიშნავს „ქართველთა ცხოვრების“ მესამე, ორიგინალური ნაწილი. ავტორი 1821 წელს აფხაზეთის მთავარ საფარ-ბეგ შარვაშიძის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობასთან დაკავშირებით გვაუწყებს, რომ თუბუნისა (ცხომის) და მის შემოგარენში მდებარე სოფლების, აგრეთვე შარვაშიძეთა სასახლის აოხრების შემდეგ ბრძოლით დამაშვრალი ლაშქარი აყუს ციხეში დაბანაკებულა. რამდენიმე დღეში, აღნიშნავს მემატინანე, „ჩვენ წარვედით ზუფუს. და რა მივედით სასახლესა შინა შარვაშიძეთა, დავებანაკეთ. და მოვიდენ ყოველნი ზუფუელნი“ (იქვე: 210). მაშასადამე, თხზულების ავტორი თვითონ იყო ამ ლაშქრობის უშუალო მონაწილე და მეთაური და ბუნებრივია, მისი ცნობები ზუფუს შესახებ სანდოობას იმსახურებს.

მუნისწყალი ანუ დღევანდელი მჭიშთა (აფსუიზირებული ფორმა) მდინარეა გუდაუთის მუნიციპალიტეტში. მუნისწყლისა და მჭიშთის იგივეობის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისს თუ მართებულად მივიჩნევთ, მაშინ სახელწოდების კარსტულ მდინარედ გააზრება მისაღები უნდა იყოს (ოკუჯავა, 1998: 10, 114; ბახია-ოქრუაშვილი, 2010).

მუნისწყლის სახელწოდებით მდინარე აფხაზეთში მართლაც რომ არსებობდა, ადასტურებს ილორის ხატის წარწერის ტექსტი, რაც 1651 წლით თარიღდება: „მას ჟამსა ოდეს მიუჭედით შარვაშიძესა ზუფუს, მუნუს წყალსა აქათ ავაოჭრეთ. კიდევ მეორედ მიუჭედით ზუფუს, კაპოეტის წყალს აქათ სრულებით ავაოჭრეთ და სადაცა სიმაგრე იყო, ავიღეთ და გავაცუდეთ და კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯუა“ (გრიგოლია, XIII, 1942: 157). ხატის წარწერა იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ვახუშტის

თხზულებამდე თითქმის საუკუნით ადრეა შესრულებული და მასში ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული სამი ტოპონიმი დასახლებული. ესაა დასახლებული პუნქტი ზუფუ (შარვაშიძის რეზიდენცია) და მდინარეები – მუნუს წყალი და კაპოეტის წყალი.

აფხაზეთის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს მუნის წყლის შესახებ იმეორებს ნ. დადიანიც: „ზუფუს დასავლეთ არს მუნის წყალი: გამოსდის კავკასიოთგან და შეერთვის ზღვას“ (დადიანი, 1962: 152). ს. ჯანაშიას მიაჩნდა, რომ ვახუშტის მიერ მოხსენიებული მუნის წყალი უნდა იყოს მჭჭ?შ – (**Черная Мычиш**) (ჯანაშია, VI, 1988: 287). მდ. მჭიშთას „მაჩიშის“ ფორმით მოიხსენიებს ედუარდ აიხვალდი და წერს: „მაჩიშიც ერთვის ზღვას ბიჭვინთის ყურეში და მასზე შეიძლება რამდენიმე ვერსზე აღმა ცურვა“ (აიხვალდი, 2005: 222).

მსგავსი ჰიდრონიმი **მანისწყალი//მაჭისწყალი** დასტურდება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე (ასრათოვი, „ქ. ო.“, I, 1998: 72-73; Гамахариа, Гогиа, 1997: 645).

ბიჭვინთა არაერთ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროში მოიხსენიება (აფაქიძე I, 1975: 30-41; ლორთქიფანიძე 1991: 11; ინაძე, „მაცნე“, 1, 1991: 11; მისივე, „მოამბე“, 4, 1963: 131-139). სახელწოდება პიტიუნტის (ბერძნ. **Pitios Pityus** ლათ. **Pithyis**, იტალ. **Pezonda**, აფხ. **лџаа**, რუს. **Пицунда**) ამოსავალია ქართული „ფიჭვი“.

სტრაბონის აღწერით, დიოსკურიიდან 360 სტადიონის (დაახლ. 64 კმ) დაშორებით მდებარეობს „დიდი პიტიუნტი“ (ყაუხჩიშვილი, 1964: 62). პლინიუსთანაც ბიჭვინთის მდებარეობა ასევეა გადმოცემული: „ბიჭვინთა მდებარეობს დიოსკურიის ახლოს“. პლინიუსი მას მდიდარ ქალაქს უწოდებს. არიანე შენიშნავს, რომ დიოსკურიიდან გამგზავრების შემდეგ პირველი გაჩერება ბიჭვინთაშია. დიოსკურიიდან ორი დღის სავალზე პროკოპი კესარიელი მიუთითებს ციხესიმაგრე ანაკოფიას. ახ. წ. V ს-ში მოღვაწე ისტორიკოსი ზოსიმე შენიშნავს, რომ ბიჭვინთა წარმოადგენდა უზარმაზარი კედლებით შემოზღუდულ სიმაგრეს და მოხერხებულ ნავსადგურს (ყაუხჩიშვილი, 1964: 63). 398 წელს რომის საბრძანებლის უკანასკნელ საზღვარზე – ბიჭვინთაში გადაუსახლებიათ ცნობილი ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწე იოანე ოქროპირი (იქვე). ბიჭვინთის ციხესიმაგრის აშენებასა და იქვე

ტაძრის შეკეთებას პროკოპი კესარიელი უკავშირებდა კეისარ იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) სახელს (გეორგიკა, III, 1936: 136).

ბიჭვინთის ეკლესიას ვახუშტი აღმატებით ხარისხში მოიხსენიებს და წერს, რომ „დიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი“ ეკლესია ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ს აუშენებია „შემკობითა დიდითა“. როგორც ჩანს, იგი ეყრდნობოდა ძველი მემკვიდრის თხზულებაში დაცულ ცნობას აფხაზეთში ტაძრის აგების შესახებ. ვახუშტის თხზულების ამოაზე, შესაბამის ადგილას შემდეგი მინაწერი გაუკეთებია: „ბარონია სწერს: „კეისარმან იუსტინიანემ აღაშენა ეკლესია აფხაზეთს წელსა ქრისტესსა 529. ეს არს ბიჭვინტა ღვთისმშობლისა, რომელი იქმნა განყოფასა ხოსროვანთასა, რაჟამს ფარსმან ერჩდა სპარსთა და ძენი მირდატისნი ბერძენთა. ამით ჩანს, ვინადგან მირდატის ძეთა აღარ ეყრათ. ფარსმანს მიუღეს კვალად ეგრისის მდინარის იქითი ბერძენთა“ (ვახუშტი, IV, 1973: 784).

იუსტინიანეს მიერ აშენებულ ღვთისმშობლის ეკლესიაში იგულისხმება არა ის ეკლესია, რაც ბიჭვინთაში დღეს დგას, არამედ არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი რამდენიმე ადრექრისტიანული ეკლესიიდან ერთ-ერთი. ირკვევა, რომ აქ იუსტინიანემდეც იდგა ქრისტიანული ტაძარი, რისი დასტურიცაა 325 წლის ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის ეპისკოპოს სტრატოფილეს მოხსენიება (ბერაძე, 1998: 107).

ვახუშტი ბატონიშვილი ფიქრობს, რომ ბიჭვინთის ეკლესია ქრისტეს ერთ-ერთი მოციქულის – სვიმონ კანანელის საფლავზეა აგებული, რაც შეცდომაა. იგი მაშინაც შეცდომას უშვებს, როცა ბიჭვინთა და ნიკოფსია ერთი და იმავე პუნქტის სახელწოდება ჰგონია („ამას ვგონებ ნიკოფსიად... ვინა[თგან] ნიკოფსიას დაფლულ არს მოციქული სვიმონ კანანელი“).

ქართულ და უცხოურ საისტორიო მწერლობაში არაერთგზის მოხსენიებული ნიკოფსია (ბერძნული Nikofsis) ამჟამინდელი ნოვარია მიხაილოვკაა, რაც მდებარეობს ქალაქ ტუაფსეს (კრასნოდარის მხარე, რუსეთის ფედერაცია) ჩრდილო-დასავლეთით, 47 კმ-ის დაშორებით, ნეგეფსუხოს//ნეჩეფსუხოს ნაპირას. აღნიშნული მდინარით (უნინდელი ნიკოფსიით) იმიჯნებოდა ჯერ ეგრის-აფხაზეთის, იგივე „აფხაზთა“ სამეფო და ჯიქეთი, ხოლო ერთიანი ქართული მონარქიის ჩამოყალიბების შემდეგ – საქართველო და ჯიქეთი (ბერაძე, 1998: 107-108).

სვიმონ კანანელის საფლავის ნიკოფსიაში არსებობის შესახებ ცნობები მოიპოვება სხვადასხვა წყაროებში. თხზულება, სახელწოდებით – „მიმოსულა და ქადაგება ყოვლად ქებულისა და დიდებული-სა მოციქულისა ანდრეასი“, გვაუწყებს: „სვიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფსე ქალაქი აფხაზეთისა და ჯიქეთისა“ (საბინინი, 1882: 36). ნიკოფსიაში მის დაკრძალვაზე მოგვითხრობს მემატიანე ლეონტი მროველი: „ამისვე ადერკის მეფობისა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანნი ანდრია და სვიმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს და მუნ აღესრულა წმიდა სვიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსია-სა“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 38).

ამ და სხვა ისტორიული წყაროების გაანალიზებით თამაზ ბერაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული ყველაზე ძვირფასი ქრისტიანული რელიკვია – ქრისტეს სჯულის მქადაგებლის, სვიმონ კანანელის წმინდა ნაწილები, ქართველებს ნიკოფსიიდან ანაკოფიაში მას შემდეგ უნდა გადმოესვენებინათ, რაც საქართველოს ძლიერების დასუსტების შემდეგ მორჩილებიდან გამოსულმა ჯიქებმა საქართველოს განაპირა მხარის აოხრება დაიწყეს. მართალია, ქართველები ჯიქ-აფხაზთა გამოხდომებს დამსჯელი სამხედრო ექსპედიციებით პასუხობდნენ (ვამეყ II დადიანის (1384-1396 წწ.) ბრძოლა ჯიქთა წინააღმდეგ), მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა დასავლეთ კავკასიის მთიელთა სტიქიური „მოწოლის“ შესაჩერებლად, რომელიც „ამ დროს ძალას იკრებდა და დასავლეთ საქართველოს ბარისაკენ გაჭრას ცდილობდა“ (ბერაძე, 2007: 133). ამასთანავე, ჯიქეთში მაინც იგრძნობოდა ქრისტიანობის თანდათან შესუსტება. ამ ფონზე უპატრონოდ დარჩენილ საეკლესიო ნივთებს და სინმინდეებს დაღუპვის საფრთხე ემუქრებოდა. საფიქრებელია, რომ ქართველებს პირველ რიგში ამ ნაწილების უხიფათო ადგილზე გადასასვენებლად ეზრუნათ და აი, ამ გზით უნდა დაეკრძალათ სვიმონ კანანელის ნეშტი ანაკოფიის (ახალი ათონის) ერთ-ერთ ძველ ეკლესიაში. ამ გადმოსვენების შესახებ, – დაასკვნის თამაზ ბერაძე – ცნობა ვახუშტი ბაგრატიონსაც უნდა ჰქონოდა, მაგრამ, ვინაიდან მისთვის უცნობი იყო ის ეკლესია, სადაც ქრისტეს მოციქულის ნეშტი დაასვენეს, შეცდომით ასეთ ეკლესიად მან ბიჭვინთა მიიჩნია (იქვე: 109-110).

325 წელს, მცირე აზიის ქალაქ ნიკეაში მოწვეულ პირველ მსოფლიოს საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის („ფიტუნთას“) ეპისკოპოსი სტრატოფილე. „ეს ფაქტი უალრესი მნიშვნელობისაა: როგორც ჩანს, ბიჭვინთაში IV საუკუნეში იმდენად ძლიერი ყოფილა საქრისტიანო ორგანიზაცია, რომ მას მსოფლიო კრებაზე თავისი წარმომადგენელიც კი გაუგზავნია“ (ყაუხჩიშვილი, 1964: 64).

ბიჭვინთის შესახებ მოგვითხრობს „სომხური გეოგრაფია“ (VII-X სს), სადაც აღნიშნულია, რომ „ბულღართა და პონტოს ზღვას შორის მოსახლეობენ გარშთა, ქუთთა და სვანთა ტომები ვიდრე ზღვისპირა ქალაქ პისინუნამდე ავაზოვ ქვეყნისა, რომელიც არის აფშილეთი და აფხაზეთი, ვიდრე მათ ზღვისპირა ქალაქ სევასტუპოლამდე“ (მუსხელიშვილი, I, 1977: 97). „პისინუნა“ სწორედ ამჟამინდელი ბიჭვინთა უნდა იყოს.

პირველი კარტოგრაფიული ნყარო, სადაც ბიჭვინთა (პეცონდა ფორმით) დასტურდება, არის XIII ს-ის ვენეციური რუკა (Гамахариа, Гогиа, 1997: 820-822).

ბიჭვინთის შესახებ ცნობები დაცულია იაკობ რაინეგის მოგზაურობის ჩანაწერებში. მოგზაური შენიშნავს, რომ შავი ზღვის მოზრდილ ყურესა და მყუდრო ნავსაყუდელებში ძველად მდებარეობდა ქალაქი ბეზონტა, რაც ამჟამად ბიზონტისა და ბიჭვინთის სახელწოდებითაა ცნობილი. მოგზაური საუბრობს იმპერატორ იუსტინიანეს მიერ აშენებულ წმ. ანდრიას სახელობის ქვის მშვენიერ ეკლესიაზე და მასში დაცულ, თეთრი მარმარილოსაგან გაკეთებულ ბარელიეფზე ჯვარცმული ქრისტესი (რაინეგი, 2002: 107). რაინეგი წერს, რომ რამდენიმე წელია ბიჭვინთას **გელენჯიკ ლიმონი** ჰქვია (იქვე), რაც სინამდვილეს არ შეეფერება. უნდა ითქვას, რომ იგი ხშირად შეცდომას უშვებს გეოგრაფიული სახელების გადმოცემისას. ზოგიერთი დასახლებული პუნქტის ამა თუ იმ მხარისადმი კუთვნილება რაინეგსთან არეულია. ეს ფაქტი იმით უნდა აიხსნას, რომ რაინეგისათვის ადვილი არ იქნებოდა ქართული თანხმოვნების გერმანულად გადმოცემა, მით უმეტეს, მაშინ, თუკი ის ამას სხვისი პირით ისმენდა (იქვე: 31).

საგულისხმო ცნობებს გვანვდის ჟაკ ფრანსუა გამბა თავის სამოგზაურო ჩანაწერებში. აფხაზეთის ის ნაწილი, – შენიშნავს გამბა, – სადაც ბიჭვინთა (Pitsunda) მდებარეობს, რუსეთის მიერ დანიშნულ ხელისუფალს არ ემორჩილება და შავი ზღვის ნაპირის გაყოლებაზე

მცხოვრებნი დღესაც ისევე ეწევიან მეკობრეობას, როგორც სტრა-ბონის დროს (გამბა, 1987: 63). ბიჭვინთის შესახებ ვრცელი მსჯე-ლობა მოცემულია გამბას ჩანაწერების მესამე თავშიც. აფხაზეთი, მოგზაურის თქმით, ნავსადგურის არქონით გამოწვეულ დანაკლისს ბიჭვინთისა და სოხუმ-კალეს ორი ფართო ყურეთი ინაზღაურებს. მო-გზაური მიიჩნევს, რომ ბიჭვინთა უდავოდ ის ადგილია, რასაც ძვე-ლი გეოგრაფები და ისტორიკოსები **დიდი პიტუსის (Grand Pythus)** სახელწოდებით მიუთითებენ და აღმოსავლეთის იმპერატორების დროიდან წარმოადგენდა იმპერიის საზღვარს აზიის მხრიდან. გამ-ბამ იცის, რომ ბიჭვინთის მხარე ძველად უკაცრიელი, გაველურე-ბული ქვეყანა იყო, სადაც V ს-ის დასაწყისში აღმოსავლეთ რომის იმპერატორ არკადიუსის (377-408 წწ.) დროს და დედოფალ ევდოკიას ბრძანებით გადმოასახლეს წმინდა იოანე ოქროპირი. იგი ანატოლიის ნაპირზე ერთ-ერთ პატარა ნავსადგურში შეჩერდა და ხანგრძლივი, დამლელი მოგზაურობის გამო იქვე გარდაიცვალა და ბიჭვინთაში ვერ ჩააღწია. ბიჭვინთის ყურეში წყლის სიღრმე სამიდან ოც საყე-ნამდეა. ლუზაზე დაბმული ხომალდები ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქარებისაგან მაღალი მთებით, ხოლო ზღვის ქარებისაგან – შემალ-ლებული კონცხითაა დაცული. აქ დღემდე შემორჩენილია ჩერქეზე-ბის შემოსევის შემდეგ მიტოვებული ძველი მონასტრის თითქმის მთლიანი კედლები. გამბას დაკვირვებით, ბიჭვინთის ყურეში მცირე ხარჯებით შესაძლებელია გემთსაშენის მონყოლა დიდი ზომის გემე-ბის ასაგებად და საკუთარ მრეწველობასა და ვაჭრობას მოკლებულ, გაღატაკებულ აფხაზეთა გემთსაშენში მუშახელად დასაქმება. ფრანგი მოგზაური დასძენს, რომ მაჰმადიანი აფხაზები და იქ დასახლებუ-ლი სომხები შიშით ეთაყვანებიან ჩრდილოეთით, კონცხისთავზე გან-ლაგებულ მიტოვებულ მონასტერს. სოხუმ-კალედან დაახლოებით სა-მოციოდე ვერსით დაშორებულ ბიჭვინთაში თხუთმეტიოდე სახლი და ამდენივე ოჯახია. ისინი მიწათმოქმედებას მისდევენ და პატრონობენ მიტოვებულ მონასტერს. აქაური მაცხოვრებელნი უზრუნველყოფილ-ნი არიან, რადგან ითვისებენ მონასტერში აფხაზებისა და ჩერქეზების მიერ საღვთო ძღვნად მოტანილ საქონელს (იქვე: 79-80).

ედუარდ აიხვალდის აღწერით, აფხაზეთის ზედა საზღვრებზე გა-დაჭიმული კავკასიონის თხემი სუხუმ-კალეს ციხიდან ბიჭვინთის ანუ პიცუნდის მონასტრამდე შესამჩნევად უახლოვდება ნაპირს (აიხვალ-

დი, 2005: 220). შავიზღვისპირა ნავსადგურებს შორის აიხვალდი ასახელებს ბიჭვინთის მონასტრის მახლობლად მდებარე ნაკლებად სარგებლიან ყურეს, რასაც „სამხედრო გემებისთვის ღუზის ჩასაგდებად აქვს საკმაოდ სანდო ფსკერი, ოღონდ იმ გამონაკლისით, რომ სამხრეთ-დასავლეთიდან მთლად გახსნილია“ (იქვე: 221). აიხვალდს მხედველობიდან არც ის გამოჩნდება, რომ ბიჭვინთაში საკმაო რაოდენობითაა მტკნარი წყალი და გემთსაშენისათვის გამოსადეგი ხეცე (იქვე: 221).

1843 წელს ბიჭვინთას სწვევია აგრარული ურთიერთობების ცნობილი გერმანელი მკვლევარი აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი (1792-1866 წწ.). მისი აზრით, ეს უნდა იყოს ძველი პიტიუსი, შუა საუკუნეებში გენუელების მნიშვნელოვანი სამოსახლო და აღმოსავლური იმპერიის ბრწყინვალე ადგილი. ჰაქსტჰაუზენს უნახავს ნაწილობრივ თაღებად გადარჩენილი და ვაზით დაფარული ბიზანტიური სტილის ეკლესიის ნანგრევები, თაღებსა და კედლებზე ძველი ფრესკებით... აფხაზები ხშირად მიდიან სალოცავად ბიჭვინთის ჩრდილოეთით, მთაში, სადაც ყოფილა სომხური ეკლესია და პატარა მონასტერი (ჰაქსტჰაუზენი, 2011: 33).

„კაპეტის მდინარე“. ვახუშტის „აღწერის“ თანახმად, მდინარე, რაც ბიჭვინთის დასავლეთით მოედინება, არის **კაპპეტი („კაპეტის მდინარე“)**. ამ სახელწოდების მდინარე თანამედროვე აფხაზეთში ცნობილი არ არის, მაგრამ სწავლული ბატონიშვილის ცნობებისა და სხვა ისტორიული წყაროების საქართველოს თანამედროვე ზოგადგეოგრაფიულ რუკასთან შედარებით ისტორიკოსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მდ. კაპპეტი, რაც „ბიჭვინთის დასავლეთ დის“, ამჟამინდელი მდინარე ბზიფი ყოფილა.

ბზიფი სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, ადანგეს უღელტეხილთან. მდინარის სიგრძე 110 კმ-ია, აუზის ფართობი – 1510 კმ². მის მარჯვენა ნაპირას, ზ. დ. 45 მ-ზე მდებარეობს სოფელი და თემის ცენტრი ბზიფის სახელწოდებით, რაც შავ ზღვას 7 კმ-ით, ხოლო გაგრას 16 კმ-ით არის დაშორებული. ბზიფის თემში შემავალი ერთი სოფელი „ბზიფთად“ იწოდება. ბზიფის სათავესთან მდებარე კავკასიონის სამხრეთ გვერდითი ქედი თანამედროვე გეოგრაფიულ მეცნიერებაში ასევე „ბზიფის ქედის“

სახელითაა ცნობილი. მისი უმაღლესი მწვერვალი კაპიშისტრა ანუ ხიმსა ზ. დ. 3156 მ სიმაღლეზეა (მარუაშვილი, ქსე, II, 1977: 353).

ჩვენ მიერ დამოწმებული ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერიდან (XVII ს. I ნახევარი) ირკვევა, რომ კაპოეტის წყლის ნაპირას გამართულა ბრძოლა ოდიშის მთავარ ლევან დადიანსა და აფხაზ თავადებს – მარშანიებს შორის. „კაპოეტის წყლის“ ფორმით მდინარე აღნიშნულია 1737 წელს შედგენილ რუკაზე, და იქვე მითითებულია, რომ მდინარის „აქე ჯიქეთი“ მდებარეობდა (მათურელი, IX, 1949: 214; ბურჯანაძე, I, 1959: 192).

მდინარეს „კაბეთის“ ფორმით იხსენიებს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი და შენიშნავს, რომ კაბეთის შესართავის სამხრეთით მდებარე ბიჭვინთა წარმოადგენს სასაზღვრო ადგილს ჯიქეთთან (გიულდენშტედტი, I, 1962: 325).

ამ მდინარეს იცნობს ნიკო დადიანიც. მისი დაკვირვებით აფხაზეთი მოქცეულია ანაკოფიასა და კაპეტის მდინარეს შორის (დადიანი, 1962: 151). კაპეტის დასავლეთით ჯიქეთი იწყებოდა. ნ. დადიანი ფაქტობრივად იმეორებს ვახუშტის მონაცემებს მდინარის დინების შესახებ და წერს: „ბიჭვინთის „...ქვემო სდის კაპეტის წყალი, გამოსდის ესე რაჭის მთას კავკასსა, გამოვლის სვანეთს, ალანსა და მას ქვეით კავკას შორისთა და მოერთის აქა ჩრდილოდამ ზღვას“ (იქვე: 152).

საყურადღებოა ნ. დადიანის კიდევ ერთი ცნობა კაპეტის შესახებ. კერძოდ, 1821 წელს აფხაზეთში ლაშქრობასთან დაკავშირებით ისტორიკოსი გვაუწყებს: „წარვედით და კაპეტის წყალის პირსა ზედა დავებანაკეთ სასახლესა შინა წარჩოუსასა და მუნით წარვეგზავნეთ თარეშნი ჩვენნი ლეჩხუმელნი, და მოათარეშეს მრავალნი ადგილნი და მოსდენეს მრავალნი პირუტყვი და სხვა ალაფი და მოვიდენ“ (იქვე: 210).

ედუარდ აიხვალდი მიუთითებს, რომ კავკასიონზე, ხორჩას მთიდან გამომდინარე **ხანიტა** ანუ **ხაპეტის-წყალი** ერთვის ზღვას პიცუნდის ყურესთან, „ოღონდ სწრაფი დინების გამო სანაოსნოდ გამოუსადეგარია“ (აიხვალდი, 2005: 222). ამასთანავე, მოგზაურმა იცის, რომ არსებობს მდინარე „ბზიფის“ სახელწოდებით და შენიშნავს, რომ ჩერქეზები პატარა ნავებით დაცურავენ ბზიფზე და მდინარის

კლდოვან ნაპირებზე დამალულნი „ხელსაყრელ დროს თავს ესხმიან აფხაზეთს“ (იქვე: 222).

მაშასადამე, აიხვალდი აფხაზეთის უმთავრეს მდინარეთა ჩამონათვალში ასახელებს როგორც ხანიტას//ხაპეტის-წყალს, ისე ბზიფს. თუკი ჩავთვლით, რომ ვახუშტის „აღწერაში“ მოხსენიებული „კაპეტის“ სახელწოდება ფორმა „ხანიტა“ ანუ „ხაპეტის-წყალი“, მაშინ ედუარდ აიხვალდის ცნობა ეწინააღმდეგება ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე გამოთქმულ თვალსაზრისს „კაპეტის მდინარის“, „კაპეტის წყლისა“ და „ბზიფის“ იგივეობაზე.

ფაქტია, რომ გერმანელი მეცნიერ-მოგზაური ერთმანეთისგან აშკარად განასხვავებს ამ ორ მდინარეს, რასაც მოწმობს კიდევ ერთი გარემოება: ავტორი იცნობს აფხაზეთის ერთ-ერთ მხარეს **სუბცის** ანუ **ბზიფის** სახელწოდებით; ამასთანავე, აფხაზეთის მდინარეები ჩამოთვლილია შემდეგი თანმიმდევრობით: ღალიძგა, მარკულა, კოდორი, კელასური, გუმისთა, აფსთა, ხანიტა ანუ ხაპეტის-წყალი, მაჩიში, ბზიფი და სევადე (იქვე: 222). ჩამონათვალიდან ჩანს, რომ აიხვალდი ხაპეტის-წყლის შემდეგ ასახელებს მდ. მაჩიშს ანუ ამჟამინდელ მჭიშთას, და ამის შემდეგ საუბრობს ბზიფზე. მდინარეთა დინების თანმიმდევრობა და ჰიდრონიმები იმდენად ზუსტადაა გადმოცემული, რომ ჩანანერებიდან დამონმებული ცნობების სიზუსტეში ეჭვის შეტანა ზედმეტ სიფრთხილედ შეიძლება ჩაითვალოს. ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ XIX ს-ში შედგენილ ერთ-ერთ რუსულენოვან რუკაზე აფხაზეთის მხარეში, კერძოდ, აფხაზეთა „ოკრუგის“ ტერიტორიაზე, მდ. გუმისთის მარჯვენა შენაკადს აწერია „ხაბოტა“, რაც, ჩვენი ფიქრით, სწორედ კაპოეტის-წყლის ან ხაპეტის-წყლის ვარიანტი უნდა იყოს. რუსულენოვანი რუკის თანამედროვე რუკასთან შედარება ცხადყოფს, რომ ამ სახელს ატარებდა მდ. დასავლეთი გუმისთა, რაც ამჟამინდელი მდ. აღმოსავლეთი გუმისთის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს.

ვახუშტის „აღწერასა“ და რუკებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მას არასწორი წარმოდგენა აქვს კაპოეტისწყლის სათავის მდებარეობასა და დინების მიმართულებაზე. მისი ცნობა, რომ მდინარე „გამოსდის რაჭის მთას“ და „გამოვლის სუანეთს, ალანს“, რეალობისაგან ძალიან შორს დგას. თუკი ბზიფისა და კაპოეტის-წყლის იდენტიურობის

შესახებ გამოთქმული მოსაზრება მართებულია, მაშინ სწავლული ბატონიშვილის შეცდომა შემდეგში მდგომარეობს: იგი ბზიფის სათავეში აერთიანებს ცხენისწყლის, ენგურის, კოდორისა და საკუთრივ ბზიფის სათავეებს. ასეთივე შეცდომითაა მდინარე რუკაზე გამოსახული (ბერაძე, 1998: 106); ეს მაშინ, როდესაც ცხენისწყალი და ენგური ფასისმაზე იღებს სათავეს, ხოლო კოდორი აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთი ტოტითაა გამოყოფილი ენგურის აუზისაგან. ცხენისწყლის სათავე სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ფასისმთის დასავლეთითაა, ხოლო ბზიფისა – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, ადანგეს უღელტეხილის მახლობლად.

V.6. ჯიქეთი

ვახუშტი საყურადღებო ცნობებს გვანვდის აფხაზეთის ჯიქეთის საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე. საქართველოს ამ ისტორიული მხარის შესახებ ისტორიკოსი წერს: „ხოლო ამ აფხაზეთს იქით, კაპპეტის წყლის დასავლეთს, ბაგრატიონთ ჟამს აქეთ აქამომდე უწოდებენ ჯიქეთს, არამედ გორგასლის ცხოვრება უწოდებს ჯიქეთს ამ ჯიქეთის ჩდილოთ კერძოს, კავკასის მთის იქითს კერძს ზღუამდე. და ამ აწინდელს ჯიქეთს მზღვრის: აღმოსავლით კაპპეტის წყალი; დასავლით შავი ზღუა; სამწრით იგივე ზღუა; ჩდილოთ კავკასი. და არს ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა: მოსავლით და ცხოვლით, წესით და ქცევითაცა. არამედ კაცნი უმეტეს მვეცთ მგზავსნი. ყოფილან პირველად ქრისტიანენი, არამედ აწ უცნობელნი მისნი. გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი, და იარაღნი, და საჭურველნი, ვითარცა ჩერქესთანი, რომელთა ზნეთა ჟამად იმერნიცა ხმარობენ“ (ვახუშტი, IV, 1973: 786-787).

ივ. ჯავახიშვილი ვრცლად მიმოიხილავს საქართველოს საზღვარს ჩრდილო-დასავლეთ ხაზზე (აფხაზეთ-ჯიქეთს) და აღნიშნავს, რომ ვახუშტის ეპოქაში (XVIII ს.) აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის საზღვარი შავ ზღვასა და კაპოეტის წყალზე გადიოდა, ხოლო ჯიქეთის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედს გასდევდა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ლიხთ-იმერეთის 1732 წლის რუკის შემდგენელს კაპოეტის წყალთან მიუწერია – „აქეთ ჯიქეთი“. მაშასადამე, ჯიქეთი მითითებულია კაპოეტის წყლის ჩრდილოეთით (ჯავახიშვილი, 1919: 4).

ვახუშტის მიერ 1735 წელს შედგენილი რუკისა და თანამედროვე რუკების მონაცემთა ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ სწავლული ბატონიშვილი ჯიქეთში გულისხმობდა ამჟამინდელ გაგრის რაიონის ტერიტორიას. მაგრამ ვახუშტის ისიც სცოდნია, რომ საკუთრივ

ჯიქეთი, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ მიხედვით, ეწოდებოდა „აფხაზეთის ჯიქეთის“, ე. ი. აფხაზეთში შემავალი ტერიტორიული ერთეულის ჩრდილოეთით, „კავკასის მთის“ (დიდი კავკასიონის) „სა-საზღვრო ხაზის“ მიმდებარე ტერიტორიასაც, შავ ზღვამდე.

ვახუშტისავე ცნობით, აფხაზეთისა და ჯიქეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, ლეონ II-ის მეფობიდან მოყოლებული, „...ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე“ („ქ. ცხ.“, IV, 1973: 795), აფხაზეთის საერისთავოში შედიოდა. მაშასადამე, ჯიქეთის ერთი ნაწილი, კერძოდ, ტერიტორია მდ. აქეუნტსა (შახე?) და ნიკოფსიას შორის, საკუთრივ ეთნოგრაფიული აფხაზეთის ტერიტორიასთან (ანაკოფიის მდინარესა და ნიკოფსიას შორის) ერთად აფხაზეთის საერისთავოში ერთიანდებოდა (ინგოროყვა, 1954: 121; ხორავა 1998: 87).

პ. ინგოროყვას მსჯელობით, აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი, რაც ადრე ჰენიოხთა მიწა-წყალს შეადგენდა, შემდეგ ჯიქების ხელში გადასულა და მოიცავდა ტუაფსის რაიონის ტერიტორიას, მდ. ახეუნთადაც (შახე) ნიკოფსიამდე. იმიერკავკასიელი ჯიქები შავი ზღვის სანაპიროზე გადმოსულან და თანდათან გაუფართოებიათ თავიანთი ტერიტორია (ინგოროყვა, 1954: 125). მკვლევარი შენიშნავს, რომ ძვ. წ. VI საუკუნიდან I საუკუნემდე „ანტიკური ხანის ავტორები შავი ზღვის სანაპიროზე არ იცნობენ ჯიქებს და უშუალო მეზობლად ჰენიოხებისა მოხსენიებული არიან ახაველნი. მხოლოდ სტრაბონი (მითრიდატის ომის ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით) პირველად მოიხსენიებს ჯიქებს, რომლებიც ჩამოსახლებულან ახაველთა და ჰენიოხთა შუა. ამის შემდეგ ჯიქები თანდათან აფართოებენ თავიანთ ტერიტორიას და დაიჭერენ ახაველთა მიწა-წყალს მთლიანად, ხოლო ჰენიოხეთიდან თავის გავლენის ზონაში მოაქცევენ მის ჩრდილოეთ სანაპიროს“ (იქვე: 125).

ჯიქების თავდაპირველ სამშობლოდ იმიერკავკასიის მიწნევის დასამტკიცებლად პ. ინგოროყვა იმონებს ჯუანშერის შემდეგ ცნობას „ქართლის ცხოვრებიდან“: „ჯიქნი დაემკვდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“ (ჯუანშერი, I, 1955: 157). რომელიდაც თურქული ტომის მონოლით შევიწროებული პაჭანიკები და ჯიქები შავიზღვისპირეთისკენ დაძრულან და აქ დამკვიდრებულან (ხორავა, 1996: 24). აფხაზეთის ჯიქეთის (ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი) ცენტრს ქალაქი ნიკოფსია

(უწინდელი „ლაზიკა“, არიანესეული „ძველი ლაზიკა“) წარმოადგენდა (იქვე: 125).

დ. მუსხელიშვილის მართებული მოსაზრებით, აფხაზეთისა და ჯიქეთის ერთ საერისთავოში გაერთიანება სწორედ აფხაზთა და ჯიქთა ახლო ნათესაობით უნდა აიხსნას, რასაც მხარს უჭერს ქართული ფეოდალური საერისთავოების შექმნის ტომობრივ-თემობრივი პრინციპის გათვალისწინება (მუსხელიშვილი, II, 1980: 144-145; შდრ. ხორავა, 1998: 87). ვახუშტის ზემოთ მითითებული ცნობა, რომ „არს ადგილ ესე (ჯიქეთი – ი. კ.) ყოვლითურთ აფხაზეთისა“ და რომ ჯიქთა და აფხაზთა ზნე, საქციელი, სამოსელი და იარაღ-საჭურველი ერთნაირია, ასევე ერთ-ერთი უტყუარი მონიშნა იმისა, რომ ისინი ერთი მოდგმის ხალხად მივიჩნიოთ.

პირველი წერილობითი წყარო, სადაც ამ აბაზური მოდგმის მთიელი ტომის შესახებ ცნობებია დაცული, არის ახ. წ. I ს-ში მოღვაწე პონტოელი ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის – სტრაბონის (ძვ. წ. 64/63- ახ. წ. 23/24 წწ.) თხზულება, სადაც მათ საცხოვრისად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარე კერკეტების ყოფილი ტერიტორიაა მითითებული. მასში დაახლოებით ახლანდელი ნოვოროსიისკიდან ტუაფსემდე (რუსეთის რესპუბლიკა) ტერიტორია და მდ. ყუბანის (აქარდონის) ზემო წელი იგულისხმება. ზიქები, ზიხები ანუ ჯიქები შავიზღვისპირეთში იმიერკავკასიიდან ჩამოსახლებულან (ჯუანშერი, „ქ. ცხ.“, I, 1955: 156-157; ინგოროყვა, 1954: 125; ყაუხჩიშვილი, 1957; ხორავა, 1998: 92).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჯიქების თვითსახელწოდებაა „აბაძა“. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ტაპანთელთა თვითსახელწოდებაც „აბაზაა“. ქ. ლომთათიძის აზრით, შავი ზღვისპირას, ჯიქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ აბაზათა მნიშვნელოვანწილად გაქართველების მაუნყებელია სადღეისო ვითარებაც (ლომთათიძე, №12, 1956: 138).

ფიქრობენ, რომ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი პრეაფხაზურ-ადიღურ ჯგუფს და, მათ შორის – ჯიქთა ტომს, საერთოკავკასიური ეთნიკური ერთობის დაშლის შემდეგ (ძვ. წ. V-IV ათასწლ.) უნდა დაეკავებინა, რასაც უკანასკნელი ათწლეულების არქეოლოგიური კვლევების შედეგებიც ცხადყოფს (ჯაფარიძე, 1976: 179-193; მისივე, 1989: 367-404; ლომოური, 2008: 38-39).

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აფხაზეთში, ჩრდილო-კავკასიელთა ინფილტრაციის (თუ ექსპანსიის) რთულ ისტორიულ პროცესს პერმანენტული ხასიათი უნდა ჰქონოდა და საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. რეგიონის ეთნიკურ რუკაში შეტანილ ცვლილებებზე ერთ-ერთ პირველ მინიშნებას სტრაბონის ცნობა გვაძლევს, რომლის დროსაც (ძვ. წ. I ს.) იმიერკავკასიიდან ჯიქთა ჩამოსახლება ახლად მომხდარ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ეს იყო დიდი კავკასიონის წყალგამყოფი „სასაზღვრო ხაზიდან“ ჯიქთა პირველი მასობრივი გადმოსვლა ამიერკავკასიაში. შავი ზღვის სანაპიროზე, „ბოლოსა აფხაზეთისასა“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 157), მათი დამკვიდრებით შეიქმნა აფხაზეთის ჯიქეთი (გაბუნია, 1996: 50, სქოლიო).

რომის იმპერიის მოხელე ფლავიუს არიანე (ახ. წ. II ს.) ჩრდილოეთ-კავკასიური ტომების ძილქთა ანუ ჯიქთა საცხოვრისად მდ. შახესა და ნეგეფსუხოს შორის მდებარე ველს მიუთითებს, ხოლო იმავე საუკუნის მეცნიერი კლავდიოს პტოლემეაიოსი შენიშნავს, რომ ზინხებს უჭირავთ მდ. ყუბანიდან მდ. ლაბას სათავეებამდე მდებარე ტერიტორია (ნაჭყებია, 2006: 198).

ბიზანტიური ხანის საისტორიო პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი, იუსტინიანე I-ის კარის ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი დასავლეთ კავკასიონში რამდენიმე ტომს მიუთითებს: „პირისპირ კავკასიის მთა მთავრდება. აქ ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც, რომლებიც ქრისტიანები არიან და ძველიდანვე რომაელთა მეგობრები, აგრეთვე ზიქნიც და მათ შემდეგ ჰუნებიც“ (გეორგიკა, II, 1965: 100). აქვე მოვიხმობთ მეორე ცნობას მისივე თხზულებიდან: „კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუქები, აბაზგებს და ალანებს შუა, ხოლო ევქსინის პონტოს ნაპირას ზიქები არიან დამკვიდრებული“ (იქვე: 135).

ისტორიკოსი შ. ხანთაძე ფიქრობდა, რომ ჯიქების ერთი ნაწილის შავიზღვისპირეთში გადმოსახლება კოლხეთის სამეფოს დაცემასა და აქ პონტოელთა გაბატონების დროს (ძვ. წ. I ს.) უკავშირდება (ხანთაძე, ქსე, XI, 1987: 567).

ჯიქთა ტომის სამფლობელოს სამხრეთით, ამჟამინდელ ტუაფსედან სოჭამდე მდებარე ტერიტორიაზე, შ. ხანთაძის აზრით, აქაელები სახლობდნენ. I საუკუნეში აქაელები და ჰენიოხები აბაზგებმა

დაიმორჩილეს და უკვე საზღვარი ჯიქებსა და აბაზებს შორის მდ. ფსოუზე დაიდო (იქვე).

დ. ლეთოდინი ვრცლად მიმოიხილავს აფხაზ-აბაზგთა შავი ზღვის სანაპიროზე გამოჩენისა და სანიგების მიწა-წყალზე დამკვიდრების საკითხს, რასაც, მისი აზრით, ადგილი უნდა ჰქონოდა V ს-ის პირველ მეოთხედში. ამის მიზეზად მკვლევარი ეგრისის სამეფოსთან წარმოებულ ბრძოლებში სანიგების დასუსტებასა და შედეგად მათ მიერ ბიჭვინთასა და მდ. აბასკოს-ფსოუს შორის სანაპირო ტერიტორიის დაკარგვას მიიჩნევს (ლეთოდინი, 2012: 9). ეგრისის ექსპანსიისაგან შევიწროებულ სანიგებს დაუკარგავთ ზღვის სანაპირო ტერიტორია ბიჭვინთის დასავლეთით მდ. აბასკოს-ფსოუმდე, რაც მოიცავს დღევანდელ გაგრის რაიონს, ხოლო მდ. აბასკოს-ფსოუდან ვიდრე აქეუნტა-შახემდე, ანუ ჯიქების საზღვრებამდე სანიგებს თავიანთი ეთნოპოლიტიკური ავტონომია შეუნარჩუნებიათ (იქვე: 131).

პოლიტიკურად დაკარგული თუ სანიგების ეთნოსისაგან დაცლილი შავი ზღვის სანაპირო ზოლზე (დღევანდელი გაგრის რაიონი) ამის შემდეგ აბაზგები უნდა დამკვიდრებულიყვნენ და სანიგთა საცხოვრისი ჯიქების მეზობლად ამიერიდან „აბაზგთად“ (აფხაზეთი) იწოდებოდა (ლეთოდინი, 1991: 134-140; მისივე, 2012: 131, 139).

მკვლევართა გარკვეული ჯგუფი (ზ. ანჩაბაძე, მ. ივაშჩენკო, შ. ინალ-იფა, მ. გუნბა) მიიჩნევს, რომ წერილობით წყაროებში მოხსენიებული სანიგები იგივე საძეები არიან. დასახელებულ მკვლევართა მიერ „სანისა“ (ჭანი, ზანი) და „სანიგის“ ერთი ძირიდან წარმომავლობის უარყოფა და სანიგების საძეებად გამოცხადება დაუსაბუთებელია (ლეთოდინი, 2012: 47).

პირველი წერილობითი წყარო, სადაც ტომი „საძეების“ სახელით მოიხსენიება, VI ს-ის ბიზანტიელი მწერლის – სტეფანე ბიზანტიელის თხზულებაა. მასში სანიგები და საძეები ანუ ჯიქები აბსოლუტურად განსხვავებულ, სანაპიროზე ცალ-ცალკე მოსახლე და ერთმანეთისაგან გამიჯნულ ტომებად არის დასახელებული (გეორგიკა, III, 1936: 283-284).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ქართველი ავტორიც საძ-ჯიქებსა და სანიგებს სრულიად განცალკევებით ასახელებს (ქ. ცხ., II, 1959: 49). ასევე მკვეთრადაა გამიჯნული საძ-ჯიქებისა და სანიგების ეთნოპოლიტიკური ერთეული ახ. წ. II ს-ში მოღვაწე ფლა-

ვიუს არიანეს, აგრეთვე მისი V ს-ის ანონიმი კომენტატორის – ფსევდო-არიანეს თხზულებაში (არიანე, 1961: 41-43; გეორგიკა, II 1965: 8-9; ლეთოდანი, 2012: 47-48).

პროკოპი კესარიელის თხზულებაში გვხვდება კონკრეტული მითითება აბაზგთა და ჯიქთა მეზობლობის შესახებ: „ზიქებს ძველად რომაელთა თვითმპყრობელი უყენებდა მეფეს, ამჟამად კი, ეს ბარბაროსები არაფერში აღარ ემორჩილებიან რომაელებს. ამათ შემდეგ ცხოვრობენ სანიგები. ამათი მიწა-წყლის ზღვისპირა ნაწილი ძველთაგანვე ეპყრათ რომაელებს. რომაელებმა აქ ზღვისპირა ორი სიმაგრე გააშენეს: სევასტოპოლისი და პიტიუნტი“ (გეორგიკა, II, 1965: 135-136).

V საუკუნეში მეფე ვახტანგ გორგასალმა შეძლო ბიზანტიელთა გავლენის ქვეშ მოქცეული ჯიქთა საცხოვრისის თავისი სამეფოსათვის შეერთება. ჯუანშერი იუწყება, რომ „შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა. და მოტყუენა ვახტანგ პაჭანიკეთი და ჯიქეთი, და შეიქცა, და მოადგა ოვსეთსავე“ („ქ. ცხ.“, I, 1955: 156-157).

აფხაზეთის სამთავროს (შემდგომში სამეფოს) საზღვრებში მოქცეულ აფხაზებსა და ჯიქებს ლეონ მეფის მიერ დანიშნული ერისთავი მართავდა. ჯიქეთი შემდეგშიც ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივ საზღვრებში შედიოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ერთიანი ქართული სახელმწიფო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ჯიქეთი აფხაზთა სამთავროს შემადგენლობაში, შარვაშიძის მორჩილების ქვეშ აღმოჩნდა (ხანთაძე, ქსე, XI, 1987: 567).

ჩვენთვის ცნობილი პირველი ისტორიული წყარო, რაც საძ-ჯიქების ტომთა განკერძოებისაკენ სწრაფვის შესახებ მოგვითხრობს, არის ხობის მონასტრის ასომთავრული წარწერა, საიდანაც ირკვევა ჯიქეთში ოდიშის მთავარ ვამეყ დადიანის (1384-1396 წწ.) ლაშქრობის მიზეზი: „...მიუხდა ჯიქეთს ურწმუნოებისა და ორგულობისათვის, რათამცა მოემსახურა და სძლო და შეურაცხ და უჭმარ იქმნა მათი სიმაგრენი. გაგარი და უღალნი, ყოველნივე ძალით მოირჭმუნა, მრავალთა ჯიქეთს პატრონთაგან მიუვალნი მოარბიენა, რაოდენნი მოენყო, მათი მძევალნი წამოასხნა და სხვანი აოტნა“ (თაყაიშვილი, III, 1913-1914: 133).

პეტრუს ვესკონტის 1318 წლის, ძმები პიციგანების 1367 წლის, კატალანის 1375 წლის, პასკვალინის 1408 წლის, ბიანკოს 1436 წლისა და სხვა რუკებზე ჯიქეთი გაგრის ჩრდილო-დასავლეთითაა ნაჩვენები (Брун, II, 1880; ხორავა, 1996: 44-45; მისივე, 1998: 89).

გენუელი ჯ. ინტერიანო 1551 წ. ჯიქების განსახლების გეოგრაფიულ არეალს ასე გადმოგვცემს: „ზიხები, რომლებიც ცნობილნი არიან ასეთი სახელით იტალიურად, ბერძნულად და ლათინურად, ხოლო თურქებსა და თათრებში ჩერქეზების სახელით, თავიანთ თავს ადილეს უწოდებენ. ისინი ცხოვრობენ ზღვის მთელ აზიურ სანაპიროზე ტანადან ანუ დონიდან... სამხრეთით, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბზის კონცხამდე (Cavo de buxo) და ესაზღვრებიან ავოგაზიას, კოლხეთის შემადგენელ ნაწილს“ (ხორავა, 1996: 63). პ. ინგოროყვას აზრით, ბზის ნავსადგური (Cavo de buxo) მუნისწყლის (ამჟამინდელი მდ. მჭიმთა) შავ ზღვასთან შეერთების ადგილას მდებარეობდა (ინგოროყვა, 1954: 148). მაშასადამე, როგორც ჯ. ინტერიანოს აღწერილობიდან ირკვევა, რომ XVI ს-ის 50-იანი წლებისათვის ჯიქებს მდ. ბზიფამდე მოუღწევიათ. თუმცა გენუელის მიერ ზიხების//ჯიქებისა და ჩერქეზების გაიგივება და მდ. დონსა და ბზიფს შორის მდებარე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჩერქეზებით დასახლებულ ტერიტორიად მიჩნევა სწორი არ არის (ხორავა 1996: 63).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჯიქები XVI ს-ის შუა ხანებისათვის ესწრაფოდნენ თავიანთი სამფლობელოს გაფართოებას აფხაზეთის მიმართულებით – სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამის გამოძახილია გენუელი ჯ. ინტერიანოს ცნობა, 1551 წლისათვის, ჯიქების მდ. ბზიფამდე, აფხაზეთის საზღვრამდე განსახლების შესახებ (Монперე I, 1937: 24-25; ხორავა, 1998: 94). XVI ს-ის შუა ხანებიდან დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთა) საკათალიკოსო კათედრის ბიჭვინთიდან გელათში გადატანაც მკვლევართა ვარაუდით, თურქებისა და ჯიქების მოსალოდნელი ექსპანსიის შიშით უნდა აიხსნას (ლომინაძე, I, 1966: 180; მისივე, ქსე, II, 1977: 31; შდრ.: Ачкабадзе, 1959: 278).

XV ს-ის ბოლოს (1490 წელს), მას შემდეგ, რაც საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქია დაეცა და ბიზანტიის იმპერიის განადგურების შედეგად ქვეყანას სამხრეთიდან უაღრესად აგრესიული მაჰმადიანური ოსმალეთი დაუმეზობლდა, ჯიქები საბოლოოდ ჩამოშორდნენ საქართველოს და შეეცადნენ თავიანთი საზღვარი გაგრამდე

გაეფართოებინათ. ლ. ლავროვის ნაშრომზე მითითებით მკვლევარი ბ. ხორავა შენიშნავს, რომ ჯიქთა მიწები უშუალოდ გაგრის ვინრობს იქით იწყებოდა (Лавров, 1978: 41-47; ხორავა, 1998: 94).

XV ს-ის 60-70-იანი წლებიდან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მტკიცედ ფეხმოკიდებულ თურქ-ოსმალთა ნაქეზებითა და მხარდაჭერით გათამამებული საძ-ჯიქები იწყებენ ინტენსიურ ბრძოლას აფხაზეთის ტერიტორიების დასაპყრობად. ამ მიზნით ისინი აოხრებდნენ შავიზღვისპირა სოფლებს, ტყვეებად მიჰყავდათ და ოს-მალეებზე ყიდდნენ მოსახლეობას (გურუა, IV, 1973: 87; მისივე IV, 1973: 103; სვანიძე, 1990: 151-153; ნარკვევები, I, 1969: 133; ლეთოდიანი, 2012: 120-121).

გვიან შუა საუკუნეებში, ერთიანი საქართველოს დაშლის პირობებშიც (კერძოდ, XVI-XVIII სს.) ჯიქები კვლავ ცდილობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ფეხის მოკიდებას. წერილობით წყაროებში დაცულია ცნობები იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის (1510-1565 წწ.) ხელშეწყობით, ოდიშის მთავარ მამია III დადიანისა (1512-1533 წწ.) და გურიის მთავარ მამია I გურიელის (1512-1534 წწ.) ჯიქეთში მოწყობილი ლაშქრობის შესახებ. ბრძოლა გამართულა 1533 წლის იანვრის მიწურულს¹ („ქ. ცხ.“, II, 1959: 497).

„ახალი ქართლის ცხოვრება“ ჯიქებთან გამართული ბრძოლის შესახებ შემდეგს გვაუწყებს: „დადიანი მამია და გურიელი მამია წარვიდეს ჯიქეთს საბრძოლოდ ზღვით ნავებითა, და შეიბნეს თუესა იანვარსა ოცდაათსა. პირველსა დღესა ამათ გაემარჯუა; მეორესა დღესა, პარასკევსა, განრისხდა ღმერთი ოდიშართა თავს, უღალატეს და გამოექცნეს. დადიანი და გურიელი და გურიელის ლაშქარი დაუტევეს; მოეტევენეს ჯიქნი და შეიბნეს: მრავალი დახოცეს დადიანმან, გურიელმან და გურიელის ლაშქართა. მოკლეს გურიელის შვილი გიორგი და მისნი აზნაურიშვილნი. დაღალულნი ომისაგან შეჩუენებულმან ცანდია ინალდიფითა განიდევნა, დადიანი გააშიშულეს, სრულად შიშველი დაჭრეს გურიელი და სამნი ძმანი და ეპისკოპოსნი, და მისნი ლაშქარნი ტყუეყვეს. წარვიდა მალაქია კათალიკოზი და გამოიხსნა ცოცხალნი, და მკუდარნი ფასით იყიდნა“ („ქ. ცხ.“, II, 1959: 497).

¹ მკვლევარი შ. ხანთაძე ბრძოლის თარიღად შეცდომით 1583 წელს მიუთითებს (ხანთაძე, ქსე, XI, 1987: 567).

ჯიქთა განსახლებისა და ეთნოგენეზისის შესახებ ჩვენ მიერ ზემოთ მოცემული ისტორიული მონაცემები აჩვენებს, თუ როგორ ეტაპობრივად იკავადენენ გზას მომთაბარე-მეჯოგე და წარმართული სარწმუნოების მიმდევარი აბაზურ-ადილური ტომთაგანნი, ჯიქების სახით, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და იკავებდნენ გაბატონებულ მდგომარეობას თანამედროვე აფხაზეთის ზღვისპირა ტერიტორიაზე. ამის შედეგი იყო ის, რომ XVIII ს-ის I ნახევრისათვის ჯიქეთის საზღვარმა საქართველოს „სანაპირო ქვეყნის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით, კაპპეტის-წყლამდე (მდ. ბზიფი) მიაღწია.

საგულისხმოა აგრეთვე ვახუშტის მინიშნება ჯიქების ოდინდელი განსახლების შესახებ. სწავლული ბატონიშვილი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაზე“ მითითებით ჯიქეთად მიიჩნევს „ამ (ე. ი. შავიზღვისპირა – ი. კ.) ჯიქეთის ჩდილოთ კერძოს, კავკასიის მთის იქითს კერძს ზღუამდე“ (ვახუშტი, IV, 1973: 786). ჯუანშერის თხზულების ჩანართში მართლაც არის დაცული ისეთი ცნობა, რასაც, საფიქრებელია, ეყრდნობოდა ვახუშტი: „...მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო“ („ქ. ცხ.“ I, 1955: 156). იმავე წყაროს ჩვენებით თურქთაგან განდევნილი პაჭანიკნი „დასავლით-კერძო“ წასულან, „ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“ (იქვე: 157).

ჯიქეთს არაერთგზის მოიხსენიებს ნიკო დადიანიც (დადიანი, 1962: 80, 88, 151, 152, 154, 156, 175, 202, 211). საზღვრები მის თხზულებაშიც ისეა განსაზღვრული, როგორც ვახუშტისთან: „ჯიქეთის საზღვარი არს აღმოსავლით კაპპეტის წყალი, დასავლით შავი ზღვა, სამხრით იგივე ზღვა, ჩდილოთ კავკასი“ (იქვე: 152).

დ. მუსხელიშვილი აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ბზიფზე არასოდეს უცხოვრიათ აფშილებს. შუა საუკუნეებში ბზიფს იქით ჯიქები ცხოვრობდნენ და ტერიტორიაც ჯიქეთად იწოდებოდა... მერმინდელი აბჟუის, ანუ კოდორსა და ლალიძგას (და კიდევ იქით, გუმისთამდე) შორის მდებარე ტერიტორიაზე აფშილები მოსახლეობდნენ, ხოლო უფრო ჩრდილო-დასავლეთით, ბზიფამდე, საკუთრივ აფხაზთა საცხოვრისი იყო. მაშასადამე, VIII საუკუნისათვის აფშილეთად იწოდებოდა გუმისთასა

და ლალიძგას შორის, ხოლო აფხაზეთად – გუმისთის იქით მდებარე ტერიტორია (მუსხელიშვილი, „არტანუჯი“, №10, 2000: 19).

გვიან შუა საუკუნეებში ოდიშის სამთავრო მშვიდობიანი საშუალებებით, ზოგჯერ სამხედრო ოპერაციების განხორციელების გზით, ძირითადად მაინც ახერხებდა კავკასიონის უღელტეხილებით იმიერკავკასიის მთიელი მოსახლეობის ცალკეული ნაკადების გადმოსვლის, შავიზღვისპირა ტერიტორიაზე მათი დამკვიდრების უაღრესად მტკივნეული და საშიში პროცესის გაკონტროლებასა და თავისი მმართველობისადმი მათ დაქვემდებარებას.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ოდიშის მთავრის ტიტულატურაში ჯიქეთსაც სათანადო ადგილი უჭირავს. ასე, მაგალითად, ვამეყ დადიანის მიერ 1660-1662 წლებში შედგენილ შენირულების წიგნში ვკითხულობთ: „ღთისა მიერ ახალგვირგვინოსან მყოფელმან ლიხთიმრისა და ლიხთამრისა, ოსეთისა და დვალეთისა, სვანეთისა და ყაბარდოსა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდისა ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს მპყრობელმქონებელმან დიდმა მეფეთ მეფემან ხელმწიფემ დადიანმან პატრონმან ვამეყ... სრულიად საქართველო დავიჭირეთ...“ (კაკაბაძე, I, 1921: 67).

ჩვენი აზრით, ტიტულატურაში ჯიქეთის მოხსენიება უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ დროის გარკვეულ (თუნდაც ხანმოკლე) მონაკვეთში ოდიშის სიუზერენის კომპეტენცია უდავოდ ვრცელდებოდა ისტორიული აფხაზეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე.

V.7. აფხაზეთის „ალანეთი“

საკუთრივ აფხაზეთზე მსჯელობისას ვახუშტი ცნობებს „აფხაზეთის ალანეთზეც“ გვანვდის: „ხოლო ალანი არს სუანეთის დასავლით და ბედიის ჩდილოთ. აქუს აღმოსავლით კავკასი და საზღვარი სუანთა; სამწრით კავკასი ბედია-ოდიშს და ამას შორისი; დასავლით კავკასი; ჩდილოთცა კავკასი. უდის შუაში სუანეთის მდინარე. მოსავლით და პირუტყვთ სცან, ვითარცა სუანეთი. არამედ კაცნი კერპნი, უსჯულონი. გარნა პირველ იყვნენ ქრისტიანენი და აწ კერპნი, და რომელიმე მოჰმადიანი და მისიცა უმეცარნი. ხოლო კავკასნი, რომელნი აღვსწერეთ ამ ადგილებთა შინა, კედელის კავკასის მთიდამ, ვიდრე ჯიქეთამდე, არიან ეგრეთივე მყინვარენი მთანი, ვითარცა ქართლისანი და ოსეთისანი, სიმაღლით, მყინვარებით და ყოვლითურთ. არამედ სუანეთი და ალანი იყო კავკასისავე წილნი და მეფეთა ქართველთა თვთ განიმკვდრეს, ვითარცა აღვსწერეთ“ (ვახუშტი, IV, 1973: 788-789).

მაშასადამე, მისი მონაცემებით, მდ. ბზიფს, შავ ზღვასა და კავკასიონს შორის მდებარეობდა ისტორიული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მხარე „ჯიქეთის“ სახელწოდებით. მას აღმოსავლეთით სვანეთი ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთით – ბედია და მცირე კავკასიონი („ბედია-ოდიშს შორისი“). ვახუშტი რუკებზე არასწორად უჩვენებს ალანის გეოგრაფიულ მდებარეობას. მას ათავსებს იმ ფანტაზიური მდინარის ხეობაში, რასაც „სუანეთის მდინარეს“ უწოდებს. აღნიშნული მდინარე ვახუშტის რუკაზე გაივლის სვანეთს და მხოლოდ ქვედა დინებით შეესაბამება მდინარე ბზიფს (მარუაშვილი, 1997: 188).

ალანეთის მდებარეობას ვახუშტის მსგავსად გადმოსცემს ქართველი ისტორიკოსი ნ. დადიანიც: „ალანეთისა საზღვარი არს აღმოსავლეთით კავკასი და საზღვარი სუანთა, სამხრით კავკასი ბედია-ოდიშს შორის, დასავლით კავკასი, ჩრდილოთცა კავკასი. უდის

შუაშიდ სვანეთის მდინარე. ალანნი იყვნენ პირველ ქრისტიანენი და ახლა რომელნიმე არიან მაჰმედიანნი და ესენი იყვნენ კავკასოსნი წილნი“ (დადიანი, 1962: 152). ამასთანავე, ნ. დადიანის ცნობით, „სვანეთს მზღვრის... დასავლეთით სვანეთსა და ოდიშს შორისი კავკასი და ალანის საზღვარი“ (იქვე). თარგამოსის მიერ ძეთათვის ტერიტორიის გაყოფის აღწერისას ნ. დადიანი ეგროსისათვის განსაზღვრულ ტერიტორიას შემდეგ საზღვრებში ათავსებს: „და ეგრის[ს] მისცა ნაპირის ქვეყანა შავისა ზღვის, და განუსაზღვრა: აღმოსავლეთით მთაი ალანისა, დასავლეთით ზღვაი და მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადაცა ამალღებთან ცხვირნი კავკასიისა მთისანი. ამანცა აღაშენა სახელსა ზედა თვისსა ქალაქი, რომელსაცა ან ოდიშად უწოდებენ“ (იქვე: 68). ალანებს ხშირად ასახელებს პროკოპი კესარიელი, და უმთავრესად – ლაზიკასთან და აბაზგიასთან დაკავშირებული ამბების გადმოცემისას. პროკოპის ცნობით, სვანები ალანთა მეზობლად ცხოვრობენ (გეორგიკა, II, 1965: 45-47, 100, 103, 119, 153). ალანების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორი აგათია სქოლასტიკოსი. აგათია მოგვითხრობს ბიზანტიელთა იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომ მისიმიელთა ციხე ბუკლოონი მათ 554 წელს გადაეცათ ალანებისათვის (გეორგიკა, III, 1936: 86-87).

VII ს-ის „სომხური გეოგრაფია“ გვაუწყებს, რომ დრაკონი „... მოედინება ალვანიდან (არა ალბანია) და განჰყოფს აფხაზეთს და ეგრის ქვეყანას“ (Патканов, 1877: 25-26). მისივე ცნობით, ქალაქ სებასტოპოლისამდე და დრაკონამდე აფშილები და აფხაზები ცხოვრობენ. ეთნონიმი „ალვანი“ გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომა ან ფონეტიკურად სახეცვლილი ალანი უნდა იყოს. მაშასადამე, დამონმებული ცნობითაც, აფხაზთა და ეგერთა ქვეყნის საზღვრად მიჩნეული კოდორის სათავეებში მდებარე მისიმიანეთი ალანთა ხელში იყო (აფხაზავა 1991: 28). ეს ცნობა მიიჩნევა ადრეულ ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე ალანთა ეთნიკური (?) შემოღწევის ჯერჯერობით ერთადერთ ფაქტად (იქვე: 29). გერმანელი მეცნიერი და მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი ოსებზე მსჯელობისას წერს, რომ ბიზანტიელები, იმ ხალხს, სადაც ოსები სახლობენ, ოსების სახელით არ იცნობენ და მათ **ალანს** უწოდებენ. მაშასადამე, ჰაქსტჰაუზენს ალანები და ოსები ერთი და იგივე ხალხად მიაჩნია: „ოსებს კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე და ზეგნებზე უნდა ეცხოვრათ დიდ და მცირე

ყაბარდოში და საკუთარი მეფეც ჰყოლიათ; მაგრამ ბათო ყაენმა ისინი იქიდან გააძევა XIV საუკუნეში და შემოეკედლნენ კავკასიის ქედს. მაგრამ მათ ძველადაც უნდა ეცხოვრათ დღევანდელ მათ სამყოფელში, რადგან ქართული ანალები ოსებს ქართველთა მეზობლებად მიიჩნევს უკვე ალექსანდრე დიდის დროიდან. ხომ არ ეხმაურება ეს გადმოცემა ოსთა გადმოსახლების შესახებ გერმანელ დამპყრობთა მიგრაციას, რომლებიც უძველეს ოსებთან იყვნენ შერეული“ (ჰაქს-ტჰაუზენი, 2011: 165). მოგზაურის ვარაუდით, ჰუნების მიერ საკუთარი მიწა-წყლიდან გამოდევნილ და კავკასიაში შემოხვენილ გოთების ტომებს უნდა დაეპყროთ და დაემორჩილებინათ კავკასიის უძველესი ხალხი ოსები ან ალანები (იქვე: 189).

ვახუშტის აღწერაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ალანეთი აფხაზეთის ქვეყნის ის მხარეა, რაზეც კოდორი გაივლის ბზიფამდე, ანუ კოდორის ზემო წელის ტერიტორია; კონკრეტულად კი, ჩხალთის, კლიჩის, გვანდრისა და საკენის ხეობები, ანუ ბიზანტიური წყაროების მისიმიანეთი (მუსხელიშვილი, II, 1980: 56). კოდორის სათავეები თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით გულრიფშის მუნიციპალიტეტში შედის. აღნიშნული ისტორიული მხარე, რაც ნებელდის ნაწილს შეადგენს, **დალის ხეობის** სახელითაა ცნობილი.

საიდან უნდა მომხდარიყო ალანების შემოსვლა კოდორის ხეობის ზემო წელის ტერიტორიაზე? ნერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ალანები ადრეულ შუა საუკუნეებში (IV-V სს-დან მაინც) ყუბანისა და მისი შენაკადების სათავეებში მოსახლეობდნენ (Алексеева, 1971; Кузнецов МИА, №106; აფხაზავა, „მაცნე“, №3-4, 1991: 24-25).

ადრეულ შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში იყო ალანთა ორი დიდი ტომთა გაერთიანება. ყუბანის აუზში მოსახლეობდნენ დასავლეთ-ალანები, ადიღეურ ტომებთან ერთად, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ველი და მთისწინეთი აღმოსავლეთ ალანეთის გაერთიანებას ეკავა (აფხაზავა, 2010: 35).

ბ. აფხაზავას აზრით, ჩრდილოეთირანული წარმოშობის ალანთა ტომი ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევარში აღმოსავლეთიდან მოვიდა და დამკვიდრდა ვოლგა-დონის ქვემოწელსა და აზოვისპირეთში. 372 წელს ვოლგის გადაღმიდან შემოსულ ჰუნთა მიერ ალანთა გაერთიანების განადგურებას მოჰყვა ის, რომ „მათი ნაწილი ჩრდილოეთ

კავკასიის ველებსა და მთისწინეთს შეეფარა, ნაწილი კი, ჰუნთა შემადგენლობაში მყოფი, შეესია დასავლეთ ევროპას და შემდგომ ვანდალებთან ერთად ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნა ალან-ვანდალთა სამეფო“ (აფხაზავა, „საქართველო“, I, 1997: 89-90). ალანთა ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფო IX-XIII საუკუნეებში არსებობდა მდ. ყუბანის სათავეებსა და თერგის შუა წელს შორის, უმეტესად ჩრდილოეთ კავკასიის ველებსა და მთისწინეთში. ნ. აფხაზავა ფიქრობს, რომ ახალი ეთნიკური ერთობა – ალან-ოსური ეთნოსი უნდა ჩამოყალიბებულიყო X-XII სს-ში, მოსული ირანულენოვანი ალანებისა და ადგილობრივ კავკასიურენოვან ტომთა შერწყმის შედეგად: „გაიმარჯვა მოსულმა ენამ და დამხვედურთა ანთროპოლოგიურმა ტიპმა...“ (იქვე: 90). XI-XIII საუკუნეებში ალანთა სამეფოსა და საქართველოს მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაზე მეტყველებს ალანეთში ქართული ქრისტიანული კულტურის (არქიტექტურა, ფერწერა) ფართო გავრცელება და ხშირი დინასტიური ქორწინებები. ალანეთის, როგორც სახელმწიფოებრივ-კულტურული ერთეულის, დეგრადაცია დაიწყო მას შემდეგ, რაც იგი მონღოლებმა დაიპყრეს (1238-1239 წწ.). „ალან-ოსთა ნაწილმა ყივჩაყებთან ერთად უნგრეთს შეაფარა თავი, ნაწილი მონღოლებმა გადაასახლეს თავიანთი იმპერიის აღმოსავლეთით. კავკასიაში დარჩენილი ალან-ოსები მონღოლებთან ერთად ხშირად ლაშქრობდნენ საქართველოში. ამ დროიდანვე დაიწყო მათ მიერ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ხეობების ათვისება და ოსური ეთნოსის საბოლოო ფორმირება“ (იქვე). ამავე პერიოდს უკავშირდება ქართლის მთიანეთში ალანთა დასახლება. XIV საუკუნიდან ალანეთში ფეხს იკიდებს ისლამი.

კოდორის სათავეებში ოდესღაც ალან-ოსთა ექსპანსიის მონმობად დ. მუსხელიშვილი, ვახუშტის ცნობის გარდა, მიიჩნევს სოფ. ალანდას არსებობას მდინარეების – კლიჩისა და საკენის შესართავთან, სწორედ ბუქლოს//ბუკულუსის ციხესიმაგრის ნანგრევების მახლობლად (მუსხელიშვილი, II, 1980: 54-55).

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსისა და ვახუშტის ცნობები „ალანთა ქვეყნის“ შესახებ ნ. აფხაზავასაც აფიქრებინებს, რომ ალანთა გარკვეული ნაწილის ჩამოსახლება კოდორის ხეობის ზედა წელზე სრულიად რეალური სურათის ამსახველია. მკვლევრის აზრით, ალანთა მნიშვნელოვანი ეთნიკური მასის შემოსვლა კოდორის ხეობაში ხდება

I-IX საუკუნეებში. ამასთანავე, მეგრულსა და სვანურთან ალანურის ენობრივი ურთიერთგავლენა სწორედ აქ, კოდორის ხეობის ზემო წელზე უნდა მომხდარიყო (აფხაზავა, 1991: 29, 65). თუმცა კოდორის ხეობის „ალანთა“ ეთნიკური ფიზიონომია გაურკვეველია. მკვლევრის აზრით, დასადგენია, მხოლოდ ეთნონიმი შერჩათ კოდორის ხეობაში განსახლებულ ალანებს, თუ ენაც და სხვ. (იქვე: 29, 65). მაშასადამე, დაასკვნის ნ. აფხაზავა, I-IX საუკუნეებში ქართლისა და კოლხეთ-ლაზიკის სამეფოების ურთიერთობა ალანებთან უნდა განვიხილოთ არა როგორც ქართველ-ოსთა, არამედ როგორც ქართველ-ალანთა ურთიერთობა. კოდორის ხეობის სათავეებში, ანუ ისტორიული მისიმიანეთის ტერიტორიაზე, სწორედ აღნიშნულ ხანაში უნდა მომხდარიყო ალანთა მნიშვნელოვანი ეთნიკური მასის შემოსვლა (იქვე: 65).

ნ. აფხაზავა სხვადასხვა ავტორთა ნაშრომების გაანალიზების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადრე შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულმა ალანთა მეტ-ნაკლებმა მასამ შედეგად მოგვცა „აფხაზეთის“ ქვეყანა „ალანის“ სახით. ბერძნულ-ბიზანტიურიდან ნათარგმნი და ქართული წერილობითი წყაროებითა და ტრადიციით ეს „ქვეყანა“ „ალანად“ იწოდება და არა „ოსეთად“ (აფხაზავა, 1991: 3-4, და იქვე მითითებული ლიტერატურა).

მკვლევარი 1998 წელს გამოცემულ ნაშრომში კვლავ დაუბრუნდა „აფხაზეთის ალანეთის“ საკითხს და მასზე საინტერესო მსჯელობა შემოგვთავაზა. აფსილთა (აფშილთა) ეთნიკურ ვინაობასა და ენობრივ კუთვნილებაზე მსჯელობისას მან ყურადღება გაამახვილა ლინგვისტურ მასალაზე (ლექსიკურ ნასესხობებზე), რაც, მისი აზრით, მიუთითებს სვანურ-მეგრულის ინტენსიურ და ძველ ურთიერთობებზე ალანურ-ოსურთან ადრეულ შუა საუკუნეებში (აფხაზავა, 1998: 7-8). მკვლევარი იმონებს ვ. აბაევის მიერ მეგრულიდან, აფხაზურიდან და სვანურიდან ოსურ ენაში შესული ლექსიკური ერთეულების დაფიქსირების ფაქტს. მათგან ყოფისა და კულტურის სფეროს ამსახველი ნასესხობების, კერძოდ, მეგრელიზმების რაოდენობა ერთ ათეულზე მეტია, ხოლო სვანიზმებისა – 40-ზე მეტი.

ვ. აბაევი შეეცადა მიახლოებით მაინც განესაზღვრა და დაეზუსტებინა მეგრელთა და ოსთა შორის შესაძლო კონტაქტების არეალი და ხანა. იგი იმონებს აკად. ს. ჯანაშიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ასეთ ურთიერთობათა შესაძლებლობაზე და წერს: „По любезному

осведомлению С. Н. Джанашиа, мегрелский элемент был распространен в прошлом по кодорскому ущелью нынешней Абхазии факт особой важности, если иметь в виду многовековое соседство осетин-алань с Абхазией“ (Абаев, I, 1949: 329).

მაშასადამე, ვ. აბაევის აზრით, მეგრელ-ოსთა შესაძლო კონტაქტის არეალი კოდორის ხეობა უნდა ყოფილიყო (ალან-ოსები აფხაზეთის მოსაზღვრე ყუბანის სათავეებში მოსახლეობდნენ), ხოლო შესაძლო აქტიური ურთიერთობების ხანად მკვლევარი მიიჩნევს არა უმეტეს XIV საუკუნეს, ანუ ყუბანის სათავეებში ოსების განსახლების ხანას, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მათი ურთიერთობა მეგრელებთან, სვანებთან და აფხაზებთან (იქვე: 309-322; აფხაზავა, 1998: 8). ოსურ ენაში მეგრელიზმებისა და სვანიზმების, ასევე აფხაზური ნასესხობების, და პირიქით, ალანურ-ოსური ენობრივი ელემენტების სვანურსა და მეგრულში დაფიქსირებაც, მკვლევართა აზრით, სწორედ ამ ურთიერთობებით უნდა აიხსნას (Абаев, I, 1949: 294-300; ანდრონიკაშვილი, I, 1966: 54-55; აფხაზავა, 1998: 8).

როგორც აღვნიშნეთ, ფიქრობენ, რომ კოდორის სათავეებში (ფაქტობრივად მისიმიანთა ქვეყანაში) ალანები ყუბანის სათავეებიდან უნდა მოხვედრილიყვნენ (აფხაზავა, „მაცნე“, N3, 1991: 24-25). „სწორედ აქ, კოდორის ხეობაში... უნდა მომხდარიყო მათი კონტაქტი მეგრულენოვან ეთნიკურ მასივთან. მაგრამ აქ მისიმიელთა მოსაზღვრედ აფსილები (აფშილები) ბინადრობენ და კოდორის სათავეებში დამკვიდრებულ ალან-ოსებს მხოლოდ მათგან, ან მათი მემკვიდრეებიდან შეეძლოთ მიეღოთ ვ. აბაევის მიერ ხაზგასმული სუბსტრატული „მეგრელიზმები“. მეგრულენოვან ეთნიკურ მასივთან ალან-ოსთა მეზობლობა და მჭიდრო კონტაქტი საქართველო-ჩრდილოკავკასიის სხვა მოსაზღვრე რეგიონებში გამორიცხულია“ (აფხაზავა, 1998: 10).

ნ. აფხაზავას საბოლოო და უმთავრესი დასკვნა შემდეგია: ლინგვო-კულტურული ფაქტებით დასტურდება, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ოსთა წინაპარ ალანებს ყუბანზე ბინადრობისას, კოდორის ხეობაში შეღწევის შედეგად, აფსილ-აფშილებთან კონტაქტის გზით მიუღიათ სუბსტრატული ტიპის მეგრელიზმები, და რომ ეთნონიმ აფსილის // აფშილის წარმოების ქართული ფორმა **აფს-ილ-ი (აფშ-ილ-ი)** მიუთითებს აფსილთა მეგრულენოვნებასა და უძველესი დროიდანვე ქართველურ ეთნოკულტურულ სამყაროსთან კავშირზე

(იქვე: 11). ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ალან-ოსთა და მეგრულ-ლაზთა ადრეულ პერიოდში შესაძლო კონტაქტების ანარეკლად და მიჩნეული ისტორიულ-არქეოლოგიურ მეცნიერებაში „ნებელდის კულტურის“ სახელით ცნობილ ნამოსახლარებზე ალანური კერამიკის აღმოჩენის შემთხვევებიც (Воронов, 1975: 12-17; Воронов, Бгажба, Логинов, 1983: 55; აფხაზავა, 1998: 13; 1998: 13; მისივე, 2010: 42-70). თვით ამ კულტურის გავრცელების ძირითადი არეალი კოდორის ხეობას მოიცავს. ამასთანავე, შესაბამისი ეპოქის არქეოლოგიური მასალა ადასტურებს თავისი გენეზისით „ნებელდური კულტურის“ კოლხურ კულტურასთან სიახლოვეს, რაც მოიცავს არა მხოლოდ აფსილებით დასახლებულ ტერიტორიას, არამედ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს – სვანეთს, სამეგრელოს, გურიას, აჭარას, ბარის იმერეთს, მთელ აფხაზეთს და ზოგ მოსაზღვრე რაიონს ჩრდილო-დასავლეთით (აფხაზავა, 2010: 72).

რაც შეეხება ოსურ ენაში ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი სვანური ენობრივი პლასტის წარმოქმნა-დადასტურებას, ნ. აფხაზავას მიერ ეს ფაქტი კოდორის სათავეებში ალანთა ექსპანსიის შედეგად მისიმიან-სვანთა ტომის აქედან შესაძლო განდევნა-ამონყვეტასა ან ალანთაგან ასიმილაციაზე უნდა მიგვანიშნებდეს (იქვე: 72).

ლინგვისტურ-არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო ძიებებისა და კატეგორიული დასკვნების გამოტანის მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ დ. მუსხელიშვილისა და ნ. აფხაზავას მიერ გამოთქმული მოსაზრებები ალანეთის ლოკალიზაციის მიმართულებით, უფრო მყარ არგუმენტაციას და დამაჯერებელ მსჯელობას საჭიროებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მეგრელებთან ალანთა მჭიდრო კონტაქტების მტკიცება ოსურ ენაში ვ. აბავეის მიერ დადასტურებული ლექსიკური ნასესხობების, სუბსტრატული „მეგრელიზმების“ მოშველიებით, ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგან 40-ზე მეტი სვანიზმითა და 10-ზე მეტი მეგრელიზმით ალანებთან სვან-მეგრელთა შესაძლო კონტაქტებზე საუბარი უმართებულოდ გვეჩვენება. ნასესხობათა ასეთი მცირერიცხოვანი რაოდენობისათვის „სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის“ (ვ. აბავეი) მინიჭება და მათზე დაყრდნობით კატეგორიული დასკვნების გამოტანა, ვფიქრობთ, ძალზე სარისკოა;

2. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ რამდენიმე ერთეული ან თუნდაც ათეული არქეოლოგიური ნივთის აღმოჩენით მთელი ტერიტორიის ეთნიკურ კუთვნილებაზე საუბარი საკმაოდ საფრთხილო და ნაჩქარევი უნდა იყოს;

3. ტოპონიმ „ალანდას“ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობა შეუძლებელია გამოდგეს ალანთა ტომის აქ ოდესღაც სახლობის დამამტკიცებელ საბუთად, ვინაიდან ამ ტოპონიმის წარმოქმნის თარიღი დადგენილი არ არის. გარდა ამისა, სახელწოდების კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში წარმოქმნა შესაძლებელია ამ ადგილას ოდესღაც ალანთა დროებითი, სპორადული დასახლების შედეგი ყოფილიყო.

ნ. აფხაზავა მეგრულენოვან ეთნოსთან ალან-ოსთა მეზობლობასა და მჭიდრო ურთიერთობას საქართველო-ჩრდილოკავკასიის სხვა მოსაზღვრე რეგიონებში, მათ შორის, „ისტორიული ოსეთის“ მოსაზღვრე რაჭაშიც, გამოიციხავს, ვინაიდან, ამ მხარეში სადღეისოდ გაბატონებულ ქართულ ეთნოლინგვისტურ სიტუაციას წინ უსწრებდა და ზოგი მკვლევრის აზრით, გვიანი შუა საუკუნეების დასაწყისამდე არსებობდა მხოლოდ სვანური ენა. ამიტომ „რაჭაში მეგრელიზმები (=ზანიზმები) არ გვხვდება“ (აფხაზავა, 1998: 10).

აღნიშნული თვალსაზრისი საკამათოა შემდეგი გარემოების გამო: უკანასკნელ წლებში რაჭის სრული ტოპონიმური მასალის გამოქვეყნებამ და სტრუქტურულ-ფონეტიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ თანამედროვე ტოპონიმია (და რაჭული დიალექტის მასალა) ძირითადად ქართულია. რასაკვირველია, ეს როდი გამოიციხავს ამ მხარეში, განსაკუთრებით მთა-რაჭაში (ისტორიული მთიულეთი) სვანების მოსახლეობას და შესაბამისად, რაჭის ტოპონიმულ სვანური სუბსტრატის არსებობას (ცხადაია, V, 2011: 283-293). „რა ვითარებაა ზანიზმებთან დაკავშირებით რაჭის ტოპონიმულში?“ – ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პროფესორი პ. ცხადაია აანალიზებს რაჭის ოთავკიდურიან და -ში დაბოლოებიან ყველა ტოპონიმს. მკვლევარი იმონებს ზანიზმებს რაჭის ტოპონიმულში: ორჭე – გზა გლოლაში; ორჭე//ორღობე – გზა-გასასვლელი ბაჯიხევში; ორჭე//ჩიხი – გზა ლიხეთში (ორჭე ქართული „ვინრო“ ლექსემის მეგრულ შესატყვისის წარმოადგენს); ჩაბინდულა//ორკოჩის ტყე – ტყიანი ბნელი ხევი სოფ. ლვიარაში. ორკოჩი მეგრულში ტყის კაცის, მითური არსების აღმნიშვნელია. პ. ცხადაიას ტოპონიმებისა და ლექსიკის გაანალიზე-

ბა შემდეგი საერთო დასკვნის გამოსატანად ჭირდება: „სვანიზმები და ზანიზმები რაჭის ტოპონიმულაში არც ისე მრავალრიცხოვანია, რომ „ხელშესახები“ ვუნოდოთ“ (იქვე: 298).

ამდენად, მეგრულისა და ოსურის ურთიერთობა, რაც აისახა მცირერიცხოვან ლექსიკურ ნასესხობათა სახით, ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა რაჭის გზითაც, და არა კოდორის ხეობის სათავეებით, ვინაიდან, გეოგრაფიული სივრცის გათვალისწინებით, კოდორის ხეობაში ალანთა მოსახლეობა ძნელი დასაჯერებელია.

ალანეთის ლოკალიზაციის საკითხს შეეხო და პრობლემის სხვაგვარად გადაწყვეტას შეეცადა ენათმეცნიერი თეიმურაზ გვანცელაძე. მან ყურადღება მიაქცია მატიანეში – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თამარ მეფის მამის, გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) შესახებ დაცულ შემდეგ ცნობას: „თვთ მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად. ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთ-იმერითს და მიუნიის ზღუად პონტოსა, მოინიის და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღუადმდე. და ამას შინა სუფევდა და იხარებდა სუფევითა ულუმპიანითა“ („ქ. ცხ.“, II, 1959: 15). ციტირებული ადგილი მან განსაკუთრებით საყურადღებოდ მიიჩნია XII ს-ის მეორე ნახევარში ეთნიკური აფხაზეთის ადგილმდებარეობის დასადგენად. თ. გვანცელაძის აზრით, ფრაზა – „ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“, იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ აფხაზეთი და ალანთა ქვეყანა ერთი და იგივეა; მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ტერმინ **ალანის** ეთნიკური შინაარსი გულისხმობს თურქული მოდგმის ყარაჩაელ-ბალყარელთა წინაპრებს, ამასთანავე, იმავე მატიანეში მოხსენიებული ეთნონიმი „ალანი“ „ოვსის“ შესატყვისად შეუძლებელია ჩაითვალოს (რამეთუ „ოვსებს“ და „ოსეთს“ მემატიანე ხშირად ხმარობს, ხოლო „ალანეთს“ – ამ ერთადერთხელ!), ქართული მატიანის საანალიზო ცნობაში პოლიტიკური შინაარსის მქონე შესიტყვება „ალანთა ქუეყანა“ შესაძლებელია იმ პოლიტიკური გაერთიანების აღმნიშვნელი იყოს, რაც ოსებთან ან ყარაჩაელ-ბალყარელებთან ერთად აერთიანებდა ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენ, აფხაზურ-ადიღურ ტომებს, მათ შორის აფხაზებსაც (გვანცელაძე, II, 1998: 74; მისივე, 1998: 28).

აღნიშნული მოსაზრება საგულისხმოდ გვეჩვენება. ფრაზა – „ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“, იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ აფხაზეთი და ალანთა ქვეყანა ერთი და იგივეა; მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ტერმინ „ალანის“ ეთნიკური შინაარსი გულისხმობს თურქული მოდგმის ყარაჩაელ-ბალყარელთა წინაპრებს, ამასთანავე, იმავე მატრიანეში მოხსენიებული ეთნონიმი „ალანი“ „ოვის“ შესატყვისად შეუძლებელია ჩაითვალოს (რამეთუ „ოვებს“ და „ოსეთს“ მემატრიანე ხშირად ხმარობს, ხოლო „ალანეთს“ – ამ ერთადერთხელ), ქართული მატრიანის საანალიზო ცნობაში პოლიტიკური შინაარსის მქონე შესიტყვება „ალანთა ქუეყანა“ შესაძლებელია იმ პოლიტიკური გაერთიანების აღმნიშვნელი იყოს, რაც, ოსებთან ან ყარაჩაელ-ბალყარელებთან ერთად, აერთიანებდა ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენ, აფხაზურ-ადიღურ ტომებს, მათ შორის აფხაზებსაც (იქვე: 74; მისივე, 1998: 28). „სხვანაირად ვერ აიხსნება, – წერს თ. გვანცელაძე, – ალანთა ქვეყნისა და აფხაზეთის გაიგივება ქართველი მემატრიანის მიერ“ (იქვე: 74). თ. გვანცელაძის აზრით, საკუთრივ აფხაზეთი მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში და წარმოადგენდა ალანთა ქვეყნის ნაწილს. თვით ალანეთი კი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. ამ მიზეზით, ბუნებრივია, გიორგი III-ს ექნებოდა თავისი ვასალის – ალანთა მეფის სამფლობელოში ნადირობის შესაძლებლობა. სხვა მხრივ ალანთა ქვეყანას ფაქტობრივად საერთო არაფერი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოსთან.

პროფ. ზ. პაპასქირი შენიშნავს, რომ „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტის ფრაგმენტის თ. გვანცელაძისეულ გაგებას არავითარი გამართლება არა აქვს. მეცნიერი თავისი არგუმენტის დასასაბუთებლად მოიშველიებს ქართული საისტორიო ტრადიციის მიერ სრულიად გარკვევით დაფიქსირებულ შემდეგ ფაქტს: არა მარტო XII საუკუნეში, არამედ თვით ლეონ II-ის დროს – IX საუკუნის დამდეგს, როდესაც შეიქმნა დასავლურ-ქართული სახელმწიფო „აფხაზეთა“ სამეფო, ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით არსებობდა აფხაზეთის საერისთავო, თავისი კონკრეტული ეთნო-ტერიტორიული შინაარსით. ეთნიკური აფხაზები ამ პერიოდიდან ძირითადად სწორედ ამ საერისთავოში იყვნენ განსახლებულნი (პაპასქირი, 2009: 433).

საქმე ისაა, რომ ისტორიულ წყაროებში ორი „აფხაზეთი“ იხსენიება: ერთი კავკასიონის გადმოღმა და სხვადასხვა პერიოდში აღნიშნა-

ვდა: 1. თანამედროვე აფხაზეთის ნაწილს; 2. დასავლეთ საქართველოს და 3. სრულიად საქართველოს; მეორე აფხაზეთს კი მრავალი წყარო, მათ შორის ევროპული რუკებიც, ჩრდილოეთ კავკასიაში უთითებს.

საგულისხმოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ევროპული ისტორიული რუკების მონაცემთა შეკრებითა და სხვა მომიჯნავე ხასიათის ისტორიულ ინფორმაციასთან შეჯერებით შესაძლებელი ხდება დასავლეთ საქართველოს ორგანული შემადგენელი ნაწილის – აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული კონტურების, აფხაზთა განსახლების არეალის დადგენა. იტალიელი კარტოგრაფი ჯაკოპო გასტალდი 1561 წლის რუკაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანის შუა წელზე აღნიშნავს „აფხაზეთის მხარეს (ოლქს, ქვეყანას)“, რაც იტალიურად იკითხება როგორც „აბკვას რეჯი“ (**Abcvas regi**). იმავე რუკაზე, ყუბანის მარცხენა შენაკადზე აღნიშნულია ქალაქ სოხუმის ამჟამინდელი აფხაზური სახელის მატარებელი დასახლებული პუნქტი **Acua** (იტალიურად იკითხება როგორც აკვა) ანუ **აყვა**. თ. გვანცელაძე ფიქრობს, რომ ამ რუკის მიხედვით „აფხაზთა წინაპრების ძირითადი მასა მაინც 1561 წლის ახლო ხანებში ჯერ კიდევ ყუბანის აუზში ცხოვრობდა, ისინი ამის შემდგომ დასახლებულან ამჟამინდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე და ქალაქ ცხუმისათვის, რომელსაც ჯაკოპო გასტალდის რუკაზე სანატოპოლი (**Sanatopoli**, შდრ. სხვა წყაროთა – სებასტოპოლისი, სევასტოპოლისი) ჰქვია, შეურქმევიათ თავიანთი მთავარი დასახლებული პუნქტის სახელი **აყვა** – „დამყაყებული წყალი“ (გვანცელაძე, „არტანუჯი“, 6, 1997: 28-31; მისივე, „არტანუჯი“, 10, 2000: 56).

იოან იანსონისა და დავიდ დე ვილჰელმის რუკებზეც, რომლებიც XVII ს-შია შედგენილი, **Acua** კავკასიონის ჩრდილოეთით, თანამედროვე ყარაჩაი-ბალყარეთის ტერიტორიაზეა აღნიშნული, ხოლო სევასტოპოლი (**Savatopoli**) შედის სამეგრელოს (**Mingrelia**, **Mengrelia**) მხარეში (იქვე: 57, 58).

ინგლისის სამეფოს გეოგრაფის, ა. ეროუსმიტის მიერ XVIII ს-ის დასასრულს შედგენილი რუკა საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, კავკასიონის სამხრეთით, აღნიშნულია ქორონიმი „**ABCHAS**“. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთითაც, რუკაზე დასტურდება ქორონიმი „**ABCHAS**“ (ნინიძე, 10, 2003: 586).

**V.8. ვახუშტი გაბრატიონი და თანამედროვე
აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის
ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხები**

წინამდებარე პარაგრაფში ჩვენი მსჯელობის საგანს თანამედროვე აფხაზეთის ის ჰიდრონიმები წარმოადგენს, რაც ვახუშტის ფუნდამენტური ნაშრომის შესაბამის ნაწილშია მოცემული. არის ენერგიული მცდელობა აფხაზურენოვანი ტოპონიმების ძიებისა ისტორიული ცხუმის (სოხუმის) სამხრეთით, ენგურამდე მდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ წერილობით წყაროთა მონაცემების გაანალიზებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სეპარატისტულად განწყობილ რუს და აფსუა მეცნიერთა მცდელობა ამ მიმართულებით ფუჭია და უპერსპექტივო.

ამ ისტორიულ სიმართლეს ვერ გაექცა ხუხუტი ბლაჟბა, რომელიც კოდორ-ლალიძისა (მერმინდელი აბჟუა) და ლალიძა-ენგურის შუამდინარეთის (მერმინდელი სამურზაყანო) დასახლებული პუნქტებისა და მდინარეების სახელებს ზანური წარმომავლობისად მიიჩნევდა. ესენია ცხენიწყარი, წყურგილი, პაპანწყური, ჩხორთოლი, ჩხორონყუ, ბედია, სათამაშია, ოჩამჩირე, ლალიძა (Вражна 1974: 180; მსჯელობისათვის იხ. ცხადაია 2004: 122-123).

პ. ინგოროყვა ანტიკურსა და შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში დაფიქსირებული ტოპონიმების გაანალიზებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ძირითადი ფონდი მესხური (ქართული) წარმომავლობისაა, მაგრამ არაფერს ამბობს აფხაზეთში მეგრულ-სვანური წარმომავლობის ტოპონიმებზე. აღნიშნული მასალა ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს აფხაზეთ ეთნიკური ვინაობის გასარკვევად. დადგენილია, რომ „ენგურ-ლალიძის შუამდინარეთის ისტორიული გეოგრაფიული სახელწოდებანი (XVIII ს-მდე წარმოქმნილნი) ქართველური (მეგრული, სვანური,

ქართული) წარმომავლობისაა, ხოლო აფხაზურენოვანი ტოპონიმია ამ რეგიონში მხოლოდ XVIII ს. შემდგომ ათწლეულებში ჩნდება“ (ცხა-დაია, 2004: 161).

ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ვახუშტის ნააზრევში დასახელებული ტოპონიმების ეტიმოლოგია შესაძლებელია ქართველური ენების, კერძოდ, მეგრულის, მონაცემებით აიხსნას.

ბედია. სახელწოდების შესახებ კასტელი გვაუწყებს: მთებში სანადიროდ წასულ საქართველოს მეფეს თავიდან დოლბანდი გამოვარდნია და იმ ადგილას ოქროს ჯვარი უპოვია. მეფეს უთქვამს – კარგი ბედი მქონიაო და გაუცია ბრძანება იქვე ეკლესიის აშენებისა და ძვირფასეულობით მისი გამდიდრების შესახებ (კასტელი, 1976: 171). ერთ-ერთი თქმულების თანახმად, ხანგრძლივი მოგზაურობით დაღლილ მწირებს კლდეში გამოკვეთილი ბუნებრივი სიმაგრე შეუმჩნევიათ და აღტაცებით შესძახეს – ბედია. მწირები იქ დარჩენილან, ხოლო იმ ადგილას შემდეგ ბედიის ტაძარი აშენებულა (Ермолова, 1912: 7; კალანდია, 2004: 79). კ. ჰანის განმარტებითაც: „Бедия гр. (мингр.) ბედი беди=счастье-стлен?е счастливое, богатое (Гань, 1909: 24).

მაშასადამე, ზემოთ მოტანილი ისტორიული წყაროების თანახმად, სახელწოდების მნიშვნელობა დაკავშირებულია **ბედთან**. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ამ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „კარგი ხვედრი – იღბალი, ბედნიერება“ (ქეგლ, I, 1990: 124).

ტოპონიმის სემანტიკის შესაცნობად საყურადღებოა **ბედია** სიტყვის სხვა მნიშვნელობებიც. სამურზაყანოელთა (და საერთოდ, მეგრელთა) მეტყველებაში იგი აღნიშნავს „საღვთოს, ხატზე შესახელებულს“, „ხატის ტყეს“. ამასთანავე, ბედიას ეძახიან „ჩაღრმავებულ ადგილს, ქვაბულს“. ამ უკანასკნელ მნიშვნელობასთან სემანტიკურადაა დაკავშირებული აგრეთვე **ბედე**, რაც წარმოადგენს ერთგვარ ტაბლას, ზედ ამოჭრილი ჩაღრმავებებით, ღომის ჩასაგებად (ქობალია 2010: 60). საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამურზაყანოსა და სამეგრელოში ადგილს, სადაც ადრე ხატის ტყე იყო გაშენებული, **ბედია-ნაჩენს** უწოდებდნენ (იქვე).

ბედია სიტყვის ასეთი განმარტება საფუძველს იძლევა, რომ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ისტორიულ წყაროებში ტოპონიმ „ბედიის“ შესახებ

დაცული ინფორმაცია, და საფუძვლიანი, ამასთანავე, აუცილებელი კორექტირება შევიტანოთ მოტივაციაში; ამდენად, შესაძლებელია, ბედია ორგვარად გავიაზროთ. კერძოდ, 1. „ხატზე შესახებელი, ხატისთვის მიჩენილი ტყე ან მინა“, და 2. „ჩაღრმავებული ადგილი, ქვაბული, ტაფობი“.

ზუფუ. ლიხნის უნიდელ სახელწოდებად ზუფუა მიჩნეული, რაც, ვახუშტის ცნობით, იყო „მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძეთა“ (ვახუშტი, IV, 1973: 784); ხოლო მდ. ხიფსთას, როგორც ფიქრობენ, **ზუფუს-წყალი** რქმევია. მდინარის სახელწოდება „ზუფუს-წყალი“ აღნიშნულია ლიხთ-იმერეთის 1737 წელს შედგენილ რუკაზეც.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახალი ხიფსთის ძველი სახელწოდება **ზუფუ**, რაც თეთრწყალას სახელითაცაა ცნობილი, ქართველური წარმომავლობისაა, ვინაიდან ჰიდრონიმის ძირი **ზუფ-//ზოფ-** მოგვეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში (ჩიქობავა 1997: 25, 276).

ც. ქირია ფიქრობდა, რომ დასავლეთ საქართველოში ზუბის სახელით ცნობილი დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი მომდინარეობს „ზუფუდან“ და რომ უნდა მეგრულში დღესაც შემორჩენილი სიტყვა **მოზუფუნც** ადიდებული მდინარის სწრაფ დინებაზე მიუთითებდეს. ამასთანავე, **ზუფუ** და **ურზუმი** გაუვალი, ტყიანი ადგილის აღმნიშვნელია. მკვლევარი დასძენს, რომ ზუფუ უნდა დარქმეოდა მდინარისპირა, ტყიან ადგილს. მისივე თქმით, ამ სიტყვიდან უნდა მიგველო ქალაქის სახელწოდება ზუგდიდი (ზუფუ → ზუბუ → ზუბდიდი → ზუგდიდი) (ქირია, „მებრძოლი“, №79, 1963: 4).

ა. ქობალიას განმარტებით, **ზუფო**, **ზუფუ**, **ზგფგ** იგივეა, რაც „წითლად მღუარი; უხვად მდინარე; უხვი ნანველი“ (ქობალია, 2010: 311). იქვე მოცემულია **ზუფუა** სიტყვის შემდეგი განმარტება: „წითლად ღუილი; უხვად მოსკდომა (წყლისა)“ (იქვე).

ამდენად, გამორიცხული არაა, რომ „ზუფუნყარი“ მიუთითებდეს მდინარის დინების თვისებასა და უხვდებიტიანობაზე (ზუფუ „უხვად მდინარი“). როგორც ჩანს, თავდაპირველად „ზუფუდ“ იწოდებოდა მდინარე, რაც შემდეგ დასახლებული პუნქტის სახელად ქცეულა.

ილორი სოფელი და თემის ცენტრია ოჩამჩირის რაიონში, და-
ლიძის მარცხენა მხარეს. აერთიანებს სოფლებს: სუკს, ზენს, ილორ-
განსა და ნაგვალოუს. ილორი ზ. დ. 10 მ-ის სიმაღლეზეა და ოჩამ-
ჩირეს 3 კმ აშორებს.

ჯუდიჩე მილანელი აღნიშნავს, რომ წმ. გიორგისადმი მიძღვნილ
მთავარ დღესასწაულს უქმობენ ზღვასთან ახლოს მდებარე პატარა
სოფელ ილორში, 21 ნოემბერს. სოფელში აქა-იქ გაფანტული ოცდაა-
თამდე სახლი და წმ. გიორგის სახელზე აშენებული ვერცხლისკარე-
ბიანი, დიდი თაყვანისცემის სიმბოლოდ ქცეული ეკლესიაა (მილანე-
ლი, 1964: 96-97). ილორის წმ. გიორგის სასწაულებზე ცნობები დაცუ-
ლია ლამბერტისა და შარდენის ჩანაწერებში. საინტერესო გადმოცემა
ჩაუწერია აგრეთვე ფრანგ მეცნიერს, არქეოლოგსა და საზოგადო
მოდვანეს ბარონ დე ბაის (ბარონი დე ბაი, 2011: 118-119). ილორის
ხატზე მტრის დანყევლისა და „გადაცემის“ წეს-ჩვეულებას ვრცლად
აღწერს სერგი მაკალათია (მაკალათია, 1941: 348-358; იხ. აგრეთვე
კაცია, 1963).

პ. ინგოროყვას მოსაზრებით, სოფლის სახელწოდება **ილორი** „თა-
ვისი გრამატიკული აღნაგობით, როგორც ამას გვიჩვენებს მისი ბო-
ლოკიდური ფორმანტი „ორ-ი“, ქართული წარმოშობისაა“ (ინგოროყვა
1954: 176). მკვლევარი იმონმებს აღნიშნული სუფიქსით გაფორმებულ
სხვა გეოგრაფიულ სახელებსაც: სხვიტორი, კოდორი, შაორი, გომბო-
რი; თუმცა არაფერს ამბობს სახელწოდება „ილორის“ პირველ კომ-
პონენტზე ილ- (იქვე).

კ. ოკუჯავა ოიკონიმ „ილორში“ ორ კომპონენტს გამოყოფს. პირ-
ველ კომპონენტს – „ილ“, ა. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართულ
ლექსიკონზე“ მითითებით, გაიაზრებს როგორც „ძვალს“, ხოლო ზა-
ნურ (ჭანურ) -ორ სუფიქსს ადგილმდებარეობისა და წარმომავლობის
მანარმოებლად მიიჩნევს. იმონმებს მსგავსი წარმოების ტოპონიმებს
(ოლორი, კოდორი, სულორი, ჩიხორი, შაორი, ქვილიშორი, ვინორი,
ცხუმორი, ქუთუმორი...) და დაასკვნის: ილორი უნდა დარქმეოდა იმ
ადგილს, ან სოფელს, სადაც ეკლესია-მონასტერი და მასთან მდებარე
საძვალე (სასაფლაო) იყო (ოკუჯავა, ს. ძ., 3, 2000: 17).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სეხნია ტოპონიმი (ყოფი-
ლი ოიკონიმი) ილორის სახით სამტრედიის რაიონშიც გვხვდება, პ.
ცხადაია და ვ. ჯოჯუა ფიქრობენ, რომ ილორი კოლხური სახელწოდ-

დება უნდა იყოს. სოფლის სახელწოდების აფხაზური ვარიანტია ელგრ (ი და ო ბგერები აფხაზურს არ მოეპოვება) (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 251). ცნობისათვის: ილორი ასევე ეწოდება წმ. გიორგის ეკლესიას წყალტუბოს რაიონის სოფ. ქვილიშორში.

ლორი, ილორი მეგრულში აღნიშნავს როგორც მორს ან მორებად დასაჭრელ ხეს, ასევე ძელს, ძელიცხოველს. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ **ილორია** განმარტებულია როგორც „მორისა, ძელისა; მორვადი, ხლეჩადი; სამორე ტყე; საკერპე ძელისა“, ხოლო **ილორი-ლი** როგორც „დამორილი“ (ქობალია, 2010: 324). იმავე ლექსიკონის მიხედვით **ილორუა** მეგრულში აღნიშნავს მორებად ხლეჩას, დამორვას (**ილორუ** იხლიჩება, იმორება) (იქვე).

ილორის ვარიანტი **ლორი** იმავე ლექსიკონში წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელობით: „**ლორი** მორი, ნახეთქი ხისა; უპირატესად, შუაზე გახეთქილი ხე ან ძალიან სქელი და ფართო ნამორი, იყენებენ კარვის ბანურ სახურავად ან ხის ციხესიმაგრის მძლავრი კედლის ამოსაყვანად“ (იქვე: 383). **ლორია** იგივეა, რაც „ნამორი, ჯირკუტანა“; **ლორილი** აღნიშნავს „დამორილს, შუაში გახეთქილ ხეს“, ხოლო ლორიში – „ნახეთქი მორის ნაგებობას (საზოგ.); ხეში გამოღებულ ნავს“ (იქვე: 383). ტყეში საცხოვრებლად გამიზნული და დახეთქილი, გაუჩორკნავი ხეებით აგებული ქოხი, მორის კარავი **ლორიმ კარედ** იწოდებოდა (იქვე). მორებად დახლეჩილ და ხეებით აგებულ ციხეს **ლორიმ ჯიხას** უწოდებდნენ (იქვე). ამასთანავე, **ოლორე** სამორე ტყის აღმნიშვნელი სიტყვაა, ხოლო **ოლორუე** აღნიშნავს მორების დამზადების ან მორების დასაცურებელ ადგილს (იქვე: 538).

ფართო და სქელი ნაპობი ფიცრის აღმნიშვნელი სიტყვა **ლორი** ფიგურირებს აგრეთვე სამეგრელოში ჩანერილ ორ ტოპონიმში. კერძოდ, **ლორიშკარე** ეწოდება ტყე-საძოვარს ნათიფურში, ბურღონაშკარსა და ფართო ნიფრონს შუა; ამავე სახელს ატარებდა ტყე ქ. წალენჯიხისა და ს. ალერტკარის (ყოფილი გრიგოლიშის) საზღვარზე (ცხადაია, 1999: 65-66; მისივე, IV, 2008: 202).

3. ცხადაია ფიქრობს, რომ სოფ. ფახულანში, ენგურის მარჯვენა შენაკადის სახელწოდება **ოლორიც** ო- პრეფიქსითაა წარმოქმნილი. ოლორი დარქმევია ჯერ ტყეს, სადაც ლორი (კედლის ფიცარი) მზადდებოდა, შემდგომ მეტონიმის გზით ხეობას და ბოლოს მდინარეს, რაც ამ ხეობაში გაედინება (ცხადაია, I, 1999: 66).

მეგრულის სალექსიკონო მასალებში ყურადღებას იქცევს შემდეგი განმარტებებიც: **ილორიშ ნიში** „ილორის ნიში, ტყეში დადგმული ქვითკირის პატარა სვეტი, რომლის თახჩაშიც ესვენა ხატი“; **ილორიშ ოხვამე** „ილორის საყდარი; ძელის საყდარი“; **ილორგანი** „ილორის მხრისა, საკაფი (ტყე)“ (ქობალია, 2010: 324).

ზემოთ მოხმობილი საილუსტრაციო მასალით შეგვიძლია სოფლის სახელწოდება „ილორი“ გავიაზროთ როგორც „ლორის – მწყემსთა სადგომი კარვის გადასახურავად გამოსაყენებელი ფართო და სქელი, ნაპობი ფიცრის დასამზადებელი ტყე“, ან „ძელიცხოველი, ხატის დასასვენებელი თახჩიანი ნიში“.

კაპოეტის წყალი. საისტორიო და კარტოგრაფიულ წყაროებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკუთრივ აფხაზეთში ლოკალიზებული ერთ-ერთი, კერძოდ, მკვლევართა მიერ ბზიფთან, ჩვენი ვარაუდით მდ. დასავლეთ გუმისთასთან იდენტიფიცირებული მდინარის სახელწოდებად რამდენიმე ვარიანტია დადასტურებული. ვახუშტი მას „კაპეტის მდინარეს“ უწოდებს. ამ სახელწოდებითაა იგი ცნობილი ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში. დიუბუა დე მონპერე ამ მდინარეს მოიხსენიებს *kepethi*-ს ფორმით (დიუბუა, I, 1937: 100). ნიკო დადიანთან გვხვდება ფორმა „კაპეტის წყალი“ და „კაპეტის მდინარე“, ხოლო 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე – „კაპოეტის წყალი“.

ფიქრობენ, რომ მდ. ბზიფის ძველი სახელწოდების ამოსავალი შესაძლებელია იყოს ქართველური სიტყვა **კაპოეტი**, რაც სულხან-საბას ლექსიკონში ოთხი მნიშვნელობითაა მოცემული: 1. თევზის ერთ-ერთი სახეობა; 2. „ფრინველი წელიწად-გამოვლილი“; 3. ერთგვარი ბალახი 4. ქვაკაპოეტი ანუ ქვა პატიოსანი; იგივე ზურმუხტი. სრულიად შესაძლებელია, რომ მდინარის სახელწოდება სიტყვის ზემოთ მოტანილ ერთ-ერთ მნიშვნელობასთან იყოს მისადაგებული (ბახია-ოქრუაშვილი, 2010: 193).

პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ კაპოეტის წყალი წმინდა ქართული სახელწოდებაა. სულხან-საბასა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებზე მითითებით მკვლევარი დაასკვნის, რომ მდინარის სახელწოდება კაპოეტისწყალი ისეთივე წარმომავლობისაა, როგორისაც საკალმახე, ოკალმახე, კაპარჭინა//კაპარჭინის წყალი და სხვ., და უკავშირება

კალმახ-ორაგულის ჯიშის თევზის სახეობას: „იგი მოზრდილი სახის კალმახია და გვხვდება სწორედ ამ მდინარეში, კაპოეტის წყალში“ (ინგოროყვა, 1954: 181). კაპოეტს ეძახიან ჩვეულებრივ ქაშაპს. კაპოეტს, როგორც თევზის სახეობას, იცნობს ვახუშტი ბატონიშვილიც (ვახუშტი, IV, 1973: 43).

„კაპოეტის“ ეტიმოლოგიის გასარკვევად საყურადღებოა **კაბეტი, კაპეტი** სიტყვების სხვა მნიშვნელობაც, საიდანაც შესაძლებელია მომდინარეობდეს საკვლევი ჰიდრონიმი. კაბეტი და კაპეტი სამეგრელოსა და სამურზაყანოში აღნიშნავს როგორც „დიდს, მოზრდილს“, ისე „მსუქან, ნასვენ, ძნელად დასამუშავებელ, მაგრამ ნოყიერ მიწას“ (ქობალია, 2010: 351).

კაპეტი გადატ. „მაგარის“ მნიშვნელობითაც გამოიყენება. მაგ. კაბეტდისა//კაპეტდისა მაგარი, ძნელად დასამუშავებელი მიწაა. მაგარ, აუღებელ ციხეს **კაპეტიშ ჯიხას** უწოდებდნენ; ამასთანავე, **კაპეტი** საზოგადოდ ეწოდება გარეულ მონადირე ფრინველს; კალმახ-ორაგულის მსგავსი ჯიშის თევზსაც სამეგრელო-სამურზაყანოში **კაპეტი** ჰქვია (ქობალია, 2010: 354).

სიტყვის ზემოთ მოტანილი მნიშვნელობებიდან საკვლევ ჰიდრონიმს, ჩვენი აზრით, შეესაბამება „დიდი, მოზრდილი“. შესაბამისად, თუკი ჰიდრონიმ „კაპოეტს“ („კაბეტი“, „კაპეტი“) მდინარის სიდიდის ამსახველ სახელწოდებად მივიჩნევთ, ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების ობიექტური ანალიზის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ასეთი მსჯელობა ნამდვილად არ იქნება მოკლებული დამაჯერებლობას.

კაბეტი სიტყვა ფიგურირებს სამეგრელოს შემდეგ ტოპონიმებში: **კაბეტბოგაშ ღალ** – ღელე ლეგახარეში; **კაბეტი ტობა** – მორევი ნაფიჩხუში; **კაბეტი წყურგილი**//თუდოლენი წყურგილე – წყარო საბერულავოში (საქ. ტოპ., II, 1999: 211); **კაბეტი**//გორე – საბალახო მარტვილში (კეკელია 2008: 29; მისივე 2009: 68); **კაბეტი** – სახნავი ხუნნის საზღვარზე, ქვაითში (ცხადაია, V, 2010: 71).

მოქვი სოფელია იმავე სახელწოდების მდინარის ნაპირზე, ოჩამჩირის რაიონში. ჰიდრონიმი **მოქის** ფორმით დასტურდება ანონიმი მემატიანის თხზულებაში, სადაც აღნიშნულია, რომ ზიგანიდან ტარსურას წყლამდე, რომელსაც ამჟამად მოქი ეწოდება, 120 სტადიონი, ანუ 16 მილიონია (გეორგიკა II, 1965: 6).

მისიონერ არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ამ მდინარეს ასე ჰქვია იმიტომ, რომ იგი ჩაუდის მოქვის საეპისკოპოსოს“ (ლამბერტი, 2011: 201). რუკაზე მდინარე **Moquis-Schari**-ს, ხოლო საეპისკოპოსო – **Moguis**-ის ფორმითაა აღნიშნული (ბერაძე, „მაცნე“, 3, 1971: 148).

ტოპონიმ „მოქვის“ შესახებ მსჯელობდა სახელოვანი მეცნიერი პ. ინგოროყვა, რომელიც აფხაზეთის „შუა-სოფლის“ მნიშვნელოვანი პუნქტის სახელწოდებას გრამატიკული გაფორმებითა და ბოლოკიდური ფორმანტით უდარებდა იმავე ტიპის სხვა ქართულ გეოგრაფიულ სახელებს (თმოგვი, ჩაქვი, ბახვი, ნეძვი, ძეგვი, არაგვი და სხვ.) და დასძენდა, რომ მსგავსი სახელი „მოქვთა“ გვხვდება შიდა საქართველოშიც, კერძოდ, შავშეთში (ინგოროყვა, 1954: 168).

ტოპონიმის შესახებ მიაშიტურ განმარტებას გვთავაზობს კ. ჰანი: „**Моква** груз. (монастырь) от моक्ла=успокойся, почивай, умри“ (Гань, 1909: 105).

თ. მიბჩუანის დაკვირვებით, „ეს ტოპონიმი მოგვაგონებს სვანურ სიტყვას „მუქვ“, რაც მინის ზვინს აღნიშნავს. „მუქვარ“-ს (მრავლობითში) თხუნელების ან ვირთხების მიერ გადანათხარ ადგილს უწოდებენ“ (მიბჩუანი, 1989: 257).

„მოქვის“ ეტიმოლოგიის შესახებ პ. ინგოროყვასა და თ. მიბჩუანის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი მიმოიხილა კ. ოკუჯავამ, თუმცა საკუთარ, განსხვავებულ განმარტებას არ გვთავაზობს (ოკუჯავა, 2002: 97).

შესაძლებელია ტოპონიმ „მოქვის“ მეგრული ენის ნიადაგზე ახსნაც. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **მოქვი** დღესაც ცოცხალი სიტყვაა სამურზაყანოს მეგრელთა მეტყველებაში და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა „რიყიანი, ქვით მოფენილი ადგილი“. ა. ქობალიას ლექსიკონში **მოქვი, მოქვილი** განმარტებულია, როგორც „რიყიანი“ (ქობალია, 2010: 479). მოქვის მეორე მნიშვნელობა – „მოფქული, ფქვილით მოფენილი; ჩქერალი“, სემანტიკურად ასევე „ქვებით გადათეთრებულ ადგილს“ შეიძლება დაუკავშირდეს (იქვე: 479).

მუნისწყალი//მუნუსწყალი. ვახუშტი ბატონიშვილი მუნის წყალს უწოდებს მდინარეს, რაც „ზუფუს დასავლით“ მიედინება (ვახუშტი, IV, 1973: 784). ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ მდინარეს ამჟამად მჭიმთა ეწოდება.

ჰიდრონიმი გვხვდება ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაშიც (1621 წ.), **მუნუს-წყლის** ფორმით. პ. ინგოროყვა სახელწოდებას ქართული წარმომავლობისად მიიჩნევდა და შენიშნავდა, რომ გარკვეულ მანძილზე მდინარის მიწისქვეშ დინება უნდა გამხდარიყო ასეთი სახელდების მიზეზი. მაშასადამე, პ. ინგოროყვას აზრით, მდინარის თავდაპირველი ფორმა **მინის წყალი** უნდა ყოფილიყო, საიდანაც უნდა მიგველო მუნისწყალი (ინგოროყვა, 1954: 181). ეს თვალსაზრისი პირველად გამოთქვა აკად. ს. ჯანაშიამ (ჯანაშია, VI, 1988: 287; მსჯელობისათვის იხ. ოკუჯავა, 1998; ზუხბაია, 1998: 114; ბახია-ოქრუაშვილი, 2010: 200).

მაშასადამე, ფიქრობენ, რომ სახელწოდება მიწისქვეშა მდინარის, კარსტული მდინარის აღმნიშვნელია (შდრ. მიწისქვეშა წყარო – წყარო სოფ. დრეში (ატენის თემი, გორის რ.)).

შესაძლოა, ამ სახელწოდების ეტიმოლოგია დაუკავშირდეს სიტყვას – **მუნწილი//მუნჭილი**, რაც მეგრულ ენაში აღნიშნავს დამუნულს, მოკუმულს, დახურულ სივრცეს. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მუნწუა//მუნჭუა განმარტებულია როგორც „მუნვა (ტუჩებისა)“ (**ქობალია 2010: 499**). ამ შემთხვევაში **მუნისწყალი** (← **მუნწილწყარი**) აღნიშნავს მდინარეს, რაც დახურულ სივრცეში დის (ვოკლუსს).

ამასთანავე, **მურწა** ერთგვარი თევზიცაა (**მურწა ჩხომი** „წვრილი თევზი“) და ბალახიც (იქვე: 500). **მუნწი//მუნწი** ეწოდება ლოფორთქინას, ლალის ჭიას. **მუნწიში** ლალისყურია, ხოლო **მუნწი წყარი** იგივეა, რაც ლალის წყალი (იქვე: 501).

ამ ჰიდრონიმის სემანტიკის შესაცნობად საყურადღებოა შემდეგი ტოპონიმები: მუნწურელა – დღეუ ბაღდათის რაიონის სოფ. პირველ ობჩაში (საქ. ტოპ., III, 2003: 195); (მ)უნწკვარა//მუნწკვარაღალ – რეჩხინყარის მარცხენა შენაკადი გალის რ-ნის სოფ. რეჩხში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 99).

ცხომი//ცხუმი//სოხუმი. უძველესი ქალაქის სახელწოდების წარმომავლობით გასული საუკუნის 50-იან წლებში დაინტერესდა პ. ინგოროყვა. ამჟამად არსებული ფორმა ქალაქის სახელწოდებისა – **სოხუმი//სუხუმი**, მისი აზრით, მომდინარეობს ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში VIII ს-იდან (ჯუანშერის მატთანე) დადასტურებული პირველადი ფორმიდან: **ცხომი//ცხუმი**. მეცნიერი სახელწოდებაში

გამოყოფდა **ომ**-ი ბოლოკიდურ ფორმანტს, ადარებდა მას ასეთივე დაბოლოების მქონე ქართულ გეოგრაფიულ სახელებს (ნრომი, ბორჯომი, ბათომი, დილომი, თორთომი...) და ფიქრობდა, რომ ცხომი//ცხუმი თავისი გრამატიკული გაფორმებით ქართული წარმოშობისა უნდა ყოფილიყო. პ. ინგოროყვა დამატებით იმონმებს მსგავს გეოგრაფიულ სახელწოდებებს: ცხუმარი//ცხგმარი – თემი სვანეთში, ცხმორი – სოფელი რაჭაში, ცხმორისი – სოფელი აჭარაში, ცხომარეთი – სოფელი იმერეთში, საჩხერის რ-ნში, საცხომარიო – ხობის ერთ-ერთი უბანი, ცხგმარისგა – სოფელი გალის რ-ნის ლეკუხონის თემში. ასევე ვარაუდობს, რომ ცხომი//ცხუმი უნდა უკავშირდებოდეს მხარის სახელწოდებას – ჩხუმს (ინგოროყვა, 1954: 147).

ასეთია ქართველი მეცნიერის მსჯელობა ცხომის//ცხუმის მნიშვნელობის შესახებ, თუმცა თვით ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე პ. ინგოროყვას საკუთარი მოსაზრება არ გამოუთქვამს. ქ. ლომთათიძის დაკვირვებით, ტოპონიმ „ცხუმის“ ქართულობას ადასტურებს მასში **ცხ** კომპლექსის არსებობა, რაც აფხაზურს არ ახასიათებს (ლომთათიძე, 12, 1956).

„სუხუმის“ თურქული წარმომავლობის ტოპონიმად მიჩნევას მხარს უჭერდა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი დიმიტრი გულია. თურქებს ამ ქალაქისათვის სუგუმი (და არა **სუხუმ**) უნდა ეწოდებინათ, რაც მდ. გუმისთას სახელის მიხედვით „გუმის წყალს“ უნდა ნიშნავდეს, – ფიქრობდა დ. გულია და თავისი მოსაზრების „გამყარებას“ იმ ფაქტით ცდილობდა, რომ გუმისთა ჯიქთა მიერ იწოდებოდა, როგორც „გუმ-ფსი“ (Гулия, I, 1925: 148).

აფხაზი ისტორიკოსები ვ. ფაჩულია, ო. ბლაჭბა და ს. ლაკობა მხარს უჭერენ ტოპონიმ „სოხუმის“ ძალიან საეჭვო ეტიმოლოგიას, რომ, თითქოს, ეს სახელწოდება შედგება სამი კომპონენტისაგან: „თურქებს თავისებურად ესმოდათ ეს სახელწოდება, როგორც „სუ“ – წყალი, „ხუმ“ – ქვიშა, „კალა“ – ციხესიმაგრე, ქალაქი“ (Мачавариანი 1913: 224; Бгажба, Лакоба 2006: 175; Шамба 2005: 94).

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ **სუხუმი** ქართველური **ცხუ-****მის** თურქიზებულ ფორმას წარმოადგენს, ვინაიდან თურქულს არა აქვს **ც** აფრიკატი; ამასთანავე, ვინაიდან სიტყვის დასაწყისში ორი თანხმოვნის თავმოყრას თურქული ენა ვერ ჰგუობს, ამიტომ „ცხუმ“ ფორმის ნაცვლად თურქულში მკვიდრდება სახენაცვალი ფორმა

სუხუმუ და **სუხუმ**. სწორედ ამ ვარიანტებით გვხვდება სახელწოდება „ცხუმი“ თურქულ და არაბულ წყაროებში (გვანცელაძე, 10, 2000: 88; ჯანაშია, III, 1959: 117).

ფიქრობენ, რომ ცხუმი შესაძლებელია თურქულად წარმოითქვას როგორც „სუხუმ“, ასევე როგორც – „სოხუმ“. იმის გათვალისწინებით, რომ 1923 წლამდე თურქული დამწერლობა კონსონანტური ტიპისაა და, ძირითადად, თანხმოვანი ასონიშნების შემცველ არაბულ ანბანს ეფუძნებოდა, კ. კვაშილავა (პროფ. გ. ანჩაბაძის მიერ განეული კონსულტაციის საფუძველზე) ფიქრობს, რომ „ცხუმის“ თურქულ-არაბული დამწერლობით გადმოსაცემად გამოიყენებოდა, აგრეთვე არაბული ასო-ნიშანი – و (*wāw*), რომელსაც რამდენიმენაირი წაკითხვა გააჩნია, *v, o, ō, ō, u, ū, ū* (კვაშილავა, 2011: 144). მკვლევარი საილუსტრაციოდ მოიხმობს XVIII-XIX სს. ზოგიერთ წყაროში დადასტურებულ ფორმებს – „Сокум-Кала“, „Согум-кала“ (იქვე: 144, და იქვე მითითებული ლიტ-რა: Географический Словарь, I, 1788; Броневски I, 1823: 294).

მკვლევართა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურებული სახელწოდება ცხუმის//ცხომის ამოსავალი უნდა იყოს სევანური **ცხუმ//ცხვიმ//ცხვმ**, რაც რცხილას, ცხემლას ნიშნავს. ცხუმში რცხილნარია, ცხუმრა – რცხილის ხე (დონდუა 2001: 359). ეს მოსაზრება პირველად მ. ქალდანმა გამოთქვა, რაც შემდეგ გაიზიარეს გ. მელიქიშვილმა, თ. მიბჩუანმა, გ. გასვიანმა, თ. გვანცელაძემ, ვ. ზუხბაიამ, კ. ოკუჯავამ და სხვებმა (მიბჩუანი, 1989: 264-265; გასვიანი, 1991: 206; გვანცელაძე, 1998: 52; ოკუჯავა, 2002: 86).

„ცხუმისა“ და „სოხუმის“ ეტიმოლოგიის გარშემო სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებები (კ. ჰანი, მ. ქალდანი, გ. მელიქიშვილი, ს. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. გასვიანი, თ. მიბჩუანი, შ. ინალ-იფა...) მიმოიხილა ს. ბახია-ოქრუაშვილმა და ა. ჭკადუას ნაშრომზე მითითებით შემდეგი დასკვნა გამოიტანა: „ცხომ//ცხუმში სემანტიკური, ეტიოლოგიური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სახელდების პრინციპები საერთო ქართველურია. მოტივაციის საფუძველია ამ ადგილებში „რცხილის“ არსებობა. მაგ.: ქართული ცხემლოვანი, ცხინვალი, ცხმორისი, მეგრ. ცხემურონი, ცხიმურონი, ცხემურეში, ჭან. ცხემურეფუნა, სვან. ცხუმელირ, ცხუმალდ, ცხმაარ, ლეცხუმერ. სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ საფუძველს, როგორც

ახალი, ისე ძველი ფორმებისათვის წარმოადგენს ძველქართული გეო-ბოტანიკური ტერმინი ქრცხემლ- ან ქრცხილ-. ტოპონიმიკურ დონეზე საერთო სვანურისათვის ამოსავალი იქნება ცხუმ-“ (ბახია-ოქრუაშვილი, 2010: 220-221; ჭკადუა, I, 1987: 199, 201).

მ. თავდიშვილის მოსაზრებით წყლის ხმაურის აღმნიშვნელი **ხუ** ელემენტი უნდა გამოიყოს ტოპონიმ „სუხუმში“: „აშკარაა, რომ **სუ** წყლის აღმნიშვნელი ტერმინია (ვსუამ, სუამ, სუამს). **ხუ** ხმაურის, კერძოდ, წყლის ხმიანობის აღმნიშვნელი უნდა იყოს. **სუ-ხუმი** რომ წყალს აღნიშნავს, ამას ამტკიცებს ამ ქალაქის აფხაზური სახელწოდება აქუა. **აქუა** ნიშნავს წყალს. აქუა, შესაძლოა, იყოს აყუა სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი. აყუა ისევ წყალს ნიშნავს“ (თავდიშვილი, №11, 1973). მნიშვნელობითა და შედგენილობით „სუხუმის“ ადეკვატური აგებულების სახელწოდებებად მიიჩნევა მკვლევარი ხევსურეთსა და შუხუთს (იქვე). ჩვენი აზრით, მ. თავდიშვილის მსჯელობა დამაჯერებლობას მოკლებულია.

ა. დიაჩკოვ-ტარასოვი ტოპონიმ ცხუმს უკავშირებდა „ცხელი“ სიტყვის მეგრულ შესატყვისს – **ჩხე** (დიაჩკოვ-ტარასოვი, 2003: 65). ზ. პაპასქირის ვარაუდით, ცხუმი შესაძლებელია უკავშირდებოდეს ხის ჯიშების მეგრულ სახელებს – თხუმუს ან ცხიმურს (პაპასქირი, 2004: 27).

გიორგი ფიფიას მოსაზრებით, „ცხუმის“ ამოსავალია რცხილის ერთ-ერთი სახეობის ზანური სახელწოდება, რაც იწერება ერთი თანხმონითა და ირაციონალური ხმოვნით. ესაა ცგ, რამაც სხვა ზანურ-მეგრულ სიტყვასთან („ხუმ“) შეთანხმებით მოგვცა ტოპონიმი ცხუმ ანუ „მშრალი რცხილა“. მკვლევარი იმონებს აფხაზეთში ჩანერილ, ხმელი ხის სახელწოდებისაგან წარმოქმნილ ტოპონიმს. ესაა გალის რაიონის სოფ. ხუმუშქურის სახელწოდება, რაც „ვაშლის ხმელ ხეს“ ნიშნავს (ფიფია, №10, 1990: 13). ტოპონიმთა ამ რიგს შეიძლება დაემატოს ყუმურხუმლა „გამხმარი ტყემალი“ – ფერდობი სოფ. რეჩხში; ყყონხუმლა „გამხმარი მუხა“ – სოფელი ჭუბურხინჯის თემში. ატრიბუტული მსაზღვრელის პოსტპოზიციურობა ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმთა სიძველის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს (ცხადაია, 2004: 110).

ტოპონიმ „ცხუმის“ გ. ფიფიასეული განმარტება დაზუსტებას საჭიროებს. თუკი ჩავთვლით, რომ „ცხუმის“ ერთ-ერთი კომპონენტი

ხუმ- სიტყვა, მაშინ იგი უნდა ითარგმნოს არა როგორც მშრალი, არამედ – ხმელი. ამასთანავე, კავკასიური რცხილის მეგრული შესატყვისია ცხემური//ცხიმური, ხოლო ცგ იგივეა, რაც თელა და თელადუმა (მაყაშვილი, 1991: 152).

ამდენად, ცგხუმი//ცგხომი უნდა გავიაზროთ როგორც „ხმელი თელა“.

დასკვნები

ვახუშტის ცნობით, **ოდიში** ეწოდება ცხენისწყალსა და ანაკოფიას შორის მდებარე ვრცელ ტერიტორიას. ამ შემთხვევაში მეცნიერი მიზნად ისახავს ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგდროინდელი ოდიშის პოლიტიკური რეალობის აღდგენას. მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით განსაზღვრული ოდიშის სამთავროს აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყალი და ლეჩხუმ-ოდიშის გამყოფი მთა იყო; სამხრეთი საზღვარი ძირითადად რიონზე გადიოდა და გურიისგან გამოყოფდა; ჩრდილოეთი საზღვარი სვანეთ-ოდიშის გამყოფ ეგრისის ქედს გასდევდა; დასავლეთით კი შავ ზღვამდე ვრცელდებოდა.

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდებას – **მეგრელი, მეგრელები**, ვახუშტი იმონშებს **მეეგრელის** ფორმით, მაგრამ მათი განსახლების არეალის აღმნიშვნელი ქორონიმი **სამეგრელო** მას ნაშრომში არც ერთხელ არ გამოუყენებია.

სხვა წერილობით წყაროებთან „აღწერის“ მონაცემების შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ XV ს-ის 80-90-იანი წლებიდან XVI ს-ის 20-30-იანი წლების ჩათვლით, აფხაზეთსა და ოდიშს შორის სასაზღვრო მიჯნად ანაკოფიის დასავლეთით, ფსირცხას მარჯვენა ნაპირის მომიჯნავე ქედი რჩებოდა. ოდიშის სამთავროს სამხრეთი საზღვარი ძირითადად რიონის მარცხენა ნაპირზე გადიოდა და გურიისაგან გამოყოფდა; ჩრდილოეთი საზღვარი სვანეთ-ოდიშის გამყოფ ეგრისის ქედს გასდევდა; დასავლეთით შავ ზღვამდე ვრცელდებოდა; აღმოსავლეთი საზღვარი ძირითადად ცხენისწყალი და ლეჩხუმ-ოდიშის გამყოფი მთა იყო; XVI ს-ის 30-50-იან წლებში აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყლის მარცხენა მხარეზეც გადადიოდა და მათხოჯ-ჯიქთუბანსაც მოიცავდა.

- პაპასქირი, 2009** – პაპასქირი ზ. (2009). და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბილისი.
- პაპასქირი, I, 2004** – პაპასქირი ზ. (2004). ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი I, უძველესი დროიდან 1917 წლამდე. თბილისი.
- პაჭკორია, 1967** – პაჭკორია მ. (1967). ფოთის წარსულიდან. თბილისი.
- პაჭკორია, 1974** – პაჭკორია მ. (1974). ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან. თბილისი.
- პაჭკორია, 1975** – პაჭკორია მ. (1975). ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს. თბილისი.
- სამუშია, 1971** – სამუშია კ. (1971). ქართული ხალხური პოეზიის მასალები. მეგრული ნიმუშები. თბილისი.
- სამუშია, 1979** – სამუშია კ. (1979). ქართული ხალხური პოეზიის საკითხები. მეგრული ნიმუშები. თბილისი.
- სამუშია, 1990** – სამუშია კ. (1990). ქართული ზეპირსიტყვიერება. მეგრული ნიმუშები. თბილისი.
- საქ. ტოპ., II, 1999** – საქართველოს ტოპონიმია (მასალები). ა. ქართლის ჰიდრონიმია; ბ. ქვემო იმერეთის ჰიდრონიმია; გ. ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმია (1999). თბილისი.
- საქ. ტოპ., III, 2003** – საქართველოს ტოპონიმია (მასალები) (2003). ქვემო იმერეთი. შემდგენლები: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კემულარია. თბილისი.
- სვანიძე, 1990** – სვანიძე მ. (1990). საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.). თბილისი.
- სიხარულიძე, №114, 1957** – სიხარულიძე ი. (1957). პალიასტომის ტბის წარმოშობის შესახებ. საბჭოთა აჭარა. 11 ივნისი ბათუმი.
- სიხარულიძე, სიგკ, IV, 1971** – სიხარულიძე ი. (1971). მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმია). საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. თბილისი.

- სიხარულიძე, სიგკ, VI, 1982** – სიხარულიძე ი. (1982). *ვაკე-იმერეთის ისტორიული გეოგრაფიის მასალებიდან (სამტრედიის რაიონი)*. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. თბილისი.
- სიხარულიძე, №1, 3, 2003** – სიხარულიძე ი. (2003). *ოდისის ისტორიული გეოგრაფიის წყაროები*. მახარია, №1 (28), №3 (30). თბილისი.
- სიხარულიძე..., 2012-2013** – სიხარულიძე ი., კეკელია ი. (2012-2013). *ოდისის საისტორიო გეოგრაფიის წყაროები*. ცოცნეიდელი. თბილისი.
- სიხარულიძე, კეკელია, V, 2013** – სიხარულიძე ი., კეკელია ი. (2013). *ხობისწყლის ხეობის საისტორიო გეოგრაფიიდან*. დიდი ქართველი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ სერგი მაკალათიას დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი V სამეცნიერო კონფერენცია. მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. ქუთაისი.
- სოსელია, I, 1973** – სოსელია ო. (1973). *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები)*. თბილისი.
- სოსელია, II., 1981** – სოსელია ო. (1981). *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები)*. თბილისი.
- სოსელია, III., 1990** – სოსელია ო. (1990). *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები)*. თბილისი.
- სურმავა, VI, 1987** – სურმავა ნ. (1987). *ზოგიერთი თავისებური ლექსიკური ერთეული აჭარულში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა*. თბილისი.
- ტაბალუა, II, 1986** – ტაბალუა ი. (1986). *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში*. თბილისი.
- ტაბალუა, III, 1987** – ტაბალუა ი. (1987). *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (XIII-XX სს. პირველი მეოთხედი)*. თბილისი.
- ტულუში, №62, 1983** – ტულუში ა. (1983). *ერთი წარწერის ნაკითხვა-დათარიღებისათვის*. ძეგლის მეგობარი. თბილისი.
- ტულუში, I, 1987** – ტულუში ა. (1987). *კვლავ ზუგდიდის ეტიმოლოგიისათვის*. ონომასტიკა. თბილისი.
- ტულუში, 1991** – ტულუში ა. (1991). *ანაკლიის ისტორია*. ზუგდიდი.
- ტულუში, 2001** – ტულუში ა. (2001). *ცაიშის საეპისკოპოსო*. ზუგდიდი.

- ფაილოძე, 2003** – ფაილოძე ა. (2003). *მატიანე ხონისა. ნაწილი II*. ბათუმი.
- ფასმერი, II, 1986** – ფასმერი მ. (1986). *რუსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. მოსკოვი.
- ქეგლ, 1990** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი.
- ფიფია, №10, 1990** – ფიფია გ. (1990). აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხისათვის. *სახალხო განათლება*, №10 (4221), 8 მარტი. თბილისი.
- ქირია, 1963** – ქირია ც. (1963). *რატომ ჰქვია ჩვენს ქალაქს ზუგდიდი?! (ეტიმოლოგიური მონოგრაფია)*. მეგრძოლი, №77 (215), 22 მაისი. 1963; №79 (217), 26 მაისი. 1963. ზუგდიდი.
- ქობალია, 2010** – ქობალია ა. (2010). *მეგრული ლექსიკონი*. თბილისი.
- ქორიძე, 12, 2001** – ქორიძე თ. (2001). *აფხაზეთის საკათალიკოსოს (დასავლეთ საქართველოს) საზღვრები XVI-XVIII საუკუნეებში*. კლიო. საისტორიო აღმნახი. თბილისი.
- ლამბაშიძე, 2008** – ლამბაშიძე ნ. (2008). *წმინდა ანდრია და მასთან დაკავშირებული ხალხური დღესასწაულები*. ეთნოლოგიური კრებული. თბილისი.
- ყაუხჩიშვილი, 1999** – ყაუხჩიშვილი თ. (1999). *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი*. თბილისი.
- ყაუხჩიშვილი, 1964** – ყაუხჩიშვილი ს. (1964). *რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ*. თბილისი.
- ყაუხჩიშვილი, IV, 1973** – ყაუხჩიშვილი ს. (1973). *წინასიტყვაობა გამოცემისა – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ*. ტ. IV. თბილისი.
- ყიფშიძე, 1994** – ყიფშიძე ი. (1994). *რჩეული თხზულებანი*. თბილისი.
- შალამბერიძე, №3, 1979** – შალამბერიძე გ. (1979). *ნოქალაქევი თუ ნაქალაქევი? ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში*. №3 (54). თბილისი.
- ჩიქობავა, IV, 2011** – ჩიქობავა აკ. (2011). *ერთი საკითხი ოდიშისა და ცხუმის საერისთავოების ისტორიიდან*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. თბილისი.
- ჩიქობავა, I, 1939** – ჩიქობავა არნ. (1939). *წარ პრევერების მნიშვნელობისათვის*. ენისა და მატერიალური კულტურის ისტორიის მოამბე. თბილისი.

- ჩიქოზავა, 1997** – ჩიქოზავა არნ. (1997). *ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი*. თბილისი.
- ჩიქოვანი, 1969** – ჩიქოვანი მ. (1969). *მართალია თუ არა ლეგენდა*. „კომუნისტი“. 7 მარტი. თბილისი.
- ცანავა, 1990** – ცანავა ა. (1990). *ქართული ფოლკლორის საკითხები (მეგრული მასალების მიხედვით)*. თბილისი.
- ცერცვაძე, 1970** – ცერცვაძე ნ. (1970). *სახელწოდება „პალიასტომის“ ისტორიისათვის*. თბილისი. 11 ივლისი. თბილისი.
- ცხადაია, 1985** – ცხადაია პ. (1985). *მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი)*. თბილისი.
- ცხადაია, I, 1999** – ცხადაია პ. (1999). *ძიებანი კოლხეთის ტოპონიმში*. თბილისი.
- ცხადაია, II, 1999** – ცხადაია პ. (1999). *ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმია*. წგნ.: საქართველოს ტოპონიმია (მასალები). თბილისი.
- ცხადაია, 2000** – ცხადაია პ. (2000). *გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში*. თბილისი.
- ცხადაია, ჯოჯუა, 2003** – ცხადაია პ., ჯოჯუა ვ. (2003). *სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი*. თბილისი.
- ცხადაია, 2004** – ცხადაია პ. (2004). *სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია*. თბილისი.
- ცხადაია, ჯოჯუა, II, 2005** – ცხადაია პ., ჯოჯუა ვ. (2005). *რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი (სალექსიკონო მასალა)*. თბილისი.
- ცხადაია, 2005** – ცხადაია პ. (2005). *ონომასტიკის შესავალი*. თბილისი.
- ცხადაია, II, 2007** – ცხადაია პ. (2007). *სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, ზუგდიდის რაიონი*. თბილისი.
- ცხადაია, III, 2007** – ცხადაია პ. (2007). *სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი (ხობის რაიონი, ქ. ფოთი)*. თბილისი.
- ცხადაია, IV, 2008** – ცხადაია პ. (2008). *სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი (ჩხოროწყუს რაიონი)*. თბილისი.
- ცხადაია, V, 2010** – ცხადაია პ. (2010). *სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი)*. თბილისი.
- ცხადაია, ჯოჯუა, IV 2012** – ცხადაია პ., ჯოჯუა ვ. (2012). *რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი (სალექსიკონო მასალა)*. თბილისი.
- ცხადაია, VI, 2012** – ცხადაია პ. (2012). *სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი)*. თბილისი.
- ცხაკაია, „მებრძოლი“, 1958** – ცხაკაია ლ. (1958). *ზუგდიდის ისტორიული წარსულიდან*. მებრძოლი, წერილი I, 31. VIII, №103 (5139); წერილი II, 5. IX. №105 (5141); წერილი III, 17. IX, №110 (5146). ზუგდიდი.

- ცხაკაია**, „მებრძოლი“, №117, 1958 – ცხაკაია ლ. (1958). ზუგდიდის სახელწოდების შესახებ. წერილი IV, 3. X, №117 (5153). ზუგდიდი.
- ცხაკაია, 1958** – ცხაკაია ლ. (1958). მასალები ზუგდიდის ისტორიული წარსულიდან. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის II სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები). 1958. ზუგდიდი.
- ძაძამია, „მახარია“, №1, 7-8, 2005** – ძაძამია მ. (2005). ნალენჯიხის რაიონი (ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი). მახარია. №1 (52). თბილისი.
- ჭითანავა, იეძ, XI, 2009** – ჭითანავა დ. (2009). „ვეროსის“ ქალაქ „ვერისის“ ლოკალიზაციისათვის. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. XI, თბილისი.
- ჭითანავა, 2010** – ჭითანავა დ. (2010). ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე). თბილისი.
- ჭკადუა, I, 1987** – ჭკადუა ა. (1987). ტოპონიმიკურ შესატყვისობათა ძირითადი პრინციპები (ქართველურ ტოპონიმთა მონაცემების მიხედვით). ონომასტიკა. თბილისი.
- ჭუმბურიძე, 1987** – ჭუმბურიძე ზ. (1987). დედაენა ქართული. თბილისი.
- ხანთაძე, 1985** – ხანთაძე შ. (1985). ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში (მთავარი წარმომადგენლები). თბილისი.
- ხანთაძე, ქსე, XI, 1987** – ხანთაძე შ. (1987). ჯიქები. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი.
- ხარაძე, 1997** – ხარაძე კ. (1997). საქართველოს ტოპონიმია ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში. ვახუშტი ბაგრატიონი გეოგრაფი. თბილისი.
- ხარაძე, 2003** – ხარაძე კ. (2003). საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. თბილისი.
- ხორავა, 1996** – ხორავა ბ. (1996). ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბილისი.
- ხორავა, 1998** – ხორავა ბ. (1998). ეთნიკური პროცესები ჩრდილო კავკასიაში და აფხაზეთი. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბილისი.
- ხორავა, სძ, 3 2000** – ხორავა ბ. (2000). ბედიის საეპისკოპოსო. საისტორიო ძიებანი. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება. აფხაზეთის ორგანიზაცია. თბილისი.
- ხორავა, 2007** – ხორავა ბ. (2007). აფხაზეთი XVIII საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე. ნარკვევები აფხაზეთის ისტორიიდან (აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე). თბილისი.
- ხუნდაძე, „დ. მ.“, №4, 1994** – ხუნდაძე თ. (1994). ქტიტორული რელიეფი ცაიშიდან. ძეგლის მეგობარი. თბილისი.

- ხუხუა, XVI 1972** – ხუხუა ო. (1972). *ტოპონიმების – აბაშა, ბაში, ბარდა, ლეპარდე, ცხენისწყლის ეტიმოლოგიისათვის*. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის XVI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1972.
- ხუხუა, „მახარია“, №4, 2005** – ხუხუა ო. (1995). *ეტიმოლოგიური ძიებანი*. მახარია. თბილისი.
- ჯაბუა, 1999** – ჯაბუა ნ. (1999). *მოკლე ცნობები საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ*. წგნ.: სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში. ი. ანთელავას რედაქციით. თბილისი-ზუგდიდი.
- ჯავახიშვილი, 1919** – ჯავახიშვილი ი. (1919). *საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული*. ტფილისი.
- ჯავახიშვილი, IV, 1967** – ჯავახიშვილი ი. (1967). *ქართველი ერის ისტორია XV-XVIII საუკუნეები*. თბილისი.
- ჯავახიშვილი, I, 1979** – ჯავახიშვილი ი. (1979). *ქართველი ერის ისტორია*. თბილისი.
- ჯავახიშვილი, II, 1983** – ჯავახიშვილი ი. (1983). *ქართველი ერის ისტორია*. თბილისი.
- ჯავახიშვილი, VIII, 1983** – ჯავახიშვილი ი. (1983). *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა*. თბილისი.
- ჯავახიშვილი, 1989** – ჯავახიშვილი ი. (1989). *საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული*. ისტორიული რარიტეტები. თბილისი.
- ჯამბურია, სინ, IV, 1973** – ჯამბურია გ. (1973). *დასავლეთი საქართველო XVII ს. პირველ მესამედში*. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბილისი.
- ჯამბურია, IV, 1973** – ჯამბურია გ. (1973). *ფეოდალური შინაომები დასავლეთ საქართველოში 30-50-იან წლებში*. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბილისი.
- ჯანაშია, II, 1952** – ჯანაშია ს. (1952). *ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ*. შრომები. თბილისი.
- ჯანაშია, VI, 1988** – ჯანაშია ს. (1988). *შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია*. შრომები. თბილისი.
- ჯაფარიძე, 1976** – ჯაფარიძე ო. (1976). *ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის*. თბილისი.
- ჯღარკავა, 113, 1965** – ჯღარკავა შ. (1965). *სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება)*. თსუ შრომები, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, ტ. 113 (V). თბილისი.

- ჯღარკავა**, „მაცნე“, №6, 1970 – ჯღარკავა შ. (1970). *სალიპარტიანოს ისტორიიდან*. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. თბილისი.
- ჯღარკავა, 1970** – ჯღარკავა შ. (1970). *სალიპარტიანო*. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ხელნაბეჭდი. თბილისი.
- Абаев, 1949** – Абаев Б. (1949). *Осетинский язык и фольклор*. т. Москва-Ленинград.
- Адзинба, 1958** – Адзинба И. (1958). *Архитектурные памятники Афхазии*. Абизг.
- Акаба, 1984** – Акаба Л. (1984). *Исторические корни архаических ритуалов абхазов*. Сухум.
- Алексеева, 1971** – Алексеева Е. (1971). *Древняя и средновековая история Карачаево-Черкесии*. Москва.
- Анчабадзе, 1959** – Анчабадзе З. (1959). *Из истории средневековой Абхазии*. Сухум.
- Анчабадзе, 1964** – Анчабадзе З. (1964). *История и культура древней Абхазии*. Москва.
- Бакрадзе, 1878** – Бакрадзе Д. *Краткий очерк Гурии, Чурук-су и Аджары*, Перепез. из т. II.
- Бакрадзе** – Бакрадзе Дм., *Кавказ в древних памятниках христианства*, Зариски общества любителей кавказкой археологии, кн. I, под. ред. Ад. Берже и Дм. Бакрадзе. Тифлис.
- Бгажба, 1974** – Бгажба Х. (1974). *Этюды и исследования*. Сухум.
- Белокуров, 1888** – Белокуров С. (1888). *Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарева в Дадыанскую землю (1639-1640 гг.)*. Сергей Ал. Белокуров, Материалы для русской истории. Москва.
- Берадзе, 1999** – Берадзе Т. (1999). *Этнополитические процессы на территории современной Абхазии в XV-XVIII вв.*, – Разыскания по истории Абхазии/Грузия. Под редакцией Г. Жоржوليани и Э.Хоштария-Броссе. Тбилиси.
- Бжания, 1973** – Бжания Ц. Н. (1973). *Из истории хозяйства и культуры абхазов (исследования и материалы)*. Сухум.
- Брокгауз, Ефрон, 1892** – Брокгауз В., Ефрон И. (1892). *Энциклопедический словарь. статья `Влахерны~*. Т. 6 а. СПб.
- Брун 1880** – Ф. Брун (1880). *Черноморье*, ч. II. Одесса.

- Бгажба, Лакоба, 2006** – Бгажба О., Лакоба С. (2006). *История Абхазии. С древнейших времен до наших дней. 10-11 классы.* Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухум.
- Бгажба, Лакоба, 2007** – Бгажба О., Лакоба С. (2007). *История Абхазии. С древнейших времен до наших дней.* Сухум.
- Гамахариа, Гогиа, 1997** – Гамахариа Дж., Гогиа Б. (1997). *Абхазия – историческая область Грузии (историография документы и материалы, комментарий) с древнейших времен до 30-х годов XX века.* Тбилиси.
- Ган, 1907** – Ган К. (1907). *Экспедиция в Нокалакеви летом 1903, Известия Кавказского отделения императорского Московского археологического общества.* вып. II, Москва.
- Географический Словарь..., 1788** – *Новый и Полный Географический Словарь Российского Государства, или Лексикон.* Ч. I (А-Ж). Москва.
- Гулия, 1925** – Гулия Д. (1925). *История Абхазии.* Т. I, Тифлис.
- Джапаридзе, 1989** – Джапаридзе О. (1989). *На заре этнокультурной истории Кавказа.* Тбилиси.
- Дюбуа, 1937** – Дюбуа де Монпере (1937). *Путешествие вокруг Кавказа.* Т. I. Сухуми.
- Ермолова, 1912** – Ермолова О. (1912). *О Бедийском храме.* Сухуми.
- Вахушти, 1976** – Вахушти Багратиони (1976). *История Царства Грузинского.* Тбилиси.
- Воронов, 1926** – Воронов И. (1926). *Келасурская стена.* Известия научного общества. вып. 4.
- Воронов, Бгажба..., 1983** – Воронов Ю. Бгажба О. Логинов В. (1983). *Исследования в селе Цебельда.* ПАИ. Тбилиси.
- Известия..., 1878** – *Известия Кавк. отд. И.Р. Геогр. общ, стр. 16.* Археологическое путешествие по гурии и Адчаре. Санкт-Петербург.
- Известия..., 1823** – *Новейшие географическая и историческая известия о Кавказе.* Собранные и пополненные С. Броневским. Ч. I. Москва.
- Ивашенко, 1926** – Ивашенко М. (1926). *Великая Абхазская стена.* Изв. Абно.
- Инал-ина, 1926** – Инал-ина Ш. (1976.). *Вопросы этно-культурной истории Абхазов.*
- Кацья, 1963** – Кацья А. (1963). *Илори.* Сухуми.
- Кипшидзе, 1914** – Кипшидзе И. (1914). *Грамматика мингрельского(иверского) языка.* Санкт-Петербург.
- Климов, 1962** – Климов Г. А. (1962). *Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте.* Москва.
- Кузнецов, №106** – Кузнецов В.А. *Аланские племена Северного Кавказа.* МИА.

- Марр, V, 1935** – Марр Н. Я. (1935). *Термин `скиф~*. Избранные работы. Т. V. **Мачавариани 1913** – Мачавариани К. (1913). *Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии*. Сухум.
- Меписашвили, 1983** – Меписашвили Р. (1983). *Дранда. Памятник орхитектуры VIII века*. Тбилиси.
- Мусхелишвили, 1999** – Мусхелишвили Д. (1999). *Исторический статус Абхазии в Грузинской Государственности*, Разыскания по истории Абхазии Грузия. Тбилиси.
- Очерки..., 1978** – *Историко-этнографические очерки Кавказа*. 1978.
- Патканов, 1877** – *Армянская География VII века по р.Х.* Издал К. Л. Патканов. Санкт-Петербург.
- Сборник ..., 1879** – *Сборник сведения о Кавказе*, т. V, Тифлис. 1879, Санау. 898.
- Сводъ..., 1893** – *Сводъ статистическихъ данныхъ о населении закавказского края, извлеченныхъ изъ посемейныхъ списковъ 1886 г.* Тифлисъ.
- Сборник ..., 1915** – *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*. вып. 44. Тифлисъ.
- Жузе, 1905** – Жузе П. (1905). *Грузия в 17 столетий по изображению патриарха Макария*. Казань.
- Шамба, 2005** – Шамба Г. (2005). *Древний Сухум (Поиски, находки, размышления)*. Сухум.
- Шарден, 1902** – Шарден (1902). *Путешествие Шардена по Закавказью в 1672-1673*. Тифлисъ.
- Чубинашвили, 1948** – Чубинашвили Г. (1948). *Памятники типа Джвари*. Тбилиси.
- Чубинашвили, 1959** – Чубинашвили Г. (1959). *Грузинское чеконное искусство. Исследование по истории грузинского средневекового искусства*. Текст. `Сабчота Сакартвело~. Тбилиси.
- Джгаркава, 1971** – Джгаркава Ш. (1971). *Салипартиано*. Автореферат Диссертации. Тбилиси.
- Brosset, I, 1849** – Brosset M. (1849). *Rapports sur un Voyage archeologique dans la ceorgie*.
- Darrouzes, 1981** – *Notitiae Episcopatum Ecclesiae Constantinopolitanae*. Teqste critique, introduction et notes par Jean Darrouzes, A. A. Institut Francais d Etudes Byzantiones. Paris.
- Dubois, 1839** – Dubois de Montrezeut (1839). *Voyager autour du Caucase*, t. I. Paris.
- Kekelidze, 1918** – Kekelidze K. (1918). *Кейнета*. Тбилиси.

HISTORICAL GEOGRAPHY OF MEGRALIA AND ABKHAZIA ACCORDING TO VAKHUSHTI BAGRATIONI AND MODERN HISTORIOGRAPHY

IGOR KEKELIA

Abstract

This monograph is a revised version of Igor Kekelia's doctoral thesis. It presents a number of noteworthy opinions and observations of the researcher regarding the problems of the historical geography of Odishi-Abkhazia (the reviewers' evaluations and the author's response to the questions are attached to the monograph). The interest in reviewing historical and geographical issues of the above-mentioned regions is also provoked by the fact that unlike the settlements of Kvemo and Shida Kartli, Kakheti, Imereti and, partially, Samtskhe-Javakheti which are almost fully depicted in the works and maps by Vakhushti Batonishvili, the same is not true concerning Abkhazia, Odishi, Svaneti, Lechkhumi and Guria.

Based on the comparison of Vakhushti's data on Odishi-Abkhazia with historical realia and certain information from other sources, following the critical analysis of the scientific literature on the research issue, we are able to understand many issues from a new perspective. In addition, certain inaccuracies found in Vakhushti's work regarding the localization of certain geographical objects should be corrected and clarified. The historical geography of Odishi-Abkhazia, analysed according to the river gorges, is also discussed in a new and broader way; additional archival and museum material, as well as toponymic data for determining the boundaries of individual feudal units, are also included in this work.

The monograph is intended for researchers interested in the issues of the history of Western Georgia and students, in general, for Georgian readers.

დაწვრილი

ოდიშ-აფხაზეთის სამხედრო-პოლიტიკური გეოგრაფიიდან¹

ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებსა და სამცხე-საათაბაგოში ცალკე, თუმცა ქვეყნის ერთიანობის სამხედრო გამოცდილებაზე დაფუძნებული სამხედრო ორგანიზაციების ჩამოყალიბება ფეოდალური მონარქიის ძლიერების შერყევისა და ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შედეგს წარმოადგენდა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სადროშოები, ანუ სამხედრო ოლქების სისტემა, როგორც განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის ქართული სამხედრო ორგანიზაციის ერთ-ერთი ნიშან-თვისება, ჯერ კიდევ XI ს-ში უნდა წარმოქმნილიყო, ხოლო საბოლოო სახით ჩამოყალიბების პროცესი XII-XIII სს-ის დასაწყისში, სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ოთხ მსხვილ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფის პროცესით უნდა დასრულებულიყო (Анчабадзе 1990: 34).

თითოეულ სამხედრო ოლქს სათავეში ედგა სპასპეტი, ანუ ჯარის უფროსი, მხედართმთავარი (შდრ. სულხან-საბა: **სპასპეტი** მწედართ-მთავარი... [ნ. ამირბარი, სპასალარი, სპეტი...]); „**ამირბარი** თუ **ამილბარი** სპასპეტი, სპასალარი, ტრიბონი, სტრატელატი, მწედართ მყვანებელი, მწედართ-მოდღვარი... ესე ყოველი... ლაშქართ თავნი არიან, რომელიმე უმაღლესი და რომელიმე შემდგომი“ (ორბელიანი 1928: 11, 322).

ქვეყნის გეოგრაფიულ ვითარებასთან ერთად, ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებით, გარკვეული წარმოდგენა გვექმნება საქარ-

¹ სტატია დაიბეჭდა როინ მეტრეველის დაბადებიდან 80 წლისადმი მიძღვნილ კრებულში – „ისტორიანი“, თბ., 2019: 217-228.

თველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის არსებობისა და „ოქროს ხანად“ წოდებულ პერიოდში არსებულ ადმინისტრაციულ-სამხედრო ერთეულებზე (სადროშოები, სასპასპეტოები). ზოგჯერ მოცემულია ამ ერთეულთა საზღვრები, მათში შემავალი ქვეყნის ცალკეული თემები და ტერიტორიული სივრცე. „ხოლო წესთა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია ოთხ სადროშოდ განყოფილი, რამეთუ ნინამბრძოლნი იყვნენ თორელნი, ციხისჯუარელნი და ახალციხელნი, და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხითისა, რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯუნე მიმსულელ-მცემელნი სრულიად ლიხთ-იქითი აფხაზ-ჯიქითურთ; მემარცხენეთ მიმსულელ-მცემელნი სრულიად ჰერ-კახნი; ხოლო მეფისა აღმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა“, – აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი (ვახუშტი 1973: 30).

მამასადაამე, ბრძოლის ველზე, დასავლეთ საქართველოდან („სრულიად ლიხთ-იქითი აფხაზ-ჯიქითურთ“) გამოყვანილი შეიარაღებული ძალები მარჯვენა ფრთას შეადგენდნენ. ლიხთიქითურნი, ანუ იმერელნი, ვახუშტის თქმით, იყვნენ „მიმსულელ-მცემელნი“, ანუ შემტევნი და მბრძოლნი. როგორც ზემოთ ითქვა, XV ს. ბოლოდან სახელმწიფოს პოლიტიკური დაშლის მიუხედავად, ცალკეული სამეფოები კვლავ ოთხ-ოთხ სადროშოდ (სასპასპეტოდ) იყო დაყოფილი.

ამჯერად ჩვენ იმერეთის სამეფოს სადროშოები გვანტერესებს იმდენად, რამდენადაც სამხედრო ოლქების ჩამოყალიბების მომენტისათვის მას ძირითადი საფრთხე სწორედ დასავლეთიდან, ოდიშის (სამეგრელოს) მხრიდან ემუქრებოდა.

სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებზე არსებული წერილობითი წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ მთავარი საოპერაციო მიმართულებით, ანუ ქვეყნისათვის ძირითადი საფრთხის შემქმნელ ხაზზე, მენინავე სადროშოების განლაგება გარკვეული კანონზომიერებით იყო ნაკარნახევი. მაგალითად, ქართლის სამეფოს მენინავე სადროშოს გვიან შუა საუკუნეებში სომხით-საბარათიანო წარმოადგენდა, ვინაიდან ეს ტერიტორიული ერთეული პირველი ხვდებოდა ქართლის მთავარ მტერს – ირანს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. იგივე ითქმის იმერეთის სამეფოზეც, რაც ვაკის, არგვეთის, რაჭისა და ოკრიბა-ლექსუმის სადროშოებს აერთიანებდა. ვახუშტის თქმით, ვაკე „პირველად იყო საერისთო ციხე-გოჯისა და შემდგომად

იქმნა ქუთათისისა, ოკრიბისა თანა. ან ესეცა პირველი სადროშო“ (ვახუშტი 1973: 774). ვაკის მენინავეობას, ანუ იმას, რომ ის იმერეთის სამეფოს პირველი სადროშო იყო, სწორედ გურია-სამეგრელოს მოსაზღვრედ მდებარეობა განაპირობებდა. XVI-XVII სს-ში იმერეთის სამეფოს გამუდმებული ბრძოლები უხდებოდა სწორედ გურიისა და ოდიშ-სამეგრელოს სამთავროებთან. ამიტომ, ბუნებრივია, სამეფოს დედაქალაქს უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმ მხრიდან ესაჭიროებოდა, საიდანაც მთავარი მოწინააღმდეგის სამხედრო აგრესია იყო მოსალოდნელი (ანჩაბაძე 1977: 97).

სამხედრო თვალსაზრისით ოდიშის სამთავროს გამორჩეული როლი ენიჭებოდა, რასაც, უპირველესად, გეოგრაფიული მდებარეობა და ეკონომიკური მნიშვნელობა განსაზღვრავდა. ზოგადად, ოდიშის სამხედრო გეოგრაფიისა და, კერძოდ, სამხედრო ორგანიზაციის შესახებ, სამწუხაროდ, წერილობით წყაროებში საკმაოდ მწირი ცნობები მოგვეპოვება. მასზე პირდაპირ და გამოკვეთილად არც ვახუშტი ბატონიშვილი საუბრობს, მაგრამ ის, რაც ჩვენთვის წერილობითი წყაროებითაა ცნობილი, ძირითადად საომარი მოქმედებებისათვის მზადების აღწერასა და ყმა-მოლაშქრეთა რაოდენობას ეხება. ამიტომ ოდიშართა სამხედრო ორგანიზაციის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად ამ მონაცემთა ერთობლიობაში გაანალიზებით გვეძლევა საშუალება, რომ გარკვეული სქემატური წარმოდგენა ვიქონიოთ ამ პოლიტიკური ერთეულის სამხედრო სისტემაზე.

1462 წელს საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის (1446-1466 წწ.) წინააღმდეგ ჩიხორის ბრძოლაში გამარჯვებული იმერეთის ერისთავი, რომელიც ლიხთ-იმერეთის მეფის ტიტულის მითვისებას ცდილობდა, დადიან-გურიელისა და სხვა ფეოდალთა მხარდაჭერით, „მოვიდა ქუთათისს, აქა მოერთნენ დადიან-გურიელი-აფხაზნი და სუანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა სათნო-ჩინებითა, მეფედ“. ვახუშტი აღნიშნავს, რომ „ამისათვის აღუსრულა მთავართა მათ აღთქმული თვისი და განთავისუფლდნენ, თვინიერ ლაშქრობისა და ქუეგანწესებისა მეფისა, და იქმნა იმერეთი მიერთ ერთ მეფედ და ოთხ სამთავროდ“ (იქვე: 806).

მოტანილი ციტატებიდან ირკვევა, რომ დადიან-გურიელსა და სხვა ფეოდალებს მხოლოდ ერთადერთი ვალდებულება – ლაშქრობაში მონაწილეობა და მეფის განკარგულებით „ქუეგანწესებით“

მოქმედება – ემართათ და სხვა სახის გადასახადებისაგან თავისუფლდებოდნენ. დასავლეთ საქართველოს დიდგვაროვან ფეოდალთა (ერისთავთა) საგადასახადო ვალდებულებისაგან განთავისუფლებას ვახუშტი მეფისადმი მათი ერთგულებითა და მეფობის მოპოვებისას განეული სამსახურით ხსნის, ვინაიდან, ვახუშტის თქმით, „...მოსცეს დადიან-გურიელმან აფხაზთა და სუანთა პირი მტკიცე მეფედ ყოფისა იმერეთს“ (იქვე: 805; სოსელია 1990: 11).

საქართველოს პოლიტიკური დაშლის პროცესი სამეფო-სამთავროების წარმოქმნით არ დასრულებულა. XV ს-ის მიწურულიდან ცალკეულ სამეფო-სამთავროებში აღმოცენება იწყო სათავადოებმა და ეს პროცესი, სამეფო-სამთავროთა საბოლოო ჩამოყალიბების პარალელურად, XVII საუკუნეშიც გრძელდებოდა (სოსელია 1973: 5).

საგვარეულო მამულის სათავეში მდგარი თავადი მეფის, მთავრის ან უფლისწულ-ბატონიშვილის ყმად ითვლებოდა. პატრონი უბოძებდა და, ურჩობის შემთხვევაში, პატრონივე ჩამოართმევდა მას ყმა-მამულს. თავადის ყმური სამსახური სიუზერენისადმი ვასალური დამოკიდებულებითა და სხვადასხვა სახის საგადასახადო ვალდებულების გადახდით, უმთავრესად კი, სამხედრო სამსახურით გამოიხატებოდა. „სათავადოს უფროსის აუცილებელ მოვალეობას შეადგენდა, მეფის ამ მთავრის მოთხოვნის მიხედვით, საჭიროების დროს სათავადოდან ლაშქრის გამოყვანა“ (სოსელია 1973: 7). ამასთანავე, ყმა-გლეხისა და აზნაურის სახით თავადი გარკვეული რაოდენობის ყმა-მამულს, აგრეთვე ციხესიმაგრესა და საგვარეულო ეკლესია-მონასტერს საკუთრებაში ფლობდა, რაც, ქონებრივი თვალსაზრისით, ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა (იქვე: 5-6).

სათავადოების ზოგადი არსის შესახებ მსჯელობისას ო. სოსელია აღნიშნავს, რომ „თავადს თავისი აზნაურები ჰყავდა, რომელნიც მასთან ყმურ (ვასალურ) დამოკიდებულებაში იყვნენ. აზნაურს თავადის წინაშე გარკვეული ვალდებულება ჰქონდა. აზნაურები შეადგენდნენ თავადის ამაღლას მშვიდობიან პირობებში, გვერდში ედგნენ თავიანთ ბატონს სხვა თავადების წინააღმდეგ გამოსვლებში, ომის დროს შეადგენდნენ თავადის რაზმს, სხვადასხვა საპატიო სამსახურს ეწეოდნენ ბატონის სასახლეში, სახელო ჰქონდათ სათავადოში“ (იქვე: 6).

ჯერ კიდევ გაერთიანებული საქართველოს პერიოდში ჯარის ძირითად კონტინგენტს დაბალი სოციალური წრიდან აღზევებული

„მსახურეულთა“ ფენა წარმოადგენდა. ლაშქრობაში ან ნადირობაში მათი მონაწილეობა სიუზერენისადმი ყმური სამსახურის ერთ-ერთი ფორმა და ერთგვარი ვალდებულება იყო.

გვიანი შუა საუკუნეების წერილობითი დოკუმენტებიდან (სალაშქრო დავთრები) ირკვევა, რომ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, სამხედრო ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელებულა. კერძოდ, თუკი XI-XIII საუკუნეებში ჯარის ძირითად ბირთვს აზნაურები და „მსახურეულნი“ წარმოადგენდნენ, უკვე XVII საუკუნიდან, „ქუდზე კაცის“ პრინციპით, ლაშქარში მებეგრე გლეხებიც ირიცხებოდნენ. თვით ტერმინი „ქუდზე კაცი“ გვიანი შუა საუკუნეების სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის ერთგვარ გამოძახილადაა მიჩნეული.

ასეთივე გააზრებას საჭიროებს ვახუშტის მსჯელობა ნაღვანის იმ თავში, რაც დასათაურებულია შემდეგნაირად: „შემდგომად განყოფილებისა სამეფოსათჳს“: „ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა აქუნდათ თჳს-თჳსად წესნი ესენივე, გარნა ერისთავთა ცვალებანი არლარა. გარნა მთავარნიცა არლარა ინოდებოდნენ მთავრად, არამედ თავადად, და არლაცა იყვნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ჴეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი.... ხოლო იმერთა – რაჭა და სრულიად ლეჩხუმი, ხოლო კახთა – ქისიყი. ხოლო ლაშქრობისა ჟამსა ერისთავთა და მთავართა მინანერნი იყვნენ მოყვანებად, გარნა იყვნენ ოთხ სადროშოდვე კუალადცა, ვითარცა აღვსნერეთ ქართლი, იმერეთი და კახეთი. არამედ ესე ყვეს მეფეთა, ვინაჲთგან არლარა იყვნენ ეგოდენნი შემოსავალნი, რაჲთამცა დაეპყრათ სპანი ეგდენნი, რათა ეპირისპირათ, ანუ გამაგრებოდენ მტერთა თჳსთა. ამისთჳს შეჰკუეთეს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა – სრულად რაოდენნი სახლსა შინა არიან – წარსვლად ლაშქარსა შინა, ხოლო გლეხთა მგზავსად შეწერილებისად“ (ვახუშტი 1973: 31).

მაშასადამე, ვახუშტის ამ ცნობიდან ირკვევა, რომ მეფის პირად გვარდიას ქმნიდნენ „სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ჴეობათაგან“. თუკი ერთიანი სახელმწიფოს პირობებში მეფის პირადი ლაშქარი „როქით“, ანუ გასამრჯელოთი დაქირავებულ მეომრებს აერთიანებდა, „შემდგომად განყოფისა სამეფოთა“, ანუ ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, მეფის თანმხლები და ერთგული

მეომრები სახასო მამულებიდან გამოდიოდნენ. ამასთანავე, დიდგვაროვანი ფეოდალები ოჯახის ზრდასრულ წევრთა სრული შემადგენლობით მეფეს გარკვეულ სამსახურს უწევდნენ სამხედრო ოპერაციების დროს. ზოგჯერ მებეგრე გლეხებსაც ევალებოდათ „შენერა“, ანუ ჯარში განწევვა. მებეგრე გლეხებით ჯარის დაკომპლექტებას, მოლაშქრეობას, როგორც ზემოთ ითქვა, გვიან შუა საუკუნეებში საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება განაპირობებდა.

სათავადოების ისტორიის ამსახველ დოკუმენტებში დაცული ცნობები სამეფო „სამსახურზე“, ძირითადად, ლაშქრობა-ნადირობაში მონაწილეობას გულისხმობდა. „პატრონის მიმართ თავადის ყმობა, უმთავრესად, სამხედრო სამსახურში გამოიხატებოდა. სათავადოს უფროსის აუცილებელ მოვალეობას შეადგენდა, მეფის ან მთავრის მოთხოვნის მიხედვით, საჭიროების დროს სათავადოდან ლაშქრის გამოყვანა,“ – წერს ო. სოსელია (სოსელია 1973: 7).

სათავადო, როგორც პოლიტიკური ერთეული, ერთ ფეოდალურ ერთეულად ორგანიზებულ სამფლობელოს წარმოადგენდა და მასში გაერთიანებული საგვარეულოს სახელს ატარებდა (იქვე: 7, 9).

ოდისის სამთავროში რამდენიმე ასეთი ფეოდალური სენიორია არსებობდა: ჭილაძეებისა („საჭილაძო“), გომაძეებისა, გუგუნავებისა, ჯაიანებისა („საჯაიანო“), ჩიჩუებისა („საჩიუო“//საჩიუო“), ჩიქვანებისა („საჩიქვანო“), ფალავებისა („საფალავო“), აფაქიძეებისა („სააფაქიო“), ქოჩაქიძეებისა („საქოჩაქიძო“), დგებუაძეებისა („სადგებო“)...

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ოდისის სამხედრო-პოლიტიკური გეოგრაფიის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილთან პირდაპირი ცნობები არაა დაცული. მემატიანე მხოლოდ ერთგან, და ისიც ზოგადად, აღნიშნავს, რომ „სრულიად ლიხთ-იქითი აფხაზ-ჯიქითურთ“ იყვნენ „მემარჯვენე მიმსულელ-მცემელნი“. ამ ტერიტორიულ სივრცეში, ბუნებრივია, იგი გულისხმობდა ოდიშართ, იმერეთისა და აფხაზ-ჯიქთა ლაშქართან ერთად.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის და ხარვეზს მნიშვნელოვნად ავსებს სხვა უცხოური და ქართული წერილობითი წყაროები, რასაც ქვემოთ შევხებით.

ოდიშის სამხედრო ისტორიის შესახებ მეტად საყურადღებო და მრავალმხრივი ცნობებია დაცული ა. ლამბერტის თხზულებაში. ლამბერტი შენიშნავს, რომ ოდიშის თავადებს მთავრის სასახლეში მოსვლისას, მგზავრობისას თუ საომრად წასვლისას, მუდამ ახლავთ მათი აზნაურები. მსახური, ანუ გლეხი ბატონს უხდის „ძველიდან“ დაწესებულ ბეგარას. ლაშქარსა და მგზავრობაში ბატონს ცხენით ან ქვეითად თან უნდა ეახლოს მსახური (ლამბერტი 2011: 51-52). იტალიელ მისიონერს თავის თხზულებაში სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი სამხედრო ორგანიზაციისადმი. „ომს შეჩვეული მეგრელები, – წერს იგი, – ბავშვობიდან ატარებენ იარაღს და სულ პატარები მიდიან ლაშქარში. მთავრის პირველივე ბრძანებისთანავე მზად არიან ლაშქრობისათვის, სადაც საკუთარი სურსათითა და ცხენ-იარაღით მიდიან“ (იქვე: 109). ლაშქრობაში წასვლა, ლამბერტის თქმით, ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლისათვის სავალდებულო იყო: „ოდიშში ვერავინ გაინთავისუფლებს თავს ლაშქრობისაგან, რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, ან რაც უნდა ავადმყოფი იყოს. როგორც კი მთავარი უბრძანებს, ყოველი მეგრელი, სიტყვის შეუბრუნებლად, მზად არის გაჰყვეს“ (იქვე: 109).

ლამბერტის თქმით, საომრად მზადებას მთავარი დიდებულების, აზნაურებისა და თანამდებობის პირთა დახმარებით იწყებს, რომლებთანაც რამდენიმე შიკრიკს აგზავნის ბარათებით და აცნობს სალაშქროდ გამოსაყვან კაცთა რაოდენობას და ლაშქრის თავშეყრის ადგილს (იქვე: 110).

საინტერესოა მისიონერის მსჯელობა მოლაშქრეთა რაოდენობასა და ჯარის სამხედრო წყობაზე. მთავრის თხოვნით სალაშქროდ გამოსვლა კომლზე ერთ კაცს ევალებოდა, მაგრამ თუკი აზნაურს ხუთი ან ექვსი ვაჟი ჰყავდა, ყველა საომრად გამოჰყავდა. მეტი ჯარის საჭიროების შემთხვევაში თითო კომლიდან ორ ან სამ კაცს ევალებოდა გამოსვლა; ზოგჯერ კი სახლში მხოლოდ ერთი რჩებოდა და დანარჩენი, ვისაც იარაღის ხელში დაჭერა შეეძლო, საომრად ემზადებოდა. ლამბერტის ცნობით, მთავარს სულ მცირე ხანში შეეძლო ოცდაათი ათასი ცხენოსანი მეომრის გამოყვანა (იქვე: 110) „არ ვფიქრობ, – დასძენს იგი, – რომ რომელიმე ჯარი ისე სამაგალითოდ მონყობილი გამოდიოდეს ლაშქრად, როგორც მეგრელების ჯარი“ (იქვე: 111).

XVII ს-ის განმავლობაში ოდიში განუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებდა მეზობელ სამეფო-სამთავროებთან. ჩრდილო-დასავლეთიდან არ ასვენებდნენ „ბუნებით მოუსვენარი აფხაზები“, რომლებიც „სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს“ და ტყვედ მიჰყავდათ ადგილობრივი მაცხოვრებლები (ლამბერტი 2011: 43). ამასთანავე, „დადიანს განუწყვეტელი ომი ჰქონდა იმერეთთან“ (იქვე: 43), რითაც ცდილობდა მის დამორჩილებას, აფხაზეთისა და გურიის მსგავსად.

შესაბამისად, ოდიშის მონინავე ლაშქრის განლაგება ბრძოლის დროს მთავარი საოპერაციო მიმართულებით ხდებოდა. სამხედრო ორგანიზაციაში დაკანონებულ ამ წესზე საგულისხმო ცნობებს გვანვდის არქანჯელო ლამბერტი: „ჯარი რომ შეიკრიბება, მტერთა ქვეყნისკენ გაუდგება და მიდის იმ წესით დანყობილი, როგორც მოსახლეობა არის დალაგებული, მაგალითად, თუ იმერეთის საზღვარს უნდა დაეცნენ თავს, ისინი, ვინც იმერეთის საზღვრად ცხოვრობენ, შეადგენენ მონინავე ჯარს; ვინც შუა ოდიშში ცხოვრობენ – შუა ჯარს, და ვინც აფხაზეთისაკენ – ზურგის ჯარს. სულ წინააღმდეგ არიან დანყობილნი, როცა ჯარი ან უკან ბრუნდება, ანდა საომრად აფხაზეთზე მიდის, ამ შემთხვევაში მონინავე ჯარი გადაიქცევა ზურგის ჯარად და ზურგისა – მონინავედ. ბანაკად თითოეული ნაწილი ჯარისა დგება მისთვის მიჩნეულ ადგილზე. ამ ადგილის საზღვრებში თითოეულ მეომარს შეუძლია ის ადგილი ამოირჩიოს, რომელიც მას მოსწონს...“ (ლამბერტი 2011: 110-111).

როგორც ამ ციტატიდან ირკვევა, ოდიშის ლაშქარი სამ ნაწილად (მონინავე, შუა და ზურგის ლაშქარი) იყოფოდა. იმერეთზე ლაშქრობისას მონინავეობის ფუნქცია უსათუოდ სალიპარტიანოდან გამოყვანილ ყმა-მოლაშქრეებს ეკისრებოდათ, ხოლო აფხაზეთზე საომარი ოპერაციების განხორციელების დროს ისინი ზურგის ჯარის ფუნქციას ასრულებდნენ.

საინტერესოა აგრეთვე ლამბერტის ცნობა ლაშქრობისას საყვირის დაკვრის წესთან დაკავშირებით. პირველად დადიანის საყვირი უნდა დაეკრათ, მეორედ – გურიელისა; მესამედ ოდიშის უდიდებულესი თავადი ლიპარტიანი უკრავდა; ამის შემდეგ საყვირი ხელიდან ხელში გადადიოდა და უფროს-უმცროსობის კვალობაზე დაიკვრებოდა (ლამბერტი, 2011: 112). ლამბერტის ცნობით, გიორგი ლიპარტიანი, „კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეებში კარგად გა-

მოცდილი“, იყო ძმისწულის, ოდიშის მომავალი მთავრის, ლევან მანუჩარის ძე დადიანის მწვრთნელი „ყველა იმ ვარჯიშობაში, რომელიც შეეფერებოდა მთავარს“ (იქვე). ამდენად, გამორიცხული არაა, რომ სახელმწიფო საქმეებში დიდი გამოცდილების მქონე გიორგი ლიპარტიანი ოდიშის მოწინავე ჯარის სარდალიც ყოფილიყო.

სამეგრელოს სამხედრო ისტორიაზე მსჯელობისას საგულისხმოა XVII ს. იტალიელი მისიონერი პატრის – დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის ცნობები. მისი თქმით, სამეგრელოს მთავარი დადიანი, რომელიც მემკვიდრეობით ინიშნება, „მეზობელ მთავრებთან შედარებით ყველაზე უფრო ძლიერია. მის გამგებლობაშია 150 თავადი (baroni), რომლებიც მთავარს დესპოტური ბატონობის ქვეშ ჰყავს, 8000 კომლი ყმადნაფიცი, რომელთაც ისე ეპყრობა, როგორც მონებს. საომრად გამოჰყავს 35 ათასი ქვეითი და 15 ათასი ცხენოსანი. ზემოხსენებული სამი მთავარი, რომელთა შორის ერთი იმერელია, მეორე გურული, ხოლო მესამე აფხაზი, მოვალენი არიან ომის დროს დაეხმარონ. ჯარს ხანგრძლივად უმოქმედობა – დაახლოებით ერთ თვეზე მეტხანს – არ შეუძლია, რადგან საზრდო არ ეყოფა. ამიტომ ყოველი მათგანი მოვალეა საჭირო საკვები თან წამოიღოს“ (მილანელი 1964: 85-86). იტალიელი მოგზაური თავის წერილებში დასძენს, რომ სამხედრო-სავალდებულო სამსახური ყველა ბრძოლისუნარიან მამაკაცზე ვრცელდებოდა: „ომიდან არავინ თავისუფლდება, არც ეპისკოპოსი, არც ბერი, არც მღვდელი და არც ბრძენი. თუ ვინიცობა ვინმე ომს თავს აარიდებს, მას სასტიკად სჯიან და ხელჰყოფენ მის ქონებას, ართმევენ საქონელსა და ყმებს“ (იხ. მილანელი, 1964: 92).

სამხედრო სამსახური, განურჩევლად წოდება-მდგომარეობისა, ყველასთვის სავალდებულო რომ იყო, მონმობს საეკლესიო ყმამოლაშქრეების შესახებ ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები. ეკლესიას, როგორც თავისებურ ფეოდალურ ორგანიზაციას, დაწესებული ჰქონდა ერთდროული და წლიური ბეგარა-გადასახადები. ამასთანავე, თითოეულ ეპარქიას საკუთარი შეიარაღებული მსახური ჰყავდა.

XVII ს-ის მოღვაწე პავლე ალექსოელი აღნიშნავს, რომ ეპისკოპოსები „მთავრის მოთხოვნისთანავე... კარგ საომარ ცხენებზე ამხედრებულნი მიდიან ომში, რადგან ითვლებიან წინამძღოლებად და სარდლებად თავიანთი ქვეშევრდომებისა, რომლებიც ვალდებულ-

ნი არიან იარაღასხმულნი იყვნენ. ისინი თავს ესხმიან და ებრძვიან მტერს..." (ასათიანი 1973: 140).

ყმა-მოლაშქრეთა მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა ცაიშის ეპარქია, რის შესახებაც საინტერესო ცნობებია დაცული „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“. მისი გამომცემელი სარგის კაკაბაძე საუბრობს რა ტექსტის დიდ მნიშვნელობაზე, აღნიშნავს, რომ საკათალიკოსო დავთრის ზოგი შემადგენელი ნაწილი მიეკუთვნება XVI საუკუნეს, ხოლო დავთრის გადწერა, მასზე გაკეთებული ბოლო მინაწერის მიხედვით, 1621 წელს დასრულებულა (კაკაბაძე, 1914).

დავთრის შედგენის დროისათვის აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი იყო მალაქია II გურიელი (1612-1639 წწ.), რომელიც იმავდროულად სათავეში ედგა ცაიშის, ჯუმათისა და ხონის ეპარქიებს. დავთრის შედგენა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საქმეების მონესრიგებას ისახავდა მიზნად. დავთარში კათალიკოსის მებეგრეთა შორის დასახელებული არიან გლეხები, მსახურნი, ხუცესნი, აზნაურისშვილნი, ხოლო ერთგან გვხვდება პირდაპირი მინიშნება მალაქიას „მოლაშქრე კაცებზე“ (კაკაბაძე 1914: 45). დაწესებული გადასახადების გადახდით ეკლესიის წინაშე ანგარიშვალდებულ პირთა უმეტესობას, რომელთა ვინაობაც დავთარშია მოცემული, ლაშქრობაში მონაწილეობა ემართა. ასე, მაგალითად, ნაგუაზაუში (ახლანდ. ნაგვაზუ) მცხოვრებ პაპაკუდასათვის საეკლესიო ბეგარა განისაზღვრებოდა შემდეგი სახით: „8 კოკა ღწონო, ოთხი საკლავი მისის საპურობოიანათ... ყ-ლითა, კუერცხითა, მარილითა“ (კაკაბაძე 1914: 2); მაგრამ იმავე დავთრის მიხედვით, „პაპაკუდას მეტს ყ-ლას მრთებს ლაშქრობა“ (იქვე: 17-18).

მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანია იმ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება, რომ აფხაზეთის კათალიკოსის 24 მამულიდან 16 ოდიშის სამთავროს ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამასთანავე, „მოლაშქრე კაცნი“ კონკრეტულად ერთი სოფლიდან კი არ გამოდიოდნენ, არამედ ოდიშის სხვადასხვა სოფელში (ხიბულა, ნაგვაზუ, ნყარიგზა, საქუჩულორიო (ნაქუჩულორიო), სენაკი, ჯგალი, დარჩელი, ზუგდიდი, ნაჭანელი, ხოირი, სუბვი (სუბეი), თილითი, ხაუჭელი, ჭალა, ჩოხათი, მუხური, ხეთა, ცაიში) მოსახლეობდნენ. მოლაშქრე ყმათა მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა ხიბულა (აზნაურისშვილი და 30

მსახური), ჯგალი (აზნაურისშვილი და 38 მსახური), დარჩელი (აზნაურისშვილი და 85 მსახური) და ცაიში (აზნაურისშვილები და 63 მსახური). მარტო ცაიშის ეპარქიაში 300-მდე მოლაშქრე კაცი ცხოვრობდა, ხოლო მთელ ოდიშში მათი რაოდენობა 500-ზე მეტი იყო (კალანდია 2004: 56).

XVII საუკუნის ოდიშის სამთავროს სოციალურ-პოლიტიკური სურათის გათვალისწინებით, მხოლოდ სასულიერო იერარქიისადმი მოლაშქრე კაცთა ამ რაოდენობის დაქვემდებარება დასტურია იმისა, რომ სამხედრო ორგანიზაციის თვალსაზრისით ეს მხარე გამორჩეული და დანიანურებული იყო. საკათალიკოსოს იმდროინდელი (XVII ს.) მდგომარეობის გამომხატველ დავთარში შეჯამებულია მთელი საეკლესიო უძრავი ქონება. ამასთანავე, იგი მნიშვნელოვანი პირველწყაროა არა მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების ოდიშის სამთავროს, ისტორიულ-სოციალური, არამედ სამხედრო-გეოგრაფიული სურათის აღსადგენად.

საომარი ვითარებისათვის მუდმივი მზადყოფნა და სამხედრო ოპერაციებში ხშირი მონაწილეობა ოდიშარს მეომრისათვის აუცილებელ ისეთ თვისებებს სძენდა, რაზეც ვახუშტი ბატონიშვილი ეგრისის აღწერისას შენიშნავდა: „ხოლო კაცნი და ქალნი... გარნა უშვენიერესადცა და უუჰაეროვნესადცა, ვინადგან გლეხთაცა შვილნი მიჰგვანან წარჩინებულთა შვილთა. სუფთანი, სამოსელთ გამწყსონი, ეგრეთვე ცხენთა, და იარაღთა, და საჭურველთა; ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი, მსუბუქნი, ფიცხნი, ბრძოლასა შემმართველნი და ძლიერნი, და არა სულგრძელნი მას შინა და სხვათა შინაცა, უხუნი და მომხვეჭნი...“ (იქვე: 147). უშუალოდ ოდიშის აღწერისას კი დასძენს: „არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი... მსწრაფლნი, ბრძოლათა შინა იმერთაებრ ვერ ქებულნი, ბრძოლიდამ გაბრუნებით ქებულნი...“ (იქვე: 171).

ლიტერატურა

1. **ანჩაბაძე 1977:** ანჩაბაძე გ., საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, თბ., 1977.
2. **ასათიანი 1973:** მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა, შედგენილი პავლე ალექსოელის მიერ), ტექსტი

- გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარი დაურთო ნ. ასათიან-მა, თბ., 1973.
3. **ვახუშტი 1973:** ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხ-ჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
 4. **კაკაბაძე 1914:** კაკაბაძე ს., აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, ტფ., 1914.
 5. **კალანდია 2004:** კალანდია გ., ოდიშის საეპისკოპოსოები, თბ., 2004.
 6. **ლამბერტი 2011:** არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011.
 7. **მილანელი 1964:** დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, თბ., 1964.
 8. **ორბელიანი 1928:** სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.
 9. **სოსელია 1973:** სოსელია ო., ნარკვევები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, ნ. I, თბ., 1973.
 10. **სოსელია 1990:** სოსელია ო., ნარკვევები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, ნ. III, თბ., 1990.
 11. **ანჩაბაძე 1990:** ანჩაბაძე გ., Источниковедческие проблемы военной истории Грузии (Исследование Грузинских Исторических Сочинений), Тб., 1990.

FROM THE MILITARY-POLITICAL GEOGRAPHY OF ODISH-ABKHAZIA

IGOR KEKELIA

Abstract

The formation of separate military organizations in Kartli, Kakheti and Imereti kingdoms and Samtkhe-Saatabago was based on the military experience reflecting the unity of the country and was the result of the shaking of the strength of feudal Monarchy and the dissolution of the united Georgia as a kingdom.

It has been suggested that the sadroshoebi (garrisons) , or a system of military districts, as one of the hallmarks of the Georgian military organization in the era of advanced feudalism, must have emerged as early as the 11th century, In addition, the process of final formation at the beginning of the 12th-13th centuries would have spread throughout the state and be completed by the process of division of the whole territory of the country into four large military and administrative units

From a military point of view, on the Odishi principality was conferred a distinctive role, primarily due to its geographical location and economic importance. In general, information concerning the military geography of Odishi and, in particular its military organization, unfortunately, is scarce in the written sources. Vakhushti Batonishvili does not speak directly or explicitly about it, but what we know from other written sources mainly refers to the description of the preparations for military activities and the number of serf-warriors. Therefore, analyzing these data together to create a general idea of the military organization of the inhabitants of Odishi allows us to draw a schematic overview of the military system of this political entity. It gives us some insight into the issues of interest to us, and the gap is largely filled by other foreign and Georgian written sources, which we will discuss below.

Advanced troops of Odishi were deployed into the main operational direction during the battle. Archangelo Lambertoni gives us noteworthy references to this rule accepted in the military organization. While discussing the military history of Megrelia it is important to mention the information provided by the 17th century Italian missionary Patrice Don Giuseppe Giudice da Milano. The traveler mentions in his letters that compulsory military service was extended to all the men able to

participate in military operations. Military service, no matter what rank or position a person belonged to, was mandatory for all. This was testified to by historical records of church serf-warriors. The Church, as a peculiar feudal organization, imposed a one-off, annual taxation. In addition, each diocese had its own armed servants.

დასკვნა

იგორ კეკელიას ისტორიის დოქტორის ხარისხის მისაპოვებლად
წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე
„სამეგრელოს (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული
გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და
თანამედროვე ისტორიოგრაფია, 2014 წ.“

ბ-ნ ი. კეკელიას სადისერტაციო ნაშრომი, როგორც სათაური იუწყება და თვით გამოკვლევის შინაარსიც ემონშება, სულ ცოტა ორი პლანის მომცველია: ის თანაბრად განეკუთვნება როგორც ისტორიულ გეოგრაფიას, ისე ისტორიოგრაფიას. ნაშრომი ეძღვნება დასავლეთ საქართველოს ისტორიული მხარეების – ოდიშისა (სამეგრელოს) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ დიდი ქართველი მეცნიერის – ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757) შეხედულებების განხილვა-შეფასებას, ერთი მხრივ, და იმავე პრობლემის შესწავლის მდგომარეობას შემდგომი ხანის ისტორიოგრაფიაში, მეორე მხრივ. უნდა ითქვას, რომ ავტორმა თავისი კვლევის გეოგრაფიულ არეალში სავსებით მართებულად მოაქცია ერთად ოდიში და აფხაზეთი, ვინაიდან ეს ორი რეგიონი ისტორიის მთელ სიგრძეზე იმდენად არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ მათი ისტორიის ნებისმიერი საკითხის ცალ-ცალკე, იზოლირებულად შესწავლა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის აქტუალურ პრობლემას ეძღვნება. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია მისი ზოგადი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონი ამ დარგის ფუძემდებელია ჩვენში. მისი კონცეფციის ყოველმხრივი ანალიზი და მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა-შეფასება ისტორიული გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ერთ-ერთი

ფუნდამენტური პრობლემაა. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი თავისი მიზანდასახულობითა და შედეგებით სწორედ ამ უაღრესად აქტუალური ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება.

უნდა აღინიშნოს ნაშრომის საზოგადოებრივი დატვირთვა. ცნობილია, რომ სეპარატისტული აფხაზური „ისტორიოგრაფიის“ ერთ-ერთი მთავარი სამიზნე და ფალსიფიკაციის ობიექტი აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიაა. ი. კეკელიას გამოკვლევა აფხაზეთის ისტორიის გაყალბებისაგან დაცვის საქმესაც ემსახურება.

ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნებისაგან. ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.

საკვლევი პრობლემის განხილვისას ავტორმა წინა პლანზე წამოსწია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. ესენია ვახუშტი ბაგრატიონის შეხედულებები სამეგრელოსა და აფხაზეთის საზღვრების, მისი ცვალებადობის, აღნიშნული რეგიონების ჰიდრონიმული და ტერიტორიული დანაყოფების შესახებ.

ავტორი თანმიმდევრულად წყვეტს დასმულ ამოცანებს. პრობლემის გარშემო არსებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ვრცელი და ამომწურავი მიმოხილვის შემდეგ დისერტანტი უშუალოდ საკვლევ თემატიკაზე გადადის და მსჯელობას ოდიშის საზღვრების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობების ანალიზით იწყებს. უნდა ითქვას, რომ ვახუშტის თვალსაზრისი ოდიშის სამთავროს აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების შესახებ ერთ-ერთი საკამათო საკითხია ქართულ ისტორიოგრაფიაში. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს აღნიშნულ საკითხზე ვახუშტის ცნობის სანდოობა, მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები, წარმომავლობა და ა. შ. დისერტანტი კრიტიკულად განიხილავს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, საკონტროლო წყაროების მონაცემებს ადარებს ვახუშტისთან დაცულ საანალიზო ინფორმაციას და ამ გზით არგუმენტირებულად ადგენს ამ უკანასკნელის წყაროთმცოდნეობით ღირებულებას ანუ რეალობასთან შესაბამისობის ხარისხს. საზღვრების კონტექსტში განიხილავს დისერტანტი ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და საჭილაოს ადმინისტრაციული დაქვემდებარების საკითხს.

დისერტაციაში დიდი ადგილი ეთმობა ოდიშ-აფხაზეთის საეკლესიო გეოგრაფიის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობების განხილვას. საუბარი ეხება ჭყონდიდის, ცაიშის, წალენჯიხის, ბედიის, მო-

ქვის, დრანდისა და ბიჭვინთის საეპისკოპოსოთა საზღვრებს, აგრეთვე, აფხაზთა (დას. საქართველოს) საკათალიკოსოს ფაქტობრივ და სამისიონერო საზღვრებს. ავტორი აქვე განიხილავს აფხაზეთის ეთნიკური გეოგრაფიის საკითხებსაც. შემდგომ დისერტანტი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დამკვიდრებული მეთოდის – მდინარეთა ხეობების მიხედვით ქვეყნის აღწერის პრინციპის კვალდაკვალ მიჰყვება მეცნიერი ბატონიშვილის მიერ დასახელებული გეოგრაფიული პუნქტების – ქალაქების, სოფლების, ციხე-სიმაგრეების, მონასტრების, საეპისკოპოსო ცენტრების შესახებ მოწოდებული ცნობების ანალიზს, ამონიშნავს ამ უკანასკნელთა სიზუსტეს სხვა, ქართული და უცხოენოვანი წყაროების მონაცემების, აგრეთვე, თვით მის მიერ უშუალოდ ადგილებზე მოპოვებული მასალის ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე. ამ გზით ადასტურებს ვახუშტისთან დაცული ცნობების სისწორეს ან ავლენს მათს უზუსტობას, იქვე გვთავაზობს შეცდომების გამომწვევი მიზეზების ძიებას. სწორედ ამ მიზანდასახულობით განიხილავს დისერტანტი ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში წარმოდგენილ ოდიშ-აფხაზეთის ქორონიმებს, ჰიდრონიმებს, ტოპონიმებს, მათს ეტიმოლოგიებს. დეტალურად ადარებს ამ მონაცემებს, ერთი მხრივ პარალელურ საკონტროლო მასალას და, მეორე მხრივ, რეალურ გეოგრაფიულ სიტუაციას, ამავე დროს, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხებზე გამოთქმულ მოსაზრებებს, რაც დისერტანტს საშუალებას აძლევს ობიექტურად წარმოაჩინოს ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევის ღირსებაც და ნაკლოვანებაც. ამასთანავე, ნაჩვენებია ისიც, თუ რამდენად მართებული ან უმართებულოა ვახუშტი ბატონიშვილის აღნიშნული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ სრულიად ნათლად გამოკვეთილი გეგმით წარმოაჩენს დისერტანტი ცხენისწყლის, აბაშის, ტეხურის, ხობისწყლის, ჭანისწყლის, ენგურის, დადისწყლის, მოქვის, კოდორის, ანაკოფიის, ბზიფის ხეობების, ფოთისა და პალიასტომის, ცაიშისა და ზუგდიდის, საკუთრივ აფხაზეთის, ჯიქეთისა და აფხაზეთის „ალანეთის“ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ წარმოდგენილ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ისტორიულ-გეოგრაფიულ სურათს. ასეთია ძალზე სქემატურად სადისერტაციო ნაშრომში დასმული და განხილული ძირითადი საკითხების წრე.

დახვეწილი და გამართულია დისერტანტის კვლევის მეთოდოლოგია. ის სრულყოფილად ფლობს ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ ხერხებსა და საშუალებებს, ზუსტად და სრულად იყენებს მათ დასმული საკითხების კვლევის პროცესში.

დისერტანტს აქვს მეცნიერული იდეა, რომლის სისრულეში მოსაყვანად კეთილსინდისიერად შეასრულა ძალზე შრომატევადი სამუშაო და შედეგიც შესაბამისი მიიღო – მოგვცა დასრულებული, ორიგინალური გამოკვლევა, რომელიც მრავალ მეცნიერულ სიახლეს შეიცავს. დისერტანტის კვლევის შედეგებს აქვს პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობაც, კერძოდ, შესაძლებლობა იმისა, რომ აისახოს ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების შემდგომი გამოცემის სამეცნიერო კომენტარებში, ოდიშ-აფხაზეთის ისტორიული ატლასის მომზადებაში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის სახელმძღვანელოსა და სალექციო კურსის შედგენაში.

ერთი სიტყვით, ი. კეკელიას მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი სავსებით და ყოველმხრივ აკმაყოფილებს მისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რაც საფუძველს მაძლევს, რომ რეკომენდაცია გავეუწიო მას აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წინაშე, რათა დაშვებულ იქნეს საჯარო დაცვაზე ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

მაქვს ზოგიერთი შენიშვნა თუ სურვილი, რომელთა გათვალისწინება ავტორს, ვფიქრობ, გამოადგება ნაშრომის გამოსაქვეყნებლად მომზადების დროს. მიუხედავად იმისა, რომ დისერტანტი უაღრესად ყურადღებით ეკიდება წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებს, მას მაინც გამორჩენია რ. ხვისტიანის სტატია (იხ. ჟ. „ძეგლის მეგობარი“, №70, 1985 წ.), რომელიც საინტერესო იქნებოდა მისთვის და დისნყლის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. მეტ გარკვეულობას მოითხოვს მსჯელობა XVII ს. ბოლოს ოდიშის სამთავროს ერთი ნაწილის, კერძოდ, კოდორსა და ენგურს შორის მოქცეული ტერიტორიის მიტაცებისა და შერვაშიძეთა სამფლობელოებად განაწილების, სამურზაყანოსა და აბჟუას საზღვრების შესახებ. საჭილაო, როგორც ქორონიმი, კომპაქტურ, მჭიდროდ შემოსაზღვრულ ტერიტორიას გულისხმობს და, აქედან გამომდინარე, ჭილაძეთა საგვარეულოს ცალკეულ წარმომადგენელთა მფლობელობა ამა თუ იმ სოფელში არ იძლე-

ვა საფუძველს იმისათვის, რომ ყველა ეს სოფელი (მაგ., ეკი, შხეფი და სხვ.) ქორონიმ საჭილაოში მოვათავსოთ. ჭილაძეებს მამულები საკუთრივ საჭილას გარეთაც ჰქონდათ, რაზედაც მიუთითებს დისერტაციაში მოტანილი მიკროტოპონიმები, მაგრამ ისინი საჭილას, როგორც გეოგრაფიული ტერიტორიის, მიღმა რჩებოდნენ.

ცხადია, ეს შენიშვნები ოდნავადაც არ აყენებს ჩრდილს ნაშრომის მაღალ მეცნიერულ დონეს და ღირსებას, მით უმეტეს, ვერ შეცვლის რეკომენდაციას საჯარო დაცვაზე დაშვების მართებულობის შესახებ.

გონელი არახამია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურის უფროსი

რ ე ც ე ნ ზ ი ა

იგორ კეკელიას ისტორიის აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომზე „სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია“

დარგი – სპეციალობა – 10.04 ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი გიორგი მჭედლიძე

გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერული მემკვიდრეობა პირველმნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიისათვის, ამიტომ მის შესწავლა-გაანალიზებას ყველა დროში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. ეს ინტერესი გაზრდილია განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, როცა ქვეყნის ტერიტორიის ერთი მესამედი ოკუპირებულია და გარე საფრთხეები კიდევ უფრო მატულობს. ახლა კიდევ უფრო აქტუალური გახდა მთლიანად ქვეყნის და მისი ცალკეული ისტორიული პროვინციების საზღვრების, მნიშვნელოვანი ცენტრების, მდინარეების, ხევებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური შემადგენლობის და სოციალურ-კულტურული და ყოფითი პირობების შესწავლა, რომ უკეთ იქნას გააზრებული და დაგეგმილი ქვეყნის მომავალი განვითარებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებები.

იგორ კეკელიას მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომი „სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია“ ეძღვნება ჩვენი ქვეყნის ისტორიული მხარეების – სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ტერიტორიების, მათში შემავალი ხეობების, მნიშვნელოვანი ეკონომიკური, კულტურული და საეკლესიო ცენტრების, ჰიდრონიმური და ტოპონიმიკური მასალების აღწერა-გააზრებას ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომებსა და თანამედროვე ისტორიოგრაფიაში. ავტორი ნაშრომში დასმული საკითხების ირგვლივ უცხოელი და ქართველი მკვლევარების მიერ გამოთქმული შეხედულებების პარალელურად, საინტერესო მოსაზრებებს და დასკვნებს წარმოადგენს ცალკეული, ჯერაც დაუდგენელი თუ სადავო საკითხების შესახებ.

ნაშრომი განსაკუთრებით აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში წარმოდგენილია ოკუპირებული აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, საიდანაც ერთაზროვნად დასტურდება, რომ აფხაზეთი ისტორიული საქართველოს ნაწილია და ორი მოძმე ხალხის ქართველებისა და აფხაზების სამშობლო.

ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავის (19 პარაგრაფით), დასკვნების, წყაროებისა და ლიტერატურის ჩამონათვალისაგან. იგი კომპიუტერზე ნაბეჭდ 296 გვერდს მოიცავს.

დისერტაციის **შესავალში** დისერტანტი მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის ადგილსა და მნიშვნელობაზე ქართულ მეცნიერებაში. ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ თუ ვახუშტის ცნობები ამომწურავია და ზუსტი აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული მხარეების შესახებ, ამას ვერ ვიტყვით დასავლეთ საქართველოს მხარეებზე, რადგან იმ დროის პოლიტიკური ვითარების გამო, იგი იქ არ ყოფილა (გვ. 7). ამიტომ ავტორის სამართლიანი თქმით, აუცილებელია ბატონიშვილის შრომებში მოცემული ფაქტებისა და ცნობების დაზუსტება სხვა წყაროების მოხმობა-შედარებით და წარმოდგენა იმ შეხედულებებისა, რომლებიც გამოთქმულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მათ შესახებ.

დისერტაციის **I თავი – „საკითხის ისტორიოგრაფია“**, მოიცავს 16 გვერდს (9-25) და მასში მსჯელობა იწყება ვახუშტი ბაგრატიონის

ნის ნაშრომზე საუბრით „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომლის ერთი თავის სათაურია „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“. სადისერტაციო ნაშრომის მიზანს დისერტანტი ასე აყალიბებს: „შევეცადეთ, მონოგრაფიაში შეძლებისდაგვარად აგვესახა, თუ როგორ არის წარმოდგენილი ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფია ბატონიშვილის ნააზრევში, და ამავდროულად განხილვის საგნად გვექცია ისტორიული ლიტერატურა, თემატიკასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის თანამედროვე ვითარება“ (გვ.9). წინასწარვე მინდა ვთქვა, რომ დისერტანტმა წარმატებით შეასრულა დასახული მიზანი: საფუძვლიანად წარმოადგინა ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფია ბატონიშვილის ნააზრევში, აჩვენა თანამედროვე ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება და შეფასებები ცალკეული საკითხებისადმი და ძირითადად დამაჯერებლად ჩამოაყალიბა საკუთარი შეხედულებები და დასკვნები დისერტაციაში წამოჭრილი პრობლემებისადმი.

ნაშრომის ავტორი საინტერესოდ წარმოადგენს ბატონიშვილის წინამორბედი, მისი თანამედროვე და მომდევნო ხანის უცხოელი და ქართველი მკვლევრების ნაშრომებში გატარებულ შეხედულებებს საკვალიფიკაციო ნაშრომთან დაკავშირებულ საკითხებზე და ცდილობს, სიცხადე შეიტანოს ზოგიერთი სადავო თუ დაუზუსტებელი პრობლემების ახსნაში. ამ თვალსაზრისით მას ნაშრომში 50 წყარო და 360-მდე სამეცნიერო ლიტერატურა აქვს დამონებული.

დისერტაციის II თავი – **„ვახუშტი ბაგრატიონი სამეგრელოს (ოდიშის) ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ“** შედგება სამი პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფში **„ოდიშის (სამეგრელოს) მდებარეობა და საზღვრები“** მოცემულია სახელწოდებათა („ოდიში“, „სამეგრელო“) ახსნა და ნაჩვენებია, რომ ორივე სახელწოდება XI საუკუნიდან ჩანს, თუმცა „სამეგრელო“ ერთ შემთხვევაში მეგრელებით დასახლებულ ტერიტორიას აღნიშნავს, მეორე შემთხვევაში მთელ დასავლეთ საქართველოს (გვ. 31). საზღვრებზე მსჯელობისას გამოყენებულია როგორც ბატონიშვილის მონაცემები, ისე არქანჯელო ლამბერტის, ჟან შარდენის და სხვათა ცნობებიც, რომელთა მიხედვით ოდიშის საზღვრად იმერეთთან, მდ. რიონია მიჩნეული, მაგრამ დისერტანტი ბუნებრივ საზღვრად აღმოსავლეთით ცხენისწყალს

მიიჩნევს (გვ. 38). სამხრეთით, ვახუშტის მიხედვით, ფოთი გურიის საზღვრებში განიხილება, მაგრამ დისერტანტი სხვა ავტორთა მონაცემების დამონებით ამ ქალაქს ოდიშის ფარგლებში ათავსებს (გვ. 49). ოდიშ-აფხაზეთს შორის საზღვარი ხშირად იცვლებოდა აფხაზეთა ექსპანსიის გამო. XVII საუკუნის დასასრულს საზღვრად ლალიძგა მიიჩნევა (გვ. 47).

დისერტაციის II თავის მეორე პარაგრაფში „**ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის და საჭილოს სასაზღვრო ფეოდალური სენიორიები სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში**“ განხილულია ის წყაროები და ლიტერატურა, რომლებიც ადასტურებენ ამ სასაზღვრო ფეოდალური სენიორიების სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში ყოფნას.

მეორე თავის III პარაგრაფში „**ეპიზოდები ეთნიკური გეოგრაფიიდან**“, დისერტანტი ვახუშტის ნაშრომზე დაყრდნობით საუბრობს აფხაზეთა და მეგრელთა ეთნოგრაფიული ჯგუფების განსახლების არეალზე. ვახუშტის მიხედვით, მეგრელებსა და სვანებს საკუთარი ენები აქვთ, მაგრამ მცხოვრებნი „სარწმუნოებითა და ენით არიან ქართველთა თანა აღმსარებელნი“. მან იცის, რომ აფხაზებსაც „ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“.

მართალია, ვახუშტის ქმნილებების მიხედვით, ოდიშ-აფხაზეთში სხვათა ეთნოსების წარმომადგენლების ცხოვრება არ დასტურდება, მაგრამ დისერტაციაში მოტანილი სხვა წყაროების მიხედვით, აქ ცხოვრობდნენ ებრაელები, სომხები და თათრები (გვ. 60). ედუარდ აიხვალდის მიხედვით, სამეგრელოში ღვთისმსახურების ენა მეგრულისაგან სრულიად განსხვავებული ქართული ენაა. ვახუშტის მიხედვით, აფხაზეთი ქართული სამყაროს განუყოფელ, ორგანულ ნაწილს შეადგენს (გვ. 61).

III თავში – „**სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის საეკლესიო გეოგრაფიის საკითხები ვახუშტის „აღწერაში**“, წარმოდგენილია ამ ორი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული ეპარქიების საზღვრები და მთლიანად აფხაზეთის საკათალიკოსოს საეკლესიო გეოგრაფია. დისერტანტი ცალკე-ცალკე იხილავს ჭყონდიდის, ცაიშის, წალენჯიხის, ბედიის, მოქვის, დრანდის და ბიჭვინთის ეპარქიებს. იგი იზიარებს იმ აზრს, რომ ეპარქიათა საზღვრები

ძირითადად ემთხვეოდა ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულთა (საერისთავოთა) საზღვრებს და იშვიათად იცვლებოდა.

ჭყონდიდის საეპისკოპოსოზე თხოობისას დისერტანტი მიუთითებს, რომ ეს კათედრა ჩაენაცვლა ფაზისის ბიზანტიურ კათედრას და მისი ტერიტორიული მემკვიდრეობა და ფაზისელის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი – **პატივი**, ბუნებრივია, ჭყონდიდსა და ჭყონდიდელზე უნდა გადასულიყო (გვ. 65). ამიტომ იყო, რომ ჭყონდიდი მთელი საქართველოს მასშტაბით უპირველესი კათედრა იყო ერთიანი ქართული მონარქიის ხანაში.

ცაიშის საეპისკოპოსო კათედრაზე თხოობისას, დისერტანტი ხაზს უსვამს ამ კათედრის სიძველეს (VII საუკუნიდან არსებობას) და სხვადასხვა წყაროთა მოშველიებით ცდილობს მისი საზღვრების დადგენას ცალკეული ეპოქების მიხედვით.

ნალენჯიხის საეპისკოპოსო XVII საუკუნეში შექმნილა ცაიშის საეპისკოპოსოს ტერიტორიის ხარჯზე და მის აღმოსავლეთ სასაზღვრო მიჯნად ხობისწყალია მიჩნეული, ჩრდილოეთით კი საზღვარი სამეგრელოს ქედზე გადიოდა, ასკვნის დისერტანტი.

ბედიის ეპარქიაზე თხოობისას, დისერტანტი ხაზს უსვამს, რომ ბედიის საეპისკოპოსოს დაარსება გუდაყვის (ზიგანევის) გაუქმების შედეგია და იგი ააშენა ბაგრატ მესამემ (975-1014). მისი აზრით, ვახუშტის ცნობა, რომ ბედიელის სამწყსო მოქვისწყალსა და დადისწყალს შორის იყო მოქცეული, რეალური ვითარების ამსახველად შეიძლება ჩაითვალოს (გვ. 78).

მოქვის ეპარქიაც X საუკუნეში შექმნილა. იგი საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდა და XVIII საუკუნის პირველი ნახევრისთვის მოიცავდა ტერიტორიას კოდორ-მოქვისწყალს შორის. აფხაზთა მიერ აოხრების გამო ამ დროს იგი აღარ მოქმედებდა.

დრანდის ეპარქიის დაარსების დროდ X საუკუნის მეორე ნახევარია მიჩნეული. დრანდელი ეპისკოპოსის საზღვრებში თვლიან ნებელდას (ნიფელთა), ცხუმს (ცხომი), ანაკოფიას და მის შემოგარენს. დისერტანტიც იზიარებს საეპისკოპოსო ტერიტორიის ასეთ განსაზღვრას.

ჩამოთვლილ ეპარქიებზე გაცილებით ადრეა შექმნილი **ბიჭვინთის** ეპარქია. დისერტანტი იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღე-

ბულ აზრს, რომ ამ საეპისკოპოსოს ძირითადი მრევლი ადგილობრივი იყო და ნიკეის საეკლესიო კრებაზე, ეპისკოპოსი სტრატოფილე აქაური მოსახლეობის წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს. თუ პირველ ხანებში ამ ეპარქიის საზღვრები ვრცელია, შემდეგ ნიკოფსიის და სებასტოპოლისის საეპისკოპოსოების შექმნით, მისი ტერიტორია შეიზღუდა, თუმცა აფხაზთა სამეფოს ხანაში და შემდეგ იგი აფხაზთა საკათალიკოსოს ცენტრი იყო. მისი საზღვრები სხვადასხვა პერიოდში იცვლებოდა, მაგრამ მიღებულია, რომ ის მთელ დასავლეთ საქართველოს ეპარქიებს აერთიანებდა და შემოსაზღვრული იყო: დასავლეთით – შავი ზღვით, ჩრდილოეთით – ოვსეთ-კავკასიონით, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით იგი აღწევდა კაფამდე (გვ. 86).

დისერტაციის **IV თავი „სამეგრელოს (ოდიშის) ისტორიული გეოგრაფია ჰიდრონიმურ და ტერიტორიულ დანაყოფთა მიხედვით“**, ეძღვნება რვა ჰიდრონიმურ-ტერიტორიული ერთეულის შესწავლას. მასში განხილულია ცხენისწყლის, აბაშის, ტეხურის, ხობისწყლის, ჭანისწყლის, ენგურის ხეობები და ტერიტორიები ფოთი-პალიასტომისა და ცაიში – ზუგდიდისა.

ცხენისწყლის ხეობის განხილვისას მსჯელობაა მდინარის სახელწოდების წარმომავლობაზე. ვახუშტის ცნობით, მისი უწინდელი სახელწოდება ყოფილა მდინარე თაკურისა, ხოლო სხვადასხვა სოფლებში ცენისწყალი, ცხენისწყარი, ცხენისწყალი. დისერტაციაში მოტანილია მასალები უცხოელი მოგზაურებისა და ქართველი მკვლევარების ნაშრომებიდან ცხენისწყლის ხეობის საზღვრების და ვახუშტის 1745 წლის რუკაზე აღნიშნული დასახლებების ლოკალიზაციის შესახებ.

აბაშის ხეობის განხილვისას დისერტანტი უპირველესად ყურადღებას ამახვილებს ჰიდრონიმ აბაშის წარმომავლობაზე, სხვადასხვა ავტორების მოსაზრებებზე ამ საკითხზე და შემდეგ განიხილავს დასახლებულ პუნქტებს: ბანძას, ჭყონდიდს, მარტვილს, სახარისას, ნოჯიხევს, ლეხანდრაგოს და სხვებს. იგი სხვადასხვა მონაცემთა და გადმოცემების დამოწმებით ცდილობს ამ ტოპონიმთა ახსნას, ამასთან, იძლევა მათ ბატონიშვილისეულ განმარტებას.

ხეობების განხილვისას დისერტანტი ჯერ მდინარეთა სახელწოდებების ახსნაზე ამახვილებს ყურადღებას, შემდეგ კი ხეობებში შე-

მავალ დასახლებულ პუნქტებზე (ანაკლია, რუხი...) მოაქვს შესაბამისი მასალა ჩამოყალიბებული დებულებების გასამყარებლად.

მეოთხე თავის მეოთხე პარაგრაფი – **ფოთი და პალიასტომი** ეძღვნება ტოპონიმ „ფასისი-ფოთის“ და „პალიასტომის“ ახსნას, ამასთან, საკმაოდ ვრცლადაა მოთხრობილი ფასის-ფოთზე, რომელსაც ვახუშტი მხოლოდ ციხედ მოიხსენიებს და მის სამიტროპოლიტო კათედრას საერთოდ არ ახსენებს. ვრცლადაა მოთხრობილი ოსმალთა ბატონობის ხანის ფოთზე, როცა იგი მხოლოდ ტყვეთა სყიდვის ცენტრი იყო.

ამავე პრინციპითაა განხილული VI პარაგრაფი – „ცაიში და ზუგდიდი“, სადაც მითითებულია, რომ ვახუშტის ცნობა ცაიშის ადგილმდებარეობის შესახებ არასწორია. იგი არა ჭანისწყლის ხეობაში, არამედ ჭანისწყალ-ენგურის შუამდინარეთში მდებარეობს (გვ. 150). ზუგდიდის შესახებ კი ნათქვამია, რომ იგი დადიანთა რეზიდენციად XVII საუკუნეში ქცეულა. ტოპონიმი რამდენიმე ვარიანტითაა მოხსენიებული: „ზუბდიდი“, „ზუგიდი“ და წარმომდგარი უნდა იყოს „ზურგდიდიდან“ ანუ „ბორცვ-დიდიდან“ (გვ. 155).

დისერტაციის მეხუთე თავი – **„თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ჰიდრონიმურ და ტერიტორიულ დანაყოფთა მიხედვით“** ეძღვნება აფხაზეთის საზღვრების, დადისწყლისა და ეგრისწყლის ხეობების, მოქვისა და კოდორის ხეობების, კოდორ-ანაკოფიის შუამდინარეთის, საკუთრივ აფხაზეთის, ჯიქეთის, აფხაზეთის „ალანეთის“ და ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიის აღწერა-ანალიზს.

V თავის I პარაგრაფი – **„აფხაზეთის საზღვრები“** განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს, რადგან დღეს, როცა აფხაზეთი დროებით საქართველოს იურისდიქციაში არ შედის და სადავოა მისი ისტორიული საზღვრები, წარსულის ზუსტი სურათის აღდგენა აქტუალური და აუცილებელია. დისერტაციაში, წყაროებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია ადრინდელი III-VI და VII-VIII საუკუნეების აფხაზეთის, შემდეგ კი ლეონ II-ის დროს გაერთიანებული და ბიზანტიის დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებული აფხაზეთის საზღვრები, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. აშკარად ჩანს, რომ III-VI საუკუნეებში აბაზგია ლაზიკის (ეგრისის) სამეფოსადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ ორ მცირე სამთავროს (აფხაზეთის და ცხუ-

მის) აერთიანებდა და მოიცავდა ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთით მდ. აბასკოსსა (მდ. ბზიფი, ფსოუ ან მზიმთა) და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ცხუმსა და ანაკოფიას შორის.

VII საუკუნიდან ეგრისის დასუსტების შემდეგ აფხაზეთმა ჯერ აფშილეთი, შემდეგ VIII საუკუნიდან სანიგები და მისიმიელებიც დაიმორჩილა და მისი მთავარი აფხაზთა მთავრად ან ერისთავად იქცა.

დისერტაციაში დამაჯერებლადაა წარმოდგენილი XV-XVII საუკუნეებში კავკასიის მთიანეთიდან აბსუა ტომების ჩამონოლის, აფხაზეთის მიწაზე დამკვიდრების და შემდეგ მათ მიერ ოდიშის მიწების – კოდორსა და ენგურს შორის ტერიტორიის დაკავება. XVII საუკუნის ბოლოს, ნათქვამია დისერტაციაში, მათ საზღვარი გადმონიეს კელასურიდან ლალიძგამდე. დადიანის სამფლობელოს მიღმა დარჩა დრანდისა და მოქვის ეპარქიები, სადაც ამიერიდან აღარ აღვლინებოდა ღვთისმსახურება (გვ. 183).

ამ თავის მომდევნო პარაგრაფებში განხილულია „დადისწყლისა“ და „ეგრისწყლის“, მოქვისა და კოდორის, კოდორ-ანაკოფიის შუამდინარეთის, საკუთრივ აფხაზეთის, ჯიქეთის, აფხაზეთის „ალანეთის“ საზღვრები, მდინარეები, მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები და საეკლესიო ცენტრები. გაანალიზებულია მათი ეტიმოლოგია, დაზუსტებულია მათი ადგილი და მნიშვნელობა ვახუშტის დროინდელი აფხაზეთის ცხოვრებაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დისერტანტი იგორ კეკელიას მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი დიდი პასუხისმგებლობითა და საქმის ცოდნით, უხვი სამეცნიერო წყაროებისა და ლიტერატურის გამოყენებით შექმნილი გამოკვლევაა, რომელიც იმსახურებს დადებით შეფასებას, ხოლო მისი ავტორი ისტორიის აკადემიური დოქტორის ძიებულ სამეცნიერო ხარისხს. მიუხედავად ამისა, გვაქვს რამდენიმე შენიშვნა-სურვილი:

1. დისერტაციაში არის შემთხვევები (თავი II, გვ. 26), როცა სათაურში ხან სამეგრელოა ფრჩხილებში, ხან – ოდიში. ჯობდა ერთი ფორმა იყოს გამოყენებული. თუ ამით მათ იდენტობას ესმება ხაზი, მაშინ ტექსტში არ უნდა იყოს მოტანილი აზრი იმის შესახებ, რომ ოდიში სამეგრელოს ნაწილია (გვ. 60 – გიულდენშტედტი);

2. დისერტაციაში არაერთგზის საუბარია ძველ აფხაზთა (აბაზგთა) წარმომავლობაზე, ნათქვამია ორ განსხვავებულ მიდგომაზეც. სასურველი იყო, ამ ხასიათის ნაშრომში, ავტორის პოზიციის დაფიქსირება (გვ. 61).

3. არ მიგვაჩნია მართებულად გამოთქმა „ფაზისის ბიზანტიური კათედრა“ (გვ. 66), რადგან, მიუხედავად იმისა, რომ VII საუკუნიდან ბერძნული საეკლესიო ნუსხების მიხედვით, ფაზისის სამიტროპოლიტო მასში შემავალი საეპისკოპოსოებით, სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსო და ნიკოფსის საარქიეპისკოპოსო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულები ჩანან, ღვთისმსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ამის უფლებას იძლეოდა მართლმადიდებლური ეკლესიის კანონმდებლობა და არც ბიზანტიას ჰქონდა იმის დრო და პირობები, რომ ამისთვის ხელი შეეშალა... ასე ჩანს ბიზანტიურ წყაროებშიც.

4. ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სწორი ხინოს საეპისკოპოსოს შექმნის დათარიღება XV საუკუნით (გვ. 67), რადგან ბოლო ხანების არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული არქეოლოგიური მასალები უფრო X-XI საუკუნეებზე მიუთითებენ (გ. თავამაიშვილი).

5. როცა ლაპარაკია ძველ, მეთავე საუკუნემდე არსებულ საეპისკოპოსო კათედრათა ახლებით შეცვლაზე, ვფიქრობთ, უფრო პოლიტიკურ მიზეზებს უნდა გაესვას ხაზი. კერძოდ, ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლება ქვეყნის გაერთიანებაში მხარდაჭერისათვის მცხეთის საკათალიკოსო ტახტს სთავაზობდა ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის დაქვემდებარებას და ამას მიაღწევდა მხოლოდ ძველი საეპისკოპოსო კათედრების შეცვლით.

6. მიუხედავად დისერტაციაში გამოყენებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის სიუხვისა, ვფიქრობთ, აუცილებელი იყო მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაშრომების გაცნობა, რომლებშიც ლაზიკის ეპარქია ჭოროხიდან ტრაპიზონამდე ტერიტორიაზეა ლოკალიზებული. დისერტაციაში ხსენებული ცნობილი საეკლესიო ცენტრების (ბიჭვინთა, ფაზისი, ცაიში...) ლოკალიზაციაზე საუბრისას, სასურველი იყო აღნიშნული ავტორის მოსაზრებებზეც გაკეთებულიყო კომენტარები.

7. ვფიქრობ, უნებლიე შეცდომაა და უნდა გასწორდეს 176-ე გვერდის ბოლოში მოხსენიებული ლეონ I, ლეონ მეორით.

წარმოდგენილი შენიშვნა-სურვილები არსებით გავლენას ვერ ახდენს დისერტაციის ხარისხზე. იგი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და მისი ავტორი იმსახურებს ძიებულ სამეცნიერო ხარისხს.

ბიჭიკო დიასამიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორ-ემერიტუსი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ.

უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი.

პროფ. ბიჭიკო დიასამიძის ზოგიერთი შენიშვნის პასუხად

ვსარგებლობ შემთხვევით და მაღლობას ვუხდი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ ბიჭიკო დიასამიძეს, სადოქტორო დისერტაციის დადებითად შეფასებისათვის, რომელსაც უწოდებს „უხვი სამეცნიერო წყაროებისა და ლიტერატურის გამოყენებით შექმნილ გამოკვლევას“, რომელიც „განსაკუთრებით აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში წარმოდგენილია ოკუპირებული აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, საიდანაც ერთაზროვნად დასტურდება, რომ აფხაზეთი ისტორიული საქართველოს ნაწილია და ორი მოძმე ხალხის – ქართველებისა და აფხაზების სამშობლო“.

აქვე შევეცდები, პატივცემული ოპონენტის მიერ ჩამოყალიბებული შეიდი შენიშვნა-სურვილიდან ზოგიერთზე ვრცლად შევჩერდე.

პასუხი I შენიშვნაზე: პატივცემული ოპონენტი შენიშვნას ორ ნაწილად წარმოადგენს: 1. დისერტაციის პირველი თავის სათაურში ფრჩხილებში **სამეგრელოა** მოქცეული, ხოლო პირველი თავის პირველ პარაგრაფში – ოდიში. იქვე დასძენს, რომ აჯობებდა, ერთი ფორმა ყოფილიყო გამოყენებული, რაშიც სრულიად ვეთანხმები. 2. „თუ ამით მათ იდენტობას ესმება ხაზი, მაშინ ტექსტში არ უნდა იყოს მოტანილი აზრი იმის შესახებ, რომ ოდიში სამეგრელოს ნაწილია“. შენიშვნის ამ ნაწილს ახლავს ოპონენტის მითითება გიულდენშტედტის ნაშრომზე. დისერტაციის მე-60 გვერდზე ვიმონმებ გიულდენშტედტის ცნობას იმის შესახებ, რომ სამეგრელო ქართული პროვინციაა, ხოლო

ოდიში და ლეჩხუმი – მხარეები ამ პროვინციაში, რომელთა მმართველიც ატარებს დადიანის ტიტულს. გერმანელი მეცნიერ-მოგზაური დასძენს, რომ ოდიში მდებარეობს სამეგრელოს ჩრდილოეთით და დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევს, ხოლო ჩრდილოეთით აფხაზეთი საზღვრავს. მაშასადამე, გიულდენშტედტის აზრით, დადიანი მართავს „სამეგრელოდ“ ნოდებულ პროვინციას და „ოდიშად“ და „ლეჩხუმად“ ნოდებულ მხარეებს ამ პროვინციაში. შევეცდები, გიულდენშტედტის აღნიშნული ცნობა განვავრცო სხვა მასალებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოდიში თავდაპირველად ერქვა ისტორიული ეგრისის ერთ მხარეს, ზღვისპირა ტერიტორიას, მდინარეებს – ენგურსა და ტეხურს შორის. მოგვიანებით, ეს ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა გაფართოვდა და თანდათან მოიცვა მეგრელების განსახლების ტერიტორია (**თ. ბერაძე**, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“. თბილისი. III, თბ., 1967; **გ. არახამია**, ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI ს.-XVI ს. I ნახ.), თბ., 2003: 4-5; **ა. თორდია**, სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ოდიში. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, N5, თბ., 2012: 74).

ოდიშისა და სამეგრელოს იდენტობა რომ ეჭვს არ იწვევს, სადაო არ უნდა იყოს. თუმცა ინტერესს იწვევს აფხაზთა მიერ ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთი ნაწილის ანექსიის შემდეგ ენგურსა და ლალიძგას შუა მდებარე ტერიტორიის - **სამურზაყანოს** მცხოვრებთა აზრი (ე. წ. ისტორიული მესხიერების გამოძახილი) ახლომდებარე ტერიტორიულ, დიალექტურ თუ ენობრივ-ეთნიკურ ერთეულებზე: მდ. ენგურის მარცხენა მხარეს არის **სამარგალო** (სამეგრელო), ხოლო იმის იქით – **საქორთუო**. ენგურის მარჯვენა მხარეს ლალიძგამდე მდებარე ტერიტორიას ენოდება **სამურზაყანო//სამგრზაყანო**, ამ კუთხის მფლობელ მურზაყან შერვაშიძის სახელის მიხედვით.

ენგურ-ლალიძგის შუამდინარეთი, ანუ ამჟამინდელი სამურზაყანო, ოდიშის (სამეგრელო) ნაწილს წარმოადგენდა და მეგრელებით იყო დასახლებული, რაც დასტურდება XVII-XIX საუკუნეთა უცხოელი მისიონერ-მოგზაურების ცნობებით. არქანჯელო ლამბერტის, ჯოვანი ლუკას, მაკარი ანტიოქელის, ჟან შარდენის, ჟაკ ფრანსუა გამბასა და სხვათა ნაწერებსა და კარტოგრაფიულ შრომებში სამურზაყანო

სამეგრელოს ნაწილადაა წარმოდგენილი. ალ. დიუმას ცნობით, სამურზაყანო ეწოდება სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის მდებარე პატარა, თავისუფალ მხარეს.

როგორც ჩანს, გიულდენშტედტის ცნობა იმ რეალობის გამოძახილი უნდა იყოს, რომ ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორია ისტორიული ოდიშია, ხოლო მარცხენა მხარეს, ენგურსა და ცხენისწყალს შორის მოქცეული ტერიტორია – სამეგრელო. სწორედ ამიტომ სამურზაყანოელთათვის დღესაც სამეგრელო მდებარეობს **მელე** „გალმა“. ენგურსგალმა, ანუ მარცხენა მხარეს მდებარე ტერიტორიას ისინი უწოდებენ **მელეს, მელენქიანას** „გალმაქვეყანას“ (იხ. პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003: 96, 158, 161). შესაბამისად, მელენქიანაში//სამეგრელოში მცხოვრებ მეგრელთათვის ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორია იქნებოდა **მოლენქიანა** „გამოლმაქვეყანა“, ანუ ისტორიული ოდიში (მერმინდელი სამურზაყანო).

პასუხი III შენიშვნაზე: ბატონ ბიჭიკო დიასამიძის აზრით, უსაფუძვლო უნდა იყოს დღემდე სამეცნიერო ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში გაბატონებული მოსაზრება, რომ, თითქოს, მთელი ადრე შუა საუკუნეების განმავლობაში, დასავლეთ საქართველოში (ეგრისი) საკანცელარიო და ღვთისმსახურების ენად გამოიყენებოდა არა ქართული, არამედ ბერძნული.

თავისი მოსაზრების გასამყარებლად პატივცემული ოპონენტი იმონმებს აგათია სქოლასტიკოსის მიერ გუბაზ II-ის მკვლელთა გასამართლების სცენას და შენიშნავს, რომ VI საუკუნის შუა ხანებში ეგრისელთა უმრავლესობამ არ იცის ბერძნული ენა.

ადრეშუასაუკუნეების ეგრისში არსებული ენობრივ-კულტურული ვითარების საკითხს მკვლევარი არაერთ გამოკვლევაში ეხება. მისი აზრით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ხანისათვის (IV საუკუნე) ეგრისი (დასავლეთი საქართველო) შეიძლება განვიხილოთ ქართული სამყაროს განუყოფელ ნაწილად, რომლის მოსახლეობას, ერთიანი კოინე ენის დიფერენციაციის მიუხედავად, კარგად ესმის ქართული ენა და ცხოვრობს იმავე რწმენა-წარმოდგენებით, რითაც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა (იხ. ბ. დიასამიძე, ქვეყნის ერთიანობის ბალავარი. გაზ. „საქართველოს რეს-

პუბლიკა“, N86, 14 აპრილი, 2005: 3; მსჯელობისათვის იხ. მისივე, ენობრივ-კულტურული ვითარება ადრეშუასაუკუნეების ეგრისში. „ქართველური მემკვიდრეობა“, XIII, თბ., 2009).

საქმე ისაა, რომ VI საუკუნეში გუბაზ მეფის მკვლელთა სასამართლო პროცესთან დაკავშირებით აგათია სქოლასტიკოსის ცნობიდან ირკვევა შემდეგი: ბრალმდებელ დარბაისელ კოლხებს „უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა“, ხოლო „ბრალმდებლები რომ ასეთ ბრალდებებს აყენებდნენ, კოლხთა ლაშქარს, რომელიც იქვე იყო თავმოყრილი, არც ნათქვამი სიტყვები ესმოდა და არც აზრების მნიშვნელობის გაგება შეეძლო, მაგრამ იმას კი ხვდებოდნენ ისინი, თუ რის გამო იყო თითოეული მათგანი გამოთქმული და მათი კამათის დროს თავიანთ გულისნადებსაც ურთავდნენ“.

საგულისხმოდ გვეჩვენება ფაზისში განათლებამიღებული ფილოსოფოსის – თემისტოხოსის ცნობა, კოლხეთში ბერძნული სწავლა-განათლებისა და კულტურის გავრცელებისა და იმის შესახებ, რომ კოლხებს ელინთა დღესასწაულებშიც კი უსახელებიათ თავი მჭევრმეტყველებითა და რიტორიკით (ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1992: 59).

ციტირებული ტექსტი აგათია სქოლასტიკოსის ნაწერიდან, ჩემი აზრით, ისე უნდა გავიგოთ, რომ ბრალმდებელი, დარბაისელი, წარჩინებული კოლხები ფლობდნენ ელინთა ენას, ხოლო კოლხთა ლაშქრისათვის მათი ნათქვამი სიტყვები და აზრების მნიშვნელობა გაუგებარი იყო, რადგან ადგილობრივი, კოლხური (მეგრული) ენით სარგებლობდნენ. ს. ყაუხჩიშვილის ცნობით, ფაზისის რიტორიკულ სკოლაში (IV ს.), პირველ ყოვლისა, ადგილობრივი ენა იქნებოდა ძალაში, როგორც განათლების ენა. მის გვერდით ბერძნულ ენას საპატიო ადგილი ექნებოდა დათმობილი.

ადრე შუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში (ეგრისი) საკანცელარიო და ღვთისმსახურების ენასთან დაკავშირებით სიტუაცია ასე წარმოგვიდგენია: მართალია, კოლხეთში ბიზანტიის პოლიტიკურ-რელიგიური და ენობრივი ექსპანსიის პერიოდში (VIII-IX სს.) ბერძნული ენის სტატუსი ჯერ არცაა შესწავლილი, მაგრამ სავარაუდოა, რომ ზოგი ყველაზე აუცილებელი ქრისტოლოგიური ტერმინი, ან თუნდაც ცალკეული ფრაზები და მთელი ლოცვებიც კი, მეგრულად ითარგმნა და ზეპირად ვრცელდებოდა მორწმუნეთა შორის.

ვფიქრობ, თქმულში მეტ სიცხადეს შეიტანს XIX ს-ის I მესამედში საქართველოში ჩამოსული გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის – ედუარდ აიხვალდის თვალით დანახული საეკლესიო ლიტურგიის ამსახველი ვითარება სამეგრელოში. აიხვალდი წერს: „მე უცნაურად მომეჩვენა, რომ ყველგან, სამეგრელოს ეკლესიებში, ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ასრულებდნენ, რომელსაც სრულებით არავითარი მსგავსება არა აქვს მეგრულთან; ამასთან, ისინიც კი, რომელთაც ქართული არ ესმით, ყველანი დადიან ეკლესიებში და ასეთები ცოტანი არ არიან. განსაკუთრებით ქალებს არ გაეგებათ ქართული ენა, ანდა ცოტაოდენი სიტყვები იციან. მე ვადასტურებდი ჩემს გაოცებას, რომ მეგრულ ენაზე არ არის თარგმნილი არც სახარება და არც ზოგიერთი ლოცვანიც კი...“ (ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, 190).

მაშასადამე, სამეგრელოს ეკლესიებში ამ დროისათვის (XIX ს.) წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, მაგრამ სახლში დაბრუნებული მოხუცები ხატის წინაშე წმინდანს შეწევნასა და პატივებას მეგრულად შესთხოვდნენ, რელიგიურ რიტუალებს მეგრულად ასრულებდნენ (ასეთივე სიტუაცია გვაქვს დღესაც).

ყოველივე ამის შემდეგ ლოგიკურია, დაისვას კითხვა: თუკი XIX საუკუნის I მესამედში ისეთი ვითარებაა, რომ სამეგრელოს ეკლესიებში მრევლს ქართული ენა არ გაეგებოდა, და ამ ენის ცოდნა, აიხვალდის თქმით, განსაკუთრებით უცხო იყო მეგრელი ქალებისთვის, რა სიტუაცია უნდა გვქონოდა ქრისტიანული ლიტურგიის ან ქადაგების თვალსაზრისით ახ. წ. III-IV საუკუნეების კოლხეთში (ქალაქ ფაზისთან უმაღლესი რიტორიკული სკოლა-აკადემიის არსებობის ფაქტს), ან თუნდაც VIII-IX საუკუნეებში (ეგრის-აფხაზეთში ბიზანტიის პოლიტიკურ-რელიგიური და ენობრივი ექსპანსიის პერიოდში), თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართული ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა, „ბერძნულყოფილი“ საეკლესიო ცენტრების დაარსება, ბიზანტიური კათედრების (ფაზისი//ფოთი, ნიკოფსი, სებასტოპოლისი//ცხუმი, როდოპოლისი//ვარდციხე, საისენე//ცაიში, პეტრა, ზიგანევი//გუდაყვა) ქართული საეპისკოპოსოებით „მოცვლა“ (ჩანაცვლება) თუ ოფიციალურ საერო და სასულიერო ენად ქა-

რთულის გაბატონება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე IX-X საუკუნეებიდან ივარაუდება?!..

ჩემი აზრით, პასუხი ცალსახა შეიძლება იყოს: III-IV საუკუნეებში, ფაზისის რიტორიკულ სკოლაში, სწავლება, ბუნებრივია, მიდიო-და უცხოელი ასიმილაციორების ენაზე. თუმცა როდი გამოირიცხება ელინურის პარალელურად ადგილობრივ, კოლხურ (მეგრულ) ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობაც. ის ფაქტი, რომ მეგრელები და სვანები ისტორიის ასპარეზზე გამოირჩევიან საერთო-ეროვნულ კულტურასა თუ ქართულ სამწერლობო ენაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილით, ჩემი აზრით, განპირობებულია მოგვიანო ხანის მოვლენებით, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გათავისუფლებით ბიზანტიური ენის, კულტურისა და ქრისტიანობის გავლენისაგან და ერთიანი ქართული ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო ცენტრების ქართული ეკლესიისადმი („ქართლის საკათალიკოსო“) დაქვემდებარებით...

რა ენა გამოიყენებოდა ქრისტიანული მღვდელმსახურებისათვის ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში? ამ პრობლემურ და მეტად საინტერესო საკითხს ჩემი სადოქტორო დისერტაციის ერთ-ერთი ოპონენტი, ბატონი პ. ცხადაია შეეხო თავის სტატიაში (იხ. პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, II, თბ., 2004: 216-233).

საკითხში უფრო მეტი სინათლის შეტანის მიზნით ამ ნაშრომს აქვე გავაანალიზებ და მოვიხმობ დამატებით არგუმენტებსაც.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ ბიზანტიის იმპერიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა კავკასიის ადრეფეოდალურ სახელმწიფოებთან (ქართლი, ეგრისი, არმენია, ალბანეთი). „სანამ დასავლეთ საქართველო ბიზანტიის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა, ოფიციალური, ეკლესიისა და სახელმწიფო კანცელარიის ენის როლს ბერძნული ასრულებდა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973: 428). აფხაზეთში გაბატონებული ბერძნული ენა სწორედ აფხაზეთა დინასტიის მიერ შეიცვალა ქართული ენით, რომელსაც, როგორც სახელმწიფო ენას, დაეკისრა სამწერლობო, საქმისწარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ფუნქციები. IX-X სს-მდე დასავლეთ

საქართველოში განსაკუთრებით საგრძნობი იყო ბიზანტიის პოლიტიკური და სარწმუნოებრივ-კულტურული გავლენა, სადაც ქართულს, როგორც საეკლესიო მღვდელმსახურებისა და რამდენადმე სახელმწიფო ენას, ბერძნული ენა ეცილებოდა (იხ. პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერიანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 215, და იქვე მითითებული ლიტ-რა: ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა – ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995: 57; კ. დანელია, ზოგიერთი ქრისტოლოგიური ტერმინის შესახებ. წგნ.: ქართული სამწერლო ენის საკითხები, თბ., 1983: 242).

პ. ცხადაია იმონმებს მოსაზრებას, რომ ქართლშიც კი „მოქცევის“ პირველ ხანებში მღვდელმსახურებას ბერძნულ ენაზე აწარმოებდნენ კონსტანტინოპოლიდან მოწვეული ბერძენი მღვდელმსახურები (პ. ცხადაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 217; ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1992: 52).

კითხვაზე – როგორი იყო კონკრეტულად ბიზანტიის პოლიტიკური, კულტურული და ეკლესიური გავლენა (თუ ბატონობა) ზღვისპირეთში? კერძოდ, რა ენაზე სრულდებოდა ღვთისმსახურება? – პასუხის გასაცემად მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული მოსაზრებები შესაძლებელია სამ ვარიანტად დაჯგუფდეს:

ა) IX-X საუკუნეებამდე დასავლეთ საქართველოში, უფრო ზუსტად, კოლხეთის სანაპირო ზოლზე, სახელმწიფო და ღვთისმსახურების ენა იყო ბერძნული;

ბ) ბიზანტიის გავლენა ეგრისში განსაკუთრებით იგრძნობოდა VI-VII სს-ში, როცა ადგილობრივი საეპისკოპოსოები ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს;

გ) კოლხეთში ბერძნული ენის სტატუსზე გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით (ბ. დიასამიძე), ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოხდა IV ს-ში და, მაშასადამე, ეგრისის სამეფოში თავიდანვე სახელმწიფო-საკანცელარო ენას ადგილობრივი, ზანური, ან მისი განაყოფი ენა – ქართული წარმოადგენდა, ხოლო ღვთისმსახურების ენა IV ს-ის დასასრულიდან მაინც იყო ქართული ენა. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, ლიხთიქითში მდებარე ორ პოლიტიკურ ერთეულში, კერძოდ, აფხაზეთსა და ლაზეთში მდებარე ქრისტიანულ ეკლესიას კონსტანტინოპოლის პატრიარქი მართავს და

მას ამარაგებს მქადაგებლებით – მოძღვრებით („პაპებით“) (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, 596-597).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბერძნული წარწერების რაოდენობა 20-ზე მეტია და, ძირითადად, IX ს-მდეა შესრულებული. აღნიშნული წარწერების უმეტესობა განეკუთვნება დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონობის ხანას (იხ. თ. ყაუხჩიშილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2004).

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი და შესწავლილი წარწერებიდან აქვე შეიძლება დავასახელოთ ციხისძირში მიკვლეული აბანოს მოზაიკის ფრაგმენტი, ბერძნული წარწერით: „უფალო შემენიე“ (იხ. ნ. ინაიშვილი, ციხისძირის ახ. ნ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993: 114; მ. ჭუმბურიძე, ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში, ქუთ., 2010: 28). 2001 წელს ქართულ-ინგლისური ექსპედიციის წევრებმა ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, საპარადო შესასვლელის მარჯვენა მხარეს, გამოავლინეს ქვაში გამოკვეთილი ჯვრის მარცხენა მკლავი, ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერით, რაც აკად. თ. ყაუხჩიშვილისა და ლონდონის სამეფო კოლეჯის ძველი ბერძნული ეპიგრაფიკის სპეციალისტის, შარლოტა როჩეს მიერ III-IV სს-ით არის დათარიღებული. წარწერა არსებული მონაცემების მიხედვით ასე იკითხება: „...ავრელიუსმა მიანიჭა (ან პატივი სცა)... მონა (?ღვთისა)...“ (დ. ლომიტაშვილი, ცენტრალური კოლხეთი ძვ. ნ. VIII- ახ. ნ. VI სს. (ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი), სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2003: 196-198). ნებელდის IV ს-ის ვერცხლის მედალიონზე გვხვდება ბერძნული წარწერა „ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა“ (ზ. ანჩაბაძე, მ. თრაპში).

აფხაზეთის ტერიტორიაზე წერილობითი ძეგლების უმრავლესობა (100-ზე მეტი) ქართულ ენაზეა შესრულებული. ესაა როგორც ლაპიდარული, ასევე ფრესკული და ჭედური წარწერები. ქრონოლოგიური თვალსაზრისით აფხაზეთის ქართული წარწერების უმრავლესობა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისდროინდელია და მათი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი IX საუკუნეა (იხ. ლ. ახალაძე, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში IX-XVII სს. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998; მისივე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტო-

რიო წყარო, I, ლაპიდარული და ფრესკული წარწერები. თბ., 2005). დასავლეთ საქართველოში პირველი ქართულენოვანი ეპიგრაფიკული წარწერა – გუდაუთის რაიონის სოფ. პრიმორსკოეს მახლობლად, მსიგბუას მთაზე მდებარე ეკლესიის ნანგრევების ე. წ. „მიქაელის წარწერა“, რაც კერამიკული კალიპტერების ანტიფიქსზეა შესრულებული, IX-X სს. განეკუთვნება (ვ. სილოგავა, ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, ნ. II, თბ., 1980; თ. მიბჩუანი, აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა, თბ., 1999). ქართული ქრისტიანული ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, ოფიციალურ საერო და სასულიერო ენად ქართულის გაბატონება სწორედ IX-X საუკუნეებიდან იწყება, რასაც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა VII-VIII სს-ში ეგრისის გაქართველებული ნაწილების – აჭარის, გურიის, ქვემო იმერეთის წარმოქმნა (ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941: 220).

რაც შეეხება ანუხვის//აგნის მღვიმის ქართულ წარწერებს, გეოგრაფ (და არა პალეოგრაფის!) ლევან მარუაშვილის მიერ მათი დათარიღება V-VIII საუკუნეებით (სამსაუკუნოვანი პერიოდით) არ უნდა იყოს მართებული.

მთელი ზემოთ მოყვანილი მასალა სადავოს ხდის იმ დებულებას, რომ V ს-ში ყველა ქართული სამეფოს სახელმწიფო და საეკლესიო ენა მაინც სალიტერატურო ქართული უნდა ყოფილიყო (ტ. ფუტკარაძე, საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის დინამიკისათვის. ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთ., 2000: 330-331).

არქეოლოგიური მასალის პარალელურად განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლინგვისტური მასალაც. ბერძნული ენის, კულტურისა და ქრისტიანობის რამდენიმესაუკუნოვანმა მძლავრმა დაწოლამ ასახვა ჰპოვა კოლხურის (და სვანურის) ლექსიკაში, რაც განპირობებული იყო ბერძნულთან უშუალო კონტაქტით. ამ ასპექტით მრავლისმეტყველია ბერძნული **სტაუროს** („ჯვარი“) სიტყვის სვანურ ენაში პირველის წერის გამომხატველი **სტარუნ-** სინტაგმის სახით პოვნიერება.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მეგრულში დღეს არსებულ, ბერძნულიდან მომდინარე ლექსიკურ ერთეულებში ორ ჯგუფს გამოყოფენ: ადრეულ, ახ. წ. V საუკუნემდე ნასესხობებს, რომელთა რაოდენობაც ცოტაა, და რაოდენობრივად მეტ, გვიანდელ ნასესხობებს. ადრე ნასესხებადაა მიჩნეული კოლხურში (მეგრულში) ბერძნული სიტყვები:

საბატონი „შაბათი“, ლაზ. **ბუძი** „ძუძუ“, მეგრ. **ბორია** „ქარი“, მეგრ. **ბორქომი** „ბოქლომი“, ლაზ. **ანგი** „ჭურჭელი“ და სხვ. (მსჯელობისათვის იხ. მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები, წგნ.: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), ტ. II, ზღაპრები და მცირე ჟანრები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ, თბ., 1991: 593-594). ამ ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს რამდენიმე სიტყვა, რომელნიც მეგრულს უშუალოდ ბერძნულიდან შეუთვისებია ანტიკურ ან ელინისტურ ხანაში. ესენია, **კერასი** „რქა; რქისაგან გაკეთებული რამე“), მეგრულში **ქერაზი** ფორმით შესული („რქის სასაპნე, რაც ურმის უკანა ჭალზეა დაკიდებული“), **ორგია** (ბერძნულში აღნიშნავს მანძილს განზე გაშლილი ხელების ბოლოებს შორის, ხოლო მეგრულში ამ სიტყვით აღინიშნება ცურვის ერთ-ერთი სახე, კერძოდ, მხარული – ცურვა გაშლილი მკლავის მოსმით). წარმართობის დროს უნდა შემოსულიყო ბერძნულიდან ზეპირი გზით სიტყვა **ანთარე** „ამაღლებული“.

კოლხეთში ქრისტიანობის იბერიისაგან დამოუკიდებლად მიღებას ადასტურებს მეგრულ-ჭანურში არსებული, ქართულისაგან განსხვავებული ქრისტოლოგიური ტერმინებიც: **ქისე** (ქრისტე), „შობა“, **თანაფა** „თენება“, „აღდგომა“, **ოხვამე** „სამლოცველო“, „ეკლესია“, **ჰაჰა** (ბერძნ.-ლათ.) „მღვდელი“ და სხვ. (კ. დანელია, ზოგიერთი ქრისტოლოგიური ტერმინის შესახებ. წგნ.: ქართული სამწერლო ენის საკითხები, 196).

აქვე შესაძლებელია განხილულ იქნას რამდენიმე საკუთრივ კოლხური ტერმინი, მაგალითად, **მარაშინა** „მარიამობა“. ყველა სხვა შემთხვევაში მეგრულში წმინდანის ხსოვნის დღე აღინიშნება ქართულიდან შეთვისებული -ობა სუფიქსიანი სიტყვებით: გერგობა (← გიორგობა), თერდობა (← თევდორობა), პერტობა (← პეტრეპავლობა), ბარბალობა და ა. შ. რალა მაინცდამაინც მარიამობის ნაცვლად გვაქვს მარაშინა, რაც სიტყვასიტყვით „მარიამის ხსენებას“ ნიშნავს? ამ კითხვის პასუხად პ. ცხადაია შენიშნავს, რომ ასე გაუაზრებიათ კოლხებს ბერძნული **„ტა ჰანაგეიას“**, **„კლიმესის ტეს თეოტოკონ“**. ეს გარემოება მკვლევარს იმის დასტურად ესახება, რომ **მარ(ი)აში-ნა** მეგრულ-ლაზთა წინაპრებს უშუალოდ ბერძნულიდან გადმოუღიათ ლაზიკის ორ ერთეულად – სამეგრელოდ და ჭანეთად გათიშვამდე

(ე. ი. გურია-აჭარის წარმოქმნამდე), რაც ემთხვევა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გათავისუფლებას ბიზანტიური ენის, კულტურისა და ბიზანტიური ქრისტიანობის გავლენისაგან და ქართული ეკლესიისადმი დაქვემდებარებას... „აღდგომა“ სიტყვას არაფერი უშლიდა ხელს, რომ კოლხურს იგი ქართულიდან სხვა ქრისტოლოგიური ტერმინების (სახარება, მოციქული, ნათვლა, ნათლისმცემელი, წირვა, მაცხოვარი, წმინდა...) მსგავსად შეეთვისებინა, მაგრამ კოლხურში მას უკვე დახვდა ჯერ კიდევ წარმართული დროიდან მომდინარე და ამჟერად ქრისტოლოგიურ ტერმინ „ანასტასის“-ის ეკვივალენტად ჩათვლილი და გააზრებული **თანაფა**, ე. ი. **თენება**... ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა კოლხ ნინაპრებს გაუაზრებიათ როგორც ცისკრის მოვლინება, როგორც ნათლის დადგომა, ანუ გათენება მთელი კაცობრიობისათვის, რაც აღინიშნა კიდევ თანაფა „გათენება“ ლექსებით, რომელიც შეენაცვლა ბერძნულ ქრისტოლოგიურ ტერმინ ანასტასის-ს. „როგორც ჩანს, – წერს პ. ცხადაია, – ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდში, ე. ი. სანამ დასავლეთ საქართველოს ეკლესია ბერძნული ეკლესიის გავლენას განიცდიდა (IX ს-მდე), ზოგი ყველაზე აუცილებელი ქრისტოლოგიური ტერმინი ბერძნულიდან კოლხურ ენაზე იქნა გადმოღებული და დამკვიდრებული ზეპირ მეტყველებაში, თარგმნის, კალკირების ან ეკვივალენტის მოძიების გზით, მაგალითად: ოხვამე („ეკლესია, სალოცავი“), თანაფა („აღდგომა“), მარაშინა („მარიამობა“), ჯგირი („წმინდა, წმინდანი“), პაპა („მღვდელი“) და სხვ.“ (პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერიანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 226).

ზემო სამეგრელოს ტოპონიმიკაში დადასტურებული სვანური სუბსტრატიც თვალსაჩინოდ ადასტურებს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ბიზანტიური (ბერძნული) ეკლესიის დომინანტობის პერიოდში სვანებისა და მეგრელების თანაცხოვრებას. სწორედ ამ დროს უნდა შეეთვისებინა სვანურ ენას წმ. გიორგის მეგრული ეკვივალენტი **ჯგირი გივარგი**, რასაც საბოლოოდ **ჯგერაგ** ფორმა მოუცია (პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერიანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 229).

რა ენაზე იქადაგეს ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა კოლხეთსა და მესხეთში? ვფიქრობთ, გასაზი-

არებელია მოსაზრება: უეჭველია, ადგილობრივ ენებზე (კოლხურსა და ქართულზე). მ. თამარაშვილი მოციქულთა ცხოვრების ერთ-ერთ ავტორზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ მოციქულები წარმატებით ლაპარაკობდნენ იმ ენაზეც, რომელიც გასაგები იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის (პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერია** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 230; და იქვე მითითებული: მ. თამარაშვილი, წმინდა ანდრია მოციქული საქართველოში. ჟურნ. „რელიგია“, N1-2, 1992, 83). ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ქრისტიანობის ისტორიის თანახმად მისიონერობის აუცილებელი საკონტაქტო პირობა იყო ადგილობრივი ენის თუნდაც ზერელედ ცოდნა. ქართლშიც, IV ს-მდე, – ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე და შემდგომაც, თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში, ბერძენი მღვდელმსახურების მიერ წირვა-ლოცვა და სხვა რიტუალები ერთდროულად ბერძნულ და ქართულ ენებზე აღესრულებოდა.

მისაღებია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „კოლხეთში ქრისტეს მოძღვრების, თავდაპირველი ქადაგების, ბიჭვინთისა და ტრაპეზუნტის საეპისკოპოსოების პროპაგანდისტული მოღვაწეობის პირობებში და შემდგომაც, თვით IX საუკუნემდე, კოლხეთის ეკლესიებში ღვთისმსახურება ბერძნულ და, სავარაუდოა, გარკვეულწილად, კოლხთა ენაზეც მიმდინარეობდა. სწორედ ამ პერიოდში ბერძნულიდან ზეპირი გზით გადმოღებული (თარგმნით, კალკირებით, ეკვივალენტის მისადაგებით) ყველაზე აუცილებელი ქრისტოლოგიური ტერმინი გავრცელდა კოლხეთის მოსახლეობაში და დღემდე შემორჩა საზოგადო ლექსიკასა და ტოპონიმიკაში...“ (პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერია** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 230).

ცხადაია, პირველი ქრისტიანი მქადაგებლები – ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ეგრის-აფხაზეთში, ბერძნულად ეწეოდნენ პროპაგანდას და, ა. ბაქრაძის მოსაზრებით, ამასთანავე, ყოველთვის ცდილობდნენ დამწერლობისა და მნიგნობრობის შექმნას ადგილობრივ ენაზე, რადგან ხალხისათვის ქრისტეს მოძღვრების მშობლიურ, **ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე ქადაგება ქრისტიანობის ერთ-ერთ-**

თი მთავარი პრინციპია. ეს პირდაპირ არის ნათქვამი კორინთელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლეში (თავი 14, მუხლი 21): „რამეთუ სჯულსა წერილ არს, ვითარმედ უცხოითა ენითა და ბაგითა უცხოითა ვეცოდე ერსა ამას და არცალა ესრეთ ისმინონ ჩემი, იტყვის უფალი“. აკაკი ბაქრაძე იმონმებს პავლე მოციქულის სხვა განმარტებასაც: თუ უცხო ენაზე ვლოცულობ, მართალია, სული ჩემი ილოცავს, მაგრამ ჩემი გონება რჩებაო უნაყოფოდ. „ამიტომ ქრისტიანობა ზრუნავდა ამა თუ იმ ხალხის მშობლიურ ენაზე მნიგნობრობის ასაღორძინებლად. ამიერკავკასიის ქვეყანაში ქრისტიანობას ეს პრინციპია არ დაურღვევია“ (ა. ბაქრაძე, უმეცრება თუ პროვოკაცია? გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 31 მარტი, 1989).

ა. ბაქრაძე ფიქრობდა, რომ უძველეს ქრისტიანულ ცენტრებში – ბიჭვინთასა და ახალ ათონში, ეკლესიისა და მნიგნობრობის ენა ქართული იყო, რასაც იმის უტყუარ საბუთად მიიჩნევდა, რომ ამ რეგიონის (იგულისხმება აფხაზეთი) ძირითადი მოსახლეობის მშობლიური ენა ქართული იყო, რის გამოც ქართული გახდა საეკლესიო ენაც (იქვე).

დამონმებული და გაანალიზებული წერილობითი წყაროებით, საზოგადო ლექსიკითა და ტოპონიმებით ნათელი ეფინება იმ ფაქტს, რომ IV-IX საუკუნეებში ბიზანტიის ძლიერი პოლიტიკურ-რელიგიური გავლენის ქვეშ მყოფი კოლხეთის შავიზღვისპირეთში, საეკლესიო ღვთისმსახურება, ბერძნული ენის პარალელურად, ფრაგმენტულად მაინც, ადგილობრივ, კოლხურ (ზანურ) ენაზეც მიმდინარეობდა. არც ისაა გამორიცხული, რომ საოჯახო თუ საეკლესიო განათლების წყალობით კოლხეთის ადგილობრივი ელიტარული საზოგადოება ბერძნულს, როგორც ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთ საშუალებას, ძალიან კარგადაც ფლობდა, რამაც განაპირობა ყველაზე აუცილებელი საღვთისმეტყველო, ქრისტოლოგიური ტერმინების გადმოღება კოლხურში (პ. ცხადაია, ტოპონიმი **ჯგერიანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის, 229).

პასუხი IV შენიშვნაზე: პატივცემული ოპონენტი ფიქრობს, რომ ხინოს საეპისკოპოსოს დაარსების თარიღად XV საუკუნის მიჩნევა არ უნდა იყოს სწორი. ბ-ნი ბიჭიკო იზიარებს ბოლო ხანის არქეოლო-

გიური მასალების საფუძველზე მკვლევარ გ. თავამაიშვილის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს ხინოს საეპისკოპოსოს X-XI საუკუნეებით დათარიღების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს არ წარმოადგენს ხინოს საეპისკოპოსოს დაარსების თარიღის დადგენა, ცალსახად მაინც შეიძლება ითქვას შემდეგი: ცნობილია, რომ XV საუკუნეში საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და საზოგადოების სოციალურ კრიზისს შედეგად მოჰყვა ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად. ბუნებრივია, მოიშალა საეკლესიო ერთობაც. გურიაში საეპისკოპოსოების დაარსება სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება. ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს: „ხოლო გურიელთაგან დაიდგინეს სამნივე ესე ეპისკოპოზნი თვისისა დიდებისათვის“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 791). მაშასადამე, გურიაში შეიქმნა სამი ეპარქია: ჯუმათისა, შემოქმედისა და ხინონმინდისა, და სამივე დაარსდა სწორედ XV საუკუნის I ნახევარში, გიორგი გურიელის მოღვაწეობის ჟამს, რომელიც მოიხსენიება შემოქმედის მონასტრის ვერცხლის ჯვარზე შესრულებულ წარწერაში: „ნებითა [და] შეწევითა ღმრთისათა ჩვენ პატრონმა გ(უ)რ(ი)ელმ(ა)ნ გ(ი)ორგ(ი) პატრონმა ელენ(ე) დ(ა) ძეთა ჩ(ვენ)თა მამიამ... დავსვი შემოქმედს ეპისკოპოსი და დავდევით ომფოროი“ (დ. ბაქრაძე). მანამდე ეს ტერიტორია ქუთათელის სამწყსოში შედიოდა. ბუბა კუდავას სამართლიანი შეფასებით, „წყაროებში არ არის არანაირი ცნობა თუ მინიშნება, რომელზე დაყრდნობითაც შეგვეძლო გვევარაუდა, რომ ხინოს კათედრა დაარსდა უფრო ადრე, დაახლოებით X-XI საუკუნეებში“ (ბ. კუდავა, დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI სს.), საკანდიდატო დისერტაციის ამონაბეჭდი, თბ., 2002: 74).

არქეოლოგიური გათხრების გზით ხინონმინდაში X-XI სს-ში ეკლესიის არსებობის დადასტურება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აქ საეპისკოპოსოც X-XI სს-ში არსებობდა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ხინოში მონასტერი არსებობდა X-XI საუკუნეებში, თუმცა საეპისკოპოსო მოგვიანებით, XV საუკუნეში დაარსებულა. ქართული ეკლესიის ისტორიაში არაერთი შემთხვევაა ცნობილი, ეკლესიის აშენებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ, იქ საეპისკოპოსოს დაარსებისა.

ასე, მაგალითად, ჭყონდიდი (X ს.-ში გიორგი „აფხაზთა“ მეფემ აღადგინა ტაძარი, „შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშენა იგი ნანილთა სიმრავლითა წმიდათა მარტუილთათა“), დრანდა (X ს. II ნახევარი), მოგვიანებით – გელათი (დააარსა იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ, XVI ს-ის 20-იან წლებში), ხონი (1529 წელს გახდა საეპისკოპოსო ცენტრი), ნალენჯიხა (XVI ს.) (ბ. კუდავა)...

პასუხი V შენიშვნაზე: „როცა საუბარია ძველ, მეთე საუკუნეებში არსებულ საეპისკოპოსო კათედრათა ახლებით შეცვლაზე, ვფიქრობთ, უფრო პოლიტიკურ მიზეზს უნდა გაეხვას ხაზი. კერძოდ, ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლება ქვეყნის გაერთიანებაში მხარდაჭერისათვის მცხეთის საკათალიკოსო ტახტს სთავაზობდა ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის დაქვემდებარებას და ამას მიაღწევდა მხოლოდ ძველი საეპისკოპოსო კათედრების შეცვლით“. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არც ამ საკითხის გარკვევა შეადგენდა ჩვენი დისერტაციის ძირითად მიზანს, მაგრამ რადგან ოპონენტმა საჭიროდ ჩათვალა ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება, დავძენთ, რომ ის მიზეზები თუ მიზეზთა ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებდა უმეტესად ზღვისპირას ან ზღვისპირა ზოლში მდებარე საეკლესიო კათედრების გადანაცვლებას ძველი ცენტრებიდან ახალ ადგილებში, ძირითადად ქვეყნის შუაგულში, ქართულ ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანადაა შესწავლილი ისტორიკოს ბუბა კუდავას მიერ, რომლის აზრით „ბერძნულყოფილი“ საეპისკოპოსო ცენტრების გაუქმება და ახალი ქართული კათედრების დაარსება IX-XI საუკუნეების დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მასშტაბური პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული ხასიათის ცვლილებების ფონზე უნდა იქნას განხილული, და არა მონყვევით, განცალკევებულად.

რა ფაქტორებმა განაპირობა დიდ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და, აქედან გამომდინარე, საეკლესიო გადანაცვლებათა პროცესები „აფხაზთა სამეფოში“? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ბ. კუდავა გამოყოფს რამდენიმე ძირითად ფაქტორს: პოლიტიკურს, ეკონომიკურს, ბუნებრივ-გეოგრაფიულს, სტრატეგიულს, „იდეოლოგიურსა“ და „ზღვის ფაქტორს“. ცენტრების „დასავლეთიდან“ „აღმოსავლეთისაკენ“ გადანაცვლების პროცესებს, – დასძენს მკვლევარი, – გარკვეულწილად ზემოაღნიშნულ ფაქტორთა ერთობლიობა განაპირობებდა.

ამასთანავე, პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული ფაქტორები იმდენად იყო გადახლართული ერთმანეთში, რომ ძნელია მათი გამიჯვნა. ამიტომ, რიგ შემთხვევებში, მიზეზების ცალ-ცალკე, პუნქტობრივად წარმოდგენა, შესაძლოა, პირობით ხასიათს ატარებდეს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო კათედრების „მოცვლის“ პოლიტიკა იმთავითვე წარმოადგენდა გარკვეულ ანტიბიზანტინიზმსაც: „საფუძველშივე“, „დაარსებითვე ბიზანტიური“ ძველი კათედრების არსებობა მიუღებელი იქნებოდა ეკლესიური, იდეოლოგიური თვალსაზრისით, არ იქნებოდა „მომგებიანი“ ქართველური სამყაროს ინტეგრაციისათვის ბრძოლის მოთავის პრეტენზიის მქონე „აფხაზთა მეფეებისათვის“. მაგრამ ეს ანტიბიზანტიური, ანტიბერძნული მომენტი შეუძლებელია ჩაითვალოს საეკლესიო კათედრების „მოცვლის“, ერთი რეგიონიდან მეორეში გადატანის უმთავრეს და ერთადერთ მიზეზად.

ამდენად, ბატონი ბიჭიკო დიასამიძის მოსაზრება, რომ ძველ, X საუკუნემდე არსებულ საეპისკოპოსო კათედრების ახლებით შეცვლის დროზე მსჯელობისას უფრო პოლიტიკურ მიზეზებს უნდა გაეხვას ხაზი, დაზუსტებას საჭიროებს. აღნიშნული საკითხები ვრცლად და ამომწურავად არის გაანალიზებული ბუბა კუდავას მიერ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ დისერტაციაში („დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI სს.)“, თბ., 2002). ამიტომ აქ მასზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

პასუხი VI შენიშვნაზე: ოპონენტი ფიქრობს, რომ „აუცილებელი იყო მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაშრომების გაცნობა, რომლებშიც ლაზიკის ეპარქია ქოროხიდან ტრაპიზონამდე ტერიტორიაზეა ლოკალიზებული. დისერტაციაში ხსენებული ცნობილი საეკლესიო ცენტრების (ბიჭვინთა, ფაზისი, ცაიში...) ლოკალიზაციაზე საუბრისას, სასურველი იყო აღნიშნული ავტორის მოსაზრებებზეც გაკეთებულიყო კომენტარები“.

უნდა ითქვას, რომ დისერტაციაზე მუშაობისას მე საგანგებოდ გავეცანი მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის გამოკვლევებსაც, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ ლაზიკის ეკლესიური და პოლიტიკური საზღვრები არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ამდენად, ა. ჯაფარიძე შეეცადა, რომ დასავლეთ საქართველოში ლოკალიზებული საეკლესიო ცენტრები (პიტიუნტი//ბიჭვინთა, სებასტოპოლისი, ფაზისი, პეტრა...) გა-

დაეტანა სამხრეთ-დასავლეთ ლაზეთში, მდ. აფსაროსიდან (ჭოროხი) ტრაპიზონამდე მდებარე ტერიტორიაზე. მისი აზრით, სწორედ ამ მონაკვეთში ბატონობდნენ ბიზანტიელები და, შესაბამისად, მკვლევარი ფიქრობს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გაყოლებით, სურმენესთან უნდა ყოფილიყო დიოსკურია//სებასტოპოლისი, ათინასთან – პიტიუნტი, ხუფასთან – პეტრა, გონიოსთან – ფაზისი, ციხისძირთან – არქეოპოლისი//ციხეგოჯი//ნოქალაქევი და ა. შ.

ანანია ჯაფარიძის ეს მოსაზრებები მოკლებულია დამაჯერებლობას და არ არის გაზიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლები, რომ ნაკლებად არგუმენტირებულ მსჯელობებზე კომენტარების გაკეთება საგრძნობლად გაზრდიდა სადოქტორო დისერტაციისათვის წინასწარ განსაზღვრულ მოცულობას. შესაბამისად, თავი შევიკავე მისი ნაშრომების ანალიზისაგან.

იგორ კეკელია

რ ე ც ე ნ ზ ი ა

იგორ კეკელიას სადისერტაციო ნაშრომზე „სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია“

ნაშრომი წარდგენილია ისტორიის აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

დარგი/სპეციალობა – 10.04. ისტორია.

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი გიორგი მჭედლიძე

ნაშრომის მოცულობა – გვ. 2-260.

წყაროები და ლიტერატურა – გვ. 261-296.

სადისერტაციო ნაშრომი იწყება მოკლე წინასიტყვაობით („ნაშრომის ზოგადი დახასიათება“, გვ. 4-8), რომელშიც ჩამოყალიბებულია რამდენიმე ზოგადი დებულება: 1. საქართველოში საისტორიო გეოგრაფიის ფუძემდებლის – ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757 წწ.) ნააზრევი მნიშვნელოვანი საგანძურია ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში; 2. ვახუშტი ბატონიშვილმა – ისტორიკოსმა, ეთნოლოგმა, გეოგრაფ-კარტოგრაფმა შექმნა პირად დაკვირვებებსა და საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაფუძნებული საისტორიო-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ხასიათის მონუმენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“... ასევე ფასდაუდებელია მისივე კარტოგრაფიული მემკვიდრეობა; 3. ვახუშტიმ საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ყველა ხელმისაწვდომი და მნიშვნელოვანი საისტორიო წყარო („ქართლის ცხოვრება“, სხვა-

დასხვა ეპოქის სიგელ-გუჯრები) დაამუშავა რუსეთში გადახვენამდე (1724 წ.). მაშასადამე, მისი „აღწერა“ საგეოგრაფიო-საისტორიო გამოკვლევას; 4. ვახუშტი თავისი დროის უთვალსაჩინოესი გეოგრაფ-ისტორიკოსი და კარტოგრაფია.

დისერტანტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის მრავალი საკვანძო საკითხი კეთილსინდისიერებით და კომპეტენტურობით აქვთ განხილული ქართველ მკვლევრებს. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ავტორი მიმართავს: 1. საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს; 2. ვახუშტის მიერ გეოგრაფიული თუ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ობიექტების ლოკალიზაციისას დაშვებულ უზუსტობათა გასწორებასა და დაზუსტებას. საამისოდ განხილულია საარქივო და სამუზეუმო მასალები, ახლებურადაა გააზრებული ზოგი ტოპონიმის ლოკალიზაციისა და სახელდების მოტივაციის საკითხები. მიღებულ დასკვნებს, გარდა სამეცნიერო ღირებულებისა, აქვს პოლიტიკური შედეგიც: თითოეული აფხაზი ისტორიულ წარსულს დაინახავს არა „მრუდე სარკეში“, არამედ რეალისტურად.

დისერტანტს ასე აქვს განსაზღვრული თავისი მიზანი: ორი კონკრეტული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის – ოდიშისა (სამეგრელო) და აფხაზეთის – ისტორიული წარსულისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე მონოგრაფიული გამოკვლევის შექმნა, რაც წარმატებით აქვს განხორციელებული. წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომის გულდასმით გაცნობა ამისი დასტურია.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი „საკითხის ისტორიოგრაფია“ წარმოაჩენს, ერთი მხრივ, თუ როგორაა ასახული ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტის ნააზრევში და, მეორე მხრივ, აანალიზებს ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა მოსაზრებებს ამ საკითხებთან დაკავშირებით. ავტორს თავისი მეთოდი ასე აქვს ჩამოყალიბებული: „წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომის შესაბამის თავებში ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას ვიმონწმებთ და ვაანალიზებთ არსებულ წყაროთმცოდნეობითს ბაზას და ასე ვცდილობთ ზოგიერთი ბუნდოვანი თუ სადაო საკითხებისა და ცალკეული ფაქტების დაზუსტებას“. ვინც გულდასმით გაეცნობა წარმოდგენილ ნაშ-

რომს, დარწმუნდება, რომ დისერტანტს თავისი მიზანი წარმატებით განუხორციელებია.

დასახულ მიზნებთან დაკავშირებით სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში განხილულია მხოლოდ ის გამოკვლევები „რომლებშიც მეტწილად ასახულია სწორედ ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიისა და ტოპონიმის ცალკეული საკითხები“ (გვ. 14), გათვალისწინებულია ქართული სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლების – ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, პ. ინგოროყვას, ნ. ბერძენიშვილის, ვ. გაბაშვილის, ლ. მარუაშვილის, ბ. ლომინაძის, ო. სოსელიას, თ. ბერაძის, ზ. ანჩაბაძის, შ. ინალიფას, ზ. პაპასკირის და სხვათა და სხვათა ფუნდამენტური დასკვნები თუ ჰიპოთეზები. ამ ცნობილ მკვლევართა გარდა, ამავე თავში დასახელებულია 80-მდე ავტორი, რომელთა დასკვნები გამოყენებულია ცალკეული საკითხების კვლევისას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებულ ლიტერატურაში დასახელებულია 50-მდე საისტორიო წყარო და 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი ქართულ თუ არაქართულ ენებზე.

საკვალიფიკაციო ნაშრომის მეორე თავი („ვახუშტი ბაგრატიონი სამეგრელოს (ოდიშის) ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ“, გვ. 26-56) ეძღვნება „ოდიშის“ საზღვრებთან და ეტიმოლოგიასთან დაკავშირებულ ზოგ პრობლემურ საკითხს. ვამბობთ „პრობლემურს“, რადგანაც ქართველი და არაქართველი ავტორების შეხედულებანი არაერთგვაროვანია. ვახუშტი ბატონიშვილი თავისი გამოკვლევის ამ მონაკვეთს ასე ასათაურებს: „აღწერა ეგრისის სამეფოსა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“ და სათანადო ადგილას კიდევ აღნიშნავს „ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი“ (გვ. 26). რა თქმა უნდა, ავტორი მიმართავს ისტორიულ სინამდვილეს: ეგრისი ეთნიკურ-პოლიტიკური ერთეულია, ხოლო აფხაზეთი და იმერეთი – მხოლოდ პოლიტიკური ერთეულები (შენიშვნა: ქორონიმი „სამეგრელო“ ვახუშტის ერთხელაც არ დაუსახელებია).

ვახუშტის ნაშრომში ოდიშის აღმოსავლეთ საზღვრად დასახელებულია ერთგან უნაგირა, მეორეგან – ცხენისწყალი (ამასთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: უნაგირა, ტეხური, რიონი თუ ცხენისწყალი). ეს საკითხი, როგორც დისერტანტი აღნიშნავს, დანვრილებით აქვს შესწავლილი თამაზ ბერაძეს თავის

ნაშრომში „ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფია“. ვახუშტისთან ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარია ანაკოფია (დღევანდელი ახალი ათონი), ე.ი. მდ. ფსირცხა... თ. ბერაძე ამ მონაცემების სისწორეს უცხოელ ავტორთა ცნობებითაც ადასტურებს... თუმცა დისერტანტი აქვე ხაზგასმით აღნიშნავს: „თ. ბერაძის მიერ XII-XVIII სს. ოდიშის საერისთავოს აღმოსავლეთ საზღვართან დაკავშირებით დამონმებული ცნობებისადმი სრული ნდობის გამოცხადება ძალიან ჭირს, რადგან მსჯელობა ფაქტობრივი არგუმენტაციით გამყარებული არ არის“ (გვ. 33). საერთოდ, ოდიშ-აფხაზეთის საზღვრები ხშირად იცვლებოდა. ლევან მეორე დადიანის დროს საზღვარი გადის მდ. კოდორზე, რომლის მარცხ. ნაპირს მიჰყვება ე.წ. „დიდი კედელი“, თუმცა XVIII ს-ის დამდეგისათვის აფხაზეთისა და ოდიშის საზღვარი გადმონეულია მდ. ენგურამდე.

როგორც დისერტანტი აღნიშნავს, დასახელებული საზღვრებიდან ზოგი პირობითი და დროებითი იყო, ზოგიც – პოლიტიკურ-ეთნიკური.

მეორე თავის მეორე ქვეთავში (გვ. 48-57) განხილულია ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და საჭილაოს საფეოდალო ერთეულების მიმართების საკითხი ქვემო სვანეთისა და სამეგრელოს სამთავროსადმი.

როგორც ცნობილია, საქართველოს სამეფოს დაცემის შემდეგ ლეჩხუმი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა, მაგრამ XVII ს-ის 70-90-იანი წლებიდან ოდიშის მთავართა მფლობელობაშია. ამავე პერიოდიდან ქვემო სვანეთი ოდიშის გავლენის ქვეშ მოექცა და ეწოდა სადადიანო სვანეთი. რაც შეეხება საჭილაოს, ანუ ჭილაძეთა სათავადოს (სამფლობელოს), ერთ ერთეულად მისი ჩამოყალიბება XV ს-ში მოხდა და ძლიერებას მიაღწია XVI ს-ის პირველ ნახევარში. იგი მოიცავდა საჯავახოს (გურია) და სამეგრელოს სოფლებს ბანძამდე. მაგრამ აქაც საზღვარი ხშირად იცვლებოდა. ვახუშტის აღწერით, XV ს-ის მეორე ნახევარში საჭილაოდ იწოდებოდა ტერიტორია ტეხურსა და ჭანისწყალს შუა.

დისერტანტის მიერ მის მიერვე მოპოვებულ (და დაბეჭდილ) სამუზეუმო წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გაანალიზებულია ამ სამი საფეოდალოსა და მათში შემავალი სოფლების საზღვრები. არა ერთ და ორ შემთხვევაში ი. კეკელია თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად იყენებს მის მიერვე მოპოვებულ ტოპონიმურ მონაცემებსაც. კერძოდ, საჭილაოს საზღვრების დასადგენად პირველად

დაა გამოყენებული ტოპონიმები და მიკროტოპონიმები, როგორცაა: ნაჭილაუ, ჭილაიაშ ნოხორი, ჭილური, ჭილაიაშ ნაშარუ, ჭილეფიშ ნადოხორუ, საჭილაო (იგივე მარანი), ნაჭიუ, ჭილაიაშ ნალუ, ჭილაიაშ მამული, ეჭეიე//საჭილაო და სხვ. მაშასადამე, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამა თუ იმ მოსაზრების განსამტკიცებლად დისერტანტი ხშირად იყენებს მის მიერვე ჩანერილ ტოპონიმებსა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში მოპოვებულ საარქივო მასალებს.

მეორე თავის ბოლო (მესამე) ქვეთავია „ეპიზოდები ეთნიკური გეოგრაფიიდან“ (გვ. 57-63). როგორც დისერტანტი აღნიშნავს: „ეთნიკური გეოგრაფია საისტორიო გეოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია“ (გვ. 57). საერთოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სანდოა ვახუშტის მსჯელობა მეგრელებითა და აფხაზებით დასახლებული ტერიტორიების საზღვრების ცვალებადობის შესახებ.

დისერტანტი „აღწერის“ ერთ-ერთ ხარვეზად სამართლიანად თვლის იმას, რომ ვახუშტი ერთხელაც არ ახსენებს არაქართველთა მოსახლეობის შესახებ ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე და მრავალ საისტორიო წყაროზე დაყრდნობით ასახელებს ებრაელთა სამკვიდრო სოფლებს – სუჯუნას, ბანძას, სენაკს (გვ. 59). ი. კეკელია საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეთნოლოგიური და ონომასტიკური მონაცემებით ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე ორი ძირძველი ქართველური ტომის – სვანისა და ზანის (მეგრელი, კოლხი) მოსახლეობა დასტურდება.

საერთო დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავთან დაკავშირებით ასეთია: დისერტანტს ყველა წერილობითი წყარო, ქართულ და უცხოურ ენებზე დანერილი და ჩვენამდე მოღწეული, აგრეთვე თვით მის მიერვე გამომზეურებული საარქივო მასალა სრულად აქვს შესწავლილი, გაანალიზებული და ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული. საერთოდ, იგორ კეკელია თავისი საკვალიფიკაციო ნაშრომის მეორე თავში სკრუპულოზურად, უდიდესი სამეცნიერო პასუხისმგებლობით განიხილავს როგორც საისტორიო წყაროებს, ისე XIX-XX სს. ქართველი მკვლევრების მოსაზრებებს და ყველა შემთხვევაში იძლევა სწორ და მეცნიერულად დასაბუთებულ დასკვნებს ყველა სადავო საკითხთან დაკავშირებით.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში, რომელიც საკმაოდ ვრცელია (გვ. 63-88), დისერტანტი ასახელებს ყველა ეკლესია-სალოცავს, რომელიც კი მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“ და განიხილავს სათანადო წყაროებსა თუ თანამედროვე მკვლევართა შეხედულებებს. აღნიშნულ თავში დისერტანტი მიზნად ისახავს აფხაზეთის საკათალიკოსოს ექვსივე ეპარქიის ვახუშტისეული ლოკალიზაციის დაზუსტებას. საეკლესიო კათედრებს შორის ყველაზე ადრეული ჭყონდიდისა იყო. იგი კონსტანტინოპოლს დამორჩილებული ფაზისის სამიტროპოლიტოს მემკვიდრე იყო. ჭყონდიდის აშენებისა და შემდგომში აღდგენის შესახებ ვახუშტი ეყრდნობა ჯუანშერსა და „ქართლის მათიანეს“.

იგორ კეკელია სათანადო წყაროებზე დაყრდნობით ხაზს უსვამს ერთ კანონზომიერებას: დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოთა საზღვრები, ჩვეულებრივ, მდინარეებზე გადის როგორც ოდიშში, ასევე აფხაზეთსა და გურიაში... ამასთან ერთად, ვახუშტის მიერ დასახელებული ჭყონდიდის საეპისკოპოსო ე.წ. ახალ დროში (X ს.) საეკლესიო კათედრათა შორის ყველაზე ადრეული იყო (გვ. 64). ქუთაისისა და ჭყონდიდის საეპისკოპოსოთა საზღვარი ცხენისწყალზე გადიოდა. ვახუშტის ცნობას მნიშვნელოვნად **ავსებს და აზუსტებს** დისერტანტი. მაგალითად, 1717 წ. შედგენილ სუჯუნის ეკლესიისათვის მიწების შეწირულობის წიგნზე დაყრდნობით (დაიბეჭდა 2011 წ.). მნიშვნელოვნად დაზუსტდა და დაკონკრეტდა ვახუშტისეული ლოკალიზაცია (გვ. 68). მთავარი დასკვნა ასეთი იყო: ჭყონდიდის საეკლესიო მამულის დასავლეთი საზღვარია ტეხური. ამასთანავე, „საუფლისწულო და სათავადო მამულების საზღვრები ხშირად არ ემთხვევა საეკლესიო მამულის საზღვრებს“... (გვ. 70). დისერტანტი ამ უზუსტობას ასე ხსნის: „მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, ბუნებრივია, განაპირობებდა იმას, რომ იცვლებოდა საეკლესიო და სათავადო-საუფლისწულო მამულების საზღვრებიც“ (გვ. 71). ისევე როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, დისერტანტი აქაც ითვალისწინებს ბუბა კუდავას სადისერტაციო ნაშრომს „დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XII სს.)“, აგრეთვე მრავალი საისტორიო წყაროსა და სამეცნიერო კვლევის მიმოხილვისა და ყოველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბების შემდეგ ი. კეკელია გადადის ცაიშის ეპარქიის საზღვრების დადგენაზე.

ცაიშის ეპარქიის საზღვრებიც ერთგვარად ცვალებადი იყო ეპოქათა მიხედვით. XVIII ს-ში ცაიშის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენასთან დაკავშირებულ სიგელში წარმოდგენილია ორი სოფლის – ჭვედირი//ჭვედირისა და ნასაჯოგუს ლოკალიზაცია. კერძოდ, ჭვედირი ეწოდება ფართო ვაკე-სახნავებს მდ. ჯუმის ორივე ნაპირას, ხოლო ნასაჯოგუ – ტყეს ცაიშში, ურთის მთაზე (გვ. 74). ამასთანავე, გარკვეულ პერიოდში ცაიშის სამწყსოში შედიოდა ზემო სვანეთიც. ჩვენ მიერ მოძიებული ტოპონიმური მასალის მიხედვითაც, ჭვედირი ვაკეა ჯუმის ორივე ნაპირას. მარცხენა ნაპირი ეკუთვნის სოფ. ცაცხვს, ხოლო მარჯვენა ნაპირი – სოფ. ჩხოუმს (იხ. პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რ-ნი, თბ., 2007, გვ. 343), ნასაჯოგუ კი ტყეა ურთის მთაზე. ცაიშის ტოპონიმთა შორის მეც ვუთითებ: „ნასაჯოგუ – ტყე ურთის მთაზე, **ნასაჯოგუმ წყურგილი** – წყარო ნასაჯოგუში“ (იქვე, გვ. 333). ჭვედირი და ნასაჯოგუ დღესაც ეწოდება ამ ობიექტებს ცაიშის თემის საკრებულოში.

ბედიის ეპარქიის საზღვრებზე საუბრისას ი. კეკელიას მყარი დასკვნა ასეთია: „ვახუშტის ცნობა, რომ ბედიელის სამწყსო მოქვის წყალსა და დადისწყალს შორის იყო მოქცეული, რეალური ვითარების ამსახველად შეიძლება ჩაითვალოს“ (გვ. 78). აქვე ჩამოთვლილია სოფლები, რომლებიც შედიოდა ბედიის სამწყსოში.

მოქვის ეპარქიის ტერიტორიასა და მასში შემავალ სოფლებზე მსჯელობის შემდეგ დისერტანტი ასკვნის: „მოქველის სამწყსოში მოქცეული იყო შავი ზღვის სანაპირო ხაზი მოქვისწყლის მარჯვენა ნაპირიდან მდ. კოდორამდე. საფიქრებელია, რომ ჩრდილოეთით სამხედრო ხაზი ვრცელდებოდა კოდორის სათავემდე, დალის ხეობის თანჩართვით“ (გვ. 80). ამის შემდეგ ჩამოთვლილია ის სოფლები, რომლებიც შუა საუკუნეების ისტორიული წყაროებით მოქვის სამწყსოში შედიოდა (იქვე).

დრანდის ეპარქიის შესახებ არსებული ისტორიული ცნობებისა და თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევებიდან გამომდინარე, დისერტანტი ასკვნის: „დრანდის ეპარქიის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ემთხვეოდა ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების – ოდიშისა და აფხაზეთის – სასაზღვრო ხაზს და ანაკოფიასთან ჩამომავალი მცირე მდინარის მარჯვენა ნაპირას აღმართულ მთაზე გადიოდა“ (გვ. 82).

როგორც ცნობილია, ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრა დასავლეთ საქართველოს პირველ ეპარქიას წარმოადგენდა. ბიჭვინთის ეპისკოპოსი ესწრებოდა 325 წელს მცირე აზიის ქალაქ ნიკეაში მონვეულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას, სადაც ქრისტიანობა გამოცხადდა რომის იმპერიის ოფიციალურ რელიგიად. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა უკვე გავრცელებული იყო VII ს-ის 30-იან წლებში. ვახუშტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბიჭვინთა აფხაზ მეფეთა შუამს გახდა საკათალიკოსო. ისტორიკოსი ბუბა კუდავა, აქედან გამომდინარე, ასკვნის, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო უნდა დაარსებულიყო აფხაზთა სამეფოს არსებობის პერიოდში, როცა დასავლეთ საქართველოს ეკლესია უკვე გამოეყო კონსტანტინოპოლს. ვახუშტიც ამაზე ამხვილებს ყურადღებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბიჭვინთის ეკლესია „ან არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა“. XV ს-დან აფხაზთა კათალიკოსს ეწოდა „აფხაზთა პატრიარქი“ (ე.ი. კათოლიკოს პატრიარქი). მაშასადამე, აფხაზეთის საკათალიკოსო მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს ლიხის მთამდე, გურიისა და ისტორიული აჭარის ჩათვლით (გვ. 85).

ყოველივე ამას სარგის კაკაბაძე ასე გადმოსცემს: აფხაზეთის საკათალიკოსოს ტერიტორია მოქცეულია ლიხსა და კაფას შუა და რუსეთის საზღვარსა და ჭანეთს შუა. თუმცა სხვა მოსაზრებით, აფხაზეთის საკათალიკოსოს სამხრ.-დასავლეთი საზღვარი გადიოდა გონიოზე, გურიასა და ჭანეთს შუა (კაფად იწოდებოდა ყირიმის ქალაქი ფეოდოსია).

საბოლოოდ, ყუბანის აუზიდან აფსუათა ჩამოსახლება და თავდასხმებს მოჰყვა მკვიდრ მეგრულთა სამხრეთისაკენ გადმონაცვლება და აფხაზეთის სამეფოს საზღვრის ენგურამდე გადმონევა. სწორედ ამას აღნიშნავს ვახუშტი: „იყო ჭირი დიდი ოდიშს... და უმეტეს აფხაზთაგან“. რა თქმა უნდა, ამას მოჰყვა საკათალიკოსო სოფლების მოშლა და ყმათა გაყიდვა... ამ თავში („ბიჭვინთის საეპისკოპოსო“) დისერტანტი ი. კეკელია, ემყარება რა ყველა არსებულ საისტორიო წყაროს, დაწვრილებით მოგვითხრობს აფხაზეთის საკათალიკოსოსა და ენგურამდე აფხაზთა გადმონაცვლების ისტორიას.

მაშასადამე, სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი განიხილავს საკითხის ისტორიოგრაფიას, მეორე თავში კი დაზუსტებულია პოლი-

ტიკური და ეთნიკური სამთავროსა თუ სათავადო ერთეულების მდებარეობა და საზღვრები, მესამე თავი ეძღვნება ოდიშისა და აფხაზეთის საეკლესიო ერთეულების გეოგრაფიის საკითხებს, ხოლო მეოთხე თავში განხილულია სამეგრელოს (ოდიშის) ისტორიული გეოგრაფია ჰიდრონიმულ და ტერიტორიულ დანაყოფთა მიხედვით. ამ თვალსაზრისით დასახელებული და გაანალიზებულია 8 ერთეული – ცხენისწყლის, აბაშის, ტეხურის, ხობისწყლის, ჭანისწყლისა და ენგურის ხეობები, აგრეთვე ტერიტორიული დანაყოფები, ერთი მხრივ, ფოთი და პალიასტომი, ხოლო მეორე მხრივ – ცაიში და ზუგდიდი (გვ. 89-174).

ყველა შემთხვევაში დისერტანტი მიზნად ისახავს, დააზუსტოს ვახუშტისეული ლოკალიზაციები და განმარტებანი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება არ დავეთანხმოთ: ვახუშტი წერს, რომ ცხენისწყალი „გამოსდის ლეჩხუმისა და სვანეთის შორისს კავკასსა“. აქ ერთგვარი უზუსტობაა. ცხენისწყლის სათავე მართლაც კავკასიონის ქედზეა, მაგრამ ეს „კავკასი“ არაა „ლეჩხუმისა და სვანეთის შორისი“, არამედ ფასის მთის დასავლეთი კალთაა... და დისერტანტიც სწორედ ამაზე მიაქცევს მკითხველის ყურადღებას.

მიმოიხილავს რა „ცხენისწყლის“ ეტიმოლოგიას, ი. კეკელია სახელწოდების საფუძვლად თვლის (ისევე როგორც ვახუშტი და ჟაკ ფრანსუა გამბა), რომ „ცხენისწყალი“ მდინარის განსაკუთრებული სისწრაფისა და ხმიანობის აღმნიშვნელი სახელწოდებაა და უნდა გავიაზროთ, როგორც „ბობოქარი, სწრაფი, გიჟმაჟი, მჩქეფარე, დაუნდობელი ნაკადი“. მართლაც, საქართველოში მრავალ მცირე მდინარეს, უპირატესად ღელე ნაკადულებს, ეწოდებათ დინების თავისებურების, ხმიანობის აღმნიშვნელი სახელწოდებანი.

ცხენისწყლის ხეობის სოფლები, რომელთაც შეეხო იგორ კეკელია, შეიძლება ორ ჯგუფად წარმოვადგინოთ: 1. სოფლები, რომლებიც აღწერილობაში არ ჩანს, მაგრამ დატანილია ვახუშტის მიერ 1745 წელს შედგენილ რუკაზე; 2. სოფლები, რომლებიც წარმოდგენილია აღწერილობაში, მაგრამ დამახინჯებული სახელწოდებით.

ვახუშტის რუკაზე დატანილი, მაგრამ „აღწერაში“ ვერმოხვედრილი ოიკონიმების ლოკალიზაციასა და ისტორია-ეტიმოლოგიაზე სადისერტაციო ნაშრომში ნათქვამია, რომ **კურჩე** იგივე სუხჩეა (სოფელი მათხოჯის თემში) და აღნიშნავს თეთრქვებიან კალაპოტს, მცირე

მდინარეს; **ხუნნი**, როგორც ჩანს, მოიცავდა ამჟამინდელ სამ სოფელს – ზედა ხუნსს, ქვედა ხუნსს და ლეციცხვაიეს; ოიკონიმ **ნაგვაზუსთან** დაკავშირებით დისერტანტი იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ამ სახელწოდებას თავდაპირველად ატარებდა სამეურნეო-გეოგრაფიული ობიექტი – სახნავი, ტყე, მინდორი, ბორცვი და მოგვიანებით, მეტონიმის გზით მთელი სოფლის სახელწოდებად იქცა. ვახუშტის მიერ ბანძასა და ნაგვაზუს შუა დატანილი სახელწოდება **ლესანა**, რა თქმა უნდა, აქვე მდებარე სოფელი ლესანდრაოა. ვახუშტისეული **ლესანია** რუკაზე მოცემული ადგილმდებარეობითაც და დღესაც სოფელი ნაჯახაოა. ამოსავალია გვარი ჯავახია. ამ დასახლებულ პუნქტს თავდაპირველად ლესახე უნდა რქმეოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ეს გვარი უკვე არ ესახლა, ნა- პრეფიქსით წარმოქმნილი სახელწოდება „ნაჯახაო“ დამკვიდრდა. **ნაგებერაოსთან** დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უნდა არსებულიყო გვარი გებერავა, მაგრამ ი. კეკელიას მოსაზრებით, ამოსავალია დღესაც არსებული გვარი გიგიბერია//გეგებერია (უნდა აღინიშნოს, რომ გვარი გეგებერია დღეს არ დასტურდება), ხოლო რაც შეეხება „ონოლია-ს“, მოსალოდნელია: ნოლა (მდინარისპირა ვაკე-სახნავი) > ონოლე > ონოლეა > ონოლია.

ყოველივე ამას მოსდევს ტოპონიმთა დაწერილობაში არსებული უზუსტობების გასწორება: რუკაზე მითითებული **ონფი** უნდა იყოს ონტოფო. **გულუხეთი** სოფელია ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, მაგრამ ვახუშტის რუკის მიხედვით მდინარის მარცხ. მხარესაა. ვახუშტის რუკაზე საჭილაოც ცხენისწყლის მარცხ. მხარესაა მითითებული. სინამდვილეში კი ეს ობიექტიც მდინარის მარჯვ. მხარეს მდებარეობს და ჰქვია მარანი. იგივე ითქმის სოფელ ქოლობანზეც. აქვეა მსჯელობა ტყვირზე. დასახლებულია მისი ვარიანტები და წარმოდგენილია განსხვავებული ვარიანტები. მისაღებია დისერტანტის ეტიმოლოგია, რომ მეგრულში ტყვირი (//რტყილი) აღნიშნავს ერთმანეთში შეზრდილ და ჩანწულ-ჩახლართულ ტყეს.

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავის მეორე ქვეთავში („აბაშის ხეობა“), სხვადასხვა სახის წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა, რომ **ბანძა** ვრცელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია ცხენისწყალსა და აბაშას შუა. ვახუშტი ამიტო-

მაც აღნიშნავს: „ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“.

აბაშის ხეობის ადგილთა სახელები, რომელთაც ასახელებს ვახუშტი, ასევე ვრცლად და სრულყოფილად არის დახასიათებული დისერტანტის მიერ. ეს შეეხება როგორც მარტვილის (უწინდელი სახელწოდება „ჭყონდიდი“) საეკლესიო ცენტრსა და მდინარე აბაშას, ისე მიკროტოპონიმ სახარაის, რომელიც, ვახუშტის რუკის მიხედვით მდ. აბაშის მარჯვ ნაპირასაა. დისერტანტი რამდენიმე ათეული ისტორიული წყაროსა თუ თანამედროვე მკვლევრის ნააზრევს განიხილავს და აღნიშნავს, რომ „ყველა თვალსაზრისი მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება“ (გვ. 145) და ასევე ვარაუდად დარჩებოდა, მას რომ დისერტანტი არ შეხებოდა.

მეოთხე თავის მესამე ქვეთავში („ტეხურის ხეობა“, გვ. 115-171) დისერტანტი ვახუშტის მიერ დასახელებულ და ლოკალიზებულ, იშვიათი გამონაკლისის სახით კი ეტიმოლოგიამოცემულ ტოპონიმებს ერქვა: ტეხური, ისულა//ისულეთი, შხეფი, უნაგირას მთა, სენაკი, ციხეგოჯი, სალიპარტიანო... ვახუშტი თვლის, რომ ტეხურის სახელწოდება მოტივირებულია მდინარის ხასიათით – ჩქარი, შემმუსრავი დინებით. ი. კეკელიაც ირწმუნება, რომ ტეხური დატეხილ-დაკლაკნილ კალაპოტს ან მტეხავს, მლენავს ნიშნავს. ჩვენ იმ აზრზე ვართ, რომ ტეხურის ამგვარი განმარტება გამონვეულია რამდენიმე ბგერის დამთხვევით, რასაც მეცნიერებაში ცრუხალხური ეტიმოლოგია ეწოდება. ტეხური (< ტეხს) ქართული წარმოებისაა, რადგან ტეხ- ფუძეს მეგრულში შეესატყვისება ტახ-, რაც მოგვცემდა ფორმა ტახირს.

ვახუშტის ერთ-ერთი მთავარი დებულება ასეთია: „საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე“. ი. კეკელიას აზრით, როგორც ჩანს, ოდიშის ერთი ნაწილი, კერძოდ, რიონისპირეთი, ვაკე იმერეთის შემადგენლობაში იყო (გვ. 117). ამასთანავე, სოფლის სახელწოდებად, ჩვეულებრივ, გამოიყენება „ისულა“, ხოლო „ისულეთი“, ვახუშტის გარდა, როგორც დისერტანტი აღნიშნავს, მხოლოდ მოსახლეობის აღწერის (1886 წ.) მასალებშია დადასტურებული. ვახუშტის „აღწერა“ ასახელებს და წარმოგვიდგენს ნაქალაქევს, ანუ ციხეგოჯს. ი. კეკელია ასკვნის, ვახუშტის შეხედულება ციხეგოჯის ადგილმდებარეობაზე დასაბუთებულია ნაქალაქევში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით, რამაც დაადასტურა, რომ ციხეგოჯი

მართლაც ქუჯი ერისთავის ეპოქაში აიგო, როგორც ეს დაადასტურა 1976 წლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (გვ. 121). ქართველ მეცნიერთა დასკვნით, ლამბერტისა თუ გიულდენშტედტის ცნობებითაც ციხეგოჯი ახლანდელი ნაქალაქევია (გვ. 122).

XIX ს-ის ოფიციალურ წყაროებში ამ პუნქტს ხან ნაქალაქევი ეწოდება, ხანაც – ნოქალაქევი. არქეოპოლისი (ქართ. „ძველი ციხე“) ბიზანტიურ წყაროებში VI ს-დან დასტურდება. ქართულში **ნა-** წინაერთარების სახელებს წარმოქმნის, ხოლო მისი მეგრული შესატყვისია ნო-. მაშასადამე, ნოქალაქევი შეიძლება ჩაითვალოს თავდაპირველ და გრამატიკულად გამართულ ფორმად, ხოლო **ნა-** შუა საუკუნეებში არის დამკვიდრებული **ნო-**ს ნაცვლად. ამას დიდძალი ლექსიკური მასალა ადასტურებს. ვახუშტის მტკიცებით, უნაგირას მთა სალიპარტიანოს დასავლეთი საზღვარია. უნაგირას ქედი აბაშა-ტეხურის წყალგამყოფია, მაგრამ ნაქალაქევის შემდეგ გრძელდება ტეხურის მარჯვ. მხარეს. ი. კეკელია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასახელებული ობიექტები ცხენისწყლის აუზშია საგულვებელი. კერძოდ, სწორედ ხუნნის ნაჯიხუ უნდა იყოს საისტორიო წყაროების ონოგურისი (გვ. 126). შდრ. სხვა მოსაზრება: ონოგურისი აბედათის ციხეა. დისერტანტი უმართებულოდ თვლის ყველა სხვა მოსაზრებას ონოგურისის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით, რადგანაც, აგათია სქოლასტიკოსის ცნობითაც ონოგურისი არქეოპოლისის მიდამოებშია. მეორე მხრივ, ქვედა ხუნნის პატარა ციხე მხოლოდ XVI-XVII სს-ში ჩანს აგებული (გვ. 128). დისერტანტის დასკვნა ბოლოს ასეთ სახეს იღებს: „ვახუშტი ცდება, როცა წერს, რომ უნაგირას მთა ტეხურის „დასავლის კიდურსა რიონიდან წარმოსდევს“, სინამდვილეში ეს მთა იწყება თეკლათში, მიუყვება ტეხურის მარჯვ. ნაპირს და ნაქალაქევიდან უკვე ამ მდინარის მარცხ. მხარეს გრძელდება (გვ. 129). რაც შეეხება სალიპარტიანოს, იგი უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე ეს ვახუშტის თხზულებასა და რუკაზეა მოცემული, – ასკვნის იგორ კეკელია (გვ. 130).

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავის მეოთხე ქვეთავს ეწოდება „ფოთი და პალიასტომი“ (გვ. 131-137). ამ ორი ობიექტის ლოკალიზაცია ვახუშტისთან სწორადაა მოცემული. დისერტანტი მრავალი საისტორიო წყაროსა და თანამედროვე მკვლევართა ნააზრევზე

დაყრდნობით მოკლედ, მაგრამ სრულად გადმოსცემს ფოთი-პალიასტომის ისტორიასა და ეტიმოლოგიას.

მეოთხე თავის მეხუთე ქვეთავი ეძღვნება ხობისწყლის ხეობას (გვ. 137-149). ხობისწყალთან დაკავშირებით დისერტანტი წერს: „ხობისწყალი სათავეს იღებს სოფ. მუხურში, ზ.დ. 2326 მ-ზე, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე“ (გვ. 137). ამ ლოკალიზაციის პირველი ნაწილი ერთგვარი გაუგებრობაა, რადგანაც სოფ. მუხურიდან ხობისწყლის სათავემდე საკმაო მანძილია. შდრ. ქსე-ს სწორი ინფორმაცია, რომ ხობისწყალს „სათავე აქვს ეგრისის ქედის სამხრ. ფერდობზე“.

ვახუშტის ერთ-ერთი უზუსტობაა „ხობისწყლის“ სახელდება „ხორგისწყლით“. ფორმულირება ასეთია: „ფოთის ჩრდილოთ კერძ შესდის ზღვას ხორგისწყალი. მოიღო სახელი დაბის ხორგისაგან ზღვის კიდე-სა ზედა შენისა“. რა თქმა უნდა, აქ რესპოდენტისეული შეცდომაა. საისტორიო წყაროებში მდინარე აღინიშნება როგორც ხობი და ხოფი. ამასთანავე ლამბერტი წერს: „ადგილის სახელი ხოფი მდინარეს მიუღია“, ხოლო ხორგა (პირველი და მეორე) ესაზღვრება ხობს სამხრეთიდან. საერთოდ კი, წარსულში, ხანდაზმულთა გადმოცემით, ხორგა ეწოდებოდა ვრცელ ტერიტორიას ხობსა და ხობისწყლის შესართავთან მდებარე ყულევს შუა. ხორგა პირველად დასახელებულია ლამბერტის მიერ 1654 წელს შედგენილ სამეგრელოს რუკაზე და აგრეთვე ე.წ. ლათინურენოვან რუკაზეც.

რაც შეეხება ვახუშტის ცნობას, რომ ხორგაში აფხაზთა კათოლიკოსის სასახლე არსებობდა, დასტურდება XVII-XVIII საუკუნეებში შედგენილ მრავალ „შენიშვნების წიგნსა“ თუ სიგელში.

ხობისწყლის აუზთან საერთო არაფერი აქვს სოფელ ჭაქვინჯს, რომელიც ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირზე მდებარეობს (ამ უზუსტობას ყურადღება თ. ბერაძემაც მიაქცია). აღნიშნულ პუნქტს ვახუშტი სამჯერ ასახელებს მხოლოდ და მხოლოდ ჭაქვითის ფორმით. ერთ-ერთ წყალობის წიგნში დასტურდება სახელწოდება ჭაქვიში. მეგრული ლექსიკონის ავტორის – ალ. ქობალიას – განმარტებით, ჭაქვინჯი ნიშნავს ჭის ფსკერს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან მეგრულში ჭის აღსანიშნავად გამოიყენება ლექსემა ინჭა და არა ჭა. ი. კეკელია, ეყრდნობა რა ალ. ქობალიას განმარტებას, რომ ჭანური მეგრულში კონუსის ფორმის ვიწროთავიანი და ფართოძირიანი ქვა-

ბია, გამოთქვამს ვარაუდს: ჭაქვინჯი მეტაფორული ტოპონიმია და აღნიშნავს ჩადაბლებულ-ჩავარდნილ ადგილს (გვ. 142).

ხეთა სოფელია ურთის მთის ძირას. იგი პირველად მოიხსენიება 1616-1621 წლებში შედგენილ დავთარში. ვახუშტისეული ლოკალიზაცია ზუსტია, მაგრამ ოიკონიმის სახელდების მოტივაციასთან დაკავშირებით აზრი ჯერ არავის გამოუთქვამს.

ვახუშტის ცნობით, **ხოზში** არის გუმბათიანი ეკლესია. ი. კეკელია გულდასმით დაჰკვირვებია პასტელის ჩანახატების ალბომში ერთ-ერთ სურათს, რომელიც აღნიშნულია როგორც „ხოზის განთქმული ეკლესია“. ნახატში მართლაც გუმბათიანი ეკლესიაა. სინამდვილეს შეესაბამება ვახუშტის ცნობა ხოზის ეკლესიაში ღვთისმშობლის პერანგის არსებობის შესახებ. ეს პერანგი XVII ს-ში ანტიოქიის პატრიარქსაც უნახავს. როგორც საისტორიო წყაროებშია აღნიშნული, კვართი მართლაც ჩამოუტანიათ კონსტანტინოპოლიდან VIII ს-ში... საერთოდ, ხოზი, ხოფი მრავალ საისტორიო წყაროშია დადასტურებული. ი. კეკელია ჩამოთვლის ყველა ამ წყაროს (გვ. 146-149). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიული ხოზი დღევანდელი ქ. ხოზისაგან 2-3 კმ-ითაა დაშორებული.

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავის მეექვსე ქვეთავი ეძღვნება ორი უძველესი დასახლებული პუნქტის — ცაიშისა და ზუგდიდის — ლოკალიზაციას, ეტიმოლოგიასა და ისტორიას (გვ. 149-157).

ვახუშტის ცნობა, რომ **ჩაისი** ჭანისწყლის აუზშია, უზუსტობაა. სინამდვილეში იგი მდებარეობს ზუგდიდიდან 5-6 კმ-ზე, ჯუმის (ენგურის მარცხ. შენაკადი) ორივე მხარეს. XIII ს-ის საისტორიო წყაროებში მოიხსენიება ცაიშის ღვთისმშობელი და ცაიშელი ეპისკოპოსი (ცაიშის საეპისკოპოსო ეგრის-ლაზეთის ერთ-ერთი პირველი საეპისკოპოსოა. იგი დაარსებული უნდა იყოს VII ს-ზე ადრე. მაგრამ ცაიშის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებულ ვარაუდებს იგორ კეკელია რატომღაც არ ეხება).

ზუგდიდი დადიანთა რეზიდენციად იქცა XVII ს-ში, ლევან II დადიანის მთავრობის პერიოდში. ამავე საუკუნეს ეკუთვნის ზუგდიდის სასახლის მოხსენიება არქანჯელო ლამბერტისა და ჯუდიჩე მილანელის მიერ. ამავე პერიოდში კასტელს დაუხატავს ზუგდიდის სასახლის სურათი. ამ სასახლეს მოიხსენიებენ აგრეთვე ჟაკ ფრანსუა გამბა, გერმანელი მოგზაური ვაგნერი, გიულდენშტედტი, რუსეთის ელჩები

და სხვ. ვახუშტი კი არც ახსენებს ზუგდიდის მაცხოვრის სახელობის ტაძარს, რომელსაც მკვლევრები XIII-XIV სს. ან XV ს-ით ათარიღებენ. ვარიანტი ზუბდიდი საისტორიო წყაროებში გვხვდება XVIII ს-დან. ი. კეკელია დაწვრილებით გადმოსცემს საისტორიო წყაროთა მონაცემებს ზუგდიდისა და ზუბდიდის შესახებ, განსაკუთრებით კი — სახელწოდების ეტიმოლოგიაზე. ამ საკითხს თითქმის ოცამდე ქართველი და არაქართველი მკვლევარი შეხებია, დაწყებული დიუბუა დე მონპერეთი... ძირითადი დასკვნა ასეთია: ზურგდიდი > ზუგდიდი. საერთოდ, ზუგა, ზუგუ, ზურგა სამეგრელოში მრავალგან გვხვდება როგორც მცირე ბორცვის, შემალლების სახელწოდება. ი. კეკელიაც ასკვნის, რომ ზუგა ბორცვის, შემალლების, მინაზვინულის აღმნიშვნელი სიტყვაა (გვ. 156). ზურგდიდი თავდაპირველად იმ ბორცვის სახელი იყო, სადაც დღეს მაცხოვრის ეკლესია დგას. შემდგომ კი მომხდარა სახელწოდების მეტონიმია, ანუ ფართო მიმდებარე ვაკის აღმნიშვნელ სახელწოდებად ქცეულა. განსხვავებულ ეტიმოლოგიებთან დაკავშირებით დავასახელებთ ორ ავტორს. ნიკო მარი თვლიდა, რომ **ზუგ-** იგივეა, რაც **სუგ-**, ხოლო ეს სუგ- მომდინარეობს სკვითური სკუთ, სკვით, სგუთ ფორმიდან; ჰანი კი ვარაუდობდა, რომ არაბული სიტყვა ზუგ- აღნიშნავს ბაზარს და, მაშასადამე, ზუგდიდი ნიშნავს დიდ ბაზარს (გვ. 155).

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავის მეშვიდე ქვეთავს ეწოდება „ჭანისწყლის ხეობა“. ჭანისწყალი ერთვის ხობისწყალს მარჯვ. მხრიდან დღევანდელი ქ. ხობის ჩრდ-ით, 2 კმ-ზე. ვახუშტის „აღწერაში“ ამასთან დაკავშირებით ორი უზუსტობაა: ჭანისწყალი ერთვის ზღვას ხოფში, ხოლო ეს ხოფი შავიზღვისპირა დასახლებული პუნქტია. ვახუშტი იმასაც აღნიშნავს, რომ „ჭელენჯიხში“ „ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიადამ ზღუამდე“ (ჭანისწყლის ადგილობრივი ვარიანტია წენწყარი, ხოლო წალენჯიხისა – წენდიხა).

„წალენჯიხის“ ეტიმოლოგიის პირველი ცდა ეკუთვნის არქანჯელო ლამბერტის: „ჭანის წყალთან მოდის სავაჭროდ თავისი პატარა ნავებით და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია ჭანი“; ი. ყიფშიძე: წალენჯიხის ადგილობრივი ვარიანტია „წენდიხა“, სადაც „წენ- შეიძლება ჩავთვალოთ ჭანურ ეკვივალენტად. მაშასადამე, წენდიხა ნიშნავს „ჭანის ციხეს“ (მინას); ს. ჯანაშია: წალენჯი-

ბა < ჭალენჯიხა „ჭალის ციხე“; არნ. ჩიქობავა: ნალენჯიხა „ქვემო ციხე“. დისერტანტის მსჯელობიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი იზიარებს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც „ნენწყარი“ ნიშნავს ჭანის წყალს, ხოლო ნენდიხა ჭანის მიწაა.

ქვეთავში „ენგურის ხეობა“ (გვ. 162-174) ვახუშტი დარწმუნებული წერს: „ეგური, წოდებული დაბის გამო“, მაგრამ დაბა ეგური არც ერთ რუკაზე არა აქვს აღნიშნული. დისერტანტი ამ საკითხთან დაკავშირებითაც მიმოიხილავს საისტორიო წყაროებსა და მეცნიერთა გამოკვლევებს, მაგრამ არ შეჰხებია ერთ ასეთ ეტიმოლოგიას: ცინგური > ინგური (გყრ-ის ერთ-ერთი მნიშვნელობა ასეთია: „ხაჭოს გადაწურვის შემდეგ დარჩენილი შრავი“: ვითომ ენგურის წყალი ამ შრავს ჰგავდა). ვახუშტის მტკიცებით, თურქებს რუხის ციხე დაუნგრევიათ და მისი ქვით ანაკლიის ციხე აუშენებიათ. ამასთან დაკავშირებით დისერტანტი აღნიშნავს: არის თუ არა სწორი ვახუშტის ცნობა, რომ რუხებმა ანაკლია ააგეს რუხის ციხის ქვებით. „ათეული კილომეტრით დაშორებულ ანაკლიამდე რიყის ქვების გადაზიდვა გაუმართლებელი იქნებოდა“ (გვ. 171). ანაკლია დატანილია კასტელის რუკაზეც. ერთ-ერთი იტალიელი 1615 წელს დაწერილ წერილში ამ პუნქტს ჰერაკლემად მოიხსენიებს. სხვა ევროპელის წერილში გვხვდება ანაკლიაც და არკამაც. არქანჯელო ლამბერტი ასახელებს ანაკლიას და აღნიშნავს, რომ მისი ძველი სახელია ჰერაკლეა. სხვა მრავალი ევროპელი მოგზაურიც ახსენებს ამ ტოპონიმს. ყოველივე ეს შესწავლილი და მოკლედ, მაგრამ სრულად არის წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომში. ბოლოდროინდელი ეტიმოლოგია ეკუთვნის გ. ბედოშვილს: ანაკლიას თურქებმა უწოდეს „იანიკალე“, ე.ი. ახალი ციხე, რომელმაც შემდეგ მოგვცა ფორმა ანაკლია, ი. კეკელია ამ მოსაზრებას მისაღებად თვლის.

ფეოდალური ერთეული სააფაცო, ვახუშტის მიხედვით, მდებარეობს ეგრისის ქედსა და რუხს შუა. ჩემი აზრით, „სააფაცო“ კალმის შეცდომაა, სწორი ფორმაა სააფაქო – ენგურსა და ჭანისწყალს შუა მდებარე საფეოდალო. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება მთისძირა ქალაქი ჯვარი, სამხრეთით – ზუგდიდის რ-ნის სოფ. ჭკადუაში. ეს სწორი ვარაუდი გამოთქმული აქვს თ. ბერაძეს. მაგრამ გასაკვირია, რომ იგი გამოთქვამს სხვა ვარაუდსაც: „სააფაცო“ შესაძლებელია დამახინჯებული საქოჩაქიძო იყოს“. დისერტანტი ვარაუდობს, რომ

ვახუშტისეული სააფაცო, შესაძლოა, რეალურად არსებობდა ენგურის მარჯვ. მხარეს, გალის რაიონის სოფ. ნაბაკევის თემის შემოგარენში და გვსაყვედურობს, რომ „სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა“ ნუსხაში ვახუშტისეული „სააფაცო“ და ბროსესეული „სახოფაცო“, სამწუხაროდ, არ დასტურდება“ (გვ. 174). საქმე ისაა, რომ სამურზაყანოს, სამეგრელოსა და რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონებში, ჩვეულებრივ, ის მასალაა შეტანილი, რაც თვითონ ჩავინერეთ.

იგორ კეკელიას სადისერტაციო ნაშრომის ბოლო (მეხუთე) თავი აფხაზ მკვლევართა მიერ პრინციპულ სადაო საკითხს – აფხაზეთის ისტორიულ გეოგრაფიას შეეხება (თავი V, „თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ჰიდრონიმურ და ტერიტორიულ დანაყოფთა მიხედვით“: გვ. 175-252). ქვეთავებია: 1. აფხაზეთის საზღვრები; 2. „დადისწყლისა“ და „ეგრისწყლის“ ხეობები; 3. მოქვისა და კოდორის ხეობები; 4. კოდორ-ანაკოფიის შუამდინარეთი; 5. საკუთრივ აფხაზეთი; 6. ჯიქეთი; 7. აფხაზეთის „ალანეთი“; 8. ვახუშტი ბაგრატიონი და თანამედროვე აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხები.

როგორც ისტორიოგრაფიაში ცნობილია, მთელი აფხაზეთი ოდიშში შედიოდა. დღევანდელი აფხაზეთი კი სამ ტერიტორიულ ერთეულს მოიცავს: აძვიბჟა „ორწყალშუა“, აბჟუა „შუა სოფელი“ (იგივე სააფხაზო) და სამურზაყანო (აბჟუასა და წალენჯიხა-ზუგდიდის რაიონების საზღვრებს შუა).

დისერტანტი აღნიშნავს: „ოდიშ-აფხაზეთის სასაზღვრო მიჯნად მდინარე ენგურის ქვემო დინება დადგინდა“ (გვ. 175). რამდენად სწორია ამგვარი მტკიცებულება, თუკი ზუგდიდის რაიონის სოფელი ხურჩა (კოკის თემი) და განარჯიის მუხური (სოფელი და თემის ცენტრი) ენგურის მარჯვ. ნაპირასაა განლაგებული, ხოლო წალენჯიხის რაიონისა და გალის რაიონის საზღვარია მთა ოხაჩქუე და მდინარე ოკალმახის ზემო წელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია ტერმინ „აფხაზეთის“ მნიშვნელობანი:

1. საკუთრივ აფხაზეთი (ეთნონიმ „აფხაზის“ სამყოფელი).
2. მთელი დასავლეთი საქართველო (X ს. დამლევადან).

3. ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცე-ბამდე უცხო წყაროთა მიხედვით აფხაზეთში იგულისხმება მთელი საქართველო, ხოლო „აფხაზი“ ეწოდება საქართველოს ყველა მკვიდრს (არაბულ, სპარსულ, სომხურ და ბერძნულ წერილობით წყაროებში).

საკვალიფიკაციო ნაშრომში დანვრილებითაა აღწერილი სათანადო სამეცნიერო წყაროების ჩვენებები (ავტორები: ლორთქიფანიძე, გამყრელიძე, გვანცელაძე, მუსხელიშვილი, კახაძე, ბერაძე და სხვ.). სწორედ ამ მკვლევართა ნაშრომების მონაცემებზე ყურადღების გამახვილებით დისერტანტი ადგენს ვახუშტის მონაცემთა სიზუსტესა და უზუსტობას (დისერტაციის მთავარი მიზანიც ხომ ესაა?!).

ფაქტია, რომ აფხაზებმა 1681 წლისათვის შეძლეს ოდიშის სამთავროს ჩრდ.-დას. ნაწილის მიტაცება და საზღვრის გადმოწევა კელასურიდან ლალიძგამდე, ხოლო შემდეგ – ენგურამდე.

მეხუთე თავის მეორე ქვეთავი (გვ. 184-198) განიხილავს ვახუშტისეულ მონაცემებს „დადისწყლისა“ და „ეგრისწყლის“ ხეობებთან დაკავშირებით: „ამ ეგურის ჩრდილოთ დის დადისწყალი, წოდებული დადის დაბის გამო... მიერთვის ზღუას. ამ დადისწყლის ჩრდილოთ დის ეგრისის წყალი, წოდებული ეგროსის, თარგამოსის ძის, გამო... და მიერთვის ზღვას ილორს. ამ წყლის დასავლით კიდებედ არს ილორის ეკლესია წმიდის გიორგისა“. როგორც ი. კეკელია აღნიშნავს, მდ. დადისწყალი ვახუშტის რუკაზეც კი არის დატანილი, მაგრამ დაბა **დადი** არსად ჩანს. მდ. დადისწყალი და დაბა დადი ენგურ-ლალიძგას შორის დღესაც არ დასტურდება. მკვლევართა მოსაზრებების გაცნობის შემდეგ ი. კეკელია ასკვნის: დადისწყალში ერისწყალი ან ოქუმი უნდა ვიგულისხმოთ. ხოლო ეგრისწყალი ანარია-ოხურეინწყალის ან ლალიძგის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო (გვ. 187). სხვა წყაროებში აღნიშნულია, რომ, ფაქტობრივად, ესაა მდინარე ლალიძგა: ილორთან სწორედ იგი ერთვის შავ ზღვას. ვახუშტის ცნობით კი ილორი მდინარის მარჯვ. მხარესაა. მამასადაძემ, ეგრისწყალი იგივე ლალიძგაა. საერთოდ კი, დისერტანტი დანვრილებით განიხილავს დიდძალი წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ჩვენებებს და აზუსტებს მრავალ ვახუშტისეულ უზუსტობას.

მოქვისა და კოდორის ხეობებთან (გვ. 199-208) დაკავშირებით ვახუშტი აღნიშნავს, რომ მოქვი (//მოქუ) მდინარეა ეგრისის მდინარის „დასავლით“ და ერთვის ზღვას ილორთან. მოქვიში არის „ეკლე-

სია გუმბათიანი, დიდნაგები“ და აქ ზის ეპისკოპოსი „მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილსა“. ი. კეკელია სამართლიანად აღნიშნავს, რომ მდინარის დინების მიმართულება ვახუშტის არასწორად აქვს მითითებული. ტოპონიმი მოქვი არაერთ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროშია დამონმებული და დისერტანტი თითოეულ მათგანზე დაწვრილებით მოგვითხრობს. მეტად მნიშვნელოვანია ფრანგი მისიონერის ლუი გრანჟიეს შენიშვნა, რომ მოქვის მცხოვრებნი მეგრელები არიან, ხოლო მოქვის ღვთისმშობლის ხატის კარედზე ქართული ასომთავრული წარწერაა... ი. კეკელია აღნიშნავს იმ უზუსტობებს, რომლებიც დაშვებულია ვახუშტის „აღწერაში“, მაგალითად, დასახლებული პუნქტი მოქვი მდებარეობს ვაკეზე და არა მთაში, ხოლო მდინარე მოქვი კი ზღვას მიერთვის არა ილორში, არამედ მისგან რამდენიმე კმ-ის დაშორებით. დისერტაციაში მოცემულია სამპუნქტიანი დასკვნა ვახუშტის შეცდომებისა მოქვის, კოდორისა და დრანდის რეგიონების აღწერილობაში (გვ. 204).

მეხუთე თავის მეოთხე ქვეთავს ავტორი ასე ასათაურებს: „კოდორ-ანაკოფიის შუამდინარეთი“ (გვ. 206-215). ი. კეკელია აქ დაწვრილებით განიხილავს ცხომი//ცხუმი//სოხუმი//სუხუმი-ს შესახებ არსებულ საისტორიო წყაროებსა და სამეცნიერო გამოკვლევებს, შუა საუკუნეების უცხოურ და ქართულ რუკებს. პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ რუკებზე კელასურის შესართავთან არის წარწერა *porto mengrelia* „მეგრელთა ნავსადგური“, რაც ადასტურებს, რომ სოხუმი უნინ სამეგრელოს შემადგენლობაში იყო. ამასთანავე, ვახუშტი ცხუმს უწოდებს დღევანდელ ბესლეთს, ხოლო მის მიერ დასახელებული ცხომი დღევანდელი გუმისთაა.

დისერტანტი დაწვრილებით განიხილავს ცხუმის ისტორიას, თუ როგორ იქცა იგი თურქულ სუხუმკალედ, თუმცა კი ვახუშტი მხოლოდ ძველ სახელწოდებას – ცხუმს ასახელებს. საერთოდ, საისტორიო და სამეცნიერო წყაროთა რამდენიმე ავტორი თვლის, რომ ცხომი სხვაგანაა, ხოლო აყუა, ანუ სოხუმი – სხვაგან.

ვახუშტის ლოკალიზაციით, ანაკოფია ცხომის დასავლეთით მდებარეობს. მრავალი მკვლევარი მას ახალ ათონთან აიგივებს, თუმცა კი, თ. გვანცელაძის მოსაზრებით, ანაკოფია – ახალი ათონი, აბასგთა მთავარი დასახლებული პუნქტი, თავისუფლად შეიძლება გაავაიგივოთ

გაგრა-ტუაფსეს შუა მდებარე მრავალ სხვა ზღვისპირა კლდოვან ადგილთან. ამასთანავე ითვლება, რომ ქრისტეს მოციქულის, სიმონ კანანელის სამარხიც სწორედ ანაკოფიაშია.

კელასურის კედლის, ანუ „აფხაზეთის დიდი კედლის“, აგების საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა წყაროებსა და სამეცნიერო გამოკვლევებზე დაყრდნობით ირწმუნებოდნენ, რომ იგი ლევან II დადიანმა ააშენა. მაგრამ საბოლოოდ დადგინდა, რომ კელასურის კედელი აგებულია სპარსელთა მიერ ხაზართა შემოსევებისაგან თავდასაცავად, ხოლო ლევან II დადიანმა, როგორც ჩანს, აქა-იქ გაამაგრა იგი.

სადისერტაციო ნაშრომის V თავის მეხუთე ქვეთავი ასეა დასათურებული: „საკუთრივ აფხაზეთი“ (გვ. 215-224). აქ დისერტანტი გვამცნობს ვახუშტისეულ მოსაზრებას ალაცოსწყალზე, ზუფუზე, მუნისწყალზე, ბიჭვინთაზე, კაპეტის მდინარეზე. ამ ტოპონიმებთან დაკავშირებით ი. კეკელია ასახელებს ყველა სამეცნიერო გამოკვლევასა თუ მოგზაურთა ჩანაწერებს და განსაკუთრებული სიფრთხილით გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას:

1. ს. ჯანაშიას თვალსაზრისი, რომ ვახუშტის **ალაცოსწყალი** უნდა იყოს დღევანდელი გუმსთა//გუმისთა, ნაკლებ დამაჯერებელია (გვ 216).

2. „ქართველთ ცხოვრების“ მესამე ნაწილში (ნ. დადიანი) მემბტიანე აღნიშნავს, „ჩვენ ნავედით **ზუფუს** და რა მივედით სასახლესა შინა შერვაშიძეთა და დავებანაკეთ და მოვიდნენ ყოველნი ზუფუელნი“. დისერტანტი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „თხზულების ავტორი თვითონ იყო ამ ლაშქრობის უშუალო მონაწილე და მეთაური და ბუნებრივია, მისი ცნობები ზუფუს შესახებ **სანდოობას იმსახურებს**“ (გვ. 218).

3. მუნისწყლის (დღევანდელი მჭიმთა) რეალურობა და ლოკალიზაცია ეჭვს არ იწვევს.

4. ვახუშტის ორი დებულება ასეთია: ა. სიმონ კანანელი დაკრძალულია ბიჭვინთაში; ბ. ბიჭვინთა და ნიკოფსია ერთი და იგივე პუნქტია. ორივე ეს მოსაზრება უარყოფილია. ქართულ **ბიჭვინთას** (< ქართ. ფიჭვი), როგორც ადგილის სახელწოდებას, რამდენიმე პარალელი მოეპოვება სხვადასხვა ენებზე დანერგულ ადწერებსა და გამოკვლევებში (პიტიუნტა, პიცუნდა, პეცონდა, ბეზონტა და სხვა).

5. ვახუშტი ბაგრატიონის უზუსტობათა „ჩემპიონია“ „აღწერი-სა“ და რუკის „კაპპეტის მდინარე“. ამ სახელწოდებას დღემდე არ მოუღწევია. დასახელებულია რამდენიმე ვარიანტი: გიულდენშტედტი ამ მდინარეს მოიხსენიებს როგორც „კაბეთს“, ხოლო აიხვალდი – როგორც „ხანიტას“ ან „ხაპეტის წყალს“. ნ. დადიანი სიტყვასიტყვით იმეორებს ვახუშტისეულ ლოკალიზაციას. დისერტანტის მტკიცე-ბით, XIX ს-ში შედგენილ ერთ-ერთ რუკაზე გუმისთის მარჯვ. შენა-კადს აწერია „ხაბოტა“, რაც სწორედ „კაპოეტის წყლის“ ან „ხაპეტის წყლის“ ვარიანტი უნდა იყოს (გვ. 223).

ქვეთავი VI. ჯიქეთი (გვ. 224-231).

ვახუშტის „აღწერის“ თანახმად, ჯიქეთი „კავკასიის მთის იქითს კერძს ზღუამდე“ მდებარეობს და „არს ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა“. ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს, რომ ჯიქეთის აღმოსა-ვლეთი საზღვარი კავკასიონის ქედს გასდევდა. დაზუსტებულია, რომ ჯიქეთის მხოლოდ ერთი ნაწილი (ანაკოფიის მდინარესა და ნიკოფსიას შუა) შედიოდა აფხაზეთის საერისთავოში. საერთოდ კი, აფხაზები და ჯიქები ერთი მოდგმის ხალხად ითვლება. ბოლოს ჯიქეთი აფხაზთა სამთავროს შემადგენლობაში ხვდება და შარვაშიძეებს ემორჩილება. როგორც ცნობილია, ჯიქები ძალადობით მკვიდრდებოდნენ აფხაზე-ბის ზღვისპირა ტერიტორიაზე. ჩვენი დასკვნა ასეთია: ი. კეკელიას სადისერტაციო ნაშრომის ის ნაწილი, რომელსაც ჯიქეთი ეწოდება, დეტალურად მოგვითხრობს ჯიქების თავდაპირველ საცხოვრისზე, აფხაზეთში მათს დამკვიდრებასა და ოდიშის დადიანების მათთან დამოკიდებულებაზე.

სადისერტაციო ნაშრომში აფხაზეთის **ალანეთს** ცალკე ქვეთავი ეთმობა (გვ. 231-239). დ. მუსხელიშვილის მოსაზრებით, აფხაზეთის „ალანეთი“, იგივე მისიმიანეთი, კოდორის ზემო წელზე, ე.ი. და-ლის ხეობაში მდებარეობს. თუმცა ალანებს შუა საუკუნეებში ყუ-ბანისა და მისი შენაკადების სათავეები ეკავათ. სხვა მოსაზრებით (ნ. აფხაზავა) ალანები კოდორის ხეობაში უნდა შემოსულიყვნენ I-IX საუკუნეებში. ამასთანავე, მეგრულ-სვანურისა და ალანურის ენობრი-ვი ურთიერთგავლენა სწორედ კოდორის ზემო წელზე უნდა მომხ-დარიყო. მრავალი მკვლევარი ფიქრობს, რომ ალანურ-ოსურისა და სვანურ-მეგრულის ენობრივი ინტერფერენცია ზემოთ აღნიშნული ტერიტორიული სიახლოვით უნდა აიხსნას. ვ. აბაევი გულდაჯერებუ-

